ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

*ხელნაწერის უფლებით*

ზინაიდა თოიძე

# ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ინტერპრეტაცია

ისტორიის დოქტორის (Ph. D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ია (ლეილა) ხუბაშვილი

**თბილისი**
**2025**

# აბსტრაქტი


სამხედრო-სასულიერო ორდენების ფენომენის მეცნიერული კვლევა დღემდე განეკუთვნება მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის სფეროს და აქტუალობას არ კარგავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციების შექმნიდან ცხრა საუკუნე გავიდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ორდენებმა შეასრულეს უმნიშვნელოვანესი როლი, როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ასევე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ისტორიაში.

წინამდებარე სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ახლებური გააზრება, ინტერპრეტაცია. ორდენმა დაარსებიდან დღემდე ყველა დროის მკვლევართა ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ტამპლიერების ორდენზე არსებობს არა მარტო უამრავი გამოკვლევა და მონოგრაფია, არამედ შეიძლება ითქვას, მთელი ბიბლიოთეკა, მაინც მრავალი საკვლევი შეკითხვა იკვეთება, რომელიც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

ტამპლიერებმა ორი საუკუნის მანძილზე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს არა მარტო ჯვაროსანთა ეპოპეაში, არამედ ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობების ისტორიაში, იმ ეპოქის დიპლომატიაში, ცივილიზაციის განვითარებაში. მათ შექმნეს ძლიერი სამხედრო ინსტიტუტი, უმდიდრესი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ტრანსნაციონალური ხასიათი, დამოუკიდებელი პოლიტიკა და გავლენა მიუღებელი აღმოჩნდა საფრანგეთის მეფის ფილიპ IV-ისათვის. 1307 წლის 13 ოქტომბერს მთელ საფრანგეთში, ტამპლიერების ორდენის ყველა წევრი დააპატიმრეს. მათ წინააღმდეგ დაიწყო დიდი საინკვიზიციო სასამართლო, რომელიც შვიდი წელი მიმდინარეობდა. 1312 წელს პაპმა კლემენს V -მ ორდენი ოფიციალურად გააუქმა. ტამპლიერების ტრაგიკული ისტორიისადმი უდიდესი ინტერესი ვფიქრობთ, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად სწორედ მათ წინააღმდეგ გამართულმა მრავალწლიანმა ანტიერესულმა სასამართლო პროცესმა განაპირობა, სადაც მეფის ძალაუფლება და ორდენის გავლენა გადაიკვეთა.

ტამპლიერების ორდენის განადგურებიდან შვიდი საუკუნე გავიდა, მაგრამ არ განელებულა ორდენის მიმართ ინტერესი, ცალსახად არ არის შეფასებული არც მათი საქმიანობა. დღესაც მათ მრავალ ბრალდებას, საიდუმლოსა თუ მითს მიაწერენ. ორ-

დენის რეალური სახის წარმოსაჩენად ყველაზე მნიშვნელოვანი მათი საბრალდებო პროცესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვაგვარად იქნა ინტერპრეტირებული.

ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის შესახებ ინტერპრეტაციები განსხვავებული და მრავალფეროვანია. 2001 წელს ვატიკანის საიდუმლო არქივში იტალიელმა ისტორიკომა ბარბარა ფრალემ აღმოაჩინა ორიგინალური დოკუმენტი, „შინონის პერგმენტი“, რომელიც სრულიად ცვლის აქამდე არსებულ ინტერპრეტაციებს და ორდენზე შეხედულებების რადიკალურ გადაფასებას, გადახედვას და განახლებას იწვევს. „შინონის პერგამენტი“ უარყოფს ტამპლიერების ერეტიკოსობის ბრალდებებს და აღადგენს ორდენის ისტორიულ რეალობას.

ჩვენი კვლევის მიზანია ტამპლიერების ორდენის ისტორიის კონტექსტში საბრალდებო პროცესის შესწავლა და ახლებურად გაანალიზება, ინტერპრეტირება. კვლევის მიზნის მისაღწევად საჭიროდ მივიჩნიეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა :

1. ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ისტორიული კონტექსტის გაანალიზება; რატომ გახდა შესაძლებელი XIV საუკუნეში ტამპლიერებისათვის მსგავსი საბრალდებო პროცესის მოწყობა.
2. ტამპლიერების ბრალდებების, სამხილების, დაკითხვების ოქმების შესწავლა და ორდენის საბრალდებო პროცესის ინტერპრეტირება.
3. „შინონის პერგამენტის“ ანალიზი და მისი მნიშვნელობა ტამპლიერების პროცესის ინტერპრეტაციაში.
4. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა საბრალდებო პროცესთან დაკავშირებით.

ტამპლიერების ისტორია არ შემოიფარგლება მხოლოდ შუა საუკუნეებით. ორდენი დღესაც განაგრძობს აქტიურ საქმიანობას ნეოტამპლიერების სახით და ძალიან პოპულარულია. აღნიშნული საკითხი ჩვენთვის საინტერესოა იმის გამოც, რომ ტამპლიერებს ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის ბერებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს საქართველოში ფუნქციონირებს ქართველ ნეოტამპლიერთა ორგანიზაცია, რომელიც 2010 წელს დაარსდა.

წინამდებარე სამეცნიერო კვლევა ტამპლიერების ორდენის მონოგრაფიული შესწავლის პირველი პრეცედენტია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელშიც „შინონის პერგამენტის“ საფუძველზე ახლებურადაა გაანალიზებული ორდენის საბრალდებო პროცესი, რაც თავისთავად წარმოადგენს ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს. აღსანიშნა-

ვია, რომ 2006 წელს მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომის პაპმა ბენედიქტუს XVI-მ ორდენს ბრალდებები მოუხსნა, რაც შემდგომში არ დადასტურდა. ამ ინფორმაციის გავრცელებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბარბარა ფრალეს მიერ აღმოჩენილმა „შინონის პერგამენტმა“. ფრალეს აზრით, „შინონის პერგამენტის“ შესწავლამ დაადასტურა, რომ არასოდეს მომხდარა ტამპლიერების ექსკომუნიკაცია (განკვეთა). ამიტომ მორალური და რელიგიური თვალსაზრისით, ისინი რეაბილიტირებულები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ ვატიკანს დღემდე არ განუხილავს ტამპლიერების რეაბილიტაციის საკითხი, „შინონის პერგამენტის“ ასლი 2007 წელს მაინც გამოაქვეყნა.

# Abstract

The scientific study of the phenomenon of military-religious orders still raises a special interest of researchers and does not lose its relevance, despite the fact that nine centuries have passed from the creation of these organizations. It's quite natural as the orders have played an important role, both in the Crusades and in the relations between the East and the West.

The subject of the present scientific research is a new understanding and interpretation of the trial of the Knights Templar. The Order raises interest and disagreement among researchers of all times since its foundation. Despite there are not only numerous studies and monographs on the Knights Templar, but one could say an entire library, there are still many questions that require further clarification.

For two centuries, the Templars used to play an important role not only in the epopee of the Crusaders, but also in the history of relations between the Christian and Islamic worlds, in the diplomacy of that period, and in the development of civilization. They created a strong military institution, the richest international organization, transnational character of which, its independent politics and influence turned out to be unacceptable for King Philip IV of France. On October 13, 1307, all members of the Knights Templar were arrested throughout France. A great inquisition trial began against them, which lasted for seven years. In 1312, Pope Clemens V officially disbanded the order. We think that the great interest in the tragic history of the order, along with many other factors, was caused by the long-term anti-heresy trial against them, where the power of the king and the influence of the Order intersected.

Seven centuries have passed from the destruction of the Knights Templars, but the interest towards the order has not faded; their activities are not evaluated unambiguously either. Even today, a number of accusations, secrets and myths are attributed to them. The most important for understanding of true colors of the order, is their trial process, which has been interpreted by different authors throughout the centuries in different ways.

Interpretations of the trial of the Knights Templar are diverse and also varied. In 2001, the Italian historian Barbara Frale discovered an original document in the Vatican's secret archives, the „Chinon Parchment", which completely changes the interpretations that have existed so far and leads to a radical reassessment, revision and renewal of viewpoints on the

order. The „Chinon Parchment“ refutes the accusations of heresy of the Templars and restores the historical reality of the order.

The purpose of our research is to study the Knights Templar on the basis of various sources and scientific literature and to analyzes it anew, in the discourse of the trial. To achieve the goal of the research, we have considered it necessary to solve the following tasks:

1. To analyse the historical context of the Trial; why it became possible to organize a similar trial for the Knights Templars in 14th century.

2. To study accusations, testimonies, interrogation protocols and interpretation of the order's trial.

3. To analyse the „Chinon Parchment“ and its significance in interpreting the Templars' trial.
4. To study public opinion regarding the trial.

The history of the Templars goes beyond the Middle Ages. Even today, the Order continues active functioning as Neo-Templars and they are very popular, therefore it is important to highlight their history realistically. The issue is interesting for us as the Templars were in touch with the monks of Georgian Monastery of Cross in Jerusalem. It is also worth noting that the organization of Georgian Neo-templars, founded in 2010, is functioning today in Georgia.

The present scientific research is the first precedent of a monographic study regarding the Knights Templar in Georgian historiography, in which the trial of the Order is being analyzed in a new way based on the „Chinon Parchment“, which in itself is a scientific novelty of the work. It is noteworthy that in 2006, according to the information disseminated by the mass media, Pope Benedict XVI dropped the charges from the Order, which was later not confirmed. The „Chinon Parchment“ discovered by Barbara Frale played a crucial role in the dissemination of this information. According to Frale, the study of the „Chinon Parchment“ confirmed that the Templars were never excommunicated. Therefore, from a moral and religious point of view, they are rehabilitated.

In spite of the fact, that an official Vatican has not yet discussed the issue of rehabilitation of the Knights Templar, it still publish a copy of the Chinon Parchment in 2007.

# შინაარსი

**აბსტრაქტი** ..... II

**Abstract** ..... V

**შესავალი** ..... 1

**თავი პირველი. ტამპლიერების ორდენი და საღვთო ომი** ..... 18

1.1. ტამპლიერების ორდენის დაარსება. ბერნარ კლერვოელი ..... 18

1.2. ტამპლიერების ორდენის წესდება და სტრუქტურა ..... 33

1.3. ტამპლიერების ორდენი წმინდა მიწაზე ..... 48

1.4. ტამპლიერების ორდენის მეტამორფოზა და ტრანსნაციონალურ კორპორაციად გადაქცევა ..... 60

**თავი მეორე: დასასრულის დასაწყისი. აუტო დაფე** ..... 68

2.1. ომი ტამპლიერების წინააღმდეგ. (პიერ დიუბუას ტრაქტატები) ..... 68

2.2. ინკვიზიციის საბრალდებო პროცესი ..... 91

2.3. ვიენის საეკლესიო კრება ..... 118

2.4. აუტოდაფე ..... 131

**თავი მესამე. ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ინტერპრეტაცია. „შინონის პერგამენტი“** ..... 140

3.1. ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის დისკურსი. ბრალდებები და სამხილები ..... 140

3.2. ტამპლიერები და ისლამური სამყარო ..... 167

3.3. ტამპლიერები და კათარები ..... 182

3.4. შინონის პერგამენტი ..... 191

3.5 საზოგადოებრივი აზრი ტამპლიერების საბრალდებო პროცესთან დაკავშირებით ..... 201

**თავი მეოთხე. ტამპლიერების ორდენის ტრანსფორმაცია და თანამედროვეობა** ..... 216

4.1. ნეოტამპლიერები ..... 216

4.2. ტამპლიერებისა და საქართველოს ურთიერთობების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ....228

**დასკვნა**....239

**დანართები:** ....250

დანართი 1 ....250

დანართი 2 ....256

დანართი 3 ....257

დანართი 4 ....259

დანართი 5 ....261

**ბიბლიოგრაფია**....263

# შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში უძველესი დროიდან არსებობდა საზოგადოებრივი კავშირები, შემდეგ ორდენები, რომლებიც საიდუმლოდ ინახავდნენ თავიანთ ცოდნას, მიზნებსა და საშუალებებს. ორდენების წარმოშობას ახასიათებდა ძლიერი რელიგიური სულისკვეთება და ენთუზიაზმი, მაგრამ განსხვავებული იყო მათი შექმნის საფუძვლები, მიზნები და ამოცანები. საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენი ინტერესების სფეროს, განეკუთვნება სამხედრო-სასულიერო ორდენების ინსტიტუტი, რომლის დაარსება უკავშირდება წმინდა მიწის, უფლის საფლავის ურწმუნოთაგან გამოხსნის იდეას და ჯვაროსნულ ლაშქრობებს ახლო აღმოსავლეთში, რომელიც დაიწყო XI საუკუნის ბოლოს. ამ ეპოქაში ჯვაროსანთა მონაპოვრის შენარჩუნების, მათ მიერ შექმნილი საკუთარი სახელმწიფოების, მოსახლეობისა და მომლოცველთა დაცვის მიზნით ჩამოყალიბებული იქნა სამი მუდმივმოქმედი სამხედრო-სასულიერო ორდენი:1) იოანიტების, ანუ ჰოსპიტალიერების (მოგვიანებით მას მალტის ორდენი ეწოდა)2) ტამპლიერებისა და 3) ტევტონების. ამ ორდენთა წევრები მოწოდებულნი იყვნენ – ებრძოლათ ურწმუნოებთან და ეცხოვრათ ბერებისათვის დამახასიათებელი ცხოვრებით. ამგვარად, მონასტრულმა იდეალმა მიიღო ახალი მიმართულება, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა შუა საუკუნეების ბერ-მონაზვნობის ტრადიციული პრინციპებისაგან. ასე შეიქმნა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში სრულიად ახალი, შეუდარებელი ფენომენი - მებრძოლი ბერების რელიგიური ინსტიტუტი, რომელიც ერთდროულად შეიცავდა ქრისტიანული ასკეტიზმის იდეალსა და საომარ მსახურებას. სამხედრო-სასულიერო ორდენები გახდა პაპობის დასაყრდენი მობილური არმია. მათი მიზანი უპირველესად ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა იყო, მაგრამ, ამასთანავე პაპები მათ თავიანთი თეოკრატიული პროექტების განხორციელებისათვის იყენებდნენ.

სამხედრო-სასულიერო ორდენების ინსტიტუტი დაარსებიდან დღემდე წარმოადგენს ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ, აქტუალურ და მეტ-ნაკლებად კარგად შესწავლილ საკითხს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დღემდე მაინც არის მკვლევართა და საზოგადოების ყურადღების საგანი. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ორდენებმა შეასრულეს უმნიშვნელოვანესი როლი, როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ასევე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ისტორიაში.

წინამდებარე სამეცნიერო კვლევის საგანს, წარმოადგენს ტამპლიერების ორდენი, რომლის შესახებაც დაარსებისთანავე წარმოიშვა უამრავი თვალსაზრისი და ყველა დროის მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. თემა ძალიან ფართოა და ამასთანავე აქტუალური, რადგან ტამპლიერების ისტორიის დეტალები საუკუნეების მანძილზე რჩებოდა ერთ-ერთ საკამათო საკითხად. მიუხედავად იმისა, რომ ტამპლიერების ორდენზე არსებობს არა მარტო უამრავი გამოკვლევა და მონოგრაფია, არამედ შეიძლება ითქვას, მთელი ბიბლიოთეკა, ორდენის ისტორია მაინც ბურუსითაა მოცული, თემა კი ამოუწურავი.

„ტამპლიერები იყვნენ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რაინდული ორდენის წარმომადგენლები ჯვაროსნული ლაშქრობების დროს. მათი ყველა ორგანიზაცია, საქმიანობა და ტრაგიკული ბედი საოცრად საინტერესო იყო“ -წერდა ფრანგი ისტორიკოსი დე კენსი (Гекерторн 1876 : 137).

ტამპლიერებმა ორი საუკუნის მანძილზე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს როგორც ჯვაროსანთა ეპოპეაში, ასევე ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობების ისტორიაში, იმ ეპოქის დიპლომატიაში, ცივილიზაციის განვითარებაში. მათ შექმნეს ძლიერი სამხედრო ინსტიტუტი, უმდიდრესი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ტრანსნაციონალური ხასიათი, დამოუკიდებელი პოლიტიკა, სასულიერო ძალაუფლება მიუღებელი აღმოჩნდა საფრანგეთის მეფის ფილიპ IV-ისათვის. ფაქტობრივად, ორდენი იქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში, რომელიც მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა. 1307 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევს, მთელ საფრანგეთში, ტამპლიერების ორდენის ყველა წევრი დაპატიმრეს. მათ წინააღმდეგ დაიწყო დიდი საინკვიზიციო სასამართლო, რომელიც შვიდი წელი მიმდინარეობდა. 1312 წელს პაპმა კლემენს V -მ ორდენი ოფიციალურად გააუქმა. პროცესის დასრულების შემდეგ ისინი უნდა გამქრალიყვნენ ისტორიის ასპარეზიდან, თუმცა ტამპლიერების ისტორია დღესაც გრძელდება და კვლავაც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, რადგან მათი ტრაგიკული ისტორია იდუმალებისა და მითების შემცველ გამოცანად რჩება, რომელიც სათავეს XIV საუკუნიდან, ორდენის გახმაურებული სასამართლო პროცესიდან იღებს. ვფიქრობთ, რომ ამ ორდენისადმი უდიდესი ინტერესი მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად სწორედ მათ წინააღმდეგ გამართულმა მრავალწლიანმა სასამართლო პროცესმა გამოიწვია, რომლის მიმდინარეობიდანვე და ასევე დასრულების შემდეგაც წარმოიშვა მრავალი საიდუმლო და შეიქმნა მითები ტამპლიერებზე. ამგვარად,

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაცია ქრისტიანულ სამყაროში პაპობის შემდეგ, გაეხვია მითოლოგიურ საბურველში და დაიჩრდილა მრავალი გამონაგონით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ აღზევების დროს აღიქმებოდა ორდენი როგორც ერთგვარი მისტიკური ინსტიტუტი. ტამპლიერებმა იმთავითვე მიიპყრეს მემატიანეების თუ მწერლების ყურადღება. ისინი ჯერ კიდევ ორდენის განადგურებამდე ფიგურირებდნენ პოემებსა თუ ეპიკურ ბალადებში, მაგრამ შესაძლებელია ითქვას, რომ საბრალდებო პროცესის დაგეგმვიდანვე დაიწყო მათი რეალური ისტორიის გაყალბება, დამახინჯება და ორდენზე მითების ფორმირება. ჯერ მეფის გარემოცვა, ხოლო შემდგომ საუკუნეებში სხვა ორგანიზაციები თუ დაინტერესებული პირები იყენებდნენ ტამპლიერების თემატიკას თავიანთი მიზნებისათვის. ამდენად, რაც უფრო მეტად ცდილობდნენ; პროცესის ორგანიზატორნი სხვადასხვა ბრალდებით დაემცირებინათ, ხოლო კეთილგანწყობილნი შეელამაზებინათ ორდენის ისტორია, ის უფრო და უფრო შორდებოდა რეალობას. საუკუნეების განმავლობაში სინამდვილე მათ შესახებ კიდევ უფრო მოექცა ჩრდილში, მოხდა მისი მისტიფიცირება, გაიდუმალება და ტრანსფორმაცია.

ტამპლიერების ორდენის განადურებიდან შვიდი საუკუნე გავიდა, მაგრამ არ განელებულა ორდენის მიმართ ინტერესი, ცალსახად არ არის შეფასებული არც მათი საქმიანობა. დღესაც მათ მრავალ ბრალდებას, საიდუმლოსა თუ მითს მიაწერენ. ორდენის რეალური სახის წარმოსაჩენად ყველაზე მნიშვნელოვანი მათი საბრალდებო პროცესია, რომელიც ეპოქათა განმავლობაში სხვადასხვა ავტორების მიერ იქნა ინტერპრეტირებული, ამიტომაც ტამპლიერების ორდენს ჰყავს როგორც აპოლოგეტები, ისე ოპონენტებიც. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ინტერესი საკვლევი თემისადმი.

საუკუნეების მანძილზე ისტორიაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ტამპლიერები იყვნენ დამნაშავეები წაყენებულ ბრალდებებში და რომ ეკლესიამაც უარყო ისინი, რადგან პაპმა დაშალა ორდენი, მაგრამ 2001 წელს იტალიელმა ისტორიკოსმა ბარბარა ფრალემ ვატიკანის საიდუმლო არქივში აღმოაჩინა ოფიციალური დოკუმენტი „შინონის პერგამენტი“, რომელმაც სრულიად შეცვალა ორდენზე შეხედულება. „შინონის პერგამენტით“ პირველად დამტკიცდა, რომ პაპმა ორდენის მაღალ იერარქებს მიანიჭა აბსოლუცია და არ დაადანაშაულა ორდენი ერესში.

**სამეცნიერო კვლევის მიზანია** არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის შესწავლა

და ისტორიულ  კონტექსტში შედარებითი ანალიზის საფუძველზე მისი ინტერპრეტ-აცია. ამის საშუალებას გვაძლევს ვატიკანის საიდუმლო არქივში აღმოჩენილი „შინონ-ის პერგამენტი“.  კვლევის  მიზნის  მისაღწევად საჭიროდ მივიჩნიეთ შემდეგი ამოცა-ნების გადაჭრა :

1)ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ისტორიული კონტექსტის გაანა-ლიზება; რატომ გახდა შესაძლებელი XIV საუკუნეში ტამპლიერებისათვის მსგავსი საბრალდებო პროცესის მოწყობა.

2) ტამპლიერების ბრალდებების, სამხილების, დაკითხვების ოქმების განხილვა და ორდენის საბრალდებო პროცესის ინტერპრეტირება.

3) „შინონის პერგამენტის“ ანალიზი და მისი მნიშვნელობა ტამპლიერების პროცესის ინტერპრეტაციაში.

4)საზოგადოებრივი აზრის შესწავლა საბრალდებო პროცესთან დაკავშირებით.

ამგვარად, წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიზანია, ტამპლიერე-ბის საბრალდებო პროცესის და „შინონის პერგამენტის“, როგორც უპირველესი წყა-როს შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ  მისი ახლებური გააზრება, ინტერპრეტაცია. დავესესხებით ცნობილ იტალიელ ისტორიკოსს ფრანკო კარდინის და აღვნიშნავთ: „ისტორია ყოველთვის საჭიროებს მანამდე არსებული ინტერპრეტა-ციების გადახედვას; ისტორია ასეთი რომ არ ყოფილიყო, მაშინ საერთოდაც არაფერი იქნებოდა.“

დენიელ ლიტლის თანახმად, „ინტერპრეტაციები სოციალური ფენომენების ნამ-დვილი ახსნების საფუძველს ქმნის...ჰუმანიტარულ  მეცნიერებებში ორ დონეზეა სა-ჭირო ინტერპრეტაცია. ინდივიდუალური მნიშვნელობებისა და ქმედებების გასაგე-ბად აუცილებელია მათი ინტერპრეტირება, ხოლო სოციალური პრაქტიკის გასაგებად აუცილებელია იმ მნიშვნელობებისა და ღირებულებების გაგება, რომლებსაც მისი მო-ნაწილეები მიაწერენ მას. ინდივიდუალური ქმედების ინტერპრეტაციამ, იმის მიუხე-დავად, მასში ქმედება მიზანზე მიმართულ ქმედებად გაიგება თუ სიმბოლურ მო-ნაწილეობით ქმედებად შეიძლება მრავალნაირი ფორმა მიიღოს. სოციალური ფენომ-ენები, ნაწილობრივ, იმ ინტერპრეტაციული სქემებისაგან აიგება, რომლებსაც საზოგა-დოების წევრები იყენებენ თავიანთი სოციალური სამყაროების მოსაწესრიგებლად, თავიანთი ქცევის ასახსნელად, სხვა ადამიანთა ქმედებებისა და ინსტიტუტების მუშ-აობის გასამართლებლად თუ დასაგმობად. ამიტომ შეუძლებელია  სოციალური პრაქ-

ტიკებისა და ინსტიტუტების სათანადოდ გაგება, თუკი სათანადოდ არ იქნება ინტერპრეტირებული იმ ქმედებების მნიშვნელობები და იმ ადამიანთა საზრისები, რომელთა სახითაცაა ისინი განხორციელებული“ (ლიტლი 2013:107-110-111).

დ. ლიტლის იტერპრეტაციის თეორიაზე დაყრდნობით ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ პროცესის მთავარ მონაწილეთა მოტივები (მაგალითად, საფრანგეთის მეფის ფილიპ IV -ის, ორდენის დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს, პაპ კლემენს V-ის), რაც ტამპლიერების საბრალდებო პროცესის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია. ასევე განვიხილოთ თუ რატომ გახდა შესაძლებელი XIV საუკუნეში ტამპლიერებისათვის მსგავსი საბრალდებო პროცესის მოწყობა, როგორ აღიქმებოდა ბრალდებები და პროცესი თანამედროვეთა მიერ.

**სამეცნიერო კვლევის აქტუალობა.** ტამპლიერების საბრალდებო პროცესის შესწავლა აქტუალურია როგორც შუა საუკუნეების ევროპის ისტორიის, ასევე რელიგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკისა და სამართლის ისტორიის მიმართულებებითაც, რადგანაც პროცესი კომპლექსურად მოიცავდა მათ. კვლევა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ სახელმწიფო ძალაუფლებისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება სამართლებრივი პროცესების კონტექსტში: თუ როგორ ახორციელებდა საერო ხელისუფლება ეკლესიაზე პოლიტიკურ ზემოქმედებას თავისი ინტერესების დასაცავად და როგორ იქცეოდა საეკლესიო სასამართლო მონარქის ზეწოლის პირობებში, თუ როგორ ტარდებოდა ერესული სასამართლო პროცესები შუა საუკუნეებში. კვლევამ ცხადყო, რომ ტამპლიერების საქმეში მონარქის მიერ დაირღვა რელიგიური და სამართლებრივი სივრცის საზღვრები და პოლიტიკური გარემოებების გამო დადგა უსამართლო გადაწყვეტილება საეკლესიო სასამართლოს მიერ. ამგვარად, საკვლევი თემის აქტუალობას უპირველესად განსაზღვრავს „სამეფო სახელმწიფოს“ (მიშელ ფუკოს კონცეფციით) მიერ საეკლესიო ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლის კონტექსტში ეკლესიის იურსდიქციის ხელყოფა და ერთგვარი რეპრესიების გამოყენებით უსამართლო გადაწყვეტილების დადგომა. ტამპლიერების საქმეში ნათლად გამოიკვეთა სახელმწიფოს მიერ საეკლესიო სასამართლოს ინსტრუმენტად გამოყენება და პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებზე მორგებული სასამართლო პროცესის ჩატარება.

ტამპლიერების საბრალდებო პროცესმა დიდი გავლენა მოახდინა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ასევე ეკლესიაზე. პროცესის გაანალიზება საშუალებას გვაძლ-

ევს გამოვარკვიოთ თუ როგორ გამოიყენებოდა რელიგია და ერესული ბრალდებები პოლიტიკური და ფინანსური მიზნების მისაღწევად.

კვლევაში გაანალიზებულია ასევე თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს (ჰობსის „ლევიათანს“) გაანადგუროს ნებისმიერი დამოუკიდებელი, უძლიერესი ინსტიტუტი, რომელიც მას არ ექვემდებარება და ორდენთან დაკავშირებული სხვა ისტორიული პერიპეტიები. ტამპლიერების საბრალდებო პროცესმა გვიჩვენა თუ როგორ იყენებდა შუა საუკუნეებში მონარქი ძალაუფლებასა და სამართლებრივ ინსტიტუტებს პირადი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისათვის მაშინაც კი, როცა მისი მთავარი მოწინააღმდეგე პაპი და ეკლესია იყო.

საკვლევი თემის პრობლემატიკიდან გამომდინარე, ნაშრომის აქტუალობას წარმოადგენს ასევე ტამპლიერების ისლამურ სამყაროსთან დამოკიდებულების, მათი აღმოსავლური პოლიტიკის საკითხის წინ წამოწევა და სიღრმისეული ანალიზი; თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რელიგიური დაპირისპირების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ საკითხის აქტუალიზირება, რადგან ტამპლიერები ჯერ კიდევ XII საუკუნეში რჯულშემწყნარებლობითა და ტოლერანტული თავისუფლებით გამოირჩეოდნენ, რითაც მუსლიმებისა და ქრისტიანების თანაარსებობის მოდელს ქმნიდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ 2013 წელს რომის პონტიფექსმა ფრანცისკ პირველმა პაპების რეესტრში არარსებული სახელი ფრანცისკ ასიზელის პატივსაცემად აიღო და ის ისლამსა და ქრისტიანობას შორის დიალოგის მფარველ წმინდანად გამოაცხადა, ეს ფაქტი აღნიშნული კვლევის აქტუალობას ზრდის. (ფრანცისკ ასიზელმა (1182-1226) გაბედა და ეგვიპტის სულთნის წინაშე ქრისტიანობისა და ისლამის თანასწორობა იქადაგა.)

ტამპლიერების ორდენის ისტორიის ნებისმიერი დეტალის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მომდევნო საუკუნეებში და დღესაც შექმნილი სხვადასხვა საიდუმლო თუ რელიგიური ორგანიზაციები ეყრდნობიან ტამპლიერებს, როგორც თავიანთ წინამორბედებს.

ტამპლიერების ორდენის ისტორია არ შემოიფარგლება მხოლოდ შუა საუკუნეებით. მათი ეგრეთ წოდებული რესტავრაცია დაიწყო XVIII საუკუნეში. ორდენი დღესაც განაგრძობს აქტიურ საქმიანობას ჰუმანიტარული დახმარების სფეროში ნეოტამპლიერების სახით და, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან პოპულარულნი არიან, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ისტორიის რეალურად წარმოჩენა. აღნიშნული საკითხი ჩვენ-

თვის საინტერესოა იმის გამოც, რომ ტამპლიერებს ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის ბერებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს საქართველოში ფუნქციონირებს ქართველ ნეოტამპლიერთა ორგანიზაცია, რომელიც 2010 წელს დაარსდა.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** „შინონის პერგამენტის“ აღმოჩენისა და გამოქვეყნების შემდეგ ტამპლიერების პროცესის და ზოგადად, ორდენის შესახებ სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნდა სამეცნიერო ნაშრომები, სადაც ავტორები „შინონის პერგამენტზე“ დაყრდნობით, ორდენისადმი დამოკიდებულების ინტერპრეტირებას ახდენენ. ქართულ აკადემიურ სივრცეში არც ეს მნიშვნელოვანი პირველწყარო და არც საბრალდებო პროცესი არა თუ მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი და გაანალიზებული, არამედ სამეცნიერო სტატიაც კი არ გამოქვეყნებულა. თუმცა ყოველივე ზემოთ აღნიშნული ამ საკითხის შესწავლის საჭიროებაზე მიგვანიშნებს. წინადებარე სადისერტაციო გამოკვლევა, ტამპლიერების ორდენის მონოგრაფიული შესწავლის პირველი პრეცედენტია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომლის მთავარ სიახლეს „შინონის პერგამენტზე“ დამყარებული ინტერპრეტაცია წარმოადგენს. გამოკვლევაში, ჩვენ მიერ მოძიებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე გაანალიზებული და ინტერპრეტირებულია ერესში ბრალდებული ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესი. ეს იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ 2006 წელს მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომის პაპმა ბენედიქტუს XVI -მ ორდენის რეაბილიტაცია მოახდინა, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა „შინონის პერგამენტმა“. მართალია, წმინდა საყდარმა არ აღიარა ორდენის რეაბილიტაციასთან დაკავშირეული ინფორმაცია, მაგრამ „შინონის პერგამენტის“ ასლი, საბრალდებო პროცესის სხვა უმნიშვნელოვანეს წყაროებთან ერთად მაინც გამოაქვეყნა ძვირადღირებულ კრებულში „Processus Contra Templarios“ ბარბარა ფრალეს აზრით, „შინონის პერგამენტის“ საფუძვლიანმა შესწავლამ დაადასტურა, რომ არასოდეს მომხდარა ტამპლიერების ექსკომუნიკაცია (განკვეთა). ამიტომ მორალური და რელიგიური თვალსაზრისით, ისინი რეაბილიტირებულები არიან. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო კვლევის სიახლეები შესაძლებელია ასე დავაჯგუფოთ:

1. დენიელ ლიტლის ინტერპრეტაციის თეორიაზე დაყრდნობით კვლევაში გაანალიზებულია საბრალდებო პროცესის მთავარ მონაწილეთა მოტივები (მაგალითად, საფრანგეთის მეფის ფილიპ IV -ის, ორდენის დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს, პაპ კლე-

მენს V-ის და ა.შ.), რაც ტამპლიერების საბრალდებო პროცესის ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელოვანია.

2. სამეცნიერო კვლევაში განხილულია ის მიზეზები და მოტივები, რამაც შესაძლებელი გახადა XIV საუკუნეში ტამპლიერებისათვის მსგავსი საბრალდებო პროცესის მოწყობა. ასევე გაანალიზებულია თუ როგორ აღიქმებოდა ორდენისთვის წაყენებული ბრალდებები და საბრალდებო პროცესი თანამედროვეთა მიერ.

3. კვლევაში მეფის ლეგისტის ტრაქტატების საფუძველზე წარმოდგენილია როგორ ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება ტამპლიერებთან დაკავშირებით.

4. დადგენილია „შინონის პერგამენტის“ მნიშვნელობა საბრალდებო პროცესის ახლებურ გააზრებასა და ინტერპრეტაციაში, რაც სადისერტაციო ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

5. „შინონის პერგამენტის“ საფუძველზე გაანალიზებულია თუ რა მექანიზმებით ცდილობდა პაპი ტამპლიერთა დაცვას და რატომ ვერ შეძლო ორდენის გადარჩენა. შეიძლება ითქვას, რომ პაპისა და მეფის ურთიერთობა ორდენის ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით, შესანიშნავი მაგალითია ფუკოს თეორიის გასააზრებლად ძალაუფლებასა და ურთიერთობაზე.

6. გაანალიზებული და ახსნილია თუ როგორ შეიძლება ისტორიულმა დოკუმენტმა შეცვალოს შეხედულება მოვლენაზე, ინსტიტუციაზე, პიროვნებაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა.

7.„შინონის პერგამენტზე“ დაყრდნობით ქართულ სამეცნიერო სივრცეში დავამკვიდრებთ ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ახლებურ გააზრებას.

**ქრონოლოგიური ჩარჩოები:** ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ძირითადი ქრონოლოგია ძირითადად განისაზღვრება 1307-1314 წლებით, მაგრამ საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე და საკითხის კონტექსტში მოქცევამ მოითხოვა ტამპლიერთა ორდენის ისტორიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები წარმოგვეჩინა XII საუკუნიდან XIV საუკუნის 20-იან წლებამდე. საკითხის შესწავლამ და მანამდე არსებული ინტერპრეტაციების სიღრმისეულად გააზრებამ „შინონის პერგამენტის“ საფუძველზე მოითხოვა ფაქტების ახლებურად დალაგება და გაანალიზება.

**ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა:** საკვლევი თემიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში არსებული ემპირიული მასალების საფუძველზე უპირველესად ფაქტები კომპლექსურად განვაზოგადეთ და მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი დავ-

ადგინეთ. დავამუშავეთ წყაროები და თემატური სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მათი შეფასებისას გამოვიყენეთ ისტორიზმისა და სინთეზის მეთოდოლოგია, ასევე წყაროების თვისებრივი, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების და კრიტიკული-შედარებითი ანალიზის მეთოდები. აღნიშნული მეთოდების დახმარებით კვლევაში ორდენის საბრალდებო პროცესი შესწავლილია დინამიკაში, გამოვლენილია ტამპლიერთა დაკითხვის ოქმების მსგავსება განსხვავებები, შედარებულია ბრალდებები და სამხილები.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, 15 ქვეთავის, დასკვნისა და დანართებისაგან. თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ჩამონათვალი.

**ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა:** ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის შესახებ წყაროები საკმაოდ მწირია, რასაც თავისი მიზეზები აქვს; უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ტამპლიერების ორდენის მთავარი არქივი დაკარგულია. 1291 წელს აკრის ალყის დროს ორდენის დიდმა მაგისტრმა ტიბო გოდენმა მოახერხა ორდენის საგანძურის ნაწილის გადატანა, მათ შორის რელიქვიებისაც კვიპროსზე, სავარაუდოდ არქივისაც. ორდენის დაშლის შემდეგ, 1312 წელს, ტამპლიერთა ქონება ჰოსპიტალიერებს გადაეცა, რომლებმაც 1310 წელს თავიანთი მთავარი შტაბი როდოსზე გადაიტანეს. კვიპროსზე არსებული ტამპლიერთა არქივი, სავარაუდოდ, ჰოსპიტალიერების საკუთრება გახდა, რომელიც ოსმალების მიერ კუნძულის დაპყრობის შემდეგ, 1517 წელს დაიკარგა“ (Burgtorf 2008 : 7). თუმცა, გადარჩა საბრალდებო პროცესის ოქმები საფრანგეთში, არაგონის სამეფოსა და ინგლისში. არსებობს ასევე ზოგიერთი ეპარქიალური კომისიების დაკითხვის ოქმები ჩაწერილები : ნიმში, ოვერნში, ლერიდაში, ნავარაში, ელნში, ლონდონში, ფლორენციასა და რავენაში. ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნებულია. მაგალითისთვის დავასახელებთ რამდენიმეს. ნიმი: M’enard L. Histoire civile, ecclesia- stique et literaire de la Ville de Nismes. Paris: Chaubert, 1750. ოვერნი: Se’ve R.Chagni-Seve A. Le Proces des Templiers d’Auvergne: 1309-1311: edition de l’interrogatoire de jiun 1309. Paris: Ed.du CTHS, 1986; ლონდონი: Wilkins D. Concilia Magnae Britanniae et Hiberniae, A Synodo Verolamiensi A.D.CCCXLVI adLondinensem A.D. MDCCXVII; რომი: The Trial of the Templars in the Papal state and the Abruzzi. Ed. By Anne Gilmour-Bryson. Citta del Vaticano. რავენა: Caravita R.

Rinaldo da Concorrezzo arcivescovo di Ravenna (1303-1321) al tempo di Dante. Firenze: L.S. Olshki, 1964.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ორდენი საიდუმლოებული ორგანიზაცია იყო, ინფორმაცია და მათ მიერ დაგროვილი ცოდნა დაშიფრული სახით არსებობდა და მასზე წვდომა მხოლოდ ინიცირებულ პირებს ჰქონდათ. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ტამპლიერების ორდენზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი ბიბლიოთეკა არსებობს, მათ შორის მხატვრული და დოკუმენტური ფილმებიც, რომლებშიც განსხვავებული შეხედულებები და შეფასებები ემიჯნებიან ერთმანეთს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ავტორი ან კონფესიური კუთვნილებიდან გამომდინარე აფასებს ორდენს, ან იდეოლოგიის გადმოსახედიდან, ვფიქრობთ, ისტორიული ობიექტურობით საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

სადისერტაციო ნაშრომში, ძირითადად გამოყენებულია ლათინური და ფრანგული წყაროები, ასევე თარგმნილი პირველადი და მეორეული წყაროები ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნაშრომისთვის უაღრესად ღირებულია იმდროინდელ მემატიანეთა წყაროები. ტამპლიერების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო დოკუმენტია მათი ორდენის წესდება–„La Regle du Temple“ შედგენილი და გამოქვეყნებული ფრანგი ისტორიკოსის ჰ. დე კიურზონის მიერ 1886 წელს პარიზში. წესდების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეგო თუ როგორი სტრუქტურა ჰქონდა ორდენს, როგორი იყო ტამპლიერების ცხოვრების წესი, წევრების უფლება-მოვალეობები და რელიგიური მისწრაფებები. წესდება წარმოადგენს ფასეულ წყაროს, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ის საბრალდებო პროცესზე არასოდეს გამოუყენებიათ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლეგისტ პიერ დიუბუას მიერ დაწერილი, სამი ტრაქტატი ტამპლიერების ორდენის წინააღმდეგ გამართული პროცესის შესახებ. დიუბუას ტრაქტატები წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს ტამპლიერების ორდენის განადგურების მიზეზების კვლევისას. დიუბუას ტრაქტატები შეაგროვა და გამოსცა ფრანგმა ისტორიკოსმა ე. ბუტარიკმა, ხოლო რუსულად თარგმნა დენისოვამ. „Из истории политической борьбы во Франции в начале XIV в,“ (Трактаты Легиста Дюбуа об уничтожении ордена тамплиеров ). 1961

ტამპლიერების ორდენის განადგურება შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ, უსამართლო პროცესად ითვლება. ორდენის განადგურების

საკითხის შესწავლა ემყარება ფრანგულ წერილობით წყაროებს, დაკითხვის ოქმებს, რომლებიც შეაგროვა და ორ ენაზე (ლათინურ-ფრანგული) გამოაქვეყნა ჟ. ლიზერანმა. მისი წიგნი „Le dossier de l'affaire des Templiers"(1923) მეცნიერულად ღირებულ მასალებს შეიცავს, რადგან მასში მრავალ საყურადღებო დოკუმენტთან ერთად ორდენის ყველა მაღალი იერარქის დაკითხვის ოქმია შეტანილი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რენუარის ორი ნაშრომი გამოცემული პარიზში 1805- 1813 წლებში. „Proces et condemnationdes Templiers" (1805), Monumens historiques relatifs a la condamnation des chevaliers du temple, et a l'abolition de leur ordre (1813)ამ ნაშრომებში ტამპლიერების დაკითხვის ოქმები და პროცესის სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებია წარმოდგენილი.

ტამპლიერების საბრალდებო პროცესისის შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროებია: პაპის მიერ გამოცემული ბულები, ინკვიზიციის კომისრების, ასევე პაპის მიერ შექმნილი კომისიების ჩანაწერები, დაკითხვის ოქმები, რომლებიც ვატიკანის არქივში ინახება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფრანგი ისტორიკოსის ჟიულ მიშლეს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „Le proces des Templiers"( 1841), რომლებშიც დაკითხვის ოქმები, პაპის ბრძანებები და საყურადღებო მასალებია შეკრებილი. შესავალში ჟ. მიშლე აღნიშნავს რომ „ნაშრომში გამოქვეყნებული დაკითხვები ჩატარდა ნელა, დიდი სიფრთხილით მაღალი საეკლესიო პირების, მთავარეპისკოპოსის და რამდენიმე ეპისკოპოსის მიერ. ამგვარად მოპოვებული ჩვენებები უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე ის ძალიან მოკლე, ერთგვაროვანი და არც თუ ინფორმაციული ჩვენებები, რომლებიც მეფის მოხელეებმა და ინკვიზიტორებმა წამებით მიიღეს დაპატიმრებისთანავე. უმჯობესია ყველაფერი გამოქვეყნდეს, დოკუმენტები, აქტები მთლიანად. ეს დიდი საქმე, შუა საუკუნეების ალბათ ყველაზე მძიმე საქმე, უნდა წარსდგეს სერიოზულად განსახილველად თავისი ყველა დეტალის მთლიანობაში და საშინელი სიმართლით" (Michelet 1841:III-IV).ყურადღებას იქცევს ჟ. მიშლეს პოზიცია. იგი აკრიტიკებს მოკლე ფრაგმენტული ჩვენებების გამოყენებას, რამაც შესაძლოა მცდარი ინტერპრეტაციები გამოიწვიოს და მისი აზრით, „საჭიროა სრული დოკუმენტების გამოქვეყნება, რათა შესაძლებელი გახდეს შუა საუკუნეების ყველაზე რთული სამართლებრივი პროცესის შეფასება სრული ისტორიული მნიშვნელობით" (Michelet 1841: VI). ეს მნიშვნელოვანი წყარო ჩვენ მოვიძიეთ ციფრულ ბიბლიოთეკაში, რომელიც საფრანგეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა და სანდოობით გამოირჩევა.

ტამპლიერებისა და ისლამური სამყაროს ურთიერთობის კვლევისათვის საყურადღებო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს არაბი მემატიანის უსამა იბნ-მუნქიზის წიგნი „Книга Назидания“ (1958), რომელშიც ასახულია ტამპლიერების ურთიერთობა მუსლიმებთან და უშუალოდ თვით მემატიანესთან. (შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, უცხოელ ავტორთა ნაშრომებს, რომლებსაც ჩვენ რუსულ თარგმანში გავეცანით, რუსულად ვუთითებთ).

ტამპლიერების საბრალდებო პროცესის შესწავლისა და ინტერპრეტირებისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, იტალიელი ისტორიკოსის ბარბარა ფრალეს მიერ 2001 წელს ვატიკანის საიდუმლო არქივში აღმოჩენილი „შინონის პერგამენტი“, რომელიც 1308 წლის 17-20 აგვისტოთი თარიღდება. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ პაპმა აბსოლუცია მიანიჭა ტამპლიერების ხელმძღვანელებს და დააბრუნა ისინი ეკლესიის წიაღში. ეს წყარო ნათელყოფს, რომ ეკლესიას არც ერეტიკულად არ უღიარებია ორდენი და არც განუკვეთია ტამპლიერები.

ამ წყაროებს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რადგან მათი შედარებითი და არგუმენტირებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ორდენის ტრაგიული ისტორიის რეალური სურათი წარმოვადგინოთ.

ტამპლიერების ორდენის ისტორიით მრავალი მკვლევარი დაინტერესდა, მაგრამ ვინაიდან, ორდენი გასაიდუმლოებული ორგანიზაცია იყო, მათი ცნობები შესაძლებელია, ყოველთვის არ იყოს ვრცელი და სრულყოფილი, თუმცა მათი ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ; ჩ. უ. ჰეკერტორნი, რომელმაც ტამპლიერების ორდენზე საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა თავის მონოგრაფიაში „Тайные Общества Всех Веков и Всех Стран“ (1876) და გ. შუსტერი „Тайные Общества, Союзы и Ордена“ (1905). ორივე ისტორიკოსი იკვლევდა საიდუმლო ორგანიზაციების და საზოგადოებების ისტორიას. ისინი ტამპლიერების ერესში უდანაშაულობას ამტკიცებენ.

ტამპლიერების ორდენის შესახებ ცნობებს ბევრი ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი გვაწვდის, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მ. მელვილის გამოკვლევა „История Ордена Тамплиеров“ (2003) და მ. ლობეს „Трагедия Ордена Тамплиеров“ (2003). ამ ნაშრომებში დეტალურადაა განხილული ტამპლიერების ორდენის ისტორია. მ. მელლვილი და მ. ლობეც ორდენის ბრალდებებში უდანაშაულობას ამტკიცებენ.

საყურადღებოა ფრანგი მკვლევრის გი ფოს წიგნი „ Дело тамплиеров“ (2007), რომელშიც საინტერესო მოსაზრებებია გადმოცემული ორდენთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ბრიტანელი მკვლევარი მალკოლმ ბარბერი, რომელმაც საკითხის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა. იგი საინტერესოდ აანალიზებს და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ტამპლიერების პროცესთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო საკითხზე. მისი ნაშრომები „The New Knighthood: A History Of The Order Of Temple“ ( 1994) და „The trial of Templar“ (2006) გამოირჩევა წყაროთა სანდოობით, სიუხვითა და ობიექტურობით. მისი აზრით, პროცესი უნდა განვიხილოთ ორდენის გარეგანი ფაქტორების ერთობლიობით და არა შიდა წარუმატებლობით, ასევე უნდა გათვალისწინდეს სოციალური კონტექსტიც, რადგან საზოგადოებამ მიანიჭა ფილიპ IV-ეს შესაძლებლობა გაენადგურებინა ორდენი, რომელიც ოდესღაც მის სიამაყეს წარმოადგენდა (Barber 2006 : 288-289).

ფასდაუდებელია ფრანგი ისტორიკოსის ალენ დემურჟეს ორი მონოგრაფია „Жизнь и смерть Ордена тамплиеров 1120-1314“ (2008) და „Жак де моле Великии магистр Ордена тамплиеров“(2009.) ამ ნაშრომებში მნიშვნელოვანი დოკუმენტები და წყაროებია შეტანილი. მათში ა. დემურჟემ არაგონში მოძიებული გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე აღწერა უკანასკნელი დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს ცხოვრება დაწყებული მისი არჩევიდან აუტოდაფემდე, ტამპლიერთა ისტორია და ის შიდა დაპირისპირებები, რასაც ორდენში ჰქონდა ადგილი. ა. დემურჟემ ტამპლიერების პროცესი შეაფასა როგორც პოლიტიკური საქმე, რომელიც ჩატარდა განსაკუთრებული პროცედურით, ინკვიზიციის პროცედურით

ვერცერთი ავტორი, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიაზე მუშაობს, გვერდს ვერ აუვლის ტამპლიერების ორდენს, აქედან გამომდინარე, საყურადღებოა ფრანგი ისტორიკოსის გ. მიშოს ფუნდამენტური ხუთტომეული „История Крестовых Походовъ“ (1841), რომელშიც განხილულია ჯვაროსნული ლაშქრობები. ასევე აღსანიშნავია ფრანგი ისტორიკოსის რ. გრუსეს წიგნი „История крестовых походовъ“ (2007).

მეტად ფასეულია ჩვენთვის ფრანგი ისტორიკოსის პ. ვიმარის ნაშრომი „Крестовые Походы“, რომელიც დაწერილია არაბულ, ფრანგულ და ბერძნულ ფაქტობრივ მასალაზე, ასვეე საყურადღებოა გერმანელი ისტორიკოსის ბ. კუგლერის წიგნი „Исто-

рия Крестовых Походовъ“, (1895). ნაშრომში საინტერესოდაა გაანალიზებული ორდენის განადგურების საკითხი.

ტამპლიერების ორდენის შესახებ გამოკვლევები გვხვდება რუსულ ისტორიოგრაფიაში. (მ. ზაბოროვი, ლ. კარსავინი, კ. ივანოვი, და სხვა), რომლებიც ძალიან მოკლედ მიმოიხილავენ ტამპლიერების ისტორიას. მიხეილ ზაბოროვი იყო პირველი რუსი მკვლევარი, რომელმაც საფუძვლიანად აღწერა ჯვაროსნული ლაშქრობები და სამხედრო-სასულიერო ორდენებზე მოგვცა მწირი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ტამპლიერების ორდენი იყო ჯვაროსნული სამეფო-სამთავროების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი სამხედრო ძალა პალესტინაში. მათ საბრძოლო წესებსა და ტაქტიკაზე ცნობებს გვაწვდის გერმანელი ისტორიკოსი ჰანს დელბრიუკი ნაშრომში „История Военного Искуство“ (1936).

ტამპლიერების ორდენის როლსა და მნიშვნელობაზე მახლობელ აღმოსავლეთში და ასევე ასასინების სექტასთან ურთიერთობის საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია: პ. რიდის, ჯ. რასელის, ი. პეტრუშევსკის, ლ. სტროევას, მ. ზაბოროვის, რ. თვარაძის და ლ. ხუბაშვილის ნაშრომებმა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნ. ბუტმის წიგნი „Каббала ереси и тайныя общества“ (1914), რომელშიც ორდენის საიდუმლო ცერემონიალთან და სიმბოლიკებთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო დასკვნებია გაკეთებული. ნ. ბუტმი ტამპლიერების დამნაშავეობას ამტკიცებს და ორდენს მიიჩნევს მთელი ქვეყნისათვის საფრთხედ ( Бутми 1914: 160).

ტამპლიერების ორდენის ლანგედოკელ კათარებთან კავშირის შესწავლაში ჩვენ ვეყრდნობოდით ი. პავლოვსკის ა. ლუშერის, ნ. ოსოკინის, და სხვათა ნაშრომებს.

ტამპლიერების ორდენის ისტორიის სრულად წარმოდგენა შეუძლებელია პაპობის დიპლომატიის გარეშე. ამ საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანი ცნობები მოვიძიეთ: უ. ო მალის, მ. კორელინის, ს. ლოზინსკის ე. გერგეის, ლ. ხუბაშვილის და სხვათა ნაშრომებში.

მკვლევრების ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ტამპლიერების ორდენის განადგურების საკითხმა. გამოითქვა მრავალი მოსაზრება ორდენის წინააღმდეგ გამართული პროცესის შესახებ. ტამპლიერების ორდენის განადგურებას და ინკვიზიციის მსვლელობას სრულად აღგვიწერს ამერიკელი ისტორიკოსი ჰენრი ჩარლზ ლი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „История Инквизиции в средные века“ (ტომი II), რომელიც

პირველწყაროების შესწავლითაა დაწერილი და ი. გრიგულევიჩი „Инквизиция“. ორივე ნაშრომი ემყარება ჩვენთვის ძვირფას უცხოურ წყაროებსა და დაკითხვის ოქმებს, რომელსაც შესაბამისი კვლევა და ანალიზი ახლავს თან. მათში დეტალურადაა განხილული ტამპლიერებისადმი წაყენებული ბრალდებები და ორდენის გასამართლებლად მნიშვნელოვანი დასკვნებია გაკეთებული; ისინი ტამპლიერების ერესში უდანაშაულობას ამტკიცებენ. (საყურადღებოა აქ იმის აღნიშვნა, რომ ჩარლზ ლი პროტესტანტი ისტორიკოსია, გრიგულევიჩი კი საბჭოთა მკვლევარი).

საეკლესიო ისტორიკოსები საუკუნეების განმავლობაში სწავლობდნენ ტამპლიერების სასამართლო პროცესის აქტებს და ცდილობდნენ სიმართლის დადგენას. მათი კვლევის საფუძველზე საშუალება გვეძლევა გავიაზროთ მრავალი ფაქტი, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია ნაშრომებმა: ი. ლორტცის „История Церквы”, ი. პავლოვსკის „Очерки Истории Котолической Церквы“, ლ. გონსალესის „История Христианства“, გ. ბედუელის „История Церквы“, ნ. ტალბერგის „История Христианской Церквы“. ამ ნაშრომებში პაპობის ისტორიასთან ერთად მოკლედ, მაგრამ საინტერესოდაა განხილული ტამპლიერების საკითხი და გამოთქმულია დასკვნები. ამიტომ მათი მოსაზრებები ჩვენთვის ძალიან ღირებულია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იტალიელი თეოლოგის ჟ. ვ. კაპელეტოს წიგნი „Человек в Поисках Абсолюта“ (2004), რომელშიც ის ეკონომიკის, კულტურის, ხელოვნებისა და ცივილიზაციის წინაშე ტამპლიერების დამსახურების შესახებს გვაწვდის მნიშვნელოვან მასალებს. ნაშრომში აგრეთვე გამოთქმულია მეტად საყურადღებო ვარაუდი დანტე ალიგიერის ტამპლიერებთან კავშირის თაობაზე. ჟ. ვ. კაპელეტოს ორდენი უდანაშაულოდ მიაჩნია და მისი აზრით, ორდენის გაუქმებით პაპმა სამოქალაქო საზოგადოებას პროგრესის უდიდესი იარაღი წაართვა.

ტამპლიერების ორდენის ისტორიისადმი ინტერესი გრძელდება თანამედროვე პერიოდში. ტამპლიერების თემა გახდა მეტად პოპულარული და მათ შესახებ დღეს გამოკვლევების მთელი ციკლია შექმნილი. მრავალი თანამედროვე ისტორიკოსი შეეცადა ამოეხსნა ეს ამოცანა და დაედგინა ორდენის ჭეშმარიტი დანიშნულება. ტამპლიერების ისტორია ასახულია შემდეგ მკვლევართა ნაშრომებში: ბ. პეჩნიკოვის ე. პარნოვის, ა. ანდრეევის, ა. გოპაჩენკოს, ე. ჩერნიაკის, ფ. ვაგის, ჰ. ნიკოლსონის, შ. ნიუმენის, მ. ჰააგის, ი. ბელომოს, ს. ჰოდჯის და სხვათა გამოკვლევებში, რომლებიც შესაბამის ადგილებში ჯეროვნადაა დამოწმებული ნაშრომში.

ძალიან საინტერესო და თანამედროვე ისტორიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევაა ბარბარა ფრალეს ნაშრომი „II Papato e il processo ai Templari : L`inedita assoluzione di Chinon alla luce della diplomatica pontificia“, (2003) რომელიც „შინონის პერგამენტის“ აღმოჩენასა და მის მნიშვნელობაზე მოგვითხრობს. ეს წიგნი მოიცავს როგორც აკადემიურ ანალიზს, ასევე პოპულარულ ისტორიოგრაფიასაც, რაც ინტერესს იწვევეს როგორც მკვლევრებში ასევე საზოგადოებაშიც.

დისერტაციაში დასმული ცალკეული საკითხების გაანალიზებაში და ფაქტების დალაგებაში დიდი დახმარება გაგვიწია ამერიკელი ფილოსოფოსისა და სოციალური მეცნიერებების პროფესორის  დენიელ ლიტლის წიგნმა „სოციალური ახსნის მრავალფეროვნება შესავალი სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიაში“(2013).

ცალკე  აღნიშვნის ღირსია ის ინტერვიუები რომლებიც დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ჩავიწერეთ. დავუკავშირდით ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორს ბარბარა ფრალეს (25/03/2024) და ნეაპოლში სამხრეთ იტალიის პონტიფიკური თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორს ანა კარფორას (Anna Carfora: https:// pftim. discite.it/ppd/carriera.jsp?d=1011) (16.03.2024) რომელიც უშუალოდ ორდენების კვლევაშია ჩართული. (ინტერვიუები ნაშრომს დანართის სახით თან ერთვის). ასევე  გავეცანით ვატიკანის ოფიციალური ორგანოს „ოსსერვატორე რომანოს“ 2001 წლიდან 2017 წლის ჩათვლით გამოცემებს. ტამპლიერების ორდენი რამდენიმე სტატიაში ისტორიული ფაქტების მიზნით არის მოხსენიებული. საბრალდებო პროცესის შესახებ  კი მხოლოდ ორი სტატია იძებნება: ერთი გახლავთ პროფესორ  ბარბარა  ფრალესი, მეორე კი სელინის ეპისკოპოსის და ვატიკანის საიდუმლო არქივის ყოფილი  პრეფექტის სერჯო  პაგანოსი  (https://www.archivioapostolicovaticano.va/content/aav/it/l-a  rchivio). გავეცანით ასევე 2006 წლის 21 მაისის „ოსსერვატორე რომანოს“, სადაც დაიბეჭდა სტატია სათაურით „Precisazione“ (დაზუსტება). მასში წმინდა საყდარი ორდენის რეაბილიტაციისთან დაკავშირებით  გერმანიაში გავრცელებულ ხმებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

საქართველოსთან ტამპლიერების ორდენის ურთიერთობის კვლევისას, რომელიც ნაშრომში ცალკე პარაგრაფადაა წარმოდგენილი, ნაჩვენებია ტამპლიერების ქართველებთან ურთიერთობის დეტალები, რომლის მტკიცებულებას წარმოადგენს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები. მათში მოხსენიებულია წარჩინებულ ჯვაროსან ტამპლიერ  რაინდთა  სახელები. აღნიშნულ  საკითხზე  ქართულ  ისტორიოგრაფიაში

საფუძვლიანი კვლევაა ჩატარებული  და ნაშრომის შესაბამის ადგილებში ვუთითებთ ავტორებს. მათ შორის უპირველესად, უნდა დავასახელოთ ე. მეტრეველის ფუნდამენტური ნაშრომი „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ და აგრეთვე „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, რომლებშიც ფართოდაა განხილული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები და ფასეული წყაროს როლსაც ასრულებდა ჩვენთვის. ასევე უნდა აღინიშნოს ს. კაკაბაძის მონოგრაფია „დიდგორის ომი“. ავტორს აქვს საინტერესო ვარაუდები დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით. ამ საკითხის კვლევაში ჩვენ აგრეთვე ვეყრდნობოდით: ზ. ავალიშვილის, თ. ჟორდანიას, შ. ბადრიძის, ი. ბერაძის. ს. მარგიშვილის  და სხვათა ნაშრომებს. თანამედროვე  ქართველი მკვლევრებიდან  უნდა აღვნიშნოთ ლ. ხუბაშვილის,  მ. სტეფნაძის, ლ. ნემსაძის, ვ, კეკელიას, მ. წურწუმიას და დ. თინიკაშვილის  ნაშრომები.

კვლევაში გამოყენებული გვაქვს სხვა მეცნიერების ნაშრომებიც, რომლებიც სათანადოდაა მითითებული  შესაბამის ადგილებში.

**ნაშრომის აპრობაცია:** სადოქტორო ნაშრომის  ცალკეული ნაწილები გამოქვეყნებგულია სტატიების სახით სამეცნიერო  კრებულებსა და  ჟურნალებში როგორც ქართულ, ასევე უცხოურ გამოცემებში. გამოქვეყნებული მაქვს ნაშრომი: „ტამპლიერების ორდენი და კათარები“ (2005). სადისერტაციო ნაშრომის გარკვეულმა ნაწილებმა აპრობაცია გაიარეს  დოქტორანტის  კოლოკვიუმებზე  და  სხვადასხვა  სამეცნიერო  კონფერენციებზე.

# თავი პირველი. ტამპლიერების ორდენი და საღვთო ომი

## 1.1. ტამპლიერების ორდენის დაარსება. ბერნარ კლერვოელი

ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის კვლევის დროს გვერდს ვერ ავუვლით ორდენის ისტორიას, ვინაიდან, ის ბრალდებები, რომლებმაც ორდენის დაშლა და ტრაგედია განაპირობა, მისი ურთიერთობებიდან და საქმიანობიდან გამომდინარეობდა. ორდენზე საუბრისას ასევე გვერდს ვერ ავუვლით შუა საუკუნეების მისტიციზმის დიდ ავტორიტეტს, წმ. ბერნარ კლერვოელს.

ტამპლიერების ორდენის თემატიკა: დაარსება, აღზევება და შემდგომი ტრაგიკული ბედი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებითა და მითებით მოსილი გამოცანაა შუა საუკუნეების ისტორიის. იმის გასაგებად თუ როდის, რატომ, ან ვის მიერ შეიქმნა ტამპლიერების ორდენი, საჭიროა მოკლეთ მიმოვიხილოთ ეპოქა, რომელმაც წარმოშვა ჯვაროსნული მოძრაობა-ევროპის ხალხთა უდიდესი სამხედრო-საკოლონიზაციო მიგრაცია. იგი დაიწყო საღვთო ომის იდეოლოგიის საფუძველზე წმინდა მიწის, უფლის საფლავის მუსლიმთაგან გათავისუფლების საბაბით XI საუკუნის ბოლოს და გაგრძელდა XIII ს-ის 70-იან წლებამდე.

ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობების ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ჯვაროსნული ლაშქრობები. მათზე დაწერილია მრავალი ფუნდამენტური კვლევა და სამეცნიერო სტატია, რომელშიც განხილულია ჯვაროსნული მოძრაობის სხვადასხვა ასპექტი და წარმოადგენს სიღრმისეულად შესწავლილ საკითხს, მაგრამ საკვლევი თემიდან გამომდინარე, მას გვერდს მაინც ვერ ავუვლით.

ჯვაროსნული მოძრაობის ფენომენის გაგება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს, რადგან ლაშქრობების დასაწყებად, იმ ეპოქაში სხვადასხვა მიზეზი და მიზანი არსებობდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროს შორის კონფრონტაცია ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში არ დაწყებულა, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია და საფუძვლები აქვს. ძველთაგანვე სპარსელები, შუა საუკუნეებში კი არაბები ებრძოდნენ ქრისტიანობას და ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ მოწინააღმდეგეების მოქცევას მაჰმადის რჯულზე. თუმცა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე რთული, დაპირისპირებული პერიოდი სწორედ ჯვაროსნული ომ-

ების ეპოქა იყო. ქრისტიანთა საღვთო ომის კონცეფციის თანახმად, ჯვაროსნებს უნდა დაებრუნებინათ წმინდა ადგილები პალესტინაში და დაეცვათ პილიგრიმები მუსლიმთა თავდასხმებისაგან, ამასთანავე მათი მიზანი იყო ქრისტიანების გავლენის გავრცელება აღმოსავლეთში. საგულისხმოა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებაც: ევროპაში, იმ ეპოქაში მძვინვარებდა ეპიდემიები, იყო შიმშილობა, სიღარიბე და დემოგრაფიული აფეთქებაც, რამაც განაპირობა დასავლეთის ეკონომიკური ექსპანსია, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოთ აღნიშნულთაგან რელიგიურთან ერთად პოლიტიკური ფაქტორი იყო, რადგან ქრისტიანების გავლენის სფეროების გავრცობა თავისთავად სწორედ პოლიტიკური არეალის გაფართოებას გულისხმობდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების ინიციატორი იყო კათოლიური ეკლესია. 1095 წელს საფრანგეთში, ქალაქ კლერმონში გამართულ საეკლესიო კრებაზე რომის პაპმა, ურბან II-მ, მოუწოდა ხალხს საღვთო ომისაკენ. ფულხერია შარტრელის ცნობით პაპი ცოდვების მიტევებას შეჰპირდა ომში მონაწილეებს: „თუკი ვინმე, იქ გამგზავრებული, სიცოცხლეს დაასრულებს სიკვდილით, იქნება იგი ხმელეთზე, თუ ზღვაში, მებრძოლი ურწმუნოების წინააღმდეგ, ამიერიდან გათავისუფლდება ცოდვებისაგან. მე ამას ვპირდები მათ, ვინც გაემგზავრება ლაშქრობაში“ (Перну 2001 : 32).

ბერ რობერტის გადმოცემის თანახმად, პაპის მიმართვაში გამოიკვეთა სხვა მოტივაციაც. „იქ, აღმოსავლეთში, იქაურ მიწას თაფლი და რძე სდის, იერუსალიმი არის დედამიწის ჭიპი… მეორე სამოთხე... ვინც აქ მწუხარე და ღარიბია, იქ იქნება მხიარული და მდიდარი! “(Заборов 1960 : 41).

ურბან II-ის სიტყვებმა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე და საღვთო ომის მოწოდებამ დასავლეთ ევროპაშიც უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. საკუთარი კეთილდღეობის ძიების სურვილით თუ რელიგიური სულისკვეთებით ანთებულმა ხალხმა სწრაფად დაიწყო მზადება ჯვაროსნული ლაშქრობისათვის.„ღმერთს ასე სწადია“(Deus Le Wolt),- ამ დევიზით და ტანსაცმელზე დაკერებული წითელი ჯვრით, რომელიც ქრისტიანობისა და გამარჯვების სიმბოლო იყო მიდიოდნენ ჯვაროსნები წმინდა მიწაზე.

1096 წელს დაიწყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა. იერუსალიმის გასათავისუფლებლად მიმავალმა ევროპელებმა მრავალი ტერიტორია დაიპყრეს და მათზე ჯვაროსნული სახელმწიფოები დააარსეს. მათ პირველად დააფუძნეს ედესის საგრაფო კილიკიის სომხეთში, შემდგომ ანტიოქიის სამთავრო სირიაში და ტრიპოლის საგ-

რაფო, ხოლო 1099 წელს იერუსალიმის სამეფო. იერუსალიმის მეფედ ჯვაროსნებმა აირჩიეს ლოთარინგიის ჰერცოგი გოდფრუა (გოტფრიდ) ბულონელი, მაგრამ მას არ უნდოდა მეფის გვირგვინი ეტარებინა იქ, სადაც მაცხოვარმა ეკლის გვირგვინი დაიდგა. მას ეწოდა „ქრისტეს საფლავის დამცველი“ (Осокин 2003 : 480). „გოდფრუას არჩევა განაპირობა მისმა პირადმა თვისებებმა: სიმამაცემ, გამოცდილებამ, მოქნილობამ. გოდფრუა იყო ქრისტიანული იდეალიზმის გამტარებელი“ (ხუბაშვილი 2003 : 260-261).

იერუსალიმის სამეფოს ტერიტორია მოიცავდა მთელ პალესტინასა და სამხრეთ სირიას. ის მიიჩნეოდა მთავარ სახელმწიფოდ ახლად დაარსებულ ჯვაროსნულ სამეფოებს შორის თუმცა, მხოლოდ ფორმალურად, რადგან რეალურად ყველა სამეფოს მმართველი აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოქმედებდა.

ჯვაროსნულ სახელმწიფოებში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სუფევდა. ჯვაროსანი მმართველები არ მოქმედებდნენ შეთანხმებულად. მდგომარეობას ართულებდა მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელეც, ამას თან დაერთო პილიგრიმებზე მაჰმადიანებისა და ყაჩაღების თავდასხმები. ჯვაროსნებს სერიოზული პრობლემები გაუჩნდათ. არსებულმა რთულმა რეალობამ წარმოშვა იმის აუცილებლობა, რომ შექმნილიყო მუდმივმოქმედი სამხედრო ორგანიზაციები, რომლებიც წმინდა მიწაზე დაიცავდნენ მოსახლეობისა თუ მომლოცველთა ინტერესებს, შექმნიდნენ სტაბილურ გარემოს და დაეხმარებოდნენ ჯვაროსნებს სახელმწიფოების შენარჩუნებაში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სამხედრო-სასულიერო ორდენები.

ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში დაარსდა სამი სასულიერო-რაინდული ორდენი: 1) იოანიტების, ანუ ჰოსპიტალიერების, 2) ტამპლიერებისა და 3)ტევტონების.

იერუსალიმის სამეფოში ევროპიდან მრავალი პილიგრიმი გაეშურა. გზა ძალიან სახიფათო და დამღლელი იყო. 1099 წელს ფრანგი რაინდების ჯგუფმა ჟერარ დე მარტიგის ხელმძღვანელობით მომლოცველთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად შექმნა რელიგიური კონგრეგაცია, რომლის წევრები სნეულ პილიგრიმებსა და დაჭრილ მებრძოლებს უვლიდნენ. მათ თავშესაფარს, წმინდა იოანეს ჰოსპიტალს უწოდებდნენ. ამიტომაც ორდენის წევრებს ჰოსპიტალიერები დაერქვათ. ჰოსპიტალიერებმა მფარველად აირჩიეს წმინდა იოანე ნათლისმცემელი. აქედან წარმოსდგა მათი მეორე სახელწოდება იოანიტები.1113 წელს პაპმა პასხალიუს II-მ დაამტკიცა ჰოსპიტალიერთა ორდენის წესდება. მათ დადებული ჰქონდათ სამი აღთქმა: უპოვრობის, მორჩილებისა და უბიწოების. იოანიტებს ემოსათ წითელი მოსასხამი თეთრი ჯვრით.

მეორე სამხედრო-სასულიერო ორდენი—ტევტონების, უფრო სწორად, ქრონოლოგიურად იგი მესამე იყო, III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, 1198 წელს შეიქმნა. იგი ადრე იოანიტების ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენდა. ტევტონების წინამორბედად მიჩნეულია გერმანელი რაინდებისათვის შექმნილი ჰოსპიტალი. ორდენის სახელწოდება განსაზღვრა მისმა ეროვნულმა შემადგენლობამ. მასში უმთავრესად გერმანელები იყვნენ გაერთიანებულნი. 1199 წელს პაპმა ინოკენტუს III-მ დაამტკიცა ტევტონთა ორდენის წესდება. მათ ემოსათ თეთრი მოსასხამი შავი ჯვრით.

ამ ორდენებს შორის, ყველაზე უფრო ცნობილად, ძლევამოსილად, რომანტიკულად და ტრაგიკულად შეიძლება მივიჩნიოთ ტამპლიერების ორდენი, რომელიც მემატიანეების გიიომ ტირელისა და ჟაკ დე ვიტრის ცნობებით შეიქმნა იერუსალიმში 1118-1119 წლებში. იგი დააარსა ფრანგმა რაინდმა ჰიუგ დე პეინმა (Hugues de Payns). თავდაპირველად ორდენი შედგებოდა ცხრა ფრანგი რაინდისაგან, რომელთა მიზანი იყო უფლის საფლავისაკენ მიმავალ მომლოცველთა უსაფრთხოების დაცვა, რაც ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენდა ჯვაროსნებისათვის. ჰიუგ დე პეინმა ორდენის დაარსების წინადადებითა და სამოქმედო გეგმით მიმართა იერუსალიმის მეფეს ბოდუენ II-სა (ბოლდუინ II ) და პატრიარქს. მათ ტამპლიერთა მისიის შესახებ წინადადება მოიწონეს. უცნობია იყო თუ არა მაშინდელი პაპი კალისტუს II ტამპლიერების ორდენის დაარსების ინიციატორი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეტაძრეთა ორგანიზაცია დააფუძნა იერუსალიმის პატრიარქმა: „პირველი საქმე, რომლის გაკეთება მათ დაავალეს და მიუთითეს ცოდვების გამოსასყიდად, იყო ქურდებისა და ყაჩაღებისგან, იმ გზების დაცვა, სადაც მომლოცველები გაივლიდნენ. მონანიების ასეთი უფლება მისცა მათ პატრიარქმა და ეპისკოპოსმა“ (Мельвиль 2003: 38).

ტამპლიერებმა მფარველ წმინდანად აირჩიეს ღვთისმშობელი. მათ იერუსალიმის პატრიარქის წინაშე დადეს მორჩილების, უბიწოებისა და უპოვრობის აღთქმა და ფიცი, რომ დაიცავდნენ უფლის საფლავს და პილიგრიმებს. ორდენში გაწევრიანების წინ ყველა შემსვლელი წარმოთქვამდა ფიცს: „მე, მეტაძრეთა ორდენის რაინდი, აღვუთქვამ ჩემს ღმერთს, იესო ქრისტეს, მის ვიკარს, სუვერენ პაპს, მის მონაცვლეებს მორჩილებასა და ერთგულებას; ვფიცავ, არა მარტო სიტყვით, არამედ იარაღით, მთელი ჩემი ძალით დავიცავ რწმენის სიმბოლოებს, შვიდ საიდუმლოს…ვპირდები, აგრეთვე მორჩილებას ორდენის დიდ მაგისტრს, რომ ვიქნები ისეთი მორჩილი, როგორც მოითხოვს წესდება...ვფიცავ, ყველა შემთხვევაში, როცა იქნება საჭიროება გადავცურავ

ზღვას, გავემგზავრები ბრძოლაში; დავეხმარები ურწმუნო მეფეებისა და თავადების წინააღმდეგ ომში; ვფიცავ,არასოდეს გავექცევი მტრებს, პირიქით, იმ შემთხვევაში თუ ისინი იქნებიან ურწმუნოები შევხვდები მათ პირისპირ“ (Захаров, Чибисов 2009 : 124).

ჰიუგ დე პეინს და მისი ჯგუფის წევრებს წმინდა მიწაზე არაფერი გააჩნდათ, არც საცხოვრებელი, არც მიწა, მაგრამ მათი მფარველი მალევე გახდა იერუსალიმის მეფე ბოდუენ II[1](1118-1131), რომელმაც მისცა რაინდებს თავისი სასახლის პალატები (ალ - აქსას მეჩეთის მხარე). ამავე ადგილას ადრე ყოფილა სოლომონ მეფის ტაძარი, რამაც მათი ორგანიზაციის სახელწოდება განსაზღვრა. ფრანგულად Temple ნიშნავს ტაძარს, სწორედ აქედან წარმოსდგება მათი სახელი: ტაძრის რაინდები ანუ ტამპლიერები.ოფ-იციალურად, ორგანიზაციის პირველი სახელწოდება იყო ქრისტესა და სოლომონის ტაძრის ღარიბ რაინდთა ორდენი. მკვლევრები გვთავაზობენ სხვა სახელებსაც, მაგა-ლითად, საიდუმლო რაინდობა ქრისტესი და სოლომონის ტაძრის. ევროპაში კი-ისი-ინი ცნობილნი იყვნენ, როგორც მეტაძრეები. მათ მოიხსენიებენ აგრეთვე, როგორც „ქრისტეს მილიციას“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წმინდა მიწის დაკარგვამდე ტამპლიერები სოლომონის ტაძარს თვლიდნენ თავიანთ მთავარ სახლად. იმ ეპოქის მოგზაურმა იოანე ვიურცბუ-რგელმა დაგვიტოვა საინტერესო ცნობები სოლომონის ტაძრის შესახებ. „იერუსალი-მის კედლებსა და ოქროს კარიბჭეს შორის მდებარეობს ტაძარი. აქ არის სივრცე, რომელიც სიგრძით გაფრენილი ისრის სიმაღლეა, სიგანით კი სანამდის ქვას გაისვრი. აქედან მიდიან ამ ტაძართან ... პორტალიდან მარცხნივ არის სოლომონის ტაძარი, სა-დაც ბინადრობენ ტამპლიერები. მიწაყრილებისაგან გაკეთებულ საფეხურებს, აჰყავ-ხარ უფლის ტაძარში, სადაც რაინდები დასეირნობენ დასვენების საათებში. ეს ტაძარი არის ქალაქი ქალაქში და ციხე-სიმაგრე ციხე-სიმაგრეში“(Мельвиль 2003 : 64). იოანე ვიურცბურგელი განსაკუთრებით მოიხიბლა იმ უზარმაზარი თავლებით, რო-მლებიც მან დაათვალიერა. იგი წერს: „ამ ტაძარში არის სასახლე, რომელზეც ამბობენ, რომ აიგო სოლომონისათვის. ამ სასახლეში შეგიძლიათ ნახოთ უდიდესი, იმხელა თა-ვლები, რომ იქ შესაძლებელია მოათავსო ორი ათასი ცხენი, ან 1500 აქლემი. მეტაძრე-თა ორდენის რაინდებს სასახლეში აქვთ ბევრი ნაგებობა ფართო, ვრცელი, ახალი, შე-სანიშნავი ეკლესიით, რომელიც არ იყო დამთავრებული, როცა იქ ვიმყოფებოდი. რო-

[1] ბოდუენ II ის სიძემ, ფულკ ანჟუელმა დაუტოვა ტამპლიერებს მთლიანად თავისი საცხოვრებელი, როცა ის დავითის კოშკში გადასახლდა.

გორც მეტაძრეთა ორდენის ეკლესიების უმრავლესობა, ესეც მიძღვნილია ღვთისმშობლისადმი. ტამპლიერები აცხადებენ: „ღვთისმშობელი იყო საწყისი ჩვენი ორდენის, მას მივაგებთ პატივს ჩვენი სიცოცხლითა და ორდენის დასასრულით, როცა ღმერთი ინებებს მის შეწყვეტას“ (Мельвиль 2003 : 65).

ტამპლიერების ორდენის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახე-სიმბოლოებს (რიცხვებს), რომელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამყაროში არაფერია შემთხვევითი და მკვეთრად წარმოგვიჩენს ორდენის ისტორიულ პერიპეტიებს. ტამპლიერებთან დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს რიცხვს სამს, რომელიც არჩეულია წმინდა სამების მიხედვით. ეს რიცხვი ასრულებს დიდ როლს ისევე, როგორც სამის კუბი - ცხრა. როგორც აღვნიშნეთ, ორდენის წევრებს დადებული ჰქონდათ სამი აღთქმა: უბიწო ების, უპოვრობისა და მორჩილების.

ჰიუგ დე პეინმა დაარსებისთანავე დაუდო საფუძველი ორდენში ქრისტიანული იდეალებისადმი ერთგულებას. შემთხვევითი არ არის, რომ ცხრა რაინდი აარსებს ახალ ორგანიზაციას. „თეოლოგიური სიბრძნით სამყარო ცხრა სფეროს, ცხრა ცას მოიცავს. თითოეულ საფეხურს ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა და სიწმინდის მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ხარისხი აქვს. ეს ცხრა საფეხურია: 1. მამა ღმერთი, 2. ძე ღმერთი, 3. სულიწმინდა, 4. ანგელოზნი, 5. მამამთავარნი, 6. მოციქულნი, 7. მოწამენი, 8. აღმსარებელნი და მართალნი, 9. ჩვენ“ (მურღულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე 1992: 86).

ცნობილია რომ, ჰიუგ დე პეინი ცხრა წლის განმავლობაში არავის იღებდა ორდენში. ტამპლიერები ცხრა წელი ხელმძღვანელობდნენ წმინდა ავგუსტინეს წესდებით, იმოსებოდნენ ჩვეულებრივი საერო ტანსაცმლით და ცხოვრობდნენ მკაცრი მონაზვნური წესებით. ტამპლიერი უპირველესად იყო ბერი, შემდეგ - მეომარი და მათი არსებობა ეფუძნებოდა პრინციპს: ილოცე და იმუშავე. აქედან გამომდინარე, ტამპლიერებთან აშკარაა როგორც რაინდული, ასევე ბერულ-განდეგილური პრინციპების ერთგვარი სინთეზი.

1119 წლის პასექის კვირას, იერუსალიმის კედლებთან, 700 პილიგრიმს თავს დაესხნენ სარაცინები: მათ 300 მომლოცველი იქვე დახოცეს, 60 კი ტყვედ ჩაიგდეს. ძალიან სახიფათო შეიქნა წმინდა მიწაზე პილიგრიმთა მოგზაურობა.1120 წელს ნაბლუსში, სამეფო საბჭოზე შეიკრიბნენ საერო და სასულიერო იერარქები, სადაც განიხილეს, მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტამპლიერების საქმიანობა. ისინი იმ დროი-

სათვის მომლოცველებს იცავდნენ განსაკუთრებით საშიშ გზაზე, საპორტო ქალაქ იაფიდან იერუსალიმამდე.

თავდაპირველად ტამპლიერები ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ. ორდენის დამაარსებელ რაინდებს ჰყავდათ ერთი ცხენი. მოგვიანებით ალბათ, ამ ფაქტმა განაპირობა ორდენის ბეჭდის სიმბოლოც, რომელზეც გამოსახული იყო ერთ ცხენზე მჯდომი რაინდი და პილიგრიმი, რომელიც გამოხატავდა ძმობასაც და მატერიალურ სიდუხჭირესაც. ამიტომაც, ტამპლიერებს „ტაძრის ღატაკ რაინდებსაც“ უწოდებდნენ. „ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად, შუა საუკუნეებში სიღარიბეს გაიაზრებდნენ, როგორც ღვთისათვის სასურველ მდგომარეობას (აქედანაა გამოთქმა „ღვთის გლახა“) თავად ღარიბს კი- ღმერთის რჩეულად, ვინც მიწიერ კეთილდღეობას ზეციური კეთილდღეობა ამჯობინა“ (იასტრებიცკაია 1981: 156).

ორდენის დაარსებისა და ტამპლიერების არსებობის საწყის პერიოდზე ცნობები მწირია. ცნობილია ის, რომ მათ ბოდუენ II-მ მისცა თავისი სასახლის ნაწილი და მრავალი ბენეფიციუმი, აგრეთვე ჰიუგ დე პეინს გაატანა სარეკომენდაციო წერილი ცისტერციანელთა მონასტრის წინამძღვართან, ბერნარ კლერვოელთან (მის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ), რათა მას დახმარება აღმოეჩინა ახალი ორდენისათვის. ტამპლიერები, ცხრა წლის განმავლობაში არავის იღებდნენ ორდენში და აცხადებდნენ, რომ ისინი, მარტონი დაიცავდნენ მომლოცველებს. ეს არის ოფიციალური ცნობები. არაფერია ცნობილი როგორ ასრულებდნენ საწყის ეტაპზე ტამპლიერები თავიანთ რთულ მისიას, რაც ალბათ შეუძლებელიც იყო მათი მცირერიცხოვნობის გამო, თუმცა, ძალიან მალე გაითქვეს სახელი, როგორც წმინდა მიწაზე, ასევე ევროპაში.

ერლებერტ შალონელი წერდა: „ჩვენ არ გვჯერა, რომ მორწმუნეებმა არ იცოდნენ, როგორი ნუგეში და თანაგრძნობა მოაქვთ მეტაძრეებს ღარიბებისთვის, მომლოცველებისთვის, მათხოვრებისთვის და ყველა იმათთვის, ვინც მოისურვებს უფლის საფლავისაკენ გამგზავრებას“. „ტამპლიერები თავს ევლებოდნენ მომლოცველებს ისე, როგორც დედა თავის შვილებს“-ასე იტყვის ორი საუკუნის შემდეგ ჟაკ დე მოლე“[1] (Мельвиль 2003 : 52).

მკვლევართა ნაწილს (ბაიჯენტი, ლეი, ლიკნოლნი, პეჩნიკოვი, გოპაჩენკო, ნაითი, ლომასი) უცნაურად მიაჩნია ის ფაქტი, რომ „ბალდუინ II-ის კაპელანი ფულხერია შა-

[1] ტამპლიერების ორდენის უკანასკნელი დიდი მაგისტრი

რტრელი, რომელიც აღწერდა იმ პერიოდის ყველა მოვლენას არსად ახსენებს ტამპლ-იერებს თავის ქრონიკებში“( Knight, Lomas 1998 : 28). ასევე დუმან მათზე სხვა ქრონის-ტებიც. ცხადია, მხოლოდ ის, რომ არ არსებობს გიიომ ტირელსა და ჟაკ დე ვიტრის გარდა სხვა მემატიანეებთან რაიმე ცნობა ტამპლიერების ორდენის დაარსებაზე. მხოლოდ XX საუკუნეში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ხდება ამ საკითხის შესწავლა და ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა.

შეუსაბამობა იპოვეს ორდენის დაარსების თარიღთან დაკავშირებით მკვლევრე-ბმა (ბაიჯენტი, ლეი, ლიკნოლნი,) ტამპლიერთა ქრონისტების; გიიომ ტირელისა და ჟაკ დე ვიტრის ცნობებში, რომლებიც ორდენის შექმნის თარიღად 1118 წელს ასახელ-ებენ. ტირელის გადმოცემით ცხრა წლის განმავლობაში ორდენში არავინ მიუღიათ. ოფიციალური ცნობების თანახმად კი 1120 წელს გრაფი ფულკ V ანჟუელი[1] მომლოც-ველად წავიდა წმინდა მიწაზე. მან დადებითად შეაფასა ტამპლიერების საქმიანობა პალესტინაში, შეუერთდა მათ და სოლიდური თანხითაც დაეხმარა ორდენს. სამშობ-ლოში დაბრუნებული გრაფი მოუწოდებდა სხვა სენიორებსაც მიებაძათ მისთვის.

1104 წელს საფრანგეთიდან იერუსალიმში ჩავიდა ძალიან მდიდარი და ღვთის-მოსავი გრაფი ჰუგო შამპანელი. აღსანიშნავია, რომ მისი ვასალი იყო ტამპლიერების ორდენის დამაარსებელი ჰიუგ დე პეინი. არ არის ცნობილი ახლდა თუ არა იგი თა-ვის სენიორს პირველ მოგზაურობაში. თუმცა, არსებობს ვერსია რომ პეინი იერუსალ-იმში გოდფრუა ბულონელის ლაშქარში მსახურობდა. ამასთან ირკვევა, რომ „იგი და-ქორწინებული იყო ნორმანული წარმოშობის შოტლანდიელ კატერინა დე სენტ კლე-რზე და პეინმა დაარსა ტამპლიერთა პირველი პრეცეპტორია იერუსალიმის გარეთ, წმინდა კლერების საგვარეულო მიწაზე შოტლანდიაში“ (Gest 2007: 303). ჰუგო შამპან-ელი 1114 წელს მეორედ, ხოლო 1124 წელს მესამედ დაბრუნდა იერუსალიმში და გახ-და ტამპლიერი. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, მკვლევრები; ბაიჯენტი, ლეი და ლინკოლნი ასკვნიან, რომ თუ ფულკ ანჟუელი ორდენში გაწევრიანებულა 1120 წელს და თუ ცხრა წლის განმავლობაში არავინ მიუღიათ წევრად, მაშინ ორდენი და-არსებულა არა 1118, არამედ 1111 წელს. ამას მოწმობს შარტრელი ეპისკოპოსის წერი-ლი გრაფ შამპანელისადმი, რომელიც 1114 წლით თარიღდება: „ჩვენ გავიგეთ, რომ იერუსალიმში წასვლამდე თქვენ გამოთქვით სურვილი შეერთებოდით „ქრის-

[1] ფულკ V ანჟუელი - ანჟუს გრაფი 1109-1129 და იერუსალიმის მეფე 1131-1143 წლებში.

ტესათვის მებრძოლთ“, რომ თქვენ გსურდათ გემსახურათ ღმერთის ამ ჯარისკაცთა შორის“...როგორც ცნობილია, ტერმინი „ქრისტესათვის მებრძოლნი“, ოფიციალურად ტამპლიერებს ეწოდებოდათ თავიანთი არსებობის პირველ ეტაპზე და შესაბამისად ეპისკოპოსი სწორედ მათზე მიანიშნებდა. მით უმეტეს, რომ ის შემდეგ წერს უბიწოების აღთქმაზე, რომელიც გამომდინარეობდა გრაფის გადაწყვეტილებიდან, რაც სულაც არ მოეთხოვებოდა ჩვეულებრივ მებრძოლ ჯვაროსანს“ (Байджент, Лей, Линколън 1997 : 216).

XX საუკუნეში გამოქვეყნებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით თანამედროვე ისტორიოგრაფიაში წარმოიშვა ვარაუდი, რომ ტამპლიერების ორდენის ზურგსუკან მოქმედებდა (გარკვეულ პერიოდამდე) სხვა ორდენი, რომელმაც დააარსა იგი და ეს იყო სიონის ორდენი, რომლის შექმნა მიეწერება გოდფრუა ბულონელს. სიონის ორდენმა შეიცვალა სახელი და დღევანდელ ყაიდაზე სიონის  თემი ეწოდა (შენგელია 2009: 274).

„საიდუმლო დოსიეს“ ტექსტის  მიხედვით გოდფრუა ბულონელმა 1090 წელს, ცხრა წლით ადრე იერუსალიმის აღებამდე დაარსა სიონის  ორდენი, მაშინ როცა „თემის დოკუმენტებში“ იგი 1099 წლითაა დათარიღებული. ამ ტექსტის თანახმად გოდფრუას ძმა, ბოდუენი „ვალდებული იყო გვირგვინი მიეღო“ იმ ორდენისა, რომლის ადგილსამყოფელი იყო ნოტრ-დამ-დიუ-მონ-დე-სიონის სააბატო იერუსალიმში (Байджент, Лей, Линколън 1997: 230).

1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ გოდფრუა ბულონელმა სიონის მთაზე დააარსა ღვთისმშობლის სააბატო (ნოტრ-დამ-დიუ-მონ-დე-სიონი), რომელშიც დამკვიდრდა ორდენი, რომელიც იმავე სახელს  ატარებდა და შესაძლოა  იმავე  პირებისაგან შედგებოდა, რომელთაც გოდფრუას ტახტის დაკავება შესთავაზეს (Байджент, Лей, Линколън 1997: 237).

„საიდუმლო დოსიეს“ ტექსტში აღნიშნულია, რომ 1117 წლის მარტში ბოდუენ I, „რომელიც დავალებული იყო სიონის ორდენისგან თავის ტახტით, „იძულებული“ გახდა მოლაპარაკებები გაემართა სენ-ლეონარ-დ-აკრში მეტაძრეთა ორდენის დამტკიცებაზე. ეს ადგილი იყო სიონის ორდენის ერთ-ერთი საკუთრება. უცნობია რატომ გახდა ბოდუენ I იძულებული დაეწყო ეს მოლაპარაკებები. როგორც ჩანს, სიონის ორდენი იყო ყოვლისშემძლე, გავლენიანი ორგანიზაცია, რომელსაც უფლება ჰქონდა არა მარტო ტახტი გაეჩუქებინა, არამედ ეიძულებინა მეფე თავი დაეხარა ორდენის სურ-

ვილების წინაშე. 1117 წელს ბოდუენ I მძიმედ  იყო ავად. იგი შესაძლოა  იძულებული გახდა, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან სიონის ორდენის ზეწოლის გამო, მიენიჭებინა ტამპლიერებისთვის ოფიციალური სტატუსი, რათა უზრუნველეყო მათი ლეგალური არსებობა“ (Байджент, Лей, Линколън 1997 :235- 236).

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე მკვლევრები (ბაიჯენტი, ლეი, ლინკოლნი) ვარაუდობენ,  რომ 1114 წელს უკვე არსებობენ ტამპლიერები, 1117 წელს მოლაპარაკება მიმდინარეობს ორდენის დაფუძნებაზე, ხოლო მისი ოფიციალური არსებობა მომდევნო წლით თარიღდება. რაც შეეხება სიონის ორდენისა და ტამპლიერების ურთიერთკავშირს, აღმოჩენილი იქნა სიგელი, ხელმოწერილი პრიორ არნალდუსის მიერ, დათარიღებული 1116 წლის 19 ივლისით, სადაც ამ პრიორის სახელი ფიგურირებს ჰიუგ დე პეინის, ორდენის პირველი დიდი მაგისტრის  სახელის გვერდით (Байджент, Лей, Линколън 1997 :  232 -237).

არსებობს კიდევ ერთი მტკიცებულება ამ ორი ორდენის ურთიერთკავშირის. ტამპლიერების ერთ-ერთი ცნობილი მაგისტრის, ბერტრან დე ბლაშფორის ცოლის, მარი დე ბლანშფორის საფლავის ქვაზე იყო წარწერა -„Prieure le Sion“ (სიონის კოშკი) (Байджент, Лей, Линколън 1997 :229).

ტამპლიერების ისტორია გარემოცულია მითებით. არსებობს ვერსია, რომ ორდენი ფლობდა იერუსალიმის ტაძრიდან ტიტუს ლივიუსის მიერ ჩვ.წ.-აღ-მდე 70 წელს გატაცებულ სოლომონ მეფის საგანძურს და რომ მათ შემთხვევით არ მიუღიათ საცხოვრებლად სოლომონის ტაძრის ის ნაწილი, რომლის ქვემოთ, მდებარეობდა ფართო მიწისქვეშეთი, ცნობილი  სოლომონის თავლების სახელით. ეს შთამბეჭდავი ნაგებობა სიგრძით  83 მ. და სიგანით 60 მ. შედგება 13 თაღისგან, რომელსაც ამაგრებს 83 ბოძი, რომელთაგან ზოგიერთი მონოლითურია. სვეტების შემადგენელი მასალა ნამდვილად ძალიან  ძველია და ამიტომ ძნელდება იმის მტკიცება, სოლომონის ქმნილებაა ეს თუ ჰეროდეს. ეჭვს არ იწვევს ის, რომ ეს მიწისქვეშეთი გამოყენებული იყო თავლებად, რადგანაც ჯერ კიდევ ჩანს რგოლები, რომლებზედაც  ცხენებს აბამდნენ (Мельвиль 2003 : 345).

ჯონსტოუნის ცნობით, ბრიტანული საინჟინრო ჯარების ლეიტენატ უორენის 1867 წელს გაკეთებული აღმოჩენის წყალობით ვიცით, რომ დაფუძნებიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში ორდენის წევრებმა სოლომონის ტაძრის ნანგრევები გათხარეს და ლეგენდის თანახმად, უდიდესი სულიერი თუ მატერიალური ღირებულე-

ბის საგანძური აღმოაჩინეს (ჯონსტოუნი 2012 : 19). საინტერესო ფაქტია, თუმცა დღემდე უცნობია რა აღმოაჩინეს ტამპლიერებმა.

ტამპლიერებმა იერუსალიმში გამოჩენისთანვე მიიპყრეს ხელისუფალთა ყურადღება.ისინი იცავდნენ მომლოცველებს და ამასთანავე მოქმედებდნენ, როგორც დიპლომატები. 1127 წელს ბოდუენ II-მ ჰიუგ დე პეინი და გიიომ ბურელი დიპლომატიური მისიით ევროპაში გააგზავნა. მათ ევალებოდათ მოლაპარაკებოდნენ გრაფ ფულკ ანჟუელს ბოლდუინ II-ის ქალიშვილ მელისენდაზე დაქორწინებაზე და დამასკოზე გალაშქრებაზე (Barber 1994: 11-12). ასევე უნდა შეხვედროდნენ რომის პაპს. დაუზუსტებელია რამდენი იყვნენ რიცხობრივად ამ დროს ტამპლიერები, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად ჰიუგ დე პეინი რომ აირჩია მეფემ, ადასტურებს, ორდენი ამ დროს უკვე იყო საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი. ტამპლიერების პირველი ხელმძღვანელისათვის ევროპაში მოგზაურობა აღმოჩნდა ძალიან წარმატებული. მან შეასრულა მეფის თხოვნა, ასევე ორდენმა გაავრცელა თავისი გავლენა ევროპის მოწინავე ქვეყნებზე. პეინი 1128 წელს გაემგზავრა ინგლისში. იგი დიდი პატივით მიიღო და გულუხვად დაასაჩუქრა ინგლისის მეფე ჰენრი I-მა. მმართველები და საერო დიდებულები დიდად სწყალობდნენ ორდენს. მათ ქრისტიანული სამყაროს ყველა კუთხიდან უძღვნიდნენ უხვ შესაწირს: მიწებს, მამულებს, ციხე-სიმაგრეებს, ძვირფასეულობას. ჰიუგ დე პეინმა მთელი თავისი ქონება გადასცა ორდენს. ასეთივე ვალდებულება ჰქონდა ყველას, ვინც გახდებოდა ტამპლიერების ორდენის წევრი.

XII საუკუნეში ორდენი ფლობდა მრავალ მიწას სხვადასხვა ქვეყანაში, თავდაპირველად: იერუსალიმში, ტრიპოლში, ანტიოქიაში, კვიპროსში, შემდეგ პორტუგალიაში, კასტილიაში, ლეონში, არაგონში, საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, ფლანდრიაში, ნიდერლანდებში, ავსტრიაში, გერმანიაში, ირლანდიაში, იტალიასა და სიცილიაში.

ტამპლიერების ორდენს ენიჭებოდა დიდი პრივილეგიები. თავისი არსებობის დასაწყისშივე ორდენი საფრანგეთში გაათავისუფლეს ყველა ფეოდალური ვალდებულებისა და გადასახადისაგან. მათ ჰქონდათ თევზჭერის, ნადირობის, საძოვრებით სარგებლობის, ტყის გაკაფვისა და ვაჭრობის უფლება. მალე ტამპლიერებმა შექმნეს საკუთარი ფლოტიც. ისინი ევროპის ყველა დიდ ქვეყანაში აარსებდნენ ფილიალებს, რომლებიც ექვემდებარებოდა იერუსალიმის მთავარ სახლს. პარიზის, ლონდონისა და ესპანეთის სამეფო კარებზე ტამპლიერებს ეკავათ ყველაზე პრივილეგირებული

თანამდებობები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტამპლიერების ორდენი დაარსებისთანავე მოექცა ყურადღების ცენტრში, რაზედაც საწყის ეტაპზე იზრუნა შუა საუკუნეების ერთ-ერთმა უდიდესმა თეოლოგმა, ორთოდოქსული მისტიციზმის ფუძემდებელმა წმინდა ბერნარ კლერვოელმა (1090-1153).

„თუკი ოდესმე არსებობდა ვინმე ღვთისმოშიში და ღვთისნიერი ბერი, ეს იქნებოდა წმინდა ბერნარი, რომელსაც მე მთელ მსოფლიოში ყველა მღვდელზე და ბერზე მაღლა ვაყენებ“-(Андреев 2003 : 56)- წერდა მარტინ ლუთერი ბერნარ კლერვოელის შესახებ. ის იყო წარჩინებული ბურგუნდიული გვარის წარმომადგენელი, მაგრამ მან უარი თქვა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე და მთელი ცხოვრება მიუძღვნა კათოლიკური ეკლესიის დოგმების აბსოლუტური ჭეშმარიტების იდეის დაცვას, თეოლოგიურ ნაშრომებსა და ერესთან ბრძოლას. ბერნარი იყო ცისტერციანული ორდენის წევრი. მან კლერვოში დააარსა მონასტერი და გახდა მისი აბატი. ის იყო აგრეთვე მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებელი და იდეოლოგი. მას ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი. ბერნარის აზრს ითვალისწინებდნენ როგორც სასულიერო იერარქები, ასევე ევროპის სამეფოთა ხელისუფალნიც. ის არ ესწრაფვოდა მაღალი თანამდებობის დაკავებას და ბოლომდე კლერვოს აბატად დარჩა. „თანამედროვეებმა მას საპატიო ტიტული „Doctor mlifluus“ „თაფლმწვეთავი დოქტორი“ მიანიჭეს. ამ კაცის მოღვაწეობამ, რომელიც განცვიფრებს თავისი უჩვეულო მასშტაბურობით და იმ უდიდესმა გავლენამ, რაც მან მოახდინა იმდროინდელ საეკლესიო ცხოვრებასა და ისტორიულ მოვლენებზედაც, უკვდავყვეს მისი სახელი ეკლესიის ისტორიაში“ (შტეკლი 1994: 122). „მას ეკლესიის უკანასკნელი მამა უწოდეს“( Андреев 2003 : 58)კათოლიკურმა ეკლესიამ გარდაცვალებიდან ოცდაერთი წლის შემდეგ, პაპ ალექსანდრე III-ის დროს, 1174 წელს, ბერნარ კლერვოელი წმინდანად შერაცხა.

როგორც აღვნიშნეთ, ბოდუენ II-მ ჰიუგ დე პეიენს სარეკომენდაციო წერილი გაატანა ბერნარ კლერვოელთან, რომელშიც თხოვდა ეშუამდგომლა ტამპლიერებისათვის წმინდა ტახტის წინაშე, რათა ოფიციალურად დაეფუძნებინათ ახალი ორგანიზაცია. დღეს რთულია იმის მტკიცება, თუ რამდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერნარი ორდენის დაარსებასთან, მაგრამ ცნობილია, რომ მან უდიდესი წვლილი შეიტანა ორდენის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და პოპულარიზაციის საქმეში.

ბერნარმა პატივისცემით მიიღო ტამპლიერები. მან კარგად იცოდა, რომ სახიფათო სიტუაციაში მომლოცველებს იცავდნენ სწორედ მეტაძრეები და მთელი ენერგია

მიმართა მათ დასახმარებლად. იგი კარგად იყო ინფორმირებული ტამპლიერთა მისიის შესახებ, უფრო მეტიც, ბერნარს ნათესაური კავშირი ჰქონდა პირველ მეტაძრეებთან, რამეთუ ორდენის დამაარსებელთა შორის იყო მისი ბიძა, ანდრე დე მონბარი, რომელიც შემდეგში გახდა დიდი მაგისტრი. ისიც საინტერესოა, რომ ჰიუგ დე პეინი წარმოშობით შამპანის საგრაფოდან იყო და შემდეგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ორდენის წევრი გახდა მისი ხელისუფალი, გრაფი შამპანელი, რომელიც იყო ბერნარის ახლო მეგობარი და ალბათ, მასთან ტამპლიერების დამაკავშირებელიც.

არსებობს მოსაზრება, რომ სოლომონ მეფის საგანძურის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ შამპანელ გრაფს და ბერნარ კლერვოელს, შესაძლოა ჰიუგ დე პეინსაც. დღეს ძნელია იმის მტკიცება, რამდენად შეეძლო ბერნარს სცოდნოდა საგანძურის შესახებ რაიმე, თუმცა წერს: „არ არსებობს იმაზე კეთილშობილური საქმე იმათთვის, ვინც აირჩია საომარი ცხოვრება, ვიდრე ის, რომ გაფანტონ ეს ომის მოსურნე ურწმუნონი, უკუაგდონ ეს სიბილწის მსახურნი, რომელთა ოცნება არის წაართვან ქრისტიანთ იერუსალიმში დაფარული განძი, წაბილწონ წმინდა ადგილი და მიიტაცონ ღმერთის ტაძრის მემკვიდრეობა“ (Карсавинъ 1912 : 73). წარმოიშვა ვარაუდი, რომ სწორედ ამიტომ შევიდა ორდენში გრაფი ჰუგო შამპანელი, რომელმაც ბერნარ კლერვოელს მადლიერების გამოსახატავად აჩუქა მიწები და ძვირფასეულობა. შამპანელის ნაჩუქარ მიწაზე აშენდა ცნობილი კლერვოს სააბატო.

ბერნარ კლერვოელმა ტამპლიერებს მიუძღვნა ტრაქტატი „ქება ახალ რაინდებს“ (De Laude novae militiae ad milites Templi), რომლითაც მათი მიზანი გამოაცხადა იდეალურად მთელ საქრისტიანოში. მას სურდა, ორდენი ფართოდ გავრცელებულიყო და შეეძინა სერიოზული მნიშვნელობა. იგი თავის ტრაქტატში აქებდა ტამპლიერების ცხოვრების წესს, მათ ერთგულებას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. ამ ტრაქტატში ბერნარი შეეცადა გაემართლებინა რაინდული ორდენების არსებობა იმით, რომ ერთმანეთს შეუფარდა საომარი ცხოვრება და ღვთისმსახურება. ტამპლიერები ერთდროულად იყვნენ მებრძოლი რაინდებიც და ბერებიც, რომლებიც იცავდნენ სამ აღთქმას. ბერების ომში მონაწილეობა და სისხლისღვრა მან წმინდა ომის ცნებით გაამართლა: „არ არსებობს ისეთი კანონი, - წერდა ბერნარი, - რომელიც უკრძალავს ქრისტიანს ხმლის აღებას... სახარებაში არ წერია: „დაყარეთ იარაღი და უარი თქვით სამხედრო საქმეზეო!“ სახარება კრძალავს უსამართლო ომს, განსაკუთრებით ქრისტიანთა შორის, „აკრძალული იქნებოდა ურწმუნოთა მოკვლაც როგორმე სხვაგვარად, რომ შე-

იძლებოდეს მათი შემოსევების ხელის შეშლა  და მათთვის მორწმუნეთა შევიწროების შესაძლებლობის წართმევა“... დაე, აღმართონ რწმენის შვილებმა ხმალი მტრის წინააღმდეგ! ასე გაამართლა რაინდობა. თვით ქრისტე, „შეიარაღებული არა ხმლით, არამედ მათრახით, რათა გააძევოს ტაძრიდან გამყიდველები“-  არის პირველსახე სოლომონის ტაძრის ადგილზე დაბინავებული  ტამპლიერებისა“ (Карсавинъ 1912: 73).

„გამოჩნდნენ ახალი რაინდები -„ღმერთისთვის მეომარნი“ (Militia Dei). სამი თვისება იყო აუცილებელი ნამდვილი მეომრისთვის : მახვილი მხედველობა, რომ მას მოულოდნელად თავს არ დასხმოდნენ, სისწრაფე და მზადყოფნა ბრძოლისათვის ... ასეთ მეომრებს - ქრისტესათვის ჭეშმარიტ  მებრძოლთ შეუძლიათ საღმრთო საქმისათვის ბრძოლა. დაე, მოკლან მათ მტრები და დაიხოცნონ თვითონაც. მათ არაფრის  ეშინიათ. სახელოვანია ქრისტესათვის სიკვდილი და არ არის დანაშაული სხვების მოკვლა მის გამო. ქრისტეს რაინდი კლავს უცოდველად და კვდება მშვიდი სინდისით...იგი არის ღმერთის მსახური, დამსჯელი ბოროტების და მხსნელი კეთილების. ბოროტის მკვლელი - არ არის ადამიანის მკვლელი, არამედ „ბოროტების  მკვლელია“. იგი არის შურისმაძიებელი, ქრისტეს მსახური და ქრისტიანული მოდგმის დამცველი. „უდიდესი ბედნიერებაა  მოკვდე ღმერთისათვის, ბედნიერია ის, ვინც კვდება ღმერთისთვის!“ ამგვარი მოსაზრებებით გაამართლა ბერნარმა წარმოუდგენელი, შინაგანად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეალები „ქრისტეს რაინდებისა“ (Карсавинъ 1912: 73-74).

რაც შეეხება ორდენის საომარ ტაქტიკასა და სტრატეგიას, ამასთან დაკავშირებით ბერნარი წერდა: „ბრძოლას ისინი იწყებენ არა აჩქარებით, უგუნურად, არამედ სიფრთხილითა და წინასწარხედვით, როგორც ისრაელის ნამდვილი შვილები... მათ არ იციან არავითარი შიში, რაც უნდა ცოტანი იყვნენ ღმერთის დახმარების იმედი აქვთ. ამიტომ ხშირად ერთი რაინდი მიაბრუნებდა გასაქცევად  მთლიანად  ათასს ... ამგვარად, ისინი ერთსა და იმავე  დროს არიან კრავებზე  უფრო წყნარნი და ლომებზე მძვინვარენი, ასე რომ ვყოყმანობ - დავარქვა მათ ბერები თუ რაინდები, მაგრამ ისინი იმსახურებენ ორსავე სახელს, რადგან დაჯილდოებულნი არიან ბერების თავმდაბლობითა და რაინდთა მამაცობით“ (Дельбрюк 1938: 162) .

ბერნარის გავლენითა და დახმარებით ტამპლიერების მოქმედების არეალი მალე გაფართოვდა და ისინი თანდათანობით გახდნენ წმინდა მიწის მტკიცე დამცველები არა მარტო ურწმუნოთაგან, არამედ შინაგანი უწესრიგობისაგანაც. ალბათ, სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი პრივილეგირებულნი. ბერნარ კლერვოელი იერუსალიმის დე-

დოფალ მელისენდას სწერდა: „მე, ჩემი ძვირფასი ბიძის, ანდრესაგან შევიტყვე მეტად სასიკეთო ამბავი, რომ თქვენ ნაზად თავს ევლებით მეტაძრეთა ორდენის ძმებს და თქვენი მეგობრების რიცხვში მიიჩნევთ მათ“(Мельвиль 2003: 53).

როგორც აღვნიშნეთ, ანდრე დე მონბარი იყო ბერნარის ბიძა, რომელთანაც ის მეგობრობდა და ჰქონდა მიმოწერა. ანდრეს სურდა თავიდანვე ტამპლიერების სულიერი მოძღვრები ყოფილიყვნენ მხოლოდ ცისტერციანელები და არავინ სხვა. სწორედ ამიტომ, ცისტერციანელების მონასტრების გვერდით ყოველთვის იყო ტამპლიერების საკომანდოები, რომ დაეცვათ ეს მონასტრები (Каппелетто 2004 : 332-333). არსებობს ვერსია, თითქოს ანდრე დე მონბარი იყო სიონის ორდენის წევრიც. დაზუსტებით ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი 1150 წელს გახდა ტამპლიერთა სენეშალი, ხოლო 1153 წელს დიდი მაგისტრი (Мельвиль 2003: 53).

წმინდა ბერნარის მოსწავლეები იყვნენ პაპები: ინოკენტუს II და ევგენიუს III, რომლებმაც შემდეგში მრავალი პრივილეგიით დააჯილდოვეს მეტაძრეები. 1139 წელს, პაპმა ინოკენტუს II-ემ, კლერვოს სააბატოს ყოფილმა ბერმა ტამპლიერების ორდენს დამოუკიდებლობა მიანიჭა, რაც ბერნარის უდავო დამსახურებას უნდა მივაწეროთ.

ამგვარად, ტამპლიერების ორდენი შეიქმნა იერუსალიმში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში. სავარაუდოა, რომ ტამპლიერების ისტორიოგრაფიაში გავრცელებული დაარსების 1118 წელი, არის ორგანიზაციის ოფიციალურად აღიარების თარიღი. თუმცა, იგი არსებობდა და მოქმედებდა უფრო ადრე, 1114 წლისათვის. ორდენმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება, გაიჩინა მფარველები, გახდა უდიდესი ტერიტორიების მფლობელი და წმინდა მიწის მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, რომლის მიღწევაშიც მეტაძრეებს თავდაპირველად დაეხმარა ბერნარ კლერვოელი, რომელიც შეიქნა მათი ქომაგი და აპოლოგეტი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორდენის ისტორიაში და ტამპლიერების მიზანი გამოაცხადა მთელი ქრისტიანული სამყაროს მთავარ იდეად. შეუფასებელია ბერნარ კლერვოელის დამსახურება ტამპლიერების წინაშე. მან გაუმყარა საფუძველი და ფაქტობრივად დააკანონა ახლად შექმნილი ორდენი, შეუქმნა ცხოვრების იდეალური წესი, მიუძღვნა პანეგრიკი „ქება ახალ რაინდებს“, რომელიც ძვირფას ცნობებს გვაწვდის, არა მხოლოდ ტამპლიერების ისტორიის, არამედ იმდროინდელი იდეოლოგიისა და სოციალური ფენის ფსიქოლოგიის შესწავლისთვის.

## 1.2. ტამპლიერების ორდენის წესდება და სტრუქტურა

ტამპლიერების ორდენის ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ძირითად წყაროებს, რომლებიც დაიწერა ორდენის ქმედითი არსებობის დროს. ამ წყაროებიდან ჩვენ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ტამპლიერების წესდება, რომელსაც მათ წინააღმდეგ გამართული საინკვიზიციო პროცესის მიმდინარეობისას დიდი მონდომებით ანადგურებდნენ საფრანგეთის მეფის ხელქვეითები. თუმცა, წესდების სამი ხელნაწერი მაინც გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. წესდება არის ერთადერთი წყარო, რომელიც გვიხასიათებს ტამპლიერების ორდენის სტრუქტურას, წევრების უფლება-მოვალეობებს, ცხოვრების წესებსა და რელიგიურ მისწრაფებებს.

წესდება მოიძია, რედაქტირება გაუკეთა და 1886 წელს პარიზში გამოაქვეყნა საფრანგეთის ისტორიის საზოგადოების წევრმა ჰენრი დე კიურზონმა.

ტამპლიერების ორდენის წესდება შემუშავდა 1128 წლის 14 იანვარს საეკლესიო კრებაზე ტრუაში, შამპანის საგრაფოში. კრების შესახებ მასალები მწირია. კიურზონის თანახმად, ტრუას საეკლესიო კრების შესახებ ცნობებს გვაწვდის იოანე (ჟან) მიშელი, რომელიც იყო ბერნარ კლერვოელის ხელქვითი. ამის შესახებ ის წესდებაშიც აღნიშნავს: „ჩემი მხრივ, იოანე მიშელი, უფლის წყალობით ამ გვერდების დამწერი, რომელიც ასახავს აღნიშნული კრების დადგენილებას, წარმოვადგენ ბერნარ კლერვოელის სამსახურში მყოფსა და მისდამი დაქვემდებარებულ პირს“ (Gurzon 1886 : 15-16).

მიშელი მოგვითხრობს, რომ კრების მოწვევა ბრძანა პაპის კარდინალმა - ლეგატმა მათე ალბანელმა. შეკრებას ესწრებოდნენ: რეიმსის არქიეპისკოპოსი - რენო; სენსის არქიეპისკოპოსი - ანრი; სუასონის ეპისკოპოსი - გოსელინი; პარიზის, ტრუას, ორლეანის, ოსერიის, მოს, შალონის, ლიონის, ბუვეს ეპისკოპოსები, ვერსალის აბატები, ლიონის არქიეპისკოპოსები (Gurzon 1886 : 16-17). კრებაზე იმყოფებოდა მრავალი ცნობილი პირი, რომელთაგან ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო ბერნარ კლერვოელი.

კრების მონაწილეებს ჰიუგ დე პეინმა ტამპლიერების ორდენის ოფიციალურად დამტკიცების თხოვნით მიმართა. ეკლესიის მამები დაუყოვნებლივ დაეთანხმნენ და საეკლესიო კრებამ ბერნარ კლერვოელის წარდგენით, პაპ ჰონორიუს II-ისა და იერუსალიმის პატრიარქ სტეფანეს ნებართვით ოფიციალურად დააკანონა ტამპლიერების ორდენის სტატუსი და აღიარა ის, როგორც სამხედრო-რელიგიური ორგანიზაცია. ამიერიდან ტამპლიერები იცხოვრებდნენ მკაცრი მონასტრული წესებით, რომელთანაც

შერწყმული იქნებოდა საომარი მოქმედებებისათვის მზადება და ბრძოლებში მონაწილეობა. ამიტომ, მათ ხშირად უწოდებენ „ქრისტეს მხედრობასაც“ (Militia Christi).

ტამპლიერების წესდების ავტორთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ძირითადად გავრცელებული ცნობების თანახმად მეტაძრეთა წესდება შეიმუშავა ბერნარ კლერვოელმა ცისტერციანელების განაწესის საფუძველზე. ეს თვალსაზრისი მცდარად მიაჩნია მკვლევარ მ. მელვილს. მისი აზრით, წესდებაში ჩაწერილი წესები ჯერ კიდევ ტრუას კრებამდე არსებობდა ორდენში (Мельвиль 2003 : 20). მარსელ ლობეს მოსაზრებით კი თუ დავუჯერებთ „საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიის“დამწერს, ბერნარი არ შეიძლება იყოს მეტაძრეების წესდების ავტორი, რადგან სტილი და სული წესდებისა ბევრად განსხვავებულია იმისაგან, რაც დამახასიათებელი იყო წმინდა აბატის თხზულებებისათვის. თუმცა, შეიძლება მსგავსების შემჩნევა ტამპლიერებისა და ცისტერციანელების წესდებებს შორის. ლობე აღნიშნავს, რომ „ფიცის ტექსტში დიდი მაგისტრები ცისტერციანელებს მოიხსენიებენ სიტყვით „ძმები“. მოცემულ შემთხვევაში ეს გულისხმობდა მათ ახლო სულიერ ნათესაობას. წესდების შემქმნელი მოქმედების კაცი იყო, რომელმაც აქცენტი, უწინარეს ყოვლისა, ტამპლიერების სამხედრო აქტივობაზე დასვა: არ შეიძლება ტონზურის მოპოვება ბრძოლის გარეშე. მრავალიცხოვანი ბიბლიური ტექსტები, რომლითაც სავსეა წესდება, ამტკიცებს, რომ წმინდა წერილის დაწვრილებით მცოდნე წმინდა ბერნარის ხელი ურევია წესდების შექმნაში (Лобе 2003 : 33-34). ლავისისა და რამბოს მოსაზრებით, „წმინდა ბერნარი მფარველობდა ტამპლიერებს და მონაწილეობას იღებდა მათი წესდების შედგენაში, რომელიც ნაწილობრივ ცისტერციანელების წესდების რეპროდუქციაა“ (Лавис, Рамбо 2003 : 375). ცისტერციანელი ბერები იმოსებოდნენ თეთრქუდიანი ლაბდით, სწორედ თეთრ ლაბადას უბოძებენ შემდგომ ტამპლიერებს, მსგავსად ცისტერციანელებისა.

არსებობს მოსაზრება თითქოს ორდენის წესდება ბერნარმა ყურანის საფუძველზე შეადგინა, რადგან ორივე მათგანში არის მოწოდება წმინდა ომისა და მტრის განდევნის შესახებ. აღნიშნული ვერსია სარწმუნოდ შეგვეძლო მიგვეჩნია, რადგან ბერნარ კლერვოელი, უდიდესი რელიგიური მოაზროვნე ძალიან კარგად ერკვეოდა აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკური სიტუაციის დეტალებში. მან იცოდა რა რთული მისია უნდა შეესრულებინა ტამპლიერ ბერ-რაინდებს პალესტინაში, სადაც მათ ურთიერთობა ექნებოდათ მრავალი რელიგიის აღმსარებლებთან და შეიძლებოდა გვეფიქრა

კიდეც ყურანის გამოყენებაზეც. ამ ვერსიის მომხრეები ეყრდნობიან იმ ფაქტს, რომ კლუნის აბატმა, ღირსმა პეტრემ, 1143 წელს ბერნარს გაუგზავნა ყურანის ლათინური თარგმანი მუჰამედის ისტორიასა და მის მოძღვრებასთან ერთად. დღეს ცნობილია, რომ ღირსი პეტრეს თხოვნით თარგმნილი ყურანი თარიღდება 1143 წლის შუა ხანებით. ამიტომ, ის წმინდა ბერნარისთვის ცნობილი არ იქნებოდა 1128 წლისათვის (Лобе 2003 : 35). ამგვარად, წესდების ყურანთან მსგავსების ვარაუდი არ დასტურდება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ღირსი მამა პეტრე იყო ბერნარ კლერვოელის მეგობარი და პირველი ევროპელი ადამიანი, ვის გონებაშიც მომწიფდა ყურანის თარგმნის იდეა. იგი ფიქრობდა, რომ ცუდი სულაც არ იქნებოდა სარკინოზთა ნამდვილ რელიგიას გაცნობოდა და მათ წინააღმდეგ მტკიცებულებათა უსისხლო, სულიერი მახვილი მოეპოვებინა მაშინ, როცა ჯვაროსანი რაინდები სარკინოზებს ძლევამოსილი სისხლისმღვრელი მახვილით მუსრავდნენ. „ყურანის თარგმნის იდეა მართლაც ძალზე ლიბერალური იყო, რადგან ჯვაროსნები სარკინოზთა და საერთოდ ერეტიკოსთა განადგურებას მათ მოქცევაზე უფრო გონივრულად მიიჩნევდნენ“ (ლობჟანიძე 2006: 85).

ტრუას კრებაზე ტამპლიერების ორდენისათვის შექმნილი წესდება შედგებოდა მრავალი დებულებისაგან, მაგრამ შემდგომ, ეპოქისა და გარემოებების შესაბამისად საჭირო გახდა ზოგიერთი მათგანის გადაკეთება და წესდებაში დამატებების შეტანაც, რომელიც დასრულდა XIII ს-ის შუა ხანებში. დამატებებმა, არსებულ წესებთან ერთად ორდენი მკაცრ, ცენტრალიზებულ, დახურულ ორგანიზაციად ჩამოაყალიბა.

წესდება თავდაპირველად ლათინურ ენაზე დაიწერა, მაგრამ, რადგან ორდენის წევრებმა არ იცოდნენ ლათინური, იგი ითარგმნა ფრანგულად. წესდება იწყება პროლოგით და მთავრდება კრების ოქმით. ასე იწყება ტამპლიერთა წესდების პროლოგი:

1) „ჩვენ, თავდაპირველად ვსაუბრობთ ყველა იმ შესაძლებლობასა და მოხალისეობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რაინდებს შორის, რომელთაც სურდათ ყოფილიყვნენ დაწინაურებულნი და გამორჩეულნი, რომლებმაც ჩვენ შეგვიქმნეს გარკვეული წარმოდგენა საერო რაინდობაზე იმდენად, რამდენადაც ისინი ანგარიშვალდებულად თვლიდნენ თავს იესო ქრისტეს წინაშე, რომ წმინდა ეკლესიის დაცვა იყო მათი უწმინდესი დანიშნულება“(Gurzon 1886 :11-12).

2) „ყველა მოცემულ სიტუაციაში ქრისტეს რაინდი რჩება წმინდა ურთიერთობაში გააჩნია რა მას საკუთარი პროფესია და წმინდად დაცული მოვალეობები, როგორიც არის მისი სიწმინდე, რაც მისთვის უპირველესია, იმისათვის, რომ მან დაიცვას

საკუთარი მდგომარეობა მარტვილებს შორის, მან მაქსიმალურად უნდა გასცეს ქრისტესა და მისი არმიისთვის. რელიგია მისთვის საშუალებაა, რათა მაქსიმალურად ემსხუროს სამართლიანობას და მისი უწმინდესი მსახურება არის ღარიბებისა და ქვრივების დაცვა, რაც ისეთივე წმინდაა, როგორც ეკლესიის დაცვა. ისინი უნდა დაიცვას, როგორც გაძარცვისაგან ასევე სიკვდილისაგან. ის, მეგობრებთან ერთად ვალდებულია დაიცვას წმინდა ქალაქი იერუსალიმი და ეს იქნება ყველაზე ძვირფასი შესაწირი უფლისადმი“ (Gurzon 1886: 12-13).

3) „უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ეს ძმობა, მაგისტრ ჰიუგ დე პეინის თაოსნობით, რომელიც ხელმძღვანელობდა რაინდებს, თავიდან ბოლომდე მოქმედებდა სულიწმინდის მადლითა და წყალობით“ (Gurzon 1886 :13-14).

აშკარაა, რომ წესდების საწყისი პუნქტები ღრმა რელიგიური სულისკვეთებითაა გამსჭვალული ამგვარად, „ტამპლიერების სპარტანული (მარტივი და მკაცრი) ცხოვრების მთავარ მიზანს წარმოადგენდა პილიგრიმების დაცვა და იერუსალიმის სამეფოს მტრის მოგერიება“(Jones 2004 : 117).

ტამპლიერების ორდენს სამხედრო იერარქიული სტრუქტურა ჰქონდა. წესდებამ დააკანონა ორდენის წევრების უფლება-მოვალეობები. სრული დებულების ცოდნა მხოლოდ ორდენის მაღალ იერარქებს მოეთხოვებოდათ, დანარჩენ წევრებს კი იმდენად, რასაც ორდენში მათი სტატუსი ითვალისწინებდა. მათ უნდა სცოდნოდათ თავიანთი მოვალეობები და ორდენის მთავარი მიზნები.

ტამპლიერების ორდენის წევრები სოციალური წარმომავლობისა და სტატუსის მიხედვით იყოფოდნენ სამ კატეგორიად: რაინდების, სამღვდელო-კაპელანებისა და მოსამსახურე ძმების, ანუ დამხმარეების. პირველ კატეგორიას შეადგენდა ხაზგასმით კეთილშობილური წარმოშობის ადამიანები, ხოლო დანარჩენს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა. კაპელანები იყვნენ მღვდლები, რომლებიც აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ორდენის ტაძრებში და განაგებდნენ რელიგიურ საკითხებს. მოსამსახურე ძმები უძღვებოდნენ ორდენის საშინაო საქმეებს. ისინი იყოფოდნენ: საჭურველმტვირთველებად, სერჟანტებად, მიწათმოქმედებად და ხელოსნებად.

არსებობდა ორდენის გარეშე წევრების კატეგორიაც. ეს კლასი შედგებოდა ადამიანებისაგან, რომლებიც ნებაყოფლობით ასრულებდნენ ორდენის წესებს, მაგრამ არ ცხოვრობდნენ ტამპლიერების საერთო საცხოვრებლებში. „ამ საერო წევრებს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე დონატები-(Donati), თავიანთი სურვილით ორდენისათვის სხვა-

სხდასხვა სამსახურის გამწევები და ობლატები - (Oblati) ბავშვობიდანვე მშობლების მიერ ორდენში შესასვლელად მოწოდებულნი და მათი წესებით აღზრდილნი“ (Шуc-теръ 1905 : 190). დონატებს და ობლატებს კომანდორისათვის უნდა მიეტანათ ომაჟი და ორდენისათვის გადაეხადათ ყოველწლიური ღალა მორჩილების ნიშნად.

იმდროინდელ ფეოდალურ სამყაროში არსებული წოდებრივი წინააღმდეგობები შენარჩუნებული იყო ტამპლიერების ორდენშიც, სადაც მაღალ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მხოლოდ კეთილშობილური წარმოშობის ადამიანები.

ტამპლიერების ორდენის სათავეში იდგა მაგისტრი, რომელიც მხოლოდ რომის პაპს ემორჩილებოდა. მაგისტრს ირჩევდა და ხმათა უმრავლესობით ამტკიცებდა სპეციალური ორგანო კაპიტული. ორდენის მასალებში მისი ხელმძღვანელი ატარებს ტიტულს უბრალოდ მაგისტრი, წესდებაში კი მას ეწოდება „ჩვენი მაგისტრი ძმა ერთ-ერთი“, ხოლო, ტიტული „დიდი მაგისტრი“ პირველად მოხსენიებულია პაპის ბულებში. მაგისტრის გარემოცვას შეადგენდა: ორი მოსამსახურე, მჭედელი, მზარეული, ორი მეჯინიბე, მწერალი, ერთი არაბულის მცოდნე მწერლი, ორი კეთილშობილური წარმოშობის რაინდი, რომლებიც მის საბჭოს წარმოადგენდნენ და კაპელანი. მაგისტრი ძირითადად ცხოვრობდა ბრძოლის ადგილების მახლობლად, როცა მას არ შეეძლო მოვალეობის შესრულება ან გარდაიცვლებოდა, ახლის არჩევამდე ორდენს უძღვებოდა სენეშალი. მაგისტრის ძალაუფლებას ზღუდავდა მხოლოდ კაპიტული და ორდენში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად სწორედ კაპიტულის თანხმობა იყო საჭირო. კაპიტული იყო კოლეგიალური, ავტორიტეტული ორგანო, რომელიც ორდენს აკონტროლებდა. არსებობდა სამგვარი კაპიტული;1)გენერალური კაპიტული, რომელსაც იწვევდა და უძღვებოდა დიდი მაგისტრი. იგი შედგებოდა ყველა მხარის მაღალი იერარქებისა და გამოცდილი რაინდებისაგან. გენერალური კაპიტულის შეკრება დიდ ხარჯებს საჭიროებდა, ამიტომ მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იწვევდნენ. თავდაპირველად გენერალური კაპიტული იკრიბებოდა იერუსალიმში, შემდეგ - პალესტინის სხვადასხვა ქალაქში, ხოლო ბოლოს კვიპროსზე. 2)პროვინციული კაპიტული, რომელსაც იწვევდნენ ორდენის თითოეულ პროვინციაში ადგილობრივი საკითხების განსახილველად. მას ხელმძღვანელობდა პროვინციის პრეცეპტორი.3) ორდინარული კაპიტული, რომელიც კვირაში ერთხელ ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად იკრიბებოდა.

ორდენს ჰყავდა მარშალი, რომელიც იყო ტამპლიერთა სამხედრო ძალების მეთა-

ური. იგი პასუხს აგებდა მეომართა წვრთნაზე, საომარ სტრატეგიასა და მანევრებზე. ბრძოლის დროს ტამპლიერები მას ექვემდებარებოდნენ. მარშლის თანაშემწე იყო უმცროსი მარშალი, რომელსაც იარაღის მიმოტანა და დაცვა ევალებოდა.

იერარქიულ კიბეზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კომანდორს. ორდენში რამდენიმე კატეგორიის კომანდორი არსებობდა: დიდი, აღმოსავლეთის სამი პროვინციის, (იერუსალიმის, ტრიპოლის, ანტიოქიის), პროვინციების, ქალაქების, აკრის და ორდენის ცალკეულ საცხოვრებელთა. იერუსალიმის კომანდორს ევალებოდა ორდენის პირველადი ვალდებულებების შესრულება: მას, ათ რაინდთან ერთად, რომელთაც მიჰქონდათ ორდენის შავ-თეთრი დროშა, მომლოცველები უნდა გაეცილებინა იორდანემდე და უზრუნველეყო ისინი საჭირო მარაგითა და ცხენებით (Шустерь 1905 : 189).

პრეცეპტორების და სხვა ანალოგიური თანამდებობები შემდეგ დაწესდა იმ პროვინციებში, რომლებიც XII ს-ში შევიდა ორდენის შემადგენლობაში, კონკრეტულად კი ტრიპოლში, ანტიოქიაში, საფრანგეთში, ინგლისში, პუატუში, არაგონში, პორტუგალიასა და უნგრეთში.

ტამპლიერების ორდენის დროშას ეწოდებოდა „Beauseant“ (ბოსეანი), რაც ძველ ფრანგულ ენაზე ნიშნავდა ფრთოსან ცხენს. დროშა იყო შავ-თეთრი ფერის. შუა საუკუნეებში, საფრანგეთში „ბოსეანი” გამოხატავდა კეთილშობილებისა და დიდებულების სიმბოლოს, ასევე ნიშნავდა საბრძოლო ყიჟინას, რომელიც მეომრებს იერიშისაკენ მოუწოდებდა. ტამპლიერების საბრძოლო შეძახილი იყო „მომყევი, კეთილო სირ! ბოსეანი მოდის დასახმარებლად!“ (Лобе 2003 : 38). დროშის შავი და თეთრი ფერი კი იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი, ქრისტიანების მიმართ სათნო და შემწყალენი იყვნენ, ურჯულოებისადმი კი სასტიკნი და შეუბრალებელნი. სხვა ვერსიით; შავი მხარე გამოხატავდა ერისკაცთა ცოდვას, ხოლო თეთრი ფერი სიწმინდეს. ამბელენის ცნობით: „ბრძოლის დროს, როცა ორდენის ესკადრონი შეტევაზე გადადიოდა, პირველ ხაზს შეადგენდნენ მხედრები თეთრი მოსასხამებით, ხოლო მეორე ხაზს შავმოსასხამიანი სერჟანტები, სწორედ აქედან შეიქმნა ცნობილი შავ-თეთრი შტანდარტი ბოსეანი, რომელშიც პროცესის დროს დაინახეს მანიქეისტური სიმბოლიკა“ (Андреев 2003 : 145).

ბრძოლის დროს მარშალი დროშის დასაცავად ირჩევდა 10 ტამპლიერს. მარშლის სიკვდილის შემთხვევაში კი კომანდორი ყველას დასანახად ცაში უშვებდა დროშას. მფრინავი დროშის დანახვისას ტამპლიერები ერთად იკრიბებოდნენ, რათა გაეახლებინათ მტერზე იერიში. ისინი ბრძოლის დროს მღეროდნენ დავითის სიტყვებს: „არა

ჩვენ ღმერთო, არამედ შენთვის და შენი სახელის  დიდებისათვის“ (გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე 2015 : 144).

ორდენს ჰქონდა ბეჭედი. მასზე თავდაპირველად ამოტვიფრული იყო  გუმბათიანი ტაძარი, რომელიც განასახიერებდა უფლის ტაძარს. პარიზის ნაციონალურ არქივში დაცულია ეს ბეჭედი. მასზე გამოსახულია შენობა, რომელიც  ჰგავს ომარის მეჩეთს (Лавис, Рамбо 2003 : 374). თუმცა, ტამპლიერებმა მოგვიანებით იგი შეცვალეს ერთ ცხენზე ამხედრებული ბერისა და რაინდის გამოსახულებით. ამ სიმბოლოსთან დაკავშირებით სასამართლო პროცესზე  განაცხადეს, რომ ეს იყო მანიქეველობის გამოვლინება, რაც სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ბეჭედზე გამოსახულნი იყვნენ ორდენის დამაარსებლები, ჰიუგ დე პეინი  და გოდფრუა დე სენტ  ომერი. რაინდისა და ბერის გამოსახულება ბეჭედზე  ორდენის სამხედრო-სასულიერო მიმართულებას ნიშნავდა.

ორდენის დაარსებიდან ტამპლიერები იმოსებოდნენ ჩვეულებრივი საერო ტანსაცმლით. ტრუას შეკრებაზე მათთვის დაწესდა თეთრი სამოსი, რომელიც ტამპლიერების თავისებურ სიმბოლიკად იქცა. თეთრი ლაბადა პაპმა  ჰონორიუსმა უბოძა მათ, როგორც სიმბოლო უბიწოების, გულის სიწმინდისა და ღმერთთან თანაარსებობის. ტამპლიერთა შესამოსელის შესახებ მათი წესდების მე-17, 18, 19 მუხლებში ნათქვამია: „ჩვენ ვუბრძანებთ ძმებს, რომ მათი შესამოსელი იყოს ერთ ფერში, გამოკვეთილად თეთრი, ან შესამჩნევად შავი, რაინდი ძმები უნდა იცავდნენ ამ წესს. ეს შესამოსელი მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ ორიგინალობასა და გამორჩეულობას. მათი სამოსი უნდა იყოს იმ სულისკვეთების გამომხატველი, რომელიც მის პატრონს აცვია, რომ ზუსტად გამოხატავდეს მათ ფიქრს და ასახავდეს ყველაფერს ერთად. არ უნდა იყოს არც ძალიან გრძელი და არც ძალიან მოკლე“ (Gurzon 1886 :28-29).

ტამპლიერების სამოსი მოკრძალებული იყო. წესდებით  მათ ეკრძალებოდათ ტანსაცმლისა და იარაღის გაფორმება. ტამპლიერული სამოსელი უბრალო ნაჭრისაგან იკერებოდა, რაც მიანიშნებდა უპოვრობის აღთქმაზე. 1146 წელს პაპის, ევგენიუს III-ის თხოვნით მეტაძრეთა თეთრ ლაბადაზე, გულის მხარეს გამოისახა წითელი ჯვარი, როგორც სიმბოლო  უბიწოებისა და სამუდამოდ  ჯვრის ტარებისა (ჯვაროსნობისა). თეთრი ფერი უბიწობის, ხოლო წითელი - მოწამეობის გამომხატველი ემბლემა იყო (Мельвиль  2003 : 19).

ტამპლიერებს ტანსაცმელი განსხვავებული ჰქონდათ წოდებათა მიხედვით. რაინდებს ემოსათ თეთრი, ხოლო სერჟანტებს შავი ლაბადა წითელი ჯვრებით. წესდება-

ში ზუსტად იყო განსაზღვრული თუ  რამდენი ტანსაცმელი, თეთრეული და იარაღი სჭირდებოდა თითოეულ ტამპლიერს.

ორდენის ყოველ რაინდს შეეძლო ჰყოლოდა სამი ცხენი და ერთი მეჯინიბე (საჭურველმტვირთველი). საომარი აღჭურვილობა უნდა ყოფილიყო უბრალო. ვინც თავის აბჯარს მიიტანდა წესდების შესაბამისად უნდა მოქცეულიყო. მათ უფლება ჰქონდათ ეტარებინათ წვერი, მაგრამ თმა აუცილებლად მოკლედ უნდა შეეჭრათ, რადგან ბრძოლის დროს გრძელ თმას შეიძლებოდა ხელი შეეშალა მათთვის. მამაკაცთა საზოგადოებაში ჰომოსექსუალიზმისადმი ინტერესი  რომ არ გაჩენილიყო, ტამპლიერებს ბნელ ოთახშიც კი არ ეძინათ, საერთო საძინებელში მთელ ღამეს ენთო ლამპარი, ყველას ჰქონდა საკუთარი საწოლი და ისინი წვებოდნენ ჩაცმულნი.

ტამპლიერებს ჰქონდათ გერბი, რომელიც დამზადებული იყო ვერცხლისაგან, როცა პაპმა ევგენიუს III-მ მათ უბრძანა ლაბადაზე  ჯვრის გამოსახვა, წითელი ჯვარი მან გერბად დაამტკიცა.

ორდენში გაწევრიანების მსურველი უნდა ყოფილიყო კანონიერ ქორწინებაში მყოფი ოჯახის შვილი; ის არ უნდა ყოფილიყო; დაოჯახებული, სხვა ორდენის წევრი და ეკლესიისაგან განკვეთილი, აგრეთვე ქრთამის საშუალებით შეღწეული ორდენში. ტამპლიერობის მსურველებზე წესდებაში წერია: „თითეული რაინდი, რომელიც გამოეყოფა მასას  და მიატოვებს თავის საქმეს, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ ისინი მივიღოთ. უნდა ჩავთვალოთ, რომ ისინი ჩვენთან დაკავშირებულნი არიან. მათ მუდამ თან უნდა ახლდნენ ძმები, რათა მტკიცედ შეასრულონ წესდების ბრძანებები და მოთხოვნები, მაგრამ ასევე უნდა ითქვას, რომ ძმების მიერ, სხვა ძმის მიღება უნდა იყოს ღია, თუმცა,  ისინი უნდა გამოიცადონ ვაჟკაცობაში“(Gurzon 1886 :22-23). შუსტერის ცნობით „ორდენში  საზეიმოდ კურთხევის წინ კანდიდატი, რომელსაც უკვე განვლილი ჰქონდა ერთწლიანი წინასწარი გამოცდა, ორ ძმას მიჰყავდა ეკლესიასთან არსებულ სპეციალურ ოთახში და იქ უხსნიდნენ მისი განზრახვის სერიოზულობისა და იმ საძნელო მოვალეობათა არსს, რომელსაც ის საკუთარ თავზე  იღებდა. იგი თუ მტკიცე დარჩებოდა თავისი სურვილის, შეკრებილი კაპიტულის თანხმობით  შეჰყავდათ ოთახში, სახარებასთან ადებინებდნენ ფიცს და საზეიმოდ მოსავდნენ ლაბდით“ (Шустерь 1905 : 191).

დაქორწინებულ მამაკაცებს შეეძლოთ ემსახურათ ორდენისათვის, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ტაპლიერული სამოსის ჩაცმის უფლება. მონაზონ ქალებს ორდენში არ იღე-

ბდნენ. საერთოდ „არც ერთ ქალს არ ჰქონდა ორდენში შესვლის უფლება. ტამპლიერ-ებს არ შეეძლოთ ჩახუტებოდნენ ნებისმიერ ქალს, მიუხედავად იმისა, ის და იყო მა-თი თუ დედა“(Jones 2004 : 117).

წესდებაში ჩამოყალიბებული იყო ყოველდღიური შინაგანაწესი. დღის წესრიგში ზუსტად იყო დადგენილი ლოცვის, ეკლესიაში სიარულისა და ტრაპეზის დრო. თუ საქმის გამო ტამპლიერების ორდენის წევრი ვერ დაესწრებოდა ღვთისმსახურებას, მას 13 ჯერ უნდა ეთქვათ „მამაო ჩვენო“ დილის ლოცვების, 9 ჯერ- საღამოს და 7 ჯერ - სხვა საათების ლოცვების მაგივრად. წევრებს უნდა დაეცვათ მარხვა, დღესასწაულე-ბის გამოკლებით. ისინი ტრაპეზის დროს კითხულობდნენ წმინდა წერილს, მწუხრ-ის ლოცვის შემდეგ იყვნენ მდუმარედ (გამონაკლისი იყო სამხედრო შემთხვევა). ლო-ცვის დროს ვინც დაიღლებოდა, მას შეეძლო 13-ჯერ წაეკითხა მამაო ჩვენო თავის სა-წოლში.

ორდენში რეგლამენტირებული იყო ლაშქრობაში წასვლა, კაპიტულის დღის წეს-რიგი, მუშაობისა და შესვენების საათები. ყველა ტამპლიერი ემორჩილებოდა მხო-ლოდ დიდ მაგისტრს, რომლის ნებართვის გარეშე მათ არ ჰქონდათ საერთო საცხოვ-რებლის დატოვებისა და მიმოწერის უფლება. ტამპლიერს არ გააჩნდა საკუთრება, მას არ შეიძლებოდა რაიმე ჰქონოდა ჩაკეტილი, შეწირულობა იყო საერთო და ფულს ზუ-სტად ითვლიდნენ. მათ სახელზე მოსული წერილები უნდა წაეკითხათ მაგისტრის ან კაპელანის თანდასწრებით და მიძღვნილი საჩუქარიც გადაეცათ მაგისტრისთვის ან სენეშალისთვის. ტამპლიერები მშვიდობიან დროს თავიანთ სენაკებში უნდა დარჩენ-ილიყვნენ და თავი აერიდებინათ ყოველგვარი ამქვეყნიური სიამისათვის. მათ ეკრძა-ლებოდათ: სმა, ზედმეტი ლაპარაკი, თამაშები, ნადირობა.„ტამპლიერებმა მხოლოდ ლომებზე უნდა ინადირონო“, რადგან ლომი განასახიერებს ძლიერებას და მისი დამა-რცხება მოგვცემს მეტ შესაძლებლობასო“- ჩაწერილი იყო წესდებაში(Gurzon 1886 : 58).

ბერნარ კლერვოელი ტამპლიერებზე წერდა: „მათ სძულთ ჯამბაზები, ქუჩის მომ-ღერლები, აღგზნების გამომწვევი ყოველგვარი სიმღერა და სახიობა, აგრეთვე საერო ცხოვრების გაწამაწია და სისულელე“ (Дельбрюк 1938: 162). გართობის ნაცვლად მათ უნდა ელოცათ, ეშრომათ და დაეცვათ. ისინი მოხუც და ავადმყოფ წევრებზე განსაკუ-თრებულად ზრუნავდნენ. წესდება ტამპლიერებს უნერგავდა მოწიწებას მოხუცებისა და მასზე უფროსი ადამიანებისადმი. ისინი ქველმოქმედებითაც იყვნენ განთქმულნი, პურის მეათედს ყოველდღე უპოვართ ურიგებდნენ.

„ეს ორდენი, რომლის წევრების სიცოცხლე და სიკვდილიც ეკუთვნოდა შემოქმედს წარმოადგენდა მთელი ევროპის ქრისტიანობის ღია გულსა და ხელს. მასში ხედავდნენ ღმერთის დიდებისათვის მებრძოლებს, რომელთათვის უცხოა ყოველნაირი პატივმოყვარეობა და ბრძოლის შემდეგ უბრუნდებიან თავიანთი ტაძრების სიმშვიდეს“ ასკვნის შუსტერი (Шустеръ : 1905 : 186).

ტამპლიერის გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე სრულდებოდა მესა, აგრეთვე იმ ყაზარმის ყველა ძმა კითხულობდა 100-ჯერ მამაო ჩვენოს და 40 დღეს კვებავდნენ ერთ უპოვარს. ტამპლიერი ბერი-რაინდი უპირველესად ზრუნავდა საკუთარი სულის ცხონებაზე. „Memento Finis“ ჩაწერილი იყო წესდებაში. მელვილს მიაჩნია, რომ ტამპლიერები არ იყვნენ ასკეტები და „Memento Finis“ შეიძლება ორნაირად განიმარტოს : „იფიქრე შენს აღსასრულზე“, ან „იფიქრე შენს მიზანზე“ (Мельвиль 2003 : 52).

წესდებაში მოცემული იყო სპეციალური მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა სასჯელს ორდენის წესების დარღვევისათვის. დანაშაულისათვის (ქურდობა, მკვლელობა, აჯანყება, გაქცევა, მკრეხელობა, სიმხდალე მტრის წინაშე) მეტაძრე ისჯებოდა ორდენიდან გაძევებით, ხოლო უმნიშვნელო შეცოდებებისათვის (ურჩობა, ძმის ცილისწამება, შეურაცმყოფელი მოქმედებები ძმისა თუ სხვა ქრისტიანის მიმართ, მეძავ ქალებთან ურთიერთობა, ძმისათვის საკვებსა და სასმელზე უარის თქმა) დროებით ეთხოვებოდნენ ორდენის სამოსს (Шустеръ 1905: 191).

რელიგიური წესებისა და ღვთისმსახურების აღვლენა უფრო ხელსაყრელი რომ ყოფილიყო, პაპმა ალექსანდრე III-მ ტამპლიერებს მისცა ორდენში კაპელანების მიღების უფლება. ჰ. ჩარლზ ლი აღნიშნავს: „ტამპლიერები თავიანთი არსებობის დასაწყისიდანვე გახდნენ რჩეულები წმინდა ტახტის, რომლის პოლიტიკა მიისწრაფოდა იქეთკენ, რომ რაინდებისაგან შეექმნა ჯარი დამოკიდებული მხოლოდ რომზე, საიმედო იარაღი პაპის ძალაუფლების გასავრცელებლად და ადგილობრივი ეკლესიების დასამორჩილებლად. ამიტომ იყვნენ ისინი უხვად დაჯილდოებულნი პრივილეგიებით“ (Ли 1912: 320). თავისი არსებობის საწყის პერიოდში ტამპლიერები იმყოფებოდნენ არა მარტო იერუსალიმის პატრიარქის, არამედ ეპისკოპოსების მზრუნველობის ქვეშაც. მალე კი ტამპლიერების ორდენი რომის კურიის წიაღში დამოუკიდებელ ეკლესიად ჩამოყალიბდა. 1139 წლის 29 მარტს პაპმა ინოკენტუს II-მ გამოსცა ბულა მაგისტრ რობერ დე კრაონისადმი მიძღვნილი „Omne Datum Optimum“(ყოველნაირი ნიჭი სრულყოფილია), რომელიც ორდენის „დიდ ქარტიას“ წარმოადგენს. ამ ბულით ორდენმა

დამოუკიდებლობა მოიპოვა და მის სამსახურში მყოფი პირები გამოიყვანა ადგილობრივ ეპისკოპოსთა იურისდიქციიდან, ორდენი გადააქცია ეკლესიად ეკლესიის შიგნით, რომელიც მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა. ბულა ანიჭებდა ტამპლიერებს განუსაზღვრელ პრივილეგიებს: „მე მოგიწოდებთ თქვენ და თქვენს სერჟანტებს უშიშრად იბრძოლოთ ჯვრის მტრების წინააღმდეგ და  იმისათვის, რომ დაგაჯილდოვოთ, გაძლევთ უფლებას შეინარჩუნოთ ყველა ის ნადავლი, რასაც თქვენ სარაცინებს წაართმევთ და არავის ექნება უფლება თქვენ მოგთხოვოთ რაიმე წილი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თქვენი სახლი, მთელი თავისი სამფლობელოებით რჩება პაპის წმინდა ტახტის მზრუნველობისა და მფარველობის  ქვეშ“ (Мельвиль 2003 : 39). ინოკენტუს II- ის მიერ 1139 წელს დაწერილი ბულები აწესებდა ორდენში ძმა-კაპელანების ინსტიტუტს. ამიერიდან ორდენში ირიცხებოდნენ აღთქმადადებული ძმები - კაპელანები, რომელთა არჩევა რაინდებს  შეეძლოთ თეთრი სამღვდლოებიდან, მიუხედავად დიოცეზის ეპისკოპოსის უარისა; რაინდებს შეეძლოთ გაეშვათ კაპელანები „თუ ისინი აღმოჩნდებოდნენ შფოთიანები ან უბრალოდ გამოუსადეგარნი“. კაპელანები დამოკიდებულნი იყვნენ მაგისტრზე (Мельвиль 2003 : 146-147). ორდენისადმი რომის პაპთა ზღვარგადასული კეთილგანწყობა ადვილი ასახსნელია. აღმოჩენილი მხარდაჭერის სანაცვლოდ ტამპლიერები რომის პონტიფიკებისათვის სასურველი პოლიტიკის ერთგულ გამტარებლებად გვევლინებოდნენ.

ტამპლიერების ორდენის მიწების ტერიტორიული მოწყობა ასეთი იყო: ყველა დიდ ქალაქში მათ უნდა ჰქონოდათ ციხე-სიმაგრე, რომელსაც თავის პროვინციაში აშენებდა ბალიაჟი. თითოეულ ბალიაჟში შედიოდა რამდენიმე ყაზარმა, რომლებიც ყოველთვის გზების სიახლოვეს იყო განლაგებული, ისინი შენდებოდა წყვილად და, როგორც ჩანს, ერთმანეთს უკავშირდებოდა მიწისქვეშა გადასასვლელებით, რათა ერთ ყაზარმაზე თავდასხმის შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო მეზობელი ყაზარმისათვის დახმარების თხოვნა. ყაზარმებს ჰქონდათ რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო ფერმა და ტერიტორიები, რომლებზეც მათ აღმასრულებლის უფლებები გააჩნდათ. ტამპლიერები ზრუნავდნენ წისქვილებისა და სახელოსნოების აგებაზე, იყენებდნენ მოწინავე ტექნოლოგიას და ხდებოდნენ ტექნიკური პროგრესის გამავრცელებლები (Каппелетто 2004 : 339). ტამპლიერები იცავდნენ და პროპაგანდას უწევდნენ თანამედროვე ცივილიზაციას. იმ ეპოქაში, როცა ევროპაში მეფობდა ომები, შიმშილი,

ძარცვა-გლეჯა, ტამპლიერების საკომანდოები იყო თავშესაფარი უსაფრთხოების, სილაღისა და კულტურის (Каппелетто 2004 : 334).

ტამპლიერების საქმიანობა კაპელეტოს მოსაზრებით ოთხი ასპექტით იყო განსაზღვრული.1. დაეპურებინათ; ტამპლიერები მელიორაციის საშუალებით აშრობდნენ ჭაობებს, ამაღლებდნენ მიწის ნაყოფიერებას, ჩეხდნენ ტყეებს, რითაც ხელს უწყობდნენ მიწათმოქმედებას. ისინი ნაყოფიერ მიწებს ურიგებდნენ ღარიბებს, კვირაში სამჯერ გასცემდნენ საკვებსა და ტანსაცმელს.

2. დაეცვათ; თავიანთი ციხე-სიმაგრეებით, ყაზარმებითა და ფერმებით ტამპლიერები უზრუნველყოფდნენ მგზავრებსა თუ ვაჭრებს საიმედო თავშესაფრით, სადაც მათ შეეძლოთ ღამის გატარება. რაინდები წყვილად იცავდნენ გზებს, აგებდნენ ხიდებს, მფარველობდნენ კერძო ოჯახების სიმდიდრეს, მათ შორის სენიორებისაც.

3. განევითარებინათ ხელოსნობა; თავიანთ ფერმებში ტამპლიერები ასწავლიდნენ მშრომელთა ჯგუფებს ყველა სპეციალობას, რაც საჭირო იყო იმ დროისათვის სოფლის მეურნეობისა და მშენებლობისათვის. ისინი აარსებდნენ ხელოსანთა სკოლებს და აფინანსებდნენ მშენებლობებს.

4. გაეთავისუფლებინათ ყმები; ტამპლიერები დამოუკიდებლობას ანიჭებდნენ ღარიბებს და აძლევდნენ მიწებს, რომლებიც მათ ცენტრალურ ფერმებს ეკუთვნოდა. სოციალური ცვლილებების, ასეთმა შესანიშნავად მოფიქრებულმა ქსელმა ძალიან მალე მიიყვანა მთელი საფრანგეთის ეკონომიკური სისტემა გარდაქმნამდე (Каппелетто 2004: 334-335).

როგორც აღვნიშნეთ წესდება ლათინურად დაიწერა, მაგრამ რადგან ტამპლიერებმა ლათინური ენა არ იცოდნენ, გადათარგმნა გახდა საჭირო. ფრანგული თარგმანი თარიღდება 1139-1140 წლებით. ფრანგული წესდება შედარებით უფრო დიდია ლათინურზე და მელვილის მოსაზრებით, მას აშკარა კავშირი აქვს ბულასთან „Omne Datum Optimum“-, და ის არ შეიძლება დათარიღებული იყოს უფრო ადრეული პერიოდით, რადგანაც აღიარებს ძმა კაპელანების არსებობას, ამ ბულით დადგენილს.ფრანგულ თარგმანში არის რამდენიმე ცვლილება, რომელიც ლათინურის მსგავსია, თუმცა, მთარგმნელი დროდადრო შეცდომებს უშვებს (Мельвиль 2003:43).

ტამპლიერების წესდებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს 1128 წელს მიღებული წესები და შემდგომი დამატებები ფაქტობრივად ფორმა-

ლობა იყო  და ორდენს კიდევ საიდუმლო დებულება  ჰქონდა. ამასთანავე ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტამპლიერებმა აღმოსავლეთიდან შემოიტანეს რაღაც სწავლება, რომელიც ხელშეუხებელ საიდუმლოს წარმოადგენდა. ჩ. უ ჰეკერტორნი აღნიშნავს, რომ „ტამპლიერებს თავიანთ დადგენილებებში, რწმენასა  და წეს-ჩვეულებებში ჰქონდათ რაღაც ისეთი განსაკუთრებული საიდუმლო, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა სხვა რელიგიური სამხედრო საზოგადოებების წესდების, აზროვნებისა და წეს-ჩვეულებებისაგან. მათმა ხანგრძლივად აღმოსავლეთში, ხიფათიან პალესტინაში ყოფნამ, რომელიც სავსე იყო ბერძენი მწვალებლებითა და ერეტიკოსებით, ქიშპობამ ჰოსპიტალიერებთან, შეხებამ სარკინოზულ ელემენტებთან  და ბოლოს წმინდა მიწის დაკარგვამ, რომელმაც მათ სახელი გაუტეხა, ყველაფერმა ამან და ბევრმა სხვა გარემოებამ  გავლენა იქონია ორდენზე სრულიად გაუთვალისწინებელი სახით, რომელიც არ ეთანხმებოდა ორდენის თავდაპირველ მიმართულებას და შეურიეს მას იდეები და წესები, რომლებიც შეუთავსებელი იყო მართლმადიდებლურ აზროვნებასთან“ (Гекерторн 1876:147). უნდა აღვნიშნოთ, დღემდე არაფერი არ ამტკიცებს იმას, რომ ტამპლიერებმა აღმოსავლეთიდან შემოიტანეს რაიმე სწავლება. მათ  წესდებაში არც ერესი  არ არის დადასტურებული, თუმცა, განაწესის ბევრი პუნქტიც სწორედ დანაშაულის აღმოფხვრასა და მორჩილება-მონანიებას ეხება.

ტამპლიერები, ისევე როგორც სხვა ორდენის წევრები მიიჩნევდნენ, რომ  საჭირო არ იყო მათი  წესდება ცნობილი ყოფილიყო საერო პირებისათვის, მოსახლეობისათვის, ხოლო განაწესის სრული დებულების ცოდნა მხოლოდ დიდ მაგისტრსა და მაღალ იერარქებს  ევალებოდათ. ამ ფაქტმა წარმოშვა ეჭვი და ვერსიები, რომლებიც განავრცო შუა საუკუნეებმა და წესდება იდუმალების საბურველში გაახვია. ზოგადად ბერები შიდა სამონასტრო ცხოვრების აღწერას ყოველთვის ერიდებოდნენ. საიდუმლო განაწესი რომ არსებულიყო, ის აუცილებლად ცნობილი იქნებოდა რომის კურიისთვის, რომელიც დაინტერესდებოდა და დაადანაშაულებდა ორდენს არაეკლესიურ ცხოვრებაში.

არსებობს მოსაზრება, რომ  ტამპლიერების ორდენში არსებობდა; პარალელური იერარქია, (თითქოს ორდენს რეალურად მართავდა კულისებში მყოფი ადამიანები და  არა მაგისტრები) და წევრის მიღების ორი წესი. ერთ-ერთ ასეთ პარალელურ მაგისტრად მოხსენიებულია ვინმე როსელენი. ეს სახელი არ გვხვდება ტამპლიერების ოფიციალურ, ქრონოლოგიურად დალაგებულ მაგისტრთა სიაში. თუმცა, ცნობილია,

რომ 1281 წელს, მაგისტრ გიიომ დე ბოჟეს დროს ორდენში მიიღეს პროვანსელი რაინ-დი რონსელენ დიუ ფო. იგი ტამპლიერების იერარქიულ კიბეზე არ დაწინაურებულა, მაგრამ თუ ვივარაუდებთ პარალელური იერარქიის არსებობას, შესაძლებელია დავ-უშვათ, რომ მან მიაღწია მაგისტრის თანამდეობას. გ. ფო აცხადებს, რომ ორდენის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჟოფრუა დე გონევილმა პირველ დაკითხვაზე ქრისტეს უარყოფის რიტუალი შემდეგნაირად ახსნა: „არიან ზოგიერთნი, რომლებიც თვლიან, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდი და გაუკუღმართებული შენატანი ორდენის მაგისტრ რონსელენის წესდებაში“ (Φο 2007 : 278). გი ფო აღნიშნავს, გონევილი, რომე-ლსაც უნდა სცოდნოდა რას ამბობდა, შემოისაზღვრა ანონიმური მსჯელობის მოთხ-რობით, რომ ორდენის დიდი მაგისტრების ცნობილ სიაში არ ფიგურირებს არავითა-რი რონსელენი და იმ წესდებებში, რომლებითაც ვხელმძღვანელობთ, ასევე არ არსე-ბობს არანაირი „დამატებები“, რაც ჯვარზე დაფურთხებას შეეხება (Φο 2007 : 278).

ორდენის წინააღმდეგ გამართული პროცესის დროს ინგლისში დაკითხვაზე, სამ-მა ტამპლიერმა განაცხადა, რომ : „სინამდვილეში მეტაძრეთა ორდენში არსებობდა მიღების ორი წესი: პირველი მიღება, რომელიც მიმდინარეობდა ყოველგვარი გასაკი-ცხი ცერემონიის გარეშე, მეორე - კი ძალიან საიდუმლო, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ტარდებოდა და რომლის ღირსი ხდებოდა მხოლოდ ზოგიერთი“ (Φο 2007 : 279). ტამპლიერმა ჟერვე დე ბოვემ საფრანგეთში დაკითხვაზე აღიარა: „ორდენში არს-ებობდა ესოდენ უჩვეულო რეგლამენტი, რომელსაც ისე საიდუმლოდ ინახავდნენ, რომ ნებისმიერი მათგანი ამჯობინებდა უმალ თავის მოკვეთის ნება დაერთო, ვიდრე იგი გაეცა“. მოწმის სიტყვებით, ძმა ჟერვეს „ჰქონდა ორდენის წესდება, მას თამამად აჩვენებდა და კიდევ სხვა წიგნაკი, უფრო საიდუმლო, რომელსაც მთელი მსოფლიოს ოქროს ფასადაც კი არ ანახებდა არავის“. მოწმე არ განმარტავს, რა მიზეზის გამო აღი-არა მან ეს (Φο 2007 : 279). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორი სასტიკი წამ-ების ქვეშ მიმდინარეობდა დაკითხვები, რთული არ იქნება ეჭვი შეგვეპაროს ამ აღია-რებებში. წყაროების სიმწირის გამო ეს საკითხი მოკლებულია მკვლევართა ანალიზს.

1877 წელს გამოჩნდა მაგისტრ რონსელენის საიდუმლო წესდება „წიგნი ცეცხლ-ით ნათლობისა და საიდუმლო წესდების შესახებ, შედგენილი მაგისტრ რონსელენის მიერ“. გი ფოს აზრით, ამ დოკუმენტში მოსალოდნელი სენსაციური მხილების ნაცვ-ლად, მხოლოდ რამდენიმე ბანალურ წესს ვკითხულობთ, ყბედობისა და უმეცრების საწინააღმდეგოდ. თუმცა, საყურადღებოა შემდეგი განცხადება: „იცოდეთ, რომ ღმე-

რთი სრულებით არ განასხვავებს ადამიანებში ქრისტიანებს, სარკინოზებს, ებრაელ-ებს, ბერძნებს, რომაელებს, ფრანკებსა ბულგარელებს, რადგან ყველა ადამიანი, ვინც ლოცულობს ღვთის წინაშე, გადარჩენილია“. გი ფო ასკვნის, თუ ეს სინამდვილეში დაიწერა XIII საუკუნეში, ორდენში, რომლის ამოცანაც ურწმუნოებთან ბრძოლა იყო, შევიძლია ვიფიქროთ, რომ ტამპლიერებმა რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს განმანათ-ლებლობის ეპოქის ფილოსოფოსებს“ (Фо 2007 : 280). ეს დოკუმენტი არ არის შესწავლ-ილი მკვლევრების მიერ, რადგან დაიკარგა. საიდუმლო წესდების შესახებ ვერსიებს ვერ მივიჩნევთ სარწმუნოდ, რადგან დღემდე არ  არსებობს  რაიმე მტკიცებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. საიდუმლო წესდება არ იქნა აღმოჩენილი 1307 წლის 13 ოქტომბერს. (დღე, როდესაც ყველა ტამპლიერი დააპატიმრეს.) ორდენის სახლების ჩხრეკისას 1128 წელს შედგენილი წესდება, წმინდანთა ცხოვრების შრომები და საბუ-ღალტრო წიგნები იპოვნეს. მიუხედავად ფილიპ IV-ის კომისრების შვიდწლიანი დაჟ-ინებული ძებნისა მოეპოვებინათ საიდუმლო განაწესი, იგი მაინც ვერსად აღმოაჩინეს.

ამრიგად, ტამპლიერების ორდენის წესდება შემუშავდა და დამტკიცდა ბერნარ კლერვოელის ხელმძღვანელობით 1128 წელს ტრუას საეკლესიო კრებაზე, სადაც ოფ-იციალურად აღიარეს მათი სტატუსი. წესდებამ დააკანონა ტამპლიერების იერარქი-ული სისტემა და ყოველდღიური შინაგანაწესი. შეიძლება ითქვას, რომ 1128 წელს ტრუაში შედგენილ ტამპლიერების წესდებაში და არც შემდეგ დამატებებში არ არსებ-ობდა საიდუმლო პუნქტები. აქედან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას ორდენის საიდუმლო წესდების არსებობის შესახებ, რადგან იგი  დღემდე არ არის აღ-მოჩენილი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროცესზე ინკვიზიციას არასოდეს გამოუყენებია წესდება, როგორც მტკიცებულება. ბრალმდებლები, ახსენებდნენ მხო-ლოდ საიდუმლო განაწესს და ცდილობდნენ მის მოძიებას. ტამპლიერების ორდენის წესდება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე  ფასეულ მატიანეს, რომელიც ამტკიცებს, რომ განაწესი წევრებისაგან ითხოვდა მორჩილებასა და გმირობას. მართალია, ტამპლ-იერები ყოველთვის არ ხელმძღვანელობდნენ  წესდების დადგენილებებით, ხშირად არღვევდნენ მას (წესდების მრავალი თავიც ამ დარღვევების აღმოფხვრას ეხება),  რაც შესაძლოა გახდა ერთ-ერთი მიზეზიც ორდენის დაშლის, მაგრამ ნათელია ის, რომ ტამპლიერთა წესდება გამსჭვალულია მხოლოდ ასკეტური სულისკვეთებითა და ქრისტიანობისადმი ერთგულებით.

## 1.3. ტამპლიერების ორდენი წმინდა მიწაზე

ტამპლიერების ორდენი იყო ჯვაროსნული ლაშქრობების პირმშო. ორგანიზაციის მიზანი თავდაპირველად პილიგრიმთა დაცვაში მდგომარეობდა, მაგრამ ძალიან მალე ორდენმა მიიღო საომარი მიმართულება და გახდა ჯვაროსნული ლაშქრობების აქტიური საბრძოლო ლეგიონი. ტამპლიერების ორდენი წმინდა მიწაზე ჩამოყალიბდა როგორც კარგად ორგანიზებული, მტკიცე სამხედრო-სასულიერო ინსტიტუტი, მაგრამ მეტაძრეების სახელი ძალიან დააზიანა ზოგიერთი მაგისტრის არასწორმა პოლიტიკამ. წმინდა მიწის დაკარგვამ დრამატული ამბების გავრცობა-ინტერპრეტირება გამოიწვია  და ისტორიკოსებს შორის წარმოშვა სხვადასხვა  ვარაუდი.

იმის გამო, რომ მკვლევართა უმრავლესობა ძირითად აქცენტს აკეთებს ორდენის სასამართლო პროცესზე და ივიწყებენ იმ დამსახურებას, რომელიც ტამპლიერების სახელთანაა დაკავშირებული ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში, ჩვენ შევეცადეთ წინ წამოგვეწია ეს საკითხი, ასევე აგვეხსნა ორდენის ტრანსფორმაცია საბანკო-საფინანსო მაგნატად და მისი საბედისწერო შედეგები.

ტრუას კრების შემდეგ ჰიუგ დე პეინი ევროპიდან იერუსალიმში დაბრუნდა. მის ორგანიზაციას ბევრი რაინდი შეუერთდა და მალე ტამპლიერებმა ბრძოლებში სიმამაცითა და იერუსალიმში ჩასულ პილიგრიმთა მიმართ გამოჩენილი მზრუნველობით გაითქვეს სახელი. ჰიუგ დე პეინი 1136 წელს გარდაიცვალა. მან მიაღწია უმაღლეს მდგომარეობას პალესტინაში მებრძოლ რაზმებს შორის და ბევრისათვის იქცა იდეალად, როგორც ქრისტეს საფლავის თავგანწირული დამცველი. ახალ მაგისტრად აირჩიეს ბურგუნდიელი რაინდი რობერ დე კრაონი (1136-1149). იგი იმდენად ჭკვიანი და ბრძენი აღმოჩნდა, რომ დაიმსახურა პაპებისაგან; ინოკენტუს II-ისა და ცელისტინ II-ისაგან მიეღო ბულები, რომლებშიც თავმოყრილი იყო თითქმის ყველა  პრივილეგია, რაც ტამპლიერებს შეეხებოდა. წესდების ფრანგული თარგმანიც მისი მაგისტრობის დროით თარიღდება. მან უდიდესი დიპლომატიური ნიჭიც გამოავლინა, როცა უარი თქვა ალფონს I არაგონელის მემკვიდრეობაზე, რაც ორდენს მხოლოდ დააზარალებდა და კარგი ურთიერთობა დაამყარა ბარსელონელ გრაფ რაიმუნდ ბერენგართან, რომლის წყალობითაც ტამპლიერები ესპანეთში მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ.

ტამპლიერებისა და პოსპიტალიერების ორდენები გახდა დასაყრდენი სამხედრო პოლიტიკური ძალა იერუსალიმის სამეფოსი. ამ ორდენების მეშვეობით ჯვაროსანთა

სამეფო-სამთავროებმა აღმოსავლეთში ერთგვარი პოლიტიკური სიმტკიცე მოიპოვეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ამ სამეფო-სამთავროებში სოციალ-პოლიტიკური ვითარება დაძაბული იყო. მათი მესვეურები უთანხმოებას არ წყვეტდნენ. ასეთი შიდა გართულებით ისარგებლა მოსულის ათაბაგმა, იმალ-ედ-დინმა ზენგმა და 1144 წელს დაიპყრო ედესის საგრაფო, რომლის დაკარგვამ გამოიწვია II ჯვაროსული ლაშქრობა, რომელიც 1147 წელს წამოიწყო საფრანგეთის მეფე ლუი VII-მ და გერმანიის იმპერატორმა კონრად III-მ. ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები ესწრებოდნენ სამეფო კარის საბჭოს იერუსალიმში, რომელიც განიხილავდა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის კურსს. ეს ფაქტი მეტყველებს ამ ორი ორდენის უდიდეს გავლენაზე წმინდა მიწაზე.

ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ტამპლიერები. ისინი ბრძოლაში ძირითადად ქრისტიანული არმიის ავანგარდში იყვნენ, ასევე უკან დახევისას ცდილობდნენ შეედგინათ არიერგარდი. ლატაკიის მახლობლად მუსლიმებისაგან ალყაშემორტყმულმა საფრანგეთის მეფე ლუი VII- მ მხოლოდ ტამპლიერების მაგისტრს, ევრარ დე ბარს სთხოვა მისი არიერგადის ხელმძღვანელობა, რათა გამოეყვანა იგი მძიმე მდგომარეობიდან. ცნობილია ისიც, რომ სწორედ ევრარ დე ბარმა გაუგზავნა ფრანგ მეფეს სოლიდური თანხა ჯვაროსანთა ხარჯების დასაფარავად. ლუი VII აღნიშნავდა ტამპლიერების თანადგომაზე, რაც მათ აღმოსავლეთში გაუწიეს. არსებობს მისი წერილი აბატ სუგერიუსისადმი[1] (ფრანგულად - სიუჟე), რომელიც ფასეულ წყაროს წარმოადგენს: „ჩვენ არ გვსურს თქვენ დაგიმალოთ ის მრავალი პატივისცემა, ამ პატივის გამოხატულება და ის დახმარება, რომელიც მეტაძრეთა ორდენის ძმებმა გაგვიწიეს ჩვენ და ჩვენს თანამებრძოლებს აღმოსავლეთში ჩასვლის შემდეგ. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია და არც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მათი იმ დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, რომელთა ნაკლებობა არასოდეს განგვიცდია, შეგვძლებოდა გვეარსება ამ ქვეყანაში, როგორი ხანმოკლეც უნდა ყოფილიყო ჩვენი იქ ყოფნა. ჩვენ არ შეგვიძლია გადმოგცეთ, როგორ გულმოდგინებას, სიყვარულს ავლენდნენ მეტაძრეები ჩვენთან ურთიერთობაში აღმოსავლეთში“ (Лобе 2003 : 62).

ტამპლიერების ორდენი თანდათან მუდმივმოქმედ საომარ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომელიც მოწოდებული იყო არა მარტო დაეცვა მლოცველები წმინდა მიწა-

[1] სუგერიუსი- სენ - დენის მონასტრის აბატი, ფრანგი მეფეების ლუი VI და ლუი VII მრჩეველი.

ზე, არამედ კიდევ უფრო გაეფართოებინა ჯვაროსნული სახელმწიფოები პალესტინასა და სირიაში. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მასშტაბურ ბრძოლას არ ჩაუვლია მათი დახმარების გარეშე. როგორც ჩანს სიმამაცისა და თავგანწირვის გამო ტამპლიერებს ანდობდნენ ყველაზე რთულ საქმეებს. ისინი მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. მათი მრავალრიცხოვანი გარნიზონები იცავდა წმინდა მიწას. კაპელეტოს ცნობით, შატო -პელერენში იმყოფებოდა 300 რაინდი, ტორტოზაში- 500, საფედში – 200, კასტელ-ბლანში -200, იერუსალიმის ტაძარში კი- 1000 რაინდი და კიდევ არსებობდა ორდენის 14 სხვა სახლი წმინდა მიწაზე და ორი მუდმივმოქმედი არმია ესპანეთში. ამ ყველაფეეზე ყოველდღიურად იხარჯებოდა უდიდესი თანხები. ბრძოლის შემდეგ ევროპის საკომანდოები ვალდებული იყო შეევსო კონტიგენტი და მიეწოდებინა საჭირო აღჭურვილობა (Каппелетто 2004 : 344). ტამპლიერები იყენებდნენ დაქირავებულ მეომართა რაზმებსაც, რომლებსაც თურქოპოლებს უწოდებდნენ.

სამხედრო დისციპლინასა და სამსახურთან ერთად ტამპლიერები ფლობდნენ გარკვეულ სამედიცინო ცოდნასაც. ისინი წამლებსაც ამზადებდნენ ბალახებისაგან სახალხო მედიცინის ტრადიციული მეთოდებით.

1148 წლის ივლისში დამასკოსაკენ გაემართა ჯვაროსანთა არმია ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების ორდენების მებრძოლებთან ერთად. თავიდან ჯვაროსნებმა მოიპოვეს უპირატესობა, გაარღვიეს ბანაკი და დაიწყეს ალყის შემორტყმა დამასკოზე, მაგრამ ლუი VII-მ და კონრად III-მ მოულოდნელად შეცვალეს დისლოკაცია იმ მოტივით, რომ ამგვარად ნაკლებად შეეჯახებოდნენ მტერს. ალყა გაჭიანურდა, საბოლოოდ ოპერაცია ჩაიშალა, რომლის მიზეზადაც ჟამთააღმწერელნი ღალატს მიიჩნევდნენ. დამასკოს ჭიშკართან ალყის მოხსნამ წარმოშვა სხვადასხვა ვერსია; რაიმუნდ ანტიოქიელს, ბოლდუინ III -ს, ჰოსპიტალიერებს, ტამპლიერებს და თვით იერუსალიმის პატრიარქსაც კი ადანაშაულებდნენ, რომ ისინი მიეყიდნენ მტერს ოქროზე. დაახლოებით ასახელებდნენ 3 კასრ ოქროს, რომელიც თურმე ღმერთმა თაფლად გადააქცია. ბ. კუგლერი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ცნობილმა ღალატმა დამასკოს ჭიშკრის წინ წარმოშვა მრავალი ინტერპრეტაცია, რომ ზემოთ მოხსენიებულ პირებს თითქოს ანარმა გადაუხადა 250 ათასი ოქრო, რომელიც შემდგომში ყალბი, მოოქროვილი სპილენძი აღმოჩნდა (Куглер 1895:158). კუგლერი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ ბრძოლაში რაიმუნდი არც კი მონაწილეობდა, მაგრამ ვარაუდობს, რომ მაღალი რანგის წარმომადგენლები, განსაკუთრებით რაიმუნდ ანტიოქიელი, შესაძლოა უკვე ადრ-

ევე იყო შეთანხმებული იერუსალიმელებთან ალყის მოხსნაზე (Куглер 1895 : 159). ტამპლიერები მონაწილეობდნენ ასკალონის (აშქელონი) ბრძოლაში 1153 წელს. ისინი პირველნი ეკვეთნენ ქალაქის მისადგომებს და დაიღუპნენ კიდეც. ამ ბრძოლაში დაიღუპა ტამპლიერ მებრძოლთა მთელი რაზმი, რომელიც იმ პერიოდში ჰყავდა ორდენს დიდ მაგისტრ, ბერნარ დე ტრემელთან ერთად. გ. ტირელი მიიჩნევს, რომ ტამპლიერები ამ ბრძოლაში შეეწირნენ სიხარბეს, რადგან პირველებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ საომარი ნადავლი. პ. რიდის აზრით, ქრონისტის ცნობა მცდარი უნდა იყოს, რადგან ღამით, როცა რაზმმა მოინდომა ციხის შტურმით აღება, უეცრად ჩამოინგრა კედელი და ორდენის რაინდები თან ჩაიტანა (Рид 2005: 174-175). ახალ მაგისტრად კაპიტულმა აირჩია ანდრე დე მონბარი, ბერნარ კლერვოელის ბიძა.

1154 წელს ტამპლიერებმა დაატყვევეს ეგვიპტიდან გაქცეული დიდი ვეზირის აბბასას შვილი ნასრედინი. ამ ფაქტის გამო ტამპლიერებს ადანაშაულებდნენ სპეკულაციაში, ძარცვასა და ყაჩაღობაში, რაც სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ამ პერიოდში ისინი იცავდნენ კაიროსა და დამასკოს შორის დამაკავშირებელ საქარავნო გზებს და სწორედ ამ ტერიტორიაზე მომხდარ ბრძოლაში დაატყვევეს ნასრედინი, რომლის გამოსყიდვაში არაბებმა თურმე სოლიდური თანხა გადაუხადეს ტამპლიერებს. აღსანიშნავია ის, რომ სამხედრო ალაფის მისაკუთრება ჯვაროსანთა ეპოქაში ითვლებოდა სრულიად კანონიერად და მათ თვით პაპისაგან ჰქონდათ ეს უფლება მინიჭებული.

მეორე ჯვაროსნული ლაშქრობიდან ტამპლიერები თავიანთი მისიის მწვერვალზე აღმოჩნდნენ. ამას დაემატა ორდენისადმი ზღვარგადასული ყურადღება, პრივილეგიები, ძლევამოსილება რამაც მათში სიამაყისა და განდიდების გრძნობა გააღვიძა და ისინი უფრო პირქუშები, ქედმაღლები გახდნენ. ტამპლიერების აღზევებამ შური გამოიწვია ჰოსპიტალიერებში. მალე შური მტრობასა და ურთიერთშორის ომში გადაიზარდა. ოდონ დე სენტ-ამანის ხელმძღვანელობის დროს ორივე ორდენის მაგისტრმა გააცნობიერა, რომ მათი მეტოქეობა დამღუპველი იყო. იოანიტების მაგისტრმა როჟე დე მულენმა და ამანმა შეიმუშავეს პირობები და დადეს შეთანხმება, რომელიც 1179 წლის 2 აგვისტოს რატიფიცირებული იქნა პაპ ალექსანდრე III-ის მიერ. თუმცა, ორდენებს შორის მეტოქეობა ამ შეთანხმებით არ ამოწურულა.„მძლავრი ზნეობრივი თავშვებულობა იყო გამეფებული იოანიტებისა და ტამპლიერებისა სამხედრო-სასულიერო ორდენებში, რომელთა წევრებსაც არ სურდათ ეცხოვრათ ქრისტეს წესებით, მაგრამ ყოველთვის მზად იყვნენ მომკვდარიყვნენ მისთვის“ (Заборов 1971: 107).

XII საუკუნის 70-იან წლებში ჯვაროსნებსა და იერუსალიმის სამეფოს ძლიერი საფრთხე დაემუქრა, რადგან ეგვიპტეში მომხდარი დინასტიური ცვლილებების (ფატიმიდების დინასტიის დაცემის) შემდეგ მისი მმართველი გახდა მესოპოტამიელი ქურთი ფეოდალების შთამომავალი, აიუბიანთა დინასტიის დამაარსებელი სალაჰ-აჰდინ იუსუფ იბნ-აიუბი (1138-1193), რომელსაც ევროპაში სალადინს უწოდებდნენ. მან ეგვიპტე, სირიის მუსლიმთა ტერიტორიები და ჰიჯასი ერთ სამეფოში გააერთიანა. ქრისტიანებმა დაკარგეს ძალიან დიდი უპირატესობა. ახალი სამეფო ძლიერი აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც. სალადინმა ჯვაროსნებს ჯიჰადით უპასუხა. იგი 1177 წლის ნოემბერში ეგვიპტიდან იერუსალიმისაკენ გაემართა. იერუსალიმის მეფემ ბოლდუინ IV-მ, რომელიც ამ დროს ასკალონში იმყოფებოდა ჯვაროსანთა ლაშქარი მონტგიზარეში გადაიყვანა. ტამპლიერების ორდენის მაგისტრი ოდონ დე სენტ ამანი 80 რაინდთან ერთად ღაზადან ჩავიდა. ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი, 1000 სარაცინმა გაქცევა ამჯობინა იერიშის წინ. თვითონ სალადინიც ეგვიპტეში დაბრუნდა. „მონტგიზარესთან ბრძოლაში საუკეთესო გამარჯვება მოიპოვეს ჯვაროსნებმა. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა კეთროვანი მეფე ბალდუინ IV 500 რაინდთან, რომელშიც შედიოდა 80 ტამპლიერი (დაახლოებით 3000 მებრძოლი 30 000 მამლუქის წინააღმდეგ)“ (Перну 2001:136).

მონტგიზარესთან გამარჯვებამ ჯვაროსნებს მშვიდობა მოუტანა. ამ ბრძოლის შემდეგ ტამპლიერების მაგისტრმა ოდონ დე სენტ ამანმა გადაწყვიტა აეშენებინა ციხე-სიმაგრე, რომელიც გადაკეტავდა წმინდა იაკობის გადასასვლელს იორდანიის გავლით, საიდანაც სარაცინები შედიოდნენ გალილეაში. ამ რაიონს უნდა ჰქონოდა დემილიტარიზაციული ზონის სტატუსი. მეფე ბოლდუინ IV-მ მშენებლობაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მუსლიმებთან ბოლოს დადებული ხელშეკრულება კრძალავდა მშვიდობიან პერიოდში საზღვრებზე ახალი სიმაგრეების მშენებლობას. ამანმა განაცხადა, რომ მას, ასეთი ვალდებულება არ აუღია და ციხის აგება დაიწყო. მაგისტრმა გამოავლინა ქედმაღლობა და თვითნებობა. 1178-1179 წლებში მთელი ზამთრის განმავლობაში, 6 თვე შენდებოდა შატლეს ციხე, რომელშიც ტამპლიერების გარნიზონი განთავსდა. 1179 წლის 24 აგვისტოს სალადინი მოულოდნელად გარს შემოერტყა შატლეს ციხეს. გარნიზონის უფროსმა ტამპლიერმა დანებებას ამჯობინა ცეცხლში ჩავარდნილიყო, ამან საბაბი მისცა მუსლიმ ისტორიკოსებს ემტკიცებინათ, რომ ის მიწიერი ალიდან მარადიულ ცეცხლში გადავიდა (Виймар 2003 : 314). ეს ბრძოლა ჯვარო-

სნებისათვის დამთავრდა ტრაგიკულად. მაგისტრი ამანი, რომელიც პირველი გაიჭრა მტრის შესახვედრად და ორდენის მრავალი წევრი ტყვედ ჩავარდა. რამდენიმედღიანი ალყის შემდეგ სალადინმა დატოვა ციხე-სიმაგრე, რომელიც მან ისე დაანგრია, როგორც ჩვენ პერგამენტიდან ასოებს ამოვშლით (Виймар 2003 : 314). სალადინის ბრძანებით, გარნიზონის ყველა ტამპლიერს თავი მოკვეთეს. ბოლდუინ IV იძულებული გახდა შერიგებოდა ახალ ზავს. ოდონ დე სენტ ამანი 1180 წლის 9 ოქტომბერს ტყვეობაში გარდაიცვალა. მან არ დაუშვა, რომ ის გამოესყიდათ, ან ვინმეში გაეცვალათ: „ტამპლიერს - ამბობდა ის, გამოსასყიდად მხოლოდ საკუთარი ქამარი ან საბრძორძოლო ხანჯალი შეუძლია გაიღოს“ (Мельвиль 2003 : 119). მელვილის მოსაზრებით, შესაძლებელია მან არ მოისურვა მიეტოვებინა ორდენის წევრები, რომლებიც ტყვეობაში მის ბედს იზიარებდნენ, და იმისათვის, რომ ისინიც გამოესყიდათ, მათი რიცხვი იყო ძალიან დიდი. ახალ მაგისტრად ტამპლიერებმა აირჩიეს არნო დე ლატურ რუჟი, რომელიც უკვე მოხუცი იყო. ამ პერიოდში კი წმინდა მიწაზე უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. მეფე ბოლდუინ IV კეთრმა ისე ძალიან დააუძლურა, რომ მას საკაცით დაატარებდნენ ბრძოლის ველზე. თუმცა, ის მაინც ვაჟკაცურად იგერიებდა სალადინის გაუთავებელ თავდასხმებს. მან ძალაუფლება გადასცა ფრანგ ჯვაროსანს გი დე ლუზინიანს, რომელიც მის დაქვრივებულ დაზე, სიბილაზე აპირებდა დაქორწინებას. ლუზინიანმა ვერ გამოიჩინა გონიერება, მრავალი სირიელი სენიორი აიმხედრა და მეფეც კი გაანაწყენა, როდესაც უარი უთხრა ქალაქ იაფას დათმობაზე. მომაკვდავმა ბალდუინ IV-მ აკრში მოიწვია საბჭო, ლუზინიანს ჩამოართვა რეგენტობა, მემკვიდრედ დისშვილი, ხუთი წლის ბოდუენი გამოაცხადა და სამეფოს დაცვა მისი სიკვდილის შემდეგ ტრიპოლის გრაფ რაიმუნდ III-ს (1152-1187) დაავალა. საბჭომ ასევე გადაწყვიტა ევროპაში დიპლომატიური მისიის გაგზავნა წმინდა მიწაზე შექმნილი მდგომარეობის შესატყობინებლად. ელჩებად დანიშნეს: პატრიარქი, იოანიტების მაგისტრი და ტამპლიერების მაგისტრი არნო დე ლატურ რუჟი, რომელიც 1184 წლის 30 სექტემბერს ვერონაში გარდაიცვალა. ახალ ხელმძღვანელად მეტაძრეებმა ჟერარ დე რიდფორი აირჩიეს, რომელიც იყო ბოლო მაგისტრი, სოლომონის ტაძარში დამტკიცებული. ბევრ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ რიდფორის ხუთწლიანმა მმართველობამ ორდენს სახელი ძალიან გაუტეხა. მელვილის შეფასებით, რიდფორი იყო და ბოლომდე დარჩა ავანტიურისტად, რომელსაც არ ჰქონდა, არც სამხედრო გამოცდილება, მაგრამ ავლენდა განზრახვას, თავი გადაერჩინა და გაეძლო ყველანაირი კატასტროფისათვის, რომ-

ელსაც თვითონ იწვევდა. მან ყველაფერი პირადი შურისძიების მიზნებს დაუკავშირა. გენერალური კაპიტულის და მაგისტრის ძალაუფლებანი საკმარისად თანაბრდებოდა, მაგრამ წესდებაში არაფერი იყო გათვალისწინებული იმ შემთხვევებისთვის, როცა ორდენის მეთაური უპასუხისმგებლობას იჩენდა (Мельвиль 2003 : 122).

1185 წელს გარდაიცვალა იერუსალიმის მეფე ბოლდუინ IV. ჟერარ დე რიდფორმა დაარღვია მეფისადმი მიცემული ფიცი და დაუპირისპირდა ტრიპოლის გრაფს რაიმუნდს, რომელსაც ასევე მტრული დამოკიდებულება ჰქონდა გი დე ლუზინიანთან. ასეთი შიდა კონფლიქტები ართულებდა ისედაც მძიმე მდგომარეობას და დაპირისპირებული პირები მალევე შერიგდნენ, თუმცა, მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1187 წელს იერუსალიმის მეფესა და სალადინს შორის დადებული შეთანხმება დაარღვია კერაკის ციხე-სიმაგრის მფლობელმა რენო შატილიონმა (1124- -1187). მიუხედავად დაპირებისა, შატილიონმა 1187 წლის გაზაფხულზე გაძარცვა მუსლიმი ვაჭრების ქარავანი, რომელშიც სალადინის დაც იმყოფებოდა. სალადინმა ელჩები გაუგზავნა იერუსალიმის მეფეს და მოსთხოვა დანაკარგის ანაზღაურება, აგრეთვე ურჩი გრაფის დასჯაც. გი დე ლუზინიანი სუსტი მბრძანებელი იყო. მას არ სურდა ძლიერი ვასალის განაწყენება და ვერ გაბედა რენო შატილიონის დასჯა. სალადინმა მთელ მესოპოტამიაში, სირიასა და ეგვიპტეში გაავრცელა „წმინდა ომის“ მოწოდება, რის შედეგადაც მუსლიმური ძალები გაერთიანდნენ დამასკოში და 1187 წლის მაისში დაიწყო ლაშქრობა ჯვაროსნების წინააღმდეგ.

1187 წლის 1 მაისს სალადინის ძლევამოსილი არმია ფევის ციხეს მიადგა. 500 მეტაძრე რაინდი იოანიტებთან ერთად დადგნენ წმინდა მიწის დასაცავად. ძველი ქრონიკები მოგვითხრობენ ქრისტიან რაინდთა სიმამაცეზე: „ხედავდნენ რა მეომრები, რომ ისრები აღარ ჰქონდათ, იგლეჯდნენ ჭრილობიდან ისრებს და ისევ უბრუნებდნენ მტრებს...განსაკუთრებული გმირული სიმამაცით გამოირჩეოდა ტამპლიერების ორდენის რაინდი ჟაკ (იაკობ) დე მალიე. ბრძოლის ველზე მარტოდ დარჩენილი, თეთრ ცხენზე ამხედრებული, რაინდი ყოველი მხრიდან მტრებით გარშემორტყმული იბრძოდა მკვდრების გორებს შორის და მაინც არ ნებდებოდა. სარაცინებმა ის მიიჩნიეს წმინდა გიორგიდ. მალიეს სიკვდილის შემდეგ თურქი მეომრები მოკრძალებით უახლოვდებოდნენ მის ნაწამებ სხეულს, სისხლში ცხვირსახოცებს ყოფდნენ და ინახავდნენ მისი ხმლის ნაწილებს“ (Мишо 1841 : 277-278). ეს დღე იყო ძალიან ტრაგი-

კული ორივე ორდენისთვის. მრავალი რაინდი დაიღუპა ბრძოლის ველზე. ისინი დაასაფლავეს წმინდა მარიამის სახელობის ეკლესიაში.

შურისძიებით ანთებულმა ჯვაროსნებმა დაიწყეს მზადება ბრძოლისათვის. წმინდა მიწის ყველა დიდებული შეიკრიბა სალადინთან შესახვედრად. ტამპლიერებმა რჩეული რაინდებითა და დაქირავებული ქვეითებით გააძლიერეს ქრისტიანული ლაშქარი. იერუსალიმის პატრიარქმა მათ მიანდო ცხოველმყოფელი ჯვარი. მთავარსარდალი მეფე იყო, მაგრამ იგი ისეთივე სუსტი აღმოჩნდა სტრატეგიაში, როგორიც პოლიტიკაში იყო. 1187 წლის 4 ივლისს, გამთენიისას წმინდა მარტინის დღესასწაულის დღეს ბრძოლა მოხდა ჰატინთან. გაიმარჯვა სალადინის კოალიციურმა არმიამ. ბრძოლის ველზე დაიღუპა მრავალი ჯვაროსანი, ტამპლიერი და ჰოსპიტალიერი მეომარი. გადარჩენილი ჯვაროსანები და მათ შორის მეფე გი დე ლუზინიანი ტყვედ ჩავარდნენ.

სალადინმა წყალობით მიიღო მეფე და ტამპლიერების მაგისტრი. მან გი დე ლუზინიანი გვერდზე დაისვა, ანუგეშა და სასმელი შესთავაზა. ლუზინიანმა შესვა და უნდოდა მიეწოდებინა რენე შატილიონისათვის, მაგრამ სალადინმა შეაჩერა იგი: „ამ გამცემმა არ უნდა დალიოს ჩემთან ერთად, მე არ მინდა მას ვწყალობდე“ (Мишо 1841: 292). სულთანი მიუბრუნდა რენო შატილიონს და შესთავაზა მიეღო ისლამი, თორემ სიკვდილით დასჯიდა, რაზედაც რენომ უარით უპასუხა. სალადინმა მას თავი მოჰკვეთა. მან მეორე დღეს ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების მოყვანა ბრძანა. მათში სულთანი ისლამის დაუძინებელ მტრებს ხედავდა. მან თქვა: „მე უნდა გავწმინდო ეს მიწა, ამ ორი ეშმაკისეული აღმონაცენისაგან“ (Мишо 1841 : 293). ბერი მეომრები დასასჯელად გადასცეს ჯალათებს, რომლებიც აწამებდნენ თითოეულ რაინდს ბოძზე მიბმულს. ისინი აიძულეს მუხლი მოეყარათ სანამ თავს მოკვეთდნენ. წამების წინ სულთანი სთავაზობდა მათ სიცოცხლის ჩუქებას პირობით, „აღემართათ თითი და მიეღოთ კანონი“ - გამხდარიყვნენ მუსლიმები. 230 ტამპლიერიდან არც ერთს არ გამოუვლენია სულმოკლეობა (Мельвиль 2003 : 129). ისინი ჯერ აწამეს და შემდეგ დახოცეს. ამას უყურებდა სალადინი და ტაშს უკრავდა. თუმცა, მან შემწყნარებლობა გამოიჩინა საერო პირების მიმართ და მონანიების შემდეგ შეიწყალა ისინი. სულთანმა მეფე და მასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი დიდებულები გაათავისუფლა. მელვილვის მოსაზრებით, ტამპლიერების მაგისტრი ჟერარ დე რიდფორი უცნობი მიზეზის გამო შეიწყალა (Мельвиль 2003 : 129). ისტორიკოსები რიდფორის საქციელს გაუაზრე-

ბელ ღალატად მიიჩნევენ, რომ თითქოს მან უგუნური რჩევები მისცა მეფეს, რამაც გამოიწვია ჯვაროსანთა დამარცხება.

ჰატინთან ბრძოლამ გადაწყვიტა ფაქტობრივად ქრისტიანთა ბედი წმინდა მიწაზე. ეს დამარცხება ჯვაროსნებისათვის იყო აღმოსავლეთის კოლონიზაციის კრახი. 3 თვის შემდეგ, 2 ოქტომბერს, სალადინმა დაიპყრო იერუსალიმი და მუსლიმებმა დიდი ხნით ბოლო მოუღეს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად 1099 წელს დაარსებულ იერუსალიმის ქრისტიანულ სამეფოს: „უფლის ტაძარი კვლავ გახდა ომარის მეჩეთი, სოლომონის ტაძარი, ტამპლიერების სამყოფელი ისევ გახდა ალ-აქსას მეჩ- ალ-აქსას მეჩეთი“ - წერს გრუსე (Груссе 2007: 251- 252).იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ ტამპლიერებმა თავისი რეზიდენცია აკრის ციხე-სიმაგრეში გადაიტანეს და იქიდან აგრძელებდნენ ჰოსპიტალიერებთან ერთად წმინდა მიწაზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქრისტიანთა დაცვას. მუსლიმებმა ჯვაროსნები გამოყარეს პალესტინიდან. ქრისტიანებს დარჩათ გალილეაში ორდენების ციხე-სიმაგრეები: ტამპლიერების საფედი, ღაზა და ჰოსპიტალიერების ბოვუარი, რომლებიც უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას მუსლიმებს. საფედი აიღეს 1188 წელს, ღაზა კი მრავალთვიანი ალყის შემდეგ ჟერარ დე რიდფორის ბრძანებით დანებდა მუსლიმებს. ჟერარმა ღაზისა და მიმდებარე ციხეების ტამპლიერებს უბრძანა არ გაეწიათ წინააღმდეგობა სალადინისთვის. მელვილის მოსაზრებით, დაპყრობილი ქვეყნის შუაგულში იზოლაციაში მყოფი ციხე-სიმაგრე ადრე თუ გვიან მაინც დაეცემოდა, მაგრამ მისმა დანებებამ კიდევ უფრო ავნო ტამპლიერებს. ორდენს კვლავ შეეძლო აღედგინა ძალები, მაგრამ სიამაყითა და განუსჯელობით ჟერარ დე რიდფორმა თავის სახელს თითქმის სასიკვდილო დარტყმა მიაყენა, ამის შემდეგ ტამპლიერებს თავს დაატყდათ უამრავი საყვედური და ეჭვი მემატიანეების მხრიდან (Мельвиль 2003 : 131).

იერუსალიმის დაცემას დაუყოვნებლივ მოჰყვა ჯვაროსანთა ახალი - მესამე ლაშქრობა (1189-1192). სალადინის წინააღმდეგ ევროპელთა მიერ წამოწყებულ ბრძოლაში ჩაება; საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, საფრანგეთის მეფე ფილიპ II ოგიუსტი და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული. ამ ლაშქრობაში ტამპლიერებიც მონაწილეობდნენ. 1189 წელს სალადინმა ალყა შემოარტყა აკრას. ტამპლიერები იბრძოდნენ ქალაქის დასაცავად, რომლის უმრავლესობა დანგრეულმა კედლებმა ქვეშ მოიქციეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა ორდენის დიდი მაგისტრი ჟერარ რიდფორი, თუმცა, არსებობს არაბი ისტორიკოსის ცნობა, რომ ჟერარი ბრძოლის ველზე შეიპყ-

რეს და სალადინის ბრძანებით, როგორც ფიცის გამტეხი (ჟერარი და ლუზინიანი, ვალდებულნი იყვნენ სალადინის წინააღმდეგ არ ეომათ), სიკვდილით დასაჯეს. არსებობს ვერსია, რომ მან ღაზას ჩაბარება, სიცოცხლის ფასად გამოისყიდა, არ დაუგდო ყური რაინდების თხოვნას გარიდებოდა ბრძოლის ველს და გაქცევას სიკვდილი არჩია. მე-3 ჯვაროსნული ლაშქრობის ინგლისური ქრონიკის „მომლოცველთა იტინენარიის“ მემატიანე ცდილობს წინ წამოსწიოს ტამპლიერების როლი ურწმუნოებთან ომში. აღწერს რა ტამპლიერთა სიმამაცეს, ავტორს მაგალითად მოჰყავს ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ჟაკ დე მალიეს გმირობა. აგრეთვე დაწვრილებით აღწერს ჟერარ დე რიდფორის სიკვდილს საქებარი სიტყვებით: „ბედნიერია ის, ვისაც ღმერთმა მოუმზადა ასეთი სიკვდილი, რადგან ის მიიღებს გვირგვინს, რომელიც დაიმსახურა ამდენი ბრძოლით და შეუერთდება წამებულთა რიგებს.“ საერთოდაც, ქრონისტის აზრით: „ქვეყნად არ არსებობს რაინდი, ტაძრის მეომარზე კიდევ უფრო უკეთესი“ (Забоpов 1966 : 334). ზაბოროვის მოსაზრებით, ავტორი დუმილით გვერდს უვლის ჟერარის დამღუპველ სტრატეგიას, რომლითაც დასრულდა ჰატინის ბრძოლა, რომ მაგისტრის მიერ ნაჩქარევად შემუშავებულმა ცრუ სტრატეგიულმა გეგმამ იერუსალიმის სამეფო მიიყვანა კატასტროფამდე (Забоpов 1966 : 354-355).

აღვნიშნავთ, რომ რიდფორის მმართველობამ ძალიან დააზიანა ტამპლიერების სახელი. ბუტმი წერდა: „ტამპლიერები თანდათან გახდნენ ევროპელების საქმის მოღალატეები აღმოსავლეთში, მოღალატეები ქრისტიანული ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის. თუმცა, მეტაძრეები განაგრძობდნენ მონაწილეობის მიღებას სარაცინებთან ბრძოლაში. XII საუკუნის ბოლოსათვის ფინდელის მტკიცებით ორდენის ყველა ჩანაფიქრი მიმართული იყო მხოლოდ განსაკუთრებული ბატონობისა და მფლობელობისაკენ პალესტინაში და თავიანთი მიზნების მისაღწევად ისინი ყოველთვის არ ირჩევდნენ სწორ გზას. მეტაძრეები უარს ამბობდნენ დახმარებაზე იქ, სადაც ისინი ფიქრობდნენ, რომ მმართველები ვერ გახდებოდნენ. პოლიტიკა, რომელსაც ორდენი მიჰყვებოდა იყო ანგარებიანი, მოღალატური; ორდენის სამარცხვინო ინტრიგებმა დიდი ზიანი მიაყენა ქრისტიანებს, რომლებმაც თანდათანობით დაიწყეს აღმოსავლეთში მოპოვებული ძალაუფლების კარგვა“ (Бутми 1914 : 156).

ორდენის დაარსებიდანვე ტამპლიერების ისტორია გადაჯაჭვული იყო ჯვაროსნულ ლაშქრობებთან. ტამპლიერები მონაწილეობდნენ 1219 წლის დამიეტის ექსპედიციაში, სადაც მათ გვერდით იმყოფებოდა მემატიანე ჟაკ დე ვიტრი, რომელიც, მოგვი-

თხრობს ტამპლიერების ფანატიზმზე, მამაცობასა და სამხედრო დისციპლინაზე. მაგრამ მათ მტერიც გამოუჩნდათ XIII საუკუნის დასაწყისში. ტამპლიერების დევნა პირველმა დაიწყო იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ, რომელიც იყო პაპ გრეგორიუს IX-ის მიერ ეკლესიიდან განკვეთილი, ფრიად განსწავლული ადამიანი. ის ოცნებობდა მსოფლიო იმპერიის შექმნაზე. თავისი იმპერიული მიზნების განხორციელებაში ფრიდრიხ II-მ ტამპლიერებში როგორც ჩანს, მეტოქე დაინახა. ამასთან, მეტაძრეები არ ეხმარებოდნენ ეკლესიიდან განკვეთილ იმპერატორს. როცა ტამპლიერებმა ტევტონები მოაცილეს ციხე-სიმაგრე აკრას, რადგან მათი აზრით ისინი იმპერატორის ინტერესებს უფრო იცავდნენ, ვიდრე წმინდა მიწის, ფრიდრიხმა კონფისკაცია გაუკეთა ტამპლიერების მთელ ქონებას სიცილიაზე და ყველა ევროპულ სამეფო კარზე დააგზავნა ცილისმწამებლური წერილები, რომლებშიც დამახინჯებული იყო ფაქტები. იმპერატორს არ სურდა, რომ ტამპლიერებს გაემაგრებინათ იერუსალიმი. ფრიდრიხის საქციელმა ჯვაროსნები მიიყვანა სისხლისმღვრელ ბრძოლამდე ღაზაში 1241 წლის ოქტომბერში. ამ ბრძოლაში გაანადგურეს ჯვაროსნები. მათ შორის დაიღუპა 322 ტამპლიერი, 342 თურქოპოლთან ერთად (Каппелетто 2004 : 341). მეტაძრეების მაგისტრი არმან პერიგორელი დაიკარგა ამ ბრძოლაში.

1291 წლის მაისში ეგვიპტის სულთანმა ალ-აშრაფმა იერიში მიიტანა ჯვაროსნების უკანასკნელ ქალაქ აკრაზე. ქალაქის დაცვის სიმბოლოს განასახიერებდნენ ტამპლიერები, რომლებმაც გასაოცარი ფანატიზმი გამოავლინეს. მათი მაგისტრი გიიომ დე ბოჟე აკრის დაცვისას გარდაიცვალა. ტამპლიერებმა მოსახლეობა შეიფარეს თავიანთ კოშკში, რომელიც იდგა ზღვაში, ჯვაროსნებმა მოაგროვეს, რაც გააჩნდათ ყველა ნავი და კოშკში მყოფი ადამიანები კვიპროსში გადაიყვანეს. აკრის დაცვას ტამპლიერები 10 დღე ახერხებდნენ. სულთანმა მათ დანებებისკენ მოუწოდა უსაფრთხოების გარანტიით და გაუგზავნა ემირი 4000 ათასი მებრძოლით, რომელთაც სასტიკად გაუსწორდნენ ქრისტიანები. განრისხებულმა სულთანმა წყენა დაფარა, აღიარა თავისი ჯარის შეცდომა და ტამპლიერებს სთხოვა მინდობოდა მას. ორდენის მარშალი იყო ჭკვიანი ფრანკი, მაგრამ მან გამოავლინა უსაზღვრო ნდობა, დაუჯერა სულთანს და სხვა რაინდებთან ერთად წავიდა მასთან შესახვედრად. სულთანმა შეაპყრობინა ისინი და თავები მოაკვეთინა (Перну 2001 : 275-276).„ ამ რაინდებმა შეძლეს ღირსეულად მომკვდარიყვნენ მათი დამარცხებისა და წმინდა მიწაზე უკანასკნელი ქრისტიანული ქალაქის დაცემის დღეს. ტამპლიერებმა თავი გამოიჩინეს, როგორც კი შეიძლებოდა სა

უკეთესოდ, დაცემის შემდეგ, რომელიც თავს დაატყდათ XIII საუკუნეში“ (Перну 2001 : 90).

1291 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს აკრაც, რამაც ფაქტობრივად ფუნქცია დაუკარგა ტამპლიერებს აღმოსავლეთში. მათი გარნიზონი გამაგრდა სირიის სანაპირო კუნძულ რუადზე. ისინი ცდილობდნენ სირიის სანაპიროდან სულ რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარე ეს პაწაწინა კლდოვანი კუნძული თავისი პატარა ციხე- სიმაგრითა და ღია ნავსადგურებით, გამოეყენებინათ როგორც ბაზა, საიდანაც განხორციელდებოდა კონტრშეტევები. ისინი დამარცხდნენ და 1302 წელს რუადი მიწასთან გასწორდა (Nicolle 2001: 80). მათ დატოვეს სირია და კუნძულ კვიპროსზე გადაიტანეს თავიანთი რეზიდენცია.„ისინი გარკვეული დროის განმავლობაში აქედან აგრძელებდნენ ურწმუნოებთან ბრძოლას, მაგრამ მათი საქმიანობის ჭეშმარიტი მიზანი,რომელიც შეესაბამებოდა ორდენის ამოცანებს უკვე აღარ არსებობდა“ (Шустерь1905 : 188) ).

ტამპლიერების ორდენი არ იყო პალესტინური მოვლენა. წმინდა მიწასთან დაკავშირებული მოძრაობა გადავიდა ევროპაში.ორდენის წევრები დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში. ტამპლიერთა გარკვეული ნაწილი საფრანგეთში, პარიზში დაფუძნდა შენობაში, რომელსაც ტამპლს უწოდებდნენ. ეს იყო მათი რეზიდენცია, რომელიც პარიზში მდებარეობდა მდინარე სენის მარჯვენა სანაპიროზე. დიდი ხნის განავლობაში პარიზული ტამპლი ორგანიზაციას უწევდა პროვინციებს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კავშირს, ტამპლიერები იმედოვნებდნენ, რომ სირიაში ძალებს აღიდგენდნენ და გაიყვნენ თავიანთ რეზიდენციებს შორის კვიპროსსა და პარიზში.

ამგვარად, ტამპლიერების ორდენის სამხედრო მოქმედებები წმინდა მიწაზე თითქმის ორი საუკუნე გრძელდებოდა. მათი ბობოქარი ისტორია მიეკუთვნება ჯერ ჯვაროსნული ლაშქრობების, შემდეგ აბსოლუტური მონარქიის ძლიერების ეპოქას. მათი მიზანი დაარსებიდანვე იყო ამაღლებული, რადგან ისინი სხვა ჯვაროსნებთან ერთად წმინდა მიწას, სრულ ქრისტიანულ ცივილიზაციასა და ქრისტიანებს იცავდნენ. ამასთანავე თავიანთი მკაცრი დისციპლინისა და სამხედრო ძლიერების გამო ტამპლიერები ითვლებოდნენ საიმედოებად, ამიტომ მათ ანდობდნენ დელიკატურ საქმეებს, დიპლომატიურ მისიებს. აღსანიშნავია, რომ მრავალი ტამპლიერი, მათ შორის ორდენის 23 მაგისტრი დან 6 დაიღუპა ბრძოლის ველზე, ან ტყვეობაში და მათი გამოსყიდვის არცერთი პრეცედენტი არ ყოფილა, თუმცა რამდენიმე მაგისტრის არასწორმა პოლიტიკამ ჩრდილი მიაყენა მათ ავტორიტეტს.

## 1.4. ტამპლიერების ორდენის მეტამორფოზა და ტრანსნაციონალურ კორპორაციად გადაქცევა

ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ტამპლიერების ორდენმა მიაღწია თავისი მისიის მწვერვალს და ამასთანავე ორდენი გახდა ძლევამოსილი, გავლენიანი, უმდიდრესი ორგანიზაცია. XII საუკუნეში ორდენი გადაიქცა ერთგვარ საერთაშორისო კორპორაციად, რომელსაც გააჩნდა მრავალი სამფლობელო როგორც ევროპაში, ასევე წმინდა მიწაზე. მას ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი ჯვაროსნულ პოლიტიკურ ერთეულებში. ორდენს თავის განკარგულებაში ჰქონდა ბევრი ციხე-სიმაგრე. „1150 წელს ბალდუინ III- მ და მისმა დიდებულებმა გაამაგრეს ღაზა ასკალონის ეგვიპტის მხარეს და გადასცეს ის ტამპლიერებს“ (Kennedy 1994 : 31).

„ტამპლიერები იერუსალიმის დაკარგვამდე წმინდა მიწაზე 18 დიდ ციხეს ფლობდნენ, სადაც ძირითადად მათი შენაერთები იყო განლაგებული. სწორედ ამ ციხეების საშუალებით აკონტროლებდნენ ჯვაროსანთა მმართველები დაკავებულ მიწებს სირია-პალესტინაში.ტამპლიერები ისეთ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებს ფლობდნენ, როგორებიც იყო ტორტოზა, საფიტა (იგივე კასტელ- ბლანი) ტრიპოლის საგრაფოში, იერუსალიმის სამეფოში - თვით იერუსალიმის საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაწილს, იერიხონის კედლების გალავანსა და შატო რუჟს (წითელი ციხე), რომელიც იერიხონსა და იერუსალიმს შორის დამაკავშირებელ საქარავნო გზას აკონტროლებდა. გალილეის საგრაფოში - საფეტის მიუვალ სიმაგრეს, ასევე ღაზის, ლა- ფევის, პილიგრიმების ცნობილ (ატლიტი) ციხეებს “(გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე 20 15 : 145).

1172 წელს იერუსალიმში მყოფი პილიგრიმი თეოდორიხი აღნიშნავდა: „რთულია წარმოიდგინო იმდენად დიდია ტამპლიერების ძლიერება და სიმდიდრე. ისინი და ჰოსპიტალიერები ოდესღაც ძალიან მდიდარი იუდეის ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქსა და დასახლებაში მბრძანებლობენ...ყველგან არის აღმართული მათი ციხე-სიმაგრეები, სადაც ცხოვრობენ მათი რაინდები და მებრძოლები; ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც გააჩნიათ მათ მიწის მრავალი საკუთრება“ (Андреев 2003 : 146).

აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანული სამყარო გულუხვი იყო ორდენისადმი. ტამპლიერებს ყველა ქვეყნიდან უძღვნიდნენ უხვ შესაწირს: მამულებს, ციხე-სიმაგრეებს, ძვირფასეულობას. არსებობს საჩუქრების სია, რომელიც ორდენს უბოძეს:

საფრანგეთის მეფე ლუი VII-მ ტამპლიერებს აჩუქა ორი წისქვილი და ლა-როშელში სახლი. მან ორდენი გაათავისუფლა გადასახადებისაგან და ნება დართო, ბაჟის გარეშე გადაეტანათ საკუთრება.

ბარსელონისა და პროვანსის გრაფმა რაიმუნდ ბერენგარმა მთელი თავისი სიმდიდრე და მამულები დაუტოვა ორდენს ესპანეთში.

სოლიდური თანხა და ძვირფასეულობა მიიღეს ტამპლიერებმა 1217 წელს უნგრელი მეფის ანდრაშ II-ისაგან.

ინგლისის მეფემ ჰენრი II-მ, კენტერბერის არქიეპისკოპოსის, თომას ბეკეტის მკვლელობის გამოსასყიდად, ტამპლიერებს გადაუხადა 42 ათასი მარკა ვერცხლით და 5 ათასი ოქროთი, რათა ელოცათ მისთვის.

იმ დროისათვის არ არსებობდა ტამპლიერების რეზიდენციაზე უფრო უსაფრთხო ციხე-სიმაგრე და თუ მათ რომელიმე სახლს საფრთხე დაემუქრებოდა ორდენს შეეძლო თავისი ქონების ისევე სწრაფად გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, როგორც თანამედროვე ტრანსნაციონალურ კორპორაციას (Каппелетто 2004: 346). ეს ცნობილი იყო, ამიტომაც საფრანგეთის მეფემ ფილიპ II ოგიუსტმა პარიზში, ტამპლიერების ციხე-სიმაგრეში შეინახა თავისი სამეფო რეგალიები. ამავე სახლში 1261 წელს უსაფრთხოების მიზნით 10 წლით გადამალეს ინგლისის მეფის, ჰენრი III-ის სამეფო გვირგვინი. მას უთანხმოება ჰქონდა ბარონებთან და ეშინოდა მისი ლონდონში შენახვის.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტამპლიერების აღზევება განაპირობა იმ დიდმა პრივილეგიებმა, რომლებიც მინიჭებული ჰქონდა ორდენს. თავისი არსებობის დასაწყისშივე ორდენი საფრანგეთში გათავისუფლებული იყო ყველა ფეოდალური ვალდებულებისა და გადასახადისაგან.

ტამპლიერებს არა მხოლოდ საერო თავისუფლებით სარგებლობდნენ, სასულიერო საკითხშიც არავის ემორჩილებოდნენ, გარდა რომის პაპისა. ისინიც ყოველთვის წყალობდნენ ორდენს, აჯილდოებდნენ ქების სიგელებითა და პრივილეგიებით, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა გაეზარდათ მათთვის უფლებები. ბევრმა პაპმა საგანგებო ბულები გამოსცა ტამპლიერების სასარგებლოდ. ტამპლიერებზე მინიჭებული საერო თუ სასულიერო პრივილეგიებით „მათ შეეძლოთ უარეყოთ ფეოდალური მექანიზმი, რადგან არ იყვნენ დამოკიდებულნი არავისზე არც ომაჟით და არც ფიცით“ (Каппелетто 2004 : 345).

მელვილის აზრით, ინოკენტუს III-ს სურდა ტამპლიერებისგან პაპის გვარდიის

მსგავსი შეექმნა. მან პაპად არჩევისთანავე ორდენის მაგისტრ ჟილბერ ერალისა და მისი კაპიტულის თხოვნით, ტამპლიერებს დაუმტკიცა სამფლობელოები და ის შემოსავლები, რომლებიც მათ შეეძლოთ მიეღოთ პონტიფიკისგან, მეფეებისგან, პრინცებისგან და ორდენის სიუზერენიც კი გახდა. 1199 წელს ინოკენტუს III-მ ჩამოართვა სამღვდელოებას ეკლესიიდან განკვეთისა და ინტერდიქტის უფლება, რათა არ განეკვეთათ მეტაძრეთა ორდენის ნებისმიერი წევრი (Мельвиль 2003:148). ამგვარად, საერო თუ სასულიერო პრივილეგიები რელიგიურ ასპექტში ორდენს სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობას უქმნიდა, რაც თავის მხრივ მათ მტრებს უმრავლებდა.

რაინდულმა ორდენებმა იერუსალიმის სამეფოში მიაღწიეს უდიდეს წარმატებას. ტამპლიერების ორდენისადმი  და არა მხოლოდ მათდამი, არამედ სხვა ორდენებისადმი რომის პაპების  განუსაზღვრელი პრივილეგიების მინიჭება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი იყვნენ დასაყრდენი რომის ეკლესიის და პაპების პოლიტიკის ყველაზე საიმედო გამტარებლები. კორელინის მოსაზრებით: „ეს კონგრეგაციები, რომლებიც ხაზგასმით შედიოდნენ რომის საეპისკოპოსოს მბრძანებლობაში, წარმოადგენდნენ პაპობის ახალ საყრდენ ბურჯს“ (Корелинь 1901: 103).

ტამპლიერების ორდენი გადაიქცა საერთაშორისო მნიშვნელობის გავლენიან ძალად. ევროპაში, პალესტინასა და სირიაში ტამპლიერები მოქმედებდნენ როგორც შუამავლები ფეოდალებსა და მონარქებს შორის. ტამპლიერებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ინგლისის მეფეებთან, რიჩარდ ლომგულს საპატიო ტამპლიერადაც მოიხსენიებდნენ. ინგლისში დიდ მაგისტრებს რეგულარულად იწვევდნენ პარლამენტის სხდომებზე. მათ ემორჩილებოდათ პრიორებისა და აბატების აბსოლუტური უმრავლესობა. 1215 წლის 15 ივნისს, როცა ჯონ უმიწაწყლო ხელს აწერდა „Magna Charta Libertatum“ (თავისუფლებათა დიდ ქარტიას), რომელიც ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა, ტამპლიერების დიდი მაგისტრი მონარქის გვერდით იდგა. ჯონის უახლოესი მრჩეველი იყო ინგლისის დიდი მაგისტრი აიმერიკ დე სენ მარი.

ტამპლიერების ორდენი გახდა ძალიან მდიდარი. გ.  ფოს მოსაზრებით არსებობდა მათი გამდიდრების ოთხი წყარო:

1) შეწირულობა, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში გროვდებოდა. ორდენი ცხოვრობდა თავისი ხარჯებით, ხარჯავდა ცოტას, მაგრამ შემოწირულობას იღებდა დიდი რაოდენობით;

2) საბრძოლო ალაფი, როგორც სამხედრო ორდენის წარმომადგენლები, მათი თანამე-

დროვეების მსგავსად, ისინიც მონაწილეობდენ ძარცვაში; მით უმეტეს რომ ამის ნება პაპის 1139 წლის ბულამ მისცა მათ;

3) მომლოცველების შეწირულობა; ყველა დროში მომლოცველობა იყო ძალიან შემოსავლიანი საქმე;

4) საბანკო ოპერაციები: სარგებლობდა რა თავისი დამოუკიდებლობითა და პრესტიჟით, რომლისათვისაც არ არსებობდა არანაირი საზღვარი, ორდენმა ჩამოაყალიბა ერთიანი ფინანსური ორგანიზაცია, რომლითაც თანამედროვე ეკონომისტები აღფრთოვანებაში მოდიან. სწორედ ტამპლიერებმა გამოიგონეს ვექსილი, ჩეკი და კრედიტის ყველა სახეობა. ორდენს თითოეული ოპერაციიდან ჰქონდა პროცენტი, ან შემოსავლის ნაწილი (Фо 2007: 188).

როგორც ირკვევა უპოვრობის აღთქმის მიუხედავად შემოწირულობისა და საკუთარი აქტიური კომერციული საქმიანობის შედეგად ორდენი გახდა უმდიდრესი ორგანიზაცია ახლო აღმოსავლეთში. ტამპლიერებმა დაიწყეს მევახშეობა. ისინი სოლიდურ პროცენტში აძლევდნენ ფულს გაღარიბებულ მონარქებს და აქცევდნენ მოვალეებად. შეიძლება სწორედ ამაში იყო მათი ტრაგედიის მიზეზი. ევროპის თითქმის ყველა სამეფო კარს ემართა მათი ვალი. ორდენის ფილიალები მთელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში აძლევდნენ კრედიტებს ვაჭრებს, რომლებიც თანდათან ექცეოდნენ მათი დამოკიდებულების ქვეშ. ამგვარად, „ქრისტეს ღარიბი რაინდები“ თავისი ეპოქის უმდიდრეს ფენად გადაიქცნენ, ხოლო პარიზში მათი რეზიდენცია გახდა ევროპის ფინანსური ცენტრი. მათ შექმნეს რთული საკრედიტო სისტემა. ჰქონდათ საბუღალტრო აღრიცხვის წიგნები, იყენებდნენ საბანკო ბარათებს, რომლებიც მათ შემოიღეს და დღემდე გამოიყენება მთელ მსოფლიოში (Печников 1991 : 73). ამგვარად, ტამპლიერები საბანკო საქმის პიონერებად იქცნენ. ტამპლიერთა სიმდიდრემ მიაღწია ისეთ საზღვრებს, რომ ისინი ფულს სესხად აძლევდნენ მეფეებს. მათ დააარსეს დაწესებულება, რომელსაც ბევრი პირველი ევროპული ბანკის სახელით მოიხსენიებს, რომელიც საშუალებას აძლევდა მოგზაურს შეეტანა ფული ლონდონში და მიეღო გადახდილი თანხა თავის დანიშნულების ადგილას, მაგალითად პარიზში (Gest 2007: 303).

ტამპლიერების მეთვალყურეობის ქვეშ იყო უზარმაზარი ფინანსური ქსელი, რომელიც დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენდა პილიგრიმებისა და ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის. ტამპლიერი რაინდები საქმიანობის ფარგლებში თანამშრომლობდნენ ებრაელ ბანკირებთან და საერთაშორისო მოვაჭრეებთან, გასცემდნენ თანხ-

ებს სესხის სახით  და გარკვეულ ადგილებში  ჩაანაცვლეს ებრაელები, როგორც ვალუტისა და აკრედიტივების ძირითადი  მფლობელები (Cosman, Jones 2007:  31).

ტამპლიერებმა რიჩარდ ლომგულისაგან 100 000 ოქროდ იყიდეს კუნძული კვიპროსი. იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ კვიპროსზე განთავსდა ჯვაროსანთა სამხედრო ბაზა. „1192 წელს რიჩარდმა კვიპროსი ტამპლიერებისაგან გამოისყიდა და იერუსალიმის ყოფილ მეფეს გი დე ლუზინიანს გადასცა, რომელსაც  ინგლისის მეფისათვის  60 000 დუკატი  უნდა გადაეხადა, ხოლო ტამპლიერთა მაგისტრისათვის 40 000“ (გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე 2015 : 120).

ი. ბათიაშვილი აღნიშნავს: „ტაძრელ რაინდთა სიძლიერე  განპირობებული აღმოჩნდა რამდენიმე ფაქტორით: ა) მათი ბრწყინვალე სამხედრო მომზადებითა და  ორგანიზაცით. ბ) პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტივობით, გ) უდიდესი ეკონომიკურ-ფინანსური პოტენციალით...ტაძრელ  რაინდთა  ტრანსნაციონალურმა  მოღვაწეობამ, ალბათ, განსაზღვრა მათი ის ინტერნაციონალისტური სულისკვეთება, რაზედაც ხშირად საუბრობენ  ისტორიკოსები“ (ბათიაშვილი 2007: 36).

1294 წლიდან ტამპლიერებმა ორგანიზება გაუკეთეს ძველი ფულის  ახალზე გადაცვლას. ისინი ხშირად ასრულებდნენ სანდოობის  ფუნქციებს ფინანსებისა და ქონების მართვაში, აგრეთვე გამოდიოდნენ  როგორც მაკლერები და  უფლებამოსილნი ვალის  დაბრუნებაზე. ტამპლიერები საკუთარ  თავზე იღებდნენ  შუამავლების  როლს ფულად  ჯარიმებთან  და ბევრ სხვა ფინანსურ  ოპერაციებთან  დაკავშირებულ  კამათებში. თანამედროვე შვეიცარული ბანკების მსგავსად, ორდენი მხარს უჭერდა რამდენიმე გრძელვადიან სანდო  ფონდს  გარდაცვლილი ან  გაკოტრებული  ადამიანების ქონების სამართვად. ამიტომ  გასაკვირი  არ  არის, რომ  მეფეები  და  სხვა  ძლევამოსილი პირები  დროდადრო  ცდილობდნენ  ხელში  ჩაეგდოთ  ეს  უდიდესი  რესურსები. ერთხელ ჰენრი II-მ  ტამპლიერებს  მოსთხოვა  მათთან  შესანახად  მიბარებული  იმ  ლორდის ფული, რომელიც  მეფის  კეთილგაწყობას  არ  იმსახურებდა. მას  უპასუხეს, რომ  მიბარებულ  ფულს  ისინი  ვერავის  ვერ  მისცემენ  იმ  ადამიანის  ნებართვის  გარეშე, რომელმაც ანდო  მათ  ტაძარში  შესანახად. ტამპლიერების  ყველაზე  დიდი  მიღწევა  იყო  ეკონომიკა. არც  ერთ  სხვა  შუა  საუკუნეების  ინსტიტუტს  ასეთი  ხარისხით  არ  შეუწყვია ხელი  კაპიტალიზმის  განვითარებისათვის. მაგრამ  სიმდიდრე, რომელსაც  ასე  ეფექტურად  განაგებდნენ  ტამპლიერები, გახდა  დაუოკებელი  შურის  საბაბი  მონარქის, რომლის  სიხარბე  შედარებული  იყო  მოურიდებლობასთან (Бейджент, Ли  2005 : 72-73).

შუსტერის ცნობით ტამპლიერებს თავიანთი ძლევამოსილებითა და სიმდიდრით შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ ქრისტიანული სამყაროს ყველა ხელისუფლისათვის, მაგრამ ორდენი გახდა რა სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელსაც გააჩნდა საკუთარი არმია, მართლმსაჯულება, პოლიცია, საკუთარი ფინანსები, ისინი მალე იქცნენ მონარქების საყოველთაო შურისა და უნდობლობის საგნად (Шустерь 1905 : 187).თუმცა, ტამპლიერებს ჰქონდა ხალხის დიდი მხარდაჭერა, რაც გაპირობებული იყო მათი საქმიანობიდან და როლიდან გამომდინარე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ტამპლიერების ორდენის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური როლი და მათი გავლენა საზოგადოებაზე შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში, რომელიც რამდენიმე ასპექტით შეიძლება განვსაზღვროთ.

1.ჯვაროსნული ლაშქრობების ყველაზე გავლენიანი სამხედრო-სასულიერო ორდენი. ტამპლიერების ორდენი იყო მუდმივმოქმედი სამხედრო- სასულიერო ინსტიტუტი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ჯვაროსნულ ლაშქრობებში. არც ერთ მასშტაბურ ბრძოლას არ ჩაუვლია მათ გარეშე. ისინი მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ და მათი გარნიზონები იცავდა წმინდა მიწას. ჰქონდათ უდიდესი გავლენა და ავტორიტეტი არაბულ სამყაროში.

2.სამხედრო ძლიერება. ტამპლიერები იყვნენ მკაცრად დისციპლინებული, მაღალორგანიზებული მეომრები. ისინი ფლობდნენ მოწინავე ტექნიკას და იმ ეპოქის საუკეთესო შეიარაღებას, რაც ზრდიდა მათ ბრძოლისუნარიანობას, ასევე სამხედრო გავლენას.

3.საკუთარი ფლოტი. ტამპლიერები ჰქონდათ ფლოტიც. ისინი ფლობდნენ სატვირთო ხომალდებს და გემებს, რომლებითაც გადაჰყავდათ მომლოცველები ევროპიდან წმინდა მიწაზე და უკან, რისთვისაც იღებდნენ სოლიდურ გასამრჯელოს და ამასთან ერთად რომის პაპის მადლობას. აგრეთვე ფლოტი ტამპლიერებს აძლევდა თავისუფლად ვაჭრობის, იმპორტისა და ექსპორტის საშუალებას.

4. პრივილეგიები და ძალაუფლება.ტამპლიერებს მინიჭებული ჰქონდა დიდი პრივილეგიები. ისინი მხოლოდ პაპს ემორჩილებოდნენ და არც ერთ მონარქს არ ჰქონდა ორდენის საქმეში ჩარევის უფლება, რაც იწვევდა ხელისუფალთა შურს. ორდენი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ძლიერ, გავლენიან საერთაშორისო ინსტიტუტს წარმოადგენდა. ტამპლიერები ასრულებდნენ შუამავლების როლს, მონაწილეობდნენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში და მეფეებიც კი აღიარებდნენ მათ ავტორიტეტს.

5. უმდიდრესი ეკონომიკური და ფინანსური იმპერია. ტამპლიერებმა შექმნეს უძლი-

ერესი საფინანსო-საბანკო სტრუქტურა, რის მეშვეობითაც ორდენი ევროპის უმდიდრეს ორგანიზაციად გადაიქცა. ტამპლიერებმა დაიწყეს მევახშეობა, შემოიღეს ჩეკების სისტემა, რითაც ერთგვარი საბანკო რევოლუცია მოახდინეს, გასცემდნენ კრედიტებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მათ გავლენას.

6. ქველმოქმედება. ტამპლიერები ქველმოქმედებითაც იყვნენ ცნობილნი. ისინი კვირაში სამჯერ გასცემდნენ საკვებს ღარიბთათვის, კვებავდნენ მრავალ უპოვარ ადამიანს არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში. როცა ევროპაში იყო მოუსავლიანი წლები, შიმშილობა ტამპლიერების ქველმოქმედება ხალხისათვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ჰქონდათ მათ საზოგადოების დიდი მხარდაჭერა.

7. პროგრესის, კულტურის გამავრცელებლები და ნოვატორები. განუსაზღვრელი სიმდიდრე უფლებას აძლევდა ტამპლიერებს გაეფართოვებინათ თავიანთი საქმიანობა სოციალური და კულტურული განახლებისკენ. ისინი ცდილობდნენ ახალი იდეების აღმოჩენასა და განვითარებას, ორდენი დაუზოგავად გამოყოფდა სახსრებს გეოდეზიის, კარტოგრაფიის, საგზაო მშენებლობისა და ზღვაოსნობის განვითარებისათვის. ტამპლიერებმა თითქმის მონოპოლია მოიპოვეს თავისი დროის მოწინავე ტექნიკაზე.

8. აღმშენებლობა. ტამპლიერებმი აგებდნენ ტაძრებს, ციხეებს, სახელოსნოებს, სასოფლო- სამეურნეო ფერმებს, წისქვილებს. ტამპლიერების უმთავრეს დამსახურებას იმ დროისათვის წარმოადგენს გოთური ტაძრების მშენებლობის უზრუნველყოფა. 1300 წელს საფრანგეთში ერთდროულად აშენდა 200 ტაძარი, რის შედეგადაც საფრანგეთის ეკონომიკა გამაოგნებელად აყვავდა. ტამპლიერები ხარჯებს გაიღებდნენ ტაძრების ასაშენებლად, უხდიდნენ მშენებლებს შრომის საფასურს, მათ ქვის სამტეხლოებში მუშავდებოდა და იხვეწებოდა სამშენებლო მასალა. „იმის შეგნება, რომ ღრმა ეკონომიკური კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ მსხვილი საამშენებლო სამუშაოების შედეგად და გოთური ტაძრების მშენებლობის იდეის გაჩენა- ეს ორი დიდი მიღწევა შეიძლება აიხსნას ცისტერციანელებისა და ტამპლიერების კავშირით - ასკვნის ვ. კაპელეტო. ტამპლიერები ყოველთვის მიისწრაფვოდნენ აეშენებინათ ტაძრები და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელს „სოლომონის ტაძრის მეომრები“. მათ სრული უფლება მოიპოვეს თავიანთი საიდუმლო სიმბოლოები განეთავსებინათ ტაძრების ძირითად წერტილებში და მათ დიდ მაგისტრს, როგორც დიდოსტატ მშენებელს, შეეძლო ჰქონოდა ძალაუფლების ნიშნის მქონე რეგალია“(Каппелетто 2004 : 340).

ორდენის ისტორიიდან ცნობილია, რომ ტამპლიერები მალე გამდიდრდნენ, გაამაყდნენ და წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ თავიანთ საწყის მიზნებთან. მათი ქედმაღლობა, სიამაყე, ხოლო გამოთქმა: „სვამს, როგორც ტამპლიერი“, მთელ ევროპაში იყო ცნობილი. სიკვდილის წინ რიჩარდ ლომგულმა წარმოთქვა ასეთი ფრაზა: „მე ვუტოვებ სიძუნწეს ცისტერციანელებს, ფუფუნებას ღატაკ ძმათა ორდენს, ხოლო სიამაყეს ტამპლიერებს“ (Гекерторн 1876 : 143). შეიძლება ითქვას, რომ მეფე სიამაყეში გულისხმობდა არა მარტო მის პირდაპირ მნიშვნელობას, არამედ სხვებისადმი გაფრთხილებასაც .

ტამპლიერების სიმდიდრემ და ძლევამოსილებამ მალე მიიპყრო მოშურნეთა ყურადღება. „მათ შორის მეფისაც. ქონების გარდა ისინი იმითაც გახდნენ საზოგადოების დაინტერესების ობიექტი, რომ ისტორიაში პირველად ტამპლიერებმა შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც არც საზღვრები გააჩნდა და არც რაიმე იდეოლოგიური ბარიერები“( გრიშიკაშვილი 2008: A 6).

პაპი ბონიფაციუს VIII ორდენის ამ მეტამორფოზამ ძალიან შეაშფოთა, მაგრამ ის იმდენად იყო ჩართული გალიკანურ აბსოლუტიზმთან ბრძოლაში, რომ ტამპლიერებისთვის აღარ ეცალა. ამისთვის დრო არ ეყო არც მომდევნო პაპს ბენედიქტუს XI-ს. ტამპლიერების საბედისწერო ეპოპეა დაიწყო კლემენს V-ის (ბერტრან დე გო) პონტიფიკატის დროს.

ამგვარად, ტამპლიერების ორდენი იყო წმინდა მიწის დასაცავად შექმნილი სამხედრო-სასულიერო ორგანიზაცია, რომელიც შემოწირულობებისა თუ სხვადასხვა მომგებიანი საწარმოების მეშვეობით შემდგომში გადაიქცა ქრისტიანული სამყაროს უძლიერეს ინსტიტუტად და შესაძლოა ითქვას საერთაშორისო იმპერიადაც კი. ტამპლიერებმა შექმნეს ერთგვარი ფინანსური ქსელები, შემოიღეს საბანკო ჩეკები.ისინი ფლობდნენ მიწებს, ოქროს, ვერცხლისა და რკინის საბადოებს ევროპაში, ასევე კარგად შეიარაღებულ ფლოტს, რომლის საშუალებითაც თავისუფლად ვაჭრობდნენ. მათ ჰქონდათ ფერმები, სახელოსნოები, ისინი აგებდნენ ტაძრებს, ციხეებს, მონაწილეობდნენ წარმოებაში, იმპოტსა და ექსპორტში. აქედან გამომდინარე ტამპლიერების ორდენს დღეს ნამდვილად შეგვიძლია ვუწოდოთ მსოფლიოში პირველი ეფექტური, მრავალეროვანი ტრანსნაციონალური, საერთაშორისო კორპორაცია, რომლის მსგავსიც იმ ეპოქაში ევროპაში არ არსებობდა და რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების საზოგადოებაზე.

# თავი მეორე: დასასრულის დასაწყისი. აუტო დაფე

## 2.1. ომი ტამპლიერების წინააღმდეგ. (პიერ დიუბუას ტრაქტატები)

ტამპლიერების ორდენის რეზიდენციის გადმოტანა პარიზში დამოკლეს მახვილივით აღიმართა საფრანგეთის სამეფოს თავზე, რომლის ხელისუფლებაც ამ დროს ერთიანი სახელმწიფოსა და ნაციონალური მონარქიის ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფოდა და ცდილობდა გაენადგურებინა ყველა ძალა, ვისაც განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები ჰქონდა. ძირითადი პრობლემა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფლანდრიის საკითხთან ერთად იყო სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიასთან, პაპობასთან, როგორც საეკლესიო ორგანიზატორთან.ნაციონალური ფეოდალური სახელმწიფოს ბრძოლამ ეკლესიის წინააღმდეგ განსაკუთრებით თავისებური ხასიათი მიიღო ფილიპ IV (1285-1314 ) მეფობის დროს.

ლორტცის დახასიათებით „ფილიპ IV უცერემონიო, გულცივი, ანგარიშიანი, ძალაუფლებისმოყვარე, თავისი არსით არარელიგიური ადამიანი იყო, რომელმაც იცოდა მხოლოდ ერთი - ნაციონალური სახელმწიფო “ (Лортц 1999 : 449). იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ თეოკრატიულ მოძრაობას და სწორედ მისი მეფობის დროს ფრანგულმა მონარქიამ განვითარების აპოგეას მიაღწია. ფილიპ IV ისტორიაში ცნობილია მეტსახელით „ლამაზი“. მას ახასიათებენენ, როგორც კეთილშობილ ადამიანს, რომელსაც ძალიან უყვარდა ცოლი და ოჯახი. პამის ეპისკოპოსი ამტკიცებდა, რომ „მას ჰქონდა ლამაზი სახე, მაგრამ არ შეძლო არც ლაპარაკი და არც ფიქრი“ (Мельвиль 2003: 287). იმასაც ამბობდნენ, რომ მეფით მანიპულირება ადვილი იყო. ფილიპ IV-ის აპოლოგეტმა ისტორიკოსმა გოდფრუა პარიზელმა გაბედა დაეწერა: „მეფე იყო ისეთი მიმნდობი, როგორც ქალწული და იმყოფებოდა ცუდ გარემოცვაში“ (Мельвиль 2003 : 287). თუმცა, ცნობილია, რომ მის განკარგულებაში იყო განათლებული პოლიტიკოსებისა და ლეგისტების მთელი კლასი, რომელთათვის სახელმწიფო ხელისუფლება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ისინი იყვნენ ფანატიკოსები, მაგრამ არა ღმერთის, არამედ სახელმწიფოსი. მათ შეიმუშავეს და მეფეს წარუდგინეს ეკლესისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების პროგრამა, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა მონარქი და თავიდან აეცილებინა პაპის კურიის ბრალდებები.

ფილიპ IV-მ მნიშვნელოვნად დააკნინა და შეავიწროვა პაპის ძალაუფლება. მან გადასახადებითაც კი დაბეგრა საეკლესიო მიწები, რამაც მაშინდელი პონტიფიკის, ბო-

ნიფაციუს VIII-ის (1294-1303) პროტესტი გამოიწვია. მეფესა და პაპს შორის წარმოიქმნა ღია  და მწვავე კონფლიქტი. ბონიფაციუს VIII იყო უკანასკნელი, ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი შუა საუკუნეების პაპობის დიდებულების, რომელსაც ბრძოლა მოუწია საფრანგეთის ნაციონალურ აბსოლუტიზმთან. პაპი  შეეცადა  უკან შემოებრუნებინა პოლიტიკური პროცესი, მაგრამ მისი მცდელობა დამარცხებისათვის განწირული აღმოჩნდა. ბონიფაციუს VIII დამარცხდა მეფესთან ბრძოლაში, რასაც ვერ გაუძლო და 1303 წელს გარდაიცვალა. თუმცა,  ფილიპ IV არ იყო მიღწეულით კმაყოფილი და მასთან, როგორც ცოცხალთან ისე განაგრძობდა ბრძოლას. ლორტცის აზრით, „პაპის დამარცხება ფილიპ IV -ის მეთაურობით ჩამოყალიბებულ „ნაციონალურ“ საფრანგეთთან უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე პირად წარუმატებლობას;  ეს იყო მის მიერ დაცული პაპობის მსოფლიოზე ბატონობის იდეის მარცხი“ (Лортц 1999 : 447).

ბონიფაციუს VIII-ის შემცვლელი იყო ბენედიქტუს  XI (1303-1304), რომელმაც დაუთმო ფილიპ IV-ს. მან გააუქმა წინამორბედი პაპის განკარგულებები და ფრანგ მონარქს  საშუალება მისცა აეკრიფა გადასახადები. მორჩილმა პაპმა  ვერ შესძლო შეწინააღმდეგებოდა ბევრად ძლიერ ნაციონალურ, პოლიტიკურ საწყისს. მისი პონტიფიკატი  გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე თვე. გადმოცემის თანახმად, ის, გიიომ დე ნოგარეს ბრძანებით მოწამლეს. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ პაპი  ლეღვის უზომოდ ჭამის გამო მოიწამლა  და გარდაიცვალა (პაპაშვილი 2015: 36). ბენედიქტუს XI-ის გარდაცვალების შემდეგ პაპის ტახტი ვაკანტური იყო 11 თვე. შემდგომი პაპის არჩევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ, 1305 წელს კონკლავზე, გონსალესის მოსაზრებით „პროფრანგულმა პარტიამ მოტყუებით მიაღწია კარდინალების თანხმობას პაპად აერჩიათ  ბორდოს  არქიეპისკოპოსი კლემენს V“ (1305-1314) (Гонсалес 2001:310). მისი პონტიფიკატის დროს ტამპლიერების დიდი საინკვიზიციო პროცესი დაიწყო.

ფილიპ IV-ს სურდა პაპობა საფრანგეთის მუდმივი დამოკიდებულების ქვეშ ყოფილიყო. კლემენს V-მ 1309 წელს რეზიდენცია ავინიონში გადაიტანა, სადაც პაპები იმყოფებოდნენ 1377 წლამდე. ეს პერიოდი ისტორიაში ცნობილია „ავინიონის ტყვე პაპებისა“ და „ეკლესიის ბაბილონური ტყვეობის“ სახელით. ტალბერგის აზრით, ავინიონელი პაპები კლემენს V-ით დაწყებული გახდნენ სრულიად დამოკიდებულნი საფრანგეთის მეფეებზე და მოქმედებდნენ იმათი გავლენით (Талтберг 2001 : 341). ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი მმართველობის პერიოდში კლემენს V ერთხელაც არ სწვევია რომს, მიუხედავად იმისა, რომ  რომაელები დაჟინებით მოითხოვდნ-

ენ პაპის რეზიდენციის დაბრუნებას. თავისი პონტიფიკატობისას კლემენს V-მ დანიშნა 24 კარდინალი და ყველა მათგანი, გარდა ერთადერთი გამონაკლისისა, იყვნენ ფრანგები. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი იყო მისი ნათესავი, ამით იქმნებოდა და წახალისდებოდა ნეპოტიზმის პრაქტიკა, რომელიც იქცა ეკლესიის ერთ-ერთ ძალიან სერიოზულ დაავადებად XVI საუკუნემდე“ (Гонсалес 2001:311).1306 წელს მან რეაბილიტირებულად გამოაცხადა ბონიფაციუს VIII-ის მიერ განდევნილი და განკვეთილი ორი კარდინალი კოლონას ოჯახიდან და ისინი თანამდებობებზე აღადგინა. კლემენს V-მ, რომელსაც სრულიად არ აინტერესებდა იტალიაში არსებული ანარქია, ნეაპოლის მეფე რობერტი, შარლ I ანჟუელის შვილი დანიშნა საეკლესიო სახელმწიფოს მოადგილედ იტალიაში და ამით მიისაკუთრა ის უფლებები, რომლებიც იმპერატორს ეკუთვნოდა (Гергей 1999 : 157).

აღსანიშნავია, რომ კლემენს V მკვლევრების: პავლოვსკის, ლორტცის, კამილერის და სხვა მრავალი საეკლესიო ისტორიკოსის მიერ ერთ-ერთ ყველაზე სუსტ და უმწეო პაპად არის აღიარებული. მისი პონტიფიკატობის დროს „ინსტიტუციონალური ეკლესია ფილიპ IV-ის ძალაუფლების ქვეშ ახლა უკვე მონობაში აღმოჩნდა და ჩაკეტილი იქნა ავინიონში“ (Бедуелл 1996: 100). აღვნიშნავთ, რომ „1307-1313 წლებში საქართველოში პაპმა კლემენს V-მ ბევრი ფრანცისკელი და დომინიკელი მისიონერი გამოაგზავნა. მათი მთავარი ამოცანა იყო რომის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიის შეერთების საკითხის მომზადება“(პაპაშვილი 1995 : 89).

ფილიპ IV აბსოლუტურ მონარქიას აყალიბებდა და მსოფლიოზე ბატონობის ოცნებით იყო გატაცებული. იგი მუდამ მიისწრაფოდა თავისი ძალაუფლების ქვეშ მოექცია საფრანგეთში არსებული ყველა ძლიერი ინსტიტუცია, ამისათვის არაფერზე იხევდა უკან და საშინელ უსამართლობასაც კი სჩადიოდა: „ის არ იყო არც კაცი, არც მხეცი, არამედ ყინულის ქანდაკება (სეზე)“ (Каппелетто 2004 : 342). მან ალბათ, იცოდა ინგლისელ ტამპლიერთა მოთხოვნის შესახებ, რომელიც მათ წაუყენეს ჰენრი III-ს: „შენ იქნები მეფე, ვიდრე იქნები სამართლიანი“(Гекерторн 1876 :143). ფილიპ IV-ისთვის ეს იყო დამაფიქრებელი სიტყვები. როგორც ჩანს, კონფლიქტი მეფესა და ძლევამოსილ ორდენს შორის გარდაუვალი იყო. ტამპლიერების ორდენი კი იმ ეპოქაში წარმოადგენდა უმდიდრესი საერთაშორისო ორგანიზაციას.

გერმანელი ისტორიკოსი პრუტცი აღნიშნავს, რომ ტამპლიერების ორდენი ამ

დროისათვის ფლობდა კოლოსალურ ფინანსურ სახსრებს, ორდენის ქონება განისაზღვრებოდა 25-26 მილიონი ფრანკით, რომელიც დაახლოებით 2 მილიონი ფრანკის შემოსავალს იძლეოდა. აბატი იოანე ტრიტენჰეიმი კატეგორიულად აცხადებს, რომ მეტაძრეების ორდენი იყო ძალიან მდიდარი, ისინი არა მხოლოდ დიდძალი ფულის, არამედ მამულების, ქალაქების, ციხე- სიმაგრეების მფლობელები იყვნენ მთელ ევროპაში. ვილკე აღნიშნავს, რომ მეტაძრეების შემოსავალს ყოველწლიურად შეადგენდა 20 მილიონი ოქროს ტალერი და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ამ ორდენს შეეძლო საფრანგეთისთვის გამოეყვანა 15 ათასი ცხენოსანი მებრძოლი. ოტო ცეკლერი ასახელებს უფრო დიდ ციფრს და ამბობს, რომ შემოსავალი შედგენდა 54 მილიონ ტალერს და ორდენის ჯარი 20 ათას მებრძოლს. ჰავემანი ამტკიცებს, რომ თავიანთი ძლიერებითა და სიმდიდრით ტამპლიერებს შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ თავისი დროის უძლიერესი მთავრებისთვის. მათ ტაძრებში, რომლებიც მოგვაგონებენ ნამდვილ ციხე-სიმაგრეებს, ინახებოდა უთვალავი ოქრო და ძვირფასეულობა და ზოგჯერ თვით მეფეებიც კი აქ მალავდნენ თავიანთ განძს (Лозинский 1986 : 153-154 ).

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამერიკელი ისტორიკოსის ჰენრი ჩარლზ ლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ტამპლიერებთან მიმართებით ციფრები არის გაზვიადებული და სიმდიდრეც აშკარად გადიდებული. „მკაცრი იდუმალება, რომელიც ორდენის ყველა საქმეს გარს ახვევია გვიჩვენებს, რომ ეს ციფრები არის უბრალოდ გამოცანის დონეზე დაშვებული“- აღნიშნავდა ლი (Ли 1912 : 327). თუმცა, არავინ დავობს იმაზე, რომ ურიცხვ შემოწირულობას იღებდა ორდენი სხვადასხვა ქვეყნიდან. ამას ემატებოდა მომგებიანი სავაჭრო დაწესებულებები, შემოსავლები მაღაროებიდან, ვაჭრობიდან. აღვნიშნავთ, რომ ტამპლიერები ფლობდნენ ოქროს საბადოებს ესპანეთში, ვერცხლის მადნებს საფრანგეთსა და ესპანეთში, რკინის საბადოებს ბურგუნდიაში. მათ ეკუთვნოდა მრავალრიცხოვანი და შესანიშნავად შეიარაღებული ფლოტი, რომელიც იდგა რუანისა და ლა-როშელის პორტებში, რაც მათ აძლევდა თავისუფლად ვაჭრობის საშუალებას ბამბით, სანელებლებითა და სხვადასხვა ფასეული საქონლით. ტამპლიერების სიმდიდრემ წარმოშვა ლეგენდები, რომ მათ ზღვის გაღმაც ჰქონდათ საბადოები, სინამდვილეში არავის შეეძლო დაემტკიცებინა სიმართლე, რადგან ლა-როშელის პორტში მხოლოდ ტამპლიერებს შეეძლოთ შესვლა (Каппелетто 2004 : 339).

ყველაზე მეტად წარმატებული საბანკო საქმე ზრდიდა განუწყვეტლივ ორდენის

თანხებს, რომელიც ინახებოდა მთავარ ბანკში, პარიზის ტამპლში. ეს ბანკი გადაიქცა ერთგვარ ინტერნაციონალურ ბირჟად, რომელსაც საქმიანი გარიგებებით მიმართავდნენ კომერსანტები. აღსანიშნავია ისიც, რომ სამეფო ხაზინა იყო ტამპლში და იქ ინახებოდა 1295 წლამდე. ტამპლიერები ითვლებოდნენ მეფეებისა და პრინცების სამეფო სახლის ბანკირებად. ნამდვილი ხაზინა იყო ტამპლში,ზარდახშებში, რომლის გასაღები ჰქონდა ტამპლიერს და 7 ხაზინადარს. ტამპლში ინახებოდა ის ფული, რომელიც მიჰქონდათ ბალიდან და პრევოდან. ლუვრის სასახლის სალარო იღებდა მარტო იმ თანხას, რაც საჭირო იყო მიმდინარე ხარჯებისთვის და მისი მოლარე ანგარიშს აბარებდა ტამპლის ხაზინადარს. შ. დიუტაის მტკიცებით ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ანგარიშწარმოება. ნამდვილი ფინანსური აგენტები სამეფო ხელისუფლების ეს იყო ბალი და პრევო და მათი კურიერები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ და აკონტროლობდნენ ანგარიშწარმოებას. წელიწადში სამჯერ ტარდებოდა ტამპლში შემოწმება შემოსავალ-გასავლის გასაკონტროლებლად (Пти-Дютай 1938 :170-214).

კაპელეტოს ცნობით ლიკვიდაციის დროისათვის ტამპლიერებს ჰქონდათ 1369 ყაზარმა, 87 ციხე-სიმაგრე, 300 მეტი მათზე დაქვემდებარებული სახლი. მიწათმფლობელები, დიდგვაროვნები და გლეხები სურვილისამებრ შედიოდნენ ორდენის მფარველობის ქვეშ, რომელიც იცავდა მათ და საშუალებას აძლევდა თავი აერიდებინათ სამეფო ჩინოვნიკების ძალადობისაგან. ტამპლიერების სამფლობელოები გადაჭიმული იყო ათასობით ჰექტარზე, მათ ჰქონდათ მრავალი სახლი სხვადასხვა ქალაქში. პარიზში ტამპლის გარდა, ისინი ფლობდნენ თითქმის მარესა და სენ ჟაკის კვარტლებს ბელვილისა და მონმარტრის ბორცვებამდე. ტამპლიერებს ჰყავდათ ორი მუდმივად შეიარაღებული არმია ესპანეთში (Каппелетто 2004 : 344).

ტამპლიერებს ჰქონდათ თავისი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი პოლიტიკა. ორდენის ინტერესები შეუდარებლად მაღლა იდგა სახელმწიფო ინტერესებზე. მათ შეეძლოთ ბოიკოტი გამოეცხადებინათ მეფის ნებისმიერი სამხედრო ნაბიჯისთვის თუ ისინი მხარს არ უჭერდნენ (Дворкин 2003 : 587). ამას ემატებოდა ორდენის კოსმოპოლიტური ხასიათი, იგი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო და გააჩნდა თავისი ფილიალები ევროპის ყველა სახელმწიფოში. ის არც ერთ მონარქს არ ემორჩილებოდა და ყველასგან დამოუკიდებელ ძლიერ სამხედრო ინსტიტუტს წარმოადგენდა. ბუტმის აზრით, „ორდენი წარმოადგენდა საფრთხეს მთელი ქვეყნისთვის და მის მოთმენას ვერ აიტანდა ვერც ერთი ხელისუფალი“ (Бутми 1914: 160).

ტამპლიერებთან ომის დასაწყებად  მიზეზი საძებარი არ გამხდარა, რადგან ბევრი ფაქტორი შეიძლებოდა გამოყენებულიყო საამისოდ. მრავალი ისტორიკოსი  მიიჩნევს, რომ ფილიპ IV-ის მთავარ  მიზანს ტამპლიერებთან მიმართებით მხოლოდ ორდენის სიმდიდრის, ქონების დასაკუთრება წარმოადგენდა. თანამედროვე ისტორიოგრაფია ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ამასთან ერთად სხვა მიზეზებსაც არ გამორიცხავს, რადგან მეფის მოტივაციისათვის ბევრი საფუძველი არსებობდა. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ფინანსური დაინტერესება იყო ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, წამქეზებელი ძალა ფილიპ IV-ისათვის. „ტამპლიერებზე შეტევა უნდა განვიხილოთ იმ საშუალებათა კონტექსტში, რომლებსაც იყენებდა სამეფო ხელისუფლება პრობლემების გადასაწყვეტად, ამტკიცებდა თავის ძალაუფლებას და იბრძოდა რესურსების გაზრდისათვის“ (Демурже 2008: 298). დემურჟეს მოსაზრების გასაზიარებლად საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის მეფის პოლიტიკა ებრაელებისადმი.ფილიპ IV  დაასფიქრა შექმნილმა მოვლენებმა: „კასტილიაში ტამპლიერები ჰოსპიტალიერებთან ერთად  გაერთიანდნენ  მეფის  წინააღმდეგ,  შეიძლება  ისინი  საყოველთაო  ძალაუფლებისკენ ისწრაფვოდნენ, ან სურდათ დასავლეთის სახელმწიფოს შექმნა, როგორც ეს ტევტონებმა გააკეთეს პრუსიაში, ჰოსპიტალიერებმა მალტაზე  და იეზუიტებმა პარაგვაიში…თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ  ორდენის წევრები სხვადასხვა მხარეში იყვნენ გაფანტულები და შეეძლოთ ერთ-ერთ სახელმწიფოში, მაგალითად, არაგონში თავიანთი გეგმის განხორციელება, მაინც ვერ შეძლებდნენ იმის გაკეთებას, რომლისთვისაც ძალა კარლოს დიდსაც არ ეყო. უფრო საფუძვლიანი ბრალდება მდგომარეობდა იმაში, რომ მათ განაცვიფრეს ქრისტიანული სამყარო პალესტინაში ჰოსპიტალიერებთან მეტოქეობით. ისინი  კავშირს ამყარებდნენ ურწმუნოებთან, ეომებოდნენ კვიპროსსა და ანტიოქიას, უარი თქვეს ტყვეობიდან ლუი IX-ის გამოსყიდვაში მონაწილეობაზე და რაც კიდევ უფრო მიუტევებელია, არაგონის ხელისუფლებისადმი თანადგომა ფრანგული ანჟუს წინააღმდეგ და მრავალი სხვა ბრალდება, მაგრამ  უდიდესი დანაშაული მდგომარეობდა უსაზღვრო სიმდიდრეში, ამიტომ მათი დაცემა წინასწარ იყო გადაწყვეტილი“ - ასკვნის ჩარლზ  ჰეკერტორნი(Гекерторн  1876 : 143- 144).

ჰენრი ჩარლზ ლის მოსაზრებით, „ფილიპის მოქმედებების ახსნისას არ უნდა ვეძებოთ სხვა საფუძველი გარდა ფინანსურისა. მეფეს  ყოველთვის  ძალიან ესაჭიროებოდა ფული თავისი მუდმივი უდიდესი ხარჯების  დასაფარავად...მას დარჩა ფინანსების მოძიების მცირე წყარო. ლანგედოკში  კონფისკაციების ნაკადმა უკვე დაშრობა

დაიწყო; მეორე მხრივ, უდიდესი თანხები მიეწოდებოდა მეფის ხაზინას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ამ კონფისკაციებით, რამაც აჩვენა, თუ როგორი სარგებელი შეიძლება მიიღო ერესის საწინააღმდეგო მოხერხებული კამპანიისაგან. ფილიპმა წარმატებით დაასრულა ფინანსური ოპერაცია, რომლის მსგავსის გაკეთებას აპირებდა ტამპლიერებთან: მან დააპატიმრა სამეფოში მყოფი ყველა ებრაელი, წაართვა მათ მთელი ქონება და სიკვდილის მუქარით გაყარა ისინი ქვეყნიდან. ჩანაწერები, რომლებიც დღემდე შემორჩენილია არქივებში გვიჩვენებენ, რომ მას განსაზღვრული ჰქონდა ასევე ესარგებლა ტამპლიერთა ჩამორთმეული მამულებით. მისთვის სამწუხაროდ, მას ყურადღება არ მიუქცევია, რომ ეს ქონება, როგორც სასულიერო პირების საკუთრება, დაქვემდებარებული იყო ეკლესიის განუყოფელ უფლებებისადმი“ (Ли 1912 : 330).

ფილიპ IV-ის ექსპანსიურმა პოლიტიკამ და ომებმა მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყანა. ამასთან მეფის მიერ ქვეყნის ცენტრალიზაციის საკითხში განხორციელებული რეფორმები და ომები საჭიროებდნენ უდიდეს ფინანსურ სახსრებს. ამიტომ, ფილიპ IV-ს სულ სჭირდებოდა ბევრი ფული, მუდამ ეძებდა მას, რომელსაც იღებდა კიდეც სხვადასხვა საშუალებით: ფინანსური ოპერაციების რისკის ზრდით, ფულის გაუფასურებით, გადასახადების გაზრდითა და ძალადობრივი მეთოდებითაც. ცნობილია, რომ მან გაძარცვა, როგორც ფრანგი, ისე ლომბარდიელი ვაჭრები და პარიზელი ებრაელები, მოუწყო სასამართლო პროცესები, მათ ქონებას კონფისკაცია უყო და გაყარა ქვეყნიდან. ძირითადი შემოსავლები ხაზინაში შედიოდა ქალაქებისაგან, რომლებსაც ფილიპმა თანდათანობით წაართვა ბევრი უფლება და გაუზარდა სახელმწიფო გადასახადი. მან სცადა ფლანდრიის მდიდარი საგრაფოს დაქვემდებარება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთთან სავაჭრო ურთიერთობებით. ფლანდრიასთან ომმა შთანთქა აურაცხელი თანხები, შედეგი კი უარყოფითი იყო. ექსტრაორდინალური სუბსიდიები, რომლებსაც ქალაქებიდან იღებდა მალე ორჯერ გაიზარდა, რამაც შემდეგ უკანასკნელი სახსრებიც ამოწურა. ფინანსურმა კრიზისმა აიძულა მეფე რამდენჯერმე „გაეფუჭებინა“ ფული. იგი ამცირებდა მონეტაში ძვირფასი მეტალების რაოდენობას, რის გამოც ხალხმა მას „ყალბი ფულის მჭრელი“ შეარქვა, მაგრამ ვერც ამან უშველა. ფრანგი ისტორიკოსი მიშლე, ფილიპ IV-ს, მეფეს, რომელიც აღებდა საფრანგეთის ახალი ისტორიის კარს, უწოდებს: „საძულველ ფიგურას ყალბი ფულიმსმჭრელისა“(Корелинь 1901:132). დემურჟეს მოსაზრებით, „ფილიპ IV

მთელი თავისი მმართველობის განმავლობაში ფულზე ნადირობდა, მაგრამ ის არ იყო ყალბი მონეტების მჭრელი, ის იყენებდა მეფის უფლებას შეეცვალა მონეტის კურსი. მან ყველა საშუალება, ზეწოლის ყველა მეთოდი გამოიყენა, რათა გაეზარდა გადასახადები და მეათედი სასულიერო პირებისთვის“ (Демурже 2008: 299). ასეთმა მმართველობამ ხალხის მღელვარება გამოიწვია. ნორმანდია აღსდგა ბეგარის წინააღმდეგ. პარიზში ხუთ ადამიანზე მეტს უკრძალავდნენ ერთად შეკრებას. 1306 წლის მარტში, პარიზელთა აჯანყებისას ფილიპ IV იძულებული გახდა თავშესაფარი ეძებნა ტამპლის ციხე-სიმაგრეში. მეტაძრეებმა შეიფარეს იგი და დაიცვეს ხალხის რისხვისგან. შესაძლოა, მეფემ ტამპლში ნახა ორდენის სიმდიდრე, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა შემდგომ ტამპლიერების ბედზე. როდესაც საფრთხემ ჩაიარა, ფილიპ IV დაბრუნდა ლუვრის სასახლეში, საიდანაც მალე გადავიდა აჯანყებულ პარიზელთაგან მოშორებით პონტუაზში. ტამპლიერებმა მისცეს მას სოლიდური თანხა. ამბელენის შეფასებით „ამ კაპეტინგს ჭეშმარიტად არ გააჩნდა მადლიერების გრძნობა, რადგან დარწმუნდა რა ტამპლიერების უსაზღვრო სიმდიდრეში, იმავე, 1306 წელს, ფილიპმა დაიწყო ქსელის გაბმა, რომლითაც ვარაუდობდა ორდენის ქონების ერთბაშად ხელში ჩაგდებას“ (Андреев 2003:150). თუმცა, როგორც ირკვევა, მარტო სიმდიდრე არ უღვიძებდა სიხარბეს მეფეს, მთელი რიგი მოვლენებისა და განსხვავებული სიტუაციებისა კიდევ უფრო ადიდებდა მის რისხვას: „ფილიპ IV დავალებული იქნა ტამპლილიერების ორდენისაგან აჯანყებულ პარიზელთაგან თავის გადარჩენით, რითაც მისი სიამაყე იმაზე მეტად შეილახა, ვიდრე იმ დამამცირებელი ფორმით, როდესაც ტამპლიერებმა მოსთხოვეს მნიშვნელოვანი თანხის დაბრუნება, რომელიც დის ქორწილის გამო ისესხა. ამასთანავე ეყრდნობოდნენ რა ურიცხვ მიმდევრებს, ტამპლიერები გადაულახავ ზღუდეს წარმოადგენდნენ მეფის ყველა ჩანაფიქრისთვის“ (Шустерь 1905 : 194- 195). ფილიპ IV დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ ტამპლიერებს ჰყავდათ პროფესიონალი მეომრებისაგან შემდგარი შეიარაღებული ძალები, რომლებიც არ თვლიდნენ თავს მის ვასალებად. მეფის გარემოცვა უფრო ამძაფრებდა მდგომარეობას. მათ ჩააგონეს ფილიპს, რომ ტამპლიერებს ჰქონდათ ხელისუფლების საწინააღმდეგო იდეები და მონარქიული მმართველობის რესპუბლიკურით შეცვლის სურვილი, რომ ის ინი თავხედურად ერევიან საშინაო პოლიტიკაში და ამასთანავე ანჟუსა და არაგონის სამეფო დინასტიებს შორის კონფლიქტში მათ არაგონის მხარე დაიჭირეს.

ფილიპ IV-მ მრავალი ხერხით სცადა ტამპლიერებთან დაახლოება. თავიდან შე-

ეცადა თავისი შვილი გაეხადა ორდენის დიდი მაგისტრი, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ მაშინდელ დიდ მაგისტრს, ჟაკ დე მოლეს სთხოვა, რომ ის საპატიო რაინდად მიეღოთ ორდენში. მისი მიზანი იყო მაგისტრის თანამდებობის მიღწევა და ორდენის საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეობად გადაქცევა, მაგრამ ჟაკ დე მოლე მიუხვდა მას ჩანაფიქრს და უარით უპასუხა.

ამგვარად, ფილიპ IV-ის ყველა გეგმა ჩაიშალა. ტამპლიერებმა უარყვეს შეესრულებინათ მეფის სურვილები. „ფილიპ IV-ის ყველა ჩანაფიქრი იყო ისე ღრმად გააზრებული და გასჭვალული აბსოლუტური უცოდველობის რწმენით, რომ იგი თავისი ნების აღსრულებაში ხედავდა უმაღლეს სახელმწიფო სიბრძნეს“-წერდა შუსტერი (Шустерь 1905 : 195). ჩანს, პირადმა მოტივებმა განაპირობეს მეფის რისხვა ტამპლიერებისადმი. ამას ემატებოდა ისიც, რომ პაპ ბონიფაციუს VIII-სთან კონფლიქტის დროს „საფრანგეთის ტამპლიერებმა მეფეს დაუჭირეს მხარი, თუმცა, ანანში იგივე ბონიფაციუსი დაიცვეს ტამპლიერებმა და ჰოსპიტალიერებმა. ამ ფაქტმა დაარწმუნა მეფე, რომ უძლიერესი სამხედრო ორდენები, მიუხედავად მათ მიერ დაკავებული პოზიციებისა, ემორჩილებიან მხოლოდ პაპის ავტორიტეტს და სარგებლობენ სწორედ პაპის მხარდაჭერით. ფილიპმა გაბედა დაპირისპირებოდა ბონიფაციუსს და გამოიყენა ძალისმიერი ქმედებები. ის ფლობდა ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რათა იმავე ძალადობით გასწორებოდა სამხედრო ორდენებს, როგორც პაპობის პოტენციურ იარაღს“ (Демурже 2008 : 303).

მეფემ ტამპლიერების ორდენის დასაპატრონებლად სარისკო ოპერაციის განხორციელება გადაწყვიტა. მან 1306 წლის ბოლოს ჩაატარა საიდუმლო კრება მრჩევლებთან ერთად. ამ კრებაზე გადაწყდა წამოეწყოთ საბრალდებო პროცესი ტამპლიერების წინააღმდეგ და სპეცოპერაციის გეგმაც შეიმუშავეს, რომელიც ითვალისწინებდა: ტამპლიერების ერესში დადანაშაულებას, ამის საფუძველზე ორდენის გაუქმებას და მათი ქონების კონფისკაციას სამეფო ხაზინის სასარგებლოდ. გეგმას თითქოსდა ჰქონდა კანონიერი ოპერაციის ფორმა, თუმცა შედგენლებს გამოეპარათ ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი, რომ ეს ქონება ეკუთვნოდა ეკლესიას და ტამპლიერების ორდენი ექვემდებარებოდა მხოლოდ პაპს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფილიპის გარემოცვაში შედიოდნენ ლეგისტები, მაშინ უფრო დამაჯერებელია შემდეგი ახსნა, მათ ძალიან კარგად იცოდნენ ყველა დეტალი, მაგრამ იმედოვნებდნენ პაპის დახმარებას. მეფემ მისთვის ყველაზე სანდო ადამიანებს; მინისტრ გიიომ დე ნოგარეს და ინკვიზიტ-

ორ  გიიომ ემბერს დაავალა, ჩუმად შეეგროვებინათ ორდენის ერესში მაკომპრომეტი-
რებელი მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ ნოგარე  იყო შვილიშვილი ინკვიზიციის
მიერ დასჯილი კათარის, ხოლო ემბერი მეფის მოძღვარი და მისი  უერთგულესი
ადამიანი. „გიიომ დე ნოგარემ და გიიომ დე პლეზიანმა, ორმა თანამდებობის პირმა
დაიწყო გამოძიება, რომელშიც  ძალიან რთულია ხაზი გაავლო  პოლიტიკურ გამორ-
ჩენასა და რელიგიურ ფანატიზმს შორის, რადგან ნოგარეს უკვე წაყენებული ჰქონდა
მსგავსი ბრალლდებები იმ ეპოქის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც
ეჭვმიმიტანილნი იყვნენ ჯადოქრობასა და ერესში“ (Ваги  2007: 61). მათი მითითებით
დაიწყეს ტამპლიერების წინააღმდეგ პასკვილების გამოქვეყნება, შედგა დანაშაულებ-
ათა ნუსხა, რომელშიც ნაწილობრივ მათ დაეხმარნენ ცილისმწამებლები თვით ორდე-
ნიდან, რომლებიც ან შემთხვევით იყვნენ გაწევრიანებულნი, ან უკვე გარიცხულნი და
ქრთამის გამო ნებისმიერ ჩვენებას მისცემდენ. ტამპლიერებზე შეტევა დაიწყო მაშინ,
როცა ორდენის დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე ამუშავებდა გეგმას ახალი ჯვაროსნუ-
ლი ლაშქრობის მოსაწყობად. მან მემუარიც დაწერა 1307 წელს წმინდა მიწის ბრძო-
ლით დაბრუნების შესახებ და აქტიურადაც ემზადებოდა პროექტის განსახორციელე-
ბლად. ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმამ  გამოიწვია ფილიპ IV-ის გარემოცვის უდი-
დესი დაინტერესება. ნოგარემ და  ლეგისტმა პიერ დიუბუამაც შეიმუშავეს პროექტე-
ბი. ნოგარემ თავის გეგმაში ექსპედიციისათვის საჭირო კონკრეტულ ფინანსებსაც გა-
უსვა ხაზი. აღსანიშნავია, რომ იგი ტამპლიერებს აკისრებდა პასუხისმგებლობას წმინ-
და მიწაზე დამარცხებაში. რეჟინ პერნუს მოსაზრებით, ნოგარე ამგვარად ამზადებდა
საზოგადოებრივ აზრს  მათ დაპატიმრებაზე, რომელიც ცოტა მოგვიანებით განხორც-
იელდა. ამიტომ ნოგარე თვლიდა, რომ  აუცილებელად უნდა მომხდარიყო ტამპლიე-
რთა ქონების კონფისკაცია და სხვა სამხედრო ორდენების სიმდიდრის საფრანგეთში
კონცენტრირება. მან აგრეთვე წინადადება წამოაყენა, რომ სასულიერო ქონებაც დაბე-
გრილიყო გადასახადებით (Перну 2001 : 280) .

ყურადღებას იპყრობს  პიერ დიუბუას ტრაქტატი „წმინდა მიწის დაბრუნებაზე“,
რომელიც იყო სრულიად განსხვავებული მასშტაბის პროექტი. მას  სურდა კონფისკი-
რებული ყოფილიყო იმ სასულიერო ორდენების ქონება, რომელთა წევრებიც არ ცხო-
ვრობდნენ მონასტრებში. დიუბუას  უმთავრესად მხედველობაში ჰქონდა ტამპლიერ-
ების ორდენი, რომელთა  ქონებაც მისი აზრით, უნდა გადასცემოდა საფრანგეთის მე-
ფეს. მისი გეგმით ფილიპს  უნდა შეეთავსებინა მსოფლიო მონარქის როლი. ლეგისტი

სთავაზობდა მეფეს ეიძულებინათ ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები გაერთიანებულიყვნენ და თავიანთი ხარჯებით ეცხოვრათ აღმოსავლეთის ქვეყნებში. დიუბუას გეგმით, დიდი მაგისტრის თანამდებობა უნდა გადასცემოდა კვიპროსის მეფეს და რადგანაც ამ მონარქს შვილი არ ჰყავდა ეს წოდება გადავიდოდა ფილიპ IV-ის მეორე შვილზე. ამგვარად, ფრანგი პრინცი მიიღებდა კვიპროსის კუნძულს და მაღალ წოდებას. რენანი აღნიშნავს: „ამ გეგმის შემქმნელის მიზანი იყო ჯვაროსნული ლაშქრობის საბაბით გაეხადათ საფრანგეთის მეფე საქრისტიანოს მეთაურად, გადაეცათ მისთვის პაპობის ბენეფიციუმი, ეკლესიის შემოსავლების ნაწილი და განსაკუთრებით ორდენების ძვირფასეულობა, რომლებმაც თავი წმინდა ომს მიუძღვნეს. ეს იყო აბსურდული გეგმა შემუშავებული მცირე საიდუმლო საბჭოს მიერ, სადაც დიუბუა უტოპისტის როლს თამაშობდა, ნოგარე კი შემსრულებლის“- ასკვნის ლობე (Лобе 2003 : 135- 136 ).

პიერ დიუბუას პროექტი იყო საკმაოდ ბუნდოვანი, რომელშიც ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა თითქოს იჩრდილებოდა, მაგრამ სახასიათოა ის, რომ დიუბუამ მასში განსაზღვრა ფილიპის შემდგომი სამომავლო პოლიტიკის ძირითადი ხაზები, რომელთანაც იგი უცილობლად იყო დაკავშირებული. იყო თუ არა ეს ავტორის პირდაპირი გავლენა მეფეზე თუ შემთხვევითი თანხვედრა, ეს საინტერესო ფაქტი ყურადღების ღირსია, რადგან ტამპლიერების დაპატიმრების შემდეგ, სწორედ მან დაწერა რამდენიმე პროპაგანდისტული ნაშრომი, როგორც ხალხის ცრუ თხოვნა მეფისადმი, პაპის ბრალდებებით მათი პროცესის გაწელვის გამო (Перну 2001 : 280-282).

ტამპლიერების წინააღმდეგ წამოწყებულ მოვლენებს რომ ჰქონოდა კანონიერი ოპერაციის ფორმა, მეფეს ამისთვის სჭირდებოდა თანადგომა და თანხმობა რომის პაპის, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ტამპლიერები. როგორც აღვნიშნეთ 1305 წელს, კონკლავზე პაპად აირჩიეს ბორდოს ეპისკოპოსი ბერტრან დე გო. ტალბერგის მოსაზრებით, ფილიპმა, რომელმაც უეჭველად იქონია გავლენა არჩევნებზე, ახალი პაპისგან მიიღო ფიცი, რომ გააუქმებდა ბონიფაციუსის ყველა განკარგულებას მასზე გამოცემულს, განიკითხავდა ბონიფაციუსს და გაანადგურებდა ტამპლიერების ორდენს (Талтберг 2001: 341.) არსებობს ცნობა, რომ სანამ წმინდა იუსტინეს ეკლესიაში, ლიონში, პაპის გვირგვინს დაადგამდნენ, ის იძულებული გახდა დათანხმებოდა მეფესთან დიდხნიან თათბირს, რომლის შესახებაც მრავალი მოსაზრება ვრცელდებოდა. ჩვენამდე მოაღწია ლეგენდამ, რომ „მეფე ფილიპმა და პაპმა კლემენს V-მ საიდუმლო ხელშეკრულება დადეს სენ-ჟან დ ანჟელის ტყეში, სადაც მეფემ მისი

მფარველობის სანაცვლოდ პაპისაგან მოითხოვა შეესრულებინა ექვსი საიდუმლო და საშინელი პირობა. ივანოვის მოსაზრებით, ამ ლეგენდაში არეკლილია სიმართლე, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ მეფესა და პაპს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და მათ ერთობლივად შეიმუშავეს გარკვეული პირობები. უფრო სარწმუნოა ის, რომ ამ პირობების თანახმად, პაპი ვალდებული ხდებოდა თვალი აერიდებინა მეფის ზოგიერთი საქციელისათვის და დახმარებოდა მას სხვა საქმეებში“ (Ивановь 1915 : 263).

ტრაგიკულად დასრულდა პაპის კურთხევის ცერემონია. ჩამოინგრა ქალაქის ერთი კედელი, სადაც უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი და ნანგრევებქვეშ მოიყოლა ბრეტანის ჰერცოგი თავის 12 მხლებელთან ერთად, პაპი გადმოვარდა ცხენიდან, მოძვრა ტიარა და დაიკარგა ყველაზე მსხვილი ძვირფასი ქვა.

რასელის მოსაზრებით, კლემენს V და ფილიპ IV შეთანხმებულნი იყვნენ ტამპლიერების წინააღმდეგ ერთობლივი აქციის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ისინი, ორივენი საჭიროებდნენ ფინანასებს, პაპი იმიტომ, რომ მიჩვეული იყო ფავორიტიზმსა და ნეპოტიზმს, მეფე კი იმიტომ, რომ გააჩნდა დიდი გასავალი, რომელსაც მოითხოვდა ინგლისთან ომი, ფლანდრიის აჯანყება და სახელმწიფო აპარატის ქმედებები. მეფეს ტამპლიერების ქონების ხელში ჩაგდება შეეძლო პაპის დახმარებით. ამიტომაც შეთანხმდენენ, რომ ეკლესია წარმოაჩენდა თითქოს ტამპლიერები ჩავარდნენ ერესში, შემდეგ კი მეფე და პაპი ერთად გაიყოფდნენ ნადავლს. რასელი ასკვნის, რომ ტამპლიელიერების საქმეში პაპისა და მეფის ფინანსური ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა (Рассел 2001 : 572-573) .

ფილიპ IV-მ გადაწყვიტა ახალი პაპი მარიონეტად ექცია. მან კლემენს V-ს შეატყობინა ორდენის ბრალდებების შესახებ და მოითხოვა დახმარებოდა დიდი მაგისტრის, ჟაკ დე მოლეს დაპატიმრებაში. 1307 წლის მაისში პუატიეში მეფე შეხვდა პაპს ტამპლიერების საკითხის განსახილველად. დისკუსია დაიწყო ფილიპმა და კლემენს V-ც ამის შემდეგ უკვე ხშირად იღებდა მეფის ელჩებს. მეფემ შეატყობინა პაპს ტამპლიერების დანაშაულებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპ IV მტკიცედ ისწრაფვოდა დასახული მიზნისაკენ, პაპი ბრალდებებს მიიჩნევდა დაუჯერებლად. კლემენს V ცდილობდა აერიდებინა ტამპლიერების სასამართლო პროცესი და პუატიეში დააყენა საკითხი ამ ორდენის შეერთებაზე ჰოსპიტალიერებთან. ასეთი აზრი

1265 წელს ლუი IX-მ გამოთქვა პირველად, მაგრამ გეგმა უარყოფილი იქნა კასტილ - იის მეფეების მიერ.

1307 წლის აგვისტოში პაპმა კვიპროსიდან გამოიძახა ჟაკ დე მოლე კურიაში მონღოლთა ხანის ელჩებთან შეხვედრის მიზეზით. მოლე ემზადებოდა სირიაში ექსპედიციის გადასასხმელად. მან სასწრაფოდ დატოვა კვიპროსი და პუატიეში ჩავიდა თავის სამ თანაშემწესთან; კვიპროსის კომანდორ რამბო დე კარონთან, აქვიტანიის მაგისტრ ჟოფრუა დე გონევილთან და ჰუგო დე პეიროსთან ერთად. ორდენის იერარქებმა მტკიცე უარი განაცხადეს მეფისა და პაპის გეგმაზე, რადგან უკვე ცხადი გახდა მათთვის, რომ ჰოსპიტალიერებთან შეერთება მათი ორდენის დასასრულს მოასწავებდა. პაპმა აუხსნა მათ საქმის დეტალები. კვიპროსის კომანდორის რამბო დე კარონის სიტყვებით, სწორედ პაპმა გააგებინა მათ, რომ ისინი ეჭვმიტანილები არიან საიდუმლო კაპიტულებზე კერპთაყვანისცემაში. პაპი ამ ბრალდებებს დაუჯერებლად თვლიდა, მაგრამ დიდი ბალების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მან გადაწყვიტა ჩაეტარებინა გამოძიება: „თუკი ჩვენ ჩათვლით მათ უდანაშაულოებად, გავამართლებთ, ანდა დავსჯით, თუ აღმოვაჩენთ, რომ ისინი დამნაშვენი არიან“ - ამბობდა პაპი (Мельвиль 2003 :298). მან წერილი მისწერა მეფეს 1307 წლის 24 აგვისტოს: „ჩვენ ძნელად შეგვეძლო დაგვეჯერებინა ის, რაც იმ დროს ითქვა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი უცნაური და გაუგონარი რამ მოვისმინეთ ამ ორდენის შესახებ და ამიტომ კარდინალებთან კონსულტაციის შემდეგ არა დიდი მწუხარების, შფოთვისა და გულის წყენის გარეშე პაპმა გადაწყვიტა დაიწყოს გამოძიება. კლემენსის თანახმად, ჟაკ დე მოლემ და ორდენის ბევრმა სხვა პრეცეპტორმაც ბრალდებების მოსმენის შემდეგ რამდენჯერმე მტკიცედ სთხოვეს მას პეტიციებით გამოძიება დაეწყო იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ტყუილად მიეწერებათ, ასე ამბობენ, და გაეთავისუფლებინათ ისინი ცოდვებისაგან თუ უდანაშაულონი აღმოჩნდებიან, როგორც ისინი ამტკიცებენ, ან დაგმონ ისინი თუ დამნაშავედ ცნობენ, რაც მათ არანაირად არ სჯერათ“ (Barber 2006: 62-63). პაპი ფილიპს სთხოვდა შეეტყობინებინა ამ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და გაეგზავნა მისთვის ყველა მოწმე, რომელიც მიყვანილი იქნებოდა სამეფო კარზე. იმავე წერილში, პაპმა ცხადყო, რომ არ იყო საჭირო აჩქარება მიმდინარე საქმეებზე, რადგან იმ მომენტში ის ავად იყო და სექტემბერში აპირებდა მკურნალობის დაწყებას. პაპის ეს წერილი საყურადღებო წყაროა, რადგან აქ იკვეთება საგულისხმო დეტალები:1. პაპი ყოყმანობდა, მაგრამ მზად იყო დაეწყო გამოძიება შვიდი კვი-

რის შემდეგ. 2. ჟაკ დე მოლემ და ორდენის მაღალმა იერარქებმა თავად მოითხოვეს გამოძიების დაწყება. 3. კლემენს V-ს ეშინოდა ფილიპ IV-ის აჩქარებული მოქმედების და იმედოვნებდა, რომ როგორმე შეაყოვნებდა ტამპლიერების საქმეს ხანგრძლივი გამოძიებით, ინფორმაციის გაცვლით და ავადმყოფობის გამო დაგვიანების გამართლებით. გამოძიების დაწყების იდეა ამტკიცებს, რომ კლემენს V ამ დროს სრულებით არ ფიქრობდა ორდენის წევრების საერთო დაპატიმრების სანქცირებაზე. როგორც ჩანს, მეფისათვის მოუთმენელი გახდა პაპის უმოქმედობა. მისი ფინანსური მდგომარეობაც მწვავე იყო. ორდენის ხელმძღვანელები შემთხვევით იმყოფებოდნენ საფრანგეთში, მაგრამ მათ შეეძლოთ ნებისმიერ დროს გადაეწყვიტათ კვიპროსში დაბრუნება. ჩანდა, რომ პაპი არაფრის გაკეთებას არ აპირებდა (Barber 2006 : 63-64). ფილიპს შეეშინდა, რომ ხელში ვერ ჩაიგდებდა ორდენის ქონებას და გადავიდა უფრო აქტიურ მოქმედებებზე. მან 1307 წლის 14 სექტემბერს მობიუსონის მონასტერში შეკრიბა მრჩევლები, ეპისკოპოსები და ინკვიზიტორები ტამპლიერების საკითხის განსახილველად. დისკუსიის შედეგად ამ კრებაზე გადაწყდა; დაეკავებინათ ყველა ტამპლიერი და გადაეცათ ინკვიზიციისათვის. ერთადერთი, ვინც შეეწინააღმდეგა ამ აზრს, იყო ნარბონის არქიეპისკოპოსი ჟილ ეისლენი. მან უარი თქვა ტამპლიერების დაპატიმრებაზე პაპის თანხმობის გარეშე. ასევე უარი განაცხადა სამეფო ბეჭდის მცველის თანამდებობაზე (მთავარი კანცლერი), რომელზეც მეფემ დანიშნა გიიომ დე ნოგარე, რომელიც შეეცადა დაეჩქარებინა მზადება. მან 14 სექტემბერს მეფის სახელით დაწერა ბრძანება დაეგზავნათ საიდუმლო შეტყობინებები მთელ საფრანგეთში ტამპლიერების დასაპატიმრებლად. ინსტრუქციები ჩადებული იყო ორმაგ კონვერტში და უნდა გახსნილიყო მხოლოდ დანიშნულ დღეს და საათს. საიდუმლო წერილები, რომლებიც დაეგზავნათ ბალებსა და სენეშალებს, იწყებოდა შემდეგი ფრაზით. „საშინელი, ამბავი მძიმე, სავალალო, დაუჯერებელი ფიქრითაც კი, საშინელი მოსასმენი, მიუღებელი დანაშაული, შემზარავი ფაქტი, მართლაც არაადამიანური, უფრო მეტიც, უცხო და მიუღებელი მთელი კაცობრიობისათვის“ (Lizerand 1923 : 17 ). მეფემ შეატყობინა ხელქვეითებს, რომ ჭეშმარიტად მორწმუნე, ღირსეულმა ადამიანებმა აცნობეს მას ტაძრელი ძმების დანაშაულებების შესახებ, რომლებიც აღმოჩნდნენ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები. თავიანთი საქციელით მათ კვლავ ჯვარს აცვეს იესო ქრისტე და „იმაზე მეტი ტანჯვა მოუტანეს უფალს ვიდრე, ის, რაც გადაიტანა ჯვარცმის დროს“ (Barber 2006 : 59). წერილებში ჩამოთვლილი იყო ტამპლიერების ბრალდებების ძირითადი

პუნქტები: ქრისტესგან განდგომა, სოდომის ცოდვა, კაპელანების მიერ საეკლესიო რიტუალების დარღვევა და კერპის თაყვანისცემა. წერილებში ეწერა: „ეს ადამიანები აცხადებდნენ თავს ქრისტიანებად, როცა სინამდვილეში ორდენში მიღების დროს სამჯერ უარყოფდნენ ქრისტეს და სამჯერ აფურთხებდნენ ხატზე. შემდეგ იხდიდნენ საერო ტანსაცმელს და შიშვლები წარსდგებოდნენ უფროსი ტამპლიერის წინაშე, რომელიც პასუხისმებელი იყო ორდენში მათ მიღებაზე. მათ კოცნიდნენ ხერხემლის უკან, ჭიპზე და ბოლოს ტუჩებში ადამიანური ღირსების სასირცხვილოდ, მათი ორდენის უხამსი რიტუალის მიხედვით. უფრო მეტიც, თავიანთი აღთქმით, ისინი ვალდებულნი არიან ხორციელი ურთიერთობა ჰქონდეთ ორდენის სხვა წევრებთან, რაც მათ უარის თქმის შესაძლებლობის გარეშე მოეთხოვებათ. ბოლოს, ეს უწმინდური ადამიანები უარს ამბობდნენ ნაკურთხ წყალზე და მიჰქოდათ საჩუქრები კერპებთან. მთელ დოკუმენტში შენარჩუნებულია მასობრივი სიტყვიერი შეტევა ტამპლიერებზე, რომლებმაც თავიანი სიტყვებითა და საქმეებით წაბილწეს მიწა სიბინძურით, წაშალეს ნამის სარგებელი და მოწამლეს სუფთა ჰაერი“(Barber 2006 : 59). მ. ჰაიდუკის მოსაზრებით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ ფილიპ IV დაპატიმრების ბრძანებაში უკვე იყო განსაზღვრული ტამპლიერებისათვის საწყისი დაკითხვების დროს დასასმელი კითხვები. შემდგომი სასამართლო პროცესებისთვის ეს კითხვები გაფართოვდა (Heiduk 2010: 154 ).

მეფე აღიარებდა, რომ თავდაპირველად მას ეჭვი ეპარებოდა ბრალდებების სიმართლეში, რადგან ფიქროდა, რომ ამგვარი ინფორმატორები და ამბების გამავრცელებლები სამწუხაროდ, შესაძლოა მოქმედებდნენ უფრო მეტად შურით, ან ბოროტებით, ან სიძულვილის გაღვივებით, ანდა სიხარბის გამო, ვიდრე რწმენისა და სამართლიანობის სახელით. მაგრამ იმდენად ბევრი ბრალდება დაგროვდა და ალბათ, წამოყენებული არგუმენტებიც გამოჩნდა, რომ ძალიან დიდი ეჭვი აღიძრა. ამიტომ შეხვდა მეფე პაპს და მიიღო კონსულტაცია სამეფო საბჭოსაგან, რომელშიც შედიოდნენ პრელატები და ბარონები, რათა გამოენახათ სიმართლის გარკვევის საუკეთესო საშუალებები. ამ დისკუსიების შედეგად, რომელიც გააძლიერა საფრანგეთის დიდი ინკვიზიტორის გიიომ დე ემბერის მოთხოვნამ, მეფემ გასცა ტამპლიერების საყოველთაო დაპატიმრების განკარგულება (Barber 2006 : 59-60). სადუმლო წერილებში მეფე ავალებდა ქვეშევრდომებს მიეღოთ განსაკუთრებული ზომები ტამპლიერების დასაპატიმრებლად. მეფის ხელქვეითებს ინსტრუქციები უნდა მიეცათ ბალებისა და სენეშა-

ლებისათვის თუ როგორ მოქცეულიყვნენ. მათ ფრთხილად, ეჭვის აღუძვრელად უნდა ემოქმედათ. ჩინოვნიკებს ევალებოდათ: დაპატიმრების დღეს დაკავებინათ ტამპლიერების სამფლობელოები, აღეწერათ მათი ქონება და საიმედოდ შეენახათ იგი მეფის ხაზინაში. დაეპატიმრებინათ ორდენის ყველა წევრი, დაპატიმრებულები კარგად დაეცვათ და შეძლებისამებრ ცალკე საკნებში ჰყოლოდათ იზოლირებულნი.

ცხადია, რომ ტამპლიერების დაპატიმრების მთავარი ინიციატორი იყო ფილიპ IV, თუმცა, მან სცადა ამ სპეცოპერაციისთვის კანონიერების ფორმა მიეცა და წერილშივე აღნიშნა, რომ ტამპლიერების დაპატიმრების ბრძანება ინკვიზიტორ, გიიომ ემბრის მოთხოვნის გამო გასცა.

როგორც ირკვევა სამეფო ინსტრუქციებში ჩაწერილი ბრალდებები მოიცავდა ერესს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დაპატიმრების გადაწყვეტილება უნდა მიეღო ეკლესიას და არა სამეფო საბჭოს. ეს იყო პირველი და არა უკანასკნელი სამართალდარღვევა ტამპლიერების სასამართლო პროცესის ისტორიაში. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, ჰქონდა თუ არა გიიომ ემბერს ტამპლიერების დაპატიმრების მოთხოვნის უფლება პაპის ნებართვის გარეშე. 1290 წელს პაპმა ნიკოლუს IV-მ დომინიკელების ორდენის პრიორს პარიზში მისცა უფლება გამოეძიებინა ერესი საფრანგეთში საკუთარი ან სხვისი სახელით. მაგრამ გაურკვეველია გადასცა თუ არა პაპმა კლემენს V-მ გიიომ ემბერს ასეთი უფლებამოსილება. 1308 წელს პუატიეში პაპმა გაურკვევლად ისაუბრა ამ საკითხთან დაკავშირებით, მან არ თქვა, რომ ასეთი უფლება მისცა ინკვიზიტორს, თუმცა აღნიშნა, რომ ინკვიზიტორს ჰქონდა ყველა ის უფლებამოსილება, რომლითაც სარგებლობდნენ მისი წინამორბედები, უფრო ზუსტ დეტალებზე მას არ უსაუბრია (Barber 2006: 61-62). იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ 1. კლემენს V- თავად აპირბდა გამოძიების დაწყებას და 2. მას არც კი შეატყობინეს ტამპლიერების დაპატიმრების ამბავი, დგინდება, ის ასეთ უფლებას ინკვიზიტორს არ მიანიჭებდა.

აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ტამპლიერების სასამართლოს დიდი პროცესი დაიწყო ორი სერიოზული სამართალდარღვევით, როგორც საერო, ასევე ინკვიზიციური პროცედურის უგულებელყოფით. გამოძიების შემდგომ ეტაპებზე კიდევ უფრო მომრავლდა ასეთი დარღვევები.

22 სექტემბერს ინკვიზიტორმა გიიომ ემბერმა თავისი ინიციატივით დაკითხა რამდენიმე ტამპლიერი და უბრძანა თავის ქვეშევრდომებს დაეწყოთ გამოძიება.

სექტემბრის ბოლოს მეფე პარიზში შეხვდა ჟაკ დე მოლეს. მან დიდ მაგისტრს რა-

მდენიმე შეკითხვა დაუსვა კაპიტულის მართვასთან დაკავშირებით. მეფეს აინტერესებდა მაგისტრი და სხვა საერო პირები თუ მიუტევებდენენ ორდენის წევრებს ცოდვებს. როგორც ჩანს, კაპიტული მთავრდებოდა შეწყალების ფორმულით. მოლე დაეთანხმა მეფეს, ოღონდ შეცვალა შეწყალების ფორმულა და წარმოთქვა: „მე თქვენ გპატიობთ შეცდომებს, რომლებიც თქვენ ჩემთან არ გიღიარებიათ ან ხორციელი, ან მართლმსაჯულების შიშის გამო“. აქედან ჩანს ცოდვათა მიტევების ორაზროვანი გაგება. (Мельвиль 2003 : 300). პროცესის დროს ეს ბრალდებად წაუყენეს ორდენს. ნათელია, ბრალდებების შესახებ ცნობილი იყო ტამპლიერებისთვის, თუმცა საფრთხედ მაინც არ ჩაუთვლიათ, რადგან ჩვეულებრივად გააგრძელეს ორდენში ახალწვეულთა გაწევრიანება და არაფერი გააკეთეს თავის დასაცავად.

1307 წლის 12 ოქტომბერს ტამპლიერების დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე მთელ სამეფო კართან ერთად კატერინა დე კურტენეს (მეფის ძმის, შარლ დე ვალუას მეუღლის) დაკრძალვაზე იმყოფებოდა. იგი მეფესთან ახლოს იდგა და ხელში ეჭირა სუდარის ერთი თასმა, რაც განსაკუთრებული ნდობის ნიშნად ითვლებოდა. უფრო ადრე ფილიპმა ჟაკ დე მოლე მოიწვია თავისი შვილის ნათლიად, ამით პატივი მიაგო მას. ახლა, როცა უეცრად გარდაიცვალა მისი რძალი, დე მოლე იზიარებდა მათ მწუხარებას. 1307 წლის 13 ოქტომბერს, სამგლოვიარო ცერემონიის მეორე დღეს, პარასკევს, გამთენიისას, ზუსტად დანიშნულ დროს, მთელ საფრანგეთში ტამპლიერების ორდენის ყველა წევრი, დიდ მაგისტრთან ერთად დააპატიმრეს.

13 ოქტომბერი, პარასკევი, დღე არ იყო შემთხვევით არჩეული. მეფემ შეარჩია პარასკევი - ქრისტეს ჯვარცმის დღე. აირჩია თვის მე- 13 დღე, როგორც უიღბლობის რიცხვის მინიშნება. 13 მიაჩნდა ცუდ რიცხვად ჰომეროსსა (ილიადა, V) და ციცერონს. ძველ ებრაულ კაბალაში იყო 13 ბოროტი სული და მე-13-ედ წმინდა წერილში ნახსენები იყო იუდა, ქრისტეს გამცემი. ამასთანავე საიდუმლო სერობაზე იუდა იყო მე-13 მეტრაპეზე. უფლის ვნების დღე დაემთხვა მთვარის კალენდრის მიხედვით მე-13 დღეს, აპოკალიფსის მე-13 თავში არის საუბარი ანტიქრისტეზე და იოანეს სახარების მე-13 თავში იუდას გამცემლობაზე (Андреев 2003: 150-151).

ფრანგი ისტორიკოსი ფრედერიკ პოტეშერი აგვიწერს 1307 წლის 13 ოქტომბრის დილას: „ქალაქ პროვენის ვაჭრებმა და ხელოსნებმა დილით მშვიდად გაიღვიძეს. მათ არ ეშინოდათ არც ნავსიანი რიცხვებისა და ცუდი დღეების... ისინი ხსნიან ურდულებს, ჩვეულებისამებრ გარეთ იხედებიან ჯერ კიდევ ბნელ ქუჩებში და უცებ შეშდე-

ბიან, თითქოს ადგილს მიელურსმნენ საშინელი, წარმოუდგენელი სინამდვილით. სამყარო შეიშალა. 13 ოქტომბრის პარასკევი მართლაც სატანის დღეა. მათ დაინახეს, რომ ჭუჭყიანი არხის პირას გამავალ მოკირწყლულ გზაზე მეფის სერჟანტებისა და ჯარისკაცების დაცვის ქვეშ ბორძიკით მიდიან ტყვეების პატარ-პატარა ჯგუფები... აკ-ანკალებული ხელებით გადაიწერეს პირჯვარი პროვენის მცხოვრებლებმა, როდესაც დაინახეს თეთრი გრძელი ლაბადები წითელი ჯვრებით... ისინი, ვინც მიჰყავთ ბორ-კილებით, როგორც ყაჩაღები, ქრისტეს რაინდები არიან, ყოვლისშემძლე და საიდუმ-ლოებებით მოსილი ტამპლიერები. ხალხმა დასწყევლა მეფე ფილიპ IV: წყეულიმც იყავ, მეფე ფილიპ! დაე, ანათემას გადაგცეს შენ რომის პაპმა! სიკვდილი ყალბი ფუ-ლის მჭრელს“ (Печников 1991 : 66-67).

ტამპლიერების ორდენის დიდი მაგისტრი დააპატიმრა თავად გიიომ ნოგარემ. იგი რენო დე რუასა (მეფის ხაზინადარი) და პარიზის სასამართლოს მოხელეებთან ერთად შევიდა ტამპლში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დიდი მაგისტრი, რომელსაც ჰყავდა კარგად შეიარაღებული, ძლიერი არმია თავის მხლებლებთან ერთად წინააღმ-დეგობის გაუწევლად ჩაბარდა.

მეფის ხელქვეითებმა სრული სიზუსტით შეასრულეს მიცემული დავალება. მეთ-ოდი უკვე კარგად იყო ცნობილი. სწორედ ასე მოექცნენ ისინი 1291 წელს ლომბარდ-იელ ბანკირებს და 1306 წელს პარიზელ ებრაელებს. ორდენის სახლებსა და ციხეებ-ზე დაინიშნა სამეფო მეთვალყურეობა, ხოლო მათი მთელი ქონება დაექვემდებარა კონფისკაციას. დაპატიმრებისას ტამპლიერებს აუხსნეს, რომ უნდა შეემოწმებინათ მა-თზე გავრცელებული ყველა ბრალდება. მეტაძრეებს ეჭვიც რომ ჰქონოდათ რაიმეზე, ისინი მაინც არ ელოდნენ ასე მასშტაბურად შეჭრას მათ სახლებში, არც ის იცოდნენ, რომ დაპატიმრება მიმდინარეობდა მთელ საფრანგეთში, ყველა ტამპლიერი ფიქრობ-და, რომ საქმე შეეხებოდა მხოლოდ მის სახლს და დარწმუნებულნი, რომ ეს შემოწმე-ბა მალე დამთავრდებოდა, მშვიდად მიჰყვებოდნენ პოლიციის მესვეურთ.

როგორც ირკვევა, ეს პოლიტიკური სპეცოპერაცია ჩატარდა წარმატებულად, რა-დგან ის იყო კარგად დაგეგმილი, კოორდინებული, (მიუხედავად იმისა, რომ იმ პერ-იოდში არ არსებობდა სატელეფონო კომუნიკაცია) და გასაიდუმლოებული. თუმცა, ოფიციალური წყაროების თანახმად, რამდენიმე ტამპლიერმა მაინც მოახერხა გაქცევა. თავიდან ასახელებდნენ 12 წევრს, მაგრამ როგორც ჩანს, გაქცეულთა რაოდენობა იყო ბევრად მეტი. მოწმეების სიტყვებით ისინი გაიქცნენ ზუსტად დაპატიმრების დროს.

თუმცა, „არსებობს სუასონელი ტამპლიერის, ჟან დე ვობელანის აღიარება, სადაც ის აცხადებს, რომ იგი გაფრთხილებული იყო დაპატიმრებამდე სამი დღით ადრე. ცხადია, ის არ იყო ერთადერთი და უცნაური იქნებოდა თუ არ გააფრთხილებდა თავის ხელმძღვანელებს. თუმცა, მხოლოდ რამდენიმემ სცადა დამალვა (Φο 2007: 205). გაქცეულთა შორის იყო საფრანგეთის პრეცეპტორი ჟერარ დე ვილერი და ოვერნის პრეცეპტორი იმბერტ ბლანკი, რომელიც 1309 წელს ინგლისში დააპატიმრეს. აღსანიშნავია ის, რომ გაქცეულ ტამპლიერებსაც კი სცნობდნენ და აპატიმრებდნენ.

მიუხედავად დაკითხვების მრავალი ოქმისა, რომლებიც შემორჩენილია, დაპატიმრებულთა ზუსტი რიცხვის განსაზღვრა დღეს მაინც რთულია, რადგან სპეცოპერაცია ჩატარდა მთელ საფრანგეთში და სხვა ქვეყნებშიც. პარიზში დააპატიმრეს 138-140 ტამპლიერი. პაპის კომისიამ 1309 წლამდე დაკითხა 546 ტამპლიერი, რომლებიც შეკრებილნი ჰყავდათ მთელი საფრაგეთიდან. XIV საუკუნეში საფრანგეთში ორდენის 5-6 საკომანდო, არსებობდა დაახლოებით 4 ათასამდე წევრით. დაკითხვის ოქმებში, სადაც ისინი მოწმეებად გამოდიან, მათი რიცხვი კი ათასს არ აღემატება, რაც შეეხება დანარჩენებს, მათ შესახებ არაფერია ცნობილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი საპატიმროებში გარდაიცვალნენ.

ტამპლიერების ქონების საკითხი მათი დაპატიმრების დღესვე დაისვა. იმავე დღეს ფილიპე IV დასახლდა ტამპლში და მის განკარგულებაში გადავიდა მეტაძრეთა ორდენის ხარჯები, რომლებიც შემოდიოდა და იქ გროვდებოდა საფრანგეთის ყველა საკომანდოს შემოსავლებისგან. მეფე დაპატიმრების დღიდანვე იყენებდა ტამპლიერების შემოსავლებს, ასწორებდა და ანაღდებდა ორდენის ანგარიშებს. შესაძლოა ფილიპი და მისი მრჩევლები ფიქრობდნენ, რომ მოლემ ორდენის მთავარი რეზიდენცია კვიპროსიდან პარიზში გადმოიტანა, მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა რომ სინამდვილეში ორდენის ადმინსტრაციული ცენტრი იყო კვიპროსში და იქ იკრიბებოდა კაპიტული. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ორდენის არქივი აღმოჩნდა კუნძულ მალტაზე. ის რომ პარიზის ტამპლში გადაეტანათ, მაშინ განადგურებული იქნებოდა. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ორდენის ქონების ძირითადი ნაწილი იყო კვიპროსზე და მოლე პარიზში უდიდესი განძით არ ჩასულა, რადგან არ არსებობდა ამის საჭიროებაც. ასევე ორდენის სახლებში ჩატარებულმა საინვენტარიზაციო აღწერამ არ დაადასდატურა ის აღურიცხავი სიმდიდრე, რომლის შესახებაც ლეგენდები არსებობდა. ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ ტამპლიერებმა მოასწრეს აღნიშნულ აქტამდე ადრე, ღა-

მით განძეულობის გადამალვა ლაროშელის პორტით, მაგრამ მათ ვერ შესძლეს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

არსებობს მოსაზრება, თითქოს ჟაკ დე მოლემ მასობრივი დაპატიმრებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწვა ორდენის ხელნაწერები და დოკუმენტები, აგრეთვე მოახერხა წერილების დაგზავნა საფრანგეთში ორდენის ყველა სახლში, რომლითაც ბრძანებდა არ გაეცათ ტამპლიერების წესების შესახებ არანაირი ინფორმაცი.

მართალია, მეფემ მთლიანად ვერ მიიღო ტამპლიერების სიმდიდრე, მაგრამ მან შეავსო სამეფო ხაზინა და არ დარჩენილა უკმაყოფილო. ტამპლიერების დაპატიმრებით ფილიპ IV-მ მოაგვარა ორი პრობლემა; იშოვა ფული და ანგარიში გაუსწორა პაპობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ბარბერის ფორმულა: მეფეს ჰქონდა ორი პრობლემა - ძალაუფლება და საშუალებები. ტამპლიერების ორდენი აღმოჩნდა ორივეს მომცველი (Демурже 2008 : 300).

ტამპლიერების დაპატიმრებამ მღელვარება გამოიწვია პარიზში. აღშფოთებული მოქალაქეები გარს შემოერტყნენ ციხეს, სადაც დატუსაღებული მეტაძრეები მოათავსეს, რათა დაემხოთ იგი. ადამიანთა ნაწილი ბრალდებულებს ემხრობოდა, ნაწილი კი სამეფო საბჭოს. ეს დამოკიდებული იყო მათ გამოცდილებასა და ტამპლიერებთან ურთიერთობაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად შორს იყვნენ ფილიპ IV-ის სასამართლოსაგან. განსაკუთრებით დაბნეულები მეფის საქციელით იყვნენ ტამპლიერები, რადგან ფილიპმა 1304 წელს მიანიჭა მათ ახალი პრივილეგიები, სამი წლის შემდეგ კი - მათ წინააღმდეგ ასეთი სპეცოპერაცია ჩაატარა.

ნოგარემ ტამპლიერების მიმართ განხორციელებული მოულოდნელი ზომების გასამართლებლად თავისი ხელქვეითები გაგზავნა ხალხთან, რომლებიც უხსნიდნენ მათ, რომ მეფემ აღასრულა მთავარი ინკვიზიტორის, გიიომ ემბერის ნება, რომელსაც პაპიც იზიარებდა. უფრო მეტიც, რომ პაპმა ეს საქმე დალოცა. ნოგარე საზოგადოების მოტყუებით ცდილობდა მღელვარების ჩაწყნარებას.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია რომ ტამპლიერების დაპატიმრების ამბავი პაპმა ყველაზე გვიან, კერძოდ ჰუგო დე პეიროს დაპატიმრების შემდეგ შეიტყო და ამ ამბით ყველაზე მეტად გაოცებული დაპატიმრებული ტამპლიერების შემდეგ სწორედ იგი დარჩა. პაპი სასწრაფოდ გაეშურა პუატიეში და 16 ოქტომბერს მოიწვია კონსისტორიუმი.

როგორც ჩანს მეფემ არ ჩათვალა საჭიროდ ოფიციალურად მიეწოდებინა კლემენს

V-თვის ეს ინფორმაცია. თუმცა, მისმა წარმომადგენლებმა და თავად ფილიპ IV-მაც განაცხადეს, რომ ტამპლიერების დაპატიმრების რჩევა მიიღეს პაპისგან, მაშინ, როცა კლემენსთან არც კი მისულან. პაპმა უარყო თანამონაწილეობა ტამპლიერების დაპატიმრების საკითხში. მოგვიანებით მეფემ და გიიომ დე ემბერმა მას მოუბოდიშეს ამის გამო და იმით ახსნეს ეს ყველაფერი, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ ასე მოქცეულიყვნენ ჭეშმარიტი რწმენის ერესისაგან დაცვის გამო.

გაბრაზებულმა კლემენს V-მ 27 ოქტომბერს წერილი მისწერა მეფეს: „შენ, ჩემო ძვირფასო შვილო, დაარღვიე კანონი, როცა ჩემს არყოფნაში შეეხე ტამპლიერებს და მათ ქონებას...შენ, თვით ორდენის წევრებიც დააპატიმრე ... ყველასათვის ნათელია, რომ თქვენი აჩქარებული მოქმედება გამოხატავს ჩვენს, უფრო ზუსტად კი რომის ეკლესიის უპატივცემულობას“(Лобе 2003 :152-153). წერილში პაპმა არ განაცხადა დაიჯერა თუ არა ბრალდებები. კლემენს V-მ არ იცოდა, როგორ მოქცეოდა ფილიპის თვითნებობას და იძულებული გახდა მოეძებნა გზა სიტუაციის სამართავად. პაპი შეშინებული და შეშფოთებული იყო. იგი ცდილობდა გაენელებინა მეფის რისხვა და სთხოვა მას პაპის კურიისათვის გადაეცა ტამპლიერების საქმე განსასჯელად, მაგრამ მეფე ეწინააღმდეგებოდა და აიძულებდა ტამპლიერების ორდენის განადგურებას.

ცხადია, რომ ფილიპ IV-მ ძალიან გადააჭარბა სამართლიანი ქრისტიანი მონარქის როლს, რადგან ყველაფრის მიუხედავად ის, საფრანგეთის მეფე, ერისკაცი იყო და ტამპლიერების პაპის დაუკითხავად დაპატიმრება მეტისმეტი იყო. მას გააჩნდა საკმარისი ძალა იმისათვის რომ დაემორჩილებინა პაპი, რათა მასაც დაეთმო მისთვის, მაგრამ კლემენს V ფარულად წინააღმდეგობას უწევდა მეფეს. პაპის საქციელმა იმდენად განარისხა ფილიპ IV, რომ მას კათოლიკობის მოღალატეც კი უწოდა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცესის დასაწყისში პაპი ცდილობდა მეფის ქმედებისაგან დისტანცირებას. პაპმა მოლაპარაკებები დაიწყო ფილიპ IV-სთან კარდინალების; ეტიენ დე სიუზისა და ბერანჟე ფრედოლის მეშვეობით. თუმცა, ამ მოლაპარაკებებს სარგებელი არ მოუტანია ტამპლიერებისათვის. დაიწყო შეუთანხმებელი პოლიტიკა მეფესა და პაპს შორის. ამ პოლიტიკას მკვეთრ შეფერილობას აძლევდა ლეგისტები და მეფის საბჭო. ლეგისტები იყვნენ მეფის ხელისუფლების უძლიერესი მხარდამჭერები ცენტრალიზებულ სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში. ფრანგი მონარქის მიერ ტამპლიერების წინააღმდეგ წამოწყებულ ომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ლეგისტებმა.

იმ წყაროებს შორის, რომლებიც ასახავენ ფილიპ IV-ის ხელისუფლების პაპობასთან ბრძოლის სხვადასხვა მხარეებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლეგისტ პიერ დიუბუას ტრაქტატებს, რომლებიც დაწერილია ტამპლიერების ორდენის წინააღმდეგ გამართული პროცესის შესახებ. დიუბუას ეს ტრაქტატები წარმოადგენენ ძვირფას ისტორიულ წყაროებს ტამპლიერების ორდენის განადგურების საკითხის კვლევისას.

ტრაქტატების ავტორი პიერ დიუბუა (1250-1321) იყო ლეგისტი, კანონიკური სამართლის ლიცენციანტი კუტანსისი ბალიაჟში.1306 წელს იგი გახდა ფილიპ IV-ის ადვოკატი. დიუბუა მხარს უჭერდა მეფის ძლიერი ხელისუფლებისა და საფრანგეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს პროგრესულ იდეებს, ოცნებობდა დამყარებულიყო ფრანგი მეფის ჰეგემონობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. დიუბუა ეხმაურებოდა იმ ეპოქის თითქმის ყველა პოლიტიკურ მოვლენას. მან დაწერა სამი ტრაქტატი ტამპლიერების სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. მისმა ტრაქტატებმა თუ პუბლიცისტურმა ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIV საუკუნის საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პაპობის დასუსტებაში. ცნობილია, რომ ის აქტიურად მონაწილეობდა პაპ ბონიფაციუს VIII-ის წინააღმდეგ გამართულ კამპანიაშიც.

დიუბუას სამივე ტრაქტატი გაგზავნილი იყო მეფისადმი, რომლებშიც ხალხის სახელით იყო ტამპლიერების ორდენის განადგურების მოთხოვნა. დენისოვას აზრით, დიუბუას ტრაქტატები უსამართლოდაა დავიწყებული მკვლევრებისაგან. 1813 წელს მ. რენუარმა გამოაქვეყნა ერთი ტრაქტატი, ხოლო 1861 წელს ე. ბუტარიკმა სამივე და შესავალშივე გადმოსცა ძირითადი აზრი თითოეულ ტრაქტატზე. სამწუხაროდ, მისი გამოცემა მოკლებულია კომენტარებს და დიუბუას ნაწარმოებების რაიმე დაწვრილებით გარჩევას (Денисова 1961 : 216).

ტრაქტატები მოცულობით დიდი არ არის. ისინი ისეთ დროს დაიწერა, როდესაც გამწვავებული იყო ბრძოლა მეფესა და პაპს შორის და სწორედ ამიტომაც მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური შეფერილობა აქვს. დიუბუა ტრაქტატებში იყენებს საღმრთო წერილს, გარკვეული მიზნითაც. (ტრაქტატები იხილეთ დანართში N 1, 250 გვ.)

დიუბუას გამოსვლა ქალაქის ფენის პოლიტიკური უფლებების შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ტრაქტატების გამოჩენა, რომელთა დაწერის ზუსტი თარიღი უცნობია, დაკავშირებული იყო გენერალური შტატების მოწვევასთან (1308 წლის მაისი), სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ტამპლიერების ორდენის საკითხი. ფრანგი ისტორიკოსი პა-

ტერი მიიჩნევს, რომ დიუბუას ტრაქტატები - ხალხის სახელით დაწერილი იყო 1308 წლის გენერალური შტატების მოწვევის პერიოდში.

ამგვარად, ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები საკმარისად ხსნის ფილიპ IV-ის დამოკიდებულებას და მიზნებს ტამპლიერების ორდენისადმი. აშკარაა, რომ ფრანგი მონარქი მოქმედებდა პირადი ექსცენტრიული ზრახვებით და არა რელიგიური მოტივებით. იგი ანაგურებდა მისთვის მიუღებელ ყველა ძალას, იყენებდა სასტიკ მეთოდებს, არღვევდა კანონს და ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას ამართლებდა სარწმუნოებრივი არგუმენტებით, ტამპლიერების საქმეშიც ის ერესის გამანადგურებლის მანტიითაა შემოსილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ტამპლიერებმა შექმნეს ერთგვარი სახელმწიფო სახელმწიფოში, რომლის ტრანსნაციონალური ხასიათი, დამოუკიდებელი პოლიტიკა, სასულიერო ძალაუფლება მიუღებელი აღმოჩნდა ფილიპ IV-ისათვის. თანაც ორდენი ექვემდებარებოდა პაპს, საეკლესიო ხელისუფლებას და მიუწვდომელი იყო მეფისათვის. ამდენად, ტამპლიერების ორდენში გადაულახავი ბარიერი დაინახა მეფემ მეფემ ცენტრალიზებული მონარქიის განვითარების გზაზე. ამასთან ტამპლიერების ორდენი შემდგომში შესაძლოა ჩამოყალიბებულიყო უდიდეს ტრანსნაციონალურ სახელმწიფოდ, რომელიც თავის რიგებში გააერთიანებდა მთელი ევროპის მოქალაქეებს და გახდებოდა კიდევ უფრო ძლევამოსილი ინსტიტუტი, მაგრამ ფილიპ IV-ის თანამედროვე სახელმწიფოში მისი ადგილი აღარ აღმოჩნდა. მეფის გადაწყვეტილებას კი არა მარტო გაესამართლებინა, არამედ მთლიანად გაენადგურებინა მეტაძრეთა ორდენი, ზურგს უმაგრებდა ლეგისტთა და ერთგულ მრჩეველთა გუნდი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორდენის წინააღმდეგ გამართული მთელი საბრალდებო პროცესი მომზადებული და დაგეგმილი იყო სამეფო ჩინოვნიკებისა და ლეგისტების მიერ, რომელთა ყველაზე ძლიერი იარაღი პაპობასთან და ტამპლიერებთან ბრძოლაში გახდა უბლიცისტიკა, რომელმაც მართლაც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და ინკვიზიციური სასამართლო, რომელიც დამორჩილებული ჰყავდა ფრანგულ მონარქიას. ამგვარად, დენიელ ლიტლის ინტერპრეტაციის თეორიის ახსნით თუ ვიმსჯელებთ ჩვენი აზრით, კვლევიდან გამოიკვეთა, რომ ტამპლიერების საქმეში მეფისათვის ფინანსური დაინტერესება იყო ყველაზე მძლავრი მოტივატორი. მისი მიზანი იყო ტამპლიერების სიმდიდრის მითვისება, ასევე ეკლესიის კონტროლი და ორდენის განადგურება, რადგან მივიჩნევთ, რომ მასში მეფე უდიდეს საფრთხეს ხედავდა.

## 2.2. ინკვიზიციის საბრალდებო პროცესი

XIV საუკუნე იყო ოქროს ეპოქა პოლიტიკური ერესული საბრალდებო პროცესებისა. ერესში დადანაშაულებით სახელმწიფო თამამად და დაუნდობლად ანადგურებდა მისთვის მიუღებელ ყველა ძალასა თუ სოციუმის წარმომადგენელს. ირკვევა, რომ 1300-1360 წლებში ევროპაში ჩატარდა ათი პოლიტიკური სასამართლო პროცესი ერესთან და ჯადოქრობასთან დაკავშირებული, რომელთაგან ყველაზე ხანგრძლივი და რეზონანსული აღმოჩნდა ტამპლიერების ორდენის საქმე. შემდგომ ასწლეულებშიც ასევე გამოიყენებოდა ერეტიკული ბრალდებები, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი გამანადგურებელი საბრძოლო იარაღი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, თუმცა ეს ტენდენცია, არასოდეს არ გამოვლენილა ისე ცხადად, როგორც ფილიპ IV-ის მმართველობის დროს. აღსანიშნავია, რომ 1303 წელს ფრანგმა მონარქმა ინკვიზიციას აუკრძალა სასამართლო გადაწყვეტილების მიღება მევახშეების, ებრაელებისა და ჯადოქრების წინააღმდეგ, რათა მას, თავად მოეპოვებინა ამ საქმეებიდან სარგებელი და შემდეგ უკვე ფილიპ IV წარმატებით იყენებდა ერესულ პროცესებს არა მხოლოდ ფინანსური მოგებისათვის, არამედ პოლიტიკური მიზნებისთვისაც. ტამპლიერების საქმე კი ორივე მიმართულებით მეფისათვის იყო მომგებიანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა შუა საუკუნეების პაპობის ერთ- ერთ მთავარ ამოცანას, ვინაიდან ის საფრთხეს უქმნიდა ეკლესიის ერთიანობას. ჯერ კიდევ 1179 წელს ლატერნის III მსოფლიო კრებამ გაასამართლა ვალდენსებისა და ალბიგოელების ერესი, მაგრამ უკიდურესი ზომები მათ წინააღმდეგ მხოლოდ ინოკენტუს III- მ მიიღო, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ინკვიზიციის დაარსება“ ( ხუბაშვილი 2016 : 410).ტამპლიერებზე საფრანგეთში მათი დაპატიმრებისთანავე დაიწყო საინკვიზიციო სასამართლო. ინკვიზიცია ლათინური სიტყვაა inquisition- გამოკვლევას, განხილვას ნიშნავს. კერძო იურიდიული ასპექტით კი „სასამართლო გამოძიებას“. ამ ტერმინით მთელი ისტორიის მანძილზე სასამართლო და რეპრესიული ხასიათის სხვადასხვა დაწესებულებას მოიხსენიებდნენ (ხუბაშვილი 2008: 418). გამოძიება ევალებოდა სპეციალურ რწმუნებულებს - ინკვიზიტორებს. საინკვიზიციო ტრიბუნალის წევრებს ჰქონდათ ხელშეუხებლობის გარანტიები. ისინი ექვემდებარებოდნენ უშუალოდ პაპს. 1215 წლის 11-30 ნოემბერს ლატერნის IV მსოფლიო კრებაზე ინოკენტუს III-მ რომაული სამართლის საფუძველზე

კრების III კანონით დაადგინა: ერესი, როგორც უმაღლესი ხელისუფლების წინააღმ - დეგ განხორციელებული ძალადობა, ისჯებოდა კოცონზე დაწვით (აუტოდაფე) (ხუბაშვილი 2016 :420).პაპების ინკვიზიცია საბოლოო სახით 1231 წელს ჩამოყალიბდა გრეგორიუს IX -ის დროს. (1227-1241) ამიერიდან ეპისკოპალურ ინკვიზიციასთან ერ-თად პაპის ინკვიზიტორებიც მოქმედებდნენ. ინკვიზიციის წარმოება დაევალათ მათ-ხოვრულ ორდენებს (ფრანცისკელებს და დომინიკელებს) განსაკუთრებით კი დომინ-იკელებს. პაპების პირველი საინკვიზიციო სასამართლოს შექმნა დაკავშირებულია ნიკოლაუს IV-ის პონტიფიკატთან (ხუბაშვილი 2016 : 422).

ერეტიკოსების საქმის გამოძიების პროცესი ისეთივე იყო, როგორიც სახელმწიფო დამნაშავეების. ინკვიზიციური წესების თანახმად, მბრალდებლის რანგში გამოსვლა შეეძლო ნებისმიერს. მოწმეთა სახელები უმეტეს შემთხვევაში დამნაშავისთვის უცნო-ბი რჩებოდა, თუმცა მას შეეძლო დაესახელებინა სავარაუდო მტრები, რომლებიც მოწ-მეებად გამოდიოდნენ. გამოიყენებოდა წამების სხვადასხვა მეთოდი, თუმცა იგი მკა-ცრად იყო შეზღუდული და იკრძალებოდა ერთზე მეტად ეწამებინათ ბრალდებული. წამებულს შეეძლო წამებისას ნათქვამი აღიარება უარეყო 24 საათის განმავლობაში. არც ერთი უდანაშაულო არ შეიძლებოდა ყოფილიყო გასამართლებული თუკი იგი დანაშაულს აღიარებდა მხოლოდ წამების შედეგად, რადგან მას შეეძლო უარეყო წამე-ბისას ნათქვამი და თუკი ის მართლაც ერეტიკოსი იყო შეეძლო უარეყო ერესი და ამ-გვარად თავი გადაერჩინა მსჯავრის დადებისაგან. განირჩეოდა სამი სახის ერეტიკო-სობა:ა)ერეტიკოსები, რომელთაც უარყვეს ერესი და დაუბრუნდნენ ეკლესიას. მათ ელოდათ მხოლოდ ეკლესიური სასჯელი- მონანიება ბ) ერეტიკოსები, მიბრუნებუ-ლები, რომელთა მიმართაც შეგროვებული იქნა ეჭვის დამამტკიცებელი საბუთები. მათ მისჯილი ჰქონდათ სამუდამო პატიმრობა. გ) ერეტიკოსები, რომლებიც ჯიუტად იდგნენ ერესულ რელიგიაზე, ან თუნდაც ერესის უარყოფის შემდეგ კვლავ უბრუნ-დებოდნენ მას, გადაეცემოდნენ სახელმწიფო ორგანოებს (Павловский 1994 : 576-577).

ქალაქის მოედანზე სრულდებოდა აუტო დაფე, რომლის შესახებ ატყობინებდნენ ხალხს, რათა შეკრებილიყვნენ სანახაობაზე. ეშაფოტზე მდივანი კითხულობდა საბრა-ლდებო დასკვნას და სასამართლო გადაწყვეტილებას, ბოლოს ინკვიზიტორი წარმო-თქვამდა სიტყვას, რომლის დასრულების შემდეგაც დამნაშავე გადაეცემოდა სახელმ-წიფო მართლმსაჯულებას და მიჰყავდათ კოცონზე, რომლის ალშიც კვდებოდა. (Арну 1926: 35-36). ინკვიზიტორი ბერნარ გი წერდა: „ინკვიზიციის ამოცანა მდგომარეობს

ერესის განადგურებაში, რომელიც მხოლოდ ერეტიკოსების განადგურების გზით მიიღწევა. აქამდე რომ მიხვიდე ორი საშუალება არსებობს: ან ისინი მიუბრუნდებიან რწმენის ჭეშმარიტებას, ანდა გადაეცემიან საერო მართლმსაჯულებას და კოცონზე იქნებიან დამწვარნი“ (Мельвиль 2003 : 304). მსჯავრდებულს შეეძლო სააპელაციო საჩივრის შეტანა რომის პაპის სახელზე. პაპი ხშირად აუქმებდა ან ამსუბუქებდა ინკვიზიციის განაჩენს.

ინკვიზიცია დაუნდობელი და შეუბრალებელი იყო ყველა ეჭვმიტანილისადმი. უნგრელი ისტორიკოსის გერგეის თანახმად, (და მას სხვა ისტორიკოსებიც იზიარებენ: ლოზინსკი, შეინმანი, ჩარლზ ლი) II მუხლის ერეტიკოსებს ჩამორთმეული ჰქონდათ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. აკრძალული იყო მათი დამარხვა. ბრალდებულებს უფლება არ ჰქონდათ არც აპელაციის და არც დამცველის აყვანის. მათი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა. დამსმენებს კი აჯილდოებდნენ. ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ ფრანკო კარდინისა და რინო კამილერს. რ. კამილერის თანახმად, „თუ ერეტიკოსი ვერ შეძლებდა თავის დაცვას, შეეძლო დამცველის აყვანა მოეთხოვა. თუ საამისო სახსრები არ გააჩნდა, ამგვარი დაცვა უფასო იყო. საჭიროების შემთხვევაში ინკვიზიტორს ჰქონდა იმ ადვოკატთა სია, რომელთაგან განსასჯელი ვინმეს ამოირჩევდა. დანიშვნით უფასო დამცველის სისტემა იმ დროს ჭეშმარიტად რევოლუციური მოვლენა გახლდათ.“ საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ საინკვიზიციო პროცედურა რომაული სამართლიდან მოდიოდა და საეკლესიო პირებისათვის კარგად იყო ცნობილი. ინკვიზიციის მეორე „გამოგონება“ ის იყო, რასაც ჩვენ დღეს „გარანტირებულ შეტყობინებას“ ვუწოდებთ; ე.ი ეჭვმიტანილს მაშინვე აფრთხილებდნენ, რომ მის საქმეს იძიებდნენ, რათა ის თავის დასაცავად მომზადებულიყო (ხუბაშვილი 2016 : 422).

საინკვიზიციო ტრიბუნალი ბრალდებულის გასატეხად მიმართავდა წამების სხვადასხვა მეთოდს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული იყო წყლით, ცეცხლით, „ესპანური ჩექმით“, ძელზე გასმით წამება. აღსანიშნავია ის, რომ წამება ნახევარ საათზე მეტხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და სისხლი არ უნდა დაღვრილიყო, თუმცა, ყველა ეს წესი დარღვეული იქნა ტამპლიერების პროცესის დროს. საინტერესოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ საინკვიზიციო პროცესი იმართებოდა გარდაცვლილი ადამიანის წინააღმდეგაც, რაც გულისხმობდა ერესში ბრალდების დადასტურებ-

ბის შემთხვევაში გვამის ამოთხრას და დაწვას. ეს წესი გააუქმა პაპმა იოანე XXII- მ 1330 წელს.

ტამპლიერების საქმის გამოიძება დაიწყო ფილიპ IV-ის ყველაზე ერთგულმა პირებმა გიიომ დე ნოგარემ და ფანატიკოსმა დომინიკელმა გიიომ დე ემბერმა (პარი), რომელმაც თავად შეარჩია დანარჩენი გამომძიებლები. გიიომ დე ემბერი იყო საფრანგეთის ინკვიზიტორი, მეფის მოძღვარი და მასთან დაახლოებული პირი.

სამეფო ინსტრუქციების თანახმად, ტამპლიერების საქმის ყველა მასალა ექვემდებარებოდა ორმაგ გამოძიებას, რომელსაც თავიდან მეფის მსახურები ატარებდნენ, შემდეგ კი - ინკვიზიტორები. ყველა ტამპლიერი იმყოფებოდა ცალკე საკანში და სათითაოდ ხდებოდა მათი დაკითხვა. ჩვენებები იწერებოდა ნოტარიუსების მიერ და მტკიცდებოდა საგანგებოდ მოწვეული ოთხი ან ხუთი მოწმის ხელმოწერით, ხოლო შემდეგ ინკვიზიტორის ბეჭდით დამტკიცებული მიეწოდებოდა მეფეს.

ინკვიზიციის კომისრებს ევალებოდათ დაკითხვის დროს ტამპლიერებისთვის გაეცნოთ ბრალდების არსი, დაპირებოდნენ მათ შეწყალებას თუკი ისინი ყველაფერს აღიარებდნენ და ეკლესიას დაუბრუნდებოდნენ, ამასთანავე ისინი გაფრთხილებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ გაჯიუტების შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებოდნენ და საჭიროებისამებრ მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნებოდა წამება. მათ უნდა დაერწმუნებინათ ტამპლიერები, რომ ვერასდროს მოიპოვებდნენ თავისუფლებას, თუ არ გამოიჩენდნენ აბსოლუტურ მორჩილებას.

დაპატიმრების მეორე დღეს, 14 ოქტომბერს გიიომ ნოგარემ და ინკვიზიტორმა ემბერმა პარიზის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მიიწვიეს ქალაქის წარჩინებული პირები და პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორები, რომელთაც გააცნეს ორდენისათვის წაყენებული ბრალდებები. ნოგარემ ისაუბრა ტამპლიერების დაპატიმრების სამართლიანობაზე.

XIV საუკუნეში პარიზის უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობდნენ ყველა კონფლიქტში მოგვარებაში, რომელიც იმ პერიოდში მიმდინარეობდა საფრანგეთის მეფესა და წმინდა ტახტს შორის. ფილიპ IV-ს სურდა დაყრდნობოდა უნივერსიტეტს და გამოეყენებინა იგი პაპზე ზემოქმედებისათვის. მან მიაღწია ფრანგი პროფესორების მხარდაჭერას, მაგრამ ვერ დაიმორჩილა უცხოელი პედაგოგები.

15 ოქტომბერს მეფის სასახლის ბაღში შეგროვებულ პარიზელებს დომინიკელმა ბერებმა და მეფის ჩინოვნიკებმა შეატყობინეს ტამპლიერების დანაშაულებების შესახ-

ებ და წაიკითხეს ბრალდებების სია. 16 ოქტომბერს ფილიპ IV–მ ყველა ქრისტიან ხელისუფალს დაუგზავნა შეტყობინება ტამპლიერების დანაშაულებების შესახებ და სთხოვდა მათ მიეღოთ შესაბამისი ზომები და ემოქმედათ იგივენაირად. არაგონის მეფემ არ დაუჯერა საფრანგეთის მეფის ბრალდებებს და მისწერა მას: „ტამპლიერები ყოველთვის დამსახურებულად იღებდნენ ქებას სამართლიანობის, რელიგიურობისა და ღვთისმოშიშობის გამო და ვერავინ გაბედავს დაადანაშაულოს ისინი სარწმუნოებიდან თუნდაც მცირე გადახრაში, პირიქით - ისინი ყოველთვის ერთგულად გვემსახურებოდნენ ჩვენ ურწმუნოებთან ბრძოლაში მაშინაც კი, როცა ეს არ გვითხოვია“ (Рид 205: 364). არაგონში ჩატარებულმა გამოძიებამ ვერაფერი იპოვა ხელჩასაჭიდი.

ინგლისის მეფე ედუარდ II-მაც, ფილიპის სიძემაც არ დაიჯერა არცერთი ბრალდების და ამ ყველაფერს ცილისწამება და უსამართლობა უწოდა. „მან ფილიპს განუცხადა, რომ მისმა საბჭომ განიხილა ტამპლიერების საკითხი და შეუძლებელად მიიჩნია მისი დაჯერება“(Nemwan 2007 : 250). მან წერილები მისწერა პორტუგალიის, არაგონის, კასტილიისა და სიცილიის მეფეებს, რომლებშიც თავისი ეჭვების შესახებ გაუზიარა და წერილის ბოლოს მათ მიმართა: „არ მიაქციოთ ყურადღება ბოროტი ხალხის ცილისწამებას, რომლებსაც ამოძრავებთ არა სიმართლისაკენ სწრაფვა, არამედ სიხარბე და შური“(Бейджент, Ли 2005 : 81). კასტილიისა და პორტუგალიის მეფეებმაც დაიცვეს ტამპლიერები. მაგრამ მას შემდეგ, რაც პაპმა 1307 წლის 22 ნოემბერს გამოსცა ბულა „Pastoralis praeminentiae“, რომლითაც ის მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოუწოდებდა დაეპატიმრებინათ ერესში ბრალდებული ორდენის წევრები, ედუარდ II- მ უბრძანა შერიფებს დაეწყოთ ტამპლიერების დაკავება ინგლისში.

ცხადია, რომ საფრანგეთის სამეფოს გარეთ ტამპლიერების დაპატიმრება უარყოფითად იქნა შეფასებული. ზემოთ აღნიშნული მონარქების ტამპლიერების მიმართ დამოკიდებულება და მათი შეფასებები საფუძვლიანი მტკიცებულებაა ორდენის ძლევამოსილებისა და კარგი რეპუტაციის.

საბრალდებო პროცესის დასაწყისში ჯერ მეფის უფლებამოსილები, ხოლო შემდეგ ინკვიზიციის მსახურნი ცდილობდნენ ბრალდებების გასამყარებლად ტაპლიერებისათვის ჩვენებების გამოძალვას, მაგრამ მეფემ ვერაფერს მიაღწია. მან გადაწყვიტა დაპატიმრებულთა გასატეხად მკაცრი მექანიზმის, წამების ამოქმედება, რომელიც მისივე განკარგულებით იყო დაშვებული აუცილებლობის შემთხვევაში. ცნობილია, რომ ფილიპმა ტამპლიერების წამების ბრძანება გასცა გიიომ ემბერის თხოვნით. თუ-

მცა, დასტურდება, რომ რეალურად ფრანგულ ინკვიზიციას მთლიანად აკონტროლებდა და მართავდა მეფე, ინკვიზიციური პროცედურა წარმოებდა მხოლოდ მისი მითითებებითა და სურვილით. ამას ადასტურებს მრავალი დეტალი და ეს ხაზგასმით შესამჩნევი იყო საფრანგეთში, სადაც მეფის ჩინოვნიკები გულმოდგინებით ცდილობდნენ ტამპლიერებზე გაჩენილი სერიოზული ეჭვების დამტკიცებას.

„თანამედროვე“ წამება თუ ასე შეიძლება ვთქვათ, წარმოიშვა XIII საუკუნის ბოლოს, თანამედროვე სახელმწიფოსთან ერთად. ის სათავეს იღებს ინკვიზიციიდან. რომის სასამართლო არ აღიარებდა იმ ჩვენებებს, რომლებიც მიღებული იყო დაშინებითა და ძალადობით. ასეთ აღიარებებს კანონიკური სამართალიც უარყოფდა. XIII საუკუნეში კი ინოკენტი IV-ის მიერ გამოცემული ბულა წამებას მიიჩნევდა სიმართლის მოპოვების საშუალებად, როდესაც საქმე ეხებოდა ერესს. ასეთ შემთხვევაში პაპი პირდაპირ ურჩევდა მათ გამოეყენებინათ წამება (Демурже 2008 : 305).

დემურჟეს თანახმად, შუა საუკუნეებში სასამართლო პროცედურებზე ადამიანების წამება არ იყო ახალშემოღებული წესი „ის შედიოდა ჩვეულებრივ ინსტრუმენტებში მართლმსაჯულების. და ამ გზით მიღებული აღიარებების სისწორეში არავის არ ეპარებოდა ეჭვი“, მაგრამ ეს არ იყო სიმართლე. ტამპლიერების საქმის ძიების დროს წამება წამოიწია წინ, მის გამოყენებაზე ღიად საუბრობდნენ და ეჭვქვეშ აყენებდნენ წამების დახმარებით მოპოვებულ აღიარებებს, და ეს ყველაფერი ხდებოდა პროცესის მიმდინარეობის დროს, ეს კი სიახლე იყო... თუმცა ჩანს, რომ პროცესის თანამედროვეები თითქოს ვერ იგებდნენ წამების როლს. იმდროინდელი ისტორიკოსების უმეტესობა იყვნენ ეკლესიის მსახურები, რომლებიც თვლიდნენ, რომ წამების გამოყენება ერეტიკოსების მიმართ იყო ნორმალური მოვლენა. თუკი ისინი წამებაში ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ ხედავდნენ, ფილიპ IV-ის ხელქვეითებმა და ინკვიზიტორებმა იცოდნენ მისი შესაძლებლობები, გამოყენება და დოზირება (Демурже 2008 : 304 -307).

დღეს ჩვენთვის დაზუსტებით უცნობია დეტალები თუ როგორ აღწევდნენ ინკვიზიციის გამომძიებლები საშინელი აღიარებების მიღებას, თუმცა ცნობილია ის, რომ ოფიციალური აღიარება ყოველთვის იწერებოდა საწამებელი ოთახიდან გამოსვლის შემდეგ და პატიმარი ვალდებული იყო დაეფიცა, რომ იგი თავის ჩვენებას იძლეოდა თავისუფლად, შიშისა და ძალადობის გარეშე, თუმცა მან კარგად იცოდა, თუ ნათქვამს უარყოფდა, მოელოდა საშინელი წამება, ან კოცონზე დაწვა. ირკვევა, რომ დილით დაკითხვაზე ტამპლიერებმა არ იცოდნენ თუ რაში იყვნენ დამნაშავეები,

მაგრამ საღამოს მათ მეხსიერება უბრუნდებოდათ და გონება ეხსნებოდათ. ამ ფაქტს ადასტურებს კვიპროსის კომანდორის რამბო დე კარონის დაკითხვის ოქმი ჩაწერილი 1307 წლის 10 ნოემბერს. ინკვიზიტორ გიიომ ემბერის პირველ დაკითხვაზე ბრალდებულმა აღიარა: „მას, თავისი ბიძის თანდასწრებით უთხრეს, იმისათვის რომ ორდენში მიეღოთ, მას უნდა უარეყო ქრისტე. ეს საკითხი გადაიდო, შემდეგ კვლავ დაისვა და მისი მეხსიერება გაახლდა. მან თქვა, რომ მიღების დროს მას უნდა უარეყო ქრისტე და დაეფურთხებინა ჯვრისთვის. ეს აღიარება, აშკარად მიღებული წამებით, მთავრდება ჩვეულებრივი ფორმულით: ბრალდებული იფიცება, რომ მან აღიარა ძალადობის, ციხის შიშისა და წამების გარეშე“ (Ли 1912 : 338).

არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც მოგვითხრობს თუ რა ხდებოდა დილის დაკითხვიდან საღამოს დაკითხვამდე შუალედში, მაგრამ ცნობილია ის, რომ იმ დაკითხვებზე, რომლებსაც ნოგარე და პლეზიანი ესწრებოდნენ, ტამპლიერები აღიარებდნენ ნებისმიერ დანაშაულს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენებების ჩაწერა მიმდინარეობდა საწამებელი იარაღების დემონსტრირების ფონზე, რადგან მეფის ხელქვეითებმა კარგად იცოდნენ, დაკითხვის დაწყებისთანავე საკმარისი იყო ბრალდებულისათვის დაენახვებინათ საწამებელი იარაღი, შესაძლოა მისი გამოყენებაც არ დასჭირვებოდათ. მათ იცოდნენ დატუსაღებულთა დამუშავება-მომზადება სასამართლოს წინაშე წარსადგენად. პროცესის მონაწილეებს ჰქონდათ ერთი მიზანი მიეღოთ მოწმობები. მათი გამოწვევები მდგომარეობდა არა ჭეშმარიტების გამორკვევაში, არამედ იმაში, რომ ეჭვმიტანილი გადაექციათ დამნაშავედ (Демурже 2008 : 308).

19 ოქტომბერს ტამპლიერები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე პარიზის ტამპლის დარბაზში. „მათ დაარქვეს არა „ბრალდებულები“, არამედ „მოწმეები“, რომლებმაც ფიცი დადეს, რომ იტყოდნენ სიმართლეს საკუთარი თავისა და სხვების შესახებ იმ ფორმულის მიხედვით, რომლითაც სარგებლობდნენ მათი გამოძიებისას.“ გიიომ ემბერმა მიაღწია მათგან აღიარებებს, რომლებშიც სისასტიკე ეჯიბრებოდა აბსურდს (Мельвиль 2003: 303).

ტამპლიერების დაკითხვებზე გამომძიებლები ხელმძღვანელობდნენ პარიზიდან ადრე გამოგზავნილი ჩამონათვალის კითხვებით. სასამართლო დაიწყო პროცედურით, რომელიც წამოდგენილი იყო სასამართლო პროცესის უფლებისა და მიმართულების მხოლოდ ბიზანტიურ–რომაული ცნებების მიხედვით. საქმის წარმოების ასეთი მეთოდი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ფრანგულ წესებსა და კანონებს. გამოძიე-

ბის შემდგომმა ეტაპმა მოამრავლა აშკარა უსამართლობები, ხოლო დამცველებზე რო-გორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლების მხრიდან ხდებოდა ძლიერი ზეწოლა (Парнов 1991-70).

პარიზში ტამპლიერთა დაკითხვები დაიწყო დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემ-დეგ. გიიომ ემბერმა 19 ოქტომბრიდან, ნოემბრის ბოლომდე დაკითხა პარიზის ტამპ-ლში დაპატიმრებული 138 ტამპლიერი, რომელთაგან მხოლოდ სამმა ცნო თავი უდა-ნაშაულოდ. ასეთივე წარმატებით მიმდინარეობდა გამოძიება პროვინციებში. თუ რა სასტიკი მეთოდებით ტარდებოდა დაკითხვების პროცესი იმ ფაქტიდნაც ჩანს, რომ ერთ სახლში დაპატიმრებული 36 ტამპლიერი გარდაიცვალა წამებისგან.

ტამპლიერებს სასტიკად აწამებდენენ მთელ საფრანგეთში. ინკვიზიტორი ემბე-რი ზოგჯერ ფილიპის ხელქვეითებთან ერთად ატარებდა პროცესებს, ხოლო როცა არ ჰყავდათ საკმარისი დამხმარეები, იგი მეფის მოხელეებს ნებას რთავდა ემოქმე-დათ მის ნაცვლად. იმ დროს, როცა პარიზში მიმდინარეობდა დაკითხვები, აკეთებ-დნენ შედარებას ყველა პროვინციაში, სადაც მეფემ ბრძანებები დაუგზავნა ბალებსა და სენეშალებს, ინკვიზიტორს კი თავის მხრივ გაგზავნილი ჰყავდა კომისრები, რომ დაკითხვები ჩაეტარებინათ. თუ ვინმე წინააღმდეგი იქნებოდა წესების, მას შეცვლი-დნენ ფილიპის ბრძანებით. ამ დაკითხვებზე გამოიყენებდნენ იმავე ფორმულირებებ-სა და წესებს რასაც პარიზში (Raynuourd 1813: 1805: 62).

ტამპლიერებთან მიმართებით ინკვიზიციური სამართალწარმოება გამოყენებუ-ლი იქნა განსაკუთრებული სიმკაცრით, ამას ადასტურებს გარდაცვლილ ტუსაღთა რაოდენობა, ხშირი იყო თვითმკვლელობები. ტამპლიერების მსაჯულებმა გამოიყე-ნეს ყველა პრივილეგია, რათა მიეღოთ აღიარებები. დაპატიმრებული მეტაძრეები განიცდიდნენ ორმაგ ზეწოლას, მკაცრ დაკითხვებს ემატებოდა წამება. გამოიყენებდნ-ენ წამების სხვადასხვა მექანიზმს, ესენი იყო ძირითადად: ცეცხლით, წყლით, ფიცარ-ზე გაკვრით, სხეულის სხვადასხვა ნაწილზე სიმძიმეების, გირების დაკიდებით წამე-ბის ფორმები. ტამპლიერები ფიზიკურ ტკივილთან ერთად განიცდიდნენ იზოლაც-იით გამოწვეულ წამებას, ასევე წუხდნენ იმაზეც, რომ ვერ ესწრებოდნენ საეკლესიო მსახურებას. წამებამ გამოიღო შედეგი და მრავალ ომგამოვლილმა, ყველაზე გაუტე-ხელმა ტამპლიერებმაც კი აღიარეს ისეთი მძიმე ცოდვები, რომ მათ საფუძველზე სერიოზული ბრალდებები შეიქმნა ორდენის წინააღმდეგ. თუმცა, დაკითხულთა ოქმებიდან ისიც ირკვევა, რომ ბევრი ტუსაღი არ იყო ბრძოლებში მონაწილე.

დაპატიმრებულთა უმრავლესობა იყო ჩვეულებრივი წევრები, რომლებიც ძირითადად მსახურობდნენ საკომანდოების მეურნეობებში, ფერმებში, სახელოსნოებში. აღსანიშნავია რომ ყველა ტამპლიერი ორდენის ხელმძღვანელებთან ერთად დადანაშაულებულნი იყვნენ მძიმე ბრალდებებში, მათ შორის ახალი წევრებიც. თითოეული მათგანის ჩვენებას ექცეოდა უდიდესი ყურადღება, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა პროცესისათვის ენიჭებოდა მაღალი იერარქების აღიარებებს და სწორედ აქ, მეფემ და მისმა გარემოცვამ ფაქტობრივად გამარჯვებას მიაღწიეს.

დაპატიმრებიდან 8 დღის შემდეგ დაკითხეს ორდენის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ნორმანდიის პრეცეპტორი ჟოფრუა დე შარნე, რომელიც ორდენს 37 წელი ემსახურებოდა და საკმაოდ მნიშვნელოვან წარმომადგენლადაც მიიჩნეოდა. „მან დაკითხვაზე ფიცის ქვეშ აღიარა, რომ ის ორდენში მიიღო ამორი დე ლა როშმა და როცა მას მოახვიეს ლაბადა, მოუტანეს ჯვარი, რომელზეც ქრისტე იყო გამოსახული. იმავე ძმამ, რომელმაც ის მიიღო, უთხრა: არ დაეჯერებინა იმის, ვინც გამოსახული იყო ჯვარზე, რადგან იესო ქრისტე იყო ცრუ წინასწარმეტყველი და არა ღმერთი და უბრძანა მას სამჯერ უარეყო ქრისტე, რაც მან გააკეთა სიტყვით და არა გულით. კითხვაზე, დაიფურთხა თუ არა მან ჯვარს - შარნემ დაიფიცა, რომ არ ახსოვდა, ხოლო კოცნასთან და კავშირებით თქვა, რომ დიდი მაგისტრს აკოცა ჭიპზე. უფრო მეტიც, შარნემ განაცხადა, რომ გაიგონა თუ როგორ თქვა ოვერნის ყოფილმა პრიორმა ჟერარ დე სოზემ ორდენის შეკრებაზე, რომ „უკეთესია ძმები შეუერთდნენ ერთმანეთს, ვიდრე ქალებთან დაამყარონ სქესობრივი კავშირი“, მაგრამ შარნეს არასოდეს გაუკეთებია ეს. კითხვაზე - რამდენი ძმა ჰყავდა მას ორდენში მიღებული ამ წესით, მან უპასუხა, რომ ერთი მიიღო ორდენში იმავე წესით, როგორითაც თვითონ იყო მიღებული, მაგრამ დანარჩენი არა. დაკითხვის ოქმი სრულდება იმავე ფორმულით, რომ ბრალდებული აღიარებდა სიმართლეს ყოველგვარი მუქარისა და წამების გარეშე“( Lizerand 1923: 31-33).

ჟაკ დე მოლე 1307 წლის 24 ოქტომბერს დაკითხეს. ბრალდებები შეეხებოდა ორდენში მის გაწევრიანებას, უარყო თუ არა მან ღმერთი, მიაფურთხა თუ არა ჯვარცმას? უთხრეს თუ არა მას, რომ შეეძლო სქესობრივი კავშირი ჰქონოდა მის ძმებთან? ტამპლიერების მბრალდებლებს ეს კითხვები ძალიან აინტერესებდათ. მოლეს აღიარება ძალიან კონკრეტულია და მოკლე. მან კომისიას განუცხადა, რომ „ორდენში მიიღო ინგლისის მაგისტრმა უმბერ დე პეირომ და საფრანგეთის მაგისტრმა ამორი დე ლა-როშმა 42 წლის წინ ბონში. მას დაადებინეს მრავალი ფიცი, რომელსაც ითვალისწ-

ინებდა ორდენის წესდება, მხრებზე მოასხეს ტამპლიერული ლაბადა, რის შემდეგაც მიუტანეს ბრინჯაოს ჯვარცმა და უბრძანეს უარეყო ქრისტე. იგი უგულოდ დაემორჩილა მათ. შემდეგ უბრძანეს ჯვარცმაზე დაფურთხება, მაგრამ მან დააფურთხა იატაკზე. კომისიის წევრები დაინტერესდნენ თუ რამდენჯერ დააფურთხა ჯვარცმას, მოლემ დაიფიცა, რომ ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ, რაც მას კარგად ახსოვს“ (Lizerand 1923: 33-35). როგორც ჩანს, დიდმა მაგისტრმა აღიარა ორი ბრალდება; ქრისტესგან განდგომისა და ჯვრის შეურაცხყოფის. ეს ჩვენება ინკვიზიტორებისთვის წარმოადგენდა უდიდეს მონაპოვარს. მეორე დღეს მოლემ საჯაროდ გაიმეორა თავისი აღიარება პარიზის უნივერსიტეტის პროფესორებისა და თეოლოგიის მაგისტრების წინაშე. აქედან გამომდინარე, გაჩნდა მოსაზრება, რომ მოლე არ უწამებიათ, თუმცა მან აღიარა ის საშინელი ბრალდებები, რასაც ტამპლიერებს მიაწერდნენ. მისი ჩვენების ოქმში აღნიშნულია: „ბრალდებულმა აღიარა, რომ მის წინააღმდეგ არ იყო გამოყენებული არანაირი მუქარა, ძალადობა და წამება“. სიმართლე კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მრავალი წლის შემდეგ აღმოჩნდა მოლეს წერილი, რომელშიც ის ატყობინებს მეგობრებს, რომ ინკვიზიციის ჯალათებმა წამების დროს მას გააძრეს ტყავი ზურგზე, მუცელზე და ფეხებზე, რის შემდეგაც მოახერხეს ჩვენების ამოგლეჯა. შემდეგ აიძულეს ტამპლში გაემეორებინა ჩვენება მაგისტრებისა და სტუდენტების წინაშე (Григулевич 1997: 191-192). შესაძლოა სწორედ ამ აღიარებამ გადაწყვიტა საბოლოოდ ტამპლიერების ბედი. მართალია ამ დაკითხვის შემდეგ მოლე ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, ითხოვს შეწყალებას თავისი მეგობრებისათვის, მზადაა დამორჩილდეს ეკლესიის გადაწყვეტილებას, უარყოფს თავის ჩვენებებს, თუმცა პირველი აღიარებისაგან გამოწვეული ზიანი ვერაფერით გამოასწორა. ამასთანავე იგი აიძულეს ხელი მოეწერა წერილზე, რომლითაც მიმართავდა ორდენის ყველა წევრს და აცნობებდა მისი აღიარების შესახებ, თან მოუწოდებდა მიებაძათ მისთვის.

ორდენის გენერალურმა ზედამხედველმა ჰუგო დე პეირომაც თავი ცნო დამნაშავედ, რადგან ვერ გაუძლო არაადამიანურ წამებას. მისმა აღიარებამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ორდენს. მან თქვა იგივე, რაც შარნემ და დააზუსტა, რომ ორდენში ძმებს იღებდა ზუსტად იმ პრინციპით, „იმიტომ, რომ ასეთი წესი ორდენის წესდებით იყო გათვალისწინებული“ (Демурже 2008: 268).

კვიპროსის კომანდორი რამბო დე კარონი 9 ნოემბერს დაკითხეს პარიზში. „ის

აშკარად აწამეს, რადგან იმავე დღეს მან „შეასწორა ჩვენება“ ინკვიზიციის კომისრის თანდასწრებით და ორდენის წინააღმდეგ დამადანაშაულებელი განცხადებები დაამატა“ (Burgtorf 2008: 168).

კლემენს V ორდენის ხელმძღვანელების აღიარებებმა აღაშფოთა, დააბნია და 27 ნოემბერს მან გამოსცა ბულა „Pastoralis praeminentiae“, რომლითაც ბრძანა დაეპატიმრებინათ ტამპლიერები და გამოეყენებინათ მათი ქონება ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობდა ორდენი. პაპმა ამ ბულით საერო ხელისუფლებას ორდენის ქონების ხელში ჩაგდების შესაძლებლობა მისცა.

ჩვენს დრომდე მოაღწია დაკითხვის ოქმებმა, რომლებშიც ბრალდებულები უარყოფდნენ ორდენზე მიწერილ ყველა ბრალდებას და რომლებსაც გამონაკლისის სახით იწერდნენ, მაგრამ ხელმძღვანელთა აღიარებითი ჩვენებების შემდეგ, მათ უკვე არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ინკვიზიტორები. თუმცა, პროცესის შესაფასებლად ეს ოქმები ძალიან ფასეულია. 9 ნოემბერს დაკითხულმა ჟან დე შატოვილიემ უარყო ორდენისადმი წაყენებული ყველა ბრალდება. ბევრმა წამებით სიკვდილი ამჯობინა აღიარებას, ნაწილმა კი საკანში ჩამოიხრჩო თავი იმის შიშით, რომ ვერ გაუძლებდა წამებას.

აღსანიშნავია რომ ტამპლიერების საბრალდებო პროცესის დროს არსებობდა ორი სამყარო: 1) წამების, სადაც ტამპლიერები ყველაფერს აღიარებდნენ, რასაც მათგან მოითხოვდნენ, მასში შედიოდა საფრანგეთი და მისი სატელიტები: ნავარა პროვანსი, ნეაპოლი და პაპის სამფლობელო 2) და მეორე სამყარო, სადაც წამება არ იყო გამოყენებული და ტამპლიერებიც შესაბამისად არ ჩქარობდნენ აღიარებას - იბერიის ნახევარკუძული, ჩრდილოეთ იტალია, გერმანია და ინგლისი, მაგრამ ეს მეორე სამყარო იყო არანაკლებ სასტიკი და უკანონო, ვიდრე პირველი (Демурже 2008 : 305). ორდენის დამცველი ტამპლიერები აკეთებდნენ გასხვავებას ამ ორ სამყაროს შორის. 1310 წლის 7 აპრილს, პარიზში, პაპის კომისიის წინაშე წარსდგა ოთხი ტამპლიერი. მათ განაცხადეს, რომ „მთელ მსოფლიოში, საფრანგეთის სამეფოს გარდა, შეუძლებელია იპოვო მეტაძრეთა ორდენის ერთი ძმაც კი, რომელიც წარმოთქვამს, ან წარსულში წარმოთქვამდა ასეთ ცრუ სიტყვებს, რის საფუძველზეც შეიძლება მკაფიოდ დავინახოთ მიზეზი, რის გამოც ეს ცილისწამება ჟღერს მხოლოდ საფრანგეთის სამეფოში, იმიტომ, ვინც ამას ამბობდა, ადასტურებდა, რომ იმყოფებოდა შიშის, ვედრებისა და ფულის ზემოქმედების ქვეშ “(Демурже 2008 : 305).

ჩვენ მაშინ გავიგებთ სიმართლეს ტამპლიერების აღიარებების შესახებ, როცა გავეცნობით იმ მეთოდებს, რომლებსაც იყენებდნენ ინკვიზიციის სასამართლოებში მათ წინააღმდეგ. „ზოგიერთი წამებული მოგვიანებით აღიარებს თუ რა გადაიტანეს მათ. ტამპლიერმა ბერნარ დიუ გემ, ალბის ეპარქიიდან თქვა: „მე ბევრჯერ მაწამებდნენ და მკითხავდნენ, მაწამებდნენ ცეცხლით ისე, რომ ქუსლებზე მთლიანად დამეწვა ხორცი, ხოლო მოგვიანებით ძვლებიც დამეშალა“( Φο 2007 : 209).

პეიენის კომანდორმა პონსარ დე ჟიზმა განაცხადა: „ წამების დროს ხელები ისე მაგრად, მჭიდროდ შემიკრეს ზურგს უკან, რომ ფრჩხილებიდან სისხლი წვეთავდა, მომათავსეს ქვით სავსე ტომრის ქვეშ, სადაც რამდენიმე საათი ვიწექი... მე კიდევ თუ დამიწყებენ წამებას ვიტყვი ყველაფერს, რისი გაგებაც ჩემგან სურთ“ (Michelet 1841:36).

ეიმონ დე ბარბონმა თქვა: „მე სამჯერ მაწამეს, წყალს მასხამდნენ ყელში, შვიდი კვირა ვიყავი წყალსა და პურზე, ჩემი სხეული იტანჯებოდა, ხოლო სული კი დარდობდა, მეშინია კიდევ იქ მოხვედრის, რადგან მთელი წლის განმავლობაში გონებას ვკარგავდი წამებისაგან“ (Φο 2007 : 209).

მეცის ეპარქიელმა ტამპლიერმა ჟერარ დიუ პასაჟმა წამების გამაოგნებელი სცენა აღწერა: „მე მკიდებდნენ გირებს გენიტალიებსა და სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე მანამ, სანამ გონებას არ დავკარგავდი“ (Φο 2007 : 209).

ერთმა ტამპლიერმა თურმე პაპს აჩვენა ხელი, რომელზეც წამებისაგან ხორცი ძვლამდე ჰქონდა ამოგლეჯილი, როცა მან დაინახა სასტიკი ქმედების შედეგი გადაწყვიტა თავად წარემართა პროცესი. ამასთანავე მან გააცნობიერა ბულის „Pastoralis praeeminentiae“, გამოცემის შეცდომის სიმძიმე და მდგომარეობის გამოსწორება სცადა. კლემენს V -მ კარდინალების; ეტიენ დე სიუზისა და ბერანჟე ფრედოლის მეშვეობით მოლაპარაკებები დაიწყო მეფესთან. პაპმა სთხოვა ფილიპს, რომ ტამპლიერები, როგორც ბერები, სასულიერო პირებისთვის გადაეცათ გამოსაძიებლად. მეფე დაეთანხმა პაპის გადაწყვეტილებას. მან გადასცა ტუსაღები ეტიენ დე სიუზს, მაგრამ ამით მათი მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. დაპატიმრებული ტამპლიერები პარიზის ციხეებში გაანაწილეს. კარდინალების პარიზში ჩასვლამ იმედი მისცა ბრალდებულებს, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ორდენის ხელმძღვანელებმა მოლემ და პეირომ უარყვეს თავიანთი აღიარებები. უფრო მეტიც, დიდმა მაგისტრმა მოახერხა ზოგიერთი ტუსაღისათვის გადაეცა ფიცრის დაფები, რომლებზეც ამოკაწრა, რამდე-

ნიმე სიტყვა, რომლითაც აფიცებდა ტამპლიერებს დაბრუნებოდნენ საწყის ჩვენებებს, როცა მეფე და კარდინალები დაიწყებდნენ მათი საკნების შემოვლას, მაგრამ მელვილ-ის მოსაზრებით, ამ ნაბიჯით მოლემ მხოლოდ მეტი სამოქმედო ინიციატივა მისცა ინ-კვიზიტორებს, ვინაიდან ყველა ერეტიკოსი, რომელიც უარს იტყოდა თავის აღიარე-ბაზე, ხვდებოდა კატეგორიაში – (Relaps) (ერესში თავიდან ჩავარდნილი ადამიანი) და არსებობდა იმის რისკი, რომ გასამართლებულიყო კოცონზე (Мельвиль 2003 :308).

კლემენს V გაანაწყენა ფილიპ IV-ის მიერ დაწყებულმა ტამპლიერების უსასრუ-ლო დაკითხვებმა და გამომძიებელთა სისასტიკემ. 1308 წლის თებერვალში მან შეაჩე-რა ინკვიზიცია საფრანგეთში, რითაც ჩიხში შეიყვანა ტამპლიერების სასამართლო პროცესი. პაპმა ინკვიზიტორებს შეუწყვიტა პროცესის წარმართვის უფლება და საქმე გადაიტანა კურიაში. იგი ცდილობდა დაჩქარებული სასამართლო პროცესი დაეყოვ-ნებინა და მას აეღო ხელში ინიციატივა.

ნოგარემ სორბონის უნივერსიტეტის თეოლოგიის დოქტორებს ორი შეკითხვა დაუსვა: ჰქონდა თუ არა მეფეს ტამპლიერების სასამართლო პროცესის წარმოების უფლება და მათი ქონება უნდა ყოფილიყო თუ არა სამეფო ჩინოვნიკების ზედამხედ-ველობის ქვეშ. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა დოქტორებმა ყველაფრის მიუხ-დავად უარყვეს პროცესში მეფის უფლებამოსილება და განაცხადეს, რომ ორდენის ქონება უნდა მოხმარებოდა წმინდა მიწას. ნოგარემ და მეფის მრჩეველებმა არ გაითვა-ლისწინეს დოქტორების რჩევა და მათ გადაწყვიტეს მიემართათ გენერალური შტა-ტებისთვის. სწორედ ამის შემდეგ, 1308 წლის მარტში გამოჩნდა მეფის წერილები, რომლითაც ის საზოგადოებას აუწყებდა, რომ იწვევდა გენერალურ შტატებს.

მეფე კვლავ შეეკითხა პარიზელ თეოლოგიის დოქტორებს - თუ სასამართლოს რომელი პროცედურისათვის უნდა მიემართათ, რაზედაც მათ უპასუხეს, რომ ტამპ-ლიერების პროცესი მიეკუთვნება მხოლოდ ეკლესიის კომპეტენციას. მიუხედავად პაპის წინააღმდეგობისა, მეფემ მაინც მოახერხა მისი დაშინება ნოგარესა და პლეზი-ანის დახმარებით. ისინი პუატიეში გაგზავნა, სადაც პლეზიანმა, მეფის სახელით სა-ხალხოდ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დაასრულა პაპისადმი მუქარით: „წმინდა მამა, – მეფე, ბარონები და ამ სამეფოს ხალხი ითხოვს, რომ ტამპლიერების საქმე ჩქარა დასრულდეს და თქვენთვის ხელსაყრელია რაც შეიძლება სწრაფად დაუსვათ წერტი-ლი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდება თქვენ სხვა ენაზე დაგელაპარაკოთ!“ (Мельвиль 2003: 310).

კლემენს V-მ  დიდი სიყვარული გამოხატა ტამპლიერების ორდენისადმი და აღნიშნა, რომ ეს კონგრეგაცია საჭირო იყო და რომ მათ მთელ ევროპაში ჰყავდათ ძლიერი მეგობრები. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს,  რომ  ტამპლიერების საქმე, რომელიც მხოლოდ წმინდა ტახტის განსახილველია, დაიწყო მისი ნებართვის გარეშე. პაპმა განაცხადა რომ: „ორდენის წევრებს თვლიდა კეთილშობილ ვაჟკაცებად, მაგრამ თუ ისინი ისეთები არიან, როგორებადაც წარმოადგენენ, ის შეიძულებს მათ და შეუდგება მათ წინააღმდეგ სასამართლო გარჩევას...დასასრულს პაპმა პირობა დადო, რომ თავისი კარდინალების დახმარებით გადაწყვეტს საქმეს, არ გააჭიანურებს მაგრამ არც იჩქარებს და ეს იქნება ეკლესიისათვის ღირსეული გადაწყვეტილება“(Мельвиль 2003 : 310).

მეფის დავალებით პლეზიანმა პაპს გადასცა კორბეს ციხეში განთავსებული 72 ტამპლიერი. კლემენს V აპირებდა თავად დაეკითხა ისინი, მაგრამ, მოერიდა მათთან შეხვედრას და  ყველაფერი გადააბარა კარდინალებს:  ეტიენ დე სიუზს, ბერანჟე  ფრედოლს, პიერ კოლონას და ლანდულფო ბრანკაჩოს. ეს კარდინალები იყვნენ მეფესთან დაახლოებული პირები და ცხადია სერიოზულ  და სამართლიან გამოძიებას ისინი არ ჩაატარებდნენ.

მეფესა და პაპს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ძალიან დაძაბულ ატმოსფეროში.ალბათ დიდი ზეწოლის შედეგი იყო ის, რომ პაპმა, 5 ივლისს დაუბრუნა ინკვიზიტორს წართმეული უფლებამოსილება, მაგრამ  წამოაყენა ორი პირობა,  რომ მაღალ იერარქებს თვითონ გაასამართლებდა, ხოლო ტამპლიერების ორდენის საქმეს გამოიძიებდა პაპის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია. რიგითი ტამპლიერები მან ეპარქიული კომისიის სასამართლოს გადასცა, რომელიც შედგებოდა ორი კათედრალური კანონიკის, ორი ფრანცისკელის, ორი  დომინიკელისა და ინკვიზიტორებისაგან. ამგვარად, პაპმა ტამპლიერების საქმე მთლიანად  საეკლესიო სასამართლოს დაუქვემდებარა. აღსანიშნავია ის, რომ პაპის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიებით ტამპლიერებს წაერთვათ ჩვეულებრივი სასამართლო  პროცედურით კუთვნილი გარანტიები. ამასთანავე ამ კომისიებზე გავლენა ჰქონდათ ინკვიზიტორებს, თუმცა პაპი ცდილობდა გამოძიება თავად ჩაეტარებინა და ინკვიზიციისთვის აერიდებინა მეტაძრეები.

კლემენს V-მ  მოითხოვა ორდენის იერარქების პუატიეში ჩაყვანა. გზაში ბადრაგი შინონში გაჩერდა. პაპმა უარი თქვა პირადად დაეკითხა  ორდენის ხელმძღვანელები და სამი კარდინალი გაგზავნა შინონში იმ უფლებამოსილებით, რომ მოესმინათ ბრა-

ლდებულებისათვის და მიეტევებინათ მათთვის ცოდვები. არაფერია ცნობილი იმის შესახებ თუ რა მოხდა კარდინალების ჩასვლამდე შინონის ციხესიმაგრეში. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ როდესაც კარდინალები, რომლებიც პაპს წარმოადგენდნენ კითხავდნენ ორდენის იერარქებს, ნოგარე და პლეზიანი ესწრებოდნენ დაკითხვებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კარდინალების ჩასვლამდე შესაძლოა მეფის ლეგისტებმა დაამუშავეს ტუსაღები პაპის წინაშე წარსადგენად. კარდინალების კოლეგიის წინაშე დაკითხვაზე კვიპროსის კომანდორმა აღიარა ორი ცოდვა, ჯვრის უარყოფისა და დაფურთხების, ნორმანდიის პრეცეპტორმა ჟოფრუა დე შარნემ უარყო თავისი ჩვენების დიდი ნაწილი და მხოლოდ განდგომის შესახებ აღიარა. აქვიტანიის კომანდორი ჟოფრუა დე გონევილი შეეწინააღმდეგა მათ და ყველა ბრალდებაში გაიმართლა თავი, ხოლო მაგისტრმა ჟაკ დე მოლემ და ჰუგო დე პეირომ გაიმეორეს თავიანთი საწყისი ჩვენებები. კარდინალებმა შეადგინეს დაკითხვების ოქმის ანგარიში ნოგარესა და პლეზიანის მიერ ხელმოწერილი და გაუგზავნეს მეფეს. აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ დაკითხვების საფუძველზე გამოსცა შემდეგ პაპმა შინონის აქტი .

1308 წლის 12 აგვისტოს პაპმა გამოსცა ბულა „Faciens misericordiam“, რომლის თანახმად შექმნა კომისია ნარბონის არქიეპისკოპოს ჟილ ეისლენის ხელმძღვანელობით. გამოძიების უფლებამოსილება მიანიჭა აგრეთვე მანდის, ბაიესა და ლიმოჟის ეპისკოპოსებს ექვს სხვა სასულიერო პირთან ერთად. ამ კომისიას ევალებოდა გამოძიება ჩაეტარებინათ და შეკრებილიყვნენ სანსში, პროვანსში, რუანში, ბურჟეში ლიონში, ოშეში, ნარბონსა და ტურში. მათ უნდა შეეკრიბათ ტამპლიერების ბრალდებების ან გამართლების მოწმობები და მოემზადებინათ პროცესი, რომლის განხილვა უნდა შემდგარიყო 1310 წელს ვიენის კრებაზე. მეფეს არ მოეწონა კომისიის მუშაობა და მოითხოვა გამოძიება პარიზში გაგრძელებულიყო. კომისიის წევრებმა მეფის სურვილი შეასრულეს და 1309 წლის 8 აგვისტოს პარიზში დაიწყეს გამოძიება ცირკულარული წერილის შედგენით, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ტამპლიერთა ორდენის ყველა წევრი, რომელთაც ჰქონდათ ორდენის დაცვის სურვილი.12 ნოემბრიდან კომისიამ პარიზის არქიეპისკოპოსის რეზიდენციაში დაიწყო მუშაობა. კომისიის არცერთი წევრისათვის არ შეიძლებოდა მიგვეწერა ტამპლიერების მიმართ პირადი სიმპათია, მაგრამ როგორც კანონიკური სამართლის სპეციალისტები და ეკლესიის წევრები ფლობდნენ ერთგვარ პროფესიულ შეგნებას. მეტაძრეთა ორდენის საქმე უკიდურეს შემთხვევაში მთავრდებოდა იქ, სადაც, აპოსტოლური გამოძიებით უნდა დაწყებულიყო.

უფლებამოსილების დიდი ნაწილი გამოძიებას აწარმოებდნენ სიფრთხილით, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენას ცდილობდნენ უფრო მეტად თვით პროცედურისადმი პატივისცემის და არა სამართლიანობის გამო (Мельвиль 2003 : 318).

მაღალი იერარქიის ტამპლიერებმა გამოხატეს ორდენის დაცვის სურვილი. პირველი მიწვეული მოწმე იყო ჰუგო დე პეირო. მან ითხოვა, რომ არ გაენიავებინათ ორდენის საკუთრება და უარი განცხადა ელაპარაკა სხვა თემაზე.

1309 წლის 26 ნოემბერს ორდენის დასაცავად კომისიის წინაშე წარსდგა ჟაკ დე მოლე და განაცხადა, რომ მას სურს დაიცვას ორდენი, მაგრამ ვერ ხედავს საკუთარ თავში ძალას და ცოდნას და სჭირდება დახმარება. მან თქვა, რომ „მისი მხრიდან იქნებოდა ამაზრზენი და სასირცხვილო, რომ არ ცდილიყო იმ ორდენის დაცვას, რომელმაც მიანიჭა მას ასეთი დიდი ღირსება“ (Рид 2005 : 352). მოლე იყო მთავარი მოწმე და სწორედ მასზე იყო დამოკიდებული გამოძიების გაგრძელება, უფლებამოსილებმა შეახსენეს მოლეს რომ იგი უკვე გამოტყდა თავის და ორდენის დანაშაულშიც და როცა მას წაუკითხეს აღიარებები, დიდი მაგისტრი შეკრთა, გადაიწერა პირჯვარი და გააკეთა ისეთი ჟესტები, რომ ზოგმა კარდინალმა ეს მიიღო, როგორც მუქარა კონკრეტული პირების მიმართ. უფლებამოსილებმა შეადგინეს საბრალდებო ოქმი და როცა მოლემ მოისმინა მათი საყვედურები, განმარტა, რომ ფიქრშიაც არ გაუვლია ვინმეს დამუქრებოდა, არამედ ასე საკუთარი გრძნობები გამოხატა და იმას ნანობდა, რომ ღვთის სახელით უნდა მოქცეულიყვნენ ეს ქრისტიანები და არა სარაცინებივითა თუ მუსლიმებივით. ორწლიანი წამების შემდეგ დიდი მაგისტრი გულწრფელად იყო აღშფოთებული აღიარებებით და მან გადაწყვიტა დაეცვა ორდენი. კომისიის წევრებმა მისცეს მას დრო ორდენის დასაცავად. მოლემ დახმარებისთვის მიმართა მეფის წარმომადგენელ გიიომ დე პლეზიანს, რომელიც მისმა გულუბრყვილობამ საგონებელში ჩააგდო. მან ურჩია მოლეს რომ საკუთარი ნებით ყულფში თავს ნუ გაყოფდა. 28 ნოემბერს მოლე ისევ წარსდგა კარდინალების საბჭოს წინაშე და განაცხადა, რომ მას არ აქვს ძალა, რათა ღირსეულად დაიცვას ორდენი, იმიტომ, რომ ის იყო გაუნათლებელი, ლათინურის არმცოდნე რაინდი. მან პაპის მართლმსაჯულებას მიანდო ტამპლიერები და თქვა: „მხოლოდ წმინდა მამის თანდასწრებით ვილაპარაკებო. მოლემ კომისიას შეატყობინა მხოლოდ სამი რამ. 1) ორდენის ეკლესიებში ლიტურგია სრულდებოდა უფრო ლამაზად, ვიდრე სხვა ტაძრებში, გამონაკლისი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საკათედრო ტაძრები. 2) ორდენი ნამდვილად იღებდა გულუხვ შემოწი-

რულობებს. 3) ორდენის წევრები ისეთი თავდადებით იცავდნენ ქრისტიანულ რწმენას, რომ ისინი ითვლებოდნენ სარაცინების მთავარ და შეურიგებელ მტრებად…რომ მას ყოველთვის სწამდა ერთი ღმერთის, წმინდა სამების და კათოლიკური სიწმინდეების, ხოლო ვინ იქნება მართალი და ვინ ცოდვილი, მაშინ შეიტყობთ, როცა სული გაეყრება ხორცს“ (Рид 2005 : 353-354).

ტამპლიერების ისტორიის მკვლევრები ვერ არკვევენ რამ გამოიწვია ჟაკ დე მოლეს უუნარობა და ვარაუდობენ, რომ კარდინალებმა ამოშალეს ზოგიერთი ნაწილი მისი აღსარებიდან. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაპატიმრების დროს მოლე იყო უკვე ხანდაზმული. მას ორდენში 42 წელი ჰქონდა გატარებული, აქედან 25 დიდი მაგისტრის თანამდებობაზე. მოლეს დაატარებდნენ ერთი კომისიიდან მეორეში, მოსამართლიდან სხვა მოსამართლემდე და იგი დაიბნა აღარ იცოდა ვის მინდობოდა. მოლე მთლიანად დაეყრდნო პაპს. იგი იყო თავგზააბნეული, მეფის ჯალათებისაგან დაშინებული, ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ დიდმა მაგისტრმა არაერთხელ შეიცვალა შეხედულება, ხან უარყო, ხანაც აღიარა პირველი ჩვენება. მან ვერ გაიგო, რომ პაპსა და მეფეს შორის არსებულ კონფლიქტში ტამპლიერების პროცესი მხოლოდ მიზეზი იყო. მოგვიანებით მიხვდა მოლე, რომ ის სათამაშოს როლში აღმოჩნდა, თუმცა, ყველაფერი ძალიან გვიან იყო და უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა (Демурже 2008 : 307).

1309 წლის 27 ნოემბერს პეიენის კომანდორი პონსარ დე ჟიზი შეეცადა დაეცვა ორდენი. მან აირჩია ისეთი მეთოდი, რომელიც მიეკუთვნებოდა მცირერიცხოვან თავდაცვით ფორმებს, რომლის საშუალებასაც იძლეოდა ინკვიზიციური პროცედურა: ბრალდებულს შეეძლო დაესახელებინა თავისი მტრები იმ იმედით, რომ ჩამოთვლილი გვარები დაემთხვეოდა იმისას, რომლებმაც მის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. ამგვარად, მას სურდა, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა, ამ ადამიანთა სანდოობა. მან დაასახელა ოთხი სახელი: „ესენი არიან გამცემლები, რომლებმაც სიცრუე შეთხზეს და ცილისწამება წამოიწყეს ტამპლიერების რწმენის წინააღმდეგ: მღვდელი გიიომ რობერი, რომელიც მონაწილეობდა ტამპლიერების წამებაში; ესკენ დე ფლოირანი ბეზიედან; ბერნარ პელე, მა-დ აჟენის პრიორი და რაინდი ჟერარ დე ბუაზოლი, ჟიზორიდან“.( Michelet 1841:36-37). „აქედან ორი ცნობილი იყო როგორც მაღალ საზოგადოებაში ტყუილის გამავრცელებლები. ბერნარ პელე 1307 წლის ოქტომბერში ფილიპ IV-ის მიერ მივლენილი იყო ინგლისის მეფე ედუარდ II-სთან ტამპლიერების დანაშაულებებში დასარწმ-

უნებლად, ესკენ დე ფლორანმა კი თავად აღიარა, რომ ის იყო ტამპლიერების საქმის ერთ-ერთი მთავარი წამომწყები“(Barber 2008: 65). პონსარმა განაცხადა, რომ „ყველა ბრალდება, რომელიც მან და ორდენის სხვა წევრებმა ადრე აღიარეს იყო ტყუილი და რომ ეს თქვეს, იძულებით, ძალადობისა და შიშისა გამო, რადგან აწამებდნენ. იმის გამოც, რომ 36 ტამპლიერი მოკვდა როგორც პარიზში, ასევე ბევრ სხვა ციხეში ტანჯვა-წამების შედეგად... მან განაცხადა რომ თუ კვლავ აწამებდნენ ყველაფერს უარყოფდა რაც ახლა თქვა და იტყოდა იმას, რასაც მოითხოვდნენ, რომ ამდენ ხანგრძლივ წამებას ვეღარ გაუძლებდა, რადგან ორ წელზე მეტი ციხეში გაატარა. მან ასევე აღნიშნა, რომ საქმე პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანების დახმარებით უნდა გამოეძიებინათ“(Michelet 1841:36-37).იგი წამებისგან გარდაიცვალა სწორედ იმავე წელს.

შემონახულია პარიზის არქიეპისკოპოსის მიერ გამოცემული მითითებების ტექსტი უფლებამოსილებისთვის, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ „შემოერიგებინათ“ ტამპლიერები. ინსტრუქციებში წერია უსასტიკესი მითითებები იმ პატიმრებთან მიმართებით, რომლებიც ყოველთვის ყველაფერს უარყოფდნენ. მოწმეთა ჩვენებებმა გავლენა მოახდინეს ზოგიერთ უფლებამოსილზე, რომლებიც ამიერიდან უფრო ლმობიერებით ხელმძღვანელობდნენ დაკითხვებს.

კომისიამ სხდომები შეწყვიტა 28 ნოემბერს და განაახლა 1310 წლის 3 თებერვლს. ამ პერიოდში ორდენის დამცველთა რიცხვი 600- მდე გაიზარდა, მათ შორის იყვნენ სასულიერო პირებიც. მღვდელმა ჟან დე რობერმა განუცხადა კომისიას, რომ მას სმენია ტამპლიერების ცოდვების შესახებ, მაგრამ არც ერთი არ შეიძლება დანაშაულად ჩაეთვალოს ორდენს (Рид 2005 : 355).

18 მარტს კომისიის წევრებმა ორდენის დამცველ ტამპლიერებს წაუკითხეს ლათინურ ენაზე შედგენილი საბრალდებო აქტი, რომელიშიც ჩაწერილი იყო ბრალდების 127 პუნქტი. რაინდებმა დაიყვირეს, რომ მათ არ ჰქონდათ სურვილი მოესმინათ ეს სიცრუე და საზიზღრობა ფრანგულად. ტამპლიერებმა კომისიას მოსთხოვეს მიეცათ დამცველების არჩევის ნება. რადგან უსამართლო პროცესებმა ხალხის აღშფოთება გამოიწვია, ამან აიძულა მეფე თანხმობა მიეცა დედაქალაქში ჩამოყვანილ პატიმრებს დამცველები მოეძებნათ. ბრალდებულებს კომისიის ხელმძღვანელმა ურჩიათ აერჩიათ 6 ან 10 პროკურორი ან „სინდიკი“. ტამპლიერებმა დამცველებად აიყვანეს: ორდენის წარმომადგენელი კურიაში პიერ ბულონელი და ორლეანის კომანდორი რე-

ნო დე პროვენი (ორივენი იყვნენ მღვდლები) და ორი რაინდი, კარლის კომანდორი ვიენის საგრაფოში ბერტრან დე სარტიჟი და ბლანდეის კომანდორი, გიიომ დე შანბონი. ოთხმა დამცველმა ითხოვა  დიდ მაგისტრთან შეხვედრის უფლება, მაგრამ რადგან მაგისტრმა ორდენის დაცვა პაპს მიანდო, ამიტომ  დამცველებს უარი ეთქვათ მასთან შეხვედრაზე. ნარბონის არქიეპისკოპოსმა მათ უბრძანა იმავე დღესვე აერჩიათ პროკურორები ან სინდიკები. ამით მან მახე დაუგო ტამპლიერებს, რადგან კოლეგიის 2/3 უნდა შეკრებილიყო, სინდიკი, რომ გამართულიყო. დამცველები შეუდგნენ მუშაობას. პიერ ბულონელს 25 წელი ჰქონდა ტამპლიერებთან ურთიერთობა. იგი კომისიის წინაშე წარსდგა და წარმოთქვა დასაცავი სიტყვა. ბულონელმა ყველა წაყენებულ ბრალდებას უწოდა სამარცხვინო და თქვა, რომ ეს ყველაფერი იყო შეთხზული. 1307 წელს დაკითხვაზე  მან აღიარა ბრალდებები, შემდეგ უარყო, მაგრამ ახლა ის ამტკიცებდა, რომ „ტაძრის ორდენი იყო  ყოველთვის სუფთა და წმინდა, თავისუფალი ამ ბილწი ბრალდებებისგან, რომ მისი ყველა წინა აღიარება იყო ტყუილი და მიღებული წამების დროს“ (Рид 2005: 355-356). მან დაუმატა, რომ მეფემ, მოტყუებულმა ცილისმწამებლების მიერ შეცდომაში შეიყვანა პაპი და ამგვარად, ისინი ორივენი მოტყუებულნი არიან ცრუ მოწმეების მიერ...თუ სინამდვილეში ნოგარემ წარმოადგინა ეს ცილისწამება, მისი დამტკიცება შეეძლო მხოლოდ იმ  ფაბრიკაციული ნაწერების საშუალებით, როგორიცაა პიერ დიუბუას მიერ შექმნილი  „ფრანგი ხალხის მიტევება“ (Мельвиль 2003 : 325).

მეორე დამცველმა, რენო პროვენმა გააოცა კომისიის წევრები. ის ამტკიცებდა, რომ „მხოლოდ დიდ მაგისტრს და ორდენის კაპიტულს აქვს უფლება დანიშნოს პროკურორები პროცესზე ტამპლიერების დასაცავად. რომ ყველა წინამორბედი პროცედურა, რომელიც ადანაშაულებდა ტამპლიერების ორდენს ერესში აბსოლუტურად უკანონოა სამოქალაქო და სასულიერო სამართლის მხრიდან და აუცილებელია ყველა ბრალდებულს მიეცეს ადვოკატების დაქირავების საშუალება და თავად საქმეები აუცილებლად უნდა გადაეცეს საეკლესიო ხელისუფლებას და არა სამეფო კანცელარიას“(Рид 2005 : 356).

ამგვარად, პ. რიდის მოსაზრებით ტამპლიერებმა დაპატიმრების შემდეგ პირველად  მოახდინეს თავის დაცვის არგუმენტების ფორმულირება (Рид 2005 : 356).

ავინიონის კომანდორმა, ჟან მონრეალერმაც წარმოთქვა დასაცავი სიტყვა. ის ამტკიცებდა, რომ ბევრ ტამპლიერს შეუშალეს ხელი როგორც მოწმე  ჩასულიყო პა-

რიზში. უფლებამოსილებმა უარყვეს დამცველთა ყველა არგუმენტი და საკუთარი ქმედება სამართლიანად გამოაცხადეს, ვინაიდან იგი განმტკიცებული იყო ბულით „Facien misericortiam“.

აღსანიშნავია, რომ პიერ ბულონელი იყო განსწავლული მღვდელი და თანამედროვე გაგებით ადამიანის უფლებების დამცველი. მან კომისიის წინაშე ღიად გაცხადა რომ : „ტამპლიერების წინააღმდეგ გამართული პროცესი თავიდანვე მიმდინარეობდა გასაკუთრებულად გააფთრებულ ატმოსფერში, ძმებს ისე მიათრევდნენ, როგორც „ცხვრებს სასაკლაოზე“. ზოგი კვდებოდა წამებისაგან, ინვალიდდებოდნენ და ბევრი იძულებული ხდებოდა ცილისწამება ეღიარებინა. ის ამტკიცებდა, რომ წამება შეუძლებელს ხდის თავისუფალს აზროვნებას, რომელიც არის განუყოფელი თვისება კეთილგონიერი ადამიანის, რომ წამება ართმევს მას მეხსიერებას, ცოდნას, რომ ტამპლიერებს არაერთხელ აჩვენეს წერილები სამეფო ბეჭდით გამყარებული, რომლებშიც ფილიპ IV ყველას, ვინც დატოვებდა დაღუპულ და გასამართლებულ ორდენს, ჰპირდებოდა არა მარტო წამების შეწყვეტას, არამედ მთელი სიცოცხლის განმავლობაში რენტას“ (Рид 2005 : 356-357).

დამცველები დიდი მონდომებით ცდილობდნენ ორდენისა და თითოეული წევრის დაცვას. მათ საჩივარი შეიტანეს უფლებამოსილებთან, სანსის არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ, რომელიც აპირებდა ტამპლიერების უმეტესობის, როგორც გაჯიუტებული ერეტიკოსების გასამართლებას, რაც მათ ცოცხლად დაწვას გულისხმობდა. პიერ ბულონელმა სთხოვა უფლებამოსილებს ჩარეულიყვნენ ან გადაეცათ მისთვის 2 ნოტარიუსი სანსში საქმის საწარმოებლად, რადგან არ მოიძებნა არავინ, ვინც ყველაფერ ამას საკუთარ თავზე აიღებდა. ბულონელის ყველა დამცავი აქტი სასამართლომ უპასუხოდ დატოვა და მიუხედავად დამცველთა გულმოდგინებისა საფრანგეთში ტამპლიერთა დაკითხვები და გამოძიება დიდხანს გაგრძელდა. პარიზში 540 ტამპლიერი ელოდებოდა განაჩენს. გამოძიება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ მეფე შეუდგა მათ დასჯას. 1310 წლის 12 მაისს, სხდომაზე კომისიას ეცნობა, რომ ორდენის დამცველი 54 ტამპლიერი, სანსის არქიეპისკოპოსის, ფილიპ დე მარინის მიერ გასამართლდნენ, როგორც ჯიუტი ერეტიკოსები და გადაეცნენ საერო ხელისუფლებას დასაწვავად. უფლებამოსილებმა სთხოვეს მარინს განაჩენის აღსრულების გადადება, აგრეთვე მიმართეს ნარბონის არქიეპისკოპოსს ჟილ ეისლენს. ეისლენმა არ ისურვა ჩარევა, იმ მიზეზით, რომ სანსის არქიეპისკოპოსი თავის ეპარქიაში მბრძანებ-

ელია.მელვილს მიაჩნია, რომ ჟილ ეისლენის პირადი თხოვნა, რომელსაც ჰქონდა ორმაგი ხარისხი – ბეჭდის მცველისა და პაპის წარმომადგენლის შეიძლებოდა გამხდარიყო საკმარისი, რომ შეეჩერებინა ან აეცილებინა ეს მასობრივი დასჯა, მაგრამ ეისლენმა ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავა, რადგან სამეფო კარზე ნოგარესა და პლეზიანის მდგომარეობა გართულებული იყო და შესაძლოა ისიც, რომ კანცლერის გადადგომა იყო გადაწყვეტილი. ორივე არქიეპისკოპოსი (მარინი და ეისლენი) ცდილობდა მეფისთვის ერთგულების დამტკიცებას და სწირავდნენ ტამპლიერებს, საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად (Мельвиль 2003 : 327-328). ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მარინი დავალებული იყო მეფისაგან. იგი ახალი დანიშნული იყო სანსის ეპარქიაში სწორედ ფილიპისა და თავისი ძმის, ანგერან დე მარინის შემწეობით. კომისიის წევრებიდან ბევრი თანაუგრძნობდა ტამპლიერებს, მაგრამ როგორც ირკვევა, მათ არ ჰქონდათ იურიდიული უფლება ჩარეულიყვნენ სანსის არქიეპისკოპოსის საქმეებში.

1310 წლის 12 მაისს წმინდა ანტონიოს მონასტერთან ახლოს მინდორზე, სანსის არქიპოსკოპოსის, ფილიპ დე მარინის ბრძანებით, ნელ ცეცხლზე დაწვეს 54 ტამპლიერი, რომლებმაც უარყვეს თავიანთი წინანდელი ჩვენებები. ორდენის განადგურება და დასჯის ეს სცენა აღწერილი აქვთ ფლორენციელ მემატიანეს ჯოვანი ვილანს თავის „ქრონიკაში“ (VIII, 92) და ჯოვანი ბოკაჩოს. (მათ აღწერილი აქვთ აგრეთვე ჟაკ დე მოლეს მოწამეობრივი სიკვდილი). ბოკაჩოს მამა პირადად ესწრებოდა აუტოდაფეს.

ვილანის ქრონიკიდან ვიგებთ: „57 მეტაძრე (ჰეკერტორნი ასახელებს 59 რაინდს, ვილანი 57-ს თუმცა, ოფიციალური წყაროების მიხედვით აქ დასჯილ ტამპლიერთა რაოდენობა 54-ს არ აღემატება)მიაბეს ცალ-ცალკე ბოძს და ცეცხლი წაუკიდეს ფეხის ქუსლებზე, შემდეგ კი-მთელ სხეულზე. თანაც ამავე დროს თითოეულს უმეორებდნენ, თუკი მოინანიებთ დანაშაულს, სიცოცხლეს გაჩუქებთო. ამასვე ემუდარებოდნენ, მათი ტანჯვის შემყურე ახლობლები და მეგობრებიც, მაგრამ არც ერთმა მეტაძრემ არ ისურვა მონანიება. ისინი ქვითინებდნენ და ყვიროდნენ, რომ უდანაშაულონი იყვნენ, რამდენადაც ყოველთვის ჭეშმარიტი ღმერთი სწამდათ. ისინი ევედრებოდნენ და დახმარებას სთხოვდნენ ქალწულ მარიამს, იესო ქრისტეს და სხვა წმინდანებს, ამ ტანჯვა -წამებაში დაიწვა მათი სხეული, სული კი ღმერთს მისცეს“ (ხუბაშვილი 1997 :107).

მეფის ისტორიკოსები წერდნენ, რომ ტამპლიერები ტკივილისაგან იტანჯებოდნენ, მაგრამ მათ სიკვდილის წინაც არ მოისურვეს აღიარება. სხვა მოწმის სიტყვებით

კი „ტამპლიერები არ წყვეტდნენ ყვირილს, რომ მათი სხეული ეკუთვნის მეფეს, სული - კი ღმერთს“( Мельвиль 2003 : 328). ერთმა ტამპლიერმა ამ წამებულთაგან მოსამართლეს უთხრა: „ნუთუ ეს მე ვაღიარე თქვენს დაკითხვაზე? ნუთუ ეს მე დავიბრალე საშინელი და არაჯანსაღი ნაყოფი თქვენი ფანტაზიის? არა, მესირ! ეს წამება კითხულობს და ტკივილი პასუხობს!“ (Парнов 1991-70).

მეორე დღეს პაპის კომისიის წინ ორდენის დასაცავად წარსდგა ტამპლიერი ემერი დე ვილერ-ლე-დიუკი, მაგრამ იგი ისე იყო შეშინებული თავისი 54 მეგობრის დაწვის შემდეგ, რომ კომისიის წინაშე გამოცხადდა ტამპლიერული მოსასხამის გარეშე, წვერგადაპარსული და ფერმკრთალი. იგი დაემხო მუხლებზე, ხელები აღაპყრო და განაცხადა, რომ ყველა ის შეცოდება, რომელიც მიეწერებოდა ორდენს იყო აბსოლუტური ტყუილი, მას მრავალმხრივ აწამებდნენ მეფის რაინდები იმისათვის, რათა მას, მოწმეს ეღიარებინა ზოგიერთი დასახელებული შეცოდებანი. წინა დღით მან საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ მიჰყავდათ ურმით თავისი 54 მეგობარი კოცონზე დასაწვავად და თუ მას კოცონზე დაწვა დაემუქრება, ეშინია, რომ ღირსეულად ვერ მოიქცეოდა და სიკვდილის შიშით გამოტყდებოდა და აღიარებდა ფიცის ქვეშ ... რომ ყველა შეცოდებანი, რასაც მიაწერდნენ ორდენს ჭეშმარიტი იყო და თუკი მისგან მოითხოვდნენ იმასაც კი აღიარებდა, რომ მან თავად ღმერთი მოკლა (Демурже 2008 : 308). ბოლოს იგი შეევედრა კომისიის წევრებს და ნოტარიუსებს, რომ მის მიერ ახლახანს ნათქვამი არ შეეტყობინებინათ მეფის ჩინოვნიკებისთვის, რათა იგიც არ დაეწვათ. ტამპლიერი ჟან ბერტრანიც შეევედრა კომისიას არ გაეთქვათ იგი და მისი აღიარება შეენახათ საიდუმლოდ, რადგან მას ემუქრებოდა საშინელი წამება. ბუნებრივია, ასეთმა უკიდურესმა აღიარებებმა იმოქმედა კარდინალებზე და მათ დროებით შეწყვიტეს სხდომები, სანამ ეს პანიკური შიში არ გაივლიდა. თუმცა, ტამპლიერთა დასჯა მაინც გაგრძელდა. ოთხი დღის შემდეგ სანსის არქიეპისკოპოსმა კიდევ ოთხი ტამპლიერი დაწვა კოცონზე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ტამპლის სახლის მმართველის, ჟან დე ტურის გვამი ამოთხრეს მიწიდან და დაწვეს. რეიმსის არქიეპისკოპოსმა 10 ტამპლიერი დაწვა კოცონზე. პარიზში დაწვეს 5 მეტაძრე, მათგან ერთი, ჟაკ დე ტავერნი მეფისაგან იბარებდა აღსარებას.

ფაქტია, რომ პროცესები იმართებოდა ინკვიზიციური პროცედურების ტოტალური თავის არიდებით და განაჩენი აღსრულდა სასამართლოს დასრულებამდე მართლმსაჯულების აშკარა დარღვევით, რაც მიგვანიშნებს სასამართლო პროცესის მსვლე-

ლობაში უხეშ ჩარევაზე. ასეთი ფაქტები  განმეორდა რეიმსში, რუანში, კარკასონში ცეცხლზე დაწვეს კიდევ რამდენიმე ათეული მეტაძრე. დამცველების ყველა ქმედება აღმოჩნდა ფუჭი, მხოლოდ ცარიელი ფორმალობა. უფრო მეტიც, დაიწყეს მათი დისკ-რედიტაცია; რენო დე პროვენი ჯერ დაატუსაღეს, გათავისუფლების შემდეგ კი  ჩამო-აშორეს  საქმეს, პიერ ბულონელიც დააპატიმრეს, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა. დარჩა მხოლოდ ორი დამცველი გიიომ დე შანბონე და ბერტრან დე სარტიჟი, რომელთაც დეკემბერში უარი განაცხადეს ორდენის დაცვაზე, რადგან კვალიფიციურნი არ იყვნენ და არ შეეძლოთ ეს ბულონელისა და პროვენის გარეშე განეხორციელებინათ. ამგვარ-ად, ტამპლიერებს წაერთვათ ყველანაირი დაცვის შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ პროცესის მიმდინარეობისას გამოჩნდნენ ადა-მიანები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ სასამართლო პროცედურების სამართლიანო-ბას და ტამპლიერებს მოუწოდებდნენ წამების ქვეშ მიცემული ჩვენებები უარეყოთ. რუსილიონის პრეცეპტორმა რაიმუნდ საგარდიამ მბრალდებლების წინაშე განაცხა-და: „ვერ შეძლეს რა დაემტკიცებინათ ვერცერთი დანაშაული, რაშიც ჩვენ ბრალს გვდებენ ამ უღირსმა ქმნილებებმა მიმართეს ძალადობასა და წამებას, რადგან მხო-ლოდ ამ მეთოდის დახმარებით შეძლეს ჩვენების გამოძალვა ზოგიერთი ჩვენი ძმი-საგან“ (Демурже 2008 :  310).

1311 წლის 5 ივნისს პაპის გამოძიების დაწყებიდან 18 თვის გასვლის შემდეგ უფ-ლებამოსილები შეიკრიბნენ მობიუსონში პროცესიის დასახურავად. მოუსმინეს 231 მოწმეს, რომლებიც ჩამოიყვანეს სხვადასხვა პროვინციიდან და ოქმები გაგზავნეს კუ-რიაში.  პაპის მიერ ჩამოყალიბებული კომისიები აქტიურად მუშაობდნენ სხვა ქვეყნე-ბშიც, მაგრამ მათ ვერ მოიპოვეს ბრალდებების  დამამტკიცებელი ფაქტები.

პაპმა კლემენს  V-მ  ბრძანა, რომ ლომბარდიასა და ტოსკანაში დაკითხვის უფრო მკაცრი და სასტიკი, მათ შორის წამების მეთოდიც გამოეყენებინათ. პიზის  მთავარე-პისკოპოსი და ვალენსიის  ეპისკოპოსი დაემორჩილნენ პაპის ბრძანებებს, ხოლო  რავ-ენის არქიეპისკოპოსმა რინალდ დე კონკორენცომ პროვინციის საბჭოს გადაწყვეტი-ლებებს დაუჭირა მხარი, მოგვიანებით მან მონაწილეობა მიიღო ვიენის კრებაში, სა-დაც ყველა იტალიელმა მღვდელმა, გარდა ერთისა ტამპლიერებისთვის  თავდაცვის უფლების მინიჭების სასარგებლოდ მისცა ხმა (Bellomo 2008: 196). კონკორეცომ თავი-სი პროვინციის ტამპლიერები სასამართლოდან გაათავისუფლა და მიუხედავად პა-პის განკარგულებისა, უარი თქვა  პროცესის აღდგენასა და წამების გამოყენებაზე, უფ-

რო მეტიც, მან გაამტყუნა პროცესზე წამების გამოყენება და განაცხადა. „აუცილებელია უდანაშაულოდ ვცნოთ ისინი, ვინც წამების შიშით აღიარეს, ხოლო შემდეგ უარი თქვეს თავიანთ ჩვენებებზე; და ისინიც, რომელთაც ვერ გაბედეს უარეყოთ თავიანთი ჩვენებები წამების შიშით, რომ მათ თავს დაატყდებოდათ ახალი წამებები“ (Демурже 2008 : 310).

ტამპლიერთა ბედი საფრანგეთში ძალიან ტრაგიკული იყო. ფილიპ IV თვითონ აკონტროლებდა პროცესს, მისი ბრძანების საფუძველზე ორდენის წევრებს აწამებდ-, ნენ, წვავდნენ კოცონზე მიუხედავად იმისა, რომ განაჩენი ჯერ არ იყო გამოტანილი. აღსანიშნავია, ის რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა გამოძიებამ ვერ შეძლო ბრალის დამადასტურებელი ფაქტების მოპოვება. უფრო მეტიც, საეკლესიო შეკრებებმა, რომლებიც 1310 წელს ჩატარდა ტარაგონში, სალამანკასა და ლისაბონში მოახდინა ტამპლიერების უდანაშაულობის დემონსტრირება. კვიპროსზე მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები მოწმედ გამოვიდნენ მათ დასაცავად. მხოლოდ ერთი საყვედური გამოთქვა ჰოსპიტალიერების კომანდორმა. ინგლისში თავიდან არ იქნა შეკრებილი ტამპლიერთა დამადანაშაულებელი ფაქტები. ედუარდ II დათანხმდა განსაზღვრული წამების გამოყენებას პროცესზე, თუმცა მაინც ვერ მოიპოვეს ბრალდების ვერცერთი აღიარება 1311 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ინგლისში ჩაწერილი ყველა აღიარებითი ჩვენება მიღებული იყო ხანდაზმული წევრებისაგან, თუმცა იქ კოცონზე არავინ დაუწვავთ.

გერმანიაში, კვიპროსსა და ესპანეთში პროვინციის სინოდებმა განაცხადეს, რომ მათ ვერ იპოვეს დანაშაულის ვერანაირი მტკიცებულება. მხოლოდ საფრანგეთში მოხერხდა შეგროვებულიყო აღიარებითი ჩვენებები და ჩვენთვის უკვე ნათელია როგორი მეთოდებით. როგორც ირკვევა ტამპლიერების წინააღმდეგ მთელ სამყაროში მებრძოლი ფილიპ IV მარტო დარჩა.

1312 წელს პაპმა ვიენის საეკლესიო კრებაზე ტამპლიერების ორდენი დაშლილად გამოაცხადა და მათი ქონება ჰოსპიტალიერებს გადასცა. თუმცა, მაინც არ შეწყვეტილა წევრების წამება. შვიდწლიანი საინკვიზიციო პროცესი 1314 წელს, ორდენის იერარქების დაწვით დასრულდა. ტამპლიერების განადგურებით ფილიპმა მიაღწია საწადელს. მან დაპატიმრების დღიდანვე დაიწყო მძიმე ფინანსური პრობლემების მოგვარება, დაეპატრონა ორდენის განძს, ასევე მეფე ედუარდის პროტესტის მიუხედავად

მიითვისა მიწები, რომლებიც ინგლისს ეკუთვნოდა და კიდევ ითხოვდა ინგლისის ტერიტორიაზე აგებული ციხეების გადაცემასაც, რაზეც პაპმა უარი ათქმევინა.

ტამპლიერების პროცესმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ისტორიაში, რომლის შესახებაც წერდნენ არა მხოლოდ იმ ეპოქაში, არამედ შემდგომ საუკუნეებში უფრო გაძლიერდა ინტერესი ორდენის მიმართ. ამას აქვს ახსნა, რადგან ეს იყო გახმაურებული სასამართლო დევნა, რომელიც საფრანგეთის სახელმწიფომ წამოიწყო ისეთი ძლიერი ინსტიტუციის წინააღმდეგ როგორიც პაპობა იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ფილიპ IV-მ ინკვიზიციის დახმარებით ჩაატარა. ბარბერი აღნიშნავს: „ფრანგული მონარქიის მუდმივად მზარდი ადმინისტრაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მცდელობისას ინკვიზიტორები თავიანთი ლიდერის მეშვეობით საფრანგეთში გახდნენ სახელმწიფო ძალაუფლების კიდევ ერთი იარაღი. ტამპლიერთა დაპატიმრებისას კაპეტინგთა მონარქია ისევე, როგორც ამას ხშირად აკეთებდა წარსულში, ცდილობდა დაძაბული ძალისხმევით შეენარჩუნებინა კანონიერების გარეგნული ფორმები, რადგან მთელი მისი პოზიცია ეყრდნობოდა ისეთ ფორმებს, რომლებიც გამოხატული იყო ფეოდალურ სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, იყენებდა სასამართლო პროცესებს თავისი წინასწარ განსაზღვრული მიზნებისათვის, თუმცა ინკვიზიტორის ძალაუფლების სრული მასშტაბი ბუნდოვანი იყო“ (Barber 2006 : 61).

პროცესის მიმდინარეობამ ცხადყო, რომ ინკვიზიცია განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ტამპლიერებთან მიმართებით. „შეიძლება არასოდეს ინკვზიციის სასამართლოს არ გამოუჩენია უფრო დიდი სიმკაცრე და სისასტიკე, როგორც ტამპლიერების საქმეში. თუ პროცესიის მიმდინარეობა, როგორც ჩვენთვის ცნობილია სამწუხარო იყო, მაშინ პასუხისმგებლობა ამისათვის ძირითადად მეფესა და მის მისწრაფებებს უნდა დაეკისროს“ (Лобе 2003: 205-207) ფილიპ IV-ის მიზნის შესახებ ტამპლიერების ორდენისადმი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ფრანგ მონარქს ფლანდრიასთან ომისთვის სჭირდებოდა ფული და ამიტომ გაანადგურა ორდენი, მაგრამ ნაწილი ამტკიცებს, რომ მეფეს აშინებდა ძლევამოსილი, უმდიდრესი ორდენის ძალაუფლება, რომელიც ეკუთვნოდა ეკლესიას და არ იყო მის დაქვემდებარებაში. ცხადი ხდება, რომ იმ ეპოქაში, საფრანგეთის მეფე თავისი ძალაუფლების გავრცობისათვის ებრძოდა მისთვის მიუწვდომელ უძლიერეს ინსტიტუტებს იმ სფეროებს მიღმაც კი, რომლებიც მას არ ექვემდებარებოდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის ყველაზე ძლიერ მმართველს სერიოზული

უთანხმოება ჰქონდა პაპის ხელისუფლებასთან, რამაც  უმწვავესი ფორმა მიიღო. მკვლევართა ნაწილი ცდილობს ფილიპის უკიდურესი სიმკაცრე ტამპლიერებთან მიმართებით ახსნან სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. მისი ბიოგრაფი ჟ. ფავე მიიჩნევს, რომ „მეფე მოქმედებდა ხაზგასმით მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური მისწრაფებით, თვლიდა რა თავის მოვალეობად, როგორც მეფესა და ქრისტიანს აღმოეფხვრა ერესი თავის სახელმწიფოში“ (Лобе 2003: 12). ისტორიკოსები აღნიშნავენ რომ მეფე, მისი მრჩევლები და მთლიანად საზოგადოება დარწმუნებული იყო ტამ-პლიერების დანაშაულებებში. ფილიპი, ნოგარე, ემბერი თავიანთ თავს თვლიდნენ ქრისტეს დამცველებად და ეშმაკთან მებრძოლებად. „ჩვენ, ღმერთის მიერ ამაღლე-ბულები სამეფო ღირსების სადარაჯო პოსტზე,  ეკლესიის სარწმუნოების თავისუფ-ლების დაცვისთვის, გვსურს უპირველესად ჩვენი სულის სურვილები დავაკმა ყოფილოთ და გავაძლიეროთ კათოლიკური სარწმუნოება“- ამბობს ის დაპატიმრების შესახებ გამოცემულ ბრძანებაში. შეეძლო მეფეს ემოქმედა პაპის მონაწილეობის გარეშე? ფილიპი ფიქრობდა, რომ ქრისტიანი ხალხის თანხმობით  მას ასეთი უფლება აქვს, მაგრამ ის ამისკენ არ ისწრაფვოდა. ამით აიხსნება ის მუდმივი ზეწოლა, რომელსაც მეფე ახორციელებდა პონტიფიკზე. ტამპლიერებმა დაარღვიეს კანონები, შეარყიეს  სამყაროს წესრიგი, რომლის გარანტად გვევლინება მისი უქრისტ იანესებულება მეფე, ქრისტეს მემკვიდრე. ამიტომ საჭიროა მათი განადგურება“ (Демурже 2008 : 300-301). მკვლევარ დემურჟეს არ სჯერა ფილიპ ლამაზის გულწრ-ფელობის ამ საქმეში, არ სჯერა აგრეთვე ნოგარესა და პლეზიანის პატიოსნების, რა-დგან ისინი იყვნენ ფანატიკოსები სახელმწიფოსი და არა ღმერთის. მეტაძრეთა ორ-დენს მიღმა მეფე და მისი გარემოცვა  ხედავდა სხვა მიზანს. დემურჟეს მოსაზრებით, შეიძლება ეს იყო ჯვაროსნული ლაშქრობა, რისთვისაც მას სჭირდებოდა ბევრი ფული და სამხედრო რესურსი. აქ კვლავ წამოიჭრა ორდენის პრობლემა. 1305 წელს ფილიპი დაქვრივდა და შესაძლებელია ზუსტად ამ დროისთვის, მეფეს ეფიქრა ამაზე, რომ სა-თავეში ჩასდგომოდა  ახალ ორდენს  და დაეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა. ეს კი ნიშნ-ავდა მეტაძრეთა ორდენის  გარდაუვალ დაღუპვას. ისიც აღსანიშნავია, რომ ფილიპის სიმპათიები იხრებოდა ახალი ორდენისაკენ, რომელიც მის კონტროლქვეშ იქნებოდა. ფილიპის ტამპლიერებთან დამოკიდებულების მიზეზები უნდა ვეძებოთ ამ მიმარ-თულებით. თუმცა საფრანგეთში ორდენი არ წარმოადგენდა საომარ საფრთხეს, განს-

ხვავებით ესპანეთისაგან, მაგრამ პრობლემა აქ არ იყო სამხედრო წესრიგში, ის იდო იდეოლოგიისა და პოლიტიკის სფეროში“ (Демурже 2008 : 301-302).

ამგვარად, ტამპლიერების წინააღმდეგ გამართული დიდი საინკვიზიციო პროცესი შვიდი წელი მიმდინარეობდა, რომელშიც ჩართული იყო ფრანგული სამეფო კარი სახელმწიფო ინსტიტუციებით, სამეფო კანცელარია, ლეგისტები, სასამართლო, აგრეთვე უნივერსიტეტი, მეფის მოკავშირე კარდინალები, სასულიერო იერარქები და ინკვიზიცია, რომელიც მთლიანად კონტროლდებოდა და იმართებოდა ფრანგი მონარქის მიერ. სასამართლო დევნა გასცდა საფრანგეთის საზღვრებს, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გამოძიება და განაჩენი არსად ყოფილა ისეთი მკაცრი, როგორიც ფილიპ IV-ის სამეფოში. არცერთმა მონარქმა არ დაიჯერა მეფისა და მისი გარემოცვის მიერ გულმოდგინედ გავრცელებული ბრალდებების. სასამართლო პროცესი სერიოზულ ეჭვს იწვევდა პაპშიც. მან სწორედ ამ მიზეზით შეაჩერა ინკვიზიცია საფრანგეთში, თუმცა მეფემ მაინც შეძლო მისი დამორჩილება. ტამპლიერების პროცესი საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს გაანადგუროს ნებისმიერი პრივილეგირებული, დამოუკიდებელი, ძლევამოსილი ინსტიტუტი, რომელიც მას არ ექვემდებარება. სასამართლოს მიმდინარეობამ და საბოლოო განაჩენმა ნათლად წარმოაჩინა ფილიპ IV-ის და მისი საბჭოს მიერ დადგმული პროცესის უსამართლობა, დაადასტურა როგორც ფრანგი მეფის უხეში ჩარევა საბრალდებო პროცესში, ასევე პაპის უმწეობა, კანონდარღვევის ფაქტები, ბრალდებების მატერიალური მტკიცებულებების არ ქონა, (საიდუმლო წესდებები, კერპები) განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი აღიარებითი ჩვენებების სიმრავლე, ინკვიზიციის სისასტიკე და ხაზი გაუსვა პროცესის მთავარი მექანიზმის, წამების როლს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფაქტები არის გამსაზღვრელი და ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, გასათვალისწინებელი საყურადღებო ფაქტორია წამების როლი, ტამპლიერების საბრალდებო პროცესის შესახებ გამართულ ნებისმიერ დისკურსში.

## 2.3. ვიენის საეკლესიო კრება

1311 წლის 16 ოქტომბერს პაპმა კლემენს V-მ ქალაქ ვიენში ფილიპ IV-ის სურვილით მოიწვია ვიენის XV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ტამპლიერების ორდენის საბოლოო ბედი. ვიენი იმ დროს არ ეკუთვნოდა საფრანგეთს, მაგრამ ლიონთან ახლოს მდებარეობდა და ფილიპ IV აკონტროლებდა.

საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ პაპმა 1308 წლის 12 აგვისტოს განაცხადა და დაავალა ქრისტიანული სამყაროს ყველა ეპისკოპოსს, არქიეპისკოპოსსა და აბატებს შეკრებილიყვნენ 1310 წლის ოქტომბერში და ჩაებარებინათ იმ ტერიტორიების ანგარიში, სადაც ეკლესია საჭიროებოდა რეფორმას. პაპმა მოსაწვევები დაუგზავნა რომის საღვთო იმპერატორს, საფრანგეთის მეფეს, ინგლისის, იბერიის ნახევარკუნძულის, სიცილიის, უნგრეთის, კვიპროსისა და სკანდინავიის ქვეყნების მმართველებსაც. კრების მონაწილეებისათვის ცნობილი იყო, რომ მათ უნდა განეხილათ სამი ძირითადი საკითხი: წმინდა მიწის დაბრუნების, ეკლესიის რეფორმისა და ტამპლიერების ორდენის. მეტაძრეთა საქმის სრულყოფილად გამოუძიებლობის გამო კრება ერთი წლით გადაიდო, რამაც მეფე ძალიან გაანაწყენა. მან პაპს მოსთხოვა დააჩქარებინა კრების მოწვევა.

1311 წლის 16 ოქტომბერს ვიენის კათედრალურ ტაძარში ჩატარდა მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ეპისკოპოსები, აბატები, პრიორები და საერო წარმომადგენლები, ჩამოსულნი ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, შოტლანდიიდან, არაგონიდან და სხვა ქვეყნებიდან. კრებაზე ბევრი მოწვეული დელეგატი არ მოვიდა, მიუხედავად ვალდებულებისა. კრებას არ დასწრებია არც ერთი მეფე, გარდა ფილიპ IV-ისა. ნათელია, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი საეკლესიო კრება.

კლემენს V-მ კრების მონაწილეებს გააცნო მის მიერ შექმნილი ტამპლიერების საქმის შემსწავლელი კომისიების ანგარიშის ოქმები და აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც შესაძლოა იყო დამახინჯებულნი. ლის მოსაზრებით: „თუკი შოტმიულერი მართალია, ვარაუდობს რა ვატიკანში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერზე, რომ ის შედგენილი იყო ვიენის კრების კომისიისათვის წარსადგენად, მაშინ ეს დოკუმენტი გვიჩვენებს ურცხ ხერხს იმისა, რომლითაც დაამახინჯეს ჩვენებები, რათა დაებნიათ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოწოდებული ხალხი. ყველა მოწმის სასიკეთო ჩვენება ამოღებულია, ხოლო ქალებისა და ბერების ყველაზე უაზრო მონათხრობე-

ბი სერიოზულად არის გადმოცემული, როგორც უდავო სამხილები“ (Ли 1912 : 378).

ბრალდებების განხილვის შემდეგ პაპმა კრების მონაწილეებს ჰკითხა უნდა დაეშალათ თუ არა ტამპლიერების ორდენი, რაზედაც მიიღო კატეგორიული უარი. საერთო შთაბეჭდილება იქმნებოდა ორდენის სასარგებლოდ. მეფე და ნოგარე ვარაუდობდნენ, რომ კრება მათი სურვილის მიხედვით წარიმართებოდა, მაგრამ მათმა მონაწილეებმა გამოამჟღავნეს უფრო მეტი სიმტკიცე და სამართლიანობა, ვიდრე პაპმა. შესაძლოა მათ შერცხვათ თავიანთი ხელმძღვანელის სისუსტის და მოითხოვეს კრების წინაშე მოესმინათ ტამპლიერებისათვის, მათ უნდა ემართლათ თავი, რადგან გამოძიების შედეგები არ იყო სარწმუნო და კრების მონაწილეთა უმეტესობასაც არ სჯეროდა, რომ ტამპლიერები იყვნენ დამნაშავენი. სხდომის წევრებს ნამდვილად ჰქონდათ ეჭვის სრული საფუძველი, რადგან რეალობა იყო ასეთი: გამოძიებებმა, რომლებიც ჩატარდა საფრანგეთში და მის საზღვრებს გარეთ, ბრალდებების ვერანაირი მტკიცებულება ვერ აღმოაჩინა, უფრო მეტიც, ვიენში შეკრებილებმა მრავალი აღიარებითი ჩვენება მიიჩნია სულელურ მონათხრობად.

სამართლიანობის გამოაშკარავებისთვის პაპმა ტამპლიერები მიიწვია საეკლესიო კრებაზე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცარიელი ფორმალობა, რადგან კლემენსი საერთოდ არ ფიქრობდა, რომ ვინმე მართლა მივიდოდა. თუმცა, არ გამართლდა პაპის ვარაუდი, რადგან 1311 წლის ნოემბრის დასაწყისში კრებაზე გამოცხადდა 7 რაინდი,(მალე მათ ორიც შეუერთდა), რომელთაც განაცხადეს, რომ სურდათ ორდენის დაცვა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ 1500-2000-მდე ტამპლიერი იმალებოდა ლიონის მიდამოებში და აპირებდა მათ დახმარებას. შეუძლებელია მასობრივ დაპატიმრებებს ამდენი ტამპლიერი გაქცეოდა, მაგრამ პაპ მაინც შეშინდა, ცხრავე ტამპლიერი დააპატიმრებინა, დაცვა გააორმაგა და მეფეც გააფრთხილა, რათა მიეღო უსაფრთხოების ზომები, თან სთხოვა დაეჩქარებინა ვიენში ჩასვლა. დეკემბერში კრებაზე განიხილავდნენ ფორმას, რომელიც უნდა მიეცათ ტამპლიერების პროცესისათვის.

პაპმა პირველი სესიის მიმდინარეობისას განაცხადა, რომ ტამპლიერების საქმეს კრების სრული შემადგენლობა ვერ განიხილავდა, ამიტომაც შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. მათ უნდა განეხილათ ჩვენებები და გამოეტანათ შესაბამისი დასკვნები. კომისია რამდენიმე დღე ისმენდა საქმეს. კომისიის წევრებს შორის პატრიარქ აკვილეის ხელმძღვანელობით გამოიყო მცირე ჯგუფი. პაპი მათი დახმარებით ფიქრობდა ორდენის დაშლას. იგი მიხვდა რომ სასულიერო

პირების უმეტესობა, ახალი ორდენის შექმნის მომხრე იყო, მას კი სურდა ტამპლიერების მემკვიდრეობა გადასცემოდა ჰოსპიტალიერების ორდენს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა კლემენსი იმედოვნებდა, რომ კრება მუშაობას დაასრულდებდა 20 იანვარს, მაგრამ ასე არ მოხდა. დამცველი ტამპლიერების გამოჩენამ იმოქმედა კრების წევრებზე და წმინდა მამების დიდი ნაწილი გადაიხარა იქეთკენ, რასაც ეპისკოპოსმა გიიომ ლე მერმა უწოდა „არასერიოზული და არასასიამოვნო განხილვები დაცვის თაობაზე“ (Barber 2006 : 263 - 264).

ვიენის საეკლესიო კრების სრული აქტები, როგორც ვატიკანის არქივის წარმომადგენლები ამტკიცებენ, დაკარგულია, მაგრამ ცნობილია, რომ კრებაზე ფილიპ IV-მ კრახი განიცადა, რადგან კრების თითქმის ყველა წარმომადგენელი დათანხმდა ორდენისთვის დაცვის გამოთხოვას და მხოლოდ ოთხმა ადამიანმა მისცა ხმა მის განადგურებას ისე, რომ არ მოესმინათ მათი წარმომადგენლებისთვის. კლემენს V-ის ბიოგრაფი დომინიკელი ეპისკოპოსი პტოლემე დე ლუკა მოგვითხრობს: „კრების მონაწილე ეპისკოპოსებმა და კარდინალებმა უთხრეს პაპს, რომ ტამპლიერებს უნდა მისცემოდათ თავის დაცვის შესაძლებლობა. ყველა ეპისკოპოსი, გარდა ერთი იტალიელისა და სამი ფრანგის: რეიმსის, რუანისა და სანსის არქიეპისკოპოსების გამონაკლისისა, ესპანეთის, ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად მივიდნენ ამ დასკვნამდე“ (Newman 2007 : 279). სანსის არქიეპისკოპოსი იყო ფილიპ დე მარინი, რომელმაც დაიწყო ტამპლიერების დაწვა. რეიმსის არქიეპისკოპოსი იყო რობერ დე კურტენე, რომელიც ენათესავებოდა საფრანგეთის სამეფო კარს ქორწინების ხაზით და რუანის არქიეპისკოპოსი იყო ჟილ ეისლენი. ყველამ იცოდა, რომ ესენი იყვნენ მეფის მრჩევლები და მეგობრები. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ყველა პრელატმა და მათ შორის ფრანგებმაც ორდენისათვის დაცვის ნებართვა დაუშვა. აშკარაა, რომ კრებაზე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა ოპოზიცია საერო მბრძანებლის წინააღმდეგ.

ამგვარად, ტამპლიერებს მიეცათ ორდენის დაცვის უფლება. მეფეს ეს არ მოეწონა და დაემუქრა პაპს, რომ განაახლებდა ბონიფაციუს VIII-ის წინააღმდეგ გამართულ პროცესს. კლემენს V შეაშფოთა ფილიპის ასეთმა მრისხანებამ და გადაწყვიტა სხვა - მიმართულებით წარემართა კრების მსვლელობა. გარკვეული პერიოდი იგი განიხილავდა ისეთ საკითხებს, რომლებსაც საერთო არაფერი არ ჰქონდა ორდენთან. მეორე სესიაზე ხანგრძლივი კამათი გაიმართა ტამპლიერების ორდენის შენარჩუნებისა თუ

განადგურების დილემასთან დაკავშირებით. თითქმის ყველა პრელატმა ორდენის შენარჩუნებას მისცა ხმა გარდა ფრანგებისა. როგორც ჩანს, მათ შეეშინდათ ფილიპის რისხვის და ვერ გაბედეს მეფის სურვილის წინაღმდეგ წასვლა.

პაპი სამი თვე ფიქრობდა, რათა გამოსავალი ეპოვა, სანამ კრება მოწვეული იქნებოდა მარტში. ადრე  რთული იყო იმის თქმა, მან რეალურად რა იფიქრა ტამპლიერების დანაშაულზე, მაგრამ  შინონის პერგამენტის აღმოჩენამ დაამტკიცა, რომ ის ტამპლიერებს ერეტიკოსებად არ მიიჩნევდა, რომ მას ეშინოდა მეფის რისხვის. ცხადია რომ  მას შეეშინდებოდა მეფის მუქარის, ახალი და უფრო დიდი სკანდალის, რაც უკავშირდებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ბონიფაციუს VIII-ის  საქმის განახლებას.  ნიუმენნის მოსაზრებით პაპი დარწმუნებული, რომ ყოფილიყო ორდენის ბრალეულობაში, მათ ნამდვილად დაფიქრების გარეშე გაასამართლებდა. მას რომ შეენარჩუნებინა ტამპლიერებისათვის სიცოცხლე, ის პირისპირ შეეჯახებოდა ფილიპის მისწრაფებას, რაც გულისხმობდა პაპ ბონიფაციუს VIII-ის ეკლესიიდან განკვეთას, გვამის ამოთხრას და დაწვას ერესისათვის (Newman 2007 : 280 - 281). ცხადია ისიც, რომ მას არ სურდა აგრეთვე წინა პაპის ბედი გაეზიარებინა. თუ ტამპლიერები იქნებოდნენ გასამართლებულნი კლემენს V-ის  აზრით,  ალბათ ეს უფრო მარტივი გამოსავალი იქნებოდა. რელიგიური მიზნების პოლიტიკურისათვის განადგურება არ იყო სიახლე და პაპმა გადაწყვიტა დაესრულებინა ეს უსაშველოდ გაწელილი პროცესი.

1312 წლის 2 მარტს  ფილიპ IV-მ მისწერა პაპს: „თქვენმა უბრწყინვალესობამ იცის, რომ გამოძიებამ აღმოაჩინა ერესისა და  ჯადოქრობის შემთხვევები, რომლებშიც ბრალი მიუძღვის ტამპლიერებს, რომ ორდენი სწრაფად უნდა დაიშალოს...ჩვენ ვაკეთებთ წმინდა საქმეს, ვიცავთ ჭეშმარიტ ორთოდოქსულ სარწმუნოებას და უღრმესი პატივისცემით გთხოვთ ეს ორდენი გაუქმდეს და მისი ქონება გადაეცეს სხვა სამხედრო ორდენებს“ (Лобе  2003 :189).

ტამპლიერების მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტა იყო მხოლოდ პაპის პრეროგატივა. მეფის აზრით, ტამპლიერების მრავალრიცხოვანმა დანაშაულებებმა და ერესმა მოიტანა მათი ორდენის დაშლის აუცილებლობა. მეფის წერილი არ იყო უბრალო გზავნილი პაპისადმი, იგი შეიცავდა ულტიმატუმსა და მრისხანებასაც ერთდროულად. თუმცა, მეფე წერილში აცხადებდა, რომ პაპის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მორჩილად მიიღებდა  და აღასრულებდა. ამ წერილზე პაპმა  8 მარტს უპასუხა მეფეს, რომ თუ ორდენი დაიშლებოდა, მისი ქონება მოხმარდებოდა წმინდა მიწის დაცვას

(Barber 2006 : 266).

აღსანიშნავია ისიც, რომ კრებაზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ დაეცვათ საკუთარი სამეფოს ინტერესები. არაგონის მეფის სურვილი იყო, ტამპლიერების ქონება არ გადასცემოდა ჰოსპიპიტალიერების ორდენს, არამედ დარჩენილიყო არაგონელის განკარგულებაში. მარტის დასაწყისში არაგონელებიც ჩაერთნენ მოლაპარაკებებში, პაპთან, ანგერან დე მარინთან, საფრანგეთისა და ოვერნიის ჰოსპიტალიერების პრიორებთან ერთად.

კლემენს V ვეღარ იღებდა გადაწყვეტილებას, რადგან კრების წევრები ღიად აცხადებდნენ, რომ ტამპლიერებისათვის უნდა მიეცათ საკუთარი სათქმელის გამოთქმის საშუალება. ამას თან ერთვოდა ფრანგი მონარქის მოთხოვნები.

პაპმა არა იცოდა დაეშალა თუ შეენარჩუნებინა ორდენი, მაგრამ როცა ექვსი თვის უნაყოფო მცდელობის შემდეგ 1312 წლის 20 მარტს ფილიპ IV ჩავიდა კრებაზე ძმების, შარლისა და ლუდოვიკოს, შვილებისა და მრავალრიცხოვანი შეიარაღებული პირების თანხლებით, ყველაფერი შეიცვალა. მეფის ზეწოლამ გატეხა პაპის სიმტკიცე. კრებაზე ორდენის დასაცავად გამოვიდა ცისტერციანელი აბატი, პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი ჟაკ დე ტერინი, რომელმაც ჯერ კიდევ პროცესის დასაწყისში, 1307 წელს განუცხადა მეფეს, რომ არაფერი ჰქონდა ტამპლიერების საწინააღმდეგო. მას არ შეეშინდა ფილიპ IV-ის რისხვის და 13 მაგისტრთან ერთად 1308 წელს შთააგონა მეფეს, რომ მაშინაც კი, თუ დადასტურდებოდა ზოგიერთი ტამპლიერის ჩვენებები, მაინც არ ჰქონდა მათი დაპატიმრების, დაკითხვის, ან დასჯის უფლება, რადგან ეს სასულიერო ორდენი მას არ ექვემდებარებოდა და შესაბამისად ვერ მიითვისებდა მათ ქონებას, რომელიც წმინდა მიწის დასაცავად იყო გათვალისწინებული. ვიენში ჟაკ დე ტერინმა ხმამაღლა განაცხადა თავისი ეჭვის შესახებ რომ: „ ის ფაქტები, რომლებიც ტამპლიერების ბრალეულობებს აღიარებენ და რომლებშიც ბევრი მათგანი ამ სამეფოშიც და მის საზღვრებს მიღმაც, განსაკუთრებით ამ ორდენის დიდი მაგისტრი სახალხოდ გამოტყდნენ, ამაზრზენია და რა თქმა უნდა ყოველი ქრსტიანის გულში უნდა ჩასახოს საშინელება...თუ ყველაფერი ის, რასაც ისინი ამბობენ სიმართლეა, მაშინ ეს ადამიანები ჩავარდნილები არიან საზარელ და დანაშაულებრივ ცოდვებში რწმენისა და მორალის თვალსაზრისითაც ...თუ ეს ყველაფერი სხვა არაფერია, თუ არა გამონაგონი, მაშინ როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ორდენის მთავარმა წევრებმა, ხალხმა, რომელიც ფლობს სამხედრო ხელოვნებას, რომელიც ასე

ადვილად ვერ მიეცემოდა  უსაფუძვლო შიშს, მთელი პარიზის უნივერსიტეტის წინაშე ასეთ საზიზღრობასა და ასეთ საშინელებაში თავი ცნო დამნაშავედ.  ამავე დროს ბევრმა მათგანმა ამის შემდეგ გაიმეორა თავისი აღსარება ჩვენი პონტიფიკის წინაშე თავის და ორდენის სამარცხვინოდ? და თუ ეს სიმართლეა და სიმართლე ყველასთან მიმართებით როგორ მოხდა, რომ სანსისა და რეიმსის პროვინციულ სინოდებში ბევრი ტამპლიერი თავისი ნებით წავიდა კოცონზე. მათ უარყვეს თავიანთი პირველი ჩვენებები იმ დროს, როცა შეეძლოთ გაქცეოდნენ წამებმას, უბრალოდ იმით, რომ გაემეორებინათ თავიანთი აღიარებები...აი რა არის ის, რაც ბევრ ადამიანს ამა თუ იმ მხრიდან უჩენს ეჭვს. კიდევ ერთიც: ვიენში გახსნილ გენერალურ კრებაზე გამოქვეყნებული იქნა გამოძიების შედეგები, რომლებიც ჩატარდა სხვადასხვა სამეფოში, ოღონდაც ისინი ურთიერთგამომრიცხავია მრავალ პუნქტში“ (Демурже  2008 :  312).

როგორც ირკვევა თავის გამოსვლაში აბატმა ჟაკმა მოიყვანა ბევრი არგუმენტი და დაასკვნა რომ, „ტამპლიერების მიერ დანაშაულის აღიარება აშკარად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან ის იყო გაკეთებული მათი წამებისა და ტერორის საშუალებით, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთები იყვნენ საკმაოდ მამაცნი, რათა უარი ეთქვათ და პირდაპირ გაერისკათ სიცოცხლე. ფაქტია, რომ გამოძიებამ, რომელიც ჩატარდა საფრანგეთის საზღვრებს გარეთ, ვერ აღმოაჩინა ვერავითარი დანაშაულის მტკიცებულება, საეჭვოც კი და ყველა შემთხვევაში ეს საკითხი არ იყო საფრანგეთის მეფის გადასაწყვეტი“ (Newman 2007 : 280).1312 წელს ტერინმა დაწერა ტრაქტატი, რომელშიც ნათლად წარმოაჩინა თავისი მოსაზრება  ტამპლიერებთან დაკავშირებით.

განრისხებულმა მეფემ კლემენს V-ს მოსთხოვა ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება და მუქარის გზით დაიწყო ოპოზიციის წევრებზე ზეწოლა. არაგონის ელჩი პაპის კარზე წერდა თავის მეფეს: „ახლა ფილიპი გახდა მეფე, პაპი და იმპერატორი ერთსა და იმავე დროს“ (Рид  2005: 350). საბოლოოდ მეფე და პაპი შეთანხმდნენ, რომ ორდენი დაიშლებოდა პაპის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, მისი ქონება კი გადაეცემოდა სხვა ორდენს.

1312 წლის 22 მარტს სპეციალური კომისიის წევრების საიდუმლო კონსისტორიუმზე კენჭი უყარეს ტამპლიერების ორდენის გაუქმებას იმ პირობით, რომ ეს განაჩენი კლემენს V-ის  მიერ იქნებოდა გაცხადებული. კრების წევრებს უნდოდათ პაპზე გადაეტანათ მთელი პასუხისმგებლობა. მანდის ეპისკოპოსმა გიიომ დიურანმა შესთავაზა კრების წევრებს მისულიყვნენ ამ გადაწყვეტილებამდე, ვინაიდან არ არსებობდა

საკმარისი მტკიცებულებები რომ გამოეტანათ კანონიკური განაჩენი, პაპს შეეძლო ორდენის ლიკვიდაცია, რომ დასრულებულიყო მეფის ინტრიგები. ამრიგად, მსჯელობა მიდიოდა გამაფრთხილებელ ზომებზე და არა დასჯაზე (Лобе 2003 : 190).

კომისიის წევრები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობას გაწევას აზრი აღარ ჰქონდა, ისიც დასაშვებია შეშინებულიც კი ყოფილიყვნენ საფრანგეთის მეფის ასეთი მოულოდნელი გამოჩენით და ამჯერად შემადგენლობის 4\5მისცა ხმა ორდენის დაშლას.

მხოლოდ ვალენსიის ეპისკოპოსმა რამონმა გააპროტესტა ორდენის დაშლის გადაწყვეტილება. მან განაცხადა: „თავიდანვე უნდა გაარჩიო კეთილები - ცუდებისაგან, ვინაიდან ორდენი ისევ რჩება, მასში მოიძებნება, კეთილი ხალხი, თვით ორდენი, რომლის დაფუძნება იყო წმინდა საქმე არ არის ცოდვილი "(Мельвиль 2003 : 332).

ორდენის დაშლის შესახებ გადაწყვეტილება პაპმა კრების წევრებს გამოუცხადა 3 აპრილს. გიიომ დე ნანჟის ქრონიკების გამგრძელებელი ანონიმი მღვდელი წერს; განაჩენის წარმოთქმის დროს „მეფე ფილიპი იჯდა პაპის მარჯვნივ „რაღაც ხარისხით დაბლა". ყოველგვარი არასასიამოვნო არგუმენტისაგან დაცულმა კლემენსმა სხდომას მიმართა ფსალმუნიდან ამონარიდით. „ამიტომ ვერ წამოიმართებიან უღმრთონი სასამართლოში, ხოლო ცოდვილნი - მართალთა კრებაზე". შემდეგ წაიკითხა ორდენის დაშლის შესახებ ბულა „Vox in excelso" დათარიღებული 22 მარტით"(Barber 2006 : 267). სამოციქულო ხელისუფლებით პაპმა დაშალა ტამპლიერების ორდენი. მან აღნიშნა, რომ ჟაკ დე მოლემ და დანრჩენმა ტამპლიერებმა აღიარეს აბსოლუტური უმსგავსოება: „რომ ის იყო მიმართული პირდაპირ იესო ქრისტეს წინააღმდეგ, რომ მათ შესცოდეს ღალატით, სოდომის ცოდვითა და ერესით", მაგრამ საბედნიეროდ „შემდეგ მოვიდა ქრისტეს ძვირფასი შვილი, მეფე ფილიპი, საფრანგეთის ცნობილი მეფე ... ის არ მოსულა სიხარბით, ის არის თავგამოდებული მართლმადიდებელი მორწმუნე" ...მან აგრეთვე აღნიშნა რომ ტამპლიერების საკუთრება უნდა ყოფილიყო დაზოგილი და შენახული პაპობის მიერ, რათა გამოეყენებინათ წმინდა მიწისათვის და ვერავინ ვერ შეეხებოდა ამ საკუთრებას" (Newman 2007: 281-282).

ბულაში პაპი აღიარებდა, რომ შეგროვებული სამხილები არ ამართლებდა კანონიკური თვალსაზრისით ორდენის საბოლოო მსჯავრის დადებას, მაგრამ, ორდენმა სახელი შეირცხვინა ისეთი სკანდალით, რომ არცერთი პატიოსანი, წესიერი ადამიანი აღარ შევიდოდა მასში და ყოველგვარი დაყოვნება გამოიწვევდა ტამპლიერების მიწების დატაცებას და ამით დაზიანდებოდა წმინდა მიწის ინტერესები, ამიტომ წმინდა

ტახტს წინასწარ უნდა გამოეცხადებინა ორდენის განადგურება (Ли 1912 : 378- 379).

პაპმა ხაზი გაუსვა, რომ ორდენმა ამოწურა თავისი მისია, შებღალული რეპუტაციის გამო გახდა გამოუყენებელი. კლემენსმა განაცხადა: „ჩვენ არა სასამართლო განჩინებით, არამედ ჩვენი მოციქულთა ნათქვამით ვშლით ტამპლიერების ორდენს, ვაუქმებთ მის წესდებას, შესამოსელს და სახელწოდებას და ვკრძალავთ მის შემდგომ არსებობას უწმინდესი კრების კეთილი ნებით. ასევე უმკაცრესად ვკრძალავთ ნებისმიერის შესვლას აღნიშნულ ორდენში მომავალში, ასევე მისი ტანსაცმლის ტარებას ანდა საკუთარ თავს უწოდოს ვინმემ ტამპლიერი სხვა ხალხის თანდასწრებით. თუ ვინმე დაარღვევს ჩვენს ბრძანებას განკვეთილი იქნება ეკლესიისაგან. უფრო მეტიც, ჩვენ ვტოვებთ ძმებსა და ამ ორდენის ქონებას წმინდა ტახტის გამგებლობაში და ვაპირებთ ღვთის შემწეობით ეს ყველაფერი მივმართოთ ქრისტიანული რწმენის სასიკეთოთ, ასევე წმინდა მიწისთვის ჯერ კიდევ მიმდინარე კრების დამთავრებამდე. ბოლოს პაპმა დაარწმუნა დამსწრენი, რომ ამიერიდან მისი ბრძანების შეწინააღმდეგებას ჩათვლის გააზრებულად თუ გაუაზრებლად ჩადენილს ფუჭად და არაკანონიერად“ (Barber 2006 : 268). აღსანიშნავია რომ სხდომის დაწყებისთანავე კრების მონაწილენი გაფრთხილებულნი იყვნენ, რათა დუმილი დაეცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოკვეთილები იქნებოდნენ ეკლესიისაგან. ერთი სიტყვის თქმისათვისაც კი მათ უნდა აეღოთ განსაკუთრებული ნებართვა პაპისაგან. ჩვენთვის უცნობია დაეთანხმნენ თუ არა კრების მონაწილეები ამ აკრძალვას, მაგრამ წინააღმდეგებიც რომ წასულიყვნენ, ამას უკვე მაინც არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, პაპმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და წევრების თანხმობის გარეშეც შეეძლო მისი დამტკიცება, რადგან პაპი მთლიანად ფლობდა საკანონმდებლო, სასამართლო და დისციპლინარულ ძალაუფლებას, განსაზღვრავდა ეკლესიის წყობასა და მიმარ- თულებას და მას ყოველ წამს შეეძლო შეეჩერებინა ეკლესიის კანონების მოქმედება თავისი პრივილეგიებითა და დისპენსაციებით (Карсавин 2003 : 144).

კლემენს V-მ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ შეგვეძლო დაგვედანაშაულებინა ისინი სამართლებლივი ნორმებით, ჩვენ ვშლით მათ და ვუშვებთ სამოციქულო ხელისუფლებიდან გაფრთხილებით და ვიტოვებთ უფლებას მათი სიცოცხლე განვაგოთ ჩვენ და რომის წმინდა ეკლესიამ“ (Лобе 203 : 191).

აშკარაა, რომ განაჩენის ფორმულირება იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. შემდგომში გამოთქმამ „გამაფრთხილებელი წესით გაშვებამ“ გამოიწვია აზრთა სხვადას-

ხვაობა. გაჩნდა მოსაზრება, რომ პაპის ბულას, რომელმაც ლიკვიდაცია გაუკეთა ორდენს ჰქონდა მხოლოდ დროებითი ხასიათი, რომ საუბარი მიდიოდა შექმნილი ვითარების გამო მათ განსაზღვრული ვადით გაშვებაზე, თუმცა, ლობეს გაუგებრად მიაჩნია და ჩვენც სავსებით ვიზიარებთ მის აზრს, რომ ორდენი როგორღა მოიპოვებდა არსებობის უფლებას, როცა მათ წევრებს ასე სასტიკად ებრძოდნენ და სახელიც გატეხილი ჰქონდათ (Лобе 203 : 191).

უოლტერ გეინსბორო ძალიან მწირ კომენტარს აკეთებს ამ ბულასთან დაკავშირებით. იგი წერს: „პაპმა დაამატა, რომ თუმცა ხსენებული გამოძიებები არ აძლევენ მას უფლებას ორდენის დე-იურედ დაშლის, მიუხედავად ამისა, ის მაინც აუქმებს მას მის ხელთ არსებული ძალაუფლებით“ (Barber 2006 : 268).

ხუთწლიანი ლოდინისა და ურთულესი გამოძიებების შემდეგ ფილიპ IV-მ გაიმარჯვა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო დამარცხება, რადგან ორდენი არ იყო დასჯილი მეფის სურვილისამებრ. ტამპლიერების ქონების საკითხმაც ხანგრძლივი და მწვავე კამათი გამოიწვია. მრავალი მოსაზრება გაჩნდა და სხვადასხვანაირი პროექტი განიხილებოდა, მაგრამ საბოლოოდ კლემენსმა 2 მაისს გამოსცა ბულა „Ad providam“, რომლითაც ტამპლიერების სამფლობელოები და ქონება მთლიანად გადაეცა ჰოსპიტალიერების ორდენს იმ საკუთრების გამოკლებით, რომლებიც ორდენს გააჩნდა კასტილიაში, არაგონში, მაიორკასა და პორტუგალიაში. კლემენს V- მ მიმართა შეკრებილთ: „თუ თქვენ დათანხმდებით ტამპლიერების ქონების ჰოსპიტალიერებთან შეერთებას, მე სიამოვნებით წარმოვთქვამ გადაწყვეტილებას თქვენთან შეთანხმებით; და თუ არა - მე მაინც წარმოვთქვამ მას, სასურველია ეს თქვენთვის თუ არასასურველი“ (Карсавин 2003 : 144). ცნობილია, რომ თავისი პონტიფიკატის დასაწყისში კლემენს V-მ შეადგინა ამ ორი ორდენის გაერთიანების გეგმა, მაგრამ პრელატების უმეტესობა შეეწინააღმდეგა პაპს, გეგმა უარყვეს ტამპლიერებმაც.

ეს იყო ეკლესიის ქონების გადაცემა ერთი ორდენიდან მეორისათვის. ნოგარეს რჩევით მეფემ სძლია სიამაყეს და ამაზე ფორმალური თანხმობა გამოხატა, თუმცა ჰოსპიტალიერებმა ბევრი იშრომეს, რომ მეფისთვის გამოეგლიჯათ ტამპლიერების ორდენის უძრავი ქონება, მაგრამ ფილიპ IV- ის მრჩეველმა პიერ ფლოტმა იმდენი ვალი დაადო ორდენს, რომ ჰოსპიტალიერები კინაღამ გაკოტრდნენ ამ მემკვიდრეობისაგან.

ორდენის დაშლამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა როგორც საფრანგეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ბევრმა დაიჯერა კიდეც ტამპლიერების დანაშაული, მრავა -

ლიც გაკვირვებული დარჩა. თვით კრების მონაწილეები გაოცებულნი იყვნენ იმით თუ როგორ უღირს მეთოდებს იყენებდა პაპი კრებაზე და როგორ აშკარად ემუქრებოდა მას ფრანგი მონარქი. პაპის განაჩენმა კრების წევრების უკმაყოფილება გამოიწვია. უოლტერ გეინსბოროსთვის „ვიენის კრება იმასაც არ იმსახურებდა, რომ მისთვის საერთოდ კრება გვეწოდებინა, რადგან უწმინდესმა პაპმა ყველაფერი გადაწყვიტა თავისი უფლებამოსილების გამოყენებით და წმინდა კრება კი არც ეპასუხებოდა და არც ეთანხმებოდა მას“ (Barber 2006 : 269). თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო კრების წევრების აზრი ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან პაპმა მაინც გააუქმა ორდენი და ახლა მისი მთავარი საფიქრალი იყო რა ხვედრი მოელოდათ დაპატიმრებულ ტამპლიერებს.

1312 წლის 6 მაისს გაიმართა ვიენის საეკლესიო კრების დახურვის სხდომა. ბოლო რამდენიმე დღე მხოლოდ ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას დასჭირდა. პაპმა მოკლედ შეაჯამა კრების მუშაობის შედეგები, წაიკითხა რამდენიმე ბულა, რომელიც ტამპლიერების ორდენს შეეხებოდა, მაღალი იერარქების გასამართლების უფლება თავისთვის დაიტოვა და გამოაქვეყნა ახალი ბულა „Considerantes dudum“, რომელიც შეიცავდა ორდენის ლიკვიდაციისათვის საჭირო პრაქტიკული საკითხების განხორციელების გეგმას. იკრძალებოდა ორდენის ტანსაცმლის ტარება და თვით ტამპლიერად წოდება. ეპარქიალურ სასამართლოებს მიეცა უფლება განეგრძო ინკვიზიციას გაქცეულ ტამპლიერთა დევნა. ის, ვინც უარყოფდა წინა ჩვენებებს დაისჯებოდა კოცონზე დაწვით, ან სამუდამო პატიმრობით, ხოლო ვინც დაიცავდა, მიეცემოდა ორდენის ქონებიდან დახმარება. კრება დასრულდა საინტერესოდ. ფილიპ IV - მ კრების წარმომადგენლებს საბოლოო სიურპრიზი მოუმზადა, როცა განუცხადა, რომ სურს ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლა 1319 წელს და მოითხოვა ეკლესიის მეათედი წილის გადადება თავისი ექსპედიციის დასაფინანსებლად. კრების წევრები უხალისოდ დაეთანხმნენ. თუმცა, არც ფილიპ IV და არც მისი შვილები არასოდეს წასულან ჯვაროსნულ ლაშქრობაში (Newman 2007 : 283).

კლემენს V-ის გადაწყვეტილებამ ორდენის დაშლასთან დაკავშირებით ისტორიკოსებს შორის გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. პაპის ბიოგრაფის, პტოლემე დე ლუკას გადმოცემით კლემენს V- მ მეფისაგან მიიღო ასი ათასი გულდენი იმ პრობლემების შექმნისთვის, რაც დაკავშირებული იყო ტამპლიერების ორდენის პროცესთან და ლიკვიდაციასთან (Лозинский 1986 : 160). პაპი ცნობილი იყო ნეპოტიზმითა და ოქრო-

სმოყვარეობით. ამის შესახებ წყაროებიც მოგვითხრობენ. ცნობილი ხდება, რომ დიუ-
რგამის პრიორმა არჩევნებში აღიარებისთვის პაპს გადაუხადა ათასი მარკა, მაგრამ
თანხის გადაცემის შემდეგ მალე გარდაიცვალა. პაპმა მის ადგილზე დაუყოვნებლივ
დანიშნა სხვა, რომლისაგანაც აიღო სამი ათასი მარკა (Лозинский 1986 : 159-160). ზემ-
ოთთქმულიდან გამომდინარე ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ ფაქტს, მაგრამ, ვერ დავეთა-
ნხმებით იმ აზრს, რომ პაპმა ფულის გამო გასწირა თავისი ყველაზე საიმედო დასა-
ყრდენი, თანაც ვითვალისწინებთ იმასაც, რომ წინამორბედ პაპებს არასოდეს გამოუ-
თქვამთ საყვედური ტამპლიერებზე ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, თანაც
შინონის პერგამენტის აღმოჩენის შემდეგ ნათელი გახდა პაპის დამოკიდებულება
ორდენისადმი დაეცვა და გადაერჩინა იგი.

ივანოვის მოსაზრებით: „ეფარებოდა რა რელიგიას ფილიპმა გაანადგურა ტამპ-
ლიერების ორდენი, განახორციელა თავისი ფისკალური მიზნები, რომელთაც არაფე-
რი გააჩნდა საერთო არც მორალთან და არც რელიგიასთან“ (Иванов 1915 : 265-266).

პარიზელი მემატიანე ჟან სენ ვიქტორელი განმარტავს : „ბევრი ამბობდა, რომ ვი-
ენის კრება მოწვეული იყო ფულის გამოძალვის მიზნით“ (Barber 2006 : 259).

ტამპლიერების სასამართლო პროცესის თანამედროვე ფლორენციელი მემატიანე
ჯოვანი ვილანი აღწერს „თუ როგორ მივიდა ორი ადამიანი, მონფოკონის პრიორი და
ნოფო დეი მეფესთან და მან სიხარბის გამო პაპთან დადო საიდუმლო შეთანხმება და
აიძულა იგი შეჰპირებოდა ტამპლიერების ორდენის განადგურებას, აგრეთვე მათ და-
დანაშაულებას ერესის მრავალ მუხლში. მაგრამ ამბობდნენ, რომ ეს გააკეთეს იმ იმ-
ედით, რომ მათგან მიიღებდნენ ძალიან დიდ თანხას და ასევე იმ მიზეზითაც, რომ
ისინი შეურაცხყოფილნი იყვნენ მაგისტრისა და ორდენისაგან“ (Barber 2006 : 269) .

ეკლესიის ისტორიის მკვლევარი იოზეფ ლორტცი აღნიშნავს, რომ : „პაპმა მოახე-
რხა აეცილებინა არასასიამოვნო, დაუშვებელი პროცესი მისი წინამორბედი პაპის წი-
ნააღმდეგ და საქმე დატოვა საკუთარ იურისდიქციაში, მხოლოდ ტამპლიერების საქმ-
ეში მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლით. კლემენს V-მ გამოიჩინა საკმაო ღირსება,
რათა წინ აღდგომოდა ბონიფაციუს VIII-ის გასამართლებას. ტამპლიერების ორდენის
საკითხში გაიმარჯვა მეფემ. სიმართლეა, რომ მან აქაც თავი გამოავლინა მდაბიო
მხრიდან. მან დაუმტკიცებელი ეჭვების საფუძველზე, მხოლოდ სიხარბისა და მბრძა-
ნებლობის სიყვარულის გამო დააპატიმრებინა ყველა ტამპლიერი და მოუწყო მათ
ერესში დადანაშაულების პროცესი. ინკვიზიციამ წამებით მიიღო არაფრად ღირებუ-

ლი „აღიარება“. საბოლოოდ, ვიენის კრებამ პაპის ბრძანებულების საფუძველზე, მაგრამ გამამამტყუნებელი განაჩენის გარეშე დააკანონა ორდენის ლიკვიდაცია 1312 წელს, „ რადგანაც მას აქვს ცუდი სახელი და გახდა გამოუსადეგარი“. ლორტცის აზრით: ის, რომ ორდენი მთლიანობაში და ყველა არსებულ საკითხში იყო უდანაშაულო შეგვიძლია მივიჩნიოთ უეჭველად “(Лортц 1999 : 454).

მკვლევარ ხუსტო ლუი გონსალესის მოსაზრებით ყველაზე უფრო დამამცირებელი სუსტი პონტიფიკის, კლემენს V-ისათვის გახდა ტამპლიერების დაპატიმრება და მათი სასამართლო პროცესი. გონსალესი წერს: „ორდენი შეიქმნა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, შემდეგ კი მისმა არსებობამ პრინციპში აზრი დაკარგა. იგი იყო მდიდარი და ყოვლისშემძლე ორგანიზაცია. იმ პერიოდში, როცა მეფე ძალაუფლებას განამტკიცებდა მაღალ ფენებზე ტამპლიერების ძლევამოსილება და სიმდიდრე აფერხებდა მის ცენტრალიზაციის პოლიტიკას, რადგან რაინდი ტამპლიერები წარმოადგენდნენ ბერული ორდენის წევრებს არ შეიძლებოდა მათი დამორჩილება პირდაპირ საერო ხელისუფლებისათვის, ამიტომაც ფილიპმა გადაწყვიტა დაედანაშაულებინა ისინი ერესში და ეიძულებინა სუსტი კლემენსი გაენადგურებინა ორდენი, ხოლო მათი სიმდიდრის ძირითადი ნაწილი გადაეცა ფრანგული სამეფო ხაზინასათვის. მოულოდნელად დააპატიმრეს საფრანგეთში მყოფი ყველა ტამპლიერი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ პაპი მათ დაიცავდა და პროტესტს გამოთქვამდა ჩადენილი უსამართლობის გამო, მაგრამ მან მიიღო რა სამეფო თანამდებობის პირებისაგან ტამპლიერების აღიარებების ოქმები, ბრძანება გასცა დაეპატიმრებინათ ორდენის ყველა წევრი საზღვარგარეთ, რათა თავიდან აერიდებინა ნებისმიერი ქმედება, რომელიც მათ შეეძლოთ ჩადინათ თავიანთი დაპატიმრებული ძმების გამო. პაპმა, როცა გაიგო, რომ აღიარებები მიღებული იყო წამების შედეგად, ბრძანა შეეწყვიტათ იგი და განაცხადა, რომ ის თავად გაასამართლებდა ტამპლიერებს, რადგან ისინი არ ექვემდებარებიან სამოქალაქო ხელისუფლებას. მაგრამ ბრალდებულები რჩებოდნენ საკნებში და პაპს არაფერი მოუმოქმედებია მათ გასათავისუფლებლად. შემდგომში მეფემ დაადანაშაულა პაპი იმ სიბოროტეთა წაქეზებაში, რომლებიც თითქოს ჩაიდინეს ტამპლიერებმა. გონსალესი აღნიშნავს, რომ ეს პერიოდი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ „ავინიონელი პაპების“, ან „ეკლესიის ბაბილონურ ტყვეობად“ ხასიათდება არა მარტო პაპების რომში არყოფნით, არამედ მათი მზაობით ემსახურათ ფრანგული პოლიტიკის ინსტრუმენტად“ (Гонсалес 2001: 311-312).

პაპობის ისტორიის მკვლევარი ჯონ უილიამ ო მალი აღნიშნავს, რომ „ვიენის კრებამ რატიფიცირება მოახდინა რომის პაპის შეთანხმების მეფის გეგმასთან დაკავშირებით, რაც ტამპლიერი რაინდების მოძრაობის აღკვეთას გულისხმობდა. ხშირად ჰყვებოდნენ ფილიპის მიერ რაინდებისგან წამების შედეგად მოპოვებული დანაშაულის აღიარების შესახებ ამაზრზენ ამბებს. ყოველ ჯერზე, პაპი მხოლოდ ერთ საკითხზე უწევდა წინააღმდეგობას მეფეს: ეს იყო ბონიფაციუსის გასამართლების მოთხოვნა. რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი? კლემენსი, როგორც ჩანს, უსაფუძვლოდ არ თვლიდა თავს თითქმის ფილიპის ტყვედ. ის ასევე აპირებდა მორიგი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებას და ამისთვის მას აუცილებელად უნდა ჰქონოდა საფრანგეთის მეფის მხარდაჭერა. ფილიპი საკმარისად გამჭრიახი იყო, რომ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მხარდაჭერა მხოლოდ ფარისევლური სიტყვებით გამოეხატა, თუმცა, არაფრის გაკეთებას არ აპირებდა“ (O'Malley 2009 : 141-142).

იტალიელი თეოლოგი კაპელეტო მიიჩნევს, რომ კლემენს V-მ იძულების გზით უარი თქვა პაპობის ყველაზე ერთგულ ძალაზე და სამოქალაქო საზოგადოებას პროგრესის უდიდესი იარღი წაართვა (Каппелетто 2004 : 348). საეკლესიო ისტორიკოს ბედუელის მოსაზრებით კი ვიენის კრებაზე ტამპლიერების გასამართლება იყო დამადასტურებელი რწმუნებულება ფილიპ ლამაზის ეკლესიაზე გამარჯვებისა და შურისგების (Бедуелл 1996: 100).

ამგვარად, ვიენის საეკლესიო კრებამ პაპის ბრძანების საფუძველზე ბონიფაციუს VIII უდანაშაულოდ, ხოლო ტამპლიერების ორდენი საბრალდებო დასკვნის გარეშე გაუქმებულად გამოაცხადა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მეტაძრეთა ორდენის დაარსების ინიციატორი იყო ეკლესია, საბოლოო ვერდიქტიც მან გამოუტანა. მიგვაჩნია, რომ პაპის ბრძანება არა განაჩენი, არამედ წინასწარ შეთანხმებული ზომა, ფილიპ IV-ის შეკვეთა იყო. რამ აიძულა პაპი ასე მოქცეულიყო, ამ საკითხის შესახებ შეგვიძლია რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ. ძირითადად გაბატონებული იყო აზრი რომ შესაძლოა პაპმა დაიჯერა ტამპლიერთა აღიარებები, რაც ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან მან კარგად იცოდა თუ როგორი მეთოდებით იყო გამოძალული ეს ჩვენებები. „შინონის პერგამენტის“ აღმოჩენამ კი პირდაპირ დაადასტურა რომ პაპმა ტამპლიერები არ მიიჩნია ერეტიკოსებად. ყველაზე დამაჯერებელია ახსნა, რომ კლემენს V-ს შეეშინდა მეფის, რომლის რისხვაც ერთნაირად იყო მიმართული ყველასკენ, ვინც ტამპლიერებს მფარველობდა ან თანაუგრძნობდა. მით უფრო, თუ გავითვალისწი-

ინებთ, რომ ნათელი მაგალითი ჰქონდა პაპს თავისი წინამორბედი ბონიფაციუს VIII-ის ტრაგიკული აღსასრულის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი ისტორია მიეკუთვნება პერიოდს, როდესაც რომის პონტიფიკები ჩაბმულნი არიან მსოფლიოზე ბატონობის ამბიციებში, შთაგონებულნი ჰეგემონობის მოპოვების იდეით. ჯვაროსნული ლაშქრობების შეწყვეტის შემდეგ კი ტამპლიერებმა, (პაპობის ერთგვარმა „ლეგიონმა“) დაკარგეს თავიანთი ფუნქცია. ჩვენი აზრით, ალბათ ვერც ერთი პაპი ვერ შეძლებდა გადაეწყვიტა მსგავსი კოლიზია. ეს ხაზგასმით გასათვალილისწინებელია, რათა სწორად შევაფასოთ ამ სუსტად წოდებული პაპის საქციელი, რომელსაც არც თუ უსაფუძვლოდ ეშინოდა მეფის

ამგვარად, ტამპლიერების ორდენის განაჩენი პაპის მიერ გამოტანილი იქნა ფრანგი მონარქის ბრძანებით და ორდენი დაიშალა მიუხედავად იმისა, რომ იგი დამნაშავედ არ უღიარებიათ. 1314 წელს კლემენს V-ის უეცარმა სიკვდილმა ხელი შეუშალა ვიენის კრების დადგენილებების გამოქვეყნებას, რომელიც მისმა მემკვიდრემ, იოანე XXII- მ განახორციელა. ეს იყო ტამპლიერების ორდენის დაშლა, გაუქმება, მაგრამ მათი ისტორია ჯერ შორს იყო დასასრულისაგან.

## 2.4. აუტოდაფე

ვიენის საეკლესიო კრებაზე კლემენს V-მ ტამპლიერების ორდენი დაშლილად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ორდენის ხელმძღვანელების ბედი მაინც გაურკვეველი იყო. 1308 წლის 12 აგვისტოს გამოცემული ბულის „Faciens misericordiam“, თანახმად, მათი საქმის განხილვის უფლება პაპმა თავისთვის დაიტოვა, მაგრამ, როგორც ირკვევა, არ სურდა საბოლოო განაჩენი მას გამოეტანა და ამიტომ 1313 წლის 22 დეკემბერს სამი კარდინალისაგან შეადგინა კომისია, რომელთაც უნდა განეხილათ ორდენის ოთხი მაღალი იერარქის საქმე და გამოეტანათ მსჯავრი. ეს კარდინალები იყვნენ ნიკოლა დე ფროვილი, არნო დ' ოში და არნო ნუველი. კარდინალებმა სასამართლო პროცესი გადადეს 1314 წლის მარტამდე. ჟაკ დე მოლე იმედოვნებდა, რომ პაპის წინაშე წარსდგებოდა, თუმცა, ამაოდ, მას კლემენს V მარტში არ უნახავს. სამი კარდინალი ჩავიდა პარიზში. დიდი მაგისტრიც, სამ ხელმძღვანელთან ერთად ჩაიყვანეს პარიზში ჟიზორის სამეფო ციხიდან. მათი სამართლებრივი მდგომარეობა ბუნდოვანი იყო, რადგან ვიენის კრების დროს გამოცემული ბულით ტამპლიერები სამ კატეგორიად

დაიყვნენ. 1) ვინც აღიარებდა და აღარ უარყოფდა თავის ჩვენებებს; 2) ვინც გამუდმ-ბით ყველაფერს უარყოფდა; 3) ვინც აღიარებდა, მაგრამ შემდეგ უარყოფდა ჩვენებ-ას, რადგან წამებით იყო მოპოვებული. პირველი კატეგორიის ტამპლიერებს აპატი-ეს ცოდვები და საკმაოდ სწრაფად გაათავისუფლეს; მეორეს მიუსაჯეს სამუდამო პა-ტიმრობა; მესამე კატეგორიის ბედი არ იყო დაზუსტებული, მაგრამ თუ მათ განიხი-ლავდნენ ერესში ხელმეორედ ჩავარდნილებად, როგორც ეს გააკეთა სანსის არქიეპი-სკოპოსმა 1310 წელს, მაშინ მათი სასჯელი იყო კოცონზე დაწვა. იოანე სენ ვიქტორე-ლი წერს: „ მესამე კატეგორიაში არიან ისინი, რომელთაც თავდაპირველად აღიარეს, მაგრამ შემდეგ თქვეს, რომ სასტიკი წამების გამო იცრუეს. მათ არ მიეკუთვნება დი-დი მაგისტრი, რადგან მან სრულად აღიარა თავისი შეცდომები წამების გარეშე“. დიდმა მაგისტრმა ერთხელ, 1307 წლის დეკემბერში უარყო თავისი აღიარება, მაგრამ 1308 წლის აგვისტოში, შინონში, ის დაუბრუნდა პირველ ჩვენებას და მათ საფუძვე-ლზე, როგორც ბოლო აღიარების, რადგან პაპის კომისიას მან არაფერი არ უთხრა, იგი გასამართლდა (Демурже 2009 :131).

1314 წლის 18 მარტს კარდინალებმა პარიზში მოიწვიეს სპეციალური კომისია, რომელსაც ესწრებოდნენ: ტამპლიერთა დაწვით ცნობილი სანსის არქიეპისკოპოსი ფილიპ დე მარინი, პრელატები, საღვთისმეტყველო და კანონიკური სამართლის მაგ-ისტრები. კომისიის წინაშე წარსდგნენ: დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე, ნორმანდიის პრეცეპტორი ჟოფრუა დე შარნე, საფრანგეთის კომანდორი ჰუგო დე პეირო და ჟოფ-რუა დე გონევილი. ამ ფაქტის თვითმხილველი გიიომ დე ნანჟის ქრონიკის გამგრძე-ლებელი მღვდელი, რომელიც ითვლება ყველაზე სარწმუნო ცნობების მომწოდებელ ქრონისტად, მოგვითხრობს: „რადგან ამ ოთხეულმა, გამონაკლისის გარეშე საჯაროდ და ღიად აღიარა დანაშაულებები, რომლებიც მათ მიეწერებოდათ, განაგრძობდნენ ამ აღიარებებს და ჩანდა, საბოლოოდ სურდათ ასე გაგრძელება. მას შემდეგ, რაც საბჭომ განიხილა მრავალი საკითხი, პარიზში, ტაძრის ეზოში შეკრებილებმა, მათ მიუსაჯეს მკაცრ პირობებში სამუდამო პატიმრობა, მაგრამ როდესაც კარდინალებს დაკისრებუ-ლი საქმე დასრულებული ეგონათ, დაუყოვნებლივ და მოულოდნელად ორმა მათგა-ნმა, კერძოდ, დიდმა მაგისტრმა და ნორმანდიის მაგისტრმა ჯიუტად დაიწყეს თავის დაცვა. მათ მიმართეს კარდინალს, სანსის არქიეპისკოპსს და უარყვეს როგორც თა-ვიანთი ჩვენებები, ასევე ყველაფერი, რაშიც გამოტყდნენ “(Barber 2006 : 281-282).

მოლემ და შარნემ განაცხადეს, რომ „მათ ჩაიდინეს არა ის დანაშაულებები, რომლებსაც აბრალებდნენ, არამედ ის, რომ სამარცხვინოდ უღალატეს თავიანთ ორდენს, რათა გადაერჩინათ საკუთარი თავი. ორდენი იყო სუფთა და წმინდა; მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები იყო სიცრუე და მათი აღიარებებიც აგრეთვე ცრუ“ (Ли 1912: 381). ასეთმა სახალხო განცხადებამ შეკრებილებზე შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა. ხალხი მიემხრო ტამპლიერებს. ინკვიზიცია ორჯერ არ პატიობდა არასდროს არავის. კარდინალებს სურდათ მოეთათბირებინათ ამ ორი ტამპლიერის ხვედრზე, მაგრამ მეფე და მისი საბჭო უკვე ინფორმირებული იყო ამ ინციდენტის შესახებ, რომელმაც ფილიპ IV განარისხა. კარდინალები დაიბნენ და თავიდან გადასცეს განსასჯელები პარიზის პრევოს. საბჭომ, რომელსაც მხოლოდ საერო პირები ესწრებოდნენ როგორც ჯიუტ, არმონანიე ერეტიკოს-რეციდივისტებს (ხელმეორედ ჩავარდნილებს ერესში) მოლესა და შარნეს სიკვდილი მიუსაჯეს ისე, რომ სასულიერო პირებისთვის არც მიუმართავთ რჩევისათვის. ერეტიკოს-რეციდივისტს კანონის თანახმად კოცონზე წვავდნენ ყოველგვარი პროცესის გარეშე. მეფე არ დაელოდა პაპის კომისიის ფორმალურ განაჩენს. მან ბრძანა ორივე იერარქი იმავე საღამოს დაეწვათ მდინარე სენის ერთ პატარა კუნძულ ილ-დე- ჟავიოზე, რომელსაც მეორენაირად ერქვა ებრაელების კუნძული (მას ლელქაშების კუნძულსაც უწოდებდნენ) და მდებარეობდა სამეფო ბაღსა და წმინდა ავგუსტინის მონასტერს შორის. როგორც აღნიშნავს იმდროინდელი სხვა მემატიანე, დომინიკელი ბერნარ გი, რომელიც ასევე ინკვიზიტორი იყო, მეფე „არ მოელოდა სხვა განაჩენს ეკლესიისაგან, თუმცა იმ დროს პარიზში ორი კარდინალი იმყოფებოდა“ (Демурже 2009 :132).

ნაჩქარევად ჩატარდა აუტოდაფე. ინკვიზიციის ისტორიიდან ცნობილია, რომ აუტოდაფე სრულდებოდა ქალაქის მოედანზე, რომლის გამართვის შესახებ საჯარო განცხადება კეთდებოდა, რათა ხალხს შესაძლებლობა ჰქონოდა სანახაობაზე შეკრების. აღნიშნულ შემთხვევაში საზოგადო განცხადება არ გაკეთებულა, უფრო მეტიც განაჩენი აღსრულდა სადავო ტერიტორიაზე, რადგან „როგორც მოგვიანებით გამოირკვა ილ -დე- ჟავიო იყო არა მეფის, არამედ სენ-ჟერმენ-დე-პრეს ბერების იურისდიქციის ქვეშ. შემდეგ ფილიპი ვალდებული გახდა დაეგზავნა წერილები და დაედასტურებინა, რომ ეს სიკვდილით დასჯა არანაირად არ ლახავდა მათ უფლებებს კუნძულზე“ (Barber 2006 : 282).

ღამით ჟაკ დე მოლე და ჟოფრუა დე შარნე საიდუმლოდ გადაიყვანეს მეფის სას-

ასახლის პირდაპირ ებრაელების კუნძულზე. დამსწრეთა შორის იყო მეფის პოეტი – ქრონისტი გოდფრუა პარიზელი. მოლე მშვიდად შეხვდა მწამებლურ სიკვდილს. მან და შარნემ უკანასკნელ წამამდე უარყვეს შეწყალების ყველა შეთავაზება, რომელსაც ბოლო აღიარებაზე უარის თქმის სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ. გოდფრუა პარიზელ-ის პოეტური ქრონიკის თანახმად, მოლემ სიკვდილის წინ ითხოვა მიეცათ ლოცვის ნება და ბოძზე გაკვრისას მიებრუნებინათ პირდაპირ ღვთისმშობლის ტაძრისკენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „იმდროინდელი ყველა მემატიანე განსაკუთრებით გამოჰ-ყოფს მოლესა და შარნეს სიმტკიცეს, სიმშვიდესა და სიმამაცეს სიკვდილით დასჯის დროს, ხოლო ნანჟის ქრონიკის გამგრძელებელი, ისევე როგორც სხვები აღნიშნავს საზოგადოების აღტაცებისა და გაოცების შესახებ. გოდფრუა პარიზელი წერს; მოლემ დაიცვა ორდენი, ის ამტკიცებდა, რომ ტამპლიერები იყვნენ კეთილი ქრისტიანები, რომლებიც მტრებს არასოდეს გაურბოდნენ და სიკვდილს ხვდებოდნენ ღვთის სახელით, სამართლიანობითა და წესიერებით“ (Демурже 2009 :133).

ჟაკ დე მოლე მოკვდა იდეისთვის. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იდეისთვის ერთგულებამ და მისმა სიჯიუტემ ორდენის დაღუპვა განაპირობა. ის, გამოცდილი და ფრთხილი, 70 წლის დიდი მაგისტრი დიდი ხნის მანძილზე მართავდა ორდენს, მაგრამ გამჭრიახობა არ ეყო პლეზიანისა და ნოგარეს დაგებული ხაფანგიდან გამოსასვლელად გზა რომ ეპოვა. ყოველ შემთხვევაში მან თავისი სიკვდილით ეკლესია იხსნა. კლემენს V-მ კი ბედის ანაბარად მიატოვა ისიც და ორდენიც, თუმცა არ განუკვეთავს. სამაგიეროდ მოლემ ფილიპისგან მიაღწია თანხმობას, რომ ბონიფაციუს VIII-ის განსასჯელად სასამართლოს არ მოაწყობდა, რომელთანაც მას ასეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჟაკ დე მოლეს შეცდომები შესაძლოა, დაიწყო იქიდან, რომ: 1. დროზე ვერ შეძლო ორდენის რეფორმირება. მართალია, 1293 წლის შემოდგომაზე მან გამოაცხადა კვიპროსზე რეფორმების გატარება, რაც ორდენის განახლების დასაწყისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დასასრულად იქცა. 2. მოლეს შეცდომად მიგვაჩნია ისიც, რომ 1309 წლის 28 ნოემბერს მან უარი თქვა საბრალდებო პროცესში მონაწილეობაზე პაპის ბულის „FACIENS MISERICORDIAM“ თანახმად. უარი თქვა პაპის კომისიაში მონაწილეობაზეც. დუმილის გამო დიდი მაგისტრი გამოეთიშა პროცესს და ვეღარ შეძლო მასზე გავლენის მოხდენა. 3. შესაძლოა, მოლეს შეცდომა იყო ისიც, რომ პროცესამდე უარი უთხრა პაპს ჰოსპიტალიერებთან გაერთიანებაზე, ვინაიდან, მიაჩნდა, რომ ამით ორდენი დამოუკიდებლობასაც დაკარგავდა და ერთიანობასაც. 4.

ჟაკ დე მოლეს უკანასკნელი შეცდომა  პროცესზე იყო დაშვებული, რადგან ისიც და სხვა ტამპლიერებიც ენდნენ პაპის სიტყვას და  სასამართლოს და დუმილი არჩიეს მაშინ, როცა ორდენის გადარჩენისთვის უნდა ებრძოლათ.

ჟაკ დე მოლეს მოწამეობრივი სიკვდილი აღწერილი აქვს ცნობილ ფლორენციელ მემატიანეს  ჯოვანი ვილანს თავის „ქრონიკაში“ და  ჯოვანი ბოკაჩოს თავის ისტორიულ თხზულებაში „სახელოვან მამაკაცთა  ფათერაკები“ (წიგნი IX თავი 21), რადგან ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ნაწყვეტი ვილანის „ქრონიკიდან“, ამჯერად ბოკაჩოს დავესესხებით. იგი აღნიშნავს, რომ ამ ისტორიას წერს მამამისის მონათხრობის მიხედვით, რომელიც თითქოს და თვითმხილველი იყო ამ სცენის. ბოკაჩო წერს: „ეს ისტორია მე მოვისმინე მამაჩემისაგან, ბოკაჩოსაგან, რომელიც  მაშინ განგების ნებით იმყოფებოდა სავაჭრო საქმეებზე პარიზში. მან დამარწმუნა, რომ პირადად ესწრებოდა ამ ამბავს ავს“.ბოკაჩო აღნიშნავს: „მეფის დაცვამ ხმამაღლა გამოაცხადა ბრძანება, რომლითაც დიდი მაგისტრი თავისუფლდებოდა, ხოლო ორდენი გასამართლდებოდა, მაგისტრმა თავისი ორდენის ორ თანამოძმესთან ერთად დაიყვირა, რომ მისთვის მოესმინათ. მას ნება დართეს. მაგისტრმა ყველას გასაგონად დაიფიცა ყველა წმინდანი და თქვა, რომ ორდენის სხვა წევრებთან ერთად იმსახურებს სიკვდილს, მაგრამ არა იმ საქმისათვის, რაც მეფის ბრძანებაშია, არამედ იმიტომ, რომ დაუჯერეს წმინდა პაპისა და მეფის სიტყვას  და  ამაო  დიდებით  გატაცების საზიზღარ წყურვილს, რომ ბინძური ტყუილით გასვარეს ასეთი დიდებული  ღვთის ორდენი, ჩრდილი მიაყენეს თანამოძმეების პატიოსნებას, რომ საბოლოოდ აღმოჩნდნენ მეტისმეტად უღირსები ასეთი დიდი მამაკაცების, ბრწყინვალე მეომრების, ორდენის წევრებისა და ძმების გვერდით ყოფნის, ამიტომ  ისინი უმალ ამჯობინებენ სიკვდილს ჭეშმარიტებისათვის თუნდაც უსამართლო ხელიდან, ვიდრე თავს ნებას მისცემენ ქედი მოუხარონ არასწორ გადაწყვეტილებას. იმავე წუთს გაისმა სასტიკი ბრძანება ტამპლიერების სიკვდილით დასჯისა...ორივეს თავი ეჭირა მტკიცედ და უშიშრად და გამოიჩინეს სულის ისეთივე სიმტკიცე, როგორიც მანამდე დასჯილებმა“ (ხუბაშვილი 1997 : 105-106).

ჟოფრუა დე შარნემც ისეთივე სიმამაცე გამოიჩინა  როგორიც მოლემ. დამსწრეებმა ისინი ჩათვალეს მოწამეებად და შეაგროვეს მათი ფერფლი, როგორც სიწმინდე. ჰუგო დე პეირომ და გოდფრუა დე გონევილმა  კი  გაიმეორეს აღიარება. მათ ციხეში დაასრულეს სიცოცხლე.

ჩვენთვის დაზუსტებით არ არის ცნობილი, მართლაც მამისაგან მოისმინა თუ არა ტამპლიერების დასჯის შესახებ ჯოვანი ბოკაჩომ, მაგრამ ნათელია ის, რომ მეტა-ძრეთა სასამართლო პროცესს დიდ ყურადღებას უთმობდნენ იმდროინდელი მსოფ-ფლიოს მოწინავე ადამიანები. ჯოვანი ბოკაჩო, ისევე როგორც ჯოვანი ვილანი, თავი-ანთი ეპოქის უდიდესი მოაზროვნეები იყვნენ, ამიტომ მათი ცნობები ტამპლიერების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია.

ვილანი გვაწვდის საყურადღებო ცნობებს: „რომ ღამით, მაგისტრისა და მისი მეგობრის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ, ძმებმა და სასულიერო პირებმა მო-აგროვეს მათი ნეშტის ნარჩენები, როგორც წმინდა რელიკვიები და მოათავსეს წმი-ნდა ადგილზე. ეს ფრაზა უნდა შევადაროთ „საფრანგეთის დიდი ქრონიკების“ გზა-ვნილს, რომელმაც მხოლოდ ოთხი სტრიქონი მიუძღვნა ამ კოცონს, მაგრამ დააზუს-ტა, რომ „მათი ძვლები იქნა დამწვარი და ძვლები გადაიქცა მტვრად “. თითქოს სამ-ეფო პოლიციას ეშინოდა არ მომხდარიყო ის, რაზეც ვილანი წერს. ეს მოწმობები ჯერ კიდევ ეკუთვნის ისტორიას, მაგრამ უკვე ჩანს, როგორ მდიდარ მასალას იძლევა ლეგენდებისთვის“- ასკვნის დემურჟე (Демурже 2009 :134).

სწორედ მაგისტრის დაწვაზე შექმნილი ლეგენდები მოგვითხრობენ რომ თითქოს მოლემ ხმამაღლა გამოიძახა ღვთის სამსჯავროზე მეფე, პაპი და კოცონიდან წარმოს-თქვა წინასწარმეტყველური სიტყვები, აგრეთვე თითქოს მან დასწყევლა თავისი მდე-ვნელები: „მამაო კლემენს! მეფე ფილიპ! წელიწადიც არ იქნება გასული, რომ მე თქვენ გამოგიძახებთ უფლის სამსჯავროზე!“(Печников 1991 : 90). მეფეს, რომელიც ფანჯ-რიდან უყურებდა დასჯის სცენას, გაეცინა მაგისტრის სიტყვებზე და ჩაილაპარაკა: „კარგი, ამჟამად შენ წადი პირველი, მეც უსათუოდ მოვალ“ (Павлов ский 1994 : 404).

დიდი მაგისტრის წყევლის შესახებ ოფიციალური წყაროებში არაფერი წერია. დე-მურჟეს თანახმად; „თუ დავუჯერებთ მოვლენის დროსთან მიახლოებულ წყაროებს; გიიომ დე ნანჟის ქრონიკის გაგრძელებას, გოდფრუა პარიზელისა და ვილანის ქრონ-კებს, ირკვევა, რომ მოლე ჯერ კარდინალებს ესაუბრა, გამოაცხადა თავისი ორდენი წმინდად, შემდეგ კი კოცონზე - სანამ ცეცხლი მისწვდებოდა - თავი კეთილ ქრისტია-ნად საჯაროდ წარადგინა და აპელირებდა ღვთის სამსჯავროზე. აქაც და იქაც გამონ-ათქვამები მიდიოდა სარისკო განმარტებებამდე, მაგრამ არ იყო არც წყევლა და არც მოქარგული სიტყვით გამოსვლა“ (Демурже 2009 : 135). თუმცა, ისტორიკოსები მაინც აღნიშნავენ, რომ მოლემ კოცონზე დასწყევლა მეფე, მისი შთამომავლობა და პაპი.

წყევლის ლეგენდა შეისწავლა კო-ლეტ ბონმა, რომლის თანახმად, „რადგანაც კაპეტინგები თავის დროზე დაწყევლილებად ითვლებოდნენ, საჭირო იყო ეპოვათ ამის მიზეზი და ვინმე, ვინც ამას გაასაჯაროებდა. მიზეზებს, რომლებითაც ეს წყევლა ახსნეს ფილიპ ლამაზისა და უკანასკნელი კაპეტინგების თანამედროვეებმა საერთო არაფერი არ აქვს მეტაძრეთა ორდენთან. ახსენებდნენ გადასახადების ტვირთს, ფულის გაფუჭებას და ბონიფაციუს VIII- ის განდევნას. ხშირად ეს წყევლა მიეწერება თავად ბონიფაციუსს VIII-ს. წყევლა გავრცელდა კლემენს V-ზეც, როდესაც მან დაიწყო ტამპლიერების წინააღმდეგ პროცესი. იტალიელი ქრონისტი ფერეტო და ფერეტი ვიენის კრების აღწერისას მოგვითხრობს, თუ როგორ წარსდგა ერთი უსახელო ტამპლიერი პაპის წინაშე, გააპროტესტა თავისი სასიკვდილო განაჩენი და კოცონიდან გამოაცხადა: „მე ვაპელირებ შენს უსამართლო განაჩენს ჭეშმარიტი ღმერთის წინაშე, ერთი წლის და ერთი დღის შემდეგ შენ, ფილიპთან ერთად, რომელიც ასევე პასუხისმგებელია ამაზე, წარსდგები მის წინაშე, რომ უპასუხო ჩემს შეწინააღმდეგებას და დაიცვა თავი“ (Демурже 2009:136). ეს ისტორია აღდგენილი იქნა, მაგრამ დიდ მაგისტრს მასთან არ აკავშირებდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XIV- XV- XVI საუკუნეების ისტორიოგრაფია ჟაკ დე მოლეს მცირე ყურადღებას უთმობს. მაშინ 1310 წლის კოცონზე დაწვა უფრო რეზონანსული იყო, ვიდრე მოლეს სიკვდილით დასჯა, რომელსაც მხოლოდ ოთხი ავტორი მოიხსენიებს; გიიომ დე ნანჟის ქრონიკის გამგრძელებელი მღვდელი, გოდფრუა პარიზელი, ჯოვანი ვილანი და ჯოვანი ბოკაჩო. დემურჟეს მოსაზრებით, მოლეს სიკვდილი თანდათანობით აღდგენილი და დრამატიზებული იქნა XVI საუკუნეში. კოცონზე მის ერთ გამოსვლაში შეაგროვეს ყველაფერი, რაც მან თქვა კარდინალების წინაშე და სიკვდილის დროს. პირველად, საფრანგეთში, მოლეს ბაგეებიდან წარმოთქმული ცნობილი წინასწარმეტყველება გვხვდება პოლ ემილის ისტორიულ ნაწარმოებში, რომელიც დაიწერა ფრანცისკ I -ის შეკვეთით და გამოიცა 1548 წელს, რომ კოცონზე ასვლის წინ მოლემ დასწყევლა მეფე, პაპი და ღვთის სამსჯავროზე მოუწოდა მათ; ამ წინასწარმეტყველებას გაიმეორებს მომდევნო საუკუნეების ყველა ისტორიკოსი, მაგრამ მათთან მოლე დაიწყებს მის წარმოთქმას პირდაპირ კოცონზე (Демурже 2009 :136).

ასეთივე ისტორია არსებობს გიიომ ნოგარეზეც, რომლის თანახმადაც კოცონზე დასაწვავად მიმავალმა ერთმა ტამპლიერმა, ხალხში ნოგარე შეამჩნია და იგი ღვთის სამსჯავროზე გამოიძახა 8 დღის გასვლამდე. მერვე დღეს ნოგარე გარდაიცვალა. მსგა-

ვსი ლეგენდების გავრცელებას ჰქონდა რეალური საფუძველი, რაც გამომდინარეობდა მომხდარი საინტერესო ფაქტების ერთგვარ კრებულიდან; იერარქების დასჯიდან მალევე, 20 აპრილს, ნაწლავების სიმსივნით გარდაიცვალა კლემენს V. ღამით ხანძარმა გაანადგურა ტაძარი, სადაც დასვენებული იყო პაპის ნეშტი და დაიწვა მისი სხეულის ნაწილი, ნარჩენები კი გადაიტანეს მავზოლეუმში, რომელიც ააშენეს მისმა ნათესავებმა, რომელთაც მან ფასდაუდებელი სიმდიდრე დაუტოვა, მაგრამ ვერც აქ იპოვა სიმშვიდე განსვენებულმა პაპმა. მისი ფერფლი ქარმა წაიღო 1577 წელს, როცა მავზოლეუმი კალვინისტებმა გადაწვეს (Шустерь 1905: 198-199). ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ვიენის კრების დროს გარდაიცვალნენ კარდინალები ეტიენ დე სიუზი და ლეონარდ პატრასო. მალე მათ კვალს გაჰყვნენ: ტულუზის არქიეპისკოპოსი, 1313 წლის 11 აპრილს გიიომ დე ნოგარე, (მოწამლულმა სანთლებმა იმსხვერპლა, სხვა ვერსიით მას ხანჯალი ჩასცეს ზურგში) გიიომ დე პლეზიანმა რამდენიმე თვე იცოცხლა ნოგარეს გარდაცვალებიდან. ერთი წლის შემდეგ მარინი, გამცემლის სახელით დაღდასმული ჩამოახრჩვეს. 1314 წლის 29 ნოემბერს მეფე ფილიპი ცხენიდან გადმოვარდა და პარალიზებული გარდაიცვალა ფონტენბლოში. არსებობს სხვა ვერსიებიც მეფის სიკვდილთან დაკავშირებით. შუსტერის მოსაზრებით, 46 წლის ფილიპ IV გამოუცნობი ავადმყოფობით, ხოლო ფოს ცნობით გარეული ტახის ეშვის დაკვრით გარდაიცვალა.

ამგვარად, შინონის ციხეში აბსოლუციის მინიჭების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ პაპი დაიცავდა ორდენის ხელმღვანელებს, მაგრამ ვერ შეძლო. ტამპლიერების იერარქების მიერ ჩვენებებზე უარის თქმა და ნელ ცეცხლზე მათი დაწვა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ორდენის ისტორიაში. ჟაკ დე მოლემ თავდაპირველად გამოიჩინა სისუსტე და აღიარა დანაშაული, რაც ჩვენი აზრით წამების ფაქტორით იყო გამოწვეული, მაგრამ ეშაფოტზე მან უშიშრად გამოაცხადა ტამპლიერების აბსოლუტური უდანაშაულობა ბრალდებებში, მაშინ როცა კარგად იცოდა, რომ ამ გამოწვევის გამო მას კოცონზე დაწვა მოელოდა. გაცნობიერებულად მწამებლური სიკვდილის გადაწყვეტილების მიღება ხაზგასმით მოითხოვს უდიდეს მორალურ ძალასა და სიმამაცეს, რომელიც ძალიან იშვიათად შეიძლება გამოიჩინოს ადამიანმა. მართალია მოლესთან დაკავშირებით დღემდე არსებობს კითხვები, საყვედურები და არაერთგვაროვანი შეფასებები, მაგრამ მისმა აღსასრულმა თანამედროვეებში და არა მარტო მათში, ორდენის უდანაშაულობის უდიდესი მტკიცებულება დატოვა. ვფიქრობთ, რომ ალ-

ბათ, ვერავინ შეძლებდა ფილიპისა და მისი ლეგისტების მანევრების გამოცნობას და სასამართლო პროცესის არიდებას, იმ მოცემულობაში, როცა მეფე მთელი სახელმწიფო ინსტიტუციებით, მისი მოკავშირე კარდინალებითა და ინკვიზიციის მეშვეობით ებრძოდა ტამპლიერებს, თუმცა მოლემ და შარნემ თავიანთი მოწამეობრივი სიკვდილით არა მარტო გაიმარჯვეს საფრანგეთის მონარქზე, არამედ თავი გაიმართლეს ისტორიის წინაშე.

პარიზში, მოლეს დაწვის ადგილთან ახლოს, კიბის ქვეშ, რომელიც ეშვება ახალი ხიდიდან დგას მემორიალური დაფა წარწერით: „ამ ადგილზე, ჟაკ დე მოლე, ტაძრის ორდენის უკანასკნელი დიდი მაგისტრი, იქნა დამწვარი 1314 წლის 18 მარტს“.

# თავი მესამე. ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ინტერპრეტაცია. „შინონის პერგამენტი“

## 3.1. ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის დისკურსი. ბრალდებები და სამხილები

სამეფო ინსტრუქციების თანახმად ტამპლიერების ორდენის წინააღმდეგ საქმე აღიძრა ბრალდებებით, რომლებიც მოიცავდა ერესს. ამგვარად, ორდენის წევრები ბრალდებულნი იყვნენ როგორც ერეტიკოსები. ფილიპ IV-ის მიერ წამოწყებული დიდი სასამართლო პროცესის მიზანს წარმოადგენდა ტამპლიერების დადანაშაულება ერესში, რომელიც სრულიად უცხო, ახალი სახის იყო, რომლის გაგებაც საჭიროებს ბრალდებებისა და სამხილების ყურადღებით შესწავლას.

ინკვიზიციის მიერ ჩატარებულმა შვიდწლიანმა სასტიკმა გამოძიებამ ვერ დაამტკიცა ტამპლიერების ერესი. უფრო მეტიც, ორდენი სხვადასხვა ქვეყანაში გაამართლეს წაყენებული ბრალდებებისგან, თუმცა მისი სახელი მაინც დაიჩრდილა მრავალი ცილისწამებით და მოხდა მათი ისტორიის გაყალბება. ვოლტერის რჩევა „იცრუეთ, იცრუეთ, ტყუილისგან ყოველთვის რაღაც რჩება“ მოხმობილი იქნა მათ მიერ, ვინც დაინტერესებული იყო ორდენის გაქრობით. ცნობილი პროცესიდან 50 წლის შემდეგ კი ბოკაჩო გაიმეორებს, რომ: „ტამპლიერები იყვნენ ძალიან უკუღმართები, ისინი ასრულებდნენ ჯვაროსნების მოვალეობას და იბრძოდნენ დაქირავებულების ხარჯზე“ (Лобе 2003 : 94-95). ამასთან ერთად ტამპლიერებს მიაწერეს მრავალი ისეთი უცნაური ბრალდება, რომ მათ შესახებ წარმოიშვა მითები და ლეგენდები. ბრალდებები, რომლებიც წაუყენეს ორდენის წევრებს საუკუნეების განმავლობაში იწვევდა ეჭვს და ტამპლიერებს მწვალებლობის საბურველში ხვევდა. ორდენი დაშალეს XIV საუკუნეში, მაგრამ მათი ისტორია არ შეწყვეტილა. „ტამპლიერების ორდენის განადგურება იყო და სამუდამოდ დარჩება სამართლიანობის ყველაზე უფრო სამარცხვინო უარყოფად“-წერდა დაიე (Каппелетто 2004 : 341). ის, რასაც ისტორიკოსებმა უწოდეს უსამართლობა, ხოლო მეფის გარემოცვამ მწვალებლობა აღწევს ჩვენს დრომდე. შესწავლილი და გაანალიზებულია პროცესის მასალები, თუმცა სასამართლოს მიმდინარეობის რამდენიმე ასპექტი ჯერ კიდევ გამოკვლევასა საჭიროებს. ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ გამოძიების მასალები, გავაანალიზოთ ბრალდებები, სამხი-

ლები, დავადგინოთ ტამპლიერების ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი და შევაფასოთ საბრალდებო პროცესი.

მკვლევრების აზრი ტამპლიერების დანაშაულებების შესახებ განსხვავებულია. ერთნი აღიარებენ მათ ყველა შეცდომას, მაგრამ ერესს სიმართლესთან შეუფერებლად თვლიან, მეორენი - ამტკიცებენ რომ ამ სასულიერო ორდენის წევრებმა უარყვეს ქრისტიანული რწმენა და შექმნეს საიდუმლო რელიგია. ჩანს, ბევრმა მკვლევარმა არ გაითვალისწინა ის ფაქტიც, რომ სასტიკმა წამებამ აიძულა ტამპლიერები ეღიარებინათ უმძიმესი ბრალდებები.

ტამპლიერების საბრალდებო პროცესის შესწავლისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უპირველესად უმძიმესი წამების შედეგად მიღებულ აღიარებებთან ერთად ყურადღება მივაქციოთ ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს და იმ ოქმებს, რომლებიც ჩაწერელია დაკითხვებზე, რომლებზეც წამება არ იყო გამოყენებული და ტამპლიერები თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ. ამასთანავე ხაზგასმით უნდა ვისაუბროთ ლეგისტებისა და მეფის მრჩევლების უდიდეს როლზე ამ პროცესში.

აღსანიშნავია რომ ტამპლიერების მასობრივ დაჭერას ფრანგული სამეფო კარი ამართლებდა ორდენის მიმარ გაჩენილი „სერიოზული ეჭვებით“, თუმცა ბარბერის მოსაზრებით: „არ არსებობდა ობიექტური საშუალებები ამ ეჭვების დასადგენად. იმის გათვალისწინებით რომ საფრანგეთის მთავრობა ეყრდნობოდა აშკარად სამარცხვინო და უგვანო სახის წყაროებს ეჭვის დასამტკიცებლად - ეს სისუსტე, მოგვიანებით მეფის მინისტრებმა უხერხულად მიიჩნიეს და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პაპი სკეპტიკურად იყო განწყობილი და არ სურდა ორდენის წინააღმდეგ სწრაფი ზომების მიღება“(Barber 2006 : 64).

ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ტამპლიერების წინააღმდეგ დიდი პროცესი დაიწყო ძალიან წვრილმანი საბაბით და პირველი დამსმენები იყვნენ დაბალი სოციალური წარმოშობისა და ცუდი რეპუტაციის ადამიანები. მათი აზრით ტამპლიერების პირველ დამსმენას ოფიციალურად მიაწერენ ბეზიეში მცხოვრებ ესკენ დე ფლორანსა და განდგომილ ტამპლიერს, მონფოკონის პრიორს ტულუზის საგრაფოში. ისინი, 1305 წლის დასაწყისში, ციხის ერთ საკანში იყვნენ დაპატიმრებულნი. პრიორს მისჯილი ჰქონდა სამუდამო პატიმრობა, ფლორანს კი - მკაცრი სასჯელი დაადო პარიზის პრევომ. მათ სურდათ მომზადებულიყვნენ სიკვდილისთვის, მაგრამ, ვინაიდან იმ ეპოქაში დამნაშავეებისთვის დაუშვებელი იყო ჩვეულებისამებრ ჩატარებული-

ყო აღსარების საიდუმლო, ისინი ერთმანეთს აბარებდნენ. ტამპლიერის აღსარებამ თითქოს ფლორანი მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომ მან აცნობა ამის შესახებ მეფის ხელქვეითს და დაჰპირდა სენსაციურ მხილებას თავისუფლების საფასურად. როგორც ის ამტკიცებდა, მის საიდუმლოს, უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფისათვის, ვიდრე ახალი სამეფოს დაპყრობას და რომ მხოლოდ მეფეს შეეძლო მისი მოსმენა. პატიმრის სურვილი დააკმაყოფილეს და ფილიპის ბრძანებით პარიზში გაამგზავრეს. მეფე შეჰპირდა, მას არა მარტო თავისუფლებას, არამედ დიდ ჯილდოსაც (Лобе 2003: 84-85). ესკენ დე ფლორანმა განუცხადა ფილიპ IV-ს, რომ ტამპლიერები ბრალეულები იყვნენ კერპთაყვანისმცემლობასა და სხვა ქრისტეს საწინააღმდეგო ქმედებებსა თუ ცოდვებში. ფლორანის ბრალდებებში კარგად იყო ჩამოყალიბებული ყველა სტერეოტიპული წარმოდგენა ერესის შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ ფლორანი იყო ნოგარეს მეგობარი და სწორედ მან გააგებინა ნოგარესა და პლეზიანს, რომ მას გააჩნდა ტამპლიერების დანაშაულებების სამხილები.

მეორე ვერსიით ესკენ დე ფლორანი ჩავიდა ლერიდაში, რათა შეხვედროდა არაგონის მეფე ხაიმე II არაგონელს, რომელიც სკეპტიკურად შეხვდა დამსმენის განცხადებას, თუმცა დაჰპირდა მას გარკვეულ ჯილდოს იმ შემთხვევაში თუკი მისი ბრალდებები დადასტურდებოდა. შემდეგ ფლორანი ჩავიდა პარიზში და ფილიპს შეატყობინა რომ ტამპლიერები ბრალდებულები იყვნენ არა მარტო მემთვრალეობასა და თავაშვებულობაში, არამედ ყველაზე მთავარში - კერპთაყვანისმცემლობაში, ქრისტეს უარყოფასა და ჯვარზე დაფურთხებაში, აგრეთვე ისლამის საიდუმლოდ მიღებაში.

ფლორენციელი მემატიანის ჯოვანი ვილანის აზრით, ტამპლიერების ცილისწამების პირველწყარო შეიძლება მოვიძიოთ რენეგატი ტამპლიერის, მონფოკონის პრიორის საუბრებში, რომელსაც დანაშაულებისათვის სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ციხეში ის შეხვდა ფლორენციელ პატიმარს, რომელიც სავსე იყო ყველანაირი მანკიერებით. მათ მოილაპარაკეს ფინანსური სარგებლისა და ციხიდან გათავისუფლების იმედით ტამპლიერები დაესმინათ მეფის წინაშე. ვილანი კმაყოფილებით გვატყობინებს, რომ ორივემ სიცოცხლე ცუდად დაასრულა. ნოფო ჩამოახრჩვეს, ხოლო პრიორი ხანჯლით განგმირეს. თუმცა, არ არსებობს სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ვილანის მონათხრობს და ბარბერის მოსაზრებით, როგორც ჩანს, მას აერია ტამპლიერების პროცესი - თითქმის თანამედროვე სასამართლო პრო - ცესში, ტრუას ეპისკოპოს გიშარისა, რომელშიც ნოფო დეი ეპისკოპოსის მბრალდებ-

ლებს შორის ფიგურირებდა (Barber 2006 : 64-65 ). ჩარლზ ლი აცხადებს, რომ ისტორია ესკენ დე ფლოირანსა და ნოფო დეიზე, რომლებაც სიცოცხლე გადაირჩინეს იმით, რომ ბრალდებები წაუყენეს ტამპლიერებს, დიდი ალბათობით თანამედროვე ქრონისტების თავისუფალი ფანტაზიის ნაყოფია, რაც ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაიმეორა ბევრმა სხვამც. ლი აღნიშნავს, რომ უფ-რო მეტად გათვითცნობიერებული თანამედროვენი: ბერნარ გი და ნანგის ქრონიკის გამგრძელებელი ჟან დე სენ- ვიქტ-ორი ამ ისტორიას არ მოიხსენიებენ, თუმცა ნოფო დეი იყო ისტორიული პიროვნება. ლის დასაშვებად მიაჩნია, რომ შესაძლოა გიიომ დე ნოგარემ მას მიმართა, რათა შეეგროვებინა და მოემზადებინა მოწმეთა ჩვენებები. მან მსგავსი როლი შეასრულა ტრუას ეპისკოპოსის გიშარის საწინააღმდეგო დევნაში, რომელიც ძალიან ჰგავდა ტამპლიერების საქმეს (Ли 1912 : 330).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როგორც ირკვევა, ფილიპ IV-მ ტამპლიერების წინ-ააღმდეგ პროცესი წამოიწყო კარგად დამუშავებული გეგმით. მან თავდაპირველად საქმე გააძლიერა ჯაშუშებისა და ინფორმატორების ორგანიზებული გამოყენებით, რასაც ადასტურებს ის, რომ ტამპლიერების წინააღმდეგ მოქმედებდნენ დაინტერესე-ბული ადამიანები და ორდენში განსაკუთრებული მისიით შეგზავნილი პირები. გი-ომ დე პლეზიანის თანახმად, მეფემ 12 ადამიანს მისცა უფლება შესულიყო ორდენში სამეფოს სხვადასხვა მხარეში. ჟან დე ბურგონის მოხსენების მიხედვით, შეგზავნილე-ბმა თამამად შეასრულეს ის, რაც უთხრეს და შემდეგ გამოვიდნენ ორდენიდან. მათ მეფეს მოახსენეს, რომ ბრალდებები იყო სიმართლე. ინფორმაცია შეგროვდა ორდენ-ში მყოფ უკმაყოფილო ადამიანებს შორის. პირველი ტამპლიერი, რომელმაც საჯარ-ოდ მისცა ჩვენება 13 ოქტომბრის დაპატიმრების შემდეგ, იყო მღვდელი ჟან დე ფოლ-იაკო. ის, 19 ოქტომბერს, ფიცით მიცემულ ჩვენებაში ამტკიცებდა, პარიზის პრევოს თუ როგორ უთხრა, რომ არ მოსწონდა ორდენი და თავისუფლად დატოვებდა თუ გაბედავდა ან შესძლებდა. ფოლიაკო ამტკიცებდა, რომ ამის შესახებ შემონახული იყო პრევოს ბეჭდით დალუქული დოკუმენტები და აგრეთვე მისი აღიარება სხვა დროს პარიზის ეპისკოპოსთან. იგი მოგვიანებით აღმოჩნდა შერჩეულ ტამპლიერთა ჯგუფს შორის, რომელთაც შეეძლოთ ნდობოდნენ აღიარების გამეორებას და მათთან ერთად მიიყვანეს პაპის წინაშე ჩვენების მისაცემად პუატიეში 1308 წლის ზაფხულ-ში. მოსამსახურე ძმამ, ეტიენ დე ტრუამ, პაპს მოუთხრო, რომ ტამპლიერების დაპატ-იმრებამდე ის მიიყვანეს საფრანგეთის მეფესთან. მან ვერ გაბედა ამ საიდუმლოს

გამხელა, მაგრამ დაინახა, რომ მეფე მკაცრად აპირებდა ამ საქმის სასამართლო წესით დევნას, მან აღიარა შეცდომები, რომლებშიც ტამპლიერებს ადანაშაულებდნენ მეფის, მისი მოძღვრის, ასევე ლორდების შამბილის და მარტინის თანდასწრებით, შემდეგ კი ეს გაიმეორა კუტანსისა და ბაიეს ეპისკოპოსების წინაშე (Barber 2006 : 66-67).

ფაქტად რჩება ის, რომ მეფის ეჭვები ნაწილობრივ ეფუძნებოდა ისეთი ადამიანების მოწმობებს, როგორებიც იყვნენ; ესკენ დე ფლოირანი, რაც ხაზგასმით აღსანიშნავია ორდენიდან განკვეთილები და მასში სპეციალურად შეგზავნილები.„ზოგიერთმა მოწმემ აღიარა კიდეც რომ სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის ფული მიიღო. ესკენ დე ფლოირანმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტამპლიერების რეპუტაციის შელახვაში დამატებითი გადახდებისათვის არაგონის მეფესაც კი მიმართა“(Heiduk 201: 151) მეფეს არ ჰქონდა რეალურად მტკიცებულებები, მაგრამ ის მზად იყო არა მხოლოდ მოესმინა დამსმენებისათვის, არამედ წამოეწყო დიდი საბრალდებო პროცესი. ტამპლიერების დაპატიმრების ბრძანების გაცემა მან გაამართლა შემდეგი ძირითადი: მიზეზებით, რომ ისინი დამნაშავეები არიან ღვთის უარყოფასა და ჯვრის შეურაცხყოფაში, უხამს კოცნებსა და სოდომის ცოდვაში, აგრეთვე კერპთაყვანისმცემლობაში. მოგვიანებით კი წარმოდგენილი იქნა ბრალდებების უფრო სრულყოფილი და სისტემატიზირებული ჩამონათვალი, რომელიც შეიცავდა 127 პუნქტს. ამგვარად, ტამპლიერების წინააღმდეგ საქმე აღძრა ხუთი ერეტიკული ბრალდებით 1. ორდენში შემსვლელი – კანდიდატის მიერ ქრისტეს სამჯერ უარყოფით (განდგომით) და ჯვრის შეურაცხყოფით. 2. უხამსი კოცნით. ერთ–ერთი ვერსიის თანახმად კანდიდატს სამჯერ კოცნიდნენ ტუჩებში, უკანალსა და ჭიპზე. 3. სოდომის ცოდვის შექებით. 4. თოკი, რომელსაც ტამპლიერები დღე და ღამე ატარებდნენ, როგორც უბიწოების სიმბოლოს, შემოვლებულია კერპის გარშემო, (კერპთან დაკავშირებით მრავალი ვერსიაა შექმნილი) ანუ კერპთაყვანისმცემლობით 5. კაპელანები – მღვდლები, არ ატარებდნენ მესას საეკლესიო კანონების მიხედვით.

აუცილებელად მიგვაჩნია ინკვიზიციის მიერ წაყენებული ბრალდებების განხილვა, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთ მთლიან სისტემაში. ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ თითოეული ბრალდება იმ ფაქტებს შეესაბამებოდა, რომლებიც საზოგადოების ნაწილისთვის გასაგები და დასაშვები იყო, რადგან უკვე არსებობდა ერესული პროცესების პრაქტიკა. „პაპი გრეგორიუს IX თავის წერილში აღწერს ლუციფერული ერესისათვის დამახასიათებელ შტრიხებს, რომელიც გაჩნდა გერმანიაში 1253 წელს, რომე-

ლთა შორისაც გამოკვეთილია ქრისტესა და ჯვრის  უარყოფა, კერპები, სექსუალური და ჰომოსექსუალური გარყვნილება, საიდუმლოებები, ღამეული თავშეყრები. ბარბერი ხედავს მკაფიო შედარებას ამ ამბის აღწერასა და ტამპლიერების წინააღმდეგ წაყენებულ  ბრალდებებს შორის. ძველ საფუძველს დაემატა რამდენიმე ახალი ელემენტი, რომელიც  მათ  აიგივებდა მაგიას, ჯადოქრობასა და ერესთან “(Демурже 2008 : 270).

შემონახულია რამდენიმე ასეული ტამპლიერის დაკითხვის ოქმი, რომლებიც შეშედგენილია საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში. ეს ჩვენებები შეიცავს ღირებულ, ინფორმაციას, რათა სწორად შევაფასოთ ის ბრალდებები და  სამხილები, რომელთა საფუძველზეც განადგურდა ორდენი და  დაისაჯნენ ტამპლიერები. ამ  ოქმების უმეტესობა მეტაძრეთა  დანაშაულს ამტკიცებს,  თუმცა არსებობს შეუსაბამობები აღიარებებში, მათ შორის  ორდენის ხასიათიდან გამომდინარე. სწორედ ამ ჩვენებების განხილვა გვაძლევს ჩვენ შესაძლებლობას დავადგინოთ სიმართლე. ჩვენებების ოქმებიდან ირკვევა, რომ ტამპლიერებს  ჰკითხავდნენ გულმოდგინედ შეგროვებული ბრალდებების მთელი  რიგით; მათ  სთხოვდნენ თანმიმდევრობით გაეცათ პასუხი ბრალდების თითოეული პუნქტისათვის ისე, რომ მთავარი არსი ამ ეგრეთ წოდებული აღიარებებისა ყოფილიყო ყოველთვის  წინასწარ განსაზღვრული.  თუ ბრალდებები დამტკიცებული იყო, მაშინ პასუხები იქნებოდა მეტ-ნაკლებად ერთნაირი; მაგრამ  მკაცრად განსაზღვრული რწმენისა და  შემუშავებული  ჩვეულებების მაგივრად, ჩვენ  წინ გვაქვს  მრავალფეროვნება, რომლის  გამოგონებაც  შეეძლოთ  მხოლოდ  მოწმეებს, რომლებიც ცდილობდნენ  მოეგონებინათ ისტორიები, რაც თავიანთ ჯალათებს დაკმაყოფილებდა (Ли  1912 : 340).

გამოძიების მასალებში  ჩამოთვლილია შემდეგი ბრალდებები:  არ სცნობენ ქრისტეს, ღვთისმშობელს  და სხვა წმინდანებს, მიაჩნიათ, რომ ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი კი არა ცრუ წინასწარმეტყველი იყო და არ ვნებულა  ჯვარზე კაცობრიობის გადასარჩენად, არამედ  ის დაისაჯა თავისი ცოდვების გამო. აფურთხებენ ჯვარს, ზოგჯერ ჯვარცმას და ფეხით თელავენ მას. თაყვანს სცემენ  კერპს,  რომელსაც  ადამიანის, ხან კიდევ სხვადასხვა ცხოველის, ძირითადად კი კატის ფორმა აქვს. კერპს ახვევენ თხელ თოკს, შემდეგ მოხსნიან და ატარებენ წელზე; წვავენ გარდაცვლილ ამხანაგთა სხეულებს და ფერფლს ურევენ საჭმელში, რომელსაც აჭმევენ უმცროს ძმებს; ჩადიან სოდომის ცოდვას, კოცნიან ერთმანეთს ყველა მიმართულებით, რომ  ორდენში წახალისებულია მამათმავლობა და მსგავს ურთიერთობებს  ახალ მიღებულ წევრებს  აძალებენ;

არ სჯერათ საეკლესიო საიდუმლოებების და მათი კაპელანები წმინდა სიტყვებს არ წარმოთქვამენ მესის დროს; თვლიან რომ აღსარება შეუძლიათ ჩააბარონ დიდ მაგისტრს და ამგვარად მიეტევებათ ცოდვები, იმ დროს, როცა დიდი მაგისტრი საერო პირი იყო; ისინი ყოველგვარი საშუალებებით, კანონიერად თუ უკანონოდ ცდილობენ ორდენის შემოსავლების გაზრდას. ბრალდებების ჩამონათვალი ძალიან დიდია.

ჩვენი აზრით, ტამპლიერების საქმეში ყველაზე მძიმე იყო ქრისტეს უარყოფისა და ჯვარზე დაფურთხების ბრალდება. გამომძიებლები ყველაზე მეტ შეკითხვას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით სვამდნენ და შეიქმნა მრავალი ვერსია, რომელთა თანახმად ტამპლიერად კურთხევის დროს კანდიდატს აჩვენებდნენ ჯვარცმას, აიძულებდნენ სამჯერ უარეყო ქრისტე და მიეფურთხებინა ჯვრისათვის. ლავოკას გადმოცემით: „ამგვარად ტამპლიერებს სურდა იმაში დარწმუნებულიყვნენ დათანხმდებოდა თუ არა ორდენის ახალი წევრი უფალზე უარის თქმას, თუკი სარაცინებს ჩაუვარდებოდა ხელში. გოდფრუა დე გონევილს, როცა დაუსვეს შეკითხვა უარყოფის მიზეზებზე, მან თქვა, რომ ამ ტრადიციის საფუძველს მიაწერენ ერთ–ერთ მაგისტრს, რომელიც აღმოჩნდა რა სულთნის ტყვეობაში, თავისუფლების მისაღებად შეჰფიცა მას, რომ ორდენში შემოიღებდა ქრისტეზე უარის თქმის წესს. გონევილმა დაუმატა, რომ განსჯის საგნად ქცეული ცერემონია ზოგიერთის აზრით, შეიქმნა წმინდა პეტრეს ხსოვნისათვის, რომელმაც სამჯერ უარყო ქრისტე. ლობეს განმარტავს, რომ ამ ახსნას ვერ მივიჩნევთ სერიოზულად, რადგან როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ ტყვედ ჩავარდნილმა დიდმა მაგისტრმა საჭიროდ ჩათვალა შეენახა ფიცი, რომელიც თავისი სურვილის წინააღმდეგ დადო. ეს არის აბსურდი. თუ ცალკეული უარყოფა ხდებოდა, მაშინ ეს იყო მანკიერი მკრეხელობის ერთეული შემთხვევები“ (Лобе 2003 :100 -101).

ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ ორდენის მაღალი იერარქების პირველი დაკითხვის აღიარებითი ჩვენებები. ნორმანდიის პრეცეპტორმა ჟოფრუა დე შარნემ განაცხადა, რომ ორდენში მიღების დროს უბრძანეს სამჯერ უარეყო ქრისტე და დაეფურთხებინა ჯვარზე. მან ქრისტე უარყო სიტყვით და არა გულით, ჯვარზე დაფურთხება არ ახსოვდა და მხოლოდ ერთხელ მიიღო წევრი ორდენში მსგავსი მეთოდით. მაგისტრმა ჟაკ დე მოლემ აღიარა, რომ ორდენში მიღების დროს უარყო ქრისტე და დააფურთხა არა ჯვარცმაზე, არამედ იატაკზე და ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ. ორდენის გენერალურმა ზედამხედველმა ჰუგო დე პეირომ განაცხადა, რომ „ იღებდა რა ორდენში ახალ წევრებს, იგი მისდევდა უარყოფისა და ფურთხების ტრადიციებს, იმიტომ რომ ორდენ-

ის წესდებით ასე იყო გათვალისწინებული“ (Демурже 2008 : 293). როგორც ირკვევა ორდენის სამი ხელმძღვანელი, რომელთაც წესდების სრული დებულების ცოდნა ევალებოდათ სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო აღიარებებს აკეთებენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ჩვენებები სასტიკი წამების შემდეგ იყო ჩაწერილი, არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან და შესაძლოა ეს მძიმე ბრალდება იყო მხოლოდ გამონაგონი.

როგორც ჩანს, წამებითა და სიკვდილის მუქარით დაშინებული ბრალდებულები იგონებდნენ ისტორიებს, რომლებიც ძალიან განსხვავდებოდნენ და არ იყვნენ ერთგვაროვანნი. ოქმებიდან ირკვევა: „ზოგიერთმა თქვა, რომ მათ შთააგონეს დეიზმი; შთააგონეს, რომ უნდა ეთაყვანებოდნენ ხოლოდ ერთ ცის ღმერთს; სხვები ამტკიცებდნენ, რომ მათ აიძულეს უარი ეთქვათ ღმერთზე. ჩვეულებრივ მოხსენიებული ფორმულა შედგებოდა იმისაგან, რომ უარეყოთ ქრისტე, ან იესო; მაგრამ სხვებმა თქვეს, რომ მათ შესთავაზეს უარი ეთქვათ უფალზე, ან ქრისტეზე, ღვთისმშობელზე და წმინდანებზე. ზოგიერთი აცხადებდა, რომ მას არ შეეძლო გაეხსენებინა უარყო თუ არა ღმერთი, ან ქრისტე“ (Ли 1912: 340). არსებობს უამრავი განსხვავებული ჩვენება ჯვრის დამცირებისა და დაფურთხების ბრალდებასთან დაკავშირებით. ოქმებში წერია, რომ ჩვეულებრივ ორდენში მიღების დროს ნეოფიტისგან მოითხოვდნენ განდგომას და ჯვრის შეურაცხყოფას, რაც გამოიხატებოდა დაფურთხებით, თუმცა, სხვა ოქმიდან ჩანს, რომ დაფურთხების გარდა, ფეხით უნდა გაეთელათ იგი, ზოგი აცხადებდა, რომ უნდა მოეშარდათ მასზე, რომ ეს რიტუალი ტარდებოდა ყოველწლიურად, სხვა კი ამტიცებდა რომ ამ ცერემონიას მიღებისას ასრულებდნენ. ფანტასტიკური და წინააღმდეგობრივი ბრალდებები აშკარად მრავალფეროვანია. ჯვართან დაკავშირებითაც წინააღმდეგობები იკვეთება. ჯვარი შეიძლება ყოფილიყო ჩვეულებრივი ჯვარი, ჯვარცმა, მიწაზე გამოსახული ჯვარი, ან მოძღვრის ლაბადაზე ამოქარგული. თუმცა სხვა ოქმში ის წერია, რომ ნეოფიტს ავალებდნენ არა ჯვარზე, არამედ მიწაზე სამჯერ დაფურთხებას. ერთმა ბრალდებულმა ისიც კი განაცხადა, რომ მას უფლება მისცეს აერჩია სამიდან ერთი: ქრისტეს უარყოფა, ჯვარზე დაფურთხება და უხამსი კოცნა, რომელთაგან მან ჯვრის შეურაცჰყოფა აირჩია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ ცერემონიას ხუმრობასაც უწოდებდნენ, აგრეთვე მოიხსენიებდენ ორდენში გავრცელებულ წესად, მაშინ როცა სხვა ჩვენებაში წერია, რომ მათ ავალებდნენ რომ მხოლოდ სიტყვიერად გამოეხატათ ეს ჩვეულება. ამგვარად, ოქმებით დასტურდება, რომ მბრალდებლების მიზანი იყო ჯვარი წარმოეჩინათ ტამპლიერების უმთავრესი დამცირე-

ბის საგნად. ჩანს, პროცესის მომწყობებს კარგად ჰქონდათ წინასწარ გათვლილი თუ როგორ უნდა დაემდაბლებინათ ტამპლიერები მორწმუნე ადამიანების თვალში.

პროცესის დასაწყისიდან – დასასრულამდე დაკითხვის პერიოდში მედგარი ტამ-მპლიერები ირწმუნებოდნენ, რომ შეიძლება მათ ეთქვა ღვთის საწინააღმდეგო, მაგ-რამ გულით ამას არ იტყოდნენ, რომ ისინი აფურთხებდნენ მიწას და არა ჯვარს.

ფრანგი ისტორიკოსი მიშლე, რომელმაც შეისწავლა ინკვიზიციის გამოძიების ოქ-მები ნაშრომში „საფრანგეთის ისტორია“ ხსნის რწმენისგან განდგომას და წერს: „ორ-დენში ახალი ძმების მიღება იყო თეატრალური სანახაობა, რომელიც ადრეული ქრის-ტიანობის დროიდან მოდიოდა. ის, ვინც ორდენში უნდა მიეღოთ, სახელდებოდა ცოდვილად და სჯულის უარმყოფელად წმინდა პეტრეს მსგავსად.მისი ორდენში შე-სვლა ნიშნავდა სხვა რწმენაზე გადასვლას და მონანიებას: უარის თქმას შეცდომებ-ზე, განსახიერებულს უარყოფით. ამიტომ, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მხოლოდ პანტომიმას გათამაშებულს საკრალური მოქმედებით, რომლის სიმბოლიკაც გასაგები იყო მხოლოდ განდობილებისათვის “(Лобе 2003 :103). „ორდენი, რომელიც აერთიანე-ბდა რამდენიმე ათას ბერს, ვერ იარსებებდა ორი საუკუნის განმავლობაში თუკი მას საფუძვლად ექნებოდა დადებული ბილწი ქმედებები - აღნიშნავს ლობე. მას წარმოუ-დგენლად მიაჩნია, რომ ათასობით პატიოსანი, მართალი ადამიანი, როგორიც იყო ორდენში მიღებულთა უმრავლესობა, დათანხმდა დაეწყო ღვთისმოსავის ცხოვრება, რწმენის წინააღმდეგ მიმართული უკიდურესი ქმედებით. შესაძლოა, ტამპლი-ერების ფუფნებამ და პატივმოყვარეობამ ხელი შეუწყო იმას, რომ მათმა უმრავლე-სობამ დაკარგა რწმენა, მაგრამ განურჩევლობიდან ერესამდე ერთი ნაბიჯი არ არის“ (Лобе 2003 : 101). თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტამპლიერებზე გავრცელებული შეხედულები ნამდვილად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ბრალდებების საბაბად, რადგან ხალხში გაჩნდა წარმოდგენა, რომ საოცარი საიდუმლოებით იყო მოცული ორდენი, რაც ბუნებრივია იწვევდა მათ ეჭვს.

ვ. კაპელეტოს აზრით, ერთ-ერთ საოცრებას წარმოადგენდა ცხოველების ბარელი-ეფებით მორთული იზოლირებული ნაგებობები, როტონდები, რომლებიც უბრალო ხალხისთვის გამოცანად იყო ქცეული. დაუჯერებელ ზღაპრებს თხზავდნენ ამ შენო-ბებთან დაკავშირებით, სინამდვილეში კი ეს როტონდები არ გამოიყენებოდა ღვთის-მსახურებისთვის, იქ ტარდებოდა მხოლოდ კურთხევის ცერემონია და კაპიტულის

ყოველკვირეული შეკრება, რომელზეც უცხოების დასწრება მკაცრად იყო აკრძალული (Каппелетто 2004 : 348).

ტამპლიერების ორდენის წევრის ინიციაციის (კურთხევის) პროცესი იწვევდა ხალხის დაინტერესებას, რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს ცერემონია ტარდებოდა ძალიან გასაიდუმლოებულად და კაპიტულის შეკრება იმართებოდა გამთენიისას, კარგად დაცულ შენობაში, რომლის ყველა კართან და ირგვლივაც იდგნენ მცველები. კურთხევის ეს იდუმალება ცნობისმოყვარეობასა და ეჭვს იწვევდა პრელატებში, რომლებიც ვერ დაესწრებოდნენ ცერემონიას, მასში მონაწილეებს კი უფლება არ ჰქოდათ ელაპარაკათ რა ხდებოდა იქ. ამ უცნაურმა ჩვეულებამ წარმოშვა ვარაუდი, თითქოს ღამით იმიტომ ტარდებოდა ცერემონია, რომ ჩადიოდნენ ისეთ უწმინდურობებს, რასაც დღისით ვერ გაკეთებდნენ. ყველაფერი ეს გამოიყენეს საბაბად, რომელიც მოგვიანებით შეერწყა ფილიპ IV-ის მოსაზრებებს მკრეხელობისა და მამათმავლობის ბრალდებით. თუმცა, ტამპლიერთა ჩვენებების ოქმებიდან ირკვევა, რომ ორდენში წევრის მიღების დროს არ იყო გამოყენებული გადაჭარბებული სიფრთხილე, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებდნენ. არც გამოსაცდელი ვადის შესახებ მოიპოვება ოქმებში ინფორმაცია. არცერთი მოწმე არ საუბრობს ამის შესახებ. მაღალი იერარქების აღიარებებს თუ დავუჯერებთ, რომელზეც ჩვენ დაწვრილებით ზემოთ ვისაუბრეთ, იქაც ურთიერთსაწინააღმდგო ფაქტებს ვპოულობთ, რადგან როგორც ცნობილი ხდება წესდებით არსებობდა ორდენში მიღების მხოლოდ ერთი წესი, მოწმეების ჩვენებები კი სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

ტამპლიერად კურთხევის ცერემონიასთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი, ეგრეთ წოდებული უხამსი კოცნის ბრალდება, რომ ახალმიღებულს კოცნიდნენ, ოღონდ ოქმებში არ არის დაზუსტებული კონკრეტულად სად და აქაც ჩვენებები მკვეთრად ურთიერთწინააღმდეგობრივია.ზოგიერთმა ტამპლიერმა დაადასტურა ეს ბრალდება, თუმცა, შემდეგ უარყო ყველაფერი. საინტერესოა ის, რომ 140 მეტაძრის დაკითხვის ტექსტში, რომელთა ჩვენებები ჩაწერილია პარიზში, ხშირად მეორდება უხამსი კოცნის სამმაგი გამოხატვა: ბაგეზე, ჭიპზე და ზურგის (ხერხემლის) ქვემოთ. ზოგიერთი აღნიშნავს მხარზე და მკერდზე კოცნაზეც, ხოლო ელნში დაკითხული ტამპლიერები ამტკიცებდნენ, რომ ერთმანეთს კოცნიდნენ მხოლოდ ბაგეზე. სრულიად განსხვავებული აღიარებებია. ლობე მიიჩნევს, რომ „ეს ყველაფერი მისაღები და დამახასიათებელი იყო ზოგიერთი აღმოსავლური ტრადიციისათვის. ასახსნელი რჩება ის, თუ

როგორ მოახერხეს ტამპლიერებმა ამ რიტუალიდან შეექმნათ უხამსობის მიზეზი ისე, რომ შუა საუკუნეების ხალხური გამონათქვამიც კი ამბობდა „უფრთხილდით ტამპლიერთა კოცნებს“ (Лобе 2003 :105). სავარაუდოა, რომ უხამს კოცნაში დადანაშაულებით გამომძიებლები ცდილობდნენ იმ ბრალდების გამყარებას, რომ ორდენში იყვნენ მამათმავლები. კაპელეტოს აზრით, „წევრად მიღებისას ტამპლიერებს შესაძლებელია ჰქონოდათ ძმური მოხვევის ჩვეულება, რაც გულისხმობს შეხებოდნენ ხერხემლის იმ წერტილს, რომელიც გულის უკან მდებარეობს (რადგან ღმერთთან ერთობის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებული აქვს ხერხემალს), მაგრამ ასევე ნათელია, რომ ამგვარი ყურადღება ენერგიის ამ ცენტრის მიმართ არ შეიძლება აგვერიოს სოდომში“- ასკვნის ვ. კაპელეტო (Каппелетто 2004 : 349) .

ტამპლიერებს ადანაშაულებდნენ სოდომის ცოდვაში, რომელიც ძალიან იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში. ა. დემურჟეს მოსაზრებით, „ამ ბრალდების ფესვები მოდიოდა ბიბლიური სოდომისა და გომორისგან, რომელიც ღმერთმა ცოდების გამო დასაჯა. შუასაუკუნეობრივი ლოგიკით ქალაქ აკრის დაცემა და აღმოსავლეთში ლათინური სახელმწიფოს კრახის მიზეზი უკავშირდებოდა იმავე ცოდვას და რომ არა ბრძენი მეფე ფილიპი, რომელმაც მიიღო უსაფრთხოების ზომები საფრანგეთის სამეფოსაც იგივე ბედი ელოდა“ (Демурже 2008 : 272).

მამათმავლობის ბრალდება ორდენის ყველა წევრის მიმართ ვრცელდებოდა. წესდებიდან ცნობილია, რომ ტამპლიერებს დადებული ჰქონდათ უბიწოების აღთქმა. ბარბერს მიაჩნია, „საკვირველიც კი იქნებოდა, რომ ტამპლიერები, ისევე როგორც სხვა სასულიერო ორდენები სრულიად თავისუფალი ყოფილიყვნენ ჰომოსექსუალიზმისაგან. შესაძლოა ნოგარემ მხოლოდ ამ მიზეზით ჩართო ეს პუნქტი ბრალდებებში, მაგრამ მაშინდელი საზოგადოების რეაქცია მოცემულ მომენტში იყო შეპირობებული ღრმად ფესვმგამდგარი ცრურწმენებით. ეკლესია ყოველთვის გვასწავლდა, რომ ჰოსექსუალიზმით გატაცებამ ოდესღაც გამოიწვია ღვთის რისხვა ქალაქ სოდომზე. სწორედ ამიტომაც, დაადანაშაულებდნენ რა ვინმეს მსგავს ცოდვაში, საღვთო მწერლები და სამოქალაქო კანონების შემქმნელები ცდილობდნენ გამოეჩინათ განსაკუთრებული სიფრთხილე იმის შიშით, რომ მსგავსი სასჯელი არ მოვლენოდა მათ ქვეყანასაც“ (Barber 2006 : 215 ). ბრალდება სოდომიზმში წარმოადგენდა ერთგვარ სტერეოტიპს, რომელშიც ადანაშაულებდნენ გნოსტიკურ სექტებს, ალბიგოელებს, მანიქეველებს,

ბოგომილებს და როგორც ირკვევა არა მხოლოდ მათ. 1292 წელს მსგავსი ბრალდებით პარიზის უნივერსიტეტიდან განდევნეს ბევრი პროფესორი და ღვთისმეტყველი.

ტამპლიერების ბრალდებებში მეტად უცნაურად გვეჩვენება ეგრეთ წოდებული იძულებითი სოდომიის ბრალდება, რომლის არსი მდგომარეობდა შემდეგში. თითქოს ორდენის ხელმძღვანელები აიძულებდნენ ტამპლიერებს მამათმავლობას. დაკითხვების ოქმებიდან ირკვევა, რომ მათ ეს არასოდეს ჩაუდენიათ, უთხრეს, მაგრამ არ დაუძალებიათ. ეს ბრალდება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

მოვიტანთ ნაწყვეტს ტამპლიერების დაკითხვის ოქმიდან, რომელიც ჩაიწერეს საფრანგეთის პროვინცია ბიგორში 1307 წელს. „ეს დოსიე შეიცავს ექვსი ტამპლიერის დაკითხვას, რომლებიც ამბობენ, რომ დიდმა მაგისტრმა, როცა ისინი ორდენში მიიღო მათ აკოცა და ისინი იყვნენ წინააღმდეგნი მისთვის ეკოცნათ სამარცხვინოდ. მათ უთხრეს; თუ სურვილი ექნებოდათ ქალებთან ურთიერთობის, უმჯობესი იქნებოდა შეერთებოდნენ ორდენის რაინდს. ერთ-ერთი რაინდისაგან ვიგებთ, რომ სოდომია მისთვის იყო ნებადართული...ყველამ აღიარა, რომ მაგისტრი მათ აიძულებდა ჯვარზე დაეფურთხებინათ და ფეხით გაეთელათ. ისინი არ ეთანხმებოდნენ. ამ დოსიეზე ხელს აწერს ერთი ნოტარიუსი და დალუქულია ორი ბეჭდით“ (Raynouard 1805 : 63).

ჩვენი აზრით, შესაძლოა რომელიმე ტამპლიერი ჩავარდნილიყო სოდომის ცოდვაში, მაგრამ ეს არ იყო ორდენში დამკვიდრებული წესი. ცნობილია ის, რომ ტამპლლიერები, რათა არ დაენახათ ერთმანეთის შიშველი სხეული, მუდამ წვებოდნენ ჩაცმულნი და მთელ ღამეს საერთო საცხოვრებელში ენთო ცეცხლი ან ჩირაღდანი.

ტამპლიერებს ადანაშაულებდნენ კაპიტულის საიდუმლო შეკრებებზე. კაპიტული იყო ორდენის უმაღლესი ორგანო, მათი წევრების შეკრება, სადაც უცხოების დასწრება მკაცრად იკრძალებოდა. კაპიტულის სხდომები იწვევდა პრელატების ეჭვს და მიაჩნდათ, რომ მასზე საიდუმლო საქმეები განიხილებოდა. კაპიტულის სხდომაზე დამსწრეები განიხილავდნენ თავიანთ შეცდომებს, შემდეგ ინანიებდნენ და იღებდნენ მიტევებას ან ეპიტემიას. ეს იმ ეპოქაში გავრცელებული პრაქტიკა იყო, რადგან მსგავს ბრალდებას უყენებდნენ არა მარტო ტამპლიერებს, არამედ ჰოსპიტალიერებსაც და ტევტონებსაც. ეს ორდენები იყო ბერული და ისინი მოქმედებდნენ თავიანთი წესდებით. ჩვენთვის ცნობილია რომ პაპისაგან ტამპლიერებს მიეცათ ორდენში მღვდლების მიღების უფლება და ვფიქრობთ, რომ ცოდვებს სასულიერო პირები მიუტევებდნენ მათ, თუმცა დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, მოლემ მეფეს უთხრა,

რომ ორდენის ხელმძღვანელები მასთან მისულ ძმებს პატიობდნენ შეცდომებს. ამგვარად, ეს განაცხადი მეფემ ბრალდების საბაბად გამოიყენა, რომ მაღალი იერარქიის საერო პირი ტამპლიერები ცოდვებს მიუტევებდნენ ძმებს. ეს ბრალდება აღიარა დენის პრეცეპტორმა უილიამ დე ლა ფორბმა და შოტლანდიელმა უილიამ დე მიდლტონმა. შეცდომის პატიება კაპიტულის სხდომის დამთავრების შემდეგ დემურჟეს აზრით, ადვილად შეიძლება აგვერიოს იმ ცოდვების მიტევებაში, რომელიც შეუძლია მხოლოდ მღვდელს. ყველა საკომანდოში არ იყო კაპელანი, მაგრამ ის ბრალდება, რომ ტამპლიერები უარს ამბობდნენ აღსარება ჩაებარებინათ ვინმე სხვისთვის, გარდა ორდენის კაპელანებისა, საფუძველსმოკლებულია (Демурже 2008 :292). ამ ბრალდებების შესახებ ოქმებში მოიპოვება ძალიან მცირე სამხილები, ამიტომ ჩვენ გვიჭირს საბოლოო დასკვნის გამოტანა, თუმცა, ვაღიარებთ, რომ საერო პირის მიერ მოძღვრის ფუნქციების შეთვისება მართლაც უდიდესი ცოდვა იყო და წესდებით წევრის მიერ ასეთი ქმედება ისჯებოდა ძალიან მკაცრად, ორდენიდან გაძევებით.

როგორც აღვნიშნეთ, ტამპლიერების წინააღმდეგ საქმე აღიძრა კერპის თაყვანისცემით, რომელსაც ძირითადად ჰქონდა თავის ფორმა. ვფიქრობთ, რომ ეს ბრალდება ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა, რადგან დღემდე კითხვად რჩება, თუ რა იყო ეს თავი და რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი. მოწმეთა ჩვენებები სრულიად განსხვავებულია კერპთან დაკავშირებით. ტამპლიერთა უმეტესობა აცხადებდა, რომ თავის გამოსახულებიანი კერპი, ან საერთოდ კერპი, არასოდეს არ უნახავთ და არც კი სმენოდათ ოდესმე ამის შესახებ, მაშინ როცა ერთი მოწმე აღიარებდა, რომ კერპი გამოჰქონდათ ორდენში ახალი წევრის მიღების დროს, მეორე აცხადებდა, რომ კერპს ეთაყვანებოდნენ მხოლოდ კაპიტულის საიდუმლო შეკრებაზე. დაკითხვის ოქმებში არ მოიპოვება კერპის დახასიათების ერთნაირი ვარიანტი და ისინიც, რომლებიც აღიარებდნენ, რომ მათ ეს კერპი ნახეს, სრულიად გასხვავებულად აღწერდნენ მას. რადგან ძირითადად კერპს წარმოსახავდნენ თავის ფორმით. ეს თავი ზოგჯერ თეთრი, ზოგჯერ კი შავი ფერისაა, შავი თმითა და ჭაღარა წვერით. ერთი მოწმე აღნიშნავდა, რომ ის იყო ბოროტი სული, რომელისთვისაც არ შეიძლებოდა გეცქირა აუთრთოლებლად. სხვა ამბობდა რომ მას ჰქონდა ღრმულების მსგავსი თვალები, რომლებიც მთელ დარბაზს ანათებდა. ერთი ამოწმებდა, რომ მას ჰქონდა ორი სახე, სხვა კი სამიც... ერთი მოწმე აცხადებდა, რომ ამ კერპს არ ჰქონდა ადამიანის ფორმა, ის ჰგავდა ხარს. ზოგჯერ მას უწოდებენ მხსნელს, ზოგჯერ კი ბაფომეტს; ხან იგი ღმერთია, მთლიანი სამყაროს

შემქმნელი, რომელიც აიძულებს ყვავილებსა და მცენარეებს ჰყვაოდნენ; ხან - ღმერთის მეგობარი, რომელსაც შეუძლია უშუამდგომლოს მლოცველს ღმერთთან. ზოგჯერ კი ეს კერპი წინასწარმეტყველებს. ზოგჯერ მას აცილებს ან ცვლის ბოროტი სული, რომელიც იღებს შავი, ხან რუხი ფერის კატის, ან ყვავის ფორმას. ცერემონია მთავრდებოდა როგორც ჯადოქრების შაბაში, დემონების მოსვლით, რომელთაც ჰქონდათ ლამაზი ქალების სახე (Ли 1912 : 340-341).

ამ ვერსიებს შორის ყველაზე საინტერესო და დღემდე პოპულარული დარჩა კერპი ისევ თავის სახით, რომელიც ტამპლიერთა საბრალდებო დასკვნებში დამოწმებულია როგორც ბაფომეტი. ეშმაკისეული ბაფომეტი – მსგავსი სახელი არ გვხვდება ტამპლიერების დაპატიმრებამდე მათ ისტორიაში. ინტერესი ბაფომეტის მიმართ გაჩნდა ჯერ კიდევ პროცესის დროს და საზოგადოებრივი აზრი იყო სხვადასხვანაირი. ბევრი მეცნიერი იკვლევდა ამ სიტყვის ეტიმოლოგიას და ჩამოყალიბდა მრავალი თეორია ბაფომეტთან დაკავშირებით. უნდა აღვნიშნოთ რომ ტამპლიერების დაპატიმრების ბრძანებაში ბაფომეტი საერთოდ არ არის ნახსენები, იგი გაჩნდა მხოლოდ დაკავებულთა დაკითხვის ოქმებში. დაკითხვის დროს ბრალდებულები ვერ იგებდნენ თუ საერთოდ რაზე იყო საუბარი. ერთმა მონპეზიელმა სერჟანტმა, სხვა ვერაფერი, რომ ვერ მოიფიქრა თავი დამნაშავედ ცნო მუჰამედის თაყვანისცემაში. სერჟანტი საუბრობდა სამხრეთ საფრანგეთის დიალექტზე, უნდოდა ეთქვა მუჰამედის გამოსახულება და გამოუვიდა ბაფომეტი – რომელიც წარმოადგენს მხოლოდ პროვანსულ დეფორმაციას მოციქულ მუჰამედის სახელის, რომლის მიხედვით შეიქმნა ყველაზე შავი მითი ტამპლიერების დანაშაულობებში (Мельвиль 2003 :305).

არსებობს მრავალი თეორია ბაფომეტის მითოსთან დაკავშირებით. ერთი ვერსიის თანახმად „ამ გამოუცნობი სახელის შექმნას ცდილობდნენ ფრაგმენტებისაგან, რომლებიც აღებული იქნებოდა ტამპლიერებისთვის აუტანელი სიტყვის „პაპი“–სა და მუჰამედისაგან. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პანოვის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მეტაძრეთა კუმირის ქვეშ გულისხმობს რა ბოროტების ორთავიან გამოსახულებას ფრანგი ისტორიკოსი დე კენსი უშვებს აშკარა ანაქრონიზმს. პაპი გახდა მეტაძრეთა მტერი ძალიან გვიან, ამდენად იგი ვერ იქნებოდა რიტუალების ობიექტი, ხოლო რაც შეეხება კლემენს V-ის წინამორბედებს, მათზე მეტაძრეებს არაფერი ჰქონდათ სასაყვედურო (Парнов 1991 : 73) ალიესტერ კროულის გადმოცემით, ბაფომეტი იყო გაღმერთებული კულტი ტამპლიერთა მიერ და შავ მაგიაში ცოდვის

შემქმნელი სატანური თხა. ერთი ვერსიის თანახმად იგი წარმოდგება მუსლიმთა წინასწარმეტყველის მუჰამედისაგან, ეს მოსაზრება ეფუძნება ტამპლიერების გარკვეულ კავშირს მუსლიმებთან, რაც ყოველგვარ მსჯელობასაა მოკლებული, რადგან როორც ცნობილია, მუსლიმები გამოსახულებიან კულტს არ ცნობენ და საერთოდაც, მუსლიმური სარწმუნოება კრძალავს კერპებს. სწორედ ამიტომ კერპი ბაფომეტი შეუძლებელია კავშირში იყოს მუჰამედთან და ეს ბრალდებაც შეუსაბამოა მუსლიმუ რი რეალობიდანაც გამომდინარე.

ბრიტანელმა მეცნიერმა ჰიუ სკონფილდმა, რომელიც მუშაობდა მკვდარი ზღვის ხელნაწერებზე, ტამპლიერები ერესში დაადანაშაულა. მან სიტყვის ასახსნელად გამოიყენა ებრაული კოდი და ბაფომეტიდან მიიღო ბერძნული სიტყვა სოფია, რაც სიბრძნეს ნიშნავს. სოფია იყო ქალღმერთი. ბევრი მიიჩნევდა, რომ ტამპლიერები იყვნენ ამ ქალღმერთის მიმდევრები, ან უბრალოდ მის სიბრძნეს სცემდნენ პატივს და რომ ბაფომეტიოსი ნიშნავდა „სიბრძნით ნათლობას“. თუმცა, თვით ამ ყველაზე ორიგინალურ განსაზღვრებას, რომელიც ეყრდნობა ბერძნულ საფუძვლებს არ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია.

აბატმა ალფონს ლუი კონსტანმა (ფსევდონიმით ელიფას ლევი) შეისწავლა ტამპლიერების მითოსი. მის წიგნში „მაგიის ისტორია“ ტამპლიერები აღწერილნი არიან ორმაგი სახით: გნოსტიკური ოკულტიზმის მიმდევრები, რომლებიც თითქოს შემდეგ გადავიდნენ ბუნების პანთეისტურ თაყვანისცემაში. ამასობაში ორდენმა მიიღო უმაღლეს სიბრძნეზე წვდომობა, რომელიც წარმოდგებოდა სიმბოლოებში, ეგვიპტის ღმეერთის მენდესის სახით, რომელსაც თხის გამოსახულება ჰქონდა, ფილოსოფიური ქვითა და ასევე ბაფომეტით. თუმცა, ელიფას ლევი, იხრებოდა იმ აზრისაკენ, რომ ტაპლიერები იყვნენ შეთქმულები, როგორც ამას თვლიდა იეზუიტი ავგუსტინ დე ბარუელი. იგი ამტკიცებდა, რომ ყველაზე დიდი ბრალი ორდენისა, მდგომარეობდა ჟაკ დე მოლეში, რომელმაც შუასაუკუნების მასონობას გადასცა ის საიდუმლო ცოდნა, ძალიან უმეცართ იმისათვის, რომ შეენახათ ის (Ваги 2007 : 119). ელიფას ლევმა ბაფომეტი დაუკავშირა პენტაგრამას და განაცხადა, რომ პენტაგრამა წარმოადგენს თხის თავს ანუ ბაფომეტს. პენტაგრამა არის ხუთი ნიშანი ვარსკვლავის, რომელსაც იყენებდნენ მმართველები, როგორც მათი ძალაუფლების სიმბოლოს. თანამედროვე ფუნდამენტალისტი ქრისტიანები არ განიხილავენ პენტაგრამას, როგორც ბაფომეტს. ამ კერპს აგრეთვე უკავშირებენ არაბულ –„აბუფიჰამა“–ს რაც ნიშნავს „სიბრძნის მამას”.

ეს სიტყვა გამოიყენება სუფიზმის მასწავლებლის დასამოწმებლად. არაბულში მამა არის როგორც სათავე (წყარო). არსებობს ვარაუდი, რომ ტამპლიერები ფლობდნენ ტურინის სუდარას და ამ სუდარას სცემდნენ თაყვანს, აბრალებდნენ ასევე „caput mortum“–ის თაყვანისცემას, რომელიც არის ალქიმიური სიმბოლო და ნიშნავს „მკვდარ თავს“. მიიჩნევდნენ, რომ ტამპლიერებს ჰქონდათ წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავი და ეს იყო კერპის წყარო, რადგან ისინი უდიდეს პატივს სცემდნენ მას და მართავდნენ დღესასწაულს იოანეს თავის მოკვეთის დღეს.

კინგის მოსაზრებით, ბაფომეტური კერპი „მოხუცი კაცის თავი“, რომელიც საშინელ სახედ არის წარმოდგენილი ბრალდების პუნქტებში, გვირგვინოსან ოსირისს მოგვაგონებს სახით, თუმცა ეს ფიგურა ხშირად გვხვდება გამოჭრილი მსხვილ მწვანე იასპებზე, რომლებიც სტილით დიდად განსხვავდება ბიზანტიური იმპერიის პერიოდით დათარიღებული ნამდვილი გნოსტიკური თილისმებისაგან, მაგრამ უფრო მეტად წააგავს შუა საუკუნეების და არაბული წარმოშობის ნიმუშებს. მაგალითად, გვხვდება ძვირფასი ქვა „მამა ღმერთის“ გამოსახულებით, რომელსაც აქვს ხუთი ვარსკვლავი და რამდენიმე ბარბაროსული სიმბოლო. უკანა მხარეს კი გამოსახულია კვადრატი, სფერო, პითაგორას ხუთკუთხედი და და რამდენიმე ასტროლოგიური და გეომეტრიული ფიგურა. მსგავსი თილისმა ტამპლიერი რაინდის სამარხში იქნა აღმოჩენილი გერმანიაში (King 1887: 404).

უცნობია პაპის დამოკიდებულება ტამპლიერების კერპთაყვანისმცემლობის ბრალდებასთან დაკავშირებით. ინკვიზიტორ გიიომ პარიზელის ინსტრუქციებში ის ბრძანებას აძლევს ტამპლიერების კერპებისადმი დამოკიდებულება იყოს მკაცრი. მუხლი 47) შემდეგ მუხლებში ჩვენ ნაჩვენები გვაქვს რომ ისინი აღმერთებენ კერპებს, როგორც ღმერთებს, როგორც მათ გადამრჩენებლებს, ამბობენ, რომ ეს კერპის თავი შეძლებს ჩვენ გადაგვარჩინოს და მოგვიტანოს სიმდიდრე, აყვავებული არაბული ბაღნარები“(Raynouard 1813: 287).

„დაკითხვაზე ჟაკ დუსმა განაცხადა, რომ მან ნახა ხის მოვერცხლილ-მოოქროვილი თავი ჯერ გიიომ დე ბოჟეს მიერ მოწვეულ კაპიტულზე ექვსჯერ, ხოლო შემდეგ ჰუგო დე პეიროს “ (Raynouard 1813 : 289).

„ჟან დე ტულნომ, პარიზის ტამპლის ხაზინადარმა აღიარა რომ ერთ-ერთ კაპიტულზე ნახა მოხატული თავი, რომელიც ჩასმული იყო ნიშაში “(Raynouard 1813 : 289).

„ჰუგო დე პეიროს ეკითხებიან რა კერპებზე, ის პასუხობს, რომ მას ეს კერპი ხე-

ლში ეჭირა მონპელიეში ერთ კაპიტულზე; რომ ძმები მას აღიარებენ და თვითონ კი თავს აჩვენებდა, რომ მას ის კერპი მოსწონდა. კითხვაზე - სად არის ეს თავი? პასუხობს, მე დავუბრუნე ის მონპელიეს სახლის პრეცეპტორს და არ ვიცი ის სად წაიღეს მეფის მოხელეებმა. კითხვაზე- როგორი იყო ეს თავი? პასუხობს- მას ჰქონდა ოთხი ფეხი, ორი წინ და ორი უკან“ (Raynouard 1813: 289). აქ წყდება პეიროს დაკითხვა კერპებთან დაკავშირებით. ტამპლიერთა ორდენის ისტორიული ჩანაწერებისა და მასთან დაკავშირებული ბრძანებების შემკრებ და გამოქვეყნებელ მკვლევარს, რენუარს კითხვა უჩნდება - რატომ არ ხდება სრულად ჰუგო დე პეიროს დაკითხვა თავებზე, რომელზეც წევრები ამბობენ, რომ ნახეს მის მიერ მოწვეულ კაპიტულზე? (Raynouard 1813: 289).

„ნარბონის პროვინციიდან გუილიომ ბოსმა თქვა, რომ ამ ფიგურას, (კერპს) ჰქონდა ბუს ფორმა. დარწმუნებული არ იყო, მაგრამ ის ამსგავსებდა თეთრ ან შავ ბუს და ის მას თაყვანს სცემდა“ (Raynouard 1813: 291).

„არნანდუს საბატერი, რუსილიონის ოლქის ტამპლიერი აღნიშნავდა, რომ ამ კერპს აქვს ადამიანის სახე, ის მას აღმერთებს და მის წინაშე ფეხქვეშ ეცემა“ (Raynouard 1813 : 292).

„ეტიენ დე ტრუა ორდენში მიღებული იყო ჰუგო დე პეიროს მიერ. იგი აცხადებდა, რომ კერპს აქვს შავ- თეთრი წვერი, ხალხი მას აღმერთებდა, სხვები ამბობდნენ: „მოდით ვადიდოთ, გავაღმერთოთ ეს ჩვენი კერპი, რომელმაც ჩვენ შეგვქმნა და ყველაფერში გვეხმარება.ისინი ამ თავს არა მარტო აღმერთებდნენ, არამედ მისადმი გამოხატავდნენ განსაკუთრებულ თაყვანისცემას “(Raynouard 1813 : 293).

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო ნაწყვეტებია ოქმებიდან, საიდანაც დასტურდება, რომ ჰუგო დე პეიროს მიერ აღწერილი კერპი სრულებით არ ემთხვევა იმ ტამპლიერთა აღწერილ კერპებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეს კერპები, სწორედ პეიროს მიერ მოწვეულ კაპიტულზე ნახეს. ჩვენ მიერ ზემოთმოყვანილ ვერსიებს სკერპთან დაკავშირებით არ შეიძლება ჰქონდეს სულ მცირე სიზუსტის პრეტენზია, რადგან ჩხრეკის დროს ეს კერპი არსად არ იქნა აღმოჩენილი და იგი ყველა ტამპლიერმა სხვადასხვანაირად აღწერა. 1311 წელს პარიზში მეტაძრეთა ორდენის ქონების მცველმა გიიომ პიდუამ, პაპის კომისიას წარუდგინა ქალის გამოსახულების მოოქროვილი ვერცხლის თავი გახვეული თეთრ ამოქარგულ სირიულ ტილოში (შიგნით იდო თავის ქალის ძვლები). ამბობდნენ, რომ ეს იყო 11 ათასი ქალწულიდან

ერთ–ერთის თავი. გიიომ პიდუამ დაადასტურა, რომ სხვა ვერაფერი აღმოაჩინა მეტაძრეთა სახლში. ლობე აღნიშნავს, რომ ჰუგო დე პეირომ არ გააკეთა განსხვავება სიწმინდესა და კერპს შორის. ჩვენთვის ნათელია თუ რა ზომის წამებას შეეძლო დაეჩლუნგებინა ყველაზე ჭკვიანი ტამპლიერის გონება ამ კრიტიკულ მომენტში (Лобе 2003 :117).ლუვრში დაცულია მრავალი მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ბაფომეტი ჰქვია. ეს ქანდაკებები არ შეიძლება მივაკუთვნოთ ტამპლიერების კერპს, რაგან დღემდე ვერ აიხსნა ტამპლიერების კავშირი ბაფომეტთან, როგორც კერპთან. ბაფომეტის პორტრეტი XIX საუკუნეში შექმნა ელიფას ლევმა.

ტამპლიერების კერპთაყვანისმცემლობაში ბრალდებას რომ მათი თაყვანისცემის მთავარი ობიექტები იყო კატა და მაგიური თავი ჰქონდა კონკრეტული მიმართულება ,ჩაენერგა საზოგადოებისათვის, რომ ტამპლიერები იყვნენ ერეტიკოსები. შავი კატა ტრადიციულად მიიჩნეოდა, როგორც დემონის განსახიერება. მოაზროვნე ადამიანებს ამისი უკვე დიდი ხანია არ სჯეროდათ, თუმცა კატაში, ეშმაკს მაინც ხედავდნენ. მაგრამ ძირითადად კატა კი არა, არამედ თავი გახდა ცენტრალური ფიგურა საბრალდებო პროცესისა. მიუხედავად იმისა, რომ ნოგარემ გონივრულად მოახერხა ხალხური მეხსიერებისა და ფანტაზიების შერწყმა ტამპლიერების ბრალდებების სიის შედგენისას, თავთან დაკავშირებით მან ვერ გათვალა ყველაფერი და ეს ბრალდება დარჩა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ გამოგონილ ზღაპრად.

ბრალდებებში მოხსენიებულია წვრილი თასმა, ქამარი, რომელსაც ტამპლიერები ატარებდნენ. სწორედ ბაფომეტს უკავშირდება მოსაზრებები ქამართან, რომლის ტარება გათვალისწინებული იყო წესდებით. ის უნდა ჩაეცვათ ღამე, ტანსაცმლის ზემოდან, რათა თავისუფლად არ შეხებოდნენ სხეულს. ქამარი წარმოადგენდა უბიწოების სიმბოლოს. ტამპლიერების მბრალდებლებმა მისგან მაგიური ობიექტი შექმნეს, თითქოს ისინი ქამარს კერპს ავლებდნენ გარს. წვრილი თასმის ტარების ბრალდება დაკავშირებული იყო აგრეთვე კათარების სწავლებასთან, რადგან XIII საუკუნის დასასრულს ინკვიზიციის პროტოკოლები მოწმობენ, რომ კათოლიკური ეკლესია მსგავსი ქამრების ტარებას თვლიდა „Consolamentum“, კათარების ნუგეშისცემის მიღების ნიშნად.

ტამპლიერებს ადანაშაულებდნენ წირვისა დროს ზოგიერთი სიტყვების გამოტოვებაში. „ოთხი მღვდელი ამტკიცებდა, რომ მათ სთხოვეს, წირვის აღსრულებისას არ ეთქვათ ოთხი სიტყვა: hoc est corpus meum „ესე არს ხორცი ჩემი“. ოთხივე აცხადებ-

და, რომ ეს მოთხოვნა არასოდეს შეუსრულებიათ, არც შესრულებაზე რაიმე კონტროლის კვალი ჩანს (ლადარია, ბეზარაშვილი 2004: b 6). შესაძლოა, ეს ბრალდებაც ტამპლიერებს კათარებთან კავშირის დასამტკიცებლად წაუყენეს, რადგან ცნობილია, რომ კათარები უარყოფდნენ საეკლესიო საიდუმლოებებს. დაკითხვის ოქმებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ტამპლიერები უარს ამბობდნენ ნაკურთხი სეფისკვერის მიღებაზე და ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ისინი თავად იყვნენ დემონები და ჯადოქრები.

ტამპლიერების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების უმეტესობა ისეთი ბანალური იყო რომ დიდი ხნის შემდეგ ხალხი დარწმუნდა, რომ ფილიპმა და მისმა თანამოაზრეებმა ისინი უბრალოდ შეთხზეს. თუმცა, ყველაზე აბსურდული ბრალდებები, რომლებიც ზოგადად გვხვდება ერესის წინააღმდეგ გამართულ პროცესებში რწმენას მოიპოვებდნენ მხოლოდ მიმნდობ ადამიანებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტამპლიერების წინააღმდეგ მიწერილი ბრალდებები მხოლოდ სასამართლო პროცესის აქტებში შემორჩა და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებები ინკვიზიციის მსახურთ, მიუხედავად სასტიკი წამებისა არ მოუპოვებიათ.

მ. ლობეს მიაჩნია, რომ ტამპლიერების ბრალდებების უმრავლესობა თანამდევია შუა საუკუნეების ყველა იმ სასამართლო საქმეების, რომლებიც ჯადოქრობას შეეხეხებოდა. მათ ბრალს სდებდნენ სადისტურ ქმედებებშიც, რომ ისინი წვავდნენ გარდაცვლილი მეგობრების გვამებს და ფერფლს ურევდნენ სასმელში, რომელსაც ასმევდნენ ორდენში ახალმიღებულებს (Лобе 2003 : 121).

ე. პარნოვის მოსაზრებით, შეიძლება ჯვაროსნები წვავდნენ თავიანთი დაცემული ძმების გვამებს, მაგრამ აქ ჩანს არა რომელიმე ერეტიკული სექტის გავლენა, რომელსაც შეხება ჰქონდა წმინდა მიწაზე, არამედ ომის პირობებში არსებული ცხელი კლიმატის გათვალისწინება, რაც შეეხება ფერფლის გამოყენებას, ასეთი ჩვევები აღმოჩნდა ლამაიტებთან, რომლებსაც სწამთ ფერფლის განსაკუთრებული ძალა...აიღეს რა მანიქეველების, კათარებისა და ყველა სხვა შესაძლო ბიზანტიური ნაშთებისაგან, რომლებმაც თავშესაფარი ჰპოვეს არაბებთან მეტემპსიხოზის[1] მუდმივი წრებრუნვის დოქტრინა, პარნოვის ვარაუდით, ტამპლიერებს შესაძლოა გამოეყენებინათ „ფერფლის საიდუმლოება," უკვდავი იდეა, ტრადიციათა უწყვეტი ესტაფეტა, ცეცხლოვანი ციკლი (Парнов 1991 :73). თუმცა, ტამპლიერების ისტორიაში არ დასტურდება ფერფლის საი-

[1] მეტემპსიხოზი- ძველი ბერძნული სიტყვაა და სულთა გადასახლებას ნიშნავს, სათავეს იღებს ძველ ინდურ კულტში.

დუმლოების გამოყენების ერთი შემთხვევაც კი  და პროცესის მომწყობთაც მეტად აღარ განუვრცია ეს ბრალდება.

როგორც ჩანს ტამპლიერებს ადანაშაულებდნენ ყველა იმ ბრალდებაში, რომლებიც წამოყენებული იყო სხვადასხვა სექტების მიმართ, მათ შორის დემონიზმშიც. ისიც წარმოჩინდება, რომ ბრალდებები შეიცავდა ისეთ დეტალებს, რომლებიც გამოტანილი იქნა სამსჯავროზე ჯადოქრების წინააღმდეგ გამართულ პროცესებზე XVI - XVII საუკუნეებში. „ნოგარეს სიტყვებით ტამპლიერები იყვნენ პოტენციური ჯადოქრები და შესაძლოა უდიდესი სიმდიდრეც ეშმაკის დახმარებით მოიპოვეს, რომელსაც ისინი ეთაყვანებოდნენ და შეიძლება მასთან შეთანხმებაც კი ჰქონდათ დადებული. ეს არის ნათელი გამართლება საფრანგეთის ქრისტიანი მეფის მიერ, ასეთი საბაზისო საშუალებებით მიღებული მოგების ჩამორთმევის“ (Barber 2006 : 206).

საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ, სენ დენის სააბატოში, ფრანგ მეფეებზე შექმნილ ქრონიკაში, რომელიც ცნობილია „საფრანგეთის დიდი ქრონიკების“ სახელლით, შეტანილი ამ პერიოდის მოვლენების თანამედროვე ჩანაწერი. ანონიმმა ავტორმა ქრონიკაში ასახა ტამპლიერების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების 11 მუხლი, რომელიც შეიცავს გარკვეულ მნიშვნელოვან დამატებებს ოფიციალურ 127 მუხლისგან შემდგარ საბრალდებო აქტზე. ვინაიდან ქრონიკები კაპეტინგი მეფეების ოფიციალურ ისტორიად არის მიჩნეული, მისი ავტორი, რა თქმა უნდა, შეინარჩუნებდა ურთიერთობას საფრანგეთის მთავრობის წევრებთან. როგორც ჩანს, ეჭვგარეშეა რომ ქრონიკებში აღწერილი 11 მუხლი, გამიზნული იყო როგორც შემდგომი ელემენტი სამეფო პროპაგანდისტულ მანქანის, რომელიც ხალხურ ენაზე იყო ჩამოყალიბებული უფრო ფართო გავრცელებისათვის. ძირითადი ბრალდებების შინაარსი მეორდება: ქრისტეს უარყოფა, ჯვარცმაზე შეფურთხება, ჰომოსექსუალიზმი, კერპთაყვანისმცემლობა. კერპი მოცემულ ვერსიაში აღწერილია, როგორც უძველესი ბალზამირებული თავი, ღრუიანი, წითელი თვალებით, რომლებიც ცის შუქივით ანათებენ. ტამპლიერებს აგრეთვე ადანაშაულებდნენ მუსლიმებთან ღალატში და ქამრის ტარებას მიიჩნედნენ ამ კავშირის დამამტკიცებლად. გაჩნდა ახალი მნიშვნელოვანი ბრალდებაც; ერთი ტამპლიერის შვილი კოცონზე დაწვეს, მისგან დარჩენილი ცხიმი კი შეაგროვეს, რათა შემდგომ წაესვათ თავიანთი კერპისათვის; ასევე გვატყობინებს, რომ წვავდნენ გარდაცვლილ ტამპლიერებს და მათი ფერფლის ნაშთებით კვებავდნენ ორდენში ახალ მიღებულებს. როგორც ერეტიკული სექსუალური ორგიების ბრალდებები,

ესეც რელიგიური პროპაგანდის ნაწილი იყო რომაული დროიდან- "ასკვნის ბარბერი (Barber 2006 : 206).

არსებობს მტკიცებულება, რომ ბრალდებების 11 მუხლი, რომელიც ცალკე იყო გამოყოფილი 127 პუნქტიანი ოფიციალური სიიდან არსებობდა „საფრანგეთის დიდი ქრონიკების" მიღმა. XX საუკუნის დასაწყისში პროფესორმა ჰაინრიხ ფინკემ ვატიკანის არქივებში აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ტამპლიერთა დაკითხვების ოქმების ფრაგმენტები, რომლებშიც დაცულია 25 მოწმის დაუთარიღებელი და არასრული ჩვენება, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც შეუფასებელია, რადგან ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ტამპლიერებს ჰკითხავდნენ ზემოთაღნიშნული ბრალდების 11 მუხლის მიხედვით. ამ ოქმებში შემონახული მოწმეთა ჩვენებები დამატებით ადასტურებს, რომ მუხლები იყო ლიტერატურული კლიშეს მუდმივი ტრადიციის ნაწილი, რომელიც დომინირებდა ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრალდებებში XI საუკუნის დასაწყისიდან. ბარბერის მოსაზრებით, ამგვარად, „საფრანგეთის დიდი ქრონიკები" შესაძლოა გვთავაზობს ოფიციალური სიის უხეშ ვერსიას (11 მუხლის), რომელიც არსებობდა პროცესის განმავლობაში გარკველი დროით, თუმცა არ ჩანს რაიმე პირდაპირი კავშირი ამ ორ ვერსიას შორის"(Barber 2006 : 206-207).

ფინკეს მიერ ვატიკანში აღმოჩენილ მოწმეთა ჩვენებებში მოხსენიებულია ქრისტეს უარყოფა და მასთან დაკავშირებული ბრალდებები. საინტერესოდ მიგვაჩნია აქვე აღნიშნული ფაქტი. 17 დაკითხულმა ტამპლიერმა დაადასტურა, რომ ორდენის ძმები თაყვანს სცემდნენ არა მარტო თავის ფორმიან კერპს, არამედ კატასაც . სხვადასხვა ფერია დასახელებული; შავი, თეთრი, ყავისფერი ან წითელი. ათმა დაკითხულმა განაცხადა, რომ კატას ჰკოცნიდნენ ანუსზე ან დუნდულებზე. ზოგიერთი მოწმე მიიჩნევდა, რომ ეს კატა გამოგზავნილი იყო ეშმაკისაგან, ერთმა ბრალდებულმა განაცხადა, რომ კატა გაქრა თაყვანისცემის რიტუალის შესრულებისთანავე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კატისადმი თაყვანისცემის ბრალდება ჩაწერილია 127 მუხლიან დანაშაულებებში, მაგრამ საინტერესოა ის, რომ მსგავს უხამს კოცნაში, იქ მათ არ ადანაშაულებდნენ. საერთოდ არც ერთი ტამპლიერი არ აღიარებს ამ ბრალდებას. დაკითხვაზე ხუთმა მათგანმა აგრეთვე განაცხადა ქალების ყოფნაზე ორდენში მიღების დროს, რომელთა წარმოშობა და არსებობა ვერ აეხსნათ . მათ სჯეროდათ, რომ ისინი ნამდვილად არა იყვნენ ქალები, არამედ ეშმაკები ქალის გარეგნობით, რომლებიც იყენებდნენ განსაკუთრებულ ძალას დაკეტილ ოთახში შესვლისათვის, სადაც ხდებოდა

მიღება. ორმა ტამპლიერმა ამ ხუთიდან აღიარა, რომ მათ და სხვა დამსწრე ძმებს ჰქონდათ სქესობრივი კავშირი ამ ქალებთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი დაკითხვებით ცდილობდნენ უფრო მკაფიო კავშირის დამყარებას სექტებთან, რომლებიც სავარაუდოდ ეშმაკის თაყვანისცემლები იყვნენ (Barber 2006 : 207).

„დიდ ფრანგულ ქრონიკებში“ ჩაწერილ ბრალდებებს არ აქვს შემონახული ოფიციალური დედნები, ის ჩვენებები კი, რომლებიც ფინკემ გამოაქვეყნა მხოლოდ დაუთარიღებელი ფრაგმენტებია. ამიტომ ბარბერს მიაჩნია, რომ ამ ორ წყაროზე დაყრდნობით არ შეიძლება შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება.იგი ვარაუდობს, რომ ვინაიდან პაპის კომისიის წევრების მიერ შეკრებილი ოქმები სრულადა შემონახული, ფინკეს მიერ ზემოთაღნიშნული ფრაგმენტები შეიძლება იყოს ერთ-ერთი ეპისკოპოსის მიერ ნაწარმოები გამოძიების ოქმები, რადგან მოწმეები ძირითადად არიან სწორედ იმ მხარეებიდან, სადაც მიმდინარეობდა პაპის კომისიათა გამოძიება (პროვანსი, ვიენი და ანესი). ეს ვარაუდი გამყარებულია, ოქმებში ჩაწერილ ტამპლიერთა თხოვნებით, რომლებიც ცოდვების მიტევებას შეეხება. ისინი ამას არ სთხოვდნენ ზოგადად ორდენის შესახებ რომ მიეცათ ჩვენებები. აქედან გამომდინარე, ბარბერი ამ ოქმებს 1310 წლით ათარიღებს (Barber 2006 : 207- 208).

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ტამპლიერების ბრალდებები, რომლებიც მოიცავდა ერესს. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ერესი არც ყოფილა, არამედ ეს იყო გამონაგონი.ლის აზრით, ტამპლიერებს მართლაც რომ ჰქონოდათ სურვილი ახალი ერესის შექმნისა და გავრცელების, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში უეჭველად მოიძებნებოდა ორდენში, რამდენიმე წამებული მაინც, როგორც ეს ხდებოდა ყველა ერეტიკულ სექტაში. არც ერთ ტამპლიერს არ უღიარებია ის რწმენა, რომელსაც მათ აბრალებდნენ და არცერთს არ უცდია დაეცვა ის. ყველა, ვისაც წამებით ამოგლიჯეს აღიარებები ერთიმეორის მიყოლებით ჩქარობდა უარეყო ის, რაშიც მათ ადანაშაულებდნენ და ითხოვდნენ ცოდვების მიტევებას. გაჯიუტების ერთი შემთხვევაც კი მეფისა და პაპისათვის იქნებოდა სხვა მოწმობებზე უფრო ძვირფასი და გახდებოდა მთელი პროცესის გვირგვინი, მაგრამ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ყველა ტამპლიერი, რომელიც კოცონზე მიდიოდა, იყო სხვაგვარი სახის წამებული. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთაც წამებით აიძულეს ეღიარებინათ, რომლებიც შემდეგ უარყვეს და ამჯობინეს კოცონზე სიკვდილი, ტანჯვით მიღებული დამაცირებელი აღიარებების ბოლომდე შენარჩუნებას...მათ მოუწიათ გამოეგონებინათ ერესი, რომლის მიმდევრე-

ბიც იმის მაგივრად, რომ ეწამათ და დაეცვათ საკუთარი რწმენა, თანახმა იყვნენ ათეულობით წასულიყვნენ კოცონზე დასაწვავად, ოღონდაც მათთვის ეს არ მიეწერათ (Ли 1912 : 337). უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრალდებების უმრავლესობის უარყოფა სრულიად მარტივად შეიძლებოდა თუკი ინკვიზიციის კომისრები პროცესზე იხელმძღვანელებდნენ ორდენის წესდებით, რომელიც ტამპლიერების მასობრივი დაჭერების დროს მოიპოვეს, მაგრამ როგორც ირკვევა, შესწავლის შემდეგ მათ დაიწყეს წესდების ეგზემპლარების განადგურება, თუმცა ყველგან ვერ მოახერხეს. საგულისხმოა რომ პროცესზე ბრალმდებლები არ გამოიყენებდნენ წესდების ტექსტს, ალბათ იმიტომ, რომ მრავალი თავი ეძღვნებოდა დანაშაულებების აღმოფხვრას და ამგვარად ეწინააღმდეგებოდა წაყენებულ ბრალდებებს.

დაკითხვის ოქმები თუმცა ისინი შეიცავენ აუცილებელ ფორმულას: „დამნაშავემ აღიარა ფიცისქვეშ, რომ მასზე არ გამოუყენებიათ არც მუქარა, არც წამება“, ყველაზე უკეთ გვარწმუნებენ წაყენებულ ბრალდებების უსაფუძვლობაში. იმის მიუხედავად, რომ ყველა დამნაშავეს უსვამდნენ ერთი და იგივე კითხვებს, პასუხები მათზე მკვეთრად განსხვავებულია. ჟ.მიშლეს აღიარებით, პროცესის ოქმებში არის შესწორებები და ამოშლილი სტრიქონები.სასამართლოს მდივნებსა და გადამწერებს გააჩნდათ დიდი მოხერხებულობა შეუსაბამო საუბრებისაგან შეექმნათ მეფის მოთხოვნის შესატყვისი ბრალდებები.

ტამპლიერთა ერეტიკოსებად შემრაცხველი ყველა მონაცემი ორდენის წინააღმდეგ გამართული პროცესის დროს ეკუთვნის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტამპლიერთა ერეტიკოსობის დამადასტურებელი ურყევი საბუთები ფაქტობრივად არ არსებობს და პროცესზე მოწმეთათვის ჩამორთმეული ჩვენებების ჭეშმარიტებაც მეტისმეტად საეჭვოა. ბაფომეტის კერპიც ნაკლებად სარწმუნოა, რადგან მის აღწერას პირველად სწორედ პროცესის დროს ვხვდებით. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ბაფომეტის კერპი შეიძლება ტამპლიერთა პროცესის მომწყობთა მიერ იყოს გამოგონილი.

ნათელია რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ბრალდებები აღძრული იყო ორდენის დისკრედიტაციისათვის. ყველა აღიარება, რომელიც წამების საშუალებით იქნა მიღწეული ითვალისწინებდა ორდენის წესების დამახინჯებას. ერესში, მაგიასა და ჯადოქრობაში დადანაშაულებით ნოგარე იმედოვნებდა ინტელექტუალურ სამყაროში ერთი ხელის მოსმით სახალხო იდეებისა და თქმულებების გავრცელებას. ეს იდეები და მოტივები მაგიასა და ჯადოქრობაზე ახალი არ ყოფილა, მაგრამ იგი ემყა-

რებოდა ახალ ავტორიტეტებს. მხოლოდ XIV საუკუნის დასასრულსა და XV ს-ის დასაწყისში აღიარა ეკლესიამ ერესი ჯადოქრობად და ხალხურ ცრურწმენაზე გამოაცხადა დევნა იმავე მეთოდით, რითაც თავის დროზე იდევნებოდა ერესი. 1310 წელს ჩვენ გვხვდება მხოლოდ ერეტიკოსებზე დევნის ფაქტები, ხოლო ჯადოქრებზე დევნა განხორციელდა რენესანსის ეპოქაში (Демурже 2008 : 273).

რასელის აზრით, ისტორიკოს გმელინის მტკიცება, რომელიც აცხადებდა მეტაძრეები „სუფთები არიან, როგორც თვით წმინდა მამა“, მთლად გადაუჭრელი საკითხიც არ არის, თუმცა არ შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ წაყენებული ბრალდებების გარკვეული წილი იყო გაზვიადებული. მეფეების მიდრეკილება განუყოფელი ძალაუფლებისა და სიმდიდრისაკენ, ასევე რომის პაპის მსგავსი დევნა ორდენისა უკვე თავისთავად მეტყველებენ საქმის ფალსიფიცირების ეჭვებზე, და როდესაც ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ თუ როგორი მეთოდებით მოქმედებდა სასამართლო, მაშინ ეს ეჭვები უფრო მყარდება (Рассел 2001 : 254-255).

შუსტერი აღნიშნავს: „უეჭველია, რომ ორდენი თავისი პოლიტიკის წყალობით, რომელიც გარკვეულ დონეზე განსაზღვრავდა მიდრეკილებას საერო მბრძანებლოსაკენ ძალიან მალე ჩავარდა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობაში თავის პირველსაწყის მიზნებთან, რომ საძმო ხშირად მსხვერპლად სწირავდა ქრისტიანთა ინტერესებს სუფთა ეგოისტური მიზნების სანაცვლოდ, რომ ბევრი რაინდი ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, მაგრამ თუ რაში მდგომარეობდა თავად „ ერესი“ არსად არ არის მითითებული, ალბათ იმიტომ, რომ ორდენს გარეთ ეს არსად არ იყო ზუსტად ცნობილი. ამითი აიხსნება ისიც, რომ კურია დიდხანს ვერ იღებდა გადაწყვეტილებას გამოსულიყო ძლევამოსილი, თავისი ბრწყინვალე საქმეებიდან გამომდინარე ძალიან დამსახურებული, წარმატებული საზოგადოების წინააღმდეგ. რათა გაემყარებინათ საერთო, გაუგებარი ბრალდებები, საჭირო გახდა გამოყენებულიყო კარგად მოფიქრებული და მახვილგონივრული პროცესი, რომელიც წამოიწყო ორდენის წინააღმდეგ, ისეთმა ძლიერმა მბრძანებელმა, ეშმაკმა და შეუბრალებელმა დესპოტმა, როგორიც იყო ფილიპ ლამაზი“ (Шустерь 1905: 194).

ტამპლიერებმა დაკარგეს იდეალური მდგომარეობა, როცა ამოწურეს წმინდა მიწის დამცველის ფუნქცია და თავიანთი საქმიანობა ფინანსურ სფეროში გადაიტანეს საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ. განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ და პრივილეგიებმა ხელი შეუწყო ორდენის წევრების სიამაყესა და თავაშვებულობას, მაგრამ

ტამპლიერების სასამართლო პროცესამდე არ არსებობდა კონკრეტული ბრალდებები ორდენის ერეტიკული წეს–ჩვეულებების შესახებ. პროცესის მიმდინარეობისას არავინ მისულა მათზე საჩივლელად, მაგრამ გამოუთქმელ ეჭვებს იწვევდა ორდენი თავისი დამოუკიდებლობისა და ძალაუფლების გამო. ისიც  უნდა ითქვას, რომ ტამპლიერების მოქმედებები შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო  საშინელი ბრალდებების საბაბად, რაც  ნაწილობრივ დაბადა იმ იდუმალებამ, რომელიც გარს ეკრა ტამპლიერების ცერემონიებს და არ შეეძლო გამოცანად არ ქცეულიყო უბრალო ადამიანებისთვის და არ გამოეწვია მათში დაუჯერებელი ვარაუდები. კუგლერის აზრით: „ეს ძლევამოსილი საძმო დაიღუპა არა მთლიანად გამოგონილი ერეტიკოსობისა და  თავისი მრავალრიცხოვანი შეცდომების გამო. ეს მიზეზები, მხოლოდ საბაბს აძლევდნენ მის მტრებს, რომ დაემხოთ იგი. მთავარი მიზეზი მათი დაღუპვის, მომდინარეობდა პოლიტიკური მდგომარეობიდან. პაპობის ამ მილიციამ აკრის დაცემამდე ძლიერ დაიპირისპირა რომის კურიის ზოგიერთი მტრები, სახელმწიფოები, ხელისუფალნი და ხალხთა მასები. მაგრამ ახლა მეფობდა ფილიპ IV,  მოწინააღმდეგე ყოველგვარი თეოკრატიული მოძრაობის, პირველი მბრძანებელი „რომლის საქმეებშიც უკვე გამოსჭვივის უახლესი ისტორიის მკვეთრი ნათება “ (Куглер 1895 : 437).

აღსანიშნავია რომ, „ბრალდების პუნქტები რომლის მიხედვითაც პაპმა ორდენი გაუქმებულად გამოაცხადა ასახავს იმ სიძულვილს, რომელიც ტამპლიერებმა გამოიწვიეს განსაკუთრებით თავიანთი არსებობის ბოლო პერიოდში. ჩვენთვის საინტერესოა ფილიპ IV-ის საბჭოს  მიერ წაყენებული ბრალდებები, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოლოვანია განვიხილოთ ის ბრალდებებიც, რომლებიც ჩამოთვლილი იყო ბულაში „Vox in excelso“ გაუქმების შესახებ, პაპმა განაცხადა: „ ორდენი მეტად აღარაფრადაა საჭირო წმინდა მიწაზე. ტამპლიერებს ალყა შემოარტყეს აკრში, მათ ვერ შეძლეს თავის დაცვა და თავი კვიპროსს შეაფარეს. კაპელეტოს მიაჩნია, რომ ეს იყო საბოლოო აქტი დიდი ტრაგედიისა, რომელშიც ტამპლიერების დადანაშაულება სრულიად უსამართლო იყო, თუმცა, საბოლოოდ ამის შედეგად ორდენმა დაკარგა მთავარი მიზეზი უდიდესი ქონების მფლობელობის: წმინდა მიწის დაცვა “(Каппелетто 2004 : 343).

ბრალდების პუნქტში ასევე წერია: „ორდენი საძულველია პრელატებისა და მეფისათვის“. თუ ყველანაირი პრივილეგია აღვიძებს სიძულვილს  რომელიმე ნებისმიერი ინსტიტუტის წინააღმდეგ, მაშინ ტამპლიერებს ეს პრივილეგიები ძალიან მოჭარბებულად ჰქონდათ და რა თქმა უნდა ცხადია ეპისკოპოსები და პრელატები არა-

ნაირად არ განიცდიდნენ სიმპათიას ამის გამო. ორდენი ხომ მათ შემოსავლებს ართმევდა. ნაჩუქარი პრივილეგიები აკავშირებდა მათ უმაღლეს სამღვდელოებასთან. პაპები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა გაეზარდათ მათთვის პრივილეგიები და შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ ის შემოსავალი, რომელსაც ტამპლიერები იღებდნენ, ხმარდებოდა ქრისტიანებს (Каппелетто 2004 : 345).

ჩვენ მიერ განხილულ დაკითხვის ოქმებში არის უმძიმესი ბრალდებების აღიარების მრავალი შემთხვევა, მათ შორის ორდენის ხელმძღვანელებისაც. ფაქტია, რომ აუტანელი წამება, მუქარა, სიკვდილის შიში და ცოდვების მიტევება აიძულებდა არა მარტო დაბალი სოციალური ფენის, არამედ მაღალი წარმომავლობის ადამიანებსაც ეღიარებინათ ყველაზე საშინელი დაუჯერებელი დანაშაულებები, რომლებიც ძირითადად ფიგურირებდა შუა საუკუნეებში ჯადოქრების წინააღმდეგ გამართულ პროცესებში. ყველა ეს ფანტასტიკური ბრალდება შემონახულია მოწმეთა ჩვენებებში. ლის მოსაზრებით, ამ ჩვენებებს უფრო მეტი ღირებულება აქვთ, ვიდრე იმ მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც გაასამართლეს ტამპლიერები (Ли 1912 : 338).

შუსტერის აზრით, სრულიად არასწორად მსჯელობს გმელინი, „რომ ფილიპს თავად სჯეროდა ორდენის ერეტიკული სწავლების. მას თუნდაც მცირედი ეჭვი, რომ ჰქონოდა ამ მიმართულებით მაშინ იგი ასე ძალიან დიდხანს არ გაწელავდა ამ საქმეს და მოიძიებდა ყოველგვარ გზას თავისი მიზნის მისაღწევად“ (Шустерь 1905 : 196).

ისტორიკოსები ხშირად ცდილობენ ფილიპ IV საქციელი ახსნან სარწმუნეობრივი კუთხით და აღნიშნავენ, რომ მეფე და მისი მრჩევლები თავიანთ თავს თვლიდნენ ქრისტიანობის დამცველებად. მათი აზრით ტამპლიერებმა დაარღვიეს ქრისტიანული კანონები, შესცოდეს საშინელი ცოდვებით, ამიტომ საჭიროა მათი განადგურება.ცხადია, რომ მრჩევლებთან ერთად მეფე მორწმუნეობას იყენებდა საფარველად, პირადი ინტერესების შესანიღბავად. ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ იმ პერიოდში არ არსებობდა ობიექტური შესაძლებლობა, რომელიც მეფისა და მისი საბჭოს „სერიოზულ ეჭვებს“ დაამტკიცებდა. ორდენი ყველა ქვეყანაში გაამართლეს წაყენებული ბრალდებებისაგან.

ამგვარად, დაკითხვის ოქმების, ბრალდებებისა და სამხილების შესწავლამ ცხადყო, რომ ორდენის წინააღმდეგ წამოწყებული საბრალდებო პროცესის მიზანი იყო ტამპლიერების დადანაშაულება ერესში, რომელიც მრავალწლიანმა სასტიკმა გამოძიებამ ვერ დაამტკიცა. ინკვიზიიცის კომისრებმა და მეფის თანამზრახველებმა მიუხედა-

ვად დიდი მცდელობისა, ვერ მოიპოვეს ვერცერთი მატერიალური თუ სხვა რაიმე გარე მტკიცებულება ერესის დასასაბუთებლად. ჯერ კიდევ პროცესის დასაწყისში ყურადღებას იქცევდა ბრალდებების წყაროების არასანდოობა და საეჭვო მტკიცებულებების უკმარისობა. ისიც საგულისხმოა, რომ ორდენის მაგისტრმა და სხვა ხელმძღვანელებმა მათ წინააღმდეგ მოსმენილი ბრალდებებისა და საყვედურების გაგების შემდეგ თავად მიმართეს პაპს ეჭვების გასაფანტავად დაეწყო გამოძიება. მართალია დაკითხვის ოქმებში ტამპლიერები აღიარებენ უმძიმეს ბრალდებებს, თუმცა ყურადღებას იპყრობს წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი, მრავალფეროვანი ჩვენებები, ისიც ცნობილია, როგორი სასტიკი წამებისა და მუქარის გამაოგნებელი მეთოდებით იყო მიღებული ეს აღიარებები. ყველა ტამპლიერმა იცოდა, რომ ემუქრებოდა სიკვდილი, თუკი ის კვლავ გააგრძელებდა ბრალდებების უარყოფას, ხოლო აღიარება მოუტანდა უსაფრთხოებას, რადგან ინკვიზიციური წესის თანახმად, კოცონზე წვავდნენ მხოლოდ ჯიუტ ერეტიკოსებს, რომელთაც უარყვეს ერესში ძველი აღიარებანი. მათ, ვინც აღიარებდა მიწერილ ბრალდებებს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ, ხოლო ვინც დაადასტურებდა თავის ჩვენებებს და ინანიებდა პატიობდნენ და ათავისუფლებდნენ. ამგვარად, ტამპლიერებს შეეძლოთ ეღიარებინათ და გადარჩენოდნენ აუტოდაფეს, ნაწილი ასეც მოქმედებდა თუმცა, არსებობდნენ მედგარი ტამპლიერებიც, რომელთაც სიკვდილი ამჯობინეს აღიარებებს. ჩვენ ვადასტურებთ იმ ფაქტებს, რომ ორდენმა მალე გადაუხვია პირველსაწყის მიზნებს, გამოავლინა მიდრეკილება სიმდიდრისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ, ტამპლიერები ყოველთვის არ ხელმძღვანელობდნენ წესდებით, ხშირად არღვევდნენ მას, მათ შესახებ გავრცელებული იყო გამონათქვამებიც კი „სვამს როგორც ტამპლიერი“, „სიამაყე ტამპლიერების“, მაგრამ ერესი მათ ისტორიაში ნაკლებად მოსაძებნია. ტამპლიერების ბრალდებების საკითხი დღემდე დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ისტორიკოსებში. იყვნენ თუ არა ტამპლიერები დამნაშავენი ერესში. დღემდე არ არსებობს იმის სანდო ისტორიული სამხილები, რომ ორდენმა შექმნა ერესი, ან რაიმე სხვა სწავლება თუ იდეოლოგია, რომელიც განხვავდებოდა კათოლიკური რწმენის დოგმებისაგან. არ არის აღმოჩენილი არც კერპი და საიდუმლო წესდება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინ ეწაყენებულ ბრალდებებს შეიძლება ეწოდოს ბით მეფის, მისი გარემოცვისა და ინკვიზიციის მიერ ტამპლიერების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს შეიძლება

ეწოდოს პოლიტიზებული, ხოლო სასამართლო პროცესს - პოლიტიკური, ერესული პროცესი.

## 3.2. ტამპლიერები და ისლამური სამყარო

ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობებს ყოველთვის უდიდესი ადგილი ეჭირა მსოფლიო პოლიტიკაში და იგი მუდამ იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. სწორედ ამ თემატიკის რამდენიმე ასპექტი გახდა ჩვენი კვლევის საგანი ტამპლიერების ორდენთან მიმართებით. ვფიქრობთ, რომ საკითხი იყო და დღესაც რჩება აქტუალურად, რომელიც საფუძვლიან შესწავლას, პრობლემის ღრმა გააზრებასა და სიფრთხილეს მოითხოვს.

ტამპლიერების ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების შესახებ ცნობები არც თუ ისე ბევრია, რადგან ორდენი იყო გასაიდუმლოებული ორგანიზაცია, თუმცა მკვლევრები მაინც გვთავაზობენ მნიშვნელოვან ცნობებს ამ საკითხთან დაკავშირებით. სამეცნიერო კვლევის პროცესში ჩვენ მოვიპოვეთ გარკვეული მასალა, რომელიც ახალია, ნაწილი ძველიც, მაგრამ ინტერპრეტირებას მოითხოვს. ამგვარად, ტამპლიერების ორდენის შესწავლა ისლამურ სამყაროსთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ-ერთი ბრალდება სწორედ ეს იყო.

XვაროსნულI ლაშქრობების პერიოდში, ქრისტიანებისა და მუსლიმების დაპირისპირებამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან უდიდესი წვლილი შეიტანა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების საქმეში. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტამპლიერების ორდენმა. ამიტომაც, ტამპლიერების საკითხი დაკავშირებულია პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ და სავაჭრო ურთიერთობების პრობლემებთან, რომლებიც არსებობდა შუა საუკუნეებში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნება ტამპლიერების მსოფლმხედველობისა და ისლამურ სამყაროსთან მათი ურთიერთობის გაგება, თუკი ვერ გავერკვევით სამი რელიგიის: ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის ურთიერთქმედების განვითარების პრობლემებში, აგრეთვე ლევანტის სექტების ადათ-წესებში, რადგან სწორედ აქ დევს უმთავრესი კონფლიქტური კვანძი მეტაძრეების თითქმის ორასწლიანი ისტორიისა შუა საუკუნეებიდან დღემდე (Рид 2005 : 6).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპელი ჯვაროსნების ურთიერთობა აღმოსავლეთის სამყაროსთან თავდაპირველად იყო საკმაოდ რთული. „მათ აღმოსავლეთში დამკვიდრება სისასტიკის დემონსტრირებით დაიწყეს, როდესაც ერთიანად ამოწყვიტეს იერუსალიმისა და მათ მიერ დაპყრობილი სხვა ქალაქების მუსლიმი მოსახლეობა, მაგრამ რელიგიური შემწყნარებლობის ფაქტორის აუცილებლობა საკმაოდ მალე გააცნობიერეს (მარგიშვილი 2006 : 107). ჩვენი აზრით, წმინდა მიწაზე, ყველაზე ადრე ურთიერთობების დარეგულირება ტამპლიერებმა დაიწყეს. მათ აღმოსავლეთში ორი საუკუნე გაატარეს და ისინი სხვა ევროპელი ჯვაროსნებისაგან განსხვავებით რელიგიურ ურთიერთობათა თავისუფლებითა და ტოლერანტიზმით გამოირჩეოდნენ, რაც მათ ერთ-ერთ ბრალდებად იქცა. ინკვიზიციის პროცესზე ტამპლიერები დაადანაშაულეს მუსლიმებთან საიდუმლო კავშირში და უფრო მეტიც სისასტიკით განთქმულ ასასინების სექტასთან ურთიერთობაში. ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ რამდენად სერიოზული იყო ეს ურთიერთობები, ბრალდებები და ჰქონდა თუ არა მას იდეური, ან საერთოდ რაიმე საფუძველი.

აღმოსავლეთი - ეს იყო პლაცდარმი სხვადასხვა რელიგიური სწავლების, მრავალრიცხოვანი მუსლიმური და წარმართული სექტების, ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში. აქედან გამომდინარე, ტამპლიერებსა და სხვა სასულიერო ორდენების წევრებს, ასევე მთლიანად ჯვაროსნებს წმინდა მიწაზე ურთიერთობა უხდებოდათ ყველა აღმსარებლობის ხალხთან. არსებულმა რეალობამ, ჯვაროსნული სამეფო-სამთავროების მოწყობამ, მოითხოვა მოსახლეობასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება. მიმდინარე მოვლენების თვითმხილველი, ბალდუინ I-ის კაპელანი ფულხერია შარტრელი,1120 წელს წერდა: „დასავლეთის მკვიდრნი აღმოსავლეთის მცხოვრებლებად ვიქეცით. გუშინდელი იტალიელი და ფრანგი გახდა გალილეველი და პალესტინელი. ჩვენ დაგვავიწყდა მშობელი ქვეყანა, ზოგმა სახლი აიშენა...ზოგმა ცოლი შეირთო, სირიელი, სომეხი, აგრეთვე მონათლული სარაცინი... ჩვენ ყველა ვსაუბრობთ რამდენიმე ენაზე ამ მიწაზე “(Перну : 2001 : 150).

ლევანტში დიდი ხნის განმავლობაში მცხოვრები ტამპლიერები, როგორც აღვნიშნეთ, მუსლიმებთან საიდუმლო კავშირში დაადანაშაულეს. პროცესზე მიზეზად დაასახელეს მათი კეთილმეზობლური და შემწყნარებლური დამოკიდებულება ურწმუნოებთან. ცნობილია, რომ არა მარტო ტამპლიერები, არამედ თვით იერუსალიმის მეფეებიც ცდილობდნენ წინაღდგომოდნენ უსასტიკეს ომებს მშვიდობიანი თანაარსებობის

პოლიტიკით. ურთიერთპატივისცემა, რასაც გარკვეულწილად ამავე დროს დიპლომატიური ტაქტიკა მოითხოვდა ევროპიდან წმინდა მიწაზე ახალ ჩასული ჯვაროსნებისთვის, გაუგებარი რჩებოდა, რაც ბუნებრივია არ არის საკმარისი საფუძველი ორდენის ისლამიზაციაში დადანაშაულების. პოლიტიკური კომპრომისის მცდელობა ჰქონდათ მუსლიმებსაც. იაფასთან ბრძოლაში ინგლისის მეფემ, რიჩარდ ლომგულმა დაკარგა ცხენი, მალიკ ალ-ადილმა (სალადინის ძმა) ეს შეამჩნია თუ არა მაშინვე გაუგზავნა ორი არაბული რაში, ხოლო როცა ავად გახდა რიჩარდი, თავად სალადინმა გაუგზავნა მას ხილიდა შერბეთი. საინტერესოდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ რიჩარდ ლომგული მალიკ ალ-ადილზე აპირებდა დის მითხოვებას, რათა მეზობლებს შორის მშვიდობას დაესადგურებინა, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა რელიგიური განსხვავებულობის გამო.

ტამპლიერებისა და მუსლიმების ურთიერთობების საკითხის კვლევისას უმნიშვნელოვანესია არაბი მემატიანისა და ელჩის, უსამა იბნ-მუნქიზის (1095-1188) ცნობა. იგი წერდა: „ ერთხელ, როდესაც მოვინახულე იერუსალიმი, შევედი ალ-აკსას მეჩეთში(რომელიც სოლომონის ტაძრის ადგილზე, ომარის მეჩეთის პირდაპირაა აგებული). მეჩეთის გვერდით იყო კიდევ პატარა მეჩეთი, სადაც ფრანკებმა ეკლესია მოაწყვეს, როდესაც მე შევდიოდი მეჩეთში, სადაც მეტაძრეები - ჩემი მეგობრები ცხოვრობდნენ, მათ გამომიყვეს პატარა მეჩეთი, რათა იქ მელოცა.

ერთხელ, შევედი მეჩეთში, რათა წარმომეთქვა ლოცვა „დიდია ალაჰი“ და დავიწყე ლოცვა. ერთი ფრანკი მომვარდა, დამავლო ხელი, მომაბრუნა სახით აღმოსავლეთისაკენ და დამიყვირა: „ილოცე ასე!“. მასთან მივიდა რამდენიმე მეტაძრე და მომაცილეს. მე კვლავ განვაგრძე ლოცვა, თუმცა ეს ფრანკი დაუსხლტა მეტაძრეებს და კვლავ მომვარდა, მომაბრუნა სახით აღმოსავლეთისკენ და დამიყვირა: „ილოცე ასე!“ მეტაძრეები ისევ შემოვარდნენ მეჩეთში, მომაშორეს ფრანკი, მომიბოდიშეს და მითხრეს: „ეს უცხომიწელია, იგი ამ დღეებში მოვიდა ჩვენთან ფრანკული მიწებიდან. მას არასოდეს არ უნახავს ისეთნაირად ელოცოს ვინმეს, რომ სახით აღმოსავლეთისკენ არ ყოფილიყოს მიტრიალებული“.- „მეყოფა უკვე ლოცვა“ - ვუპასუხე და გამოვედი მეჩეთიდან. მე ძალიან გამაკვირვა ამ ეშმაკისეული სახის გამომეტყველებამ, მისმა კანკალმა, თუ რა მოუვიდა, როცა დაინახა მლოცველი, რომელიც იდგა სახით სამხრეთისაკენ (ანუ მექის მხარეს, როგორც ამას ითხოვდა მუსლიმური რიტუალი) “(Мункыз 1958 : 211- 212). უსამა იხსენებს აგრეთვე თუ როგორ აჩვენა ერთმა ტამპლიერმა მას ღვთი-

სმშობლის გამოსახულება ყრმით ხელში და უთხრა: „ აი ღმერთი, როდესაც იგი ბავშ-ვი იყო“ (Φο 2008 : 268).

ჩვენი აზრით, შუა საუკუნეებში, თან იმ რეალობაში განხორციელებული ეს ტოლ-ერანტიზმი იმდროინდელი მსოფლიოსათვის უცხოც იყო და მიუღებელიც. ამასთან „მუსლიმური წყაროები, მკაფიოდ განასხვავებენ წმინდა მიწაზე თაობების განმავლ-ობაში დამკვიდრებულ და ახალჩამოსულ ფრანკებს. უსამა იბნ მუნკიზი აღნიშნავს, რომ: „ფრანკების მიწებიდან ახალმოსულები უფრო მკაცრი ხასიათის არიან, ვიდრე ისინი, ვინც მუსლიმებთან დიდი ხანია ურთიერთობენ“. ზემოთ მოყვანილი ისტორი-იდან ჩანს, რომ დასავლელებისაგან განსხვავებას, თავად ორიენტალიზირებული ფრანკებიც აცნობიერებდნენ“ (გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე 2015 : 113).

ინკვიზიციის პროცესზე ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა: „ჩემთვის სარწმუნო წყა-როებიდან ცნობილია, რომ ბევრი სულთანი მიიღეს ტამპლიერებმა და რაინდებმა მათ ნება დართეს ელოცათ თავიანთი ცრურწმენით და შევედრებოდნენ მუჰამედს“ (Φο 2008 : 268). უსამა მუნკიზის ცნობაც ადასტურებს მათ შემწყნარებლობას მუსლიმ-ებისადმი, მაგრამ ასეთი ურთიერთობები არ შეიძლება მივიჩნიოთ ორდენში ისლამის გავლენის მტკიცებულებად, იგი ტამპლიერების ტოლერანტულობას ადასტურებს.

ტამპლიერების მუსლიმებთან კავშირის ბრალდება არ იყო ახალი. იგი ჯერ კი-დევ სასამართლო პროცესამდე წაუყენეს ორდენს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ბრალ-დება პირველად ფრიდრიხ II-ჰოჰენშტაუფენმა გამოთქვა. მან ტამპლიერები დაადანა-შაულა დამასკოელი ელჩების მეტად გულღიად მიღებაში, მაშინ, როცა ფრიდრიხი კარგად არის ცნობილი ისტორიაში მეგობრული ურთიერთობებით ისლამურ სამყარ-ოსთან. მისი ბრალდება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ფრიდრი-ხის დაწყებულმა ტამპლიერების დისკრედიტაციამ მაინც გამოიღო შედეგი. ფილიპ IV-ის ქრონისტმა მათე პარიზელმა და გიიომ დე ნოგარემ განავრცეს და გააგრძელეს ფრიდრიხ II-ის მიერ დაწყებული ცილისწამებები მაშინ, როცა მათ კარგად იცოდნენ, რომ ტამპლიერები თავგანწირვით ებრძოდნენ მუსლიმებს წმინდა მიწაზე. საინტერ-ესოდ მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტის აღნიშვნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღ-იქვამდნენ და ექცეოდნენ ცნობილი მუსლიმი მმართველები ტამპლიერებს.

1187 წელს გამართული ჰატინის ბრძოლის შემდეგ სულთანმა სალადინმა დატყ-ვევებული ჯვაროსნები დამასკოს საპყრობილეში გააგზავნა და ზედამხედველები სა-სტიკად გააფრთხილა ტყვეებისათვის ზიანი არ მიეყენებინათ. ეს ბრძანება არ გავრცე-

ლდა ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების რაინდებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათში სულთანი ისლამის დაუძინებელ მტრებს ხედავდა. სალადინს ნაბრძანები ჰქონდა, ვინც ბერ-რაინდებს დაატყვევებდა, მათ 50 დინარით დააჯილდოვებდა. დასასჯელად გაყვანილ ტამპლიერებს ჯალათებები აწამებდნენ და სიკვდილის წინ სთავაზობდნენ სიცოცხლის ჩუქებას ისლამის მიიღების სანაცვლოდ, მაგრამ 230 ტამპლიერიდან არც ერთი არ დათანხმებულა ამ პირობას და ყველა მათგანს თავი მოჰკვეთეს.

1266 წელს სულთანი ბეიბარსი გარს შემოერტყა ტამპლიერების ციხე-სიმაგრე საფედს. ციხის კომენდანტი იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ტამპლიერები არჩევნის წინაშე დადგნენ - სიკვდილი ან ისლამიზაცია. ორდენის პრიორმა წევრებს გამძლეობისაკენ მოუწოდა, სარწმუნოების უარყოფას ყველამ სიკვდილი ამჯობინა. განრისხებულმა სულთანმა ბრძანა საფედის ყველა დამცველი გაენადგურებინათ, ხოლო პრიორისათვის ცოცხლად გაეძროთ ტყავი, მერე კი მოეკვეთათ თავი.

მბრალდებლები და ძირითადად პროცესის ორგანიზატორები ძალიან ცდილობდნენ ტამპლიერებზე მიწერილი კერპი - ბაფომეტი დაეკავშირებინათ მუჰამედთან, რითაც გაამყარებდნენ ისლამის ზეგავლენის ბრალდებას, მაგრამ ამაოდ. ტამპლიერების კერპთაყვანისმცემლობაში ბრალდება შემთხვევით არ აღმოცენებულა. ორდენს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა აღმოსავლეთთან, ამიტომ საზოგადოებისათვის არ იქნებოდა რთული ეჭვი შეეტანათ ტამპლიერების მუსლიმებთან კავშირში. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ დასავლეთის ქრისტიანთა ცნობიერებაში გაჩნდა აზრი, თითქოს მუსლიმები ეთაყვანებიან კერპებს, მაგრამ პროცესის დამკვეთმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ ისლამს საერთო არაფერი აქვს კერპთაყვანისმცემლობასთან, პირიქით, როგორც ცნობილია, მუსლიმური სარწმუნოება კრძალავს კერპებს და შეუძლებელია ბაფომეტი რაიმე კავშირში იყოს მუჰამედთან, ან საერთოდ ისლამთან. რასელის მოსაზრებით, მუსლიმებთან კავშირის ბრალდება გახდა უფრო მკვეთრი, როდესაც კერპს მიანიჭეს სახელი ბაფომეტი, რაც აშკარად იყო შეთავსებული, მაგომეტის, იგივე მუჰამედის სახელთან. რასელს აკვირვებს ის, რომ ტამპლიერების მდევნელებმა არ განავრცეს ისლამის თემა, თუმცა ისე ჩანდა, თითქოს სხვა ბრალდებას მეტად შეეძლო დაემცირებინა და დაეკნინებინა ორდენი (Рассел 2001 : 253).

გი ფოს მოსაზრებით მუსლიმური გავლენის ერთადერთ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ „წინასწარმეტყველის“ განსაზღვრება იესო ქრისტესთან მიმართებით. მუსლიმები იესოს წინასწარმეტყველად მოიხსენიებენ. ჯვრის უარყოფის

ბრალდების გახილვისას მოწმეთა მონათხრობიდან ვიგებთ, რომ თითქოს ტამპლიერ-ებიც ასე განიხილავდნენ მაცხოვარს. ალბერ დე კარნელმა თქვა: „რომ მას აიძულეს უარეყო ქრისტე, რომელიც იყო მხოლოდ „ცრუ წინასწარმეტყველი“; ჟან დე ბაალმა დააზუსტა, რომ მას უთხრეს: „მიაფურთხე წინასწარმეტყველს!“ ეს სიტყვა ხშირად მეორდება ჩვენებებშიც. და მაინც, რთულია ამაში სხვა რამის დანახვა, გარდა ფორმულირებისა, რომელიც იესოს ღვთიურ წარმომავლობას უარყოფს და აქედან არგუმენტის მიღება, რაც მოწმობს ტამპლიერების შეერთებას ყურანის რწმენასთან (Фо 2007 : 268-269 ).

ძალიან საინტერესო და უცნაურია ბრალდება, რომ თითქოს ტამპლიერებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ასასინებთან, რომელთა რელიგიური, ნეოისმაილიტური სექტა შეიქმნა XI საუკუნის ბოლოს ირანში, შიიტურ სექტაში მომხდარი განხეთქილების შედეგად. „ასასინების წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური შეხედულებების შესახებ უძველესი ცნობა 1175 წელს, ბურხარდ სტრასბურგელთან გვხვდება. იგი გადმოგვცემს, რომ ასასინები დამასკოს, ანტიოქიისა და ალეპოს მიწებზე ცხოვრობდნენ. ისინი სარკინოზებისაგან განსხვავებით ჭამდნენ ღორის ხორცს, სვამდნენ ღვინოს, მისდევდნენ მესაქონლეობას... მათ ჰყავდათ მეთაური, რომლისაც ყველა მეზობელ მუსლიმ და ქრისტიან მბრძანებელს ეშინოდა“(გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე 2015: 126). ასასინებს მოიხსენიებს გიიომ ტირელიც, 1180 წელს. მემატიანე წერს, რომ ევროპელები და სარაცინები მათ ეძახდნენ ასასინებს, მაგრამ ვერ ხსნის თუ საიდან მომდინარეობს ეს სახელი. თავად სექტის წევრები არ უწოდებდნენ თავს ასასინებს. მე-19 საუკუნეში ფრანგმა ისტორიკოსმა სილვესტრ დე საკმა განმარტა, რომ ასასინი არის არაბული სიტყვა (hassissin) (Newman 2007 :151) და ნიშნავს ჰაშიშის მომხმარებელს. სიტყვა გამოიყენებოდა ისლამურ ქვეყნებში, როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ისე ლიტერატურაში. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, ეს ტერმინი, ასასინის ფორმით, მყარად დამკვიდრდა იტალიურ და ფრანგულ ენებში მკვლელის მნიშვნელობით (Петрушевский 1966 : 298).

ასასინების სექტა დააარსა ფანატიკოსმა ხორასნელმა შიიტმა ჰასან იბნ საბაჰმა. მან ლიბანის მთებში ჩამოაყალიბა ახალი ორგანიზაცია, შემოიკრიბა მომხრეები, ხოლო 1090 წელს გადავიდა ირანში, აიღო ალამუთის ციხე-სიმაგრე და ასასინების რეზიდენციად აქცია. ასასინებმა სირიასა და ირანში დააარსეს სახელმწიფო, რომელმაც მალე მთელი ლიბანი მოიცვა. ამგვარად, მათ შექმნეს თეოკრატიული, სამხედრო -ტე-

რორისტული სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე უდიდესი ძლიერებით გამოირჩეოდა. ახლად შექმნილ სექტას ხელმძღვანელობდა შეიხი, რომელსაც დასავლეთიდან ჩამოსული ჯვაროსნები Vetulus De Mountanis „მთის უხუცესს“ ეძახდნენ, რადგან სექტა ბინადრობდა სირიისა და ირანის მაღალმთიან რეგიონებში.

„მთის უხუცესმა“ ჰასანმა შეადგინა ასასინების საიდუმლო სწავლება და შექმნა სახელმწიფოს მოწყობის თავისებური სტრუქტურა, რომელიც დაფუძნებული იყო ტერორსა და მკვლელობებზე. იგი ერთპიროვნულად მართავდა სექტას ჰაშიშის გამოყენების საიდუმლოს შენახვით. მის მიერ შექმნილი მოძღვრება შთააგონებდა სექტის ყველა წევრს: რომ თუ დაიღუპებოდა თავისი შეიხისთვის პირდაპირ სამოთხეში მოხვდებოდა. ასასინები ძალადობის ნებისმიერ ფორმას იყენებდნენ: დაშინება, მოსყიდვა, შანტაჟი მათთვის ჩვეულებად იქცა, მაგრამ ამათგან ყველაზე სასტიკი მეთოდი, რითაც მათ სახელი გაითქვეს, იყო მკვლელობები. ასასინების შესახებ მოგვითხრობს ქართველი მემატინე ჟამთააღმწერელიც. „იგი ასასინ ტერორისტებს „მულიდს“, მულიდებს უწოდებს და განმარტავს კიდეც: ისინი იყვნენ ადამიანები „რომელნი არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა“ (შველიძე, სიმაშვილი 2017: : 4).

ასასინები ტამპლიერების მსგავსად თეთრ მოსასხამს ატარებდნენ, იკეთებდნენ წითელ ქამარს და ასეთივე ფერის ქუდს. ასასინისთვის დავალების შესასრულებლად არანაირი დაბრკოლება არსებობდა. ვერავინ გადაურჩებოდა მათ ხანჯალს. ასასინების სექტის აღმავლობის ხანა დაემთხვა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქას. მათ დიდი ზიანი მიაყენეს ქრისტიანებს. ფრანკებს და თვით მუსლიმებსაც ეშინოდათ მათი. საფრანგეთის მეფე, ფილიპ-ოგიუსტი მრავალრიცხოვანი დაცვის გარეშე მიახლოვებას ვერ ბედავდა ასასინების ტერიტორიასთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ მრავალი ქრისტიანიდან ასასინების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი მარკგრაფი კონრად მონფერატელი აღმოჩნდა. მას უთანხმოება მოუვიდა „მთის უხუცესთან“, რაშიდ-ად-დინ სინანთან (1169-1192), რომლის ორი ფანატიკოსი ასასინი მოჩვენებითად მოინათლა ქრისტიანულად და 1192 წლის 28 აპრილს ქალაქ ტირში, ქუჩაში, ისინი კონრადს თავს დაესხნენ და მოკლეს.

ასასინების სისასტიკემ და შიშმა მოიცვა მთელი ლევანტი. გავრცელდა ცნობა თითქოს ისინი ლუი IX-საც დაემუქრნენ. მათ ორჯერ სცადეს სალადინის მოკვლაც. ყველა მმართველი ახლო აღმოსავლეთში მუდმივად იმყოფებოდა ასასინების საფრთხის

ქვეშ. ისინი თურმე გამონაკლისს უშვებდნენ მხოლოდ რაინდული ორდენების მაგისტრებისათვის. ირკვევა, რომ მუქარა არ ვრცელდებოდა მხოლოდ ტამპლიერებსა და ჰოსპიტალიერებზე, რადგან ნებისმიერი მოკლული  მაგისტრი შესაძლებელი იყო მაშინვე გამოცვლილიყო „რისთვის მოვკლათ მათი მაგისტრი? - ამბობდნენ ისმაილიტები, თუ ისინი მის ნაცვლად ახალს დასვამენ?“ (Андреев 2003 : 147).  მხოლოდ ტამპლიერებს არ ეშინოდათ მათ ტერიტორიებზე შესვლის და ციხეებზე თავდასხმის, ისინიც იძულებულნი იყვნენ ყოველწლიურად ტამპლიერებისათვის გადაეხადათ ხარკი.

მკვლევართა ნაწილი (მელვილი, ლობე, შუსტერი, ნიუმენი, რიდი, ანდრეევი)მიიჩნევს, რომ: ტამპლიერებს გარკვეული სახის ურთიერთობა ჰქონდა ასასინების სექტასთან, მაგრამ მათი ზეგავლენის ქვეშ არ იმყოფებოდნენ. მეორე ნაწილი კი (ბუტმი, კლაველი, დასტე, კადე დე გასიკური, ვებსტერი) აცხადებს, რომ ტამპლიერებს ახლო კავშირი ჰქონდათ ასასინებთან. კლაველი წერდა: „ ტამპლიერები წარმოადგენდნენ გნოსტიციზმის ერთ-ერთ ტოტს...ისინი სხვადასხვა დროს ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ასასინების საიდუმლო კავშირთან, რომ ორივე კავშირს გააჩნდა  ერთნაირი ორგანიზაცია, ინიციაციის საფეხურები, ერთნაირი ფერის ტანსაცმელი (თეთრი-წითლით) და რომ, როგორც ასასინები, ისე ტამპლიერები მიისწრაფვოდნენ დაენგრიათ ის რელიგიები, რომლებსაც ისინი გარეგნულად აღიარებდნენ “(Бутми 1914 : 152).

აბატი დეშანი იმოწმებს მწერალ რაგონის სიტყვებს: „ ჯვაროსნები, როდესაც გამოჩნდნენ აზიაში იმისათვის, რომ დაეპყროთ წმინდა მიწა და აღემართათ ჯვარი, გაეცნენ გნოსტიკურ და მანიქეველურ მისტერიებს, რომლებიც შემონახული იყო იქ მცხოვრებ მცირერიცხოვან ქრისტიანებში...ამ სახით ტამპლიერები აზიაში განდობილნი იყვნენ იუდეურ მისტერიებში “...(Бутми 1914 : 153). რაგონი ამტკიცებს, რომ ორდენის დამაარსებელი და პირველი მაგისტრი ჰუგო დე პეიენი უკვე ფლობდა აღმოსავლეთის ქრისტიან ერეტიკოსთა მისტერიებს (Бутми 1914: 155).

საიდუმლო საზოგადოებების მკვლევარი ლუი დასტეც ამაზე მიგვითითებს, რომ ტამპლიერების ორდენმა აღმოსავლეთში იუდაიზმის გავლენა მიიღო სწორედ ასასინების სიცოცხლისუნარიანი სექტისაგან (Бутми 1914 : 153).

დასტე და კლაველი აცხადებენ, რომ ტამპლიერების ორდენის დამაარსებელმა ჰიუგ დე პეიენმა დაარწმუნა იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II დაკავშირებოდა „მთის უხუცესს“, რომელსაც ჯვაროსნებისათვის უნდა გადაეცა ქალაქი დამასკო, სანაცვლოდ კი მიეღო ქალაქი ტირი. შუსტერის ცნობით საიდუმლო შეთანხმება შედგა დაი-

ელ კებირ-აბუ-ვაფსა და ბოლდუინ II-ს შორის, მაგრამ ეს კავშირი სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მოკავშირეები დამასკოსთან დამარცხდნენ. ეს მოღალატეობრივი ჩანაფიქრი გამოაშკარავდა და დამასკოში მყოფ ყველა მკვლელს სასტიკად გაუსწორდნენ (Шустерь 1905: 163).

ნესტა ვებსტერის თანახმად: 1149 წელს, როდესაც იმპერატორი კონრად III დამასკოსთან დამარცხდა, ტამპლიერებს, როგორც ჩანს, საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა ამ ქალაქის მეციხოვნეებთან (ხუბაშვილი 2005: 140). ჩვენი აზრით, ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა, რადგან, როგორც ცნობილია დამასკოსთან მარცხში დადანაშაულებული იყო მრავალი ადამიანი, მათ შორის იერუსალიმის პატრიარქიც.

ტამპლიერებს ახლო ურთიერთობა არ ჰქონდათ ასასინებთან, პირიქით ისინი დამორჩილებული ჰყავდათ. 1152 წელს, როდესაც ასასიანებმა მოკლეს ტრიპოლის გრაფი რაიმონდი, ტამპლიერები შევიდნენ მათ ტერიტორიაზე და აიძულეს ისინი ყოველწლიურად გადაეხადათ ხარკი, 12 ათასი ოქრო დანაშაულის გამოსასყიდად. ცოტა ხნის შემდეგ ჰოსპიტალიერებმაც, რომლებიც ფლობდნენ ასასინების ტერიტორიის საზღვარზე კრაკ დე შევალიეს, ასევე მოითხოვეს ხარკი მათგან. ასასინების მიწებთან ახლოს მდებარეობდა ტამპლიერების ციხე-სიმაგრე კასტელ ბლანი. პილიგრიმი ვილბრანდ ოლდენბურგელი, რომელმაც 1212 წელს იმოგზაურა სირიაში აღნიშნავდა: „ჩვენ ვნახეთ კასტელ ბლანი, ძლიერი და სახელოვანი ციხე, მთებში მდებარე, მთის მოხუცის სამფლობელოების მეზობლად. ეს ციხე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ასასინებისა და ალეპოს სულთნისათვის. იმისთვის, რომ ტამპლიერებს ამ ციხიდან თავდასხმები არ მოეწყოთ, ისინი რაინდებს წლიურად ორი ათას მარკას უხდიდნენ“ (გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე 2015 : 118).

1160 წელს ისმაილტების სექტის ტრადიცია შეიხ ჰასანის მოქმედებით სრულიად შეიცვალა. მან მუჰამედის კანონების საწინააღმდეგოდ მოულოდნელად გამოაცხადა, რომ აღდგომის სჯეროდა. მისმა ერთგულმა მოსწავლემ სინანმა ეს ახალი ინფორმაცია სწრაფად გაავრცელა სირიელ მუსლიმებში, ხოლო ამ ამბიდან 13 წლის შემდეგ, 1173 წელს თვითონ მიმართა ანქტიოქიის პატრიარქს იმავე განცხადებით. სინანმა ელჩი აბდულა გაუგზავნა იერუსალიმის მეფეს ამორი I-ს (1163-1174) და შესთავაზა სარაცინების წინააღმდეგ კავშირი თუ ტამპლიერები უარს იტყოდნენ გადასახადის მოთხოვნაზე. ამასთან ერთად, ის გამოთქვამდა სურვილს, რომ მიიღებდა ქრისტიანობას თავის მიმდევრებთან ერთად. ამორი I სიხარულით დათანხმდა ასასინების წინ-

ადადებას, ელჩი დიდი პატივით მიიღო და შეჰპირდა, რომ ტამპლიერებს თვითონ გადაუხდიდა ხაზინიდან 2 ათას ოქროს მონეტას, მაგრამ უკან საჩუქრებითა და წერილით დაბრუნებული ელჩი სიდონელმა ტამპლიერმა გოტიე დიუ მენილმა გზაში მოლა (ყელი გამოჭრა). მკვლელობის მოტივი უცნობია. ასასინების მიერ წაყენებულ პირობებში აგრეთვე გათვალისწინებული იყო, ტამპლიერებს შეეწყვიტათ ნადავლის შეგროვება ისმაილიტების ტერიტორიაზე. მართალია, ამორი I დაჰპირდა ტამპლიერებს დანაკარგის ანაზღაურებას, მაგრამ ისმის კითხვა: ხომ არ ისახავდა ჰასანის მოქმედება მიზნად გადასახადის თავის დაღწევის გარდა მოეტყუებინა მეფე დაპირებებით? ძნელია იმის გააზრებაც, რომ შეიხი და მისი ფანატი ასასინები მასობრივად გაქრისტიანდებოდნენ. ტამპლიერებიც შესაძლოა სკეპტიკურად უყურებდნენ ამ ამბავს (Андреев 2003 : 147).

შეთანხმების ჩაშლით გაბრაზებულმა ამორი I-მა საბჭო მოიწვია და ტამპლიერთა დიდ მაგისტრს, ოდონ დე სენტ-ამანს მოსთხოვა მკვლელის გადაცემა, რაზედაც მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ: „მეტაძრის გასამართლება და დასჯა შეუძლია მხოლოდ მას და რომის მღვდელმთავარს“ (Заборов 1956: 131). ამორი I-მა გააგზავნა შეიარაღებული რაზმი და შეიპყრო მკვლელი, რომელიც მეფემ ქალაქ ტირის საპყრობილეში დაატუსაღა, სინანს კი ბოდიშის წერილი გაუგზავნა და არწმუნებდა, რომ ეს ინციდენტი მოხდა მისი ნების გარეშე. ამ ფაქტმა იმდენად გაამწვავა იერუსალიმის მეფესა და ტამპლიერებს შორის ურთიერთობა, რომ ამორი I -მა ისიც კი გადაწყვიტა, რომის პაპისა და ევროპელი მონარქებისათვის მიემართა ორდენის დაშლის წინადადებით, თუმცა ეს ვერ განახოციელა, რადგან მალე გარდაიცვალა.

დაუდგენელია ელჩ აბდულას მკვლელობის მიზეზი. რიდს ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია, რომ მკვლელი გოტიე დიუ მენილი მოქმედებდა პირადი ინიციატივით, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ორდენის დიდმა მაგისტრმა, ოდონ დე-სენტ ამანმა ოფიციალურად არ აიღო თავის თავზე ამ ინციდენტზე პასუხისმგებლობა. ორდენის წესდებიდან ვიცით, რომ ტამპლიერები დებდნენ მორჩილების ფიცს და მხოლოდ მაგისტრის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. მემატიანე გიიომ ტირელი ამ საქციელს სარჩულად უდებს ტამპლიერების სიხარბეს და არგუმენტად მოჰყავს ის, რომ თუ ასასინები ქრისტიანულად მოინათლებოდნენ, ტამპლიერები დაკარგავდნენ ორი ათას ბეზანტს.

მემატიანე ვალტერ მაპი ვარაუდობს, რომ ტამპლიერებს ეშინოდათ მშვიდობის დადგომის, რადგან ეს ორდენის არსებობის საფუძველს შეარყევდა და აღმოჩნდებოდა, რომ ტამპლიერები საჭირონი აღარ იყვნენ.

თანამედროვე ისტორიკოსები თვლიან, რომ ორდენის ხაზინაში ჰაინრიხ საქსონელს ისეთი მსხვილი შეწირულობა შეჰქონდა, რომ საეჭვოა მათთვის ეს მცირე თანხა, ორი ათასი ბეზანტი ყოფილიყო მნიშვნელოვანი დანაკარგი. უფრო დამაჯერებელია სხვა ახსნა: ტამპლიერებმა კარგად იცოდნენ რა ასასინების ურწმუნოება, ჩათვალეს, რომ ისმაილიტებმა იერუსალიმის მეფე ამორი გაასულელეს. ასასინების სექტისადმი უნდობლობაში ტამპლიერებს მხარს უჭერდა ტრიპოლის გრაფი რაიმუნდ III, რომლის მამაც ამ ფანატიკოსების მხვერპლი გახდა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სინანთან მოლაპარაკებები აღარ გაგრძელებულა და ისმაილიტების მონათვლის იდეაც სამუდამოდ დავიწყებას მიეცა (Рид 2005 : 188-189). ამ ფაქტის შემდეგ ასასინები სასტიკად სდევნიდნენ არა მარტო ტამპლიერებს, არამედ ქრისტიანებსაც.

აღსანიშნავია რომ ისლამის წიაღში აღმოცენებული ასასინების მოძღვრება ეწინააღმდეგებოდა ყურანის სწავლებას, რადგან მაღალი იერარქიის ასასინები ისლამის კანონებს არ ანიჭებდნენ არანაირ მნიშვნელობას. იერუსალიმის მეფეები განცვიფრებულნი დარჩნენ, როცა ამაში დარწმუნდნენ. ამიტომაც სიფრთხილეს იჩენდნენ მათთან ურთიერთობისას, ცდილობდნენ ისმაილიტები მოექციათ თავიანთ რწმენაზე და მოკავშირეებად გაეხადათ. „თავის მხრივ ასასინებიც ფრანკებს შესაძლო მოკავშირეებად თვლიდნენ სუნიტებთან ბრძოლაში“ (Лобе 2003 : 55).

უმკაცრესი დისციპლინით განთქმული შეიხი, „მთის უხუცესი“ რაშიდ ად-დინ სინანი (1162-1192), რომელმაც დაიმორჩილა ყველა ისმაილიტური სამფლობელო სირიაში და უარი თქვა ალამუთზე, აბუ ფირასისა და გიიომ ტირელის ცნობების მიხედვით, სახარებას კითხულობდა და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ტამპლიერებთან სირიაში, ისმაილიტებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. მსგავს ცნობებს გვაწვდიან სხვა ისტორიკოსებიც (Строева 1978 : 201).

1236 წელს პაპმა გრეგორიუს IX-მ ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები დაადანაშაულა ასასინებთან კავშირში ანტიოქიის მთავრის წინააღმდეგ. ის საყვედურობს მათ იმაშიც, რომ ყოველწლიური ძღვენის სანაცვლოდ ისინი მფარველობდნენ ურწმუნოებს. ჩვენთვის უცნობია რამდენად საფუძვლიანია პირველი ბრალდება, მაგრამ შესაძლებლობას არ გამოვრიცხავთ, რადგან არა მარტო ტამპლიერები, არამედ მრავალი

ქრისტიანი მმართველი იყო ეჭვმიტანილი ასასინებთან ფარულ ურთიერთობებში. ერთ-ერთი მათგანია რიჩარდ ლომგული. ინგლისელი ისტორიკოსები ცდილობდნენ, მოეხსნათ მისთვის ბრალდება, რომ მან უბიძგა ასასინებს კონრად მონფერატელის მკვლელობისაკენ. ცნობილია ისიც, რომ თითქოს ფრიდრიხ II-მ ასასინებს, ბავარიის ერცჰერცოგის მოკვლა სთხოვა. თავად ფრიდრიხი კი ბოჰემიის მეფისადმი გაგზავნილ წერილში, ავსტრიის ერცჰერცოგს სდებს ბრალს მის წინააღმდეგ თავდასხმაში. ისტორიკოსები მოიხსენიებენ ასევე ერთ არაბს, რომელიც 1158 წელს შეიპყრეს იმპერატორის ბანაკში მილანის ალყის დროს. მას განზრახული ჰქონდა იმპერატორის, ფრიდრიხ I ბარბაროსას მოკვლა. ვინ შეაიარაღა ეს ასასინი, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ნათელია ის, რომ უნდობლობა არსებობდა ევროპის მმართველებს შორის და ჰასანის მიმდევრების რიცხვიც იზრდებოდა ამის შესაბამისად (Гекерторн 1876 : 133).

რ. თვარაძის თანახმად „ მაქს ზემპერთან ვხვდებით აკვიატებულ იდეას, რომ ტამპლიერთა ორდენი ჩამოყალიბდა ასასინთა გაერთიანების საფუძველზე, რაკი ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ორდენი ტამპლიერებთან გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს, ამიტომ, ზემპერის აზრით, სავსებით ბუნებრივი იქნება თუკი ვოლფრამსა და მკვლელ ასასინებთანაც აღმოვაჩენთ სულიერ ნათესაობას. ამ მიზეზით ზემპერმა შეთხზა ლეგენდა, თითქოს ასასინები საიდუმლო ცოდნას ფლობდნენ და აღნიშნული საიდუმლო ცოდნის ნაწილი გახლდათ გნოსტიკოსებისა თუ მანიქეველებისაგან მემკვიდრეობით მიღებული მარგალიტის ამბავი. აქედან მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: ასასინებთან დაცულ მარგალიტის ლეგენდას ვოლფრამი ტამპლიერებისაგან გაითავისებდა, მაგრამ თვარაძის მოსაზრებით, ასასინთა გაერთიანების ორგანიზაციული (და არა რელიგიურ-ფილოსოფიური) ასპექტების ტამპლიერთა მიერ სესხება მხოლოდ ვარაუდია. ამასთან, მეტად საეჭვო ვარაუდი და მეცნიერებაში ის გაზიარებული არ გახლავთ. ხოლო ასასინებთან ეზოთერული ცოდნის არსებობა საერთოდ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ასასინებს რაც არ გააჩნდათ, შესაბამისად იმას ტამპლიერებს ვერ გადასცემდნენ“ (თვარაძე 2000 : 92).

ლობე აღნიშნავს, რომ ტამპლიერების ორდენის ტაძრების სამრეკლოების მრგვალი გუმბათები მეჩეთის სახურავებს მოგვაგონებენ, რომ ორდენის ცხოვრებაში ბევრი აღმოსავლური ჩვეულება შევიდა (Лобе 2003 : 46). ისიც ცნობილია, რომ სირია-პალესტინასა და ესპანეთში ტამპლიერები გამოიყენებდნენ მუსლიმურ სამუშაო ძალას, ხშირად ესენი იყვნენ მონები. ტამპლიერები იძულებული იყვნენ გამოემუშავებინათ

დიპლომატია, რომელიც მორგებული იქნებოდა მუსლიმური სამყაროს ტრადიციებთან. ასევე მოქმედებნენ ჰოსპიტალიერებიც და ადგილობრივი დიდგვაროვნებიც (Демурже 208 : 295), მაგრამ მათთვის არანაირი მსგავსი ბრალდება არ წაუყენებიათ.

აღმოსავლეთში მუსლიმებთან ბრძოლამ, ბუნებრივია, თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ტამპლიერებმა შეცვალეს ქრისტიანობა სხვა რელიგიით, ან ისლამიზაცია განიცადეს. ისინი არ ცხოვრობდნენ მუსლიმებივით, მათ საერთო არაფერი ჰქონდათ, აღნიშნავდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს და განსხვავებული იდეებისათვის იბრძოდნენ.

ორდენის მიზანს საწყის ეტაპზე წარმოადგენდა აღმოსავლეთში გაბატონება.ისინი ფლობდნენ ვრცელ ტერიტორიებს და მრავალ ციხე-სიმაგრეს წმინდა მიწაზე. მიზნის მისაღწევად გამოიყენებდნენ გაწონასწორებულ დიპლომატიასა და შემწყნარებლურ პოლიტიკას. იმასაც აღვნიშნავთ, რომ ტამპლიერების ორდენის ისტორიაში გამოთქმულია მოსაზრება რელიგიათა სინკრეტიზმის შესახებ. ჰოჰენშტაუფენების მესიანისტური დინასტიის უდიდეს წარმომადგენელს იმპერატორს ფრიდრიხ II-ს მართლაც ჰქონდა ქრისტიანობისა და ისლამის გაერთიანების იდეა ... ცნობილია ის ფაქტიც, რომ ეგვიპტის ძლევამოსილი სულთანი სალაჰ-ად-დინი ქრისტიანებთან გარკვეულ მოლაპარაკებებზე თანხმდებოდა...რიჩარდ ლომგულმა მას ერთიანი, ქრისტიანულ-მუსლიმური სახელმწიფოს შექმნა შესთავაზა. ცოტა მოგვიანებით კი, XV საუკუნეში პაპმა პიუს II-მ მეჰმედ II-ს წერილი გაუგზავნა, ისლამისა და ქრისტიანობის გაერთიანება შესთავაზა, სანაცვლოდ კი- ერთიანი მსოფლიოს გვირგვინს ჰპირდებოდა (ხუბაშვილი 2005: 142).

ფერნარ ჰეუორდი წერდა: „ტამპლიერები ოცნებობდნენ მსოფლიო ბატონობაზე, რომელშიც მათ უნდა ეთამაშათ მთავარი როლი, ამის გამო არაა გასაკვირი, თუ ისინი იქნებოდნენ მომხრე ერთგვარი რელიგიური სინკრეტიზმისა, რომელიც წარმოიშობოდა ქრისტიანული და მუსლიმური სწავლების შეერთებით“ (Григулевич 1976: 187). თუმცა, ჰეუორდს და არც სხვა ისტორიკოსებს არ გააჩნიათ ამის მტკიცებულება. მით უმეტეს, არანაირი საფუძველი არ არსებობდა ჰასან იბნ-საბაჰისა და ტამპლიერების რელიგიური სინკრეტიზმისა, რადგან თავად ჰასანი იყო გნოსტიციზმის გავლენის ქვეშ. აგრეთვე, ტამპლიერები მომხრე რომ ყოფილიყვნენ რელიგიათა სინკრეტიზმისა, მაშინ ფრიდრიხ II, რომელსაც მართლაც ჰქონდა ქრისტიანობისა და ისლამის გაე-

რთიანების იდეა მათ არ  დაუპირისპირდებოდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის ტამპლიერებში მეტოქეს ხედავდა.

ტამპლიერებს, მართლაც რომ ჰქონოდათ მსოფლიოზე ბატონობის ამბიცია, ეს შეუძლებელი იქნებოდა მუსლიმებთან და ასასინების სექტასთან ერთობლივ კავშირში, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ასასინები 1256 წელს  გაანადგურეს მონღოლებმა და ტამპლიერებაც აკრის დაცემის შემდეგ დატოვეს წმინდა მიწა.

ისტორია ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კავშირებს მუდამ გლობალური მნიშვნელობა გააჩნდა, ტამპლიერებმა ორი საუკუნე გაატარეს წმინდა მიწაზე და დიდი წვლილი შეიტანეს აღმოსავლეთთან ურთიერთობაში ჯვაროსნული ლაშქრობების  დროს. ორდენს იქ უდიდესი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა. არაბებს არაერთხელ უთხოვიათ მათთვის მოლაპარაკებებზე თავდებად დადგომოდნენ ლათინებთან.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა ის  ფაქტები, რომლებიც ტამპლიერების მუსლიმებთან და ასასინებთან ახლო ურთიერთობებზე მეტყველებს, მართალია, საბოლოო დასკვნის გამოტანა ძალიან ძნელია, მაგრამ  აღვნიშნავთ, რომ ორდენს ჰქონდა ურთიერთობა მუსლიმებთან და ასასინების სექტასთან, ისევე, როგორც სხვა ქრისტიან მმართველებს, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ, დიპლომატიური ტაქტიკა იყო. ასასინებთან ურთიერთობით გი ფოს აზრით, ის რომ ქრისტიანები ცდილობდნენ გამოეყენებინათ განხეთქილება მუსლიმურ სამყაროს  შორის, წარმოადგენდა მხოლოდ დიპლომატიურ ტაქტიკას. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ მოტივაცია ტამპლიერერების ასასინებთან, ან მუსლიმებთან დაახლოებისთვის. მართალია, ტამპლიერებს და ასასინებს ერთი ფერის სამოსი ემოსათ, მაგრამ  ეს არაფერს ამტკიცებს, რადგან  ორივე ორგანიზაციას ჰქონდა განსხვავებული მიზნები: ტამპლიერებს წმინდა მიწის დაცვა, ასასინებს კი - ირანში ისმაილიტების სახელმწიფოს შექმნა. შესაძლებელია ორდენის ცხოვრებაში ბევრი აღმოსავლური წესი შევიდა, რადგან იქ გატარებულ ორ საუკუნეს უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ იმ ბრალდებებიდან, რომლებიც ორდენს წაუყენეს (აღმოსავლური მისტერიები და სხვა) დაკითხვის ოქმებში არცერთი არ დასტურდება.

ფაქტია, რომ დიპლომატიური ტაქტიკა მბრალდებლებში იწვევდა ეჭვს, რომ ტამპლიერები იყვნენ მუსლიმების თანამზრახველები, რაც სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებლების მშვიდობიანი თანაარსებობის  მზაობას და  ხშირად არც თუ მშვიდობიანის, ვერ მივიჩნევთ  იდეოლოგიური,

სულიერი ან რაიმე კავშირების საფუძვლად იმ მოცემულობაში, სადაც ეს კონფესიები ოფიციალურად აღიარებულ რელიგიას წარმოადგენდნენ. წმინდა მიწა, რომელიც, სამი უდიდესი მსოფლიო რელიგიის: ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის სამშობლოცაა, ასევე იყო პლაცდარმი სხვადასხვა რელიგიური სწავლების, მრავალრიცხოვანი მუსლიმური და წარმართული სექტების, ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში. ასეთ რეალობაში ბუნებრივია სხვადასხვა აღმსარებლების თანაცხოვრება სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო და არა იდეური თუ იდუმალი კავშირის საფუძველი. ამდენად, ტამპლიერების ისლამიზაცია და ასასინების სექტის ზეგავლენის ბრალდება გაზვიადებულად მიგვაჩნია, რადგან ორდენის ისტორიაში არ არსებობს მტკიცებულება ამის დასაბუთებისა. ისლამის გავლენას სულ მცირე გამოძახილი მაინც უნდა დაეტოვებინა ტამპლიერების მოქმედებებსა და წესებში, რასაც ჩვენ საფუძლიანი კვლევის შემდეგაც ვერ მივაგენით. „ტამპლიერებს მართლა რომ ჰქონოდათ განსაკუთრებული კავშირები მუსლიმურ სამყაროსთან, მაშინ სალადინი, ბეიბარსი, კალაუნი, ალ-აშრაფი არ დახოცავდნენ წარბშეუხრელად და დაუნდობლად ტყვედ ჩავარდნილებს. სავსებით ვიზიარებთ ა. დემურჟეს მოსაზრებას, რომ: „ტამპლიერები იყვნენ ქრისტიანების ავანგარდი მუსლიმებთან ბრძოლაში და არა ისლამის ტროას ცხენი ქრისტიანულ სამყაროში “ (Демурже 208 : 296).

ამგვარად, აღვნიშნავთ, რომ ორდენს ჰქონდა ურთიერთობა მუსლიმებთან და ასასინების სექტასთან, ისევე, როგორც სხვა ქრისტიან მმართველებს, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ, დიპლომატიური ტაქტიკა იყო.

ფაქტებმა ცხადყო, რომ ასასინებსა და ტამპლიერებს შორის ურთიერთობები სულაც არ ყოფილა კეთილმეზობლური და მეგობრული. პირიქით, ტამპლიერებს ისინი დამორჩილებულნი ჰყავდათ და ხარკის გადახდასაც აიძულებდნენ, ასევე არც მათი ელჩის მოკვლასაც ერიდებოდნენ. და კიდევ, პალესტინაში საცხოვრებლად დარჩენილი ტამპლიერები მუდმივად არ ებრძოდნენ მუსლიმებს. ეს არც წმინდა მიწის მმართველთა ინტერესებში შედიოდა, რადგან აუცილებელი იყო ადაპტაციაც. მართალია, ტამპლიერები იყვნენ თავგანწირული მებრძოლები, მაგრამ ურთიერთდანდობა, შემწყნარებლობა და სხვისი რელიგიის პატივისცემა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ისლამის გავლენის ქვეშ მოექცნენ. მეტაძრეები ამგვარი პოლიტიკით აყალიბებდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის სრულიად ახალ მოდელს, რაც ჩვენი აზრით, ინოვაციური და გაუგებარიც იყო იმ ეპოქის ადამიანებისათვის და ვფიქრობთ, რომ ეს საკით-

ხი დღესაც აქტუალურია. ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში განხორციელებული ეს ტოლერანტიზმი წარმოადგენდა სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხთა დაახლოების მცდელობას და არა რომელიმე სარწმუნოების მიღებას, ან სულიერი ზეგავლენის ქვეშ მოქცევას, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ამავდროულად ეწინააღმდეგებოდა იმ ეპოქის რელიგიურ დოგმატიკას. ალბათ, სწორედ ამიტომ ვერ იგებდნენ ევროპიდან ჩასული ჯვაროსნები ტამპლიერების კომპრომისის მცდელობას, რომ რელიგიურ მტრებს შორის დადებულიყო შეთანხმება. „რჯულშემწყნარებლობა, საკანონმდებლო წესით, მოგვიანებით დადგინდა (1786 წელს დამტკიცდა აშშ-ს მესამე პრეზიდენტის კანონპროექტი ტოლერანტიზმის შესახებ)“ (აბაშმაძე 1989: 75).

ყოველივეს გათვალისწინებით ნათელია, რომ ტამპლიერებმა თავიანთი შემწყნარებლური პოლიტიკით ბევრად გაუსწრეს თავიანთ დროს.

## 3.3. ტამპლიერები და კათარები

ტამპლიერები საბრალდებო პროცესზე დაადანაშაულეს ლანგედოკელ კათარებთან ურთიერთკავშირსა და ორდენში მათი სწავლების შეტანაში.ეს საკითხი დღესაც ძალიან საინტერესოა, საკამათოა და საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

ევროპაში დაბრუნების შემდეგ ტამპლიერთა მცირე ნაწილი ლანგედოკში დასახლდა. მათ იქაურმა მდიდარმა მიწათმფლობელებმა აჩუქეს მიწის ნაკვეთები და ციხე-სიმაგრეები. XIII საუკუნის დასაწყისში ლანგედოკი ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა საფრანგეთს. მას მართავდნენ ტულუზის გრაფები. ლანგედოკი თავისი ქალაქებით საფრანგეთის ყველა სხვა რაიონზე მდიდარი და კულტურული იყო. კულტურა აქ ბიზანტიიდან შემოვიდა, განიცდიდა ესპანეთის არაბთა გავლენასაც, ისლამი და იუდაიზმი მარსელიდან აღწევდა; ლანგედოკში ყველნაირი აღმსარებლობა ვრცელდებოდა და ამიტომ ერთგვარ რელიგიათა სინკრეტიზმი ჩამოყალიბდა. რომაულ-კათოლიკური ეკლესია აქ არ იყო ავტორიტეტული. ამ ფაქტორებმა განაპირობეს ლანგედოკში თავისებური კულტურის ჩამოყალიბება, რის საფუძველზეც აღმოცენდა სპეციფიკური რელიგიური იდეოლოგია (ერესი), რომლის მიმდევრებს ალბიგოელებს უწოდებდნენ. მათ ქალაქ ალბიში დააარსეს თავიანთი საეპისკოპოსო. იგი იყო მათი მოძრაობის ცენტრი, ამიტომ სავარაუდოა სახელი აქედან წარმოსდგებოდეს. ამ სახელწოდებაში ერ-

თიანდებოდნენ, როგორც კათარები[1] ისე ვალდენსები[2]. XII საუკუნის ბოლოს ეკლესიის წარმომადგენლებმა შემოიღეს ტერმინი „კათარი“. XIV საუკუნეში ბერნარ გიმ მათ უწოდა: „ახალი მანიქეველები“, ან „მანიქეველები ახალი დროის“ (Керов 1986 : 52 ). თავად კათარები თავს მოიხსენიებდნენ „ჭეშმარიტ ქრიტიანებად“ (Veri christiani) (Керов 1986 : 52). კათოლიკური ეკლესია კი მათ არიანელებსა და მანიქეველებს უწოდებს, რადგან სხვადასხვა რელიგიურ სწავლებას აერთიანებს.

კათარების დოგმატიკას საფუძვლად ედო მანიქეისტურ-დუალისტური მოძღვრება სამყაროს ორსაწყისიანობის შესახებ. ისინი აღიარებდნენ დუალიზმს, ორი დამოუკიდებელი საწყისის - კეთილისა და ბოროტის შესახებ. კათარები ყოველივე მიწიერისა და ხორციელის დაგმობას მიჰყავდა უკიდურესი ასკეტიზმისაკენ. ისინი არ ჭამდნენ ხორცს, კვერცხს, არ სვამდნენ რძეს, რამეთუ მათ მიღებას მიიჩნევდნენ ცოდვად. უარყოფდნენ ეკლესიას, საეკლესიო საიდუმლოებებს, ღვთისმსახურებას, ქორწინებას, წმინდანთა, ჯვრისა და ხატების თაყვანისცემას. ჯვარი, მათი სწავლებით იყო არა რწმენის, არამედ წამების იარაღი, რადგან ძველ რომში ის მიაჩნდათ სირცხვილის სიმბოლოდ და საწამებლად ჯვარზე აკრავდნენ ხალხს. ყველა კათარი უარყოფდა აღდგომას და მიაჩნდა, რომ აღდგომა შეუძლია მხოლოდ სულს. ისინი ამხელდნენ კათოლიკური სამღვდელოების მანკიერებას, რომის პაპს თვლიდნენ სატანის მოადგილედ და მას ანტიქრისტეს უწოდებდნენ. კათარები აპროტესტებდნენ სოციალურ უსამართლობას, მოითხოვდნენ საეკლესიო მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და უარს ამობდნენ მეათედის გადახდაზე. მკვლელობას თვლიდნენ ცოდვად, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდათ თვითმკვლელობა. კათარების უმრავლესობა სიცოცხლეს ამთავრებდა თვითმკვლელობით, რადგან ინკვიზიციის წამებას ეს ერჩიათ, ამიტომ ისინი ხშირად მიმართავდნენ შიმშილით თვითმკვლელობის ფორმას (endure) (Керов 1986 : 106). სიკვდილის წინ კათარები იღებდნენ უმთავრეს საიდუმლოებას „ნუგეშისცემას“ (Conso lamentum), რომლის შემდეგაც „ისინი უარს ამბობდნენ საკვებზე და კვდებოდნენ შიმშილისგან, რათა კიდევ არ შეეცოდათ და ამგვარად ჰქონოდათ „კეთილი ბოლო“ (Павловский 1994 : 571).

---

[1] კათარი- ბერძნული სიტყვაა „Katharos“ და ნიშნავს სპეტაკს, სუფთას, წმინდას. (აქედან წარმოიშვა სიტყვა კათარზისი)

[2] ვალდენსები - ანუ ლიონელი ღარიბები. მისი დამაარსებელია ლიონელი ვაჭარი პიერ ვალდო, რომელმაც მთელი თავისი ქონება ვალდენსების სექტას გადასცა.

კათარებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კათოლიკური ეკლესიის დოგმატებს და მის საპირისპიროდ შეიმუშავეს საკუთარი საიდუმლოებები და წესები.

ინკვიზიციამ ტამპლიერების ორდენს კათარებთან ურთიერთობაში დასდო ბრალი. ჩვენი მიზანია დავადგინოთ ჰქონდათ თუ არა ტამპლიერებს კათარებთან ახლო ურთიერობა და რაიმე საერთო წეს -ჩვეულებებში.

ორდენის ისტორიიდან ცნობილია რომ ტამპლიერთა რიგით მეექვსე მაგისტრი ბერტრან დე ბლანშფორი წარმოშობით ლანგედოკიდან იყო. მისი რეზიდენცია ლანგედოკში, რენ-ლე-შატოსთან ახლოს მთის მწვერვალზე მდებარეობდა. იგი ორდენს 1159 წლამდე განაგებდა და საკმაოდ გამოჩენილ პიროვნებად ითვლებოდა. ბერტრან დე ბლანშფორმა ტამპლიერ რაინდად კურთხევის შემდეგ რენ-ლე შატოსა და ბეზიუს მახლობლად მდებარე თავისი მიწები აჩუქა ორდენს. 1156 წელს გახდა რა ორდენის დიდი მაგისტრი ბერტრანმა მოიწვია გერმანელ მეშახტეთა ბრიგადა, რომელიც დაუქვემდებარა მკაცრ კონტროლს და აუკრძალა კონტაქტი მოსახლეობასთან. შეიქმნა სპეციალური გერმანული კოლეგია, რომელსაც უნდა განეხილა ყველა წამოჭრილი საკითხი. მათ უნდა დაემუშავებინათ ბლანშფორის მთის ფერდობზე ოქროს მაღაროები, რომლებიც თითქმის ათვისებული იყო რომაელების მიერ ათასი წლის წინ.

XVII საუკუნეში საინჟინრო კომისიამ შეამოწმა ამ რეგიონში მინერალური რესურსები, შეისწავლა ეს ადგილები და შეადგინა ზუსტი მონაცემები. კომისიის ხელმძღვანელმა გააკეთა დასკვნა, რომ აქ არავითარი სამუშაოები არ ჩატარებულა, შეიძლება მიმდინარეობდა ცდები მეტალის დამუშავებაზე, ანდა გზას თხრიდნენ საწყობისათვის. დაუდგენელია რას აკეთებდნენ გერმანელი მაღაროელები მთაზე, მაგრამ ტამპლიერების კავშირი ლანგედოკთან XII საუკუნეში დადასტურებულია.

XIII საუკუნეში დიდი საფრთხე დაემუქრა კათოლიციზმის გამოდევნას არა მარტო ლანგედოკიდან. კათარული სწავლება ფართოდ გავრცელდა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც; გერმანიის ქალაქებში, ასევე ფლანდრიაში, შამპანში, ჩრდილოეთ საფრანგეთში. ტულუზა და ჩრდილოეთ საფრანგეთი იყო კათარების ცენტრი. რომის ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ერესული მოძრაობა ეშმაკის შექმნილად გამოაცხადა. თეოლოგები წერდნენ ტრაქტატებს, რომლებშიც უარყოფილი იყო ერეტიკოსთა სწავლებები. რომის კურია როცა ქადაგებით მათ წინააღმდეგ ვერაფერს გახდა, გადაწყვიტა კათართა ერესის განადგურება. 1209 წელს პაპ ინოკენტუს III-ის

ბრძანებით ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალებმა სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით წამოიწყეს ჯვაროსნული ლაშქრობა ტულუზის საგრაფოს წინაღმდეგ, რომელიც 20 წელი მიმდინარეობდა (1209 -1229 წწ). მათ გადაწვეს და გაანადგურეს ქალაქები ბეზიუ და კარკასონი. ლაშქრობაში მონაწილე ცალკეული ჯგუფების ბერები, ადამიანებს შეუბრალებლად წვავდნენ კოცონზე. ჯვაროსანთა დევიზმა (აბატ არნოლდის მოწოდება)-„ დახოცეთ ყველანი! ღმერთი თავისიანებს ზეცაში იცნობსო“ (Шейнман 1961 : 78) სამხრეთ საფრანგეთის ხალხის დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ალბიგოელებს მიემხრო ტულუზის გრაფი რაიმუნდ VI (1194-1222 წწ).

ალბიგოური ომები შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. ლატერნის საეკლესიო კრებამ (1215 წ) რაიმუნდ VI მწვალებლად გამოაცხადა, მიუსაჯა დარჩენილი ცხოვრების სინანულში გატარება და ყოველწლიური გადასახადი 400 მარკა, მისი სამფლობელო კი სიმონ დე მონფორს გადასცა (Люшер 2003 : 259).1229 წლის ზავით ლანგედოკი საფრანგეთის სამეფო დომენს შეუერთდა. ალბიგოელთა უკანასკნელი ციტადელი მონსეგიურის ციხესიმაგრე იყო. 1244 წელს ციხის აღებაში მონაწილეობდა ათი ათასი კაცი. ცხრათვიანი ალყის შემდეგ ციხე დაეცა. იქ მყოფ კათარებს თავიანთი მრწამსის უარყოფის სანაცვლოდ თავისუფლება შესთავაზეს, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ მიიღო ეს პირობა და 15 მარტს 200 „სრულყოფილი“ კოცონზე დაწვეს. მოალყეებმა მთლიანი ალყის შეკვრა ვერ მოახერხეს, რადგან ბევრი მათგანი ფარულად თანაუგრძნობდა კათარებს და 16 მარტს ციხიდან გაპარვა შეძლო ოთხმა „სრულყოფილმა“, რომელთაც თან წაიღეს კათართა განძი და საიდუმლო დოკუმენტები. ციხის კომენდანტმა არნო როჟე დე მირპუამ ინკვიზიციის წინაშე განაცხადა, რომ მან დაგეგმა მათი გაქცევა, რომ კათარებმა თან წაიღეს განძი და დოკუმენტები. (Гопаченко 1997 : 190). არ არის შემორჩენილი იმ ეპოქის წყაროები, რომლებიც დაამტკიცებს ტამპლიერებისა და კათარების ურთიერთკავშირს, თუმცა არსებობს თეორიები, რომ ტამპლიერებმა შესაძლოა იპოვეს და დამალეს კათარების ლეგენდარული განძი და მიიღეს მათი ეზოთერული ცოდნა.

ბაიჯენტის, ლინკოლნისა და ლეის მოსაზრებით ალბიგოურ ომებში ტამპლიერები ნეიტრალურნი იყვნენ და მხოლოდ მეთვალყურის როლით შემოიფარგლებოდნენ. ორდენის დიდი მაგისტრები პაპთან ურთიერთობისას აღნიშნავდნენ, რომ ნამდვილი ჯვაროსნული ომები უნდა ეწარმოებინა სარაცინების წინააღმდეგ.მეტაძრეები აძლევდნენ თავშესაფარს ბევრ კათარ ლტოლვილს და ხშირად მათ დასაცავად იარაღ-

საც იღებდნენ ხელში. თუ გადავხედავთ ორდენის შემადგენლობას ალბიგოური ომების დასაწყისში, შეიძლება აღინიშნოს ორდენში კათართა ნაკადის ზრდა, სადაც მათ მიიღეს მაღალი თანამდებობი. მკვლევართა აზრით, ლანგედოკში მაღალი რანგის ტამპლიერებს შორის უფრო მეტი კათარი იყო, ვიდრე ორთოდოქსი კათოლიკე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს კათარი არისტოკრატები, მათი კათოლიკე თანამოძმეებისაგან განსხვავებით, ძირითადად ლანგედოკში რჩებოდნენ. ამგვარად, ორდენს ამ რეგიონში ყოველთვის შეეძლო დაყრდნობოდა გამოცდილსა და სტაბილურ ბაზას (Байджент, Лей, Линколън 1997 : 202-203).

1285 წელს ბეზიუდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით დაარსდა ტამპლიერების მნიშვნელოვანი საკომანდო კამპან-სიურ-ოდი. ამ პერიოდში ბეზიუსა და რენლე-შატოს მფლობელმა პიერ დე ვუაზენმა, არაგონის პროვინცია რუსილიონიდან გამოიძახა ტამპლიერთა სპეციალური რაზმი და დაასახლა ბეზიუს მთაზე. ისინი იმტომ ჩამოიყვანეს, რომ დაეცვათ ამ ადგილების უსაფრთხოება და მომლოცველების გზა სანტიაგო-დე-კომპოსტელამდე. ეს არის ოფიციალური ვერსია. მკვლევრებს უჩნდებათ კითხვა რატომ გამოიძახა ვუაზენმა გასამაგრებლად ეს ხალხი, თუ მეზობლად უკვე ცხოვრობდნენ ტამპლიერები, რომელთაც ჰყავდათ რაზმი, რათა უზრუნველეყოთ ამ მიდამოების დაცვა? თუ დავუჯერებთ ადგილობრივ მონაცემებს ტამპლიერების ეს დამატებითი ნაწილი რუსილიონის პროვინციიდან ჩამოვიდა რამდენიმე შესაძლო მიზნით: ამოეთხარათ, დაეფლოთ, ან დაეცვათ განძი(Байджент, Лей, Линколън 1997 : 222 -223). ორდენის წევრები ბეზიუში დასახლების შემდეგ განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

რაც შეეხება მონსეგიურის ციხესიმაგრეს, არსებობს მოსაზრება რომ ალბიგოელებმა იპოვნეს და მონსეგიურის ციხეში ინახავდნენ წმინდა გრაალს. ჰიტლერის თანამზრახველმა, ადოლფ როზენბერგმა გრაალის საძებნელად გაგზავნა ოტო რანი, რომელიც მოგვიანებით SS-ის პოლკოვნიკი გახდა და დაწერა წიგნი: „ჯვაროსნული ლაშქრობა გრაალის წინააღმდეგ“. 1939 წელს მან თავი მოიკლა.

1944 წლის 16 მარტს გერმანელებმა მოაწყვეს საზეიმო ცერემონია მონსეგიურის დაცემის წლისთავის აღსანიშნავად, ადგილობრივ მცხოვრებლებს მიუთითეს, რომ ეს რაიონი ეკუთვნის გერმანელებს - ეს არის „გერმანული მიწა“, რომელზეც „მესამე რაიხს“ ისტორიული უფლებები გააჩნია“ (Чернняк 1987: 177).

ისტორიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ტამპლიერების ორდენში შეაღწია კათართა იდეებმა და ორდენი დაავადდა კათარიზმით, მეორე ნაწილი კი ამ ბრალდებას სრულიად უსაფუძვლოს უწოდებს.

ბუტმის აზრით, ალბიგოელების სექტა საბოლოოდ თითქმის განადგურდა 1229 წელს; ჯვაროსნების ხმალს გადარჩენილმა ალბიგოელთა ნაწილმა თავი იხსნა იმით, რომ შევიდა ტამპლიერების ორდენში, მეორე ნაწილი კი- შეუერთდა ვალდენსების სექტას. ბუტმი აღნიშნავს, რომ ალბიგოელებმა ჯერ კიდევ მათი აღზევების პერიოდში მოხდინეს უმაღლეს დონეზე დაღუმპველი ზეგავლენა ტამპლიერების ცნობილ სასულიერო ორდენზე, რომელიც იყო ღვთისმსახურთა, წმინდა ქრისტიანული ერთობა და შემდეგ კი გადაიქცა ყოვლისშემძლე საიდუმლო საზოგადოებად, ეკლესიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრულად განწყობილად (Бутми 1914: 140-141).

ლუი დასტეს მიაჩნია, რომ იმ ცვლილებების შედეგად, რომლებიც შეტანილი იქნა მეტაძრე რაინდების წესდებაში, რომლის მიხედვითაც ნებადართული იყო ორდენში მიეღოთ ეკლესიიდან განკვეთილები, XIII საუკუნის დასაწყისში ალბიგოელების მიერ მომხდარი განხეთქილების შემდეგ, ძალიან ბევრმა ამ ერეტიკოსთაგან, მათ შორის მათმა ხელმძღვანელმა ტულუზის გრაფმა რაიმონდმაც თავშესაფარი ჰპოვა ტამპლიერების ორდენში. მას შემდეგ შეაღწიეს რა მათ რიგებში ალბიგოელებმა ტაძრის რაინდებს გადასდეს იუდაისტურ კაბალაზე დაფუძნებული შხამი (Бутми 1914 : 153 ).

ა. დემურჟეს თანახმად, „კათარების ერესის ამოძირკვას გაუთვალიწინებელი შედეგი მოჰყვა: ბევრი ეჭვმიტანილი გააგზავნეს წმინდა მიწაზე ცოდვების გამოსასყიდად. სწორედ იქ შეეძლოთ მათ თავიანთი თვალსაზრისები გადაედოთ ორდენისათვის, რომელშიც შესვლა შედარებით ადვილი იყო. ლანგედოკშიც კი, სადაც დევნა განსაკუთრებით სასტიკი იყო, კათარებს და უბრალო მოსახლეობას ეშინოდათ რა სექტასთან მიკუთვნების ბრალდების სიფრთხილის გამო შეეძლოთ შესულიყვნენ ორდენში. კათარების სამხრეთში მეტაძრეთა ორდენი მხარს უჭერდა უფრო ჩრდილოეთის ჯვაროსნებს, ვიდრე ერეტიკოსებს. შეიძლება ტყუილად არ ამბობდნენ, რომ ნოგარეს სიძულვილი მეტაძრე ორდენის მიმართ აიხსნება იმ ფაქტით, რომ ბაბუა, ამ „ღვთისმოშიშის“ (ბონიფაციუს VIII ასე უწოდებდა მას) მოკვდა როგორც ერეტიკოსი, ტამპლიერების მიერ დანთებულ კოცონზე? თუმცა, საუკუნის ბოლოს მოხდა ცვლილებები. ახალმა გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ ლანგედოკში, ეს ერესი 70 წლით ადრე იყო მწვავე ბრძოლის ობიექტი, მაგრამ არა თუ მთლიანად არ გაქრა, არამედ თავის

მხარეს მიიზიდა რამდენიმე ოჯახი დიდგვაროვანი ჯვაროსნებიდან - ის ბარონები ჩრდილოეთიდან, რომლებიც მოვიდნენ სიმონ დე მონფორთან ერთად და დამკვიდრდნენ სამხრეთში. ა. დემურჟე აღნიშნავს, რომ ერესის ცალკეულ შემთხვევას მეტამრეთა ორდენში შეიძლება ჰქონოდა ადგილი, მაგრამ მთლიანობაში ეს არ იყო ერეტიკული ორდენი. კლემენს V -ც კი არ ფიქრობდა ასე“ (Демурже 2008 : 293-294).

მ. ლობეს დასაშვებად მიაჩნია რომ ტამპლიერებში შესაძლოა შეეღწია კათარული სწავლების რომელიმე იდეას იქედან გამომდინარე, რომ კათარებს, რომლებსაც მონანიება აიძულეს, ზოგჯერ უხდებოდათ თავიანთი დანაშაულის გამოსასყიდად ტამლიერების ორდენში შესვლა (Лобе 2003 : 127). ტამპლიერების კათარების ერესთან შესაძლებელი მსგავსების ვერსია აგებულია ძირითადად ორ ანალოგიაზე, რომლებიც გი ფოს საკმაოდ საკამათოდ მიაჩნია.1.წირვისას სიტყვების გამოტოვება: ინკვიზიციის მიერ მიღებული აღიარებებით, ამას, ასევე პრაქტიკაში გამოიყენებდნენ მოძღვრები, რომელთაც საიდუმლოდ მიიღეს კათარიზმი, მაგრამ ტამპლიერებთან ეს არ იყო ჩვეულებრივ პრაქტიკაში და მის შესრულებას არ ენიჭებოდა არანაირი მნიშვნელობა; 2. კათარების მიერ ჯვრის სიმბოლიკის, როგორც წამების სიმბოლოს უარყოფა და იმის მტკიცება, რომ ღმერთი არ შეიძლებოდა მომკვდარიყო: გი ფოს აზრით, მსგავსება არის, მაგრამ სხვაგან არასად არ არის ნათქვამი, რომ კათარებს ჯვარზე დაფურთხება მიეწერებოდათ. შორს იმისაგან, რომ უარეყოთ ქრისტე მას მიიჩნევდნენ ციურ არსებად, უწოდებდნენ ღმერთს, ან ღვთის შვილს და უარყოფდნენ მხოლოდ მის ხორციელ განსახიერებას. გი ფოს თანახმად, ტამპლიერები კი პირიქით, იესოში ღვთიურს უარყოფდნენ და არა ადამიანურს (Фо 2007 : 263- 264).

ამ თეზისს ასევე ეწინააღმდეგება შემდეგი შენიშვნაც. გი ფოს მოსაზრებით, ტამპლიერებთან ჩვენ არ გვხვდება არანაირი მიძღვნა, რომელიც შეიძლება საჭირო ყოფილიყო ახალი რწმენის მიღებისათვის, არანაირი განათლება, იმის საპირისპიროდ რასაც კათარები კანონივით ანიჭებდნენ ასეთ მნიშვნელობას. და ბოლოს მთავარი დაბრკოლება, მათი ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ტამპლიერები სრულებით არ იცავნენ სიღარიბის აღთქმას და მათი სიმდიდრე აღმაშფოთებელი იყო; ისინი მეტისმეტად ბევრს ჭამდნენ და სვამდნენ მონსეგიურის ასკეტებისაგან განსხვავებით. გამონაკლისი იყო ქალებთან ურთიერთობის საკითხი, რაც არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთო მახასიათებელი, სხვაგვარად კათარულ ერესში ეჭვმიტანილი უნდა იყოს ყველა რელიგიური ორდენი! უფრო მეტიც, ტამპ-

ლიერები კათარებისაგან განსხვავებით  იცავდნენ საეკლესიო წესებს, ესწრებოდნენ მესას, აბარებდნენ აღსარებას და  განსაკუთრებით ასრულებდნენ ზეთის  კურთხევას. ცნობილია, რომ კათარებთან არსებობდა ერთი საიდუმლო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი „Consolamentum“, (ნუგეშისცემა), რომელიც ეძლეოდა მომაკვდავს, რომლის გარეშეც ისინი ვერ მიაღწევდნენ მადლს. კათარიზმში გადასულ ტამპლიერებს არ შეეძლოთ გვერდი აეარათ ნუგეშისცემის წესისათვის. თუმცა, მოლე და შარნე გარდაიცვალნენ ქრისტიანულად და არასოდეს, არც ერთ მეტაძრეს  სიკვდილის წინ სხვა დახმარებისათვის არ მიუმართავს, გარდა კათოლიკე მღვდლისა. ყურადსაღებია არსებული განსხვავებები სიკვდილთან მიმართებით: კათარები არ უარყოფდნენ თავის სარწმუნოებას, მაშინაც კი,  როცა ამისათვის კოცონზე უნდა ასულიყვნენ (Ги Фо  2007 : 264 -265). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე  ტამპლიერთა და კათართა მრწამსი ერთმანეთს გამორიცხავდა.

საყურადღებოა ის ფაქტი რომ XIII  საუკუნის დასაწყისში ტამპლიერები მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ალბიგოელების წინააღმდეგ. უცნობია  გამოიღო თუ არა ნაყოფი ტამპლიერების ჩარევამ ამ ლაშქრობის დროს დასავლეთ ევროპაში. ისინი ვალდებულნი იყვნენ სამსახური გაეწიათ მეფისათვის, მხოლოდ ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, მაგრამ მათი დახმარებები არ შემოისაზღვრებოდა მხოლოდ  სამხედრო მოქმედებებით. 1212 წელს ტამპლიერები შევიდნენ სიმონ დე მონფორის მიერ შექმნილ კომისიაში წესდების დაწერის მიზნით, რომელიც ცნობილია „პამის წესების“ სახელწოდებით და განკუთვნილი იყო  იმ ქვეყნების მოსაწყობად, რომლებშიც ერეტიკოსებს ებრძოდნენ (Лобе 2003 : 128).

დაზუსტებით ცნობილია რომ კათარების ერესი ფაქტობრივად განადგურდა XIV საუკუნის პირველ ნახევარში. საყურადღებოა ისიც, რომ ტამპლიერების კათარებთან კავშირის სულ მცირე ეჭვის არსებობის შემთხვევაში  ერესთან მებრძოლი პაპი ინოკენტუს III,  აუცილებლად აღნიშვნავდა ამას.

ჩარლზ ლი ამ კავშირს კატეგორიულად უარყოფს და აღნიშნავს: „ეს არის ცრუ გამოგონება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ორდენში არ  იყო არანაირი კვალი კათარიზმის“. ლი ეყრდნობა ინკვიზიტორ ბერნარ გის წყაროს, რომელსაც მიიჩნევს შედარებით უფრო სარწმუნო ცნობების მომწოდებლად ტამპლიერების დაცემასთან დაკავშირებით და აცხადებს, „თუკი ბერნარ გი იპოვიდა ორდენში კათრიზმის მცირე ნიშანსაც კი,  იგი არ დაუშვებდა რომ არ აღენიშნა (Ли 1912 : 326). ლის აზრით, ამ ეპო-

ქაში ლანგედოკელი კათარები საბოლოოდ იყვნენ განადგურებულნი და ინკვიზიციამ ეს ქვეყანა დაუმორჩილა მონარქიასა და ფრანგულ სულს. მსგავსი კავშირი არა თუ გაამყარებდა ორდენს, არამედ იქნებოდა მათი დასუსტების წყარო, რადგან რაინდებ-ის წინააღმდეგ წამოიმართებოდა მთელი შეიარაღებული ევროპა და თუკი ტამპლიე-რებს მიადგებოდა თუნდაც მცირე ჩრდილი ამ ურთიერთობის გამო ფილიპ ლამაზი არ დააყოვნებდა, ისე ისარგებლებდა ამით“ (Ли 1912 : 326).

შესაძლოა ტამპლიერებს კათარებთან კავშირი ჰქონოდათ გეოგრაფიული არეა-ლის თანხვედრის გამო, რადგან ისინი ფლობდნენ მამულებს ლანგედოკშიც, რომელ-იც კათარების სამშობლო იყო. მათ ურთიერთობაც ექნებოდათ ადგილობრივ მოსახ-ლეობასთან. კათარების შესახებ არსებული წყაროები და დოკუმენტები არ არსებობს, რადგან იგი განადგურდა მათი დევნის დროს, ასევე ინკვიზიციის მიერ. დასაშვებია შემდეგი მოსაზრებაც: ტამპლიერებს, როგორც იმ ეპოქის ბანკირებს შეიძლება ფინან-სური მიმართულებით არაპირდაპირი ურთიერთობა ჰქონოდათ კათარებთან, რაც მხოლოდ ეკონომიკური მიზნებით უნდა აიხსნას და არა სულიერი კავშირით.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ტამპლიერებსა და კათარებს შორის მართლაც არ-სებობდა გარკვეული კავშირი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ეთანხ-მებოდნენ კათარების ცხოვრების წესებსა და იდეოლოგიას. ტამპლიერების ორდენმა განსაზღვრულ ეტაპზე გააერთიანა ეკლესიიდან განკვეთილი ადამიანები, რამაც გან-აპირობა შემდგომში კათარიზმში მათი დადანაშაულება, მაგრამ რეალურად ორდე-ნის ისტორიაში არ დასტურდება არც ერთი ფაქტი ამ ბრალდების. არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელშიც შემჩნეული იქნებოდა კათარული სწავლების მცირქე ნიუანსიც კი. ტამპლიერები ცხოვრების წესითა და შეხედულებებით ძალიან მკვეთრად განსხვავდებოდნენ კათარებისაგან, რომელთა საზოგადოებაშიც სიკვდი-ლის წინ უმთავრესი საიდუმლოება-ნუგეშისცემა უნდა მიეღოთ. არც ერთ ტამპ-ლიერს არ შეუსრულებია ეს რიტუალი. ამგვარად, ორდენი უდანაშაულოა კათარიზმის ბრალდებაში. ხოლო, რაც შეეხება კათართა და ტამპლიერთა განძს, ჩვენ მიერ ზემოთაღნიშნული ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი ბედი დაზუსტებით დღემდე უცნობია. „თეოსოფიური საზოგადოების“ დამაარსებ-ელი ელენე ბლავატსკაია და ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი მიიჩნევდნენ, რომ სიბრძნის ეზოთერულმა ტრადიციებმა მათ დრომდე კათარებისა და ტამპლიერების მეშვეობით მოაღწია.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიული წყაროებით არ დასტურდება ტამპლიერებისა და კათარების პირდაპირი კავშირი. პირიქით, კათარების სწავლება (მრწამსი) მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ დოგმატიკასა და ტამპლიერების იდეოლოგიას. ტამპლიერები იყვენენ ქრისტიანების დამცველები და ეკლესიის მსახურები, კათარები კი გმობდნენ ეკლესიას. აქედან გამომდინარე ტამპლიერებსა და კათარებს შორის კავშირი იდეოლოგიურადაც დაუშვებელი იყო და ამასთანავე ეწინააღმდეგებოდა ტამპლიერთა თავდაპირველ მისიას. ამასთან ტამპლიერებს, ეკლესია არ სდევნიდა, კათარების განადგურება კი ეკლესიის სახელით მიმდინარეობდა. ამგვარად, ტამპლიერებსა და კათარებს შორის კავშირი დღემდე დაუმტკიცებელი საკითხია. ამ თემით განსაკუთრებული დაინტერესება კი ძირითადად გაპირობებულია რომანტიზებული ლეგენდებითა და მითებით, რომლებიც დღემდე პოპულარულია, თუმცა ისინი არ არის დამყარებული ისტორიულ წყაროებზე.

## 3.4. „შინონის პერგამენტი

ვატიკანის საიდუმლო არქივში (დღეს მას აპოსტოლური ეწოდება) მრავალი ისეთი დოკუმენტია დაცული, რომელთაც შეუძლიათ სრულიად შეცვალონ ისტორია, შეხედულებები, დაამსხვრიონ სტერეოტიპები. არქივი წარმოადგენს უნიკალურ საგანძურს, არა მარტო ეკლესიის, არამედ კაცობრიობის ისტორიის შესასწავლად. არქივი საუკუნეების განმავლობაში ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთეულებისათვის.„1880 წლამდე ვატიკანის არქივი საიდუმლოდ ინახებოდა და მისი მასალებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ სამ პიროვნებას: პაპს, პაპის წმინდა ტახტის მდივან კარდინალს და არქივის პრეფექტს (მცველს). დანარჩენ სხვას, ვინც შეეცდებოდა ვატიკანის არქივში შესულიყო ეკლესიიდან განკვეთა ემუქრებოდა (პაპაშვილი 1995 : 27). ამგვარად, არქივი მიუწვდომელი იყო მკვლევართათვის. რომის პაპმა ლეო XIII- მ 1880 წელს გახსნა ვატიკანის საიდუმლო არქივის კარი მეცნიერთა კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ მათ უფლება მიეცათ ემუშავათ მხოლოდ დოკუმენტთა განსაზღვრულ ნაწილზე.

„2001 წლის სექტემბერში ვატიკანის საიდუმლო არქივის „კასტელ სანტ-ანჯელოს“ ფონდში ხელახლა აღმოაჩინეს ორიგინალი დოკუმენტი, რომელიც სამეცნიერო საზოგადოებას დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად მიაჩნდა. ეს არის პერგამენტი,

რომელიც შეიცავს პაპ კლემენს V-ის უფლებამოსილებით მიცემულ შენდობას ჟაკ დე მოლესა და წარჩინებული ტამპლიერებისათვის, რომლებიც საფრანგეთის მეფეს შინონის ციხეში ჰყავდა ჩაკეტილი. დოკუმენტი 1308 წლის ზაფხულში პაპის მიერ პუატიეში ჩატარებული გამოძიების განუყოფელი ნაწილია"(Frale 2003 :10). იგი ცნობილი გახდა როგორც ეგრეთ წოდებული „შინონის პერგამენტი" და წარმოადგენს ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის შესწავლისა და შეფასებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს. დოკუმენტი აღმოაჩინა იტალიელმა ისტორიკოსმა, პალეოგრაფმა, კაფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორმა ბარბარა ფრალემ. ბ. ფრალე არქივში პალეოგრაფად მუშაობდა და იკვლევდა შუა საუკუნეების ისტორიის წყაროებს. მან დოკუმენტების შესწავლის დროს მიაკვლია „შინონის პერგამენტის" ორიგინალს, რომელიც საუკუნეების მანძილზე შეცდომით იყო კლასიფიცირებული სხვა კატალოგში და სწორედ ამიტომაც დაკარგულად მიიჩნეოდა. ირკვევა, რომ „როდესაც პაპის სასამართლო 1376 წელს ავინიონიდან დააბრუნეს რომში, „შინონის პერგამენტი" არასწორად იყო განთავსებული და დაიკარგა 2001 წლამდე "(Hodge 2013: 291). აქვე აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ 1810 წელს ნაპოლეონის ბრძანებით ვატიკანის არქივის უდიდესი ნაწილი გადაიტანეს პარიზში, ხოლო შემდეგ (ნაპოლეონის დამარცხების), ისევ დააბრუნეს ვატიკანში. შესაძლოა ამან გამოიწვია პერგამენტის არასწორად კატალოგიზაცია. ზოგიერთი დოკუმენტი დაზიანდა და დაიკარგა.

„ის ფაქტი, რომ კლემენს V-მ ტამპლიერთა ხელმძღვანელები ეკლესიისაგან განკვეთისაგან გაათავისუფლა აქამდე მხოლოდ არაპირდაპირი წყაროებით იყო ცნობილი, რის გამოც ისტორიკოსები ყოველთვის ფრთხილობდნენ ამ მტკიცების მიმართ. ორიგინალის არარსებობა, ორდენის დაშლა, შემდგომ განვითარებული მოვლენები, დიდი მაგისტრის დაწვა, სრულიად საფუძვლიანად იწვევდა ეჭვს, რომ მსგავსი დოკუმენტი შესაძლოა არც კი არსებულიყო"- აღნიშნავს ბ. ფრალე (Frale 2003 :10).

ფრალე ხაზს უსვამს დოკუმენტის ავთენტურობას, რომ „პერგამენტის იდენტიფიცირებისთანავე დაუყოვნებლივ ჩატარდა კონსულტაციები ოთხ საერთაშორისოდ აღიარებულ მეცნიერთან, რომლებიც ტამპლიერების ისტორიის სპეციალისტები არიან და ისინი უზრუნველყოფდნენ საიმედო დამოწმებას: კემბრიჯისა და შემდგომ რედინგის უნივერსიტეტის პროფესორ მალკოლმ ბარბერთან, სორბონის - ალენ დემურჟესთან, ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორ ფრანკო კარდინთან და პერუჯას უნივერსიტეტიდან ფრანჩესკო ტომაზისთან. მათ დაადასტურეს რომ სულ მცირე არსებ-

ული ბიბლიოგრაფიის მიხედვით დოკუმენტი ახალია და აქამდე გამოუქვეყნებელი იყო. დიპლომატიური, პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური ანალიზის შემდეგ „შინონის პერგამენტი“ სრულად ავთენტურად და ყოველგვარ ეჭვგარეშედ იქნა მიჩნ-ეული“ (Frale 2003 :11).

ეს მნიშვნელოვანი წყარო დაიწერა შინონში, ტურის ეპარქიაში 1308 წლის 17-20 აგვისტოს და წარმოადგენს პაპის კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების ჩანაწერ-ებს. ცნობილია, რომ კლემენს V-მ ორდენის მაღალი იერარქების დასაკითხად შინონ-ის სამეფო ციხეში გააგზავნა სამი კარდინალი. პერგამენტზე ლათინურ ენაზე ჩაწერი-ლია 5 ტამპლიერის დაკითხვის ტექსტი. „ორიგინალი დოკუმენტი შედგენილია დიდ პერგამენტის ფურცელზე (700× 580 მმ), რომელზეც თავდაპირველად პაპის სამი ლე -გატის ბეჭდები იყო დატანილი, რომლებმაც შექმნეს სპეციალური სამოციქულო კომისია, დანიშნული კლემენს V -ის მიერ. ესენი იყვნენ: ბერანჟე ფრედოლი, ეტიენ დე სიუზი და ლანდლუფო ბრანკაჩო. დოკუმენტზე არსებობს ბაქტერიული წარმოშ-ობის იისფერი ლაქები. ორიგინალ დოკუმენტს თან ერთვის ავთენტური ასლი, რომე-ლიც დღემდე ინახება ვატიკანის საიდუმლო არქივში საცნობარო ნომრით Arcis, Armarium D 218./ ASV, Archivum Arcis, Arm. D 217. (დოკუმენტის ფოტო იხილეთ დანართში N 2, 256 გვ.)

დოკუმენტი შეიცავს პაპ კლემენს V-ის აბსოლუციას, რომელიც მან მიანიჭა ტა-მპლიერთა დიდ მაგისტრს, ბერ ჟაკ დე მოლეს და ორდენის სხვა ხელმძღვანელებს, მას შემდეგ, რაც მათ მოინანიეს და ეკლესიას სთხოვეს პატიება; ფორმალური უარყ-ოფის შემდეგ, რომელიც სავალდებულოა ყველასთვის, ვინც თუნდაც მხოლოდ ეჭვმ-იტანილი იყო ერეტიკულ დანაშაულებებში, ტამპლიერთა ორდენის ლიდერები აღა-დგინეს კათოლიკურ საზოგადოებაში და მათ კვლავ მიეცათ ზიარების მიღების უფ-ლება. დოკუმენტი, რომელიც თარიღდება ტამპლიერთა წინააღმდეგ მიმდინარე სასა-მართლო პროცესის პირველი პერიოდით, როდესაც პაპი კლმენს V ჯერ კიდევ დარ-წმუნებული იყო, რომ მას შეეძლო სამხედრო-რელიგიური ორდენის გადარჩენის გა-რანტირება აკმაყოფილებს სამოციქულო მოთხოვნებს, ჩამოაშოროს მეომარ ძმებს განკ-ვეთის სირცხვილი, რომელიც გამოწვეული იყო ფრანგი ინკვიზიტორის მიერ წამებ-ის დროს იესო ქრისტეს უარყოფით. როგორც რამდენიმე თანამედროვე წყარო ადასტ-ურებს, რომის პაპმა დაადგინა, რომ ტამპლიერები ჩართულნი იყვნენ უზნეობი ზოგ-გიერთ სერიოზულ ფორმებში და მან დაგეგმა ორდენის რადიკალური რეფორმა, რა-

თა შემდგომში გააერთიანებინა იგი ერთ ორგანოდ ჰოსპიტალიერების მნიშვნელოვან სამხედრო-რელიგიურ ორდენთან. შინონის აქტი, რომელიც ამართლებს ტამპლიერებს, მაგრამ არ ათავისუფლებს მათ, იყო რეფორმის ჩასატარებლად საჭირო ვარაუდი, თუმცა ის დარჩა მკვდარ წერილად. საფრანგეთის მონარქიამ რეაგირება მოახდინა ნამდვილი შანტაჟის მექანიზმის ამოქმედებით, რომელმაც შემდეგ მოუწოდა კლემენს V -ს წასულიყო ორაზროვან კომპრომისზე, რომელიც დამტკიცდა ვიენის კრებაზე 1312 წელს: ვერ შეეწინააღმდეგა რა საფრანგეთის მეფის ფილიპ ლამაზის ნებას, რომელმაც ტამპლიერების განადგურება ბრძანა, პაპმა ამოიღო ორდენი იმ პერიოდის რეალობიდან მისი დაგმობის გარეშე, მაგრამ მოახდინა მისი იზოლირება ერთგვარი უმოქმედობით, კანონიკური სამართლის სათანადოდ შედგენილი სტრუქტურის წყალობით. მას შემდეგ, რაც აშკარად გამოაცხადა, რომ სასამართლო პროცესმა არ დაადასტურა ერესის ბრალდება, კლემენსმა შეაჩერა ტამპლიერთა ორდენის საქმიანობა დაუზუსტებელი განაჩენით, რომელიც დაწესდა ეკლესიისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობით. მან განკვეთის სასჯელით აკრძალა მათი სახელისა და გამორჩეული სიმბოლოების გამოყენება“ (The Parchment of Chinon-The absolution of Pope Clement V of the leading members of the Templar order : 2006, იხ: http: //asv. .vatican.va/en/doc/1308.htm).

„კლემენსი აკონკრეტებს, რომ ეს მტკივნეული გადაწყვეტილება, არ წარმოადგენს ერესის დაგმობის აქტს, რომლის მიღწევაც ვერ მოხერხდა კომისიის წინა წლებში ჩატარებული სხვადასხვა გამოძიების საფუძველზე. ფაქტობრივად, საბოლოო სასჯელის გამოსატანად საჭირო იყო რეგულარული სასამართლო პროცესი, რომელიც ასევე მოიცავდა დაცვის არგუმენტების წარმოდგენასაც განკარგულებით. მაგრამ ტამპლიერების მიმართ ცილისმწამებლური ბრალდებებით გამოწვეული სკანდალი (ერესი, კერპთაყვანისმცემლობა, ჰომოსექსუალიზმი, უხამსი ჩვევები) პონტიფიკოსის მიხედვით, ნებისმიერს შეაკავებდა ტამპლიერების სამოსის ტარებისაგან, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიღების დაგვიანება ასეთ საკითხებზე გამოიწვევდა იმ უზარმაზარი სიმდიდრის გაფლანგვას, რომელსაც ქრისტიანები სთავაზობენ ორდენს. ამ საფრთხეების გულდასმით გათვალისწინებამ, ფრანგული მხარის ზეწოლასთან ერთად დაარწმუნა პაპი მეტაძრეთა ორდენის აკრძალვაში“ (Pergamena di Chinon: Assolizione di Papa Clemente V ai capi dell' Ordine Templare : 2008, იხ: http:// www. veja. it/2008/ 12/ 09/ pergamena-di-chinon-assoluzione-di-papa-clemente-v-ai-capi-dell ordine –templare/).

„შინონის პერგამენტი“ ძალიან საყურადღებო დოკუმენტია. იგი ცალსახად აჩვენებდა, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ტამპლიერები იყვნენ მეფის ტყვეები, მათი მოსმენა რაღაცნაირად მოეწყო შინონის სამეფო ციხე-სიმაგრეში, სადაც ჩავიდა სამი კარდინალი ეტიენ დე სიუზი, ლანდულფო ბრანკაჩო და ბერანჟე ფრედოლი, ეს უკანასკნელი იყო თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი იურისტი და პაპის ძმისშვილი. შინონში, გარდა ციხის მცველისა იმყოფებოდა სამეფოს ორი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი, რომლებიც ფრანგულ ჩანაწერებში იდენტიფიცირებულნი იყვნენ მხოლოდ მათი ინიციალებით. ფიქრობენ, რომ ესენი იყვნენ გიიომ დე ნოგარე და გიიომ დე პლეზიანი. იყო  თუ არა ფარული მოლაპარაკება მხარეებს შორის შინონში ფაქტი უცნობია. ამას შემდეგ რაც მოჰყვა, როგორც ჩანს, მეფის მოხელეების ცხვირწინ მოხდა, მაგრამ მათი ცოდნის გარეშე“ (Haag 2009: 95).

საგულისხმოა ისიც, რომ „კლემენსის არცერთი კარდინალი არ გრძნობდა თავს საკმარისად ძლიერად მეფის ხელქვეითების წინააღმდეგ, რათა დაეცვა  ტამპლიერები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პაპი ჩუმად ამბობდა მათ გათავისუფლებას. თუ რომელიმე მათგანი განიხილავდა ორდენის დასაცავად გამოსულიყო მას მხოლოდ უნდა ხსომებოდა ტამპლიერების ბედი, ან ეფიქრა ნოგარეს ქცევაზე  პაპ ბონიფაციუს მიმართ“ (Hodge 2013: 291).

შინონის ციხეში დაკითხულმა ტამპლიერებმა აღიარეს გარკვეული ბრალდებები, მაგრამ მკაფიოდ უარყვეს ერესი. მათ აღნიშნეს რომ ორდენში ზოგერ ასრულებდნენ ისეთ რიტუალებს, რომლების შეიძლებოდა აღქმულიყო ქრისტიანული რწმენის შეუსაბამოდ. კარდინალებმა განიხილეს დაკითხულთა ჩვენებები და გადაწყვიტეს რომ ხელმძღვანელთა აღიარებები მიტევების შესაძლებლობას იძლეოდა, რადგან ისინი გულწრფელად ინანიებდნენ

ბ. ფრალემ შეისწავლა და გააანალიზა  „შინონის  პერგამენტი“. მან  რამდენიმე ნაშრომი დაწერა ტამპლიერების ორდენის თემაზე. 2003 წელს ბ. ფრალემ  გამოაქვეყნა „შინონის  პერგამენტის“ ანალიზი ნაშრომში „II Papato e il processo ai Templari : L`inedita assoluzione di Chinon alla luce della diplomatica pontificia“. მას  მიაჩნია, რომ ფილიპ IV-ის ბრალდებები შეიცავდა  ფაქტების არაერთ დამახინჯებას და ეს ყველაფერი გაკეთდა  მათ ერესში დასადანაშაულებლად.

ბ.  ფრალემ  2007 წელს გამოსცა წიგნი  „I Templari e la Sindone di Cristo“, რომელშიც ის გამოთქვამს მოსაზრებას ტამპლიერების შესაძლო კავშირზე ცნობილ ტური-

ნის სუდარასთან. ეს წიგნი მისტიციზმის საბურველში ხვევს ტამპლიერებს, თუმცა ბ. ფრალეს ნაშრომები იმითაა მნიშვნელოვანი და საიმედო, რომ ისინი ძირითადად დაფუძნებულია ვატიკანის არქივში დაცულ ორიგინალურ წყაროებზე, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი.

„შინონის პერგამენტის“ აღმოჩენამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია და მრავალი ისტორიკოსისა თუ სხვადასხვა მკვლევრის ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე გააძლიერა და განაახლა ინტერესი ტამპლიერების ისტორიისადმი. „შინონის პერგამენტის“ შესწავლამ გამოკვეთა ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ინტერპრეტაციისათვის საჭირო რამდენიმე მნიშვნელოვანი, საყურადღებო დეტალი. რა მტკიცდება „შინონის პერგამენტით“:

1. ტამპლიერებს ჰქონდათ გაუგებარი, საკამათო რიტუალები. შინონის დაკითხვების დროს ორდენის იერარქებმა ისაუბრეს იმ რიტუალებზე, რომლებიც ყველაზე მძიმე ბრალდებების შექმნის საფუძველი გახდა. ძირითადად ორდენში წევრის მიღების რიტუალებზე, (ჯვრის უარყოფისა და დაფურთხების ცერემონიაზე), რომლებიც ჯერ კარდინალებმა, შემდეგ კი პაპმა არ მიიჩნიეს ერეტიკულად.

2. ტამპლიერთა ხელმძღვანელებმა აღიარეს გარკვეულ გადაცდომები, მოინანიეს, მაგრამ უარყვეს ერესი. ორდენის იერარქებმა დაკითხვაზე განაცხადეს ზოგიერთი იმ ბრალდების შესახებ რომლებიც შეიძლებოდა იმ ეპოქაში ერესთან დაეკავშირებინათ, მათ სინანული გამოხატეს, მაგრამ უარყვეს რომ გადაუხვიეს კათოლიკური რწმენის დოგმებს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ის რიტუალები, რომლებიც მიიჩნიეს ერეტიკულად იყო მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციიდან შემორჩენილი და მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ქრისტიანულ რწმენასთან.

3. ტამპლიერების უდანაშაულობა ერესში. შინონის დაკითხვების შემდეგ კარდინალებმა იმსჯელეს და დაასკვნეს, რომ ორდენის რიტუალები იყო სიმბოლური და არა ერეტიკული. ამგვარად, კარდინალებმა გაამართლეს გარკვეულ ბრალდებებში ტამპლიერები. პაპმა გაათავისუფლა ისინი ერესის ბრალდებებისგან და დაუბრუნა ეკლესიას. ამგვარად, „შინონის პერგამენტის“ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ის დამტკიცებული ფაქტი, რომ პაპმა ტამპლიერების ლიდერები არ მიიჩნია ერეტიკოსებად, არ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, მიანიჭა მათ აბსოლუცია, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ეკლესიიდან არ განუკვეთია.

3. ეკლესიის, პაპის დამოკიდებულება ტამპლიერების ორდენისადმი. პაპის მიერ ორ-დენის ხელმძღვანელებისათვის აბსოლუციის მინიჭებამ ცხადყო ეკლესიის პოზიცია დაიცვას და გადაარჩინოს ტამპლიერები. ასევე „შინონის პერგამენტი“ ააშკარავებს პა-პის დამოკიდებულებას ორდენი მიმართ პოლიტიკური ზეწოლის ფონზე.

4. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ღია კონფლიქტი. პაპი მეფის განუწყვეტელი წნეხის მიუხედავად პროცესის დასაწყისში ცდილობს და ბედავს ორდენის დაცვას. იგი არ ასრულებს ფილიპ IV-ის პოლიტიკურ დაკვეთას გაანადგუროს ორდენი, პი-რიქით აბსოლუციას ანიჭებს მეფისაგან ფარულად ორდენის იერარქებს, რაც ასევე მიგვანიშნებს იმაზეც, თუ როგორი ძალისხმევით იბრძოდა იგი სრულად გაეკონტ-როლებინა სასამართლო პროცესი მიუხედავად ფილიპ IV-ის მუქარისა და შანტაჟისა.

5. ფილიპ IV-ის პროპაგანდის კრახი. ტამპლიერების საბრალდებო პროცესი დაიწყო პროპაგანდისტული კამპანიით, რომელიც არწმუნებდა საზოგადოებას ორდენის წევ-რების ერესში დამნაშავეობას. იქმნებოდა ტამპლიერების საწინააღმდეგო სხვადასხვა სახის ნაწარმოებები, ტრაქტატები, სიმღერებიც კი. მეფის ჩინოვნიკები ზეწოლას ახდ-ენდნენ პაპზე, ემუქრებოდნენ მას, თუმცა, როგორც ირკვევა პაპამ არ დაიჯერა ამ პროპაგანდის და მაინც მიანიჭა აბსოლუცია ტამპლიერებს. ამგვარად, პერგამენტი ხაზს უსვამს ფილიპ IV-ის პროპაგანდის სიცრუეს და კრახს.

6. პაპის სისუსტე. „შინონის პერგამენტით“ მინიჭებული აბსოლუციის შემდეგ თით-ქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ პაპს შეეჩერებინა ტამპლიერების სასამარ-თლო პროცესი, თუმცა ვერ გაბედა. საბოლოოდ მან ვერ შეძლო სამართლებრივად და-ეცვა ტამპლიერები და აბსოლუციის მიუხედავად, გამამამტყუნებელი განაჩენის გარ-ეშე მაინც გააუქმა ორდენი, რადგან ვერ გაუძლო მეფის განუწყვეტელ მუქარას. კლე-მენს V-ის მიერ გამოტანილი განაჩენი ხაზს უსვამს მის უმძიმეს პოლიტიკურ მდგომ-არეობას, სისუსტეს, ასევე მონარქისა და პაპის ინტერესთა ღრმა კონფლიქტს .

7. ორდენის დაშლა იყო მხოლოდ მეფის პოლიტიკური ნება. „შინონის პერგამენტი“ ხაზგასმით ადასტურებს, რომ 1312 წელს პაპის მიერ საბოლოო გამამამტყუნებელი განაჩენის გარეშე ორდენის დაშლა იყო ფილიპის მიერ წამოწყებული პოლიტიკური პროცესის ნაწილი და არა ეკლესიის პოზიცია. პაპმა ორდენი დაშალა ისე, რომ დამ-ნაშავედ არ უღიარებია. ამგვარად, „შინონის პერგამენტმა“ ნათელყო ის გავრცელებუ-ლი მოსაზრება, რომ ტამპლიერების ორდენი შეეწირა საფრანგეთის მეფის პოლიტი-კურ ინტერესებსა და მისწრაფებებს. მეფეს ეკლესია ორდენის გაუქმების საკითხში

ზეწოლისა და მუქარის გამო მხოლოდ გარეგნულად დაეთანხმა, თუმცა „შინონის პერგამენტით“ დასტურდებს, რომ ორდენი არ უღიარებია ერეტიკულად.

8. პაპის მიერ შექმნილი კომისიების ობიექტურობა. შინონის ციხეში ჩატარებულ დაკითხვებზე ორდენის ხელმძღვანელებმა აღიარეს და განმარტეს რამდენიმე ბრალდება, თუმცა კარდინალებმა ისინი არ მიიჩნიეს ერეტიკოსებად. ეს ბრალდებები 7 წლიანმა ძიებამაც ვერ დაადასტურა. ამგვარად, „შინონის პერგამენტიდან“ იკვეთება, რომ პაპის მიერ შექმნილი კომისიების გამოძიება იყო უფრო ობიეუქტური, ვიდრე მეფეს დაქვემდებარებული ფრანგული ინკვიზიციის პროცესი.

9. მეფის ზეწოლა სასამართლოსა და პაპზე. „შინონის პერგამენტით“ პაპმა და კარდინალებმა აპატიეს ტამპლიერებს. ისინი რომ მართლაც ერეტიკოსები ყოფილიყვნენ ვერ მიუტევებდნენ. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ თურმე შესაძლებელი იყო ტამპლიერები გამართლებულიყვნენ წაყენებული ბრალდებებისაგან, ეპატიებინათ მათთვის, მაგრამ აღმოჩნდა რომ ფილიპ IV-ის ინტერესები და საჭიროებები ყველაფერზე მაღლა იდგა.

10. „შინონის პერგამენტი“ არის უნიკალური დოკუმენტი. იგი შედგენილია პაპის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ პაპის სახელით. პერგამენტზე ჩაწერილი ტექსტი არის სამართლებრივად სწორად შედგენილი ოქმი, ეკლესიის წევრების მიერ გაფორმებული და წარმოადგენს პაპის პოზიციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც ეყრდნობა საეკლესიო სამართალწარმოების პროცედურას. იგი ვატიკანის არქივში იყო დაცული, რაც მის სანდოობას ადასტურებს, ამგვარად, „შინონის პერგამენტი“, იურიდიულად ვალიდურია

პაპმა მართალია აბსოლუცია მიანიჭა ორდენის ხელმძღვანელებს, მაგრამ სრულად არ გაუმართლებია ორდენი, პერგამენტი ადასტურებს, რომ ერესის ბრალდებები მოეხსნათ ტამპლიერებს, რომ ისინი ოფიციალურად არ ყოფილან ერეტიკოსებად აღიარებულნი. აქედან გამომდინარე 7 საუკუნის შემდეგ მათ აქვთ შესაძლებლობა პაპისაგან მოითხოვონ რეაბილიტაცია „შინონის პერგამენტის“, როგორც ეკლესიის წევრების მიერ შედგენილი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე.

2006 წლის 21 მაისს ვატიკანის გაზეთში „L Osservatore Romano,“ რომელიც აქვეყნებს პაპის განცხადებებს, ოფიციალურ დოკუმენტებსა და საერთაშორისო სიახლეებს დაიბეჭდა ახსნა განმარტებითი სტატია. „ბოლო დროს გერმანიაში დაჟინებით გავრცელდა ხმები წმინდა საყდრის მიერ ე.წ. ტამპლიერთა ორდენის (Templer orden) სავარ-

აუდო აღიარების შესახებ და სხვადასხვა მხრიდან შემოვიდა ინფორმაციის მოთხოვნა იმ წერილის ავთენტურობის შესახებ, რომელზეც განთავსებული იყო გამოჩენილი კარდინალის- სახელმწიფო მდივნის ხელმოწერა, რომელიც თითქოსდა ახდენდა ორ-დენის აღიარებას ამასთან დაკავშირებით, უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ, რომ ეს წერილი ყალბია და მის შემქმნელებს საპატიო მდგომარეობაში არ აყენებს. რო-გორც ცნობილია, უძველესი ტაძრის ორდენი (ტამპლიერები) აღკვეთა პაპამა კლემენს V-მ (1305-1314) და არასოდეს აღუდგენია მის არცერთ სხვა მემკვიდრეს" („L Osservato re Romano" 2006). ეს წერილი ადასტურებს და აზუსტებს ვატიკანის ოფიციალურ პოზიციას ორდენის აღდგენასთან დაკავშირებით. თუმცა, 2007 წელს ვატიკანმა გამო-აქვეყნა ფაქსიმილე (ზუსტი ასლი) სათაურით: „Processus Contra Templarios".(„პროცესი ტამპლიერების წინააღმდეგ"). 2007 წლის 25 ოქტომბერს ვატიკანის საიდუმლო არქ-ივის პრეფექტი სერჯო პაგანო გაზეთში „L Osservatore Romano" ოფიციალურ განცხა-დებას აკეთებს ფაქსიმილეს გამოცემაზე (Pagano 2007). ეს არის უნიკალური და ძვირადღირებული გამოცემა, რომელიც შეიცავს ძვირფას წყაროებს: „შინონის პერგამენტის" ასლს, ტამპლიერების სასამართლო პროცესის ჩანაწერების ასლებს, ასევე ლათინურად ჩაწერილ მნიშვნელოვან დოკუმენტებს კომენტარებით. ეს პირველწყაროები 700 წელი იყო შენახული და მკვლევართათვის არ იყო ხელმისაწვ-დომი. „Processus Contra Templarios"-გამოცემის მასალები სრულიად ცვლის ტამპლიე-რების ორდენზე გავრცელებულ ინტერპრეტაციებს და შეხედულებებს, ამსხვრევს მითებს და ცხადყოფს, რომ ორდენის ერესში ბრალდება და შემდგომ მისი დაშლა იყო მხოლოდ და მხოლოდ ფილიპ IV-ის პოლიტიკური ნება. ამ წყაროებმა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში და საზოგადოებაშიც გააჩინა კითხვა ტამპლიერების რებილიტა-ციასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ოფიციალურ ვატიკანს დღემდე არ განუხილავს ეს საკითხი. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კლემენს V-ის მიერ აბსოლუციის მინიჭებით ტამპლიერთა ხელმძღვანელების ერთგვარი რეაბილიტაცია ჯერ კიდევ პროცესის დროს, 1308 წელს მოხდა.

ამგვარად, „შინონის პერგამენტი" წარმოადგენს პაპის კარდინალების მიერ საიდუმლოდ ჩატარებულ დაკითხვის ოქმს, ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც გაუქმდა ტამპლიერთა ერეტიკოსობის ბრალდება. „შინონის პერგამენტი" არის დოკუ-მენტი, რომელიც ცვლის ორდენზე შექმნილ წამოდგენას. ასევე ის არის იმის მაგალი-

თი თუ როგორც შეიძლება წყარომ შეცვალოს შეხედულება მოვლენაზე, პიროვნებაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა.

„შინონის პერგამენტმა“ დაადასტურა რომ ტამპლიერების საბრალდებო პროცესი იყო კომპლექსური საქმე, სახელმწიფოს მიერ საეკლესიო სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისათვის ბოროტად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითი. ამ საქმეში ხელისუფლისა და პაპის ინტერესები გადაიკვეთა, რომელშიც მეფის პოლიტიკურმა ნებამ გაიმარჯვა.

ამგვარად, რადგან „შინონის პერგამენტი“ შეიცავს ორდენის ხელმძღვანელების მოსმენების ჩანაწერს, რომელიც დასრულდა მათი აბსოლუციით და ამის პირდაპირი მტკიცებულება მხოლოდ 2001 წელს აღმოჩნდა, ეს დოკუმენტი სრულიად ცვლის აქამდე არსებულ ინტერპრეტაციებს და ორდენზე შეხედულებების რადიკალურად გადაფასებაზე მიგვანიშნებს. „შინონის პერგამენტი“ არის ყველაზე ძვირფასი ისტორიული პირველწყარო, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მის აღმოჩენას აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რადგან ეს დოკუმენტი აბათილებს ტამპლიერებზე შექმნილ მცდარ წარმოდგენებს, უარყოფს მათი ერეტიკოსობის ბრალდებებს და აღადგენს ორდენის რეალურ ისტორიას. „შინონის პერგამენტი“ წარმოადგენს უნიკალურ წყაროს, რომელიც ძვირფას ცნობებს გვაწვდის არა მხოლოდ ტამპლიერების საბრალდებო პროცესის, არამედ იმ ეპოქის რელიგიის, სოციალური ფენების, საეკლესიო მართლმსაჯულების შესწავლისათვის.

ტამპლიერთა ბრალდებები პროცესის დასაწყისში დაუსაბუთებელი იყო და შვიდ წლიანი სასტიკი ძიების მიუხედავადაც ვერ დამტკიცდა დამაჯერებელი არგუმენტებით. „შინონის პერგამენტმა“ ცხადყო, რომ ტამპლიერთა ერესის ბრალდება არ იქნა საეკლესიო სასამართლოს გამოძიების შედეგად აღიარებული და სამართლებრივად დადასტურებული. ამგვარად, „შინონის პერგამენტით“ დგინდება, რომ ორდენი ოფიციაურად არ ყოფილა ერეტიკული, რაც იმას ამტკიცებს რომ ორდენის განადგურება იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება.

და ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 2006 წელს მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ორდენს ბრალდებები მოეხსნა, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვატიკანმა უარყო ეს ინფორმაცია. ფრალეს აზრით, „შინონის პერგამენტის“ საფუძვლიანმა შესწავლამ დაადასტურა, რომ არასოდეს მომხდარა ტამპლიერების ექსკომუნიკაცია (განკვეთა). ამიტომ მორალური და რელიგიური თვალსაზრი-

სით, ისინი რეაბილიტირებულები არიან. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა საყდარი არ აღიარებს ორდენის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, 2007 წელს ვატიკანმა მაინც გამოაქვეყნა „შინონის პერგამენტის“ ასლი.

ამგვარად, „შინონის პერგამენტის“ აღმოჩენამ ფაქტობრივად გარდატეხა მოახდინა და გადააფასა ტამპლიერების ორდენის ისტორია. მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ტამპლიერების საბრალდებო პროცესის ახლებურად შესწავლასა და ინტერპრეტირებაში, ასევე გაამლიერა ინტერესი ორდენის ტრაგიკული და მითებით მოცული ისტორიისადმი. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში „შინონის პერგამენტი“ მიჩნეულია, როგორც გასაღები ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის შესწავლისა და ინტერპრეტაციის. იგი ასევე შეიძლება ჩაითვალოს როგორც ტამპლიერების ბრალდებების შეფასებისა და რეაბილიტაციის იურიდიული საფუძვლის უტყუარი წყარო.

## 3.5. საზოგადოებრივი აზრი ტამპლიერების საბრალდებო პროცესთან დაკავშირებით

ტამპლიერების ორდენის განადგურებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ისტორიაში. მათ წინააღმდეგ გამართული საბრალდებო პროცესი საუკუნეების მანძილზე განიხილებოდა სხვადასხვა რაკურსით, თუმცა, ეს იურიდიული ტრაგედია მაინც მუდმივად რჩებოდა საკამათო და წინააღმდეგობრივ საკითხად. ტრაგიკულმა დეტალებმა, რომლებიც თან ახლდა ორდენის წინააღმდეგ გამართულ მრავალწლიან სასამართლო პროცესს ფანტაზიები და მრავალი ვარაუდი გამოიწვია, როგორც საზოგადოებაში, ასევე ისტორიკოსებში, რომლებიც სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ წარმოეჩინათ ტრაგედიის ძირითადი ასპექტები, გაედიდებინათ კონტრასტი ტამპლიერების აღზევებასა და დაცემას შორის, ან შეექმნათ ბურუსით მოსილი ისტორიები.

ტამპლიერების პროცესისა და ტრაგედიის მიზეზების გასაანალიზებლად უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ შუა საუკუნეების ეპოქის ადამიანთა მენტალობა, პოლიტიკური სიტუაცია, ძირითადად, საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობა და მაშინდელი საზოგადოების აზრი ორდენთან დაკავშირებით.

ამგვარად, ტამპლიერების სასამართლო პროცესის შესაფასებლად საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვაჩინოთ თუ როგორი იყო მაშინდელი და შემდგომი საუკუნეების საზოგადოებრივი აზრი ტამპლიერების ორდენისადმი.

XIV საუკუნის დასაწყისში ტამპლიერების ორდენთან მიმართებით წარმოიშვა უარყოფითი შეხედულებები, რამაც შეარყია საზოგადოებრივი აზრი და ორდენმა თანდათან დაკარგა პოპულარობა და მხარდაჭერა როგორც ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ასევე ხალხის მხრიდანაც, რომლებიც ორი საუკუნის განმავლობაში მხარში ედგნენ მათ. რთულია დღეს ამ სკანდალურად აგორებული ჭორების (თუკი ის ნამდვილად არსებობდა), პირველწყაროს დადგენა. ეს ვერ შესძლეს თვით პროცესის თანამედროვე ისტორიკოსებმა, მაგრამ ცნობილია ის, რომ ტამპლიერების განადგურების მთავარი ინიციატორი და სასამართლო პროცესის დამკვეთი იყო ფრანგი მონარქი ფილიპ IV. მას გარშემო შემოკრებილი ჰყავდა საიმედო ადამიანების გუნდი, რომლის წევრებს წლების განმავლობაში უკვე გამომუშავებული ჰქონდათ სტრატეგიაც და ტაქტიკაც მათ მიმართ, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით არასასურველნი იყვნენ რეჟიმისათვის. ბრალდებების განხილვისას შეიძლება აღმოვაჩინოთ პროპაგანდისტული ოსტატობაც და იმდროინდელი საზოგადოების სისუსტეც, როგორც მისი განათლებული წევრების, ასევე აბსოლუტურად უწიგნურებისაც. ბრალდებების ნაწილი თავისით არ ჩნდებოდა და თანამედროვეებს სჯეროდათ მათი სიმართლეები, რადგან ამისათვის საფუძველი უკვე მომზადებული იყო სულ ცოტა სამი განვლილი საუკუნის მოვლენებით, ასევე განსხვავებული მითების არსებობითა და ცრურწმენებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ნაწილს როგორც ევროპელი, ასევე აღმოსავლეთის ხალხის მასობრივი აზროვნების და რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი არსებობდა ეჭვები, იყვნენ თუ არა ტამპლიერები დამნაშავეები.

პარიზში დაბრუნებული ტამპლიერები კაპელეტოს მოსაზრებით, შესაძლებელია იმედოვნებდნენ, რომ წმინდა მიწის დამცველების ის საომარი შემართება საზოგადოებრივი აზრისათვის შეასრულებდა იმავე როლს, რასაც ასრულებდა დასაწყისში, როლს იდეალური აზრის, რომელიც გაამართლებდა მთელ მათ მოღვაწეობას საზოგადოების განახლებისათვის. სინამდვილეში ამ სახით მათ სიძულვილი და შური გააღვიძეს ფილიპე ლამაზში (Каппелетто 2004: 345).

ჰენრი ჩარლზ ლის  მიაჩნია, რომ იმ ეპოქის საზოგადოების გონება-განწყობილება მზად  იყო, დაეჯერებინა ყველაფერი, რასაც  იტყოდნენ  ტამპლიერებზე: საკმარისი იყო ნაპერწკალი კოცონის  ასანთებად (Ли 1912 : 331).

ტამპლიერთა მასობრივი დაპატიმრების პერიოდში მიუხედავად  მათ წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომისა, საზოგადოებამ მკაფიოდ გამოხატა ორდენისადმი მხარდაჭერა დაპატიმრების დღიდანვე. უფრო მეტიც, განაწყენებული პარიზის მცხოვრებლები გარს შემოერტყნენ ციხეს, სადაც ტამპლიერები ჰყავდათ დაპატიმრებულნი. „უძლიერესი ორდენის ყველა წევრის ციხეში ჩასმა, რომელთა წინააღმდეგ არასოდეს არ წამოუყენებიათ  არანაირი წვრილმანი ბრალდებაც კი, არ იყო სახუმარო საქმე. ამიტომ ტამპლიერების პროცესს წინ უძღვოდა ინკვიზიციისათვის უჩვეულო, არასახასიათო პროპაგანდისტული კამპანია, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა საზოგადოებრივი აზრი იმაში, რომ დაპატიმრებულები მართლაც დამნაშავეები იყვნენ ერესში“ (Григулевич 1976: 190-191). ფრანგ მონარქს სურდა საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება, რათა  ჩაეწყნარებინა ის მღელვარება, რაც ტამპლიერების დაპატიმრებამ გამოიწვია. მისი მომხრეები ცდილობდნენ უკმაყოფილო ადამიანების დამშვიდებას, სამეფო ორდონანსებში აღწერდნენ ტამპლიერების დანაშაულებებს და ამით ამართლებდნენ ხალხში მათ უხეშ ძალადობას. ნოგარემ ტრუბადურები დაიქირავა, რომლებიც მღეროდნენ ტამპლიერების საწინააღმდეგო სიმღერებს. მწერალმა ფრანსუა დე რიემ რომანიც კი დაწერა ამავე მიზნით. მასა, რომელიც უძლური იყო ეაზროვნა, ამ ბრალდებებით ბრმავდებოდა, ხოლო განათლებულნი შეშინებულნი დუმდნენ. თუმცა, მიუხედავად სამეფო საბჭოს ყოველგვარი მცდელობისა ტამპლიერები წარმოეჩინათ ერეტიკოსებად, საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ ამ საკითხში ისინი პირველები არ იყვნენ, რომ ის მეთოდები, რომლებსაც მიმართავდნენ  მათ წინააღმდეგ უკვე გამოცდილი იყო და მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგე გამოეყვანათ ერეტიკოსად. სიტყვა ერესის ხსენება კი  შიშსა და პანიკას იწვევდა შუა საუკუნეების ეპოქის ადამიანებში.

მართალია, იმ ეპოქაში არ არსებობდა მედია, თუმცა  მეფის მრჩევლების მიერ დაგებული ქსელი აქტიურად თამაშობდა მაინც ხალხის განწყობაზე.

საგულისმოხმოა ის ფაქტი, რომ ერთადერთი ქვეყანა, სადაც შეაგროვეს ბრალდების ყველანაირი აღიარება, იყო საფრანგეთი. თუმცა, რაც უფრო გრძელდებოდა სასამართლო დევნა, ტამპლიერების უდანაშაულობის რწმენა  უფრო  მეტად მტკიცდებოდა

საზოგადოებაში, რომლის ნაწილი საფრანგეთში თავის გულისწყრომასა და აზრს ტამპლიერების პროცესთან დაკავშირებით თამამად, ზოგიც შეფარვით გამოხატავდა, რადგან ერეტიკოსთადმი თანაგრძნობა კვალიფიცირდებოდა მათ მხარდაჭერად, რაც კოცონზე დაწვას მოასწავებდა. თუმცა, საფრანგეთის საზღვრებს გარეთ ამას ყველა ღიად გამოთქვამდა. როგორც ჩანს, ხალხი თანაუგრძნობდა ტამპლიერებს და საფრანგეთშიც კი, საზოგადოების ნაწილი მათ მხარეს იყო.

ტამპლიერების წინააღმდეგ გამართულ დევნას შეეწინააღმდეგა პროცესის თანამედროვე ცნობილი ღვთისმეტყველი, დომინიკელი პიერ დე ლა პალიუ. მან განსაკუთრებული სიმამაცე გამოავლინა გამყარებული მოვალეობის მაღალი გრძნობით, როცა ჯერ კიდევ გამწვავებული პროცესის მიმდინარეობისას პარიზში წარსდგა პაპის კომისიის წინაშე და განაცხადა, რომ ესწრებოდა მრავალი მოწმის დაკითხვას, რომლის დროსაც ზოგიერთმა ბრალდებულმა აღიარა წაყენებული ბრალდებები, მაშინ, როცა ამას სხვები უარყოფდნენ; იგი ამტკიცებდა, რომ მის თვალში უარყოფებმა უფრო მეტი რწმენა დაიმსახურა, ვიდრე აღიარებებმა (Ли 1912 : 382-383).

თითოეული ბრალდება იმ ფაქტებს შეესაბამებოდა, რომელიც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის გასაგები და დასაშვები იყო, მაგრამ ბრალდების ყველა პუნქტი ვერ აკმაყოფილებდა ხალხურ წარმოდგენებს იქედან გამომდინარე, რომ ყველაზე სულელური გამონაგონი, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ერესის საქმისათვის რწმენას იმსახურებდნენ, მხოლოდ მიმნდობ ადამიანებში. ფილიპ IV-ის ერთგული პირები, აგრეთვე „მომხრეთა მთელი არმია გაწაფულად მოქმედებდა ევროპელების განწყობაზეც, რომელთა შეგნებაში ტამპლიერები ასოცირდებოდნენ ისეთ მარგინალურ ჯგუფებთან, როგორებიც იყვნენ: კეთროვნები, ებრაელები და მუსლიმები“ (Рид 2005 : 346). ირკვევა, რომ „ტამპლიერების ორდენი მოლეს მაგისტრობის დროს აღმოჩნდა აბსოლუტურად მოუმზადებელი იმ პერიოდში გაძლიერებული საზოგადოებრივი ყურადღების, სამოქალაქო და საეკლესიო კანონმდებლობის მიმართ. ტამპლიერებმა არ იზრუნეს რომ მიეზიდათ იურისტები ან მოემზადებინათ საკუთარ წრეში კადრები. მოლე გამოძიების დროს გულწრფელად განიცდიდა, რომ არ ჰყავდათ იურისტები“ (Рид 2005 : 346).

პროცესის დროს საზოგადოების ყველაზე დიდი დაინტერესება და მრავალმხრივი ინტერპრეტაცია გამოიწვია ტამპლიერების საქმის დასასრულმა, მაღალი იერარქების კოცონზე დაწვამ და შემდგომ განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა,

რაც თითქოს უკავშირდებოდა მაგისტრის წყევლას. მიაჩნდათ, რომ ამგვარად, თითქოს და გამართლდა საზოგადოების იმ ნაწილის ვარაუდი, ვინც თვლიდა, რომ ტამპლიერების საქმე იყო წინასწარ განზრახული და დაგეგმილი პროცესი და შურისძიებას არ უნდა დაეგვიანებინა. მოგვიანებით შეიქმნა ლეგენდები, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ თითქოს ტამპლიერებმა იცოდნენ ძლიერმომქმედი საწამლავების დამზადება. მათი ფარული ძალების შესახებ რწმენა გააძლიერა იმანაც, რომ ასე მალე ახდა თითქოს მოლეს წყევლა და წარუშლელი კვალი დატოვა თაობათა მეხსიერებაში. ბუტმის მოსაზრებით „უფრო სარწმუნოა ის, რომ, პაპი და მეფე მოწამლეს დაღუპული ორდენის იდუმალმა მომხრეებმა, რათა გაემართლებინათ მოლეს წინასწარმეტყველება და შური ეძიათ მონარქსა და პაპზე, რომელთაც გაბედეს და გაათავისუფლეს ქრისტინული სამყარო სატანის მსახურთა საიდუმლო კავშირისაგან“ (Бутми 1914 :164). ჩვენთვის დაზუსტებით ცნობილია რომ ყველა მბრალდებელი, რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა ტამპლიერების საინკვიზიციო პროცესში, დაიღუპა მოულოდნელად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ფილიპ IV-ის ნეშტი პარიზელებმა ამოთხარეს 500 წლის შემდეგ. საყურადღებოა ერთი საინტერესო ცნობაც: ორდენის სამფლობელოები და ტამპლიერების ციხე-სიმაგრე პარიზში ტამპლი გახდა ფილიპ IV-ის საკუთრება, რომელიც მოგვიანებით იქცა უკანასკნელ სამყოფელად მისი შთამომავლისა. სწორედ ტამპლში გაატარეს უკანასკნელი დღეები გილიოტინაზე დასჯის წინ ლუი XVI–მ და მარია ანტუანეტამ. „ალბათ დროულია, ასკვნის შუსტერი, აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორიაში ბატონობს დიდი ქალღმერთი, სასტიკი და მარადიული შურისმაძიებელი, დამსჯელი ნემეზიდა“ (Шустерь 1905 : 199).

განვითარებულმა მოვლენებმა გზა გაუხსნა ფანტაზიას და წარმოიშვა ლეგენდები, რომ თითქოს მოლემ მოუწოდა პაპს და მეფეს ღვთის სამსჯავროზე. მსგავსი ისტორიები ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში, რომლის სამართლიანობის გრძნობა შეურაცხყო ამ საქმემ. შორს, გერმანიაშიც კი ფილიპის სიკვდილში ხედავდნენ სამართლიან სასჯელს ტამპლიერების განადგურების გამო. იმასაც ამბობდნენ, რომ სიკვდილის სარეცელზე მყოფი კლემენსი სინდისის ქენჯნისაგან ცრემლებს ღვრიდა (Ли 1912: 382).

პაპისადმი კეთილგანწყობილი ტამპლიერების თანამედროვე იტალიელი ისტორიკოსი ბოდიშის მოხდით მოგვითხრობს ერთი ტამპლიერის შესახებ, რომელიც ნეაპოლიდან მიიყვანეს კლემენსთან. მან თამამად უთხრა ბევრი რამ პაპს და მიესაჯა

კოცონზე დაწვა, ცეცხლის ალში გახვეულმა  კლემენსსა და ფილიპს  ერთი წლის დასასრულამდე მოუხმო ღვთის სამსჯავროზე. ეს  წინასწარმეტყველება  სასწაულებრივად ახდა. ჰენრი ჩარლზ ლის მოსაზრებით,  ყველა მსგავსი ისტორია  გვიჩვენებს ხალხის განწყობას  და მათ ღრმა  თანაგრძნობას წამებულებისადმი (Ли  1912 : 382).

ტამპლიერების შესახებ არსებობს ერთი ფრანგული  ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს, რომ პირინეებში, ყოველწლიურად აღდგომის ღამეს ჩნდება შეიარაღებული ფიგურა წითელი ჯვრითა და თეთრი ლაბდით. იგი სამჯერ წამოიძახებს: ვინ დაიცავს წმინდა ტაძარს? ვინ გაათავისუფლებს უფლის საფლავს? არავინ, არავინ! პასუხობენ მას. ტაძარი დანგრეულია!  (Шустерь 1905 : 199-200).

საინტერესოდ მიგვაჩნია აღინიშნოს დანტე ალიგიერის დამოკიდებულების საკითხი ტამპლიერების ორდენთან მიმართებით. XVII  საუკუნეში პუატიეს ეპისკოპოსმა ჰენრი სპონდანუსმა, თავის ანალებში  დანტე ტამპლიერების მომხრედ გამოაცხადა, რაც მაშინ გათანაბრებული იყო პოეტის ერესში დადანაშაულებასთან. იტალიელი თეოლოგის ჟ. ვ. კაპელეტოს მოსაზრებით თუ გავითვალისწინებთ „ღვთაებრივ კომედიაში“ აღნიშნულ მრავალ სიმბოლოს და ორაზროვნებას  ორდენში მომხდარ მოვლენებზე, მაშინ თვალწინ წარმოგვიდგება არა მარტო ტამპლიერების მომხრე პოეტის სახება, არამედ იმასაც მივხვდებით, რომ ის იყო მათი ახლო მეგობარი, დამცველი და უფრო მეტიც, დანტე აიდეალებდა ტამპლიერების სიბრძნეს. კაპელეტოს მიაჩნია, რომ დანტე, რომელმაც ყმაწვილობაში შესაძლოა გაიარა ინიციაციის დაბალი საფეხურები, შეიძლება სრულიად შეუცდომლად მივაკუთვნოთ ტამპლიერების თეოლოგებს და ვფიქრობთ, ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ის განაჩენი, რაც „ღვთაებრივ კომედიაში“ ტამპლიერების გამანადგურებლებს გამოუტანა პოეტმა. ნაწარმოების ამ მიმართულებით ანალიზით დასტურდება, რომ იგი უარყოფდა ვიენის კრების გადაწყვეტილებას. მართალია, ის აშკარად არ გამოთქვამს მოსაზრებებს  ორდენის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, რადგან ამისათვის მაშინვე ერეტიკოსად შერაცხავდნენ, მაგრამ დანტე  იმეორებს ფილოსოფოს ოლივის ყველა ვარაუდს, რომელიც ვიენის კრებაზე იქნა განსჯილი. ირკვევა, რომ დანტე უსამართლოდ მიიჩნევდა  ვიენის კრების გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც,  იგი უარყოფდა თვით პაპ, კლემენს V-ის არჩევის კანონიერებასაც. მან არ დაუცადა ისტორიის სამსჯავროს და კლემენს  V მოათავსა ჯოჯოხეთის მე–8 წრეში. დანტე ასევე უარყოფითად ახასიათებს ფრიდრიხ

II–ესა და ნეაპოლიტანელ შარლ II–ს, რომლებმაც ტამპლიერების ქონების კონფისკაცია მოახდინეს (Каппеллетто 2004 : 363 - 364).

ცნობილი თანამედროვის ეს მოსაზრება ძალიან მნიშვნელოვანია ტამპლიერების ისტორიის შესწავლისათვის. დანტე იყო შემქმნელი შუა საუკუნეების სიმბოლური კოსმოგონიის. ჯ. ვ. კაპელეტოს მოსაზრებით, დანტესთან შეგიძლია იპოვნო სწორედ ის სიმბოლოები, რომლებიც ტამპლიერებთან არის წარმოდგენილი.დანტესთან ხშირად ფიგურირებს რიცხვი 13, რომელიც გამოხატავს უფალს და მის მოციქულებს. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ 13 ოქტომბერს დააპატიმრეს ტამპლიერები. დანტეს – ჯოჯოხეთში არის 19 სფერო – 13 ადამიანით. საინტერესოა თიხის მოხუცის ქანდაკება, რომლის შესახებაც იგი საუბრობს ჯოჯოხეთის მე–14 სიმღერაში. ქანდაკების ყველა ნაწილი, გარდა ოქროს თავისა არის დაბზარული. მისი მზერა მიმართულია რომისაკენ და ზურგი შექცეული აქვს დამიეტისათვის. კაპელეტო თვლის, რომ ეს ქანდაკება არის ტამპლიერი, რომელიც მკვეთრად უარყოფს პასუხისმგებლობას დამიეტის ექსპედიციაზე. სწორედ ფლორენციაში მიიჩნევდნენ, რომ ტამპლიერები იყვნენ დამნაშავენი დამიეტის ტრაგედიაში. ქანდაკება ორდენის ნგრევას მოგვაგონებს, ოღონდ მისი ოქროს თავი უვნებელია და არა მხოლოდ ტამპლიერების ღირსებების გამო, არამედ იმიტომაც, რომ დანტე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ისევე, როგორც ტამპლიერების მრავალი მეგობარი, იმედოვნებდა ორდენის აღორძინებას (Каппеллетто 2004 : 364).

„ღვთაებრივი კომედიის“გარდა ტამპლიერებს უკავშირდება აგრეთვე დანტეს სონეტი „გარისენდაზე“. „ამ ბოლონიურმა კოშკმა მიიპყრო პოეტის ყურადღება და ხელი შეუშალა მას დაენახა ის, რომელიც უფრო დიდია ამ კოშკზე. პოეტი აცხადებს, რომ მისი მუდმივი მტრები იქნებიან ისინი, რომლებიც არ აღიარებენ ამ მეორე კოშკის სიდიდეს (ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საუბარია ქალზე). ამჟამად ცნობილი ხდება, რომ ბოლონიაში, სტრადა მაჯორეს ქუჩაზე განთავსებული იყო ტამპლიერების რეგიონალური სახლი და აქვე, ამავე ქუჩაზე, სანტა-მარია დელ ტემპოს ეკლესიის გვერდით აღმართული იყო კოშკი, სახელწოდებით „მთავარი“, რომელიც დაინგრა XIX საუკუნეში. ეს კოშკი მდებარეობდა მთავარ ხაზზე, საიდანაც სტრადა მაჯორედან მიემართებოდა ქუჩა გარისენდასკენ“ (Ваги 2007 : 87).

დროთა განმავლობაში ტამპლიერების უდანაშაულობის რწმენა გამყარდა. წმინდა ანტონ ფლორენციელი, რომლის ისტორიული ნაშრომები უდიდეს ზეგავლენას

ახდენდა XV საუკუნის საზოგადოებრივ აზრზე მიიჩნევდა, რომ ტამპლიერების განადგურება გამოწვეული იყო მათი სიმდიდრისადმი შურით; ჰუმანისტებმა გაიზიარეს ეს თვალსაზრისი. კამპის მტკიცებით, იტალიაში, XVII საუკუნეში ბევრი თვლიდა ტამპლიერებს წმინდანებად და მოწამეებად. თუმცა, არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც. XVIII საუკუნეში ცნობილმა მეცნიერმა დიუ პუიმ წამოიწყო ფილიპ ლამაზის რეაბილიტაცია ნაშრომში, რომელშიც შეკრებილი მდიდარი მასალა აუცილებელია თანამედროვე ისტორიკოსებისათვის (Ли 1912 : 383). დიუ პუიმ გამოსცა ტამპლიერების საქმის ორი ტომი.

საიდუმლო საზოგადოებების მკვლევარი ბუტმი მიიჩნევდა, რომ ტამპლიერების ორდენი იყო ძალაუფლებისმოყვარე, ძლევამოსილი საზოგადოება, ორდენი წარმოადგენდა საფრთხეს მთელი ქვეყნისათვის. მისი აზრით, მსგავსი კავშირი სახელმწიფოში შეიძლება მოითმინო იქამდე, სანამ მას აერთიანებდა ისეთი უდიდესი მისია, როგორიც ქრისტიანების მტრებთან ბრძოლა იყო, მაგრამ, როცა უკვე ქრისტიანების საქმიანობა აღმოსავლეთში დარჩა წაგებული, რასაც ბუტმის აზრით ტამპლიერების გამცემლურმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი, ამის შემდეგ ორდენის არსებობა გახდა დაუშვებელი და ფრანგ მეფეს სხვა არაფრის გაკეთება დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ძირფესვიანად გაენადგურებინა ეს საზოგადოება და არაფერი გასაკვირი არაა იმაში, რომ ფრანგთა მეფემ ისარგებლა პირველივე საბაბით. ბუტმი განიხილავს ტამპლიერების როგორც ასასინებთან, ასევე მასონებთან სულიერი კავშირის საკითხებსაც და ასკვის: ,,აშკარაა ერთი, ტამპლიერებს რომც არ ჰქონოდათ შესაძლებლობა უშუალოდ გადაეცათ თავიანთი სწავლებები მასონებისათვის, ეს არანაირად არ ცვლის იმ უეჭველ ფაქტს, რომ წარმოშობით, სულით, სწავლებებით, წეს-ჩვეულებებითა და მიზნებით მეტაძრეთა ორდენი და მასონობა წარმოადგენენ ერთი და იმავე ბნელი ძალის შვილებს მსოფლიო იუდაიზმისა, რომლებიც მიისწრაფვიან ქრისტიანული ცივილიზაციის დანგრევისაკენ, რათა მის ნანგრევებზე აღმართონ სოლომონის ტაძარი, ე. ი. იუდეის მბრძანებლობა (Бутми 1914: 167). უნგრელი ისტორიკოსის ე. გერგეის აზრით, ტამპლიერები პაპებისა და მეფეების ყველაზე მსხვილი კრედიტორები იყვნენ და ამავე დროს მოხერხებულად ახდენდენ თავიანთი საბანკო ქსელის კონსპირაციას. აღმოსავლეთში, როგორც ჩანს, მათ გადაიღეს განსაზღვრული საკულტო რიტუალები, რომლებიც არ იყო დამახასიათებელი ქრისტიანული რელიგიისთვის (მოგვიანებით

ეს წესები გააცოცხლეს ფრანკმასონებმა საიდუმლო რიტუალებში) ორდენი დაუპირისპირდა ფილიპ IV -ის აბსოლუტიზმს (Гергей 1996: 157-158).

ამგვარად, საუკუნეების განმავლობაში ტამპლიერების პროცესთთან დაკავშირებულ ისტორიისადმი ინტერესი არ წყდებოდა. 1805 წელს პარიზის ერთ-ერთ თეატრში დაიდგა პიესა, რომელიც დაწერა პროვანსელმა ადვოკატმა ფრანსუა რენუარმა. სპექტაკლში დამტკიცებული იყო ტამპლიერების უდანაშაულობა. პიესამ გამოიწვია უდიდესი ინტერესი თვით ნაპოლეონ ბონაპარტის, რომელმაც თურმე, რეცენზიაც კი დაწერა სპექტაკლის შესახებ. იმპერატორს მიაჩნდა, რომ პიესაში მეფე გამოიყურებოდა ძალიან სუსტად, მაგისტრი კი-ძალიან უმწიკვლოდ. მისი აზრით, ნამდვილი გმირი უნდა ყოფილიყო ფილიპ ლამაზი, რომელიც აკეთებს იმას, რასაც აკეთებს, რადგან სხვაგვარად არ შეუძლია. ეს იყო ტრაგიკული დილემა სახელმწიფო მოღვაწის! პიესა იდგმებოდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და გამოიცემოდა ისეთ პოპულარულ სერიებში როგორებიცაა: „კარგი წიგნები“ ან „ ასი საუკეთესო წიგნი 10 სანტიმად - ბიბლიოთეკა ყველა ოჯახისათვის“. რენუარის „ტამპლიერები“, შედიოდა ოთხ სათაურში, რომლებიც წარმოადგენდნენ საფრანგეთის ისტორიის სიუჟეტებს („ჟანა დარკის“, „შარლ IX-ის“ „კალეს ალყის“ ასევე როსინისა და კორნელის გვერდით) (Демурже 2009: 137).

შესაძლოა, ტამპლიერების მიერ ლუდოვიკო XVI-ის მიმართ განხორციელებულ შურისძიების ლეგენდამაც დააფიქრა ნაპოლეონი. მან აიძულა პარიზის სასულიერო პირები მოეწყოთ სახალხო მსვლელობა, საზეიმოდ მიეტევებინათ ცოდვები და რეაბილიტირებულად გამოეცხადებინათ ჟაკ დე მოლე. მართლაც, 1808 წელს, ჟაკ დე მოლეს დაწვის დღეს, 18 მარტს, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის პირდაპირ, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ის აწამეს, სახალხოდ გამოცხადდა მისი რეაბილიტაცია და შესრულდა სამგლოვიარო მესა. ამავე წელს ტამპლიერების ცნობილი ციხე ტამპლი ნაპოლეონის ბრძანებით დაინგრა.

1810 წელს პარიზში ჩაიტანეს პაპის არქივი. რენუარი გაეცნო დოკუმენტებს, რომელებმაც ახალი შუქი მოჰფინა ტამპლიერების პროცესს. საქმის მასალებში არ იქნა ნაპოვნი რაიმე ხელმოსაჭიდი, დამაჯერებელი ფაქტები ორდენის დანაშაულობების. არსად არ იყო მითითებები ტამპლიერების ჯადოქრობაში, შავ მაგიასა და გნოსტიციზმში ბრალდებების ( Рид 2005: 392).

ტამპლიერების პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნეში.

ტამპლიერების ისტორიის ობიექტური ანალიზის მცდელობა ჰქონდა ვოლტერს. მისი აზრით: „ტამპლიერების ერთადერთი დანაშაული იყო მათი გადაჭარბებული სიამაყე და უდიდესი სიმდიდრე, რამაც ბიძგი მისცა სახელმწიფოსა და ეკლესიას შეკავშირებულიყვნენ მის გასანადგურებლად. საბოლოოდ ვოლტერმა ორდენის ტრაგიკული ბედის მიზეზი განსაზღვრა, როგორც შემზარავი შედეგი იმ უმეცრებისა და ბარბაროსული ეპოქისა“ (Ваги 2007: 100).

დიდი ფრანგი ისტორიკოსი ჟიულ მიშლე, რომელმაც შეისწავლა ინკვიზიციის გამოძიების ოქმები, ტამპლიერების ორდენის წინააღმდეგ გამართულ დევნას თვლის შუა საუკუნეების ისტორიაში ყველაზე გახმაურებულ პროცესად და აცხადებს: „ტამპლიერების დაცემა ყველაზე საშინელ კატასტროფად იქცა დასავლური ცივილიზაციისთვის“ (Каппеллетто 2004 : 331).

ტამპლიერების პროცესის შესახებ თვით პაპებიც კი საუბრობდნენ შემდგომ საუკუნეებში. 1773 წელს, კლემენს XIV-ემ, როცა დაშალა იეზუიტების ორდენი, მან არგუმენტებისთვის გაიხსენა კლემენს V-ის მიერ ტამპლიერების განადგურების საქმე და თავის, 1773 წლის 21 ივნისს გამოცემულ ბულაშიც კი მოიყვანა მაგალითად. იგი წერდა: „პაპი კლემენს V, ჩვენი წინამორბედი 1312 წლის 2 მაისით დათარიღებულ წერილში აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ ტამპლიერების სამხედრო ორდენი უნდა გაუქმებულიყო, იმ მიზეზით, რომ მას ჰქონდა ძალიან ცუდი რეპუტაცია და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქრისტიანობას. წმინდა საყდარი კარგად აცნობიერებდა ამ მდგომარეობას, ამიტომ ვიენის კრების შემდეგ აღნიშნული საკითხი პრაქტიკულად განისაზღვრა“( Raynuourd 1813: 195-196).

1914 წელს ტამპლიერების ორდენის ერთ-ერთმა ისტორიკოსმა ვიქტორ კარიერმა განაცხადა: „დღესდღეობით ეს არის საბოლოოდ დადგენილი ფაქტი: მეტაძრეთა ორდენი, როგორც ასეთი უდანაშაულოა იმ ბრალდებებში, რომლებშიც მას ასე დიდხანს ადანაშაულებდნენ.“ შემდგომმა კვლევებმა დაადასტურეს და უფრო დააზუსტეს ეს უაპელაციო განაცხადი (Демурже 2008 : 290).

ტამპლიერების ისტორიის ერთ – ერთმა გამორჩეულმა მკვლევარმა ა. დემურჟემ რამდენიმე ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა ტამპლიერების საკითხს. მისი აზრით, ზუსტი განსაზღვრება უნდა მიეცეს ტამპლიერების პროცესს, რადგან ეს არ იყო ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. დღეს ჩვენ შეგვიძლია მას ვუწოდოთ პოლიტიკური საქმე, რომელიც ჩატარდა განსაკუთრებული პროცედუ-

რით, ინკვიზიციის პროცედურით. მისი მიზანი მდგომარეობდა არა იმაში, „რომ დაედგინა ჭეშმარიტება, არამედ ეჭვმიტანილი გადაექცია დამნაშავედ“. მკვლევარი ხაზს უსვამს და საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მეფის მიერ 14 სექტემბერს გაცემულ მითითებებთან დაკავშირებითაც, რომელიც მისი აზრით იყო სრულიად არაორაზროვანი: ჯერ მეფის ხელქვეითებს უნდა დაეკითხათ დაპატიმრებული ტამპლიერები, ხოლო შემდეგ „მიეწოდებინათ ინკვიზიციის წარმომადგენლებისათვის და მთელი მონდომებით დაედგინათ სიმართლე, თუ საჭიროა წამების გამოყენებით“... მეფე მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება მალე გადაეგზავნათ მისთვის „იმათი ჩვენებების ასლები, რომლებიც დაადასტურებდნენ მითითებულ შეცოდებებს, ან საერთოდ ქრისტესაგან განდგომას. ორმა გერმანელმა ტამპლიერმა უარყო ორდენის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. ისინი არ უწამებიათ, მაგრამ ინკვიზიტორმა უარი განაცხადა ბეჭდით შეეკრათ მათი ჩვენებები, რადგან ისინი არ შეიცავდნენ აღიარებებს. სიმართლე ცნობილი იყო მანამდე: „მათ უთხრეს, რომ პაპსსა და მეფეს ამ შეცოდებების შესახებ უკვე აქვთ ცნობა ორდენის წევრი ბევრი სანდო თვითმხილველისგან. ტამპლიერები დილემის წინაშე დააყენეს. კომისრებს დავალებული ჰქონდათ შეპირებოდნენ მათ პატიებას, თუ ისინი აღიარებდნენ სიმართლეს და დაუბრუნდებოდნენ წმინდა ეკლესიის რწმენას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებოდნენ სიკვდილით. ასეთი იყო თამაშის წესები, რომლებსაც ფილიპ IV და მის მრჩევლები ადგენდნენ და აგრეთვე ინკვიზიციისა, რომელიც საფრანგეთში მისი უდიდებულესობის კონტროლქვეშ იმყოფებოდა...ბრალდებების სარწმუნოობა აუცილებელია შევაფასოთ ამ კონტექსტის გათვალისწინებით. ყველა ამ ასპექტიდან გამომდინარე ჩვენ ვიღებთ მოწმეების ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს...ამგვარად, ბრალდებებს რომ მოეცათ შედეგი, საჭირო იყო მხოლოდ პოლიტიკური ნება, რომელიც შეძლებდა ამ ბრალდებებების თანმიმდევრულ სისტემაში მოქცევას და მორგებას საზოგადოებრივ აზრთან დასახიჩრების, დამატებისა და გამონაგონის საშუალებით. ზუსტად ეს გააკეთა გიიომ დე ნოგარემ, რომელიც მოქმედებდა საფრანგეთის მეფის დავალებით (Демурже 2008: 290 -297).

ტამპლიერების ისტორიის მკვლევართა შორის გამორჩეულად უნდა აღვნიშნოთ ბრიტანელი ისტორიკოსი მალკოლმ ბარბერი. მან არაერთი წიგნი და სამეცნიერო სტატია მიუძღვნა ტამპლიერთა ორდენს. მისი ნაშრომები მიიჩნევა ყველაზე ფუნდამენტურ კვლევად ტამპლიერების სასამართლო პროცესისა. ბარბერი აღნიშნავდა: „მიუხედავად სახელმწიფო მოხელეების ეშმაკური სვლებისა, ვერც კერპები აღმო-

ჩინეს  და ვერც საიდუმლო წესდებები. ბრალდებათა მუხლები აშკარად წარმოადგენს მცდელობას გააღვივონ ხალხში არსებული შიშები, ყველაზე მეტად კი მათთვის ამოუხსნელ გარემომცველი სამყაროს  ძალებისადმი. ეს შიშები ნაწილობრივ ფოკუსირდებოდა ისეთ „გარიყულთა“ ჯგუფებისადმი, როგორიც იყვნენ  მაგალითად, ებრაელები. ტამპლიერთა საქმეში ბრალდებები წაყენებული იყო უკიდურესად მტრული განწყობით  ორდენისადმი 1291 წლის უიღბლობის შემდეგ (ამ წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს უკანასკნელი დასაყრდენი წმინდა მიწაზე, ქალაქი აკრა, რომლის დაცვას ტამპლიერებმა თავი შესწირეს), რათა ტამპლიერებიც  გამხდარიყვნენ თავისებური სახის „გარიყულები“... ტამპლიერების ორდენის არსებობა ჯვაროსნული ლაშქრობების გარეშე გაუმართლებელი აღმოჩნდა... ბარბერის აზრით, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ფილიპსა და მის მინისტრებს  მართლა სჯეროდათ ტამპლიერების ერესში დამნაშავეობის. მიუხედავად ბრალდებათა მკვეთრად პროპაგანდისტული მიმართულებისა, ეს ფაქტორი მაინც უნდა გათვალისწინდეს.  „უქრისტიანესმა მეფემ “, თავისი მმართველობის პერიოდში  გამოავლინა მიდრეკილება საკუთარი თავის მოტყუებისა, თუმცა  ვერც მან და ვერც მისმა მრჩევლებმა ვერ შეძლეს  მთლიანად გამოყოფოდნენ საკუთარ გარემოცვას და საკუთარ ხალხს, რათა განვიხილოთ ისინი, როგორც ფარისეველი მანიპულატორები. ბარბერს მიაჩნია, რომ ტამპლიერების  პროცესი უნდა განვიხილოთ ორდენის გარეგანი ფაქტორების ერთობლიობით და არა შიდა წარუმატებლობით, ესენია: ფილიპ  IV-ის ფინანსური პრობლემები, ბონიფაციუს VIII-ის  დამარცხების შემდეგ პაპობის სისუსტე, აკრის დაცემა და ამაზე მთელი დასავლეთ ქრისტიანული სამყაროს  რეაქცია და  ის შემთხვევითობა, რამაც აიძულა  კლემენს V საფრანგეთში მოეწვია მოლე ზუსტად იმ დროს, როდესაც ფილიპ  IV-ის ხელისუფლებას მორიგი ფინანსური კრიზისი ჰქონდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ რეალურ  გარემოებას პროცესთან გააჩნია მჭიდრო  ურთიერთობა, იგნორირებას  ვერ გავუკეთებთ სოციალურ კონტექსტსაც. ტამპლიერების თანამედროვეებს სჯეროდათ, რომ ეშმაკი გამუდმებით ეძებს საშუალებას დათესოს გარყვნილება და შფოთი ქრისტიანულ საზოგადოებაში და შედარებით სუსტ საწყისებზე იერიშის მიტანით, სურს  დაანგრიოს მისი ფუნქციონალური ერთიანობა. მორწმუნეთა დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ ყოფილიყვნენ მუდამ მზადყოფნაში, ხსომებოდათ ეს საფრთხე და როდესაც ეშმაკის ქმედებანი გახდებოდა  თვალნათელი, უნდა მოკვეთილიყო ავთვისებიანი სიმსივნე, რათა საფრთხე  მთელ  ორგანიზმს არ დამუქრებოდა. არგუმენ-

ტები, რომლებიც გამოყენებული იქნა ტამპლიერების მიმართ პროცესის დროს, არა მარტო შუა საუკუნეების ასეთ ქრისტიანულ თვალთახედვაზეა აგებული, არამედ სარკესავით ასახავს ამ ყოველივეს. ჯერ კიდევ პუატიეში პლეზიანი აფრთხილებდა პაპს, რომ: „ეშმაკი იპარება, როგორც ქურდი, მსურველი შენს ბინაში შემოჭრის ... გიიომ ლე მერმა ვიენის საეკლესიო კრებაზე განსაზღვრა იმ მოქმედებათა აზრი, რაც ხდებოდა ორდენის წინააღმდეგ მათეს სახარებიდან მოყვანილი სიტყვებით: „ თუკი შენი მარჯვენა თვალი გაცდუნებს, ამოიღე და გადააგდე, რადგან უმჯობესია დაიღუპოს შენი სხეულის ერთი ნაწილი და არა მთელი სხეული ჩავარდეს გეენიაში. და თუ კი შენი მარჯვენა ხელი გაცდუნებდეს, მოიკვეთე იგი.“ ამგვარად, ეს პროცესი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბრალდებულთა დამნაშავეობა, ან გამართლება. ეს ერთ-ერთი შუა საუკუნეებში მომხდარი ტრაგედიაა, რომელშიც საზოგადოებამ მიანიჭა თავის მმართველს, ფილიპ IV-ს შესაძლებლობა ისე ემოქმედა, როგორც მას ჰქონდა გადაწყვეტილი, თავადვე გაანადგურა ორდენი, რომელიც ოდესღაც სწორედ ამ საზოგადოების სიამაყეს წარმოადგენდა“ (Barber 2006 : 289-290).

საინტერესოდ მიგვაჩნია თანამედროვე მკვლევრის, ფრანკო კარდინის მოსაზრების აღნიშვნა ტამპლიერების პროცესთან დაკავშირებით. „ადგილობრივი საეკლესიო სასამართლოების მიერ ერესისთვის დაგმობის გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა ზოგიერთი ტამპლიერის აღიარებას -განმარტავს კარდინი, რომლებმაც შემდეგ, თუმცა უარყვეს და ამ მიზეზით ისინი განიხილებოდნენ, როგორც „relaps“ ანუ ხელმეორედ ჩავარდნილები იმ შეცოდებებში, რისთვისაც ისინი იყვნენ გაასამართლებულნი და დაგმობილნი. ერთადერთმა ძალამ, რომელსაც ჰქონდა ამის უფლებამოსილება მიიყვანა ისინი კოცონზე. ტამპლიერთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს შორის იყო ისიც, რომ ისინი როგორღაც აცდუნა ისლამმა და მიიზიდა კათართა ერესმა. ამ ორ ელემენტს არ შეეძლო თანაარსებობა. კარდინი აღნიშნავს, პაპის პრეროგატივა იყო ორდენის დაშლა, მაგრამ მას არასოდეს დაუგმია იგი“ (Tosatti 2007 : იხ., Tosatti M.Vaticano: Pergamena di Chinon, svelato il mistero dei templari. იხ: http://www.veja.it/2008/12/09/vaticano-pergamena-di-chinon-svelato-il-mistero-dei-templari/).

ტამპლიერების პროცესი გასცდა საფრანგეთის სამეფოს საზღვრებს და მან თავისებური ასახვა ჰპოვა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივი აზრის ყველა ასპექტში. მათ შორის საქართველოშიც. ცნობილია, რომ უკანასკნელი, დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს ორდენში მიღების ნახატი ოლღა გურამიშვილმა აჩუქა წმინდა

ილია მართალს. სურათი ამჟამად ინახება საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. ჟაკ დე მოლესა და ჰიუგ დე პეინის პორტრეტები მოხვდა ვერსალის სასა-ხლის ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი მიძღვნილ დარბაზებში. ამორი დიუვალის 1840 წელს დახატულ ნახატზე მოლე წარმოდგენილია ბიუსტის სახით. იგი ასევე გა-მოსახულია კლოდ ჟაკანის 1842 წელს დახატულ დიდ ტილოზე. XIX საუკუნეში ფლამანდიური წარმოშობის ბიუკუას გვარის შთამომავალმა, ჩეხეთში, ჰაბსბურგების მიერ ნაჩუქარ ცნობილ როჟმბერკის ციხესიმაგრეში ვერსალის სასახლის დარბაზე-ბის მსგავსად მოაწყო ჯვაროსნული ლაშქრობების გალერეა. 1855 წელს მან 8 პორტ-რეტი შეუკვეთა მხატვარ ფრიდრიხ შტრიობელს და ჩამოკიდა ისინი თავის გალერე-აში, სადაც ჟაკ დე მოლეს საპატიო ადგილი უკავია გოდფრუა ბულონელთან, ფი-ლიპ ავგუსტუსთან და ლუი წმინდასთაან ერთად. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 80–იან წლებში რუსთაველის თეატრში წარმატებით იდგმებოდა ლესინგის „ნათან–ბრძენი“, რომელშიც ავტორის სიმპათიებია გადმოცემული ტამპლიერების ორდენის მიმართ. ლეგენდა ტამპლიერების გრაალის მცველობასთან დაკავშირებით ასევე ფართოდ აისახა ქართულ ლიტერატურაში. ორდენის მიმართ ინტერესი დღემდე არ განელებულა. ტამპლიერების შესახებ შეიქმნა ერთგვარი ინდუსტრია, რომელიც მოიცავს, მწერლობას, ხელოვნებას, კინოს. ასევე მრავალი ორგანიზაცია ეყრდნობა ტამპლიერებს, როგორც წინამორბედებს.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ტამპლიერებთან დაკავშირებით მხატვრული ლიტე-რატურის აღნიშვნაც. უოლტერ სკოტმა თავის ისტორიულ რომანში „ აივენჰო“, რომე-ლშიც მეთორმეტე საუკუნის ისტორიული რეალობაა აღწერილი, ტამპლიერები ქედმ-აღალ, გაბღენძილ ადამიანებად გამოიყვანა. მოვიყვანთ რომანიდან რამდენიმე ციტა ტას, რომლებშიც ტამპლიერი რაინდი, ბრიან დე ბუა გილბერია დახასიათებული. „ტაძრის რაინდთა ღირსპატივსაცემი ორდენის მამაცი მეთაური“. „გილბერზე კარგ-იც ბევრი მსმენია და და ცუდიც. მთელ ორდენში ყველაზე მამაცი ეგ არისო, გამიგო-ნია, მაგრამ მათივე ბოროტებაც მოსდგამს - ყოყოჩია, ქედმაღალი, ღვარძლიანი და ავხორცი; გულქვა კაცია - არც მიწაზე ერიდება რამეს, არც ზეცის რისხვისა ეშინია.“ ,,გილბერს დიდებული მიხრა-მოხრა ისე უხდებოდა, რომ თუ, ამასთან მეტისმეტი ყოყოჩობა და უფლებისმოყვარეობა არ ჰქონიყო გაძვალრბილებული, თვალს ვერ მოაშორებდა კაცი“ (სკოტი 1991: 49-50-52).

ცნობილი იტალიელი მწერალი და მოაზროვნე უბერტო ეკო თავის ცნობილ რომანში, „ფუკოს ქანქარა“ წერს: „თითქმის შემთხვევით ჩავეწერე შუა საუკუნების სემინარზე და ნაშრომის თემად ტამპლიერების პროცესი შევარჩიე. ტამპლიერების ისტორია მას შემდეგ მხიბლავდა, რაც პირველად მოვკრი თვალი მათ დოკუმენტებს. ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ხანაში ვცხოვრობდი და ცხადია, გულწრფელად აღმაშფოებდა ტამპლიერები სასამართლოს ამბავი. გულუბრყვილობა იყო ამ პროცესისთვის სამხილებზე დაფუძნებული დაგვერქმია, არადა რამდენი ადამიანი დაწვეს კოცონზე მისი წყალობით“ (ეკო 2016: 79-80).

ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტამპლიერების წინააღმდეგ გამართული სასამართლო დევნა იყო შუა საუკუნეებიის ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული, უდიდესი ანტიერესული მრავალწლიანი აქცია, რომელიც ორგანიზებული იყო ფრანგი მონარქის მიერ. ტამპლიერების ტრაგედიამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ისტორიაში. მათ წინააღმდეგ ჩატარებულმა ხანგრძლივმა გამოძიებამ და მრავალრიცხოვანმა, პროცესებმა მიუხედავად დეტალებში განსხვავებისა გამოკვეთა საერთო მონახაზი, რომელიც აშკარად ადასტურებს, რომ ტამპლიერები იყვნენ ერესში უდანაშაულონი და ბრალდებულთა აღიარებები მიღწეული იქნა წამებისა და მუქარის საშუალებით. ამგვარი მეთოდებით მიღებული ჩვენებები კი თავისთავად მეტყველებენ პროცესის ფალსიფიცირებაზე. მიუხედავად ფილიპ-IV-ისა და მისი საბჭოს დიდი მცდელობისა, დაერწმუნებინა სამყარო, რომ ორდენი დაისაჯა მათი ცოდვების გამო საზოგადოების ნაწილმა მაინც არ დაიჯერა და შეფარვითა თუ აშკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება, თანაგრძნობა ტამპლიერების ბრალდებებისა და ტრაგედიასთან მიმართებით. თუმცა, ეს პროტესტი გასაგები მიზეზების გამო არ იყო ისეთი ძლიერი, რომ შეეჩერებინა მეფე. ტამპლიერების ორდენს ჰქონდა კარგი ავტორიტეტი პროცესის დაწყებამდე და მათზე ერესული ბრალდებების წამოყენება დაუჯერებელი და მიუღებელი იყო საზოგადოების პროგრესული ნაწილისათვის, თუმცა ამას საჯაროდ ვერ გამოხატავდნენ.

ტამპლიერების ორდენის ისტორიისადმი დიდი ინტერესი დღემდე არ განელებულა. სხვადასხვა ქვეყანაში იბეჭდება ახალი მონოგრაფიები, რომელთა უმეტესობის მიზანს ორდენის რეაბილიტაცია წარმოადგენს. შექმნილია მრავალი ფილმი.

# თავი მეოთხე. ტამპლიერების ორდენის ტრანსფორმაცია და თანამედროვეობა

## 4.1. ნეოტამპლიერები

ტამპლიერების ორდენის ოფიციალური დაშლიდან შვიდ საუკუნეზე მეტი გავიდა. 1312 წელს ორდენის გაუქმებით, ხოლო 1314 წელს მაღალი იერარქების დაწვით თითქოს უნდა დასრულებულიყო ტამპლიერების ისტორია, თუმცა, როგორც ირკვევა მეტაძრეებს და ზოგადად მათ იდეებს არსებობა არ შეუწყვეტიათ. ისინი, არც ისტორიული მეხსიერებიდან წაშლილან და მათი არსებობა დღესაც გრძელდება. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ინკვიზიციას გადარჩენილი ტამპლიერები შეუერთდნენ სხვადასხვა ორდენს, ხოლო ნაწილს - რომ ისინი გადავიდნენ იატაკქვეშეთში.

ფილიპ IV–ის სურვილი, რომ ორდენის დაშლის შემდეგ ტამპლიერები შეწყვეტდნენ არსებობას შეუსრულებელი დარჩა. განუხორციელებელი დარჩა ასევე მისი ყველა მცდელობა მთელ სამყაროში გამოეცხადებინა ტამპლიერთა დევნა, რადგან ეს მხოლოდ საფრანგეთში მოახერხა. მისმა სიძემ, ედუარდ II -მაც ტამპლიერებს დაუჭირა მხარი და პროცესის დაწყებიდანვე ცდილობდა მათ დაცვას. ინგლისელი ტამპლიერები კოცონზე არ დაუწვავთ, გასამართლების შემდეგ ისინი მოსანანიებლად მონასტრებში გაამწესეს, ხოლო მათი სამფლობელოები გადასცეს ჰოსპიტალიერებს.

ორდენის გაუქმების შემდეგ განსხვავებული იყო ტამპლიერების ბედი სხვადადასხვა ქვეყანაში. შოტლანდიას მოიხსენიებენ ზოგადად ტამპლიერთა თავშესაფრად. არსებობს ვარაუდიც, რომ ლტოლვილ ტამპლიერთა რაზმი, 1314 წელს იბრძოდა ბანოკბერისთან ბრძოლში, როცა შოტლანდიელებმა რობერტ I ბრიუსის ხელმძღვანელობით დაამარცხეს ედუარდ II-ის არმია.ამ ვერსიას ამყარებენ იმით, რომ თითქოს ბრძოლის ველზე დაინახეს ტამპლიერთა შავ- თეთრი დროშა ბოსეანი.

ლოთარინგიაში სასამართლომ გაამართლა ტამპლიერები და ისინი შეერივნენ მოსახლეობას, ხოლო გერმანელ მეტაძრეთა ნაწილი ტევტონებს, ნაწილი კი ჰოსპიტალიერებს შეუერთდნენ. 1319 წელს ვალენსიის, კატალონიის, არაგონის, სიცილიისა და კორსიკის მიწებზე დაარსდა წმინდა მარიამ მონტესელის ორდენი, რათა არაგონის მეფის თხოვნით შეეკრიბა გადარჩენილი ტამპლიერები. მონტესის ორდენი დაუქვემდებარეს კალატრავის ორდენს, რომელიც კასტილიაში მეტაძრეთა მემკვიდრე იყო.

პორტუგალიაში ტამპლიერები გაამართლეს. 1319 წელს მეფე დიონისემ დაარსა ქრისტეს ორდენი. ვასკო და გამა იყო ქრისტეს ორდენის რაინდი, ხოლო პრინცი ენრიკე „ზღვათამცურავი“ მისი დიდი მაგისტრი. პრინცმა საგრიშეში დააარსა ობსერვატორია და საზღვაო სკოლა. მისი ინიციატივით მომზადდა საზღვაო ექსპედიციები. ტამპლიერული რვაკუთხა ჯვრის ნიშნით დაცურავდა ზღვაში კოლუმბის ხომალდები „სანტა–მარია“, „პინტა“ და „ნინია“.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ თავისი ქმედითი არსებობის დროს ორდენი აღიქმებოდა როგორც ყველაზე ძლევამოსილი, ყოვლისშემძლე, ერთგვარი მისტიკური ინსტიტუტი. ტამპლიერებმა იმთავითვე მიიპყრეს მემატიანეების, თანამედროვეების, მწერლების ყურადღება. ჯერ კიდევ ორდენის ლიკვიდაციამდე მეტაძრეები ფიგურირებდნენ რომანებში, პოემებსა თუ ეპიკურ ბალადებში.

მათგან განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ წმინდა გრაალის საკითხი, რომელსაც გარკვეულწილად უკავშირდება ტამპლიერების ორდენი, რადგანაც მათ ხშირად მოიაზრებენ გრაალის მცველებად. გრაალთან დაკავშირებით თუ რა იყო იგი რეალურად, მრავალი მოსაზრება არსებობს, თუმცა მათგან ყველაზე უფრო გაზიარებულია აზრი, რომ ეს არის თასი. ლეგენდის თანახმად, ლუციფერის გვირგვინიდან არქანგელოსმა მიხეილმა შუბით ამოაგდო მწვანე ფერის ქვა, რისგანაც დამზადდა თასი, რომლითაც ქრისტე სერობაზე ღვინოს სვამდა, ხოლო შემდეგ მასში შეგროვდა ჯვარცმული იესოს სისხლი. წმინდა გრაალის თემაზე შექმნილია თქმულებების, პოემებისა და რომანების ციკლი, რომელთაგან ყველაზე ძველი ნაწარმოები ეკუთვნის ფრანგ პოეტსა და ტრუბადურს კრეტიენ დე ტრუას, რომელიც გამოქვეყნდა დაახლოებით 1180 წელს. მას მოთხრობა დაუსრულებელი დარჩა. ტრუასთან გრაალი წარმოადგენს ქრისტეს სისხლით სავსე თასს.მისი გაგრძელებაა გერმანელი ვოლფრამ ფონ ეშენბახის (დაახლოებით 1170–1220 წწ ) პოემა „პარციფალი“, რომელშიც ავტორი გრაალს ქვას უწოდებს და ამტკიცებს, რომ მას იცავდა ტამპლიერების ორდენი. „გრაალის სიწმინდიდან გამომდინარე, მისი მცველები განსაკუთრებული მისიით მოვლენილი ადამიანები არიან“ (ნემსაძე 2005: 12). ეშენბახი აცხადებს, რომ მისი ნაწარმოები დაფუძნებულია ზუსტ წყაროებზე, რომლებიც მოიპოვა პროვანსალელი ტრუბადურის კიოტისაგან, რომელიც ცხოვრობდა ესპანურ ქალაქ ტოლედოში. ლ. ნემსაძის აზრით, კიოტ პროვანსალელი იგივე გიე დე პროვენია, ტრუბადური, მონაზონი და ტამპლიერების იდეის გამომხატველი. თავის ნაწარმოებებში იგი ხოტბას ასხამდა ტამპლიერებს

(ნემსაძე 2005 : 58). ეშენბახი გრაალის ისტორიის გარდა დაინტერესდა ტამპლიერებ-ბის ორდენით. „ გრაალის ორდენის ჩამოყალიბებისას ეშენბახს ნიმუშად ტამპლიერე-ბი ჰყავდა. ვოლფრამი გრაალის რაინდებს რამდენიმე ადგილას პირდაპირ ტამპლიე-რებს უწოდებს.კრეტიენ დე ტრუას გრაალის კომპლექსის გარდაქმნისას ვოლფრამმა ტამპლიერთა ორდენის მაგალითი მოიშველია. ტამპლიერთა ორდენზე დამყარებით ჩამოაყალიბა ეშენბახმა გრაალის ჰარმონიული საზოგადოება“ (თვარაძე 117 -118).

ეშენბახის პოემაში გრაალი ინახება მუნსალვაშის ციხე–კოშკში, რომელსაც იცავენ და ემსახურებიან ტამპლიერები. ისინი არა მარტო ციხეს იცავენ, არამედ ჩვეულებ-ბრივ ადამიანებსაც.

„პარციფალში“ მითითებულია, რომ გრაალის მცველები იყვნენ ტამპლიერები. გრაალისა და ტამპლიერების დაკავშირების ცდას განსაზღვრული აზრი აქვს. თუ ტა-მპლიერები რეალურად იყვნენ გრაალის მცველები, მაშინ ერთი დასკვნა უდავოა: გრაალი არსებობდა არა მხოლოდ ართურის ეპოქაში, აგრეთვე, ჯვაროსნული ლაშქრ-ობების დროს. ტამპლიერების ამბის შეტანით, ვოლფრამ ფონ ეშენბახი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გრაალი დიადია არა მხოლოდ წარსულში, არამედ აწმყოშიც (ნემ-საძე 2005: 59).

ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ „ტამპლიერმა იერუსალიმში სოლომონის ტაძრის ქვეშ არსებული ტერიტორია გათხარეს და იქ გრაალი აღმოაჩინეს. თუმცა, მათ აღმოაჩინეს, რომ გრაალი სამეფო წარმომავლობის იყო და ადრეული ფრანგი მე-ფეები ქრისტეს შთამომავლები იყვნენ. ეს მნიშვნელოვანი ცოდნა, ყოველ შემთხვევა-ში, ლეგენდის თანახმად ორდენის დიდი ძალაუფლების წყაროს წარმოადგენდა და სწორედ ამ ძალის გამო გაანადგურა ტამპლიერები პაპმა კლემენსV-მ. ზოგიერთი ამ თეორიებიდან ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ისინი მისტიციზმის ტრადიციებიდან იღებენ სათავეს, რომლისაც მრავალ ქრისტიანს და ებრაელს სწამდა შუა საუკუ-ნეებში (O'Neal 2004: 179).

„ტამპლიერების ორდენის განადგურების შემდეგ ლეგენდებმა გრაალზე ხალხუ-რი ხასიათი მიიღო, მაგრამ რელიქვიის აჩრდილმა შუა საუკუნეების მრავალი მოვ-ლენა უხილავად გაანათა...არც გნოსტიკოსებისა და ტამპლიერების საიდუმლო ცოდ-ნა არ დაკარგულა და სიცოცხლე განაგრძო მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორდენე-ბისა და ორგანიზაციების სახით, რომლითაც სავსეა XII -XIX საუკუნეების ისტორია“ (ხუბაშვილი 2002 : 197).

1918 წელს გერმანიაში შეიქმნა ოკულტური საზოგადოება „ტულე“, რომელიც იყო ფაქტობრივად ნაციონალურ–სოციალისტური მისტიკური ორგანიზაცია, რომელმაც წმინდა გრაალის თემა წინ წამოწია. ირკვევა რომ ეშენბახის „პარციფალი“ განსაკუთრებულ შთაგონებას იწვევდა ჰიმლერში. გრაალის ძებნას სათავეში ჩაუდგა ნორდული თეორიის ერთ–ერთი ფუძემდებელი ოტო რანი. თავის წიგნში „ჯვაროსნული ლაშქრობა წმინდა გრაალის წინააღმდე“ რანი გრაალს „ნიბელუნგების თასს“ უწოდებს.

დასავლეთში შეიქმნა მრავალი ლეგენდა გრაალთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად ჰიტლერი რაუშინგთან საუბარში კითხულობდა: „საჭიროა თუ არა შეიქმნას საიდუმლოებას ნაზიარები ელიტა, ორდენი, ტამპლიერების საძმო „წმინდა გრაალის“ დასაცავად, რომელიც იქნება ჭურჭელი წმინდა სისხლის და თვითონვე პასუხობდა: რა თქმა უნდაო“ (Черняк 1987: 115). აღსანიშნავია, ისიც, რომ რიჰარდ ვაგნერის შემოქმედებიდან „ლოენგრინი“ და „პარსიფალი“ ტამპლიერების ორდენისა და გრაალისადმია მიძღვნილი.

წმინდა გრაალის საკითხმა თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ მწერლობასა და პოეზიაში. გრაალის ქართული სიმბოლიკა საინტერესოდაა შექმნილი გრ. რობაქიძის რომანში „გრაალის მცველნი“, რომლის გმირები არიან თავისი ეპოქის ისტორიული, ცნობილი პირები, შეცვლილი სახელებით. გრაალი გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტსი წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“- ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას კავკასიაში ... სვეტიცხოვლის ტაძარიც, გრაალის ტაძარია, რაკი იგი, წმინდა ნინოს მითითებით, იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა“ (ბაქრაძე 1990 : 62).

ქართულ სინამდვილეში გრაალი ძალიან საინტერესოდ არის გაშუქებული, რომელიც ცალკე განხილვას საჭიროებს, ჩვენ მხოლოდ ამ მცირე მოკვლევით შემოვიფარგლებით.

ტამპლიერების რეალური ისტორიის გაყალბება პროცესის პერიოდიდან დაიწყო ხოლო შემდგომ, დროთა განმავლობაში, სინამდვილე მათ შესახებ უფრო მეტად ჩრდილში მოექცა და მოხდა მისი მისტიფიცირება. ორდენის მიმართ ინტერესი გაძლიერდა შემდგომ საუკუნეებში, რადგან სხვადასხვა საიდუმლო თუ რელიგიური ორგანიზაციები ეყრდნობოდნენ ტამპლიერებს, როგორც წინამორბედებს. განსაკუთრებული დაჟინებით მიაწერენ ტამპლიერებს მასონებთან კავშირს, რომელთა საიდუ-

მლო ორგანაზაცია უძველეს დროში შეიქმნა და მას „თავისუფალ ქვისმთლელთა საძმო“ ერქვა. მასონთა ორგანიზაციის დამაარსებლად სოლომონის ტაძრის ხუროთმოძღვარი და მისი კირითხურონი ითვლებიან. არსებობს ვერსია, რომ ბევრმა ტამპლიერმა დაპატიმრებისაგან გადარჩენა ქვეყნიდან გაქცევით მოახერხა. „სწორედ საფრანგეთიდან მათი მასობრივი წასვლის შედეგად მოხდა ფრანკმასონიზმის ფართო გავრცელება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით-შოტლანდიაში“ წერს მ. ჯონსტოუნი (ჯონსტოუნი 2012 : 19). მსგავს ვერსიას ვერ დავეთანხმებით, რადგან ტამპლიერთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციისას მხოლოდ რამდენიმე ტამპლიერმა მოახერხა გაქცევა და შესაბამისად მასობრივი წასვლა არ ფიქსირდება წყაროებში. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ევროპის ქვეყნებში მყოფი ტამპლიერები შეუერთდნენ სხვადასხვა ორდენებს, რაც ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. თუმცა, ეს იმაზეც მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა, ტამპლიერები ინარჩუნებდნენ თავიან წესებს.

ტამპლიერების რეპრესიების დროს შოტლანდიას კათოლიკური ეკლესიისაგან შერისხული რობერტ ბრიუსი მართავდა. შესაძლოა აქ, ინკვიზიციისაგან შორს, ტამპლიერები შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. ამ პერიოდში ქვეყანაში ქვისმთლელთა გილდიები უკვე ჩამოყალიბებული იყო. „ალბათ ტამპლიერებისათვის, მათი საიდუმლო საქმიანობის გამო, განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ქვისმთლელთა გაერთიანებებში შეღწევა. ზოგიერთი ისტორიკოსის ვარაუდით, სანაცვლოდ მათ ამ გაერთიანებათა წევრებს ტამპლიერთა საიდუმლო წეს-ჩვეულებანი და სიმბოლოები გაანდეს, რომლებიც შემდგომ, მასონური ლოჟების „დიდ საძმოდ“ გარდაქმნის პერიოდში, ფრანკმასონიზმის რიტუალებად და სიმბოლოებად იქცა“- აღნიშნავს ჯონსტოუნი (ჯონსტოუნი 2012: 19).

XVIII საუკუნეში შოტლანდიელმა ენდრიუ მაიკლ რამზეიმ მასონთა ტამპლიერული წარმოშობის თეორიის რეანიმაცია მოახდინა. ის ამტკიცებდა, რომ შოტლანდიაში გადარჩენილი ერთეული მეტაძრე დარჩნენ ტამპლიერთა საიდუმლოს ერთგული დამცველნი და გადაიტანეს იგი მასონურ ორდენში (Печников 1991: 95). ამ თეორიის მიმდევრებს სხვა ფაქტებთან ერთად დასამტკიცებლად მოჰყავთ როსლინის ტაძარი, რომელიც შოტლანდიაში, ედინბურგთან ახლოს სოფელშია აგებული. ტაძრის აშენება სერ უილიამ სინკლერმა დაიწყო, რომელიც გადმოცემით ტამპლიერების ორდენის დამაარსებლის, ჰიუგ დე პეინის შთამომავალი იყო. „ტაძრის კედლები უხვად არის შემკული ტამპლიერთა და შესაძლოა, მასონური სიმბოლიკითა თუ მხატვრ-

ობით...მაგალითად, ჩუქურთმა, რომელიც პირველ სართულზე, სამხრეთ-დასავლეთ სარკმელს ამკობს, ასახავს ტამპლიერად კურთხევის ცერემონიას, რომელიც ძალიან ჰგავს მასონურ რიტუალს. ჯონსტოუნის აზრით, თუ მართლა არსებობს კავშირი ტაძრის რაინდებსა და თანამედროვე ფრანკმასონებს შორის, ის ან ძალზე მჭიდროა, ან პირიქით - სრულიად უმნიშვნელო, ან კიდევ უბრალო მითი! მაგრამ უნდა აღინიშ - ნოს, რომ ტამპლიერებთან სავარაუდო კავშირი საძმოს ისტორიას განსაკუთრებულ რომანტიკულობას და შეფერილობას სძენს "(ჯონსტოუნი 2012 : 19-20).

ტამპლიერთა ეგრეთ წოდებული  რესტავრაცია დაიწყო XVIII საუკუნეში. საფრანგეთის რევოლუციის დროს ლეგენდებმა ორდენის შესახებ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. საუბრობდნენ, რომ ბევრი ფრანგი მასონი მხოლოდ იმიტომ გამოდიოდა ლუი XVI–ის წინააღმდეგ, რომ თავისი წვლილი შეეტანა ჟაკ დე მოლეს წყევლის შესრულებაში. მეფის გილიოტინაზე დასჯის შემდეგ  ვიღაც  უცნობმა მეფის მოკვეთილი თავი ასწია, ხელები სისხლით აივსო, შეაშხეფა ხალხს და დაიყვირა: „ფრანგო ხალხო! მე გნათლავთ  თქვენ იაკობისა და თავისუფლების სახელით,  ჟაკ დე მოლე, შენ უკვე შური იძიე“ (Печников 1991:  94).

ფრანგი ისტორიკოსი რენე ჟილი  წერდა: „ტამპლიერების პროცესი ერთი იმ ისტორიული შემთხვევათაგანია, რომელთა კვალი არ ქრება  და აღბეჭდილია ასწლეულების მანძილზე და ამასთან ერთად არ შეიძლება იმის განჭვრეტა, რითი დამთავრდება საბოლოო ჯამში. კოცონს, რომელმაც შთანთქა მოლე 400 წლის შემდეგ ჰქონდა გაგრძელება გილიოტინა, რომელზეც ისევე ტრაგიკულად დაამთავრა ლუი XVI–მ სიცოცხლე, როგორც თავის დროზე მეტაძრეთა მაგისტრმა“ (Григулевич 1976: 200).

ლ. ტოკნაი და აბატიი დ. ორიბო საფრანგეთის რევოლუციის მიზეზად ტამპლიერების დაგვიანებულ შურისძიებას ასახელებენ, განხორციელებულს  მასონთა ხელით. ვერსია ტამპლერების შურისძიების შესახებ შემუშავებული იქნა ყოფილი მასონ ის, კადე დე გასიკურის წიგნში „ჟაკ დე მოლეს  სამარხი“. მასში მოთხრობილია, რომ თითქოს მოლემ საპყრობილედან (ეს  საპყრობილე მომავალი ბასტილიის ადგილზე იყო) დააარსა ოთხი ლოჟა, რომლებსაც მიანდო შური ეძიათ მისი სიკვდილისა და ორ- ორდენის დაშლისათვის.  დიდი მაგისტრის დასჯის შემდეგ  შევალიე ომონმა და შვი- დმა ტამპლიერმა შეაგროვეს დამწვართა ფერფლი და შეჰფიცეს, რომ გაანადგურებდნენ კაპეტინგების დინასტიის ყველა მეფეს – ფილიპ IV–ის შვილებს, აღკვეთ -

დნენ პაპის ხელისუფლებას, იქადაგებდნენ ხალხთა თავისუფლებას და დაარსებდნენ „მსოფლიო რესპუბლიკას“(Чернняк 1987: 128 ).

ფრანკმასონები ამტკიცებენ, რომ მათ კავშირი აქვთ ტამპლიერებთან. „ისინი ამბობენ, რომ ჟაკ დე მოლემ სიკვდილის წინ დანიშნა თავისი შემცვლელი და აქედან ახლანდელ დრომდე არსებობდა დიდ მაგისტრთა უწყვეტი ხაზი, მაგრამ ნამდვილი ფრანკმასონობა, რომლის შესახებ ფრანკმასონებმა არაფერი იციან არსებობდა ტამპლიერებამდე“- ასკვნის ჰეკერტორნი (Гекерторн 1876 :151).

საინტერესოა აღინიშნოს მასონი მწერლების დამოკიდებულება ტამპლიერერების ორდენთან მიმართებით. ბუტმის მოსაზრებით მასონი მწერლების უმრავლესობა; რაგონი, რედარესი, ბონევილი წარმოადგენენ ორდენის მტკიცე დამცველებს, ისინი უარყოფენ მათ დანაშაულებრივ მოქმედებებს და მიიჩნევენ ტამპლიერებს პაპის ფანატიზმისა და მონარქიის დესპოტიზმის მსხვერპლად. ბუტმის მოსაზრებით, „მასონი ისტორიკოსების მსგავსი დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ ისინი თვლიან მასონობას ტამპლიერების პირდაპირ მემკვიდრედ და ამტკიცებენ, რომ თითქოს მეტაძრეთა ორდენს არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, რადგანაც მისი განადგურების შემდეგ XIV საუკუნეში ბევრი ტამპლიერი შეეფარა შოტლანდიას და მოგვიანებით შევიდა ქვისმთლელების კავშირში, რომელთა კვალზეც წარმოიშვა ფრანკმასონების საიდუმლო საზოგადოება (Бутми 1914: 164-165).

ბუტმის მოსაზრებით მასონი ფინდელი და ბევრი სხვა მკვლევარი უარყოფენ ტამპლიერებთან მასონების კავშირს. ფინდელი აღნიშნავს, რომ „XVIII ს-ში მასონების ზოგიერთი ნაწილის სურვილი, აღედგინათ ტამპლიერების ორდენი გამოიხატა გერმანიასა და საფრანგეთში ცალკეული მასონური სისტემის გამოჩენაში, რომლებმაც გაიმეორეს ტამპლიერების რიტუალი და თავი გამოაცხადეს ორდენის პირდაპირ მემკვიდრეებად იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა სიყალბე, ფინდელის აზრით, უეჭველია. იგი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ნამდვილ მასონებს არაფერი აქვთ საერთო ტამპლიერების ორდენთან და უფრო შორს მიდის. ფინდელი ადანაშაულებს ზოგიერთ XVIII საუკუნის დაბრმავებულ მასონს მეტად უკეთურ ქმედებაში კერძოდ, იმაში, რომ მასონებმა შეისყიდეს მოლდენგავერის გამოცემული მეტაძრეთა ორდენის საბრალდებო პროცესის აქტების ყველა გამოცემა იმიტომ, რომ მათში დამტკიცებული იყო ტამპლიერების დანაშაულებები. მოლდენგავერსა და მიუნტერს მეორე ტომის გამოცემა სურდათ, მაგრამ ვინაიდან, ორივენი იყვნენ მასონები, მოერი-

დნენ ზიანი არ მიეყენებინათ თავიანთი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისათვის ძმებთან. კიდევ უფრო უკეთესად მოექცნენ მასონები  დიუპუის „მეტაძრეთა გასამართლების ისტორიას“, რომელიც 1605 წელს იყო გამოცემული. ფინდელის აზრით, აქ მათ გააყალბეს მასალები, ვინაიდან უკვე შეუძლებელი იყო  გამოცემის შესყიდვა, გამოცემის შემდეგ 100 წელი იყო  გასული, მაშინ 1751 წელს  მასონებმა  თავად გამოსცეს დიუპიუს თხზულება, მაგრამ ისეთი სახე მისცეს, რომ თითქოს დიუპუა კი არ ადანაშაულებს ორდენს, არამედ მის უდანაშაულობას ამტკიცებს (Бутми 1914 : 165-166).

ბუტმის სავსებით დასაჯერებლად მიაჩნია ის,  რომ  ორდენის გადარჩენილი წევრები შეუერთდნენ რომელიმე საიდუმლო საზოგადოებას. ის, არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ორდენის ზოგიერთმა წევრმა განადგურების შემდეგ შეაღწია ქვისმთლელთა კავშირში. ბუტმის აზრით, ტამპლიერებისა და მასონების სულიერი კავშირის საუკეთესო მტკიცებულება არის მასონების მიერ ტამპლიერების ხსოვნისადმი ღვთიური პატივის  მიგება. ,,მასონური სისტემებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულ შოტლანდიურ წესებში, რომელსაც აქვს 33 საფეხური, 30 საფეხური (კადოშის რაინდების) ეძღვნება ტამპლიერების ხსოვნას, მათი ბოლო მაგისტრის ჟაკ დე მოლეს ქებას და ორდენის განადგურებაში დამნაშავეების პაპ კლემენს  IV-ისა და ფილიპ ლამაზის განქიქებას“ (Бутми 1914: 167).

მასონებისა და ტამპლიერების კავშირის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს. ინგლისელი ისტორიკოსი  გოულდი წერს: „არ  არსებობს უმცირესი მიზეზიც  კი იმის სავარაუდოდ, რომ ტამპლიერთა დაშლილი ორდენის წევრები გახდნენ მასონები. ყველაფერი ეს გამოგონილია თანამედროვე მასონური მიმართულების მიერ, ხოლო კანადელ ტამპლიერთა დიდი მაგისტრი მაკლეოდ  მური თავის სიტყვაში, მონრეალში 1889 წელს მიუთითებდა, რომ მასონთა წარმოშობას არაფერი აქვს საერთო უძველეს რაინდთა ორდენთან “(Печников 1991 : 95) .

თ. კობახიძის მოსაზრებით „სიმბოლურია რომ ტამპლიერებმა თავიანთი ორდენის დაარსება სწორედ სოლომონის ტაძრის ტერიტორიაზე განახორციელეს. სიმბოლოებს  კი რელიგიურ მისტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ტამპლიერების სახელიდან გამომდინარე ყველა სახლი, სადაც მასონთა ლოჟების სხდომები ეწყობა, ტაძრებად მოიხსენიება“(კობახიძე 2005 : 36). კობახიძე ვარაუდობს, რომ „ ტამპლიერები, მიუხედავად მათი თავდაპირველი მოკრძალებული და მორჩილებითი ცხოვრებისა, შესაძ-

ლოა, თავიდადანვე მასონური ელიტის აქტიური მოკავშირენი იყვნენ “(კობახიძე 2005 : 36). მსგავს მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ორდენის ისტორიიდან დაზუსტებით ცნობილია რომ სოლომონის ტაძრის ნაწილი მათ საცხოვრებლად მისცა იერუსალიმის მეფემ, ბოდუენ II- მ, ხოლო რაც შეეხება სიტყვა ტაძარს, მასონობაში არსებობს ტერმინები და სიმბოლოები, რომლებსაც ვხვდებით ანტიკური სამყაროს, ინდურ, ეგვიპტურ, ებრაულ და ქრისტიანულ იდეოლოგიებში. ამასთან ტაძარი მთელი სამყაროს სიმბოლოდაც არის მიიჩნეული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე ფაქტობრივად არ აღმოჩენილა ისეთი სანდო დოკუმენტი, ან რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც ტამპლიერებისა და მასონებს ურთიერთკავშირს დაადასტურებდა. ზუსტი ისტორიული მონაცემებისა და წყაროების უკმარისობის გამო ეს საკითხი ძნელად თუ შეესაბამება გადაწყვეტას.

ვიენის საეკლესიო კრებაზე პაპმა კლემენს V–მ გამოაცხადა, რომ ამიერიდან ორდენის სახელი ნახსენები აღარ იქნება, მეტად აღარავინ ჩადგება მის რიგებში და აღარავინ ატარებს მის სამოსსო, თუმცა, ეს ბრძანება, როგორც ჩანს არ შესრულდა. ტამპლიერების ორდენი მართალია, უკვე ნახევრად საერო ორგანიზაცია, მაგრამ მაინც აღდგენილი იქნა საფრანგეთში, 1808 წელს, ნაპოლეონ I–ის დროს (Григулевич 1976 : 201). ფრანგი ნეოტამპლიერები თავიანთ წინაპრად თვლიან ჟაკ მარკუს ლარმენიუსს, „მკაცრი ობსერვაციის“ ტამპლიერები -პიერ დ ამონტს, ხოლო მიმართულება, რომელმაც განვითარება ჰპოვა შვედეთში, ეყრდნობა დასჯილი დიდი მაგისტრის ძმისშვილს – გრაფ დე ბოჟიეს (Печников 1991 : 95).

საინტერესო ცნობას გვაწვდის ლარმენიუსთან დაკავშირებით ვინსენტ ზუბრასი, რომლის თანახმად „ჟაკ დე მოლემ ალბათ იცოდა, რომ, როგორც კი უარს იტყოდა ინკვიზიციის აღიარებაზე ის განწირული იქნებოდა. ამრიგად, მან ორდენის დიდი მაგისტრის თანამდებობა (პარიზის ორდენის იატაკქვეშეთში დარჩენილ თანამოძმეთამე მეშვეობით) სიტყვიერად „გადასცა“ თავის „ ნომერ მეორე პირს“, პალესტინაში დაბადებულ ქრისტიან ტამპლიერ რაინდს, სენეშალ იოჰანეს მარკუს ლარმენიუსს. იმ დროს ის საკმაოდ მოხუცი იყო და კვიპროსში დარჩენილ უკანასკნელ ტამპლიერთა გუნდს ხელმძღვანელობდა. მოლეს გარდაცვალების შემდეგ ლარმენიუსი ორდენის დიდი მაგისტრი 1324 წლამდე იყო. ამ დროისთვის მას უკვე შედგენილი ჰქონდა დოკუმენტი სახელწოდებით „უფლებათა გადაცემის შესახებ ქარტია“(ისტორიულად მოიხსენიება როგორც ლარმენიუსის ქარტია (Olsen 2006 : 99).

ინგლისში ნეოტამპლიერული ორდენი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ფუ-ქციონირებს. 1873 წელს ინგლისისა და შოტლანდიის სხვადასხვა ტამპლიერული ორდენები გაერთიანდნენ „გენერალურ კონვენტში“. ლონდონში ტამპლიერების პირ-ველ სარეზიდენციო ადგილს, რომელიც ჰოლ ბორნის მახლობლად მდებარეობდა, დღემდე „ტაძრის“ სახელით მოიხსენიებენ. ამჟამად ამ ადგილას ქალაქის ორი სამარ-ლებრივი კორპორაცია, ლონდონის ორი იურიდიული ცენტრი - ე.წ. „შიდა ტაძარი“ და „ გარე ტაძარია“ განლაგებული (ჯონსტოუნი 2012 : 16).

1863 წელს შეიქმნა საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოება. მისი დამაარსე-ბელი იყო შვეიცარიელი ფილანტროპი ანრი დუნანი. ამ უაღრესად ჰუმანური საზოგ-ადოების ემბლემად დუნანმა აირჩია რვაწახნაგა წითელი ფერის ჯვარი, რომელსაც ატარებდნენ ტამპლიერთა ორდენის წევრებითეთრმანტიაზე (ბურჭულაძე 1982 : 227).

XIX საუკუნის დასასრულს გერმანიასა და ავსტრიაში დაარსდა „ახალ ტამპლიერ-თა ორდენი“ განუსაზღვრელი სტატუსითა და ეკლექტიკური სისტემით. ემბლემად ახალი „ტაძრის რაინდებმა“ აირჩიეს ნიშანი, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა სვასტი-კა (Печников 1991 : 97). პ. ცუცქირიძე აღნიშნავს: „ამგვარი ნიშანი ცნობილია ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ბგერის „ქ“-ს ანუ „ქანი-ქის“ სახით“(ცუცქირიძე 1998 : 22).

მეტაძრეთა ორდენი ყველაზე ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატ-ებში. ორდენის წევრად მიღების პროცედურა რამდენადმე მსგავსია შუასაუკუნეობრ-ივის: „ტამპლიერ რაინდად“ კურთხევის დროს, ოთახი სადაც მიმდინარეობს ცერემო-ონია, მორთულია პატარა და დიდი დროშებით. დამსწრეთა თავს ზემოთ, აღმოსავლ-ეთით ჩამოკიდულია დროშები : წითელი ჯვრით თეთრ ფონზე, იქვე–ორი ცისფერი დროშაა შეწირული ბატკნის (სიმბოლურად ქრისტეს განასახიერებს) გამოსახულები-თა და ტამპლიერული ჯვრით. უძველესი საბრძოლო დროშა „ბოსეანი“, როგორც წე-სი, შენობის სამხრეთ ნაწილშია მოთავსებული. ამერიკელ ტამპლიერთა ე.წ. საველე ბანაკები გაერთიანებული არიან კომტურებში, რომელთა ხელმძღვანელები ატარებენ ტიტულებს; „წმინდა მეთაური“,(კომანდორი) ან გენერალ-კაპიტანი. კომტურები ყო-ველწლიურად ქმნიან კონკლავებს, რომლებიც აშშ-ში გრანდიოზულ შოუდ გადაიქც-ევა ხოლმე. ამ დროს ტამპლიერები გამოდიან ქალაქის ქუჩებში. მათ აცვიათ ძველამე-რიკული სამხედრო შავი ფერის ტანსაცმელი–ახურავთ სამკუთხა ქუდები ბუმბულ-ით, უკეთიათ ვერცხლის ქამრები და უჭირავთ ანტიკური ხმლები (Печников 1991:9). 97).

მასონების მფარველობის ქვეშ 1919 წელს ფრენკ ლენდონმა კანზას სიტში, მისი-სიპის შტატში დააარსა დე მოლეს ორდენი, რომელსაც აქვს 85 განყოფილება მთელ 50 შტატში, კოლუმბიის გარშემო და მსოფლიოს 12 ქვეყანაში. ეს ორდენი შედგება ახალგაზრდა წევრებისაგან. „დე მოლეს ორდენი ხელს უწყობს წევრებს განუვითაროს შვიდი უნარი: შვილების სიყვარული მშობლებისადმი, ზრდილობა, მეგობრობა, ერთგულება, სისუფთავე (აზრების, სიტყვებისა და საქმეების) და პატრიოტიზმი“( Бейджент, Ли 2005: 346).

დასავლეთში ფართოდ არის გავრცელებული „როტარი კლუბის“ ორგანიზაცია, რომელთა დამაარსებლები ტამპლიერებს უკავშირებენ თავიანთ ტრადიციებს. ამ ორგანიზაციაში ბევრი ცნობილი მოღვაწე არის გაწევრიანებული.

ტამპლიერები, უკვე ახალი სახით პოპულარულნი არიან დღესაც, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ორდენი არ გამოიყენებს შუა საუკუნეების რეგალიებს. ის განახლდა 1955 წელს. ფრანგი ტამპლიერები ამტკიცებენ, რომ მოამზადებენ კადრებს კეთილი საქმეებისათვის და შეეცდებიან შეცვალონ თანამედროვე ცივილიზაცია ყველა მიმართულებით. და ბოლოს, უნდა დავამატოთ ისიც, რომ ფრანგმა ტამპლიერებმა დაარღვიეს ტრადიცია და ორდენში იღებენ ქალებს 18 წლის ზემოთ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი არ დაქორწინდებიან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გასულ საუკუნეში, დასავლეთის ქვეყნების სხვადასხვა ტამპლიერულმა ორგანიზაციებმა ერთმანეთს შორის დადეს კონკორდატი.

დღესაც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მოქმედებენ ნეოტამპლიერული ორდენები. ისინი ატარებენ მრავალ რიტუალს და სარგებლობენ ორდენის შუასაუკუნეობრივი რეგალიებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2010 წელს დაარსდა ნეოტამპლიერული ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაა Ordo Supernus Militaris Templei Georgia-საქართველოს ტაძრის მხედართა უზენაესი საძმო (O.S.M.T.G). ორდენის მიზანებია ისეთი ფასეულობების დამკვიდრება და განმტკიცება, როგორიც არის პატრიოტიზმი და უფლის რწმენა; ქართული ეკლესიის, სახელმწიფოსა და ერის დაცვა; ტაძრელთა გმირობების დიდებული მაგალითების არდავიწყება; მტერთან ბრძოლა და ქრისტეს საფლავის დაცვა. „ტაძრის რაინდების“ მწიგნობართუხუცესი, სპა-ლეგიონის კანცლერი დიმიტრი ყიფიანი აცხადებს: „ვართ მსოფლიოს უდიდესი ქრისტიანული მულტიორდენის ასოცირებული წევრი, რომელსაც აქვს წარმომადგენლობითი ოფისი

გაეროში. 2010 წლის დეკემბერში გვაკურთხეს უძველესი ქართული სამეფო დროის წესით...გვაკურთხეს როგორც ქრისტეს ლაშქარი, ქრისტეს მხედრობა და ამასთანავე ბაგრატოვანთა მხედრობა“ (მამუკაძე 2011 :8 ). ქართველი ტამპლიერები აღიარებენ და მხარს უჭერენ მონარქიულ წყობას.

მხედრულ საძმოს საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის თავისი ხედვა აქვს: მათი სისტემით, სახელმწიფო იყოფა საწინამძღოლოებად, რომლებიც, თავის მხრივ დაყოფილია დიდ სამეთაუროებად ან სამეთაუროებად. ყოველ რეგიონს მართავს მხედარი, რომელიც იწოდება წინამძღოლად, ხოლო დიდ სამეთაუროს მართავს მხედარი, რომელსაც დიდი მეთაური ეწოდება. მხედრულ საძმოში მოქმედებს იერარქია: მემამულენი, ახალმორწმუნეები (საძმოს ჭაბუკები და ქალწულები); საძმოს მხედრები და მსახურები; საძმოს სამართლიანობისა და მოწყალების რაინდები, საძმოს ქალბატონები; დიდი ჯვრის რაინდები. რაც შეეხება ჩაცმულობას, ჭაბუკები ატარებენ თეთრ მოსასხამს ყავისფერი სარჩულით და ყავისფერ კაბას წითელი ჯვრით, მხედრები - თეთრ მოსასხამს შავი სარჩულით და შავ კაბას წითელი ჯვრით. დაწესებულია ასაკობრივი ცენზი. მემამულისათვის - 18 წელი; ახალმორწმუნეებისათვის - 21; მხედრებისათვის - 25; რაინდებისათვის - 30; დიდი ჯვრის რაინდებისათვის - 40; კაპიტულის წევრისათვის - 45. ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად ორდენის დიდი მეთაურის, თეიმურაზ თუმანიშვილის განცხადებით „კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს განსაკუთრებულ მოთხოვნებს და შეეძლოს დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, აუცილებელია აბსოლუტური წესიერება პირებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და ქრისტიანულ რწმენას, სამშობლოსადმი თავდადება და სახელმწიფო კანონებისა და საზოგადოებრივი ვალდებულებების პატივისცემა. ეს - რაც შეეხება საძმოში მიღებას, მაგრამ პირი შეიძლება იყოს საძმოს წევრი და ვერასდროს ეკურთხოს რაინდად, ვერ გამოავლინოს საკმარისი უნარი და დარჩეს ახალმორწმუნედ. ეს არ არის ხელოვნური სელექცია, დროთა განმავლობაში თავისთავად, ბუნებრივად იკვეთებიან ღირსეულნი“ (მამუკაძე 2011:8).

ამგვარად, ირკვევა რომ XIV საუკუნეში გაუქმებული ტამპლიერების ორდენის ისტორია გრძელდება დღესაც. მათი რენესანსი დაიწყო XVIII საუკუნეში, შეიქმნა რამდენიმე ნეოტამპლიერული ორგანიზაცია, ამასთან სხვადასხვა ორდენები და საზოგადოებები ეყრდნობიან ტამპლიერებს და ცდილობენ დაამტკიცონ მათთან კავშირი.

## 4.2. ტამპლიერებისა და საქართველოს ურთიერთობების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში

ტამპლიერების თემატიკა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმითაც, რომ ამ ძლევამოსილი ორდენის წევრებს, მკვლევართა მოსაზრებით გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. საკითხი ძალიან აქტუალურია, რადგან ეს თემა მნიშვნელოვანი ფურცელია ჩვენი ისტორიის, რომელიც უნდა იქნეს შესწავლილი. ტამპლიერებისა და ქართველების ურთიერთობების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის გამოკვლეული და იგი განეკუთვნება მკვლევართა ინტერესის სფეროს. ამ თემასთან დაკავშირებით შექმნილია სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები, მაგრამ წყაროების სიმწირის გამო არ არსებობს ფუნდამენტური კვლევა.

ტამპლიერების ორდენის შექმნისა და აღზევების პერიოდი თანამედროვეა დავით IV აღმაშენებლის დროინდელი საქართველოსი, რომელიც უდავოდ პოლიტიკური სიძლიერის ხანაა. დავითს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. „ქართველი მეფის წარმატებული ბრძოლა თურქ-სელჩუკებთან ჯვაროსნების წისქვილზე ასხამდა წყალს...ამიტომ ჯვაროსნებისა და საქართველოს მოქმედება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ურთიერთსასარგებლო იყო“ (მეტრეველი 2002: 331).ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი დაწერილა. წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ ტამპლიერების საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა, რომელიც ემყარება რამდენიმე დეტალს. საკითხი ცხადია, მოითხოვს ღრმა გაანალიზებას და მეცნიერულ დასაბუთებას.

ზ. ავალიშვილის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეორე ფრანგ მეფეს ბალდუინს (1118) ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა“ (ავალიშვილი1989: 48). ჩვენთვის უცნობია რა საჩუქრები გააგზავნა იერუსალიმში დავით აღმაშენებელმა, მაგრამ ცნობა თავისთავად ძალიან საინტერესოა. შ ბადრიძე ვარაუდობს, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, რომ დავითისა და ბოლდუინის ურთიერთობა საკმაოდ ფართო ხასიათის იყო და ალბათ, ეს მმართველები ერთმანეთს თვალსაჩინო დახმარებას უწევდნენ სელჩუკებთან ბრძოლაში. ამ ვარაუდს ამყარებს იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობაში“ დაცული ძალიან მნიშვნელოვანი ცნობა, რომ ქართლში ,,იდუმალ ჩამოსული ყოფილა ბალდუინი, როცა დავით აღმაშ-

ენებელმა აიღო ლორე მეორე წელს: ,,მოვიდა დაფარვით დავრიშის სახით, მელიქშას შვილი, ტანღან მელიქ სულთანი გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა და ეგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე...ხოლო ამა, რიცხვსა შინა იყო ბალდვოინ იერუსალიმის მეფე, რომელმაცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ზედა და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა "(ბადრიძე 1973 : 13 – 14).

როინ მეტრეველის მოსაზრებით, ამ ცნობაში შეიძლება ზოგი რამ საეჭვო იყოს, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ დავითთან დაფარვით მოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეები. სრულიად შესაძლებელი ჩანს იერუსალიმის მეფის ბოლდუინის კავშირი დავითთან. საგულისხმოა, რომ იოანე ბატონიშვილს ბოლდუინის ქართლში მოსვლის ამბავი შეუტანია „მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა"(მეტრეველი 2002: 333). ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად რომელი წყაროდან ისარგებლა იოანე ბატონიშვილმა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იოანე ბატონიშვილი მალტის ორდენის წევრი იყო (ნაცვლიშვილი, ხუბაშვილი 2009: 84), შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მას ხელი მიუწვდებოდა ტამპლიერების არქივის გადარჩენილ ნაწილზე, რომელიც ჰოსპიტალიერების ორდენთან ინახებოდა.

საინტერესოდ მოგვაჩნია გ. ფერაძის ცნობის აღნიშნვა, რომ „ პალესტინის დასავლეთელი მეფეების გოტფრიდ ბულონელის და მისი ძმის ბალდუინის საფლავები წმ. იოანე მახარებლის სამლოცველოშია" (ფერაძე 1995: 63).

შემორჩენილია ცნობები, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ დავითის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმისათვის. ამის დასტურია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის ცნობა: ,,ვითარ ლაშქარნი ახლისა დავითისანი წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს". ესე იგი დავითის მოლაშქრეები იერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან გაერთიანებული იყვნენ (მეტრეველი 2002: 332).

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: დავითის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქრისტეს საფლავის ტაძარს იერუსალიმში და დიდ შეწირულობას აგზავნიდა იქ: ,,ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლის ჩვენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი შესაწირვთა განამდიდრნა"(კაკაბაძე 1982: 69). შ. ბადრიძე დავითის ისტორი-

კოსის მიერ ,,მყოფნი იერუსალიმისანის“ცალკე გამოყოფას ხსნის იმით, რომ სავარაუდებელია აქ იგულისხმებიან საკუთრივ ჯვაროსნები, ალბათ, სასულიერო-სარაინდო ორდენების (მაგალითად, ტამპლიერთა) წევრებიც, რომლებიც სწორედ იერუსალიმში, უფლის საფლავის ეკლესიაში იდგნენ“ (ბადრიძე1984 : 145-146), რომელთაც სწორედ ზემოთ აღნიშნულმა ბალდუინ II-მ მისცა თავისი სასახლის პალატები ქრისტეს ტაძართან ახლოს. ფრანგულად TEMPL-ნიშნავს ტაძარს. აქედან მოდის ორდენის სახელი მეტაძრეები - ანუ ტამპლიერები. ს. კაკაბაძის მოსაზრებით „ტერმინი ,,ტაძრობილი“ ,,ტაძრეული“ დავითის დროს, ქრისტეს საფლავის იერუსალიმურ ტაძრის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული“ (კაკაბაძე 1982: 69).

არსებობს ვერსია, თითქოს ამ კონტაქტების შედეგი იყო დავითის მიერ ზოგიერთი ცვლილების შეტანა ქართული ჯარის დისციპლინაში.

ამგვარად, ტამპლიერების მფარველის ბოლდუინ II-ის საიდუმლო ჩამოსვლა დავითთან ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტია.აღსანიშნავია აგრეთვე დიდგორის ომში ჯვაროსნების მონაწილეობა. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის გოტიეს ნაშრომში ,,Bella Antiochena ცნობით, დავითის ჯარში ორასი ფრანგი ჯვაროსანი იბრძოდა, რომელთა შორის შესაძლებელია იყვნენ ტამპლიერებიც, რადგან მათი ორდენი იყო მუდმივმოქმედი სამხედრო ძალა და მათ რაზმებს საჭიროებისამებრ აგზავნიდნენ სხვადასხვა მხარეში.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. როგორც ცნობილია გელათის ტაძარი აშენდა ღვთისმშობლის სახელზე. ტაძრის მშენებლობა დაიწყო დავითმა 1106 წელს და დასრულდა მისი სიკვდილის შემდეგ 1130 წელს დემეტრეს დროს, რომელმაც მოახატვინა და აკურთხებინა ტაძარი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ი. ხუბაშვილმა გამოთქვა სავარაუდო მოსაზრება, რომ დავითს ტამპლიერებთან ჰქონდა ურთიერთობა უფრო მეტიც, იგი ტამპლიერ რაინდადაც იყო კურთხეული. ამ ვარაუდს ამყარებს გელათის ფრესკაზე გამოსახული მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც არცერთი სხვა ქართველი მეფისა და წმინდანის ფრესკაზე არ გვხვდება. ეს არის ხელდასხმის სიმბოლიკა. ფრესკაზე დავითს მარცხენა ხელში უჭირავს ტაძრის მოდელი, მარჯვენაში კი სიგელის გრაგნილი. დავითის თავზე მარჯვენა მხარეს გამოსახულია ღრუბლებიდან გამოწვდილი ხელი, რომელიც ხელდასხმის სიმბოლიკაა. ზ. ავალიშვილი წერს: „დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად აღიარა.ეს სარწმუნოებრივი შარავანდედი მის ხელმწიფურ სახეს საიდუმლო სამკაუ-

ლით ამშვენებს და მისი ნამდვილი მნიშვნელობის გაგებას ჩვენთვის ართულებს“. ხუბაშვილის მოსაზრებით, „საიდუმლო სამკაული“, რაზედაც ზ. ავალიშვილი წერს ორდენში რაინდად კურთხევაზე მინიშნება უნდა იყოს (ხუბაშვილის 2009- 189).

ქრისტიანულ ეკლესიაში ხელდასხმა სასულიერო პირთა მღვდლად ან მსგავს ხარისხში კურთხევას ნიშნავს, რაც ხორციელდება ხელის დადებით. ხელდასხმა -ანუ ინიციაცია ხდებოდა აგრეთვე საიდუმლო ორდენში რაინდად კურთხევის დროსაც. ოფიციალური ცნობა ჩვენ დავითის სასულიერო წოდების შესახებ არ გაგვაჩნია, არც სხვა ქართველ მეფეთა ფრესკაზე გვხვდება მსგავსი კანონიკური სიმბოლიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გელათის ტაძარი ღვთისმშობლის სახელზეა აგებული, რომლის ყოველი ფრესკული ანსამბლი დაკავშირებულია გრაალის ბარძიმთან.„გელათი გრაალისადმი მიძღვნილი ტაძარია“ (გამსახურდია 1991: 38). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ტამპლიერების ორდენი გრაალის მცველად და მის მესაიდუმლედ ითვლებოდა, რაც გრაალის სიწმინდიდან გამომდინარე, მხოლოდ რჩეულთა ხვედრი და განსაკუთრებულად უმაღლესი უფლება იყო. ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, „დავითის ინიციაციურ და სასულიერო პრეროგატივაზე მეტყველებს ის, რომ სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში XIX საუკუნეში აღმოჩენილ ხატზე დავითი დახატულია არა სკიპტრის მპყრობელად, როგორც ყოველი მეფე და იმპერატორი, არამედ ეფუდის (სამღვდელმთავრო ალმის),რაც ძველ ებრაელ მღვდელმთავართა რეგალია იყო...მისი სამოსიც უჩვეულოა ამ ხატზე. მასზე გამოსახულია ცხრა ხე და ნახევარმთვარეები, რაც უთუოდ წმინდა გრაალის ბარძიმის სიმბოლოა“ გამსახურდია 1991: 81).

ტამპლიერებისა და დავით აღმაშენებლის ურთიერთობაზე ფიქრისასა იმის აღნიშვნაც იქნება საჭირო, რომ კონფესიური შეზღუდულობა და ფანატიზმი უცხო იყო, როგორც დავით აღმაშენებლისათვის, რომელიც თავისი ტოლერანტური პოლიტიკით იყო ცნობილი ასევე ტამპლიერებისთვისაც. სხვა კათოლიკე ჯვაროსნებისაგან განსხვავებით ტაპლიერები რელიგიურ ურთიერთობათა თავისუფლებით გამოირჩეოდნენ. მართალია დავითის ისტორიკოსს და არც სხვა უცხოელ მკვლევარს არ შემოუნახავს ქართველებისა და ტამპლიერების ურთიერთობის პირდაპირი ამსახველი ფაქტობრივი მასალები, მაგრამ არსებობს უტყუარი ცნობები, რომლებიც მოგვითხრობენ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერებისა და ტამპლიერების ორდენის რაინდათა ურთიერთობებზე.

ჩვენი კვლევა ამ საკითხთან მიმართებით ეყრდნობა ორ ქართულ ხელნაწერს, რომლებშიც ჩაწერილია ჯვაროსანთა მოსახსენებლები. ერთი მათგანი „გოლგოთას სვინაქსრის“ სახელითაა ცნობილი. იგი გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი დიდი სვინაქსარია. მეორე ხელნაწერი (GEORG28) პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული და შეიცავს ოთხთავის ტექსტს.

„გოლგოთას სვინაქსარი“ ხელნაწერთა კატალოგში H 1661 ნომრით არის გატარებული. იგი გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში 1155 წელს გიორგი დოდისის მიერ. ხელნაწერი მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა გასულ საუკუნეში. იგი აღმოაჩინა ლავრენტი გოგელაძემ ჯვრის მონასტერში და სავარაუდოდ საქართველოში ჩამოიტანა 1812 წელს. ხელნაწერი შეიცავს 340 ფურცელს, დაწერილია ნუსხურით და ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს (კეკელიძე 1950 : 82). ამ საინტერესო ხელნაწერში, რომელიც შინაარსობრივად სხვადასხვა თხზულებებს შეიცავს დაცულია XII საუკუნეში შედგენილი ჯვაროსან რაინდთა აღაპები.

თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა და აღწერა „გოლგოთას სვინაქსრის“ აღაპების რამდენიმე ნაწყვეტი ზოგიერთ სხვა მინაწერთან ერთად და გამოთქვა ვარაუდი, რომ აღაპებში იტალიელთა სახელები ეწერა: „ამავე წიგნის მერმინდელს XIII–XV საუკუნეების აღაპებში მოხსენიებულია იტალიანური სახელები (მაგ. გვილიამ პატერა, ჯირარდ „ძმა ჩუენი“, აქვილინა, ჯუან, სირი ჯილიბედ, სირ არბედ, „ძმა ტაძრელთა ჯუან“, „სირპერ კუმანდური ტაძრელთა“, „ძმაი პერი ტაძრელთა“ და სხვა), რაიცა გვიმტკიცებს, რომ ქართველი ბერები და იტალიელნი მეგობრულად ყოფილან და ბევრი იტალიელნი თვით ქართველ ბერების ძმანი ყოფილან“ (ჟორდანია 1897 : 524 ).

ამ საკითხთან დაკავშირებით ე. მეტრეველი წერდა:„ სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. როგორც დაკვირვებამ დაგვარწმუნა, ეს უნდა იყო XII საუკუნის მინაწერი, ჯვაროსნების ტამპლიერთა ორდენის წარჩინებულ რაინდთა აღაპები (მეტრეველი 2007: 135).

ე. მეტრეველის თანახმად, მოსახსენებელთა ორი სახე არსებობდა. ერთი- კერძო მოსახსენებელი, დადებული თუ იმ პირისათვის, ოჯახისათვის, ანდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის. ამგვარი მოსახსენებლები უმთავრესად ხელნაწერთა მინაწერების სახით იწერებოდა. ამ სახის მოსახსენებელთა ნიმუშად შეიძლება დავასახე-

ლოთ ჯვაროსნების ტამპლიერთა ორდენის წევრთა მოსახსენებლები, დაწერილი ე.წ. „გოლგოთას სვინაქსარის“ პირველ გვერდზე (მეტრეველი 1962 : 9).

ქართულ ხელნაწერში შემომონახულია მოსახსენებელნი შემდეგი რაინდებისა:

1„სირ უგ და ყ˜ნი [მოყვარენი მისნი]. 2 „ჯ˜რო პტ˜სნო შეიწყალე ძმა ჩ˜ნი ჯოფრე ფაუსათ“. 3. „ქ.ო˜შ˜ე სინენბრინ და მოდეარ ჯირაოდ“. 4. „ქ. მოჯსე ვ˜გი ლლმ“. ეს ოთხი მინაწერი მოთავსებულია1 v-ზე. 5. „ქ˜ჯ ო განმაცხოველებ˜ლო ადიდე და შ˜ე. ე ე., ფილიპე, ელისაბედ და ელენე, სტეფანე და მ˜მი ელისაბედისი ოდი და დედაჲ მაბილა(!) და პაპი ფილიპესი გ˜ი“. 6. „ქ. ჯ˜რო პ˜ტიოსანო ადიდე და შ˜ე სირ პერ კუ-მანდური ტაძრელთა“. 7. „შეიწყალე ძმაჲ პერი ტაძრელთა“ 8. ქ.ქ˜ღ˜ო დაიცევ ძმაჲ ჩ ˜ნი პერია და [შეუნდვენ] ცოდვანი მისნი და დედჲ მისი ბსლა და მამჲ მისი პელინ“. 9. „ქ. ქ˜ეღ˜ო შ˜ენ ძ˜მჲ ჩ˜ნი გჯლიამ პატერა და დედჲ და მამჲ მისი“. 10. „ქ˜ეღ˜ო დაიც-ევ ძმჲ ჩ˜ი ჯირარდ და დე˜დაჲ და 'მმ˜ჲ მისი“ 11. „ო˜ოღ˜ო დაიცევ და შეიწყალე ძმჲ ჩ˜ნი ორსიშოდ [ან ორსიბოდ] სილგილამ დელოლველ“ 12. „ქ.˜ო ღ˜ო შეიწყალე სირ ვრიდრიშ“. 13 „ქ. რაუ გილა, ასქილანი, ასილინე, ჟუან, ელისაბედ, ი˜ე“ 14. „სირ უდ-რი და მაჰად მოიხსენე ოო“. 15. სირ რაო და მიქაელ ო˜ოშე˜ნ ინე“ 16. „ქრისტოდულ ეკონ˜მი მოიჯსენე ო˜ო ჩ˜ნი ძმაჲ“. 17. სირი ჯილიბედ მოიჯსენე ო˜ო.“ 18.„ქ. ჯ˜რო პ˜ტიოსანო შ˜დაიცევ სირ არბერდ ბჭე და ძ˜მჲ ტაძრელთა ჯუან 19. „ღ˜ოშ˜ე გრიგოლ ძმაჲ მისი კს˜ტანტინე და დედაჲ მათი მრ˜მ“ (მეტრეველი 2007: 135-136).

ყველა ეს აღაპი სვინაქსარის პირველ ფურცელზეა თავმოყრილი, თუმცა სხვადა-სხვა ხელითაა დაწერილი. როგორც ჩანს, 1 ფურცელი განსაკუთრებით საპატიო ადგ- ილადაა მიჩნეული (მეტრეველი 2007: 138).

როგორც აღაპებიდან ირკვევა ტამპლიერ რაინდთა სახელები ქართველ ბერებს ჩა-უწერიათ ფრანგების კარნახით. „ამას მოწმობს აღაპების ონომასტიკონის ფონეტიკუ-რი გაფორმება. ძალზე ძნელია იმის გაგებაც კი, თუ რა ეროვნების არიან აღაპში მოხ-სენიებული პირები. აქ ჩამოთვლილნი არიან, მაგალითად „უგ(იგივე ჰიუგი, ანუ ჰუ-გო), „არბერდი“(იგივე ალბერტი) და სხვა, რომლებიც შეიძლება ფრანგებიც იყვნენ და გერმანელებიც, მაგრამ იქვე მოიხსენიება ვინმე „ ვრიდრიში”,რომელიც უეჭველია, გე-რმანელი ფრიდრიხი უნდა იყოს..ასეთი ფორმით სახელი იმიტომაა წარმოდგენილი, რომ აღაპის ჩამწერი კარნახით წერდა ამ სახელს, მოკარნახე კი, ალბათ, ან ფრანგი იყო, ან ფრანგულად გამოთქვამდა“ (ბადრიძე 1984: 146-147).

ჩვენ მიერ ზემოთმოყვანილ აღაპებში რამდენჯერმე გვხვდება რაინდთა თანამდებობის აღნიშვნა, მაგალითად, მე–6 აღაპში მოხსენიებულია „სირ პერ“ (პიერ) კომანდორი. მე-16 აღაპში გვხვდება „ქრისტოდულ ეკონ˜ომი“, სავარაუდოა, რომ იგი ტამპლიერთა ორდენის მნე იყო. აღაპში მოხსენიებული უგ ფრანგული სახელის Hugue-ს ქართული შესატყვისი ფორმაა. ეს სახელი ხშირად გვხვდება ტამპლიერების ორდენის ისტორიაში, იქნებ სიმბოლურადაც არის, რადგან ორდენის დამაარსებელს ჰუგო ერქვა. „სირუგ“ ერთიანად ტიტულის აღმნიშვნელია. მე–2 აღაპში გადმოცემული სახელი „ჯოფრე“–ფრანგულ ჟოფრუას ნიშნავს, „ჯირაოდ”–ჟირარდს, „ასქილანი“–ფრანგული აქვილინას შესატყვისია, „რაუ“- ფრანგულ Raul–ს, „გილა“ –„გილიომს“ ან გულიომს, „ვრიდრიშ უნდა იყოს გერმანული„ ფრიდრიხის“ ფრანგული გამოთქმით მიღებული სახელი, „არბერდ-ალბერდი“ (ბადრიძე 1973:25-26).

ს. მარგიშვილი აღნიშნავს, რომ აღაპებში ტამპლიერების გარდა სხვა ჯვაროსნებიც იხსენიებიან. მისი აზრით, „(N N 6, 7, და 18) აღაპები ნამდვილად ტამპლიერებს ეკუთვნით, აქ ისინი პირდაპირ ამ რაინდული ორდენის წარმომადგენლებად (ტაძრელებად) არიან დასახელებულნი, მაგრამ ექვსი აღაპი (N N 5, 8, 9, 10, 13, 19) შეიძლება ტამპლიერებს (ან სხვა რაინდული ორდენის წევრებს) არ ეკუთვნოდეთ, რადგან ამ აღაპებში ქალებიც არიან მოხსენიებულნი... დასახელებული ექვსი აღაპიდან ოთხში (N N 8, 9, 10, 19), ქალები იქ მოხსენიებულ რაინდთა დედები არიან, რაც ამ რაინდების ტამპლიერობას კიდევ დასაშვებს ხდის, მაგრამ ორ აღაპში( N5, 13) აშკარად ოჯახებია წარმოდგენილი, რადგან აქ ერთბაშად რამდენიმე ქალის სახელია ჩაწერილი, რაც ამ რაინდთა ტამპლიერობას (ისევე როგორც რომელიმე სხვა ორდენის წევრობას) კატეგორიულად გამორიცხავს. რაინდული ორდენების წევრებს წესდებით აკრძალული ჰქონდათ არა მარტო ცოლის შერთვა, არამედ ქალებთან რაიმე სახის ურთიერთობა და პირად სურვილებზე ფიქრის კი“ -ასკვნის მარგიშვილი (მარგიშვილი 2006: 262-263).

დ. თინიკაშვილი მიიჩნევს, რომ N1 მოსახსენებელში მოხსენიებული „სირ უგ და ყ'–ნი (მოყვარენი მისნი) გახლავთ სირ ჰუგო დე ბესანი- პროვანსის (საფრანგეთი) პრეცეპტორი 1134-1143 წლებში, რომელიც 1150 წელს ახლო აღმოსავლეთის ქალაქ აკრაში იქნა გადაყვანილი“ (თინიკაშვილი 2015: 115).

აღაპებიდან მარგიშვილს შესაძლებლად მიაჩნია ერთი ტამპლიერის იდენტიფიცირება. მისი აზრით, „N 2 ჩანაწერში მოხსენიებული „ძმაი ჩვენი ჯოფრე ფაუსათ“ შე-

საძლოა იყოს ტამპლიერთა ორდენის ცნობილი წარმომადგენელი ჟოფრუა ფუშე. მარგიშვილი ასკვნის, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერთან ურთიერთობა, არა მარტო ტამპლიერებს, არამედ „ჩვეულებრივ“ საერო ჯვაროსან რაინდებსაც, ანუ ჯვაროსნული საზოგადოების ფართო ფენას ჰქონია, რაც სრულიად ჩვეულებრივი და მოსალოდნელი მოვლენა უნდა ყოფილიყო. იერუსალიმის სამეფოში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები, იქ არსებული რელიგიური ინფრასტრუქტურის ნაწილი, ხოლო იქ მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები, არსებული საზოგადოების წევრები იყვნენ და ურთიერთობა როგორც სხვადასხვა კონფესიებთან, ასევე იქ მცხოვრებ ხალხთან, პირველ რიგში კი ლათინებთან რასაკვირველია ექნებოდათ“ (მარგიშვილი 2006 : 263).

ვ. კეკელიას მოსაზრებით „ N 2 მინაწერში მოხსენიებული ჯოფრე-ჟოფრუა, ხოლო ფაუსათ-ფუშე უნდა იყოს. ფაუსათ-ფუშეს განსხვავება ტრანსკრიციფციული ცდომილებით არის გამოწვეული“(კეკელია: 2009: 493).

ჯვრის მონასტრის ხელნაწერების შესწავლამ გამოავლინა ჩვენი კვლევისთვის საინტერესო კიდევ ერთი ხელნაწერი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებში ექვთიმე თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია ხელნაწერს, რომელიც GEORG-28 შიფრით არის დაცული. ხელნაწერი შეიცავს ოთხთავის ტექსტს, მაგრამ დაუთარიღებელია. ექვთიმე თაყაიშვილმა იგი პალეოგრაფიულად XIII საუკუნით დაათარიღა. ამ მოსახსენიებელში ჩვენ კვლავ გხვდება „სირ“ და „პერის“ მატარებელი სახელები: „ღმერთო, შეიწყალე ძმა ჩვენი პერ მარტინე, პერ გონსლი“, „ქრისტე შეიწყალე სირ დერ{მად}. ,,GEORG-28 ხელნაწერში „გოლგოთას სვინაქსარის“ მოსახსენებლებისაგან განსხვავებით არ გხვდება ტერმინი „ტაძრელი“, რომელიც ამ მოსახსენებლებს მტკიცედ მიაკუთვნებს ტამპლიერთა ორდენის წევრებს, მაგრამ GEORG-28 ხელნაწერის მოსახსენებელებში „სირ“-ისა და „პერ“-ის“ დადასტურება საკმარისი საბუთია იმისათვის, რომ აქ მოხსენიებული ჯვაროსნებიც აგრეთვე ტამპლიერთა ორდენის წევრებს მივაკუთნოთ, ვინაიდან ეს ზედწოდებები ტამპლიერთა ორდენის წევრების მიმართ იხმარებოდა“- ასკვნის ელენე მეტრეველი (მეტრეველი 2007: 280).

ი. ბერაძემ ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა, რომ „არა მარტო რიგითი, არამედ კომანდორიც, უცხო ტამპლიერები აღაპებს სწირავდნენ ქართველთა მონასტერში, როგორც ეს აღნიშნულია მეექვსე მინაწერში. ქართველებსა და ტამპლიერებს შორის ასეთი კეთილი ურთიერთობა მიგვითითებს იმაზე, რომ ჯვრის მონასტერს სა-

კმაო ავტორიტეტი დაუმსახურებია და რაც მთავარია, ორივე მხარე დაუკავშირებია იმ საერთო იდეას, როგორიც იყო მუსლიმთა წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლა. ადვილი შესაძლებელია და დასაშვებიც, რომ ორდენის წევრად ქართველებიც ყოფილიყვნენ“ (ბერაძე 1960: 297).

მ. სტეფნაძე აღნიშნავს, რომ 1555 წელს ჯვრის მონასტერში გადაწერილ „გოლგოთას სვინაქსარში“დაცული ჯვაროსან ტამპლიერთა ორდენის წარჩინებულ რაინდთა აღაპები თავისთავად ბევრის მთქმელია (სტეფნაძე 2004: 76).

კ. ჯეელიას მიაჩნია, რომ „ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტერმინი „ტაძრელი“ ევროპული „ტამპლიერის“ შესატყვისია. ეს დასტურდება XII საუკუნის იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერის მინაწერში დაცულ ტამპლიერ რაინდთა აღაპებში, სადაც მოხსენიებულნი არიან: „სირ პერ კუმანდური ტაძრელთა“, „პერი ტაძრელთა და ძმაი ტაძრელთა ჯუან“ და მათი ოჯახის წევრები“. ამ ხელნაწერიდან მტკიცდება, რომ ტამპლიერები (ტაძრელნი) სწირავდნენ მამულებს და ფულად სახსრებს იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერს, რაც ცხადყოფს ქართველ ევროპელ ტაძრელ -ტამპლიერთა სულიერ მეგობრობას“ ( ჯეელია 2003: 101).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ზემოათღნიშნულ ხელნაწერებთან დაკავშირებით მ. წურწუმიას. იგი აღნიშნავს, „რომ გოლგოთას სვინაქსარზე დატანილი ყველა მოსახსენებელი ტამპლიერთა ორდენს არ უკავშირდება, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული. ტამპლიერთა გარდა, ეს აღაპები ეკუთვნის ჯვაროსანთა წარჩინებულ ოჯახებს, ასე, რომ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ამ ხელნაწერს უწინდებურად მხოლოდ ტამპლიერთა მოსახსენებლები ვუწოდოთ. სწორი იქნება თუ მას ზოგადად ჯვაროსანთა მოსახსენებლებად მივიჩნევთ“( წურწუმია 2010 : 91).

თ. კობახიძის აზრით „ქართველმა, ხაზგასმულად ქრისტიანმა მეფეებმა და რა თქმა უნდა, წმიდა ბერებმა არ იცოდნენ ტამპლიერ რაინდთა ერეტიკოსობის შესახებ, სამღვდელოების მხრიდან დევნის აცილების მიზნით მეტაძრენი სამონაზვნო ჩაცმულობით დადიოდნენ და გარეგნული მორჩილებისა და მოთმინების მიღმა მწვალებლობდნენ “ (კობახიძე 2005: 42). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან არც იმ ეპოქაში და არც შემდგომ საუკუნეებში, თვით 7 წლიანი საინკვიზიციო პროცესის დროს არ დადასტურდა ტამპლიერთა ერეტიკოსობა.

ამგვარად, ორივე ხელნაწერიდან დგინდება, რომ ტამპლიერებს იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერის ბერებთან ჰქონდათ ურთიერთობა და შესაწირავებსაც სწირავდნენ მონასტერს.

სამეცნიერო კვლევის პროცესში გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე მივაკვლიეთ ძალზედ საინტერესო ცნობას. 1890 წელს თბილისს ეწვია ერნესტო როსის იტალიური დასი. ქართულ სცენაზე რამდენიმე სხვა სპექტაკლთან ერთად როსიმ წარმოადგინა პიესა „ხრამოვნიკოვთა სიკვდილი“ (La murt des templiers) (ივერია: 1890 : 1). ჩანს, პიესის სათაური ფრანგულიდან თარგმნეს რუსულად და ქართულად მიუთითეს რუსული სახელწოდება, თუმცა 13 ივნისის ნომერში ეს შეცდომა გასწორებულია და პიესის სათაურში წერია „სიკვდილი ტამპლიერებისა, ანუ მეტაძრეთა“. (ივერია 1890:1) იტალიელ მსახიობებს გულუხვად უმასპინძლეს თბილისში. როსი სტუმრად მიიპატიჟა ილია ჭავჭავაძემ საგურამოში. იტალიაში დაბრუნებული როსი 25 ივნისს დეპეპეშას უგზავნის გაზეთ „ივერიის“ რედაქციას და მადლობას უხდის ყველას გულთბილი მასპინძლობისათვის და იმედოვნებს, რომ კვლავ შეძლებს საქართველოში ჩამოსვლას. „ვინ იცის, საუკუნოდ გეთხოვებით, თუ კიდევ გნახავთ ოდესმე! მაგრამ არა, ისევ ნახვამდის, ჩემო სასურველო ტფილისის საზოგადოებავ! ნახვამდის, ყველა ჩემო კარგო მეგობრებო, წარმომადგენლებო მწერლობისა და ახალგაზრდობისანო! ჩემი უმხურვალესი ნატვრა ის არის, რომ კურთხევა და მადლი უფლისა კვლავ არ მოაკლდეს თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანას, რათა შევიძლო და კვლავ ვიხილო უფრო განდიდებული და უფრო გამშვენიერებული!“- წერს ერნესტო როსი დეპეშაში (ივერია 1890 : N 135-1).

აღვნიშნავთ, რომ ილია დაინტერესებული იყო ტამპლიერების საკითხით. მას სამუშაო ოთახში ეკიდა დიდი მაგისტრის, ჟაკ დე მოლეს ორდენში მიღების ამსახველი ნახატი.

გვერდს ვერ ავუვლით ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებას ტამპლიერების ორდენისა და ფუსტელთა სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის ურთიერთკავშირის შესახებ. ამ საკითხს იკვლევდა მამა ავთანდილ გიორგობიანი, რომლის აზრით: „ფუსტელთა ორდენს ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, შუამდინარეთსა და ბაბილონში იცნობდნენ. მოგვიანებით მას გაეცნენ ევროპელებიც. ამ ორდენს გავლენა უნდა მოეხდინა ტამპლიერთა ორდენის ჩამოყალიბებაშიც. ერთი რამ ცხადია,- ამ ტრადიციამ ევროპაში მახლობელი აღმოსავლეთიდან შეაღწია. ევროპელი რაინდის უმთავრესი ტიტუ-

ლატურული მაჩვენებელი, რომელიც კურთხევის დროს გადაეცემოდა, იყო მომცრო მახვილი, რომელსაც ფუსტაკი ეწოდებოდა. სვანეთში დღემდე გვაქვს ქრისტიანული კანონიკით აგებული და უძველესი ქრისტიანული ხატებით, ჯვრებითა და ფრესკებით შემკული ფუსტის ტაძრები. ისევე როგორც ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში, სვანეთშიც ტერმინი „ფუსტი“ უფლის სინონიმად მოიაზრება. მეუფლეობა ანუ ფუსტელობა იყო სამხედრო-სარწმუნოებრივ რაინდთა თუ გვარდიელთა კასტა, რომელთაც სატაძრო ქონების დაცვა ევალებოდათ“ ( გიორგობიანი 2008: 13).

ტამპლიერების თემატიკისადმი განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩოდა ზვიად გამსახურდია, რომელიც წერდა: „ტამპლიერობა მარტო დასავლეთის საკუთრება არ არის.ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის. ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე“ (გამსახურდია1991: 211).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში 2010 წელს დაარსდა ნეოტამპლიერული ორგანიზაცია, საქართველოს ტაძრის მხედართა უზენაესი საძმო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტამპლიერებისა და ქართველებისა კავშირი დასაშვებია. ს. მარგიშვილის აზრით, საქართველოსთან და კერძოდ, „ქართულ ეკლესიასთან სიახლოვისთვის ტამპლიერებს უნდა ჰქონოდათ სერიოზული საფუძველი. ისინი თავის უმთავრეს წმინდანად ღვთისმშობელს მიიჩნევდნენ და ეკლესიების უმრავლესობაც მის სახელზე ჰქონდათ აგებული, რასაც საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიმართ, შეიძლებოდა, ტამპლიერთა სიმპათიები გამოეწვია“(მარგიშვილი 2006 : 262). ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მარგიშვილის მოსაზრებას, რადგან ორდენის ისტორიიდან ცნობილია, რომ მეტაძრეებმა ორგანიზაციის დაარსებიდანავე მფარველ წმინდანად აღიარეს ღვთისმშობელი. ისინი აცხადებდნენ: „ღვთისმშობელი იყო საწყისი ჩვენი ორდენის, მას მივაგებთ პატივს ჩვენი სიცოცხლითა და ორდენის დასასრულით, როცა ღმერთი ინებებს მის შეწყვეტას“ (Мельвиль 2003 : 65). ამგვარად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ორივე ხელნაწერი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, როგორც ტამპლიერების ორდენის ისტორიისათვის, ასევე იერუსალიმის ქართველთა და ტამპლიერ რაინდთა ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის, რომელიც ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება.

# დასკვნა

ამგვარად, როგორც კვლევამ დაგვანახა, ტამპლიერების ორდენის თემატიკის შესწავლა აქტუალურია როგორც ისტორიული, ასევე პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და რელიგიური მიმართულებითაც, რადგან ორდენის დაარსება და საქმიანობა განუყოფლად და მჭიდროდაა დაკავშირებული წმინდა საყდართან; ორდენის შექმნის ინიციატორი იყო პაპობა და საბოლოო ვერდიქტიც პაპმა-ეკლესიამ გამოუტანა. ამდენად, ტამპლიერების ისტორია მთლიანადაა გადაჯაჭვული როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობებთან, ისე აბსოლუტური მონარქიის ძლიერების ეპოქასთან, პერიოდთან, როცა რომის პონტიფიქსებისა და საფრანგეთის მეფის ჰეგემონობის იდეამ წითელი ხაზები გადაკვეთა. ცხადია, ეპოქის ეს თავისებურებები აისახა ტამპლიერებზეც. მათი მიზანი დაარსებიდანვე იყო ამაღლებული, რადგან ისინი სხვა ჯვაროსნებთან ერთად წმინდა მიწასა და ქრისტიანებს იცავდნენ. ორდენი იყო ჯვაროსნული ლაშქრობების აქტიური საბრძოლო ლეგიონი, მტკიცე სამხედრო-სასულიერო ინსტიტუტი. მრავალი ტამპლიერი, მათ შორის ორდენის 23 მაგისტრიდან 6 დაიღუპა ბრძოლის ველზე, ან ტყვეობაში და მათი გამოსყიდვის არცერთი პრეცედენტი არ ყოფილა, თუმცა რამდენიმე მაგისტრის არასწორმა პოლიტიკამ ჩრდილი მიაყენა მათ ავტორიტეტს. წმინდა მიწის დაკარგვამ დრამატული ამბების გავრცობა-ინტერპრეტირება გამოიწვია და ისტორიკოსებს შორის წარმოშვა სხვადასხვა ეჭვი თუ ვარაუდი.

ჯვაროსნული ლაშქრობების დასრულებამ ტამპლიერების ორდენის ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი. ისინი მთლიანად გადაერთვნენ საბანკო, სავაჭრო და სამეწარმეო საქმეზე, რომელთა საშუალებითაც ტამპლიერები თავისი ეპოქის უმდიდრეს ძალად გადაიქცნენ, პარიზში კი მათი რეზიდენცია ევროპის ფინანსურ ცენტრად გადაიქცა. მალე ორდენი ჩამოყალიბდა როგორც მსოფლიოში პირველი ეფექტური, მრავალეროვანი, ერთგვარი ტრანსნაციონალური, საერთაშორისო კორპორაცია, სახელმწიფო სახელმწიფოში და საფრანგეთის მეფის ფილიპ IV-ის ფინანსური ინტერესების სამიზნედ იქცა, რამაც ორდენი ტრაგიკულ შედეგებამდე მიიყვანა.

ტამპლიერთა ორდენის საბრალდებო პროცესის ასახსნელად და გასაანალიზებლად დენიელ ლიტლის ინტერპრეტაციის თეორიის გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო ფაქტები აგვეღწერა, არამედ გვემსჯელა მონაწილეთა ქმედებებზე და შინაგან მოტივებზე. კვლევიდან გამოიკვეთა, რომ პროცესის დროს მოქმედი პირები

სხვადასხვა მიზნებით  და ხედვებით მოქმედებდნენ. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნ-ოთ, რომ ტამპლიერთა საბრალდებო პროცესი დაიწყო პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური მოტივების გამო. პროცესში სახელმწიფო  და  რელიგია გადაიკვეთა, ფილიპ IV- ის  და პაპის ინტერესები დაუპირისპირდა ერთმანეთს. მართალია, მეფის მოტივაციისათვის ბევრი საფუძველი არსებობდა, მაგრამ ჩვენი აზრით, ფინანსური დაინტერესება იყო ყველაზე მძლავრი მოტივატორი. მეფის მიზანი იყო: 1.ტამპლიე-რების სიმდიდრის მითვისება. 2. ეკლესიის კონტროლი და დაქვემდებარება. რაც შეე-ხება პაპს, საბრალდებო  პროცესმა და „შინონის პერგამენტის“ აღმოჩენამ ნათელყო კლემენს V-ის მოტივაცია 1. ეკლესიის  ავტორიტეტის შენარჩუნება 2. ორდენის გადა-რჩენა; პაპი ცდილობდა დაეცვა და გადაერჩინა ორდენი ყველა მექანიზმის გამოყე-ნებით, ა) რეფორმის-ჰოსპიტალიერების ორდენთან შეერთებით. ბ) გამოძიების წარმ-ოებით. დ) შინონის აქტით.  ორდენის დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მსოფლმხედ-ველობა დამყარებული იყო სამხედრო მიმართულებაზე, მისი თავდაპირველი მიზა-ნი იყო: 1. წმინდა მიწის დაბრუნება. 2. ორდენის დამოუკიდებლობის და ძლიერების შენარჩუნება. 3. პაპისა და ეკლესიისადმი ერთგულება. მიზნის მისაღწევად და ორდე-ნის გადასარჩენად ტამპლიერების უკანასკნელი დიდი მაგისტრი აბსოლუტურად დისტანცირდა მეფისაგან, მაგრამ დამარცხდა და სიცოცხლე ინკვიზიციის კოცონზე დაამთავრა. დ. ლიტლის ინტერპრეტაციის თეორიაზე დაყრდნობით კვლევამ ნათე-ლყო რატომ გახდა შესაძლებელი XIV საუკუნეში ტამპლიერებისათვის მსგავსი სასამ-ართლო პროცესის მოწყობა. ჩვენი აზრით, ტამპლიერების სასამართლო პროცესის შე-საძლებლობა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1. ფილიპ IV-ის  ის ფინანსურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა. ფილიპ IV თავისი ექ-სპანსიური პოლიტიკის განსახორციელებლად მუდმივად საჭიროებდა სახსრებს, რო-მელსაც იღებდა სხვადასხვა საშუალებით, ტამპლიერების ორდენი კი იმ  დროს იყო უმდიდრესი, გავლენიანი ორგანიზაცია, რომელიც ფლობდა უდიდეს ფინანსებს,  მა-მულებს და ავტონომიას, რასაც მეფე, ჩვენი აზრით,  საფრთხედ მიიჩნევდა.

2. საერო და  სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირებამ. ფილიპ IV-მ მნიშვნელო-ვნად შეავიწროვა პაპის ძალაუფლება; გაიმარჯვა ბონიფაციუს VIII-თან ბრძოლაში. მუდმივად ცდილობდა  საერო ძალაუფლების უპირატესობის წარმოჩენას სასულიე-როზე. ამ ბრძოლაში კი მთავარ წინააღმდეგობას ტამპლიერების ორდენში ხედავდა, რომელიც მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა.

3. პაპის ავინიონში ჩაკეტვამ. კლემენს V-ის უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფილიპ IV-მ ისარგებლა პაპის სისუსტით და იგი აიძულა რომის მაგივრად 1309 წელს რეზიდენცია ავინიონში გადაეტანა. პაპი მეფის პოლიტიკური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა და ვეღარ შეძლო ტამპლიერების დაცვა.

4. საზოგადოების დამოკიდებულებამ ერესის ბრალდებების მიმართ. XIV საუკუნეში ერესი მიიჩნეოდა უმძიმეს სულიერ დანაშაულად და სიტყვა ერესის ხსენებაც კი საზოგადოებაში შიშსა და პანიკას იწვევდა. ამგვარად, იმ ეპოქაში არსებობდა შიში და დიდი აგრესია ერესის ბრალდებების მიმართ.

5.ორდენის ცხოვრების წესმა. ტამპლიერების ორდენი იყო დახურული, გასაიდუმლოებული ორგანიზაცია. ხალხის ინტერესს იწვევდა მათი რიტუალები, სიმდიდრე, მათზე გავრცელებული ლეგენდები. იმ ეპოქის საზოგადოების პროპაგანდის ქვეშ მოქცევა არ იყო რთული, რადგან ერესული ბრალდებების ტამპლიერებზე გავრცელების ნიადაგი არსებობდა და მარტივად შეიძლებოდა მათი დემონიზება.

6.ინკვიზიციის მეფის ინსტრუმენტად გადაქცევამ. XIV საუკუნეში ინკვიზიცია იყო ძლიერი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ერესში ბრალდებულებს მკაცრად ექცეოდა. ფილიპ IV-მ ინკვიზიცია ფრანგული პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა და აიძულა ემსახურა მისი ინტერესების შესაბამისად.

ინტერპრეტაციული ახსნით გამოიკვეთა ისტორიული აქტორების შეხედულებები და მოტივები თუ როგორ აღიქვამდნენ დაპატიმრებული ტამპლიერები და საზოგადოება ბრალდებებს. დაპატიმრების დღიდანვე ყველა ტამპლიერი ფიქრობდა, რომ ეს იყო მხოლოდ ბრალდებების შემოწმება, რომელიც მალე დამთავრდებოდა, ხოლო ინკვიზიციური სამართალწარმოების დაწყებისთანავე მათ ბრალდებები გაუგებრად აღიქვეს, ზოგიერთი მათგანი საერთოდ ვერ იგებდა რაზე იყო საუბარი, რადგან ბრალდებები მათი აზრით, ეწინააღმდეგებოდა ორდენის მიზანს. ტამპლიერები ყველა ბრალდებას უწოდებდნენ სიცრუეს, ცილისწამებას, გამონაგონს ორდენის დისკრედიტაციისათვის, მიაჩნდათ, რომ ბრალდებები იყო მათთვის შეურაცხმყოფელი და უსამართლო და რაც მთავარია, ისინი ბრალდებებს აღიქვამდნენ ძალადობრივ მექანიზმად. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დაპატიმრებამდე პაპთან შეხვედრაზე ბრალდებების მოსმენის შემდეგ ორდენის ხელმძღვანელებმა თავად მოითხოვეს გამოძიების დაწყება. საზოგადოების დამოკიდებულების და ხედვების წარმოსაჩენად შუა საუკუნეების ეპოქის ადამიანთა მენტალობა და პროპაგანდის როლიც უნდა გავითვალისწ-

ინოთ. ინკვიზიციური პროცესის დროს საზოგადოების ნაწილს სჯეროდა ბრალდებ-ების სიმართლე, რადგან საფუძველი მომზადებული იყო განვლილი საუკუნეების მოვლენებით, სხვადასხვა მითებისა და ცრურწმენების, არსებობითა და ერესული პროცესებისადმი შიშებით. საზოგადოებრივი აღქმა შესაძლოა ითქვას, რომ იყო მრავალფეროვანი, რომელიც დამოკიდებული იყო რამდენიმე ფაქტორზე: 1. ეპოქის თავისებურებაზე. XIII –XIV საუკუნეებში საზოგადოების ნაწილის გონება მზად იყო ყველაფერი დაეჯერებინა, რასაც იტყოდნენ ტამპლიერებზე. 2. პროპაგანდის როლზე. პროცესი დაიწყო საზოგადოებაში ტამპლიერების დისკრედიტაციით და ერთგვარი საინფორმაციო ომით, რაც ზემოქმედებდა ადამიანთა განწყობაზე 3. ადამიანთა მენტალობაზე. ბრალდებების სჯეროდათ გაუნათლებელ ადამიანებს 4. რელიგიურ შიშებზე. ერესი ქრისტიანობის საწინააღმდეგო რელიგიურ სწავლებას ნიშნავს. ერესის ბრალდება იწვევდა ერეტიკოსის განადგურებას. იგი შუა საუკუნეებში აღიქმებოდა, როგორც რელიგიურ, ასევე სოციალური საფრთხედ და შიშს იწვევდა საზოგადოებაში. ლეგისტ დიუბუას ტრაქტატები (იხ. დანართი 1 გვ.250 ) ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება, რათა XIV საუკუნეში ჩატარებულიყო ისეთი მასშტაბური და საჩვენებელი საინკვიზიციო პროცესი, როგორიც ტამპლიერების იყო.

ამგვარად, ინტერპრეტაციის თეორიის გამოყენებით დადგინდა, რომ ტამპლიერების საქმე უნდა აიხსნას, არა მარტო ფაქტების აღწერითა და კონტექსტის გაანალიზებით, არამედ საბრალდებო პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც მრავალშრიანი მოვლენა, რომელშიც პოლიტიკური და რელიგიური მოტივები აქტორთა არჩევანსა და ქმედებებს განსაზღვრავდა.

ტამპლიერებზე საფრანგეთში მათი დაპატიმრებისთანავე დაიწყო საინკვიზიციო სასამართლო. ტამპლიერების საქმის ყველა მასალა ექვემდებარებოდა ორმაგ გამოძიებას, რომელსაც თავიდან მეფის უფლებამოსილები ატარებდნენ, შემდეგ კი - ინკვიზიტორები. ტამპლიერებთან მიმართებით ინკვიზიციური სამართალწარმოება გამოყენებული იქნა განსაკუთრებული სისასტიკით, ამას ადასტურებს გარდაცვლილ ტუსაღთა რაოდენობა და თვითმკვლელობები. ერთმა ტამპლიერმა თურმე პაპს აჩვენა ხელი, რომელზეც წამებისაგან ხორცი ძვლამდე ჰქონდა ამოგლეჯილი. როცა მან დაინახა სასტიკი ქმედების შედეგი, გადაწყვიტა თავად წარემართა პროცესი. 1308 წლის თებერვალში პაპმა შეაჩერა ინკვიზიცია საფრანგეთში, ინკვიზიტორებს შეუწყ-

ვიტა პროცესის წარმართვის უფლება და საქმე გადაიტანა კურიაში. ტამპლიერების საქმის სამართლებრივი წარმოება იყო მხოლოდ ეკლესიის პრეროგატივა, რადგან ისინი იყვნენ სასულიერო ორდენის წევრები და ამასთან მათ ბრალი ედებოდათ ერესში, რომელსაც შუა საუკუნეებში იძიებდა ინკვიზიცია, რადგან ის შედიოდა საეკლესიო იურისდიქციაში. კვლევამ ცხადყო, რომ პაპმა ტამპლიერთა საქმის მოკვლევა და განხილვა დაიწყო ორ ეტაპად 1. ზოგადად- ორდენის წინააღმდეგ და 2. ინდივიდუალურად- რაინდების წინააღმდეგ. კლემენს V-მ კარდინალებისაგან შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებინა საქმე პაპის სახელით. 1308 წელს პაპმა აბსოლუცია მიანიჭა ორდენის ხელმძღვანელებს, რითაც ის შეეცადა გადაერჩინა და დაეცვა ორდენი, მაგრამ ვერ მოასწრო შინონის აქტის გასაჯაროება. საბოლოოდ 1312 წელს, კლემენს V-მ ვიენის საეკლესიო კრების საფუძველზე ტამპლიერების ორდენი საბრალდებო დასკვნის გარეშე გაუქმებულად გამოაცხადა. კრების მიმდინარეობამ და საბრალდებო პროცესის სხდომის ოქმების შედარებითმა ანალიმა გვაჩვენა, რომ იმ დროისთვის არ არსებობდა სანდო და საკმარისი მტკიცებულებები ორდენის დამნაშავედ გამოსაცხადებლად, დასასჯელად და გასაუქმებლად. კრების წევრების უმრავლესობა ორდენის გაუქმების წინააღმდეგი იყო, რაც იმასაც ადასტურებს რომ პროცესის დაწყებამდე ტამპლიერებზე არ არსებობდა არანაირი ეჭვი და პრეტენზია, მაგრამ მეფის ზეწოლით პაპმა ადმინისტრაციული ბრძანებით გააუქმა ორდენი. ამგვარად, კლემენს V- ის ეს გადაწყვეტილება ააშკარავებდა პაპისა და მონარქის ინტერესთა მწვავე კონფლიქტს.

ტამპლიერების საბრალდებო პროცესი 1314 წლის მარტში ორდენის ხელმძღვანელების კოცონზე დაწვით დასრულდა, რომელიც პაპის ნებართვის გარეშე მოხდა. შინონის აქტის მიუხედავად ავინიონში ჩაკეტილმა კლემენს V-მ ვერ შეძლო მათი დაცვა და გადარჩენა.

ტამპლიერების წინააღმდეგ გამართული დიდი საინკვიზიციო პროცესი შვიდი წელი მიმდინარეობდა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ; ფრანგული სამეფო კარი სახელმწიფო ინსტიტუციებით, სამეფო კანცელარია, ლეგისტები, სასამართლო, აგრეთვე უნივერსიტეტი, მეფის მოკავშირე კარდინალები, სასულიერო იერარქები და ინკვიზიცია, რომელიც მთლიანად კონტროლდებოდა და იმართებოდა ფრანგი მონარქის მიერ. სასამართლო დევნა გასცდა საფრანგეთის საზღვრებს, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გამოძიება და განაჩენი არსად ყოფილა ისეთი მკაცრი, როგორიც

ფილიპ IV-ის სამეფოში. არცერთმა მონარქმა არ დაიჯერა მეფისა და მისი გარემოცვის მიერ გულმოდგინედ გავრცელებული ბრალდებების. ტამპლიერების პროცესი საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს გაანადგუროს ნებისმიერი პრივილეგირებული, დამოუკიდებელი, ძლევამოსილი ინსტიტუტი, რომელიც მას არ ექვემდებარება. ფილიპ IV-ის მიერ გამოტანილი მსჯავრი კი ნათლად ადასტურებს საერო ხელისუფლის ჩარევაზე იურიდიულ პროცესში და საეკლესიო საქმეში. ეკლესია და სასამართლო ფილიპის ხელში აღმოჩნდა როგორც ფრანგული სახელმწიფოს ინსტრუმენტები. ამგვარად, ფილიპ IV-მიერ ტამპლიერთა დევნა სასამართლო პროცესის პოლიტიზაციის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, რამეთუ სასამართლო სისტემა თავისი პროცედურებით სახელმწიფო ძალაუფლების ინტერესების სამსახურში აღმოჩნდა. ტამპლიერების საბრალდებო პროცესი იყო კომპლექსური საქმე, სახელმწიფოს მიერ საეკლესიო სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისათვის ბოროტად გამოყენების პრეცედენტი. ამ საქმეში ხელისუფლისა და პაპის ინტერესები გადაიკვეთა, რომელშიც მეფის პოლიტიკურმა ნებამ გაიმარჯვა.

კვლევამ ცხადყო რომ ტამპლიერთა ისტორიაში ბევრი ფაქტი არასწორი ინტერპრეტაციის გამო ბრალდებების სახით არის წარმოდგენილი. პროცესმა ვერ დაამტკიცა ერესის ისეთი ბრალდებები, რომლებიც წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ორდენის ძირითად მიზნებთან და საქმიანობასთან. და მაინც, მიუხედავად სასტიკი წამებისა, ინკვიზიციის მიერ ჩატარებულმა შვიდწლიანმა გამოძიებამ ვერ დაამტკიცა ტამპლიერების ერესი. ინკვიზიციის კომისრებმა და მეფის თანამზრახველებმა ვერ მოიპოვეს ვერცერთი მატერიალური თუ სხვა რაიმე გარე მტკიცებულება ერესის დასასაბუთებლად. ჯერ კიდევ პროცესის დასაწყისში ყურადღებას იქცევდა ბრალდებების წყაროების არასანდოობა და საეჭვო მტკიცებულებების უკმარისობა. მართალია, დაკითხვის ოქმებში ტამპლიერები აღიარებენ უმძიმეს ბრალდებებს, წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები და აღიარებები სასტიკი წამების და მუქარის გამაოგნებელი მეთოდებით იყო მიღებული. უდავოა, რომ ორდენმა გადაუხვია პირველსაწყის მიზნებს, გამოავლინა მიდრეკილება სიმდიდრისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ, ტამპლიერები ყოველთვის არ ხელმძღვანელობდნენ წესდებით, ხშირად არღვევდნენ მას, მაგრამ დღემდე არ არსებობს იმის სანდო, ისტორიული სამხილები, რომ ორდენი ერესში ჩავარდა, ან რაიმე სხვა სწავლება თუ იდეოლოგია აირჩია, რომელიც განხვავდებოდა კათოლიკური რწმენის დოგმებისაგან. არ არის

აღმოჩენილი  არც სატანისტური კერპი და არც საიდუმლო წესდება. ამგვარად, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით  მეფის, მისი გარემოცვისა და  ინკვიზიციის მიერ  ტამპლიერების  წინააღმდეგ  წაყენებულ  ბრალდებებს  ჩვენ  შეგვიძლია ვუწოდოთ  პოლიტიზებული, ხოლო  სასამართლო  პროცესს  -  პოლიტიკური, ერესული  პროცესი, რომელიც  იყო  შუა საუკუნებიის ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული, უდიდესი ანტიერესული მრავალწლიანი აქცია მიმართული ისეთი ძლიერი ინსტიტუციის წინააღმდეგ როგორიც  პაპობა  იყო.

კვლევამ დაგვანახა რომ ტამპლიერების ერეტიკული ბრალდებები  შვიდწლიანი ძიების მიუხედავად ვერ დამტკიცდა სანდო და და დამაჯერებელი არგუმენტებით. ტამპლიერთა ძირითადი ბრალდებები სამართლებრივად  სუსტი და ნაკლებად დამაჯერებელი იყო. კვლევამ ნათელყო, რომ  პაპი შინონის აქტით  ცდილობდა ტამპლიერთა დაცვასა და გადარჩენას რეფორმის საშუალებით, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო.  იგი ვერ შეეწინააღმდეგა ფილიპის პოლიტიკურ ნებას, ვერ გაუძლო ძლიერ ზეწოლას და იძულებული გახდა ორდენი გაეუქმებინა.

„შინონის პერგამენტის“ აღმოჩენის შემდეგ შეიცვალა და გადაფასდა ტამპლიერების პროცესთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები. იგი შეიძლება ჩაითვალოს  როგორც  ტამპლიერების ისტორიის განმაახლებელი, უნიკალური დოკუმენტი და იმის მაგალითი, თუ  როგორ  შეიძლება  ისტორიულმა წყარომ შეცვალოს შეხედულება მოვლენაზე, ინსტიტუციაზე, პიროვნებაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა.

კვლევიდან გამოიკვეთა, რომ ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის შესახებ ინტერპრეტაციები განსხვავებულია, თუმცა, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს რომ  სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა პოლიტიკური და ფინანსური მოტივაციის საფუძველზე. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მკვეთრად ხაზგასმულია  ინკვიზიციის როლზე, რომელიც მთლიანად იმართებოდა ფრანგი მონარქის მიერ. ინკვიზიციის გადაჭარბებული სისასტიკე და  ბრალდებულ ტამპლიერთა მიერ ოქმებში აღწერილი  წამების გამაოგნებელი სცენები ნათლად მიგვანიშნებს პროცესის უსამართლობაზე.

ტამპლიერების საბრალდებო პროცესის შესწავლა და მისი ინტერპრეტაცია  საინტერესო და აქტუალურია დღევანდელობისათვის, რამეთუ იკვეთება მსგავსება-პარალელები პროცესსა და  თანამედროვეობასთან.

1.ძალაუფლების გადაჭარბება და ბოროტად გამოყენება. საერო ინკვიზიცია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტამპლიერების პროცესი საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს გაანადგუროს ნებისმიერი პრივილეგირებული, დამოუკიდებელი, ძლევამოსილი ინსტიტუტი, რომელიც მას არ ექვემდებარება. სასამართლოს მიმდინარეობამ და საბოლოო განაჩენმა ნათლად წარმოაჩინა ფილიპ IV-ის და მისი საბჭოს მიერ დადგმული პროცესის უსამართლობა, დაადასტურა როგორც ფრანგი მეფის უხეში ჩარევა საბრალდებო პროცესში, ასევე პაპის უმწეობა, კანონდარღვევის ფაქტები და ბრალდებების მატერიალური მტკიცებულებების არ ქონა. ზემოთ აღნიშნული გაიგივებულია პოლიტიკურ რეპრესიებთან. ეს იყო საერო ინკვიზიცია.

2. პროპაგანდის როლი და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება.

ტამპლიერების პროცესი დაიწყო ინკვიზიციისათვის უჩვეულო პროპაგანდისტული კამპანიით, რომელიც არწმუნებდა საზოგადოებას ტამპლიერების ერესში დამნაშავეობას. მეფის მოხელეები სამეფო ორდონანსებში აღწერდნენ ტამპლიერების დანაშაულებებს, ტრუბადრებიც კი დაიქირავეს და ამღერებდნენ ტამპლიერების საწინააღმდეგო სიმღერებს. მწერალ ფრანსუა დე რიეს წიგნიც დააწერინეს ამ მიზნით. ლეგისტმა პიერ დიუბუამ სამი ტრაქტატი გამოაქვეყნა ტამპლიერების საწინააღმდეგოდ. მისმა ტრაქტატებმა თუ პუბლიცისტურმა ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროცესის მსვლელობაში და პაპობის დასუსტებაში. ამგვარად, მეფის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი ტამპლიერებთან ბრძოლაში გახდა პუბლიცისტიკა, რომელმაც მართლაც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. პროპაგანდის როლი შეიძლება გაიგივებული იქნას თანამედროვე მედიაა საშუალებებთან (პრესა, ტელევიზია).

3. მისტიკა თანამედროვე კულტურაში. ტამპლიერების საამართლო პროცესმა, მათ წინააღმდეგ წაყენებულმა ბრალდებებმა, უდიდესმა სიმდიდრემ და ორდენის დაშლამ კიდევ უფრო გააძლიერა ორდენისადმი ინტერესი და წარმოშვა მითები.აღვნიშნავთ, რომ ტამპლიერები დაარსებისთანავე მისტიციზმის საბურველში გაახვიეს და ისინი დღესაც განიხილებიან როგორც მისტიკური პირები, რომლებიც ფლობდნენ საიდუმლო დაფარულ ცოდნასა და რელიქვიებს (წმინდა გრაალი, ტურინის სუდარა).

ტამპლიერების პროცესი გასცდა საფრანგეთის სამეფოს საზღვრებს და მან თავისებური ასახვა ჰპოვა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივი აზრის ყველა

ასპექტში.ტამპლიერების ორდენის ისტორიისადმი დიდი ინტერესი დღემდე არ განელებულა. სხვადასხვა ენებზე იბეჭდება ახალი მონოგრაფიები, რომელთა უმეტესობის მიზანს ორდენისთვის ბრალდებების მოხსნა წარმოადგენს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი გარკვეული სამზადისია და საფუძველს ქმნის ორდენის მოსალოდნელი რეაბილიტაციისთვის.

და ბოლოს, დასკვნის სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „შინონის პერგამენტმა“ ტამპლიერების ორდენის საბრალდებო პროცესის ბუნდოვანი და ძნელად გასარკვევი საკითხების ახლებურად გააზრების, ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მოგვცა და კიდევ ერთხელ დაგვანახა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მიზეზშედეგობრივად საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება XIV საუკუნეში, რათა მეფის მიერ ჩატარებულიყო საუკუნის საბრალდებო პროცესი, რომელმაც სასიკკვდილო განაჩენი გამოუტანა უძლიერეს და უმდიდრეს რელიგიურ ორდენს, სახელმწიფოს სახელმწიფოში, რომელიც მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა : მანამდე კი იყო ფილიპ IV-ისა და ბონიფაციუს VIII-ის დუელი, რომელიც პაპის დამარცხებით დამთავრდა, რასაც მოჰყვა ტამპლიერების საბრალდებო პროცესი, რომელიც კვლავ პაპის დამარცხებით დამთავრდა. ამჯერად ფილიპ IV-ის ლეგისტებს და სამეფო საბჭოს წევრებს საზოგადოება უნდა დაერწმუნებინათ ორდენის ერესში ბრალეულობის, მოეხდინათ პაპის, როგორც ორდენის მფარველის დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში და ბოლოს, როგორც ეს დიუბუას ტრაქტატშია „De facto templariorum“, ფრანგი ხალხის წერილი-მოთხოვნა უნდა მოემზადებინათ მეფისადმი, რომ დაუყოვნებლივ გაენადგურებინა ერესში ჩავარდნილი ტამპლიერების ორდენი. საერო და სასულიერო ხელისუფლების ორთაბრძოლაში კვლავ მეფემ გაიმარჯვა. ორდენი განადგურდა. პაპმა რეზიდენცია ავინიონში გადაიტანა და 70 წლის განმავლობაში წმინდა საყდარს მემკვიდრეობად „ავინიონის ტყვეობა“ დაუტოვა.

ტამპლიერების რეაბილიტაციისთვის უმნიშვნელოვანესმა დოკუმენტმა „შინონის პერგამენტმა“ საბრალდებო პროცესის დადგენილებების სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, ვინაიდან, ის შეიცავს პაპის აბსოლუციას, რაც იმას გულისხმობს, რომ კლემენს V-ს ტამპლიერები ერეტიკოსებად არ უღიარებია. „შინონის პერგამენტის“ შესწავლით დადგინდა ორდენის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების დიდი ნაწილის სიყალბე, მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანს ჯერჯერობით არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება ორდენის უდანაშაულობისა და მისი აღდგენის

შესახებ. 2006 წელს ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გერმანელმა რომის პაპმა ბენედიქტუს XVI-მ ტამპლიერების ორდენის რეაბილიტაცია მოახდინა. წმინდა საყდარმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა (იხ. დანართი 5 გვ 261). თუმცა ამ ინფორმაციის გავრცელებას ჩვენი აზრით, გარკვეული საფუძველი გააჩნდა; „შინონის პერგამენტის“ შესწავლამ დაადასტურა, რომ ეკლესიას დოკუმენტურად არასოდეს მოუხდენია ტამპლიერების ორდენის ექსკომუნიკაცია (განკვეთა). ამიტომ მორალური და რელიგიური თვალსაზრისით, ისინი რეაბილიტირებულები არიან. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა საყდარი არ აღიარებს ორდენის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, 2007 წელს ვატიკანმა არათუ უფლება მისცა ბ. ფრალეს ამ დოკუმენტის გამოქვეყნების, არამედ თვითონ გამოაქვეყნა „შინონის პერგამენტის“ ასლი.

რაც შეეხება არგუმენტებს ორდენის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით:

1.2006 წელს გერმანიაში მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ჩვენი აზრით, შესაძლოა ვატიკანის კონსერვატულმა მემარჯვენე ფრთამ და მისი მოკავშირეებმა საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრად გამოიყენეს; გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პაპის ტახტზე გერმანელი ბენედიქტუს XVI იჯდა.

2. რეაბილიტაციის შემთხვევაში ტამპლიერების ორდენი წმინდა საყდრისგან მოითხოვს ქონებრივ და მორალურ კომპენსაციას, რაც უზარმაზარ თანხებთან იქნება დაკავშირებული;

3. ბერნარ კლერვოელის დოქტრინა „ Liber ad milites Templi: De laude novae militae” („ახალი რაინდების სადიდებლად“), რომელიც იყო ტამპლიერების ორდენის დამფუძნებელი დოკუმენტი, მოიცავს ზოგ ისეთ თეზისს, რომელიც თანამედროვეობაში პოლიტიკურად არაკორექტულია, მაგალითად, ურწმუნოთა მტრად გამოცხადება და მათი დევნა. თუ ტამპლიერთა ორდენი აღდგება, ეს თეზისიც შესაძლოა, აღდგეს, რომელიც ამართლებს რელიგიური ომის წარმოებას და სადაც არაერთხელ არის ნახსენები, რომ მტრის და ურწმუნოს მოკვლა, ცოდვა არ არის. ეს შესაძლოა, მემარჯვენე ძალების მიერ არასწორად იყოს გამოყენებული და ამ არგუმენტით ორდენი არ აღადგინონ.( იხ.დანართი 4. გვ. 259 )

4. თანამედროვე ტამპლიერების ორდენის სამართალმემკვიდრეობის და იდენტობის დადგენა, ვინაიდან, დღეს ბევრი ფსევდო ტამპლიერები გამოჩნდნენ, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ტამპლიერების ჩამორთმეულ ქონებაზე.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ტამპლიერების საბრალდებო პროცესის დადგენილებების ანულირება მოხდეს, ორდენის სრული რეაბილიტაციის საკითხი მაინც დილემად რჩება. თუმცა ვფიქრობთ, რომ „შინონის პერგამენტის“ გამოცემით, მაგრამ ოფიციალური განცხადების გარეშე, ვატიკანმა ტამპლიერების ორდენის უდანაშაულობის პრეზუმფცია მოხდინა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ტამპლიე-რებმა სასამართლო პროცესი მოიგეს შვიდი საუკუნის შემდეგ.

# დანართები:

## დანართი 1

### მეფის ლეგისტის პიერ დიუბუას ტრაქტატები

ძველ ფრანგულ ენაზე დაწერილი დიუბუას ტრაქტატი წარმოადგენს კლემენ V-ის წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტს. მასში დიუბუა ფრანგი ხალხის სახელით მოითხოვს, რომ მეფემ დაარწმუნოს პაპი ორდენის განადგურებაში. ორდენი უნდა განადგურდეს, რადგანაც მისი წევრების დანაშაული, რომლებიც ბრალდებულები არიან ერესში თვალნათელია. ბუტარიკის მოსაზრებით, ტრაქტატის მიზანია კლემენს V-ის დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში, რათა შემდეგ დააჯეროს ხალხი იმ ზომების სამართლიანობაში, რასაც გამოიყენებს სამეფო ხელისუფლება პაპისა და ტამპლიერების ორდენის წინააღმდეგ. დიუბუა ესწრაფოდა, ძირს დაეცა პაპის ავტორიტეტი, შეერყია მისი უცოდველობის რწმენა და იგი ადანაშაულებდა მას მრავალ უღირს საქციელში, ამასთანავე ერთმანეთში აჯერებდა სიმართლესა და გამოგონილს, რასაც პამფლეტების სახით ავრცელებდა საზოგადოებაში. ბრძოლის ეს მეთოდი უკვე ნაცადი იყო როგორც ტამპლიერებზე, ასევე პაპზე, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ფილიპ IV და ბონიფაციუს VIII. ეს პამფლეტი წარმოადგენს სრულ ანალოგიას იმ ტრაქტატისა, რომელიც დაიწერა ბონიფაციუს VIII-ის წინააღმდეგ სახელწოდებით „la supplication du peble de france au roy contre le pape Boniface le huitieme“(Денисова 1961 : 216-217).

ავტორი კლემენს V- ს დანაშაულებს ნეპოტიზმში. ხალხი ხედავს, რომ მისმა სულიერმა მამამ დაუნაწილა სისხლით ნათესავებს შემოსავლიანი თანამდებობები და რომის ეკლესიის სამფლობელოები. მან თავისი ძმისშვილი, აბსოლუტურად შეუფერებელი თანამდებობისათვის დანიშნა კარდინალად -წერს დიუბუა და მას მისცა იმდენი ბენეფიციუმი, რამდენიც ორმოც პაპს მანამდე და ბონიფაციუს VIII - საც კი არასოდეს დაურიგებია თავისი ნათესავებისათვის.

პაპის გადაუწყვეტელი მოქმედება ტამპლიერების საქმეში დიუბუას აზრით აიძულებს ხალხს აფიქრებინოს, რომ კლემენს V-ე დახარბდა ტამპლიერებს და ოქროზე მიეყიდა მათ. ავტორს ეჭვი შეაქვს პაპის ქველმოქმედებაში, ადანაშაულებს მას თვალთმაქცობის ცოდვაში და მოჰყავს XIII საუკუნის კათოლიკე ღვთისმეტყველის „ეკლე-

სიის მამის“ თომა აქვინელის სიტყვები, რომელიც თვალთმაქცობას მომაკვდინებელ ცოდვას უწოდებს შეუთავსებელს ქველმოქმედებასთან. „მხოლოდ ის არის ღვთის ჭეშმარიტი შვილი, ვინც ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე აკეთებს იმას, რაც საჭიროა, რომ გაკეთდეს. სამართლიანობა ერთნაირად უნდა არსებობდეს დიდი და პატარა ადამიანებისთვის“ (Денисова 1961: 217).

დიუბუას დანარჩენი ორი ტრაქტატი დაწერილია ლათინურ ენაზე. ტრაქტატი „De facto templariorum“ წარმოადგენს ფრანგი ხალხის წერილს მეფისადმი, რომელშიც მოთხოვნილი იყო დაუყოვნებლივ გაენადგურებინა მეფეს ტამპლიერების ორდენი. საკითხში უკეთ გარკვევისათვის საინტერესოა ეს ტრაქტატი შევადაროთ პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგიის მაგისტრის თხზულებას „Brevis tractatus super facto templariorum“.

ორივე ნაწარმოები ეძღვნება ერთსა და იმავე საკითხს - შეუძლია თუ არა საერო საზოგადოებას ჩაერიოს სასულიერო ხელისუფლების ისეთ საქმეში, როგორიცაა ერეტიკოსების სასამართლო. პაპის მომხრეების პასუხი უარყოფითია, ხოლო მეფის ლეგისტების დადებითი.

ტრაქტატში „Brevis tractatus“ სწავლული ღვთისმეტყველი წერს, რომ ჭეშმარიტებისადმი სიყვარულმა განაწყვეს იგი გამოეკვლია საერო ხელისუფალთა საქციელი, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი სასამართლოთი, საეკლესიო ძიების გარეშე გაესამართლებინათ ერეტიკოსები. დასმული საკითხის გადასაწყვეტად ავტორი მოიშველიებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. დიუბუასგან განსხვავებით იგი ძალზე ფრთხილია გამოთქმების შერჩევისას. ერთადერთი, რაც მან გადაწყვიტა, ესაა - ეწოდებინა მეფის საქციელისთვის „უსამართლო“, როცა მან ტამპლიერები დააპატიმრა ეკლესიის თანხმობის გარეშე. „ხელმწიფეს შეუძლია დასაჯოს თავისი ქვეშევრდომი შეცოდებისთვის, ყველა მმართველი ვალდებულია გაათავისუფლოს კერპთაყვანისმცემლობის ჭუჭყისგან თავისი სამეფო, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება ღმერთის კულტს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ტამპლიერები საერო პირებმა გაასამართლონ, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ არიან მოკვეთილნი ეკლესიისგან, როგორც ერეტიკოსები. უფლება, გამოიძიოს ბრალდება ერესში, ეკუთვნის მხოლოდ ეკლესიას. ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ ვამტკიცოთ - წერს თეოლოგი, რომ არა მარტო ტამპლიერების, რომლებიც ნამდვილად მორჩილები არიან ეკლესიის, არამედ ნებისმიერი სხვა ერეტიკოსების დაპატიმრების ან გასამართლების უფლებას არც მეფე და

არც სხვა რომელიმე საერო ხელისუფალი არ ფლობს საეკლესიო ძიების გარეშე, ხოლო დაადგენს რა დამნაშავეობას ერესში ეკლესიას ამის შემდეგ შეუძლია მისცეს მეფეს უფლება, დასაჯოს განდგომილები“( Денисова 1961 : 217-218).

თეოლოგი განიხილავს ურთიერთობას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის. მიიჩნევს, რომ საერო ხელისუფლება წმინდა იუსტიციის მხოლოდ ინსტრუმენტია, მაშინ როცა სასულიერო ხელისუფლებას აქვს სრული უფლება საერო ხელისუფლებაზე. უმაღლეს ხელისუფალს არა აქვს უფლება პაპის თანხმობის გარეშე დაიწყოს სამართლიანი ომი, და საკუთარი უფლებით განსაჯოს „ერეტიკოსები“. თუკი ხელისუფალი ხედავს- ვკითხულობთ ტრაქტატში, რომ ერესის გავრცელება ემუქრება მის ქვეშევრდომებს და თუ მან ვერ შეძლო, მოთათბირებოდა სასულიერო ხელისუფლებას, მას შეუძლია დააკავოს ერეტიკოსები, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ გადასცეს ისინი ეკლესიას საქმის გამოსაძიებლად და ბოლოს, დასკვნაში ავტორი წერს, რომ მას არ უცდია, გაემართლებინა ტამპლიერები, თუკი ბრალდება დამტკიცდება, ორდენი უნდა განადგურდეს, მაგრამ ამის გადაწყვეტა შეუძლია, მხოლოდ ეკლესიას (Денисова 1961 : 218).

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგიის მაგისტრის ტრაქტატიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ორდენს მიიჩნევდა უდანაშაულოდ და მოითხოვდა დაკითხვა-გამოძიება ეწარმოებინა მხოლოდ ეკლესიის წარმომადგენლებს.

დიუბუას ტრაქტატის მიხედვით კი ტამპლიერები არა მარტო მკვლელთა თანამოაზრეები და მფარველები, არამედ თავადაც მკვლელები არიან, რომელნიც უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. ტრაქტატიდან ვგებულობთ, რომ პაპი ცდილობდა მეფისთვის ტამპლიერები წარმოედგინა, როგორც ხალხი, რომლებიც ჩავარდნენ გაურკვეველ სიტუაციაში და ამის გამო ისინი უნდა დაექვემდებარონ მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს. პაპი – წერდა დიუბუა - ამტკიცებდა, რომ ტამპლიერები მტკიცედ იცავდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას და მხოლოდ ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებოდნენ მათ დოგმატებს. დიუბუა, ძირეულად უარყოფდა რა ამგვარ მტკიცებებს, აცხადებდა რომ: „ტამპლიერებს ვერ ვუწოდებთ ერეტიკოსებსაც კი, რადგან მათ თავიანთი თავი დააყენეს ეკლესიის გარეთ, ხელისუფლების და გამომდინარე აქედან, მისი სასამართლოს გარეთაც“. დიუბუას აზრით, თვით ტამპლიერთა საქმე მოითხოვს გადამწყვეტ მოქმედებას პირველ რიგში, საერო ხელისუფლების მხრიდან და არა საეკლესიო, რომლის კომპეტენციაში არ შედის ამ სახის დამნაშავეთა საქმეები. ამრიგად, თეოლო-

გიის მაგისტრის ტრაქტატის საწინააღმდეგოდ დიუბუა თვლიდა, რომ ტამპლიერებმა უკვე დაკარგეს უფლება, მათი საქმეები განეხილა საეკლესიო სასამართლოს. დიუ-ბუამ, გამოიყენა რა ტრაქტატში მაგალითები რომის სამართლის ინსტიტუციებიდან, მისცა მეფეს იურიდიული საფუძველი, რომლის დახმარებითაც მას შეეძლო ეწარმოე-ებინა ბრძოლა თავისი ინტერესებისთვის. ამოცანა რომლის შესრულებას შეუდგა მე-ფე დიუბუას აზრით წმინდაა, რადგან სამართლიანობის აღდგენით მეფე ხელს უწ-ყობს დედამიწაზე მშვიდობის დამყარებას (Денисова 1961 : 219-220 ).

ტრაქტატი „Quaedam proposita papa rege super facto templaroirum“, წარმოადგენს პაპისადმი მეფის მიერ გაგზავნილ წერილს. უცნობია, იგი იყო თუ არა ნამდვილად მიწოდებული პაპისათვის, როგორც მეფის გზავნილი, მაგრამ ეჭვგარეშეა ის, რომ მეფემ იცოდა დიუბუას ამ ტრაქტატის შესახებ, რადგან გამომცემელმა იგი იპოვა სა-მეფო არქივებში. ანტიპაპური განწყობილება, რომელიც საერთოდ დამახასიათებე-ლია, დიუბუას ნაწარმოებებისთვის აქ ჩანს განსაკუთრებით მკვეთრად. ავტორი მეფ-ის სახელით აღგვიწერს შექმნილი საშიში მდგომარეობის სურათს, რომ საფრთხე ჩანს ტამპლიერების მხრიდან, რაც უფრო ღრმავდება პაპის მოქმედებით, რომელიც აყოვ-ნებს წინააღმდეგობა გაუწიოს მტრებს-ტამპლიერებს. „მორწმუნეთა ნაწილი-აღნიშ-ნავს დიუბუა ხედავდა რა, რომ პაპი რაღაცას ეჭვობს, თვითონაც დაეჭვდნენ ტამპლი-ერთა ცოდვებში, რომლებიც ასე აშკარა და ნათელია. პაპის დუმილი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ იგი მფარველობს ტამპლიერებს, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი ამით ყველგან ტრაბახობენ. ტამპლიერთა სულელურმა მაგალითმა და პაპის არასწო-რმა მოქმედებამ, რომელიც არ ჩქარობს, წინ აღუდგეს ბოროტებას შეარყია რომის ეკლესიის ავტორიტეტი. ბოროტებას წინააღმდეგობით უნდა ვუპასუხოთ, მხოლოდ ამაშია ყოველგვარი ხსნის გარანტია, არწმუნებს პაპს დიუბუა და მეფის სახელით მოუწოდებს მას, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება, თორემ მისი ასეთი წაყ-რუება გამოიწვევს ღვთის რისხვას, უფრო მეტიც, ავტორი არ შემოიფარგლება, მხო-ლოდ „ღვთის სასჯელით“ და ასახელებს რეალურ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ გადამწყვეტი ბრძოლები აწარმოონ პაპის წინააღმდეგ. მეფე და ხალხი ხედავენ რა თქვენს უმოქმედობას თვითონ გაანადგურებენ ტამპლიერების ორდენს თქვენსავე საზიანოდ“- აფრთხილებს ავტორი კლემენს V-ს ( Денисова 1961 : 220-221).

დიუბუა, როგორც წინა ტრაქტატში და აქაც წერს მეფის უფლებაზე, არ დაემორ-ჩილოს პაპს ტამპლიერების ორდენის განადგურების საკითხში, მაგრამ ამ ტრაქტატში

ავტორის შეხედულებები საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ უფრო მკვეთრი ფორმებითაა გამოხატული.

დიუბუა აცხადებს, რომ საფრანგეთის მეფე, როგორც კათოლიკური სარწმუნოებისათვის მებრძოლი, ვალდებულია ეკლესიის დაცვის საკითხებში ანგარიში ჩააბაროს მხოლოდ ღმერთს. იმისთვის, რომ სწორად გავიგოთ ამ სახის განცხადების მნიშვნელობა მოვიშველიოთ ბონიფაციუს VIII-ს ბულა „Unam Sanctam," რომელსაც უწოდებენ პაპობის პოლიტიკურ მანიფესტს, „მორწმუნე ადამიანი ასამართლებს ყველას და ყველაფერს, თვითონ კი არავისგან არ შეიძლება იქნას გასამართლებული... ჩვენ საზეიმოდ ვაცხადებთ და ვადგენთ, რომ ყველაფერი, რაც შექმნილია ადამიანის მიერ, ექვემდებარება რომის პაპს და მხოლოდ ამაშია ხსნის გზა. ეს ნაწყვეტები ბულიდან ნათლად გამოხატავს პაპის კურიის პოლიტიკურ კრედოს (Денисова 1961 : 221-222).

ასეთ ვითარებაში ლეგისტთა ბრძოლის ლოზუნგს: „მეფის ხელისუფლება- იმპერატორის ხელისუფლებაა თავის სახელმწიფოში" ჰქონდა მეტად პროგრესული მნიშვნელობა. როგორც ზოგიერთი სხვა ლეგისტი, ასევე დიუბუაც თავის მოცულობით პატარა, მაგრამ მებრძოლი სულისკვეთების ნაწარმოებებში გაბედულად აცხადებდა სამეფო ხელისუფლების რომის კურიისაგან დამოუკიდებლობისა და საფრანგეთის მეფის უმაღლეს ავტორიტეტზე, რომელიც არ ცნობს არავითარ სხვა ხელისუფლებას, ღვთის ნების გარდა (Денисова 1961 : 222).

ამ ტრაქტატში, ისევე როგორც წინაში, ჩანს ავტორის მისწრაფება იურიდიულად დააფუძნოს თავისი განცხადებები მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ. იგი უპირისპირებს საეკლესიო წესებს სამოქალაქო ნორმებს, აგრეთვე სამეფო სასამართლოს მიმდინარეობის ნორმებს და მიაჩნია ეს უკანასკნელი უფრო გონივრულად.

ტრაქტატებში ხალხი ფიგურირებს როგორც მოქმედი პირი. პირველ ორ ნაწარმოებში, ავტორი უშუალოდ საუბრობს ხალხის სახელით, ხოლო ბოლო ტრაქტატში, რომელიც დაწერილია მეფის სახელით, ხალხი წამოწეულია წინა მხარეზე და რაც მთავარია დიუბუა ცდილობს მისცეს ახსნა გარემოებას. იგი ურჩევს პაპს გაითვალისწინოს „მცირეთა" აზრი, რომლებიც ამხილებენ მას ცოდვებში, რადგან მისი სიტყვებით, თვით წმინდა პეტრესაც კი უხდებოდა მუქარის მოსმენა. პაპმა არ უნდა უარყოს მათი რჩევები, რადგან „ ღმერთს შეუძლია გახსნას მცირეთათვის თავისი სიტყვა, რომელიც სასარგებლო იქნება დიდებულთათვის". დიუბუას მიაჩნია, რომ მნიშვნელობა არა აქვს ვის წინაშე იქნება გახსნილი დანაშაულობანი - ხალხის, ეკლესიის მსახურებისა

თუ ინკვიზიტორების, რადგან „ ყველას ეხება ეს საქმე და ყველა უნდა იყოს მოწოდებული რწმენის დაცვისთვის.“ ცხადია, რომ ხალხი, რომელზეც წერს ავტორი წარმოადგენს სამოქალაქო ფენას, რომელსაც მიეკუთვნებოდა თვით ავტორი. მეფის ხელისუფლებას შეეძლო გამარჯვება შინაურ თუ გარეშე მტრებზე იმის წყალობით, რომ ჰყავდა ასეთი მოკავშირე. გაიმარჯვა რა სამეფო ხელისუფლებამ, გაძარცვა თავისი მხარდამჭერები, რადგან წაართვა ქალაქებს დამოუკიდებლობა. მოქალაქეთა ფენამ, რომელმაც დაკარგა თავისი წინანდელი კომუნალური მდგომარეობა, მიაღწია მხოლოდ პოლიტიკური ხმის უფლებას საფრანგეთის გენერალურ შტატებში. ბოლო ტრაქტატში დიუბუა ხაზს უსვამს სწორედ სახელმწიფოს პოლიტიკურ საქმეებში მოქალაქეთა ფენისათვის დამოუკიდებელი ხმის უფლებას.

ეკლესიის თანახმად, წერს ავტორი, ყველა ადამიანი ერთი სხეულია ქრისტესი. ეკლესიის დასაცავად ვალდებულია გამოვიდეს არა მარტო მეფე, არამედ ყველა ადამიანი „ამგვარად, თუ მარჯვენა ხელი, სახელდობრ ეკლესიის ხელი, განუდგება წმინდა სხეულს (ქრისტეს) ნუთუ მარცხენა ხელი საერო მართლმსაჯულებამ არ უნდა აღმართოს?.. ხალხი არ უნდა აღდგეს დასაცავად შესაძლებლობის ფარგლებში?“(Денисова 1961 : 223).

## დანართი 2

შინონის პერგამენტი

1308 წლის 17-20 აგვისტო



„მეტაძრეთა ორდენის  მაღალი თანამდებობის პირების  პატიება  პაპის ლეგატების მიერ ASV,A .A..Arm.D217-შინონი 1308 წლის 17-20 აგვისტო.

ღვთის სახელით ამინ. ჩვენ ღვთის წყალობით, კარდინალი მღვდლები : ბერენგარი, სტეფანე და ლანდლოფო ამით ვაცნობებთ ყველას, ვინც ამ დოკუმენტს ნახავს, რომ მას შემდეგ, რაც უწმინდესმა მამამ კლემესმა ბრძანა გამოძიების დაწყება ტაძრის ორ-დენის საქმის, მას ჰქონდა განზრახვა სცოდნოდა წმინდა და სრული სიმართლე. ჩვენ პაპის მონიჭებული უფლებით მკაცრად უნდა დავკითხოთ მაღალი თანამდებობის პირები: მაგისტრი ბერი ჟაკ დე მოლე, ჰუგო დე პეირო, ჟოფრუა დე შარნე, რემბო დე კარონი და  ჟოფრუა დე გონევილი“. (Pergamena di Chinon trascrizione-e-traduzione)

## დანართი 3.

### ინტერვიუ კა ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორთან ბარბარა ფრალესთან

(ინტერვიუ ჩაიწერა თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოქტორანტმა ია მელქაძემ. ხელმძღვანელი ასოც.პროფ.ია ხუბაშვილი. 25/03/2024).

**რა ვითარებაში იქნა აღმოჩენილი შინონის პერგამენტი?**

ორიგინალურ დოკუმენტებს ვამოწმებდი, რომ ძველ ინვენვენტარში, რომელიც 1628 წელს იყო დაწერილი შევამჩნიე რაღაც, რაც ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა. ძალიან ძლიერი კარდინალი და პაპ კლემენს V-ის ნათესავი გაგზავნილი იყო პატარა ციხე-სიმაგრეში, რათა წარემართა გამოძიება, რომელიც ერთი შეხედვით, მცირე მნი-შვნელობის დაკითხვას წარმოადგენდა. სინამდვილეში, ავთენტური დოკუმენტის წა-კითხვისას აღმოვაჩინე, რომ კარდინალი იქ წავიდა მაგისტრისა და ორდენის უმაღლესი წარჩინებულების მოსასმენად.

**In quali circostanze è stata rinvenuta la Pergamena di Chinon?**

Eseguivo una verifica sui documenti originali dopo aver notato che in un inventario antico, scritto nel 1628, c'era qualcosa che mi sembrava molto strano. Un cardinale molto potente, e nipote di papa Clemente V, veniva inviato in un piccolo castello per dirigere una inchiesta che in apparenza era un interrogatorio di poca importanza. In realtà leggendo il documento autentico ho scoperto che quel cardinale si recava laggiù per ascoltare il Gran Maestro e i più alti dignitari dell'ordine.

**იყო თუ არა წმინდა საყდრის ნება მისი გამოქვეყნების შესახებ და ადვილად გამოქვეყნდა?**

ჩემმა ზემდგომებმა მომცეს ნებართვა გამომექვეყნებინა აღმოჩენა ჩემს პირად წიგნში, შემდეგ კი ის ვატიკანის წიგნშიც დაიბეჭდა.

**C'era una volontà da parte della Santa Sede di pubblicarla ed è stata facilmente pubblicata?**

I miei superiori mi hanno dato il permesso di pubblicare la scoperta in un mio libro privato, poi successivamente è stata anche pubblicata in un libro del Vaticano.

**შეიძლება თუ არა ტამპლიერთა ორდენი რეაბილიტირებულად ჩაითვალოს შინონის პერგამენტის გამოცემით?**

რა თქმა უნდა შინონის პერგამენტი ადასტურებს, რომ არასოდეს არ მომხდარა ტამპლიერების ექსკომუნიკაცია (განკვეთა). ამიტომ მორალური და რელიგიური თვალსაზრისით, ისინი რეაბილიტირებულები არიან.

**Può l'Ordine dei Templari essere considerato riabilitato dall'atto di pubblicazione della Pergamena di Chinon?**

Sicuramente la Pergamena di Chinon dimostra che i Templari non furono mai scomunicato. In senso morale e religioso sono riabilitati.

**როგორია ოფიციალური პოზიცია ორდენის შესაძლო აღდგენასთან დაკავშირებით და თუ წინააღმდეგობაა, რატომ?**

ჩემთვის არ არის ცნობილი წმინდა საყდრის ოფიციალური პოზიცია ტამპლიერების მიმართ და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ პაპის წარმომადგენელს შეუძლია. შემიძლია ვთქვა, რომ თავდაპირველი და ჭეშმარიტი ორდენი შედგებოდა რელიგიური პირებისაგან, რომლებიც არ ქორწინდებოდნენ და ცხოვრობდნენ სავანეებში, ბრძოლებში მონაწილეობის გარდა. დღეს ტამპლიერთა წესის ამ ცნებას არავინ მისდევს, ამიტომ ისინი მხოლოდ უძველესი სახელისა და სიმბოლოების იმიტაციაა.

**Qual è la posizione ufficiale riguardo al possibile ripristino dell'Ordine e, nel caso contrario, perché?**

Non conosco la posizione ufficiale della Santa Sede sui Templari, e solo il portavoce del Papa può rispondere a questa domanda. Posso dire che l'ordine originale e vero era fatto di religiosi che non si sposavano e vivevano in convento, oltre che combattere. Oggi nessuno segue questo precetto della regola templare, dunque sono solo imitazioni del nome e dei simboli antichi.

## დანართი 4

**სამხრეთ იტალიის პონტიფიკური თეოლოგიური სემინარიის (ნეაპოლი) (Pontificia facolta teologica dell Italia meridionale) პროფესორთან ანა კარფორასთან.**

(ინტერვიუ ჩაიწერა თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოქტორანტმა ია მელქაძემ. ხელმძღვანელი ასოც.პროფ.ია ხუბაშვილი. 16/03/2024).

**როგორ ფიქრობთ, შინონის პერგამენტის აღმოჩენამ რა შეცვალა?**

შინონის პერგამენტის აღმოჩენით მოხდა ტამპლიერების მიმართ წაყენებული ბრალდებების დიდი ნაწილის სიყალბის დადგენა. მაგრამ ამის მიუხედავად, ვატიკანისგან ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი ორდენის აღდგენის შესახებ ოფიციალური განცხადება.

**როგორია თქვენი არგუმენტები ამასთან დაკავშირებით?**

ჩემი არგუმენტები ასეთია: ტამპლიერების ორდენის ბევრი წევრი ინკვიზიციის მსხვერპლი გახდა. მაგრამ ბევრი იყო ისეთიც, რომელიც უსამართლოდ დასაჯა ინკვიზიციამ. ამიტომ ყველა ელოდება მათ გამამართლებელ განცხადებას ეკლესიისგან. არ ვფიქრობ, რომ ვატიკანისგან ჯერჯერობით მოსალოდნელი იყოს ორდენის ოფიციალური აღდგენის შესახებ განცხადების გაკეთება, მით უფრო მიმდინარე პონტიფიკატის დროს, თუმცა არ გამოვრიცხავ უფრო სხვა ხაზის გამტარებელი სასულიერო ხელმძღვანელობის დროს ეს გადაწყვეტილება გადაიხედოს.

ბერნარ კლერვოელის დოქტრინა „ Liber ad milites Templi: De laude novae militae"(" ახალი რაინდების სადიდებლად"), რომელიც იყო ტამპლიერების ორდენის დამფუძნებელი დოკუმენტი, მოიცავს ზოგ ისეთ თეზისს, რომელიც თანამედროვეობაში პოლიტიკურად არაკორექტულია, მაგალითად, ურწმუნოთა მტრად გამოცხადება და მათი დევნა. თუ ტამპლიერთა ორდენი აღდგება, ეს თეზისიც შესაძლოა, აღდგეს, რომელიც ამართლებს რელიგიური ომის წარმოებას და სადაც არაერთხელ არის ნახსენები, რომ მტრის და ურწუნოს მოკვლა, ცოდვა არ არის. ეს შესაძლოა, მემარჯვენე ძალების მიერ არასწორად იყოს გამოყენებული და ამ არგუმენტით ორდენი არ აღადგინონ.

**2006 წელს ორდენის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გერმანიაში გავრცელებული ხმების შესახებ რას ფიქრობთ?**

ვფიქრობ, რომ ეს ხმები მემარჯვენე ძალების მიერ იყო გავრცელებული. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვატიკანის კონსერვატული-მემარჯვენე და ანტიპროგრესული ფრთის და მისი მოკავშირეების მხრიდან ყოფილიყო ეს ინსპირირებული, რათა საზოგადოების განწყობის შემოწმება მომხდარიყო. ტამპლიერების ორდენი თავის დროზე ფორმირებული იყო მრავალი ინტელექტუალი და გავლენიანი პირის მიერ და დადანაშაულების მიუხედავად, რამდენად სამართლიანი ან უსამართლოც არ უნდა ყოფილიყო იგი, მათი სიმდიდრე გახდა მათი დაშლის ერთერთი მიზეზი. თუმცა მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ დღევანდელი ტამპლიერები ვერ მოითხოვენ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, ვინაიდან, არ დგინდება მათი სამართალმემკვიდრეობა ტამპლიერების ორდენთან. მიმდინარე ეტაპზე, პაპ ფრანცისკის დროს ნაკლებად სავარაუდოა ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო ტამპლიერების ორდენის

ოფიციალური აღდგენა, თუმცა სამომავლოდ არ გამოვრიცხავ თუ უფრო ნაკლებ პროგრესული ძალები მოვლენ ვატიკანის სათავეში.

## დანართი 5

**L'Osservatore Romano**

**21 Maggio 2006**

**Precisazione**

Negli ultimi tempi, in Germania, sono circolate con insistenza voci di un presunto riconoscimento da parte della Santa Sede del c.d. *Ordine del Tempio (Templerorden)* e da più parti sono pervenute richieste di informazioni in merito all'autenticità di una lettera recante la firma dell'Em.mo Cardinale Segretario di Stato, che avallerebbe il vantato riconoscimento.

Al riguardo, siamo autorizzati a dichiarare che tale lettera è falsa e non fa onore a quanti l'anno prodotta. Com'è noto, l'antico Ordine del Tempio (Templari) fu soppresso dal Pontefice Clemente V (1305-1314) e non fu mai restaurato da alcun altro successore.

Per quanto concerne gli *Ordini Cavallereschi,* possiamo confermare quanto già pubblicato in passato dal nostro giornale: la Santa Sede oltre ai propri *Ordini Equestri*, riconosce e tutela soltanto il Sovrano Militare Ordine di Malta - ovvero Sovrano Militare Ordine Ospedaliero di San Giovanni, di Rodi e di Malta-e l'Ordine Equestre del Santo Sepolcro di Gerusalemme.

21 მაისი 2006

**ოსერვატორე რომანო**

**დაზუსტება**

ბოლო დროს გერმანიაში დაჟინებით გავრცელდა ხმები წმინდა საყდრის მიერ ე.წ. ტამპლიერთა ორდენის (Templer orden) სავარაუდო აღიარების შესახებ და სხვადასხვა მხრიდან შემოვიდა ინფორმაციის მოთხოვნა იმ წერილის ავთენტურობის შესახებ, რომელზეც განთავსებული იყო გამოჩენილი კარდინალის- სახელმწიფო მდივნის ხელმოწერა, რომელიც თითქოსდა ახდენდა ორდენის აღიარებას ამასთან დაკავშირებით, უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ, რომ ეს წერილი ყალბია და მის შემქმნელებს საპატიო მდგომარეობაში არ აყენებს. როგორც ცნობილია, უძველესი ტაძრის ორდენი (ტამპლიერები) აღკვეთა პაპამა კლემენს V-მ (1305-1314) და არასოდეს აღუდგენია მის არცერთ სხვა მემკვიდრეს.

რაც შეეხება რაინდთა ორდენებს, შეგვიძლია დავადასტუროთ ის, რაც წარსულში უკვე გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის მიერ: წმიდა საყდარი, საკუთარი სამხედრო ორდენების გარდა აღიარებს და იცავს მხოლოდ მალტის სუვერენულ სამხედრო ორდენს - ანუ წმინდა იოანეს, როდოსის და მალტის სუვერენულ სამხედრო ორდენს და იერუსალიმის წმინდა სამარხის სამხედრო ორდენს.

sbarchi di immigrati irregolari

□ **ONU** Il Comitato delle Nazioni Unite contro la tortura, riunito a Ginevra, ha chiesto venerdì 19 agli Stati Uniti di «adottare misure radicali per debellare ogni forma di tortura o maltrattamento» di detenuti. Chiesta anche la chiusura del centro di detenzione di Guantanamo.

vizi segreti palestinesi

**civile**

**mas**

una delle cause più popolari nei
t. Le dichiarazioni di Abu Zuhri
nno però convinto la Presidenza
ese. Abu Mazen ha ordinato alla
generale di aprire un'inchiesta
presenza e la destinazione dei
di interrogare Abu Zuhri.
se Ap sono vuote e da due mesi
adi dei 165.000 dipendenti pub-
sono pagati. Le pressioni inter-
esercitate sulle banche hanno
so difficile l'afflusso dei finan-
che Hamas riceveva in passato
per il funzionamento delle
ure politiche e militari.

**i arresti**

**mani in Siria**

BRUXELLES, 20.
«preoccupazione» per i recen-
mo a Damasco di «riconsi-
tutti gli arrestati per mo-
mi sul rispetto dei diritti
orata», si legge in una no-
sto semestre resta dall'Au-
a preoccupazione per i re-
umani, delle loro famiglie
nde alla Siria di rispettare
come stabilito nell'

## Precisazione

Negli ultimi tempi, in Germania, sono circolate con insistenza voci di un presunto riconoscimento da parte della Santa Sede del c.d. *Ordine del Tempio (Templerorden)* e da più parti sono pervenute richieste di informazioni in merito all'autenticità di una lettera recante la firma dell'Em.mo Cardinale Segretario di Stato, che avallerebbe il vantato riconoscimento.

Al riguardo, siamo autorizzati a dichiarare che tale lettera è falsa e non fa onore a quanti l'hanno prodotta. Com'è noto, l'antico *Ordine del Tempio (Templari)* fu soppresso dal Pontefice Clemente V (1305-1314) e non fu mai restaurato da alcun altro successore.

Per quanto concerne gli *Ordini Cavallereschi*, possiamo confermare quanto già pubblicato in passato dal nostro giornale: la Santa Sede, oltre ai propri Ordini Equestri, riconosce e tutela soltanto il Sovrano Militare Ordine di Malta — ovvero Sovrano Militare Ordine Ospedaliero di San Giovanni di Gerusalemme, di Rodi e di Malta — e l'Ordine Equestre del Santo Sepolcro di Gerusalemme.

**Viêt Nam: 160 dispersi**

# ბიბლიოგრაფია

## წყაროები:


1. კეკელიძე 1950 : კეკელიძე კ. (რედაქტორი) საქართველოს სახელმწიფო მუ-ზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ IV, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,1950.
2. Curzon 1886: Curzon H.D. La Regle du Temple, Paris: Sosiete De L' Histoire de France, 1886.
3. Lizerand 1923: Lizerand G. Le Dossier de L` Affaire de Templiers, Paris, Honore Champion, 1923.
4. Michelet 1841: Michelet J.Proces Des Templiers, Paris, Imprimerie royale, 1841. (Source gallica .bnF.fr/ Biblioheque nationale de France).
5. Raynouard 1813 : Raynouard F. Monumens historiques relatifs a la condamnation des chevaliers du temple, et a l'abolition de leur ordre. Paris:De L' Imrimerie d adrien egron. 1813.
6. Raynouard 1805: . Raynouard M. Proces et condemnationdes Templiers, Paris 1805.
7. Денисова 1961: Денисова Н. Из истории политической борьбы во Франции в начале XIV в, (Трактаты Легиста Дюбуа об уничтожении ордена тамплиеров ) С.В, Сборник В XX., М, Академии наук СССР, 1961.
8. Мункыз 1958 : Мункыз У. Книга назидания . Москва: издательство „восточной литератури “, 1958.


## სამეცნიერო ლიტერატურა:


9. ავალიშვილი 1989 : ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბილისი : „გამომცემლობა საბჭოთა საქართველო“, 1989.
10. ბადრიძე 1973 : ბადრიძე შ. საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი: გამომცემ-ლობა „მეცნიერება“, 1973.

11. ბადრიძე 1984 : ბადრიძე შ. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIIIსს) თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.
12. ბაქრაძე 1990 : ბაქრაძე ა. რწმენა. თბილისი : გამომცემლობა, „მერანი“, 1990.
13. ბერაძე 1960 : ბერაძე ი. საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 87. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960.
14. ბურჭულაძე 1982: ბურჭულაძე თ. დავით აღმაშენებელი და გრაალის რაინდები. რიწა. საქართველოს მწერალთა კავშირისა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურული ალმანახი. N 1 სოხუმი: 1982.
15. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. წერილები, ესსეები, თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“,1991.
16. გოგოლაძე...2015: გოგოლაძე ა., წითლანაძე თ., ქარჩავა თ., სილაგაძე ნ. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015.
17. თინიკაშვილი 2015: თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ პოლიტიკური ურთიერთობა XI- XIII საუკუნეებში. დისერტაცია. თბილისი, 2015.
18. თვარაძე 2000 : თვარაძე ა. გრაალის პრობლემა ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალის “ მიხედვით. თბილისი: 2000.
19. იასტრებიცკაია 1981: იასტრებიცკაია ა. XI- XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპა ეპოქა, ყოფა, ჩაცმულობა. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“ 1981.
20. კაკაბაძე 1982: კაკაბაძე ს. დიდგორი ომი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1982.
21. კამილერი 2005: კამილერი რ. ინკვიზიციის ჭეშმარტი ისტორია. თბილისი, 2005.
22. კეკელია 2009 : კეკელია ვ. რამდენიმე შენიშვნა ტამპლიერების მოსახსენებლების შესახებ. ისტორიანი, სამეცნიერო კრებული. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2009 .

23. კობახიძე 2005 : კობახიძე თ. ტამპლიერთა სასულიერო ორდენის განადგურების საიდუმლო და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოსახსენიებლები. ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XIII მონრეალი - თბილისი, 2005.
24. ლიტლი 2013: ლიტლი დ. სოციალური ახსნის მრავალფეროვნება, შესავალი სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიაში.თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
25. მარგიშვილი 2006: მარგიშვილი ს. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომის სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბილისი: გამომცემმლობა „სიესტა“, 2006.
26. მეტრეველი 1962: მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, 1962.
27. მეტრეველი 2007: მეტრეველი ე. ფილოლოგიურ - ისტორიული ძიებანი. ნაკვეთი I თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“ , 2002.
28. მეტრეველი 2002: მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
29. მურღულია...1992: მურღულია გ., ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ. საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“,1992.
30. ნაცვლიშვილი...2009: ნაცვლიშვილი პ., ხუბაშვილი ი. მალტა და მალტის ორდენი სულხან საბა ორბელიანის „მოგზაურობაში“. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი. 1-2. თბილისი, 2009.
31. ნემსაძე 2005 : ნემსაძე ლ. გრაალის იმაგინაციები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005.
32. პაპაშვილი 1995 : პაპაშვილი მ. საქართველო რომის ურთიერთობა VI- XX სს. თბილისი: გამომცემლობა „აღმაშენებელი,“ 1995.
33. პაპაშვილი 2015: პაპაშვილი მ. (რედაქტორი) დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე). თბილისი : გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015.
34. ჟორდანია 1897 : ჟორდანია თ. ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი მეორე, ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხ., 1897.

35. სტეფნაძე 2004 : სტეფნაძე მ. ქართველები  გოლგოთაზე XI- XVსაუკუნეებში. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები VI . თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
36. ფერაძე 1995: ფერაძე გ.უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „კანდელი“, 1995.
37. ყურანი 2006 : ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი  წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი : კავკასიური სახლი, 2006.
38. შენგელია  2009 : შენგელია  რ. ქვაკუთხედი ანუ „ ქართლის ცხოვრების“ მისტერიები. თბილისი:  საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობა, 2009.
39. შველიძე...2017 : შველიძე დ.,სიმაშვილი თ. ტერორიზმის ევოლუცია (იულიუს კეისრიდან დღემდე) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017.
40. შტეკლი 1994 : შტეკლი ა. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა  „ნეკერი“,1994.
41. ხუბაშვილი  1997  :  ხუბაშვილი ლ. ტამპლიერების  ორდენის დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მოწამეობრივი სიკვდილი ( ჯოვანი ბოკაჩოს „ცნობილ მამაკაცთა“ ფათერაკებისა შესახებ“ და ჯოვანი ვილანის „ქრონიკის“ მიხედვით. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე 1-4. თბილისი: გამომცემლობა  „მეცნიერება“, 1997.
42. ხუბაშვილი 2002 : ხუბაშვილი ლ. წმინდა  გრაალი და მისი ინტერპრეტაცია ევროპულ და ქართულ ცნობიერებაში.კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XIII. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
43. ხუბაშვილი 2003: ხუბაშვილი ლ. ევროპული  და ქართული მესიანიზმის ზოგიერთი  საკითხისათვის. თსუ შრომები. ტ 349. თბილისი : თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  2003.
44. ხუბაშვილი  2005 : ხუბაშვილი ლ. ბრძოლა მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის XII - XIII საუკუნეებში (ტამპლიერები და ასასინები). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XV. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

45. ხუბაშვილი 2009: ხუბაშვილი ლ. დავით აღმაშენებლის ფრესკის ზოგიერთი საკითხისათვის. სამეცნიერო კრებული ისტორიანი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2009.
46. ხუბაშვილი 2016 : ხუბაშვილი ლ. იეზუიტების ორდენი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
47. ხუბაშვილი 2016 : ხუბაშვილი ლ. რომის პონტიფექსები და მათი ეპოქა. ტ. 1. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
48. ჯაფარიძე 1995 : ჯაფარიძე გ. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII – XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი: გამომცემ-ლობა „მეცნიერება“,1995.
49. ჯონსტოუნი 2012 : ჯონსტოუნი მ. მასონები.თბილისი: გამომცემლობა „კლიო,“ 2012.
50. Barber 1994: Barber M. The New Knighthood: A History Of The Order Of Temple. Cambridge: Cambridge University Press, 1994.
51. Barber 2006: Barber M. The trial of Templars. Cambridge: Cambridge University Press, 2006.
52. Bellomo 2008: Bellomo E. The Templar Order in North- west Italy (1142- 1330), Leiden. Boston: „BRILL“, 2008.
53. Burgtorf 2008: Burgtorf J. The Central Convent of Hospitallers and Templars: History, organization and Personnel( 1099/1120 – 1310).Leiden. Boston: „BRILL“, 2008..
54. Cosman … 2007: Cosman M. P, Jones L. G. Handbook to Life in the Medieval World. New York : „Facts On File An imprint of Infobase Publishing“, 2007.
55. Frale 2003:Frale B.II Papato e il processo ai Templari L `inedita assoluzione di Chinon alla luce della diplomatica pontificia. Viella , Roma. 2003.
56. Gest 2007: Gest L. K. The Secrets of Solomon’s Temple: Discover The hidden truth that lies at the heart of freemasonry. Gloucester, Massachusetts: „Fair Winds Press“, 2007.
57. Goering 2005 : Goering J.The virgin and the grail. London: Yale University Press,2005.
58. Haag 2009: Haag M. The Templars History and Myth. London:2009.
59. Heiduk 2010: Heiduk M. Die Chinon –Charta von 1308- die Wende im Templerprozeb? Ein archivalischer Fund und sein publistisches Echo. 1308 Eine Topographie

Historischer Gleichzeitigkeit, A.Speer, D. Wirmer (Hrsg) Miscellanea Mediaevalia. Berlin.2010.

60. Hodge 20l3 : Hodge S. SECRETS Of THE KNIGHTS TEMPLAR: The Hidden History Of The World' s Most Poverful Order. London: „Quercus“, 20l3.
61. Kennedy 1994 : Kennedy H. Crusader Castles. Cambridge: Cambridge University Press, 1994.
62. King 1887: King C.W. The Gnostics and their remains ancient and medieval. London: William Glowes And Sons, Limited, 1887.
63. Knight 1998: Knight C., Lomas R. The Hiram Key, New York: „Barnes &Noble books“,1998.
64. Jones 2004 : Jones S. J. The Crusades Biographies. Detroit: U.X.L, „Thomson Gale“, 2004.
65. O' Malley 2010: O' Malley J.W. A History of the popes: from Peter to the present. Lanham: „A Sheed α Ward Book“, Rowman α Littefield, 2010 .
66. Olsen 2006: Olsen O. The Templar papers. U.S.A: „Career press“, 2006.
67. O Neal 2005: O Neal M. The Crusades ; Almanac. Detroit: UXL, „Thomson Gale“, 2005.
68. Newman S. The real history behind the Templars, New York, „Berkley books“, 2007.
69. Nicholson 2004: Nicholson H. Knight Templar 1120 - 1312. Cambridg: „Osprey Publishing,“ 2004 .
70. Nicolle 2001: Nicolle D. The Crusades, London, „Osprey Publishing“, 2001.
71. Андреев 2003 : Андреев А. Монашеские ордена. Москва-Киев. издательство „ Альтернтернатива – Евролинц“, 2003.
72. Арну 1926: Арну А. История инквизиции. Ленинград: издательство „Время“,1926.
73. .Бедуелл 1996 : Бедуелл Г. История Церкви. Москва: издательство „Христианская Россия“, 1996.
74. Байджент... 1993: Бейджент М., Ли Р., Линкльн Г. Священная загадка С- Петербургь, 1993.
75. Байджент ... 2005 : Бейджент М., Ли Р., храм и ложа. Москва: издательство, „Эксмо“, 2005.
76. Бутми 1914 : Бутми Н. Каббала, ереси и тайныя обшества, С- Петербургь ,1914.

77. Ваги 2007: Ваги Ф. Тамплиеры История и легендию Москва: издательство „Ниола Пресс“, 2007.
78. Виймар 2003: Виймар П. Крестовые походы Миф и реальность свясщенной войны. Санкт-.Петербург : издательство „Евразия “, 2003.
79. Гекерторн 1876 : Гекерторн Ч У. Тайныя Общества Всехъ Вековъ и Всехъ Странъ. С-Петербургь , 1876.
80. Гергей 1996: Гергей Е. История Папства. Москва: издательство „ Республика“, 1996.
81. Гонсалес 2001: Гонсалес Л. История христианства, т.1, Санкт-Петербург: издательство „Библия для всех“, 2001.
82. Гопаченко 1997 : Гопаченко А .Тайные Ордена. Харков: издательство „Фолио“, 1997.
83. Григулевич 1976 : Григулевич И. Инквизиция. Москва: издательство „Политическои литературы “, 1976.
84. Грусе 2007 : Грусе Р. История крестовых походов. Батуми: издательство „алиони“, 2007.
85. Дворкин 2003 : Дворкин А. Очерки по истории вселенской православной церкви. Нижний Новгород : издательство „Братства во имя св. князя александра невского“, 2003.
86. Дельбрюк 1938 : Дельбрюк Г. История военного искусства в рамках политической Истории. Том третий. Москва, 1938.
87. Демурже 2008 : Демурже А. Жизнь и смерть Ордена тамплиеров 1120-1314. Санкт-Петербург: издательство „Евразия“ 2008.
88. Демурже 2009 : Демурже А. Жак де моле Великии магистр Ордена тамплиеров. Санкт-Петербург. издательство „Евразия“, 2009.
89. Дютаии 1938: Дютаии Ш. П. Феодальная монархия во Франции и Англии X-XIII вв. Москва, 1938.
90. Заборов 1956 : Заборов М. Крестовые походы. Москва : издательство „Академии наук СССР“, 1956.
91. Заборов 1960 : Заборов М. Папство и крестовые походы. Москва : издательство „Академии наук СССР“, 1956.

92. Заборов 1966 : Заборов М. Введение в историографию крестовых походов. Москва : издательство „Наука“,1966.
93. Заборов 1971 : Заборов М. Историография крестовых походов. (XV- XIX ВВ) : Москва издательство „Наука“, 1971.
94. Заборов 1980 :Заборов М. Крестоносцы на востоке. Москва: издательство „Наука“,1980.
95. Захаров…2009 : Захаров В., Чибисов В. Орден госпитальеров. Санкт-Петербург: издательство „Алетейя“ , 2009.
96. Ивановь 1915 : Ивановь К. Средневековое Папство и его представители. Петроградь: 1915.
97. Каппелетто 2004 : Каппелетто Д.В. Человек в поисках абсолюта. Гатнича., 2004.
98. Карсавинь 1912: Карсавинь Л. Монашество вь средние века. С- Петербургь: Москва, „Брогкаузь-Ефронь“, 1912 .
99. Карсавин 2003 : Карсавин Л. Культура средних веков. Москва: издательство „Книжная находка“, 2003.
100. Керов 1986 : Керов В.Народные восстания и еретические движения во Франции XIV вв. Москва: издательство „Университета Дружби народов“, 1986.
101. Керов 1977: Керов В. Борьба народюных масс против котолической церкви во Франции в конце XIII- начале XIV вв. Москва: издательство „Университета Дружби народов“,1977.
102. Корелинь 1901: Корелинь М. Важнейшие моменты вь историы средневекового папства. С- Петербургь: издательство „Брогкаузь-Ефронь“, 1901.
103. Куглерь 1895 : Куглерь Б. История крестовых походовь. С- Петербургь, 1895.
104. Лависса... 2003 : Лависса Э., Рамбо А. Эпоха крестовых походов. Москва: издательство „ АСТ“, 2003.
105. Ли 1912: Ли Г.Ч. История инквизиции вь срединые века. т. II, СПб: „Брогкаузь-Ефронь“, 1912 .
106. Лобе 2003 : Лобе М . Трагедия ордена тамплиеров. Санкт-Петербург: издательство „Евразия “, 2003.
107. Лобе ...2007: Лобе М. Фо Г. Трагедия тамплиеров. Дело тамплиеров, Москва: издательство „Вече“, 2007.

108. Лозинский 1986 : Лозинский С. История папства. Москва: издательство „ Политической литературы“, 1986.

109. Лортц 1999 : Лортц Й. История церкви. Том 1. Москва: издательство „Христианская Россия “, 1999.

110. Люшер 2003 : Люшер А. Иннокентий III и альбигойский крестовый поход. Санкт -Петербург: издательство „Евразия“, 2003.

111. Мельвиль 2003: Мельвиль М. История ордена тамплиеров. Санкт-.Петербург: издательство „Евразия “, 2003.

112. Мишо 1841: Мишо Г. История Крестовыхь Походовь. Томь второй ,Санкт-Петербургь: Печатано вь Военной типографии, 1841.

113. Осокин 2003 : Осокин Н. История средних веков. Минск : издательство „Харвест“, 2003.

114. Павловский 1994 : Павловский Я. Очерки истории католической церкви. Резекне, издательство „Латгальского культурного центра “, 1994.

115. Парнов 1991 : Парнов Е. Трон Люцифера. Москва: издательство „Политическои литературы “, 1991.

116. Перну 2001 : Перну Р. Крестоносцы. Санкт-.Петербург: издательство„ Евразия“ 2001.

117. Петрушевский 1966 : Петрушевский И. Ислам В Иране в VII-XV веках. Л., издательство Ленинградского Университета.1966.

118. Печников 1991: Печников Б. Рыцари церкви кто они. Москва: издательство „Политическои литературы “, 1991.

119. Рассел 2001: Рассел Б. История западной Философии Санкт-.Петербург издате - льство „Азбука“, 2001.

120. Рассел : Рассел Д. Колдовство и ведьмы в средние века. Санкт-.Петербург: издательство „Евразия “ , 2001.

121. Рид 2005 : Рид П. Тамплиеры. Москва: издательство „Ермак“ , 2005.

122. Строева 1978: Строева Л., Государство исмаилитов в Иране в XI –XII1 13 вв. Москва, 1978.

123. Талтберг 2001 : Талтберг Н. История христианской церкви. Москва: издательсто православного Свято- Тихоновского богословского института, 2001.

124. Черняк 1987 :Черняк Е. Невидимые империи. Москва: издательсто „Мысль“, 1987.

125. Шейнман 1961: Шейнман М. Папство. Москва: 1961.

126. Шустерь 1905 : Шустерь Г. Тайныя общества, союзы и ордена том I, С-Петербургь: издательство „О Поповой“, 1905.

## მხატვრული ლიტერატურა:

127. ეკო 2016 : ეკო უ. ფუკოს ქანქარა. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2016

128. სკოტი 1991 : სკოტი უ. აივენჰო. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1991.

## პერიოდული პრესა:

129. L`Osservatore Romano 2006: L Osservatore Romano, Precisazione, 2006, 21 Maggio.

130. Pagano 2007: Pagano S. Documenti antichi e preziosi offerti ai cultori della memoria . L`Osservatore Romano 2007 , 25 Ottobre.

131. აბაშმაძე 1989 : აბაშმაძე ვ. მეფე-ფილოსოფოსი და მხედართმთავარი. ჟ. ჯვარი ვაზისა. საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი. 2 (26), 1989.

132. ბათიაშვილი 2007: ბათიაშვილი ი. ისტორიული მემკვიდრეობა და მომავლის კონტურები. ჟურნალი ჩვენი მწერლობა . თბილისი: 5, 2007.

133. ბეზარაშვილი 2004: ბეზარაშვილი ლ., ლადარია ნ. ტამპლიერთა ტრაგედია I გაზეთი 24 სააათი.

134. ბეზარაშვილი 2004: ბეზარაშვილი ლ., ლადარია ნ. ტამპლიერთა ტრაგედია II. გაზეთი 24 სააათი.

135. ბეზარაშვილი...2004: ბეზარაშვილი ლ., ლადარია ნ. ტამპლიერთა ტრაგედია III. გაზეთი 24 საათი.

136. ბეზარაშვილი 2004 : ბეზარაშვილი ლ., ლადარია ნ. ტამპლიერთა ტრაგედია გაზეთი 24 სააათი.

137. გიორგობიანი 2008 : გიორგობიანი ა. ტაბუდადებული სამხედრო კულტურული მემკვიდრეობა. ჟურნალი არსენალი, 4(4). 2008.

138. გრიშიკაშვილი 2008 : გრიშიკაშვილი ა. ტამპლიერები - პირველი საერთაშორისო სისტემის შემოქმედნი. გაზეთი 24 საათი 166, A 6, 2008 .

139. მამუკაძე 2011: მამუკაძე ნ. ქართველი ტამპლიერები, ანუ საქართველოს ტაძრის რაინდები. გაზეთი ყველა სიახლე. 3-9 თებერვალი.

140. ცუცქირიძე 1998 : ცუცქირიძე პ. ტამპლიერები ქრისტეს ღარიბი რაინდები. გაზეთი კვირის პალიტრა, 3, 19- 25 იანვარი, 1998.

141. წურწუმია : 2010. წურწუმია მ. ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში. ჟურნალი ქართველოლოგია, 6. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 .

142. ჭავჭავაძე 1890 : ჭავჭავაძე ი. ქართული თეატრი. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ივერია. N 122 ,12 ივნისი, 1980.

143. ჭავჭავაძე 1890 : ჭავჭავაძე ი. ქართული თეატრი. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ივერია. N 123 ,13 ივნისი, 1980.

144. ჭავჭავაძე 1890 : ჭავჭავაძე ი. ახალი ამბავი. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ივერია, N 135 , 27 ივნისი, 1890.

145. ჯეელია 2003 : ჯეელია კ. რაინდობა, ტამპლიერები და საქართველო. ჟურნალი კრიტერიუმი. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 8, 2003.

**ინტერვიუები:**

146. მელქაძე 2024: მელქაძე ი. ინტერვიუ კა ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორ ბარბარა ფრალესთან. 25/03/2024.

147. მელქაძე 2024: მელქაძე ი. ინტერვიუ სამხრეთ იტალიის პონტიფიკური თეოლოგიური სემინარიის პროფესორთან ანა კარფორასთან. 16/03/2024.

## ელექტრონული რესურსები:

148. Tosatti 2007 : Tosatti M.Vaticano: Pergamena di Chinon, svelato il mistero dei templari. მის: http://www.veja.it/2008/12/09/vaticano-pergamena-di-chinon-svelato-il-mistero-dei-templari/ (უკანასკნელად ნანახია 9. 12.2008).

149. Pergamena di Chinon: Assolizione di Papa Clemente V ai capi dell' Ordine Templare: 2008. მის: http://www.veja.it/2008/12/09/pergamena-di-chinon-assoluzione-di-papa-clemente-v-ai-capi-dell ordine-templare/(უკანასკნელად ნანახია 9. 12.2008).

150. The Parchment of Chinon-The absolution of Pope Clement V of the leading members of the Templar order : 2006) მის: http://asv.vatican.va/en/doc/1308.htm (უკანასკნელად ნანახია 4. 12.2017

151. Pergamena di Chinon trascrizione-e-traduzione http://www.veja.it/2008/ 12/09/ pergamena-di-chinon-trascrizione-e-traduzion (უკანასკნელად ნანახია 9. 12.2008).